

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
იურიდიული ფაკულტეტი

### ნათია ჩიტაშვილი

შეცვლილი გარემოებების გავლენა გალდებულების შესრულებასა და მხარეთა  
შესაძლო მეორად მოთხოვნებზე

სადისერტაციო ნაშრომი  
სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი – თამარ ზამბახიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი



თბილისი  
2014

## სარჩევი

აბრევიატურები .....	8
I. შესავალი .....	13
II. შეცვლილი გარემოებების სამართლებრივი პრობლემატიკის კვლევის ფარგლები .....	20
1. ქართული სამართლი უნიფიცირებული კერძო სამართლის სივრცეში.....	20
1.1. უნიფიკაციის გავლენა ნაციონალურ სამართლებრივ სისტემათა განვითარებაზე.....	20
1.2. უნიფიცირებული სამართლის ინსტრუმენტები .....	22
2. კონტინენტური და ანგლოამერიკული სამართლის კვლევის მნიშვნელობა....	27
2.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გერმანიის სამოქალაქო სჯულდებისა და ცივილისტური მეცნიერების კვალდაკვალ.....	27
2.2. ანგლოამერიკული სამართლის გამოცდილება – აბსოლუტური პასუხისმგებლობიდან მისი გამომრიცხავი გარემოებების აღიარებამდე.....	29
III. ფორსმაჟორის და შესრულების გართულების ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპები.....	33
1. ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპის მნიშვნელობა .....	33
2. ფორსმაჟორის, როგორც ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპის, ცნება .....	34
3. ფორსმაჟორის მოქმედება უნიფიცირებულ კერძო სამართალში .....	35
3.1. უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები.....	35
3.2. ევროპული პრინციპები და ვენის კონვენცია .....	37
4. ფორსმაჟორი როგორც პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი და მისი სამართლებრივი მახასიათებლები.....	38
5. ფორსმაჟორის მოქმედების ფარგლები.....	40
6. შესრულების გართულების ზოგად სახელშეკრულებო პრინციპად აღიარება სასამართლო პრაქტიკის მიერ .....	42
7. შესრულების გართულება როგორც ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპი უნიფიცირებულ კერძო სამართალში.....	46
7.1. უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები.....	46
7.2. ევროპული პრინციპები.....	48
7.3. DCFR.....	49
8. შესრულების გართულების და ფორსმაჟორის ფუნქციური განსხვავება ხელშეკრულების სამართლებრივ ბედოან მიმართებით .....	51
IV. შესრულების გართულებისა და ფორსმაჟორის ანალოგი კონცეფციები უცხოურ სამართლებრივ სისტემებში.....	53
1. შეცვლილი გარემოებების მნიშვნელობის აღიარება სამართლის ისტორიული განვითარების კვალდაკვალ.....	53

2.	ფორსმაჟორისა და შესრულების გართულების კონცეფციების ამსახველი ძირითადი ტერმინები ეროვნულ და უცხოურ სამართლებრივ სისტემებში .....	55
3.	შეცვლილი გარემოებების საფუძვლით პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების სისტემის ფორმირება გერმანულ სამართალში.....	56
3.1.	პიპერინფლაცია გერმანიაში და პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველთა აღმოცენების ისტორიული პირობები .....	56
3.2.	გართულებულ ვალდებულებათა პირობებში სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების პრობლემა .....	57
3.3.	ორგანიზ თეორიის აღმოცენება.....	58
3.4.	კეთილსინდისიერების პრინციპის გავლენა გარიგების საფუძვლის დოქტრინის განვითარებაზე.....	60
3.5.	გარიგების საფუძვლის დოქტრინის არსი და მისი მოქმედება სასამართლო პრაქტიკაში .....	61
3.6.	ვალდებულებითი სამართლის რეფორმა და მისი კონცეფტუალური სრულყოფის შედეგები.....	62
3.7.	გარიგების საფუძვლის დოქტრინის საკანონმდებლო რეგლამენტაცია და შესრულების გართულების სამართლებრივი შინაარსი.....	64
3.7.1.	შესრულების გართულება და შეცდომა გარიგების საფუძვლებში.....	66
3.7.2.	შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგები .....	68
3.8.	შესრულების შეუძლებლობის კონცეფციის ახლებური მოწესრიგება .....	69
3.8.1.	შესრულების შეუძლებლობის სახეები .....	69
3.8.2.	შესრულების შეუძლებლობის სამართლებრივი შედეგები .....	75
3.8.3.	პრაქტიკული და ეკონომიკური (შესრულების გართულება) შეუძლებლობის თანაფარდობა .....	76
4.	კონცეფტუალურად განსხვავებული ფრანგული სამართლებრივი სისტემა .....	80
5.	შეცვლილი გარემოებების სამართლებრივი რეგლამენტაცია ანგლოამერიკულ სამართალში.....	81
5.1.	ხელშეკრულების ამაოების ინგლისური დოქტრინა.....	81
5.1.1.	ხელშეკრულების ამაოების მოძღვრების აღმოცენება.....	81
5.1.2.	ხელშეკრულების ამაოების სამართლებრივი მახასიათებლები .....	84
5.1.3.	ხელშეკრულების ამაოების სამართლებრივი შედეგები .....	86
5.2.	კომერციული განუხორციელებლობისა და მიზნის ამაოების ამერიკული დოქტრინები .....	90
5.2.1.	კომერციული განუხორციელებლობისა და მიზნის ამაოების დოქტრინათა მოქმედების ფარგლები .....	90

5.2.2. კომერციული განუხორციელებლობისა და მიზნის ამაოების დოქტრინათა ურთიერთდამოკიდებულება.....	92
5.2.3. კომერციული განუხორციელებლობის დოქტრინის უპირატესობა და მისი საკანონმდებლო რეგლამენტაცია.....	93
5.2.4. კომერციული განუხორციელებლობის დოქტრინის გამოყენების სამართლებრივი წინაპირობები.....	95
5.2.4.1. ვალდებულების შესრულების ობიექტური განუხორციელებლობა.....	96
5.2.4.2. შესრულების ხასიათის არსებითი ცვლილება.....	98
5.2.4.3. ვარაუდი მოვლენის წარმოუშობლობის შესახებ როგორც გარიგების უმთავრესი საფუძველი.....	99
5.2.4.4. მოვალის არაბრალეულობა.....	100
5.2.4.5. გაფართოებული პასუხისმგებლობის გამორიცხვა რისკის ნაგულისხმევი ან სახელშეკრულებო გადანაწილებით .....	101
5.2.5. კომერციული განუხორციელებლობის სამართლებრივი შედეგი.....	102
<b>V. შესრულების გართულებისა და შეუძლებლობის სამართლებრივი წინაპირობები.....</b>	<b>103</b>
1. შეცვლილი გარემოებების დოქტრინის გამოყენების სამართლებრივი წინაპირობები ქართულ სამართალ ში.....	103
2. შესრულების გართულებისა და შეუძლებლობის გამოყენების ცალკეულ წინაპირობათა სამართლებრივი ბუნება .....	106
2.1. დაბრკოლება.....	106
2.2. დაბრკოლების აღმოცენება ხელშეკრულების დადების შემდგომ .....	108
2.3. გარემოებათა უჩვეულო ცვლილება.....	109
2.4. დაბრკოლების აღმოცენება მოვალის კონტროლის სფეროს მიღმა.....	109
2.5. ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი გამოირიცხება მხარის.....	113
პასუხისმგებლობის სფეროდან.....	113
2.5.1. თეორია სახელშეკრულებო რისკის შესახებ და მისი გადანაწილების ნორმატიული წესი .....	113
2.5.2. პასუხისმგებლობის სფეროს განსაზღვრა და სახელშეკრულებო რისკის გადანაწილება ურთიერთშეთანხმებით.....	117
2.5.3. სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დაკისრება ან შეზღუდვა-გამორიცხვა ურთიერთშეთანხმებით.....	119
2.5.4. შეცვლილი გარემოებების მომწესრიგებელი ნორმების იმპერატიული თუ დისპოზიციური სამართლებრივი ბუნება? .....	122
2.5.5. ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი რისკის განმარტება.....	124

2.5.6. არაბრალეული შესრულების შეუძლებლობის რისკის პრობლემა .....	126
2.5.7. შემხვედრი ვალდებულების შესრულების რისკი და მისი სამართლებრივი შედეგები.....	127
3. დაბრკოლების გათვალისწინების შეუძლებლობა ხელშეკრულების დადების დროს .....	129
4. დაბრკოლების თავიდან აცილების – დაძლევის ან მისი შედეგების აღმოფხვრის – შემცირების შეუძლებლობა .....	133
5. არაბრალეულობის წინაპირობა შეცვლილი გარემოებების აღმოცენების კონტექსტში .....	135
5.1. ბრალეულობის ობიექტური სტანდარტი .....	135
5.2. ბრალის ფორმების მნიშვნელობა შესრულების გართულებისა და შეუძლებლობის დაფუძნებისთვის.....	138
5.2.1. განზრახვა.....	138
5.2.2. გაუფრთხილებლობა და მისი ფორმები (უხეში და მარტივი) .....	139
6. დაბრკოლების მოქმედების ხანგრძლივობა .....	142
7. შეტყობინების ვალდებულება.....	144
8. მიზეზობრივი კავშირი .....	148
<b>VI. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგი.....</b>	<b>149</b>
1. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება როგორც ვალდებულების შესრულებისა და სახელშეკრულებო სამართლიანობის უზრუნველყოფის მექანიზმი .....	150
2. სამართლებრივი სისტემების კონცეფტუალური მიდგომების შესახებ .....	152
3. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება მხარეთა მოლაპარაკების გზით .....	154
3.1. კეთილსინდისიერების პრინციპის გავლენა სამართლის ინსტიტუტების განვითარებაზე.....	154
3.2. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მიზნით მოლაპარაკების წარმოების ვალდებულება კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით .....	155
3.3. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მიზნით მოთხოვნის წარდგენის ვალდებულება.....	160
3.4 მოლაპარაკების მოთხოვნის სავალდებულოობა და მისი უარყოფის დაუშვებლობა .....	161
3.5. მოლაპარაკების გამართვის მიზანი და წინაპირობები .....	163
3.6. სახელშეკრულებო დათქმები მოლაპარაკების წარმოების ვალდებულების შესახებ .....	165

3.7. მოლაპარაკების წარმოების ვალდებულების ამსახველი დათქმების განსხვავება ფორსმაჟორული დათქმებისგან და პასუხისმგებლობის გამორიცხვის საკანონმდებლო საფუძვლებისგან.....	168
3.8. მოლაპარაკების ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები.....	172
4. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება სასამართლოს მიერ .....	174
4.1. სახელშეკრულებო სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზანი.....	174
4.2. სახელშეკრულებო თავისუფლების რეალიზება და მხარეთა სახელშეკრულებო ნების ადსრულება.....	176
4.3. სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების პროცესში .....	178
4.4. შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების შეუძლებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა სასამართლოს მიერ .....	180
<b>VII. მეორადი მოთხოვნის უფლებების სისტემა როგორც დარღვეული უფლების სამართლებრივი დაცვის საშუალებების ერთობლიობა.....</b>	<b>182</b>
1. სახელშეკრულებო ფასის შემცირება .....	183
1.1. ფასის შემცირების სამართლებრივი არსი და მიზანი .....	183
1.2. ფასის შემცირების მოთხოვნის უფლების განხორციელების წინაპირობები .....	185
2. დამატებითი შესრულება .....	188
3. ზიანის ანაზღაურება.....	192
3.1. ზოგადი დახსასიათება .....	192
3.2. ბრალის მნიშვნელობა ანაზღაურებას დაქვემდებარებული ზიანის .....	197
ოდენობის განსაზღვრისათვის.....	197
3.3. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გამორიცხვა მხარეთა სახელშეკრულებო შეთანხმებით .....	200
4. ხელშეკრულებიდან გასვლა.....	204
4.1. არსებითი დარღვევა როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების წინაპირობა .....	204
4.2. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების შეუძლებლობა როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა .....	209
4.3. ხელშეკრულებაზე უარის თქმის დაუშვებლობა .....	214
4.4. შემსვედრი ვალდებულების შესრულებისაგან განთავისუფლებისა და ბრალეულობის ურთიერთმიმართება ხელშეკრულებიდან გასვლისას .....	215
<b>VIII. შეცვლილი გარემოებებით გამოწვეული ვალდებულების დარღვევის სახეები და მათი მიმართება მეორადი მოთხოვნის უფლებებთან .....</b>	<b>218</b>
1. ვალდებულების შესრულების ინტერესი სახელშეკრულებო ურთიერთობაში .....	218

2.	გალდებულების დარღვევის უნიფიცირებული კატეგორია როგორც მეორადი მოთხოვნის უფლებების გამოყენების წინაპირობა .....	219
3.	შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების შეუძლებლობა და მისი რეგულირების ხარვეზები.....	221
3.1.	შესრულების არაბრალეული შეუძლებლობა როგორც სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შეუძლებლობის ერთადერთი სახე .....	221
3.2.	მეორადი მოთხოვნის უფლებებისადმი მიმართება შესრულების შეუძლებლობისას.....	223
4.	მოვალის მიერ ვადის გადაცილებისა და შეცვლილი გარემოებების დოქტრინის ურთიერთმიმართება .....	228
4.1.	მოვალის მიერ ვადის გადაცილების წინაპირობები .....	228
4.2.	შეცვლილი გარემოებების გავლენით მოვალის მიერ ვადის გადაცილების წარმოშობის შეუძლებლობა .....	232
5.	შეცვლილი გარემოებებით განპირობებული ნაკლიანი შესრულება და გამოსაყენებელი მეორადი მოთხოვნები .....	233
5.1.	ნაკლიანი შესრულების მოწესრიგების სისტემური ხარვეზი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.....	233
5.2.	პასუხისმგებლობის საკითხი ნაკლიანი შესრულების პირობებში და თანამდევი მეორადი მოთხოვნები.....	233
6.	შეცვლილი გარემოებებით გამოწვეული გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა .....	239
<b>IX.</b>	<b>პასუხისმგებლობა და მისგან განთავისუფლება მესამე პირის მიერ შესრულების გართულების ან შეუძლებლობის გამომწვევი გარემოების აღმოცენების საფუძვლით .....</b>	<b>241</b>
1.	პასუხისმგებლობა ვალდებულების შემსრულებელ მესამე პირთა ბრალეული ქმედებისთვის ვალდებულების შესრულების დაბრკოლებისას .....	241
2.	შრომითი და ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობების განსხვავება მესამე პირთა ქმედებისათვის პასუხისმგებლობის ჭრილში .....	244
3.	მესამე პირთა მონაწილეობით დამყარებული ურთიერთობების განსხვავება სხვა სამართლებრივი კონსტრუქციებისაგან.....	245
4.	მესამე პირთა სტატუსი და პასუხისმგებლობისგან „ორმაგი განთავისუფლების“ წესი .....	246
<b>X.</b>	<b>დასკვნა.....</b>	<b>251</b>
	ბიბლიოგრაფია .....	267

## აბრევიატურები

### ქართულ ენაზე:

აესპ	ამერიკის ერთიანი საგაჭრო კოდექსი
გსპ	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
თბ.	თბილისი
ისპ	იტალიის სამოქალაქო კოდექსი
იხ.	იხილეთ
მთარგ.	მთარგმნელი
ნსპ	ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი
რედ.	რედაქტორი
სსპ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
ტ.	ტომი
ფსპ	ფრანგული სამოქალაქო კოდექსი
შეად.	შეადარეთ
არაკეთილსინდისიერი პირობების შესახებ დირექტივა	ევროსაბჭოს დირექტივა სამომხმარებლო ხელშეკრულებებში არაკეთილსინდისიერი პირობების შესახებ
ასპა	არასამართლიანი სახელშეკრულებო პირობების შესახებ აქტი
ევროპული პრინციპები	ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები
გენის კონვენცია	საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკ- რულებათა შესახებ გენის კონვენცია

სმბა	საქონლის მიწოდებისა და მომსახურების შესახებ აქტი
სნშკ	საქონლის ნასყიდობის შესახებ კანონი
უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები	უნიდრუას საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები
სასრა	ხელშეკრულების ამაოების მომწესრიგებელი სამართლის რეფორმის აქტი

### უცხოურ ენგბზე:

<b>BGB</b>	Bürgerliches Gesetzbuch, Code of Civil Law
<b>BGH</b>	Bundesgerichtshof, Federal Court of Justice of Germany
<b>CISG</b>	United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods
<b>DCFR</b>	Draft Common Frame of Reference
<b>EC</b>	European Commission
<b>ECJ</b>	European Court of Justice
<b>GTZ</b>	German Technical Cooperation Agency
<b>ICC</b>	International Chamber of Commerce
<b>ICC Publ.</b>	International Chamber of Commerce Publication
<b>PECL</b>	Principles of European Contract Law
<b>UCC</b>	Uniform Commercial Code
<b>UNCITRAL</b>	United Nations' Commission on International Trade Law
<b>UNIDROIT</b>	International Institute for the Unification of Private Law

<b>UPICC</b>	International Institute for the Unification of Private Law
<b>Art.</b>	Article
<b>Am. J. Comp. L.</b>	American Journal of Comparative Law
<b>Am. J. Legal Hist.</b>	American Journal of Legal History
<b>Buff. L. Rev.</b>	Buffalo Law Review
<b>Can. J.L. &amp; Jurisprudence</b>	Canadian Journal of Law and Jurisprudence
<b>Colum. L. R.</b>	Columbia Law Review
<b>Com. L.J.</b>	Comparative Law Journal
<b>Cornell L. Rev.</b>	Cornell Law Review
<b>Dick. J. Int'l. L.</b>	Dickinson Journal of International Law
<b>Duq. Bus. L.J.</b>	Duquesne Law Review
<b>Edin. L.R.</b>	Edinburg Law Review
<b>Ed. (eds.)</b>	Editor (editors)
<b>EJCL</b>	Electronic Journal of Comparative Law
<b>ERCL</b>	European Review Contract Law
<b>Eur. Rev. of Prv. L.</b>	European Review of Private Law
<b>Fla. J. Int'l L.</b>	Florida Journal of International Law
<b>Fordham L. Rev.</b>	Fordham Law Review
<b>Foreigh. Invest. L.J.</b>	Foreign Investment Law Journal
<b>Gen. Ed.</b>	General Editor
<b>Hastings L.J.</b>	Hastings Law Journal
<b>IJE</b>	International Journal of Engineering
<b>Int'l Bus. L.J.</b>	International Business Law Journal

<b>Int'l Rev. L. &amp; Econ.</b>	International Review of Law and Economics
<b>J. Int'l Arb.</b>	Journal of International Arbitration
<b>J.L. &amp; Com.</b>	Journal of Law and Commerce
<b>J. Legal Stud.</b>	Journal of Legal Studies
<b>J. Struct. Finan.</b>	The Journal of Structured Finance
<b>Mich. L. Rev.</b>	Michigan Law Review
<b>La. L. Rev.</b>	Louisiana Law Review
<b>NJCL</b>	Nordic Journal of Commercial Law
<b>No.</b>	Number
<b>Nr.</b>	Nummer
<b>N/W Univ. L. Rev.</b>	Northwestern University Law Review
<b>OLG Hamburg</b>	Oberlandesgericht Hamburg, Appellate Court Hamburg
<b>Pace Int'l L. Rev.</b>	Pace International Law Review
<b>Para.</b>	Paragraph
<b>Review Wash. &amp; Lee L. Rev.</b>	Washington and Lee Law
<b>Ritsumeikan L. Rev.</b>	Ritsumeikan Law Review
<b>S. Cal. Interdisc. L.J.</b>	Southern California Interdisciplinary Law Journal
<b>St. John's L. Rev.</b>	St. John's Law Review
<b>Tul. L. Rev.</b>	Tulane Law Review
<b>UCCLJ</b>	Uniform Commercial Code Law Journal
<b>UK</b>	United Kingdom
<b>Unif. L. Rev.</b>	Uniform Law Review

<b>U. Pa. J. Int'l Econ. L.</b>	Pennsylvania Journal of International Economic Law
<b>U.Pa.L. Rev.</b>	University of Pennsylvania Law Review
<b>Va. J. Int'l L.</b>	Virginia Journal of International Law
<b>Vand. J. Transnat'l L.</b>	Vanderbilt Journal of Transnational Law
<b>VJ Int'l Comm. Arb.</b>	Vindobona Journal of International Commercial Law and Arbitration
<b>Vol.</b>	Volume
<b>VUWLR</b>	Victoria University of Wellington Law Review
<b>Wake Forest L. Rev.</b>	Wake Forest Law Review
<b>Wash. &amp; Lee L. Rev.</b>	Washington and Lee Law Review

## I. შესავალი

ნებისმიერი საზოგადოება აყალიბებს სიმდიდრისა და ძალაუფლების გარკვეულ წესრიგს. სამოქალაქო ბრუნვის ფორმირებაში ცენტრალური მნიშვნელობა ხელშეკრულებებს ენიჭებათ. შესაბამისად, სახელშეკრულებო სამართალი სამოქალაქო ბრუნვის რეგულირებით სიმდიდრისა და ძალაუფლების წესრიგის განმსაზღვრელია.<sup>1</sup> უმრავლეს საზოგადოებაში საბაზრო ურთიერთობები უმნიშვნელოვანესი მექანიზმია ქონების წარმოებისა და განაწილებისათვის.<sup>2</sup> სახელშეკრულებო სამართალი აყალიბებს საბაზრო ურთიერთობების მართვის ფუძემდებლურ დანაწესებს. ამდენად, შეცვლილი გარემოებების გავლენით წარმოშობილი ვალდებულების შესრულების გართულების მარეგულირებელი ნორმების მოქნილობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამოქალაქო ბრუნვისა და კომერციული ურთიერთობების სტაბილურობა.

ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპი – *Pacta Sunt Servanda*<sup>3</sup> – ყველა მართლწესრიგის<sup>4</sup> ფუძემდებლური დანაწესია, ვალდებულებითი სამართლის კარდინალური პრინციპია,<sup>5</sup> მორალური იმპერატივია,<sup>6</sup> ბუნებითი სამართლიანობის გამოვლინებაა,<sup>7</sup> რომელიც იმპერატიულად ადგენს სახელ-

<sup>1</sup> Collins H., The Law of Contract, Cambridge University Press, New York, 2003, 10-11.

<sup>2</sup> იქვე, 1.

<sup>3</sup> იბ.: Surhone L.M., Timpson M.T., Marseken S.F., *Pacta Sunt Servanda: Brocard, Civil Law, Contract, Clause, Law, Good Faith, Peremptory Norm, Clausula Rebus Sic Stantibus*, Betascript Publishers, 2010, ყველგან; Houtte H.V., *Changed Circumstances and Pacta Sunt Servanda: Gaillard (ed.), Transnational Rules in International Commercial Arbitration* (ICC Publ. Nr. 480, 4), Paris, 1993, ყველგან, <<http://tldb.uni-koeln.de/TLDB.html>>, [24.06.2014]; Zimmermann R., *The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition*, Oxford University Press, 1996, 576-581; Sharp M.P., *Pacta Sunt Servanda*, Colum. L. Rev., Vol. 41, 1941, ყველგან, <<http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/clr41&div=55&gent=1&collection=journals>>, [24.06.2014]; Draetta U., Lake R.B., Nanda V.P., *Breach and Adaptation on International Contracts, An Introduction to Lex Mercatoria*, Butterworth Legal Publishers, 1992, 178.

<sup>4</sup> კონტინენტური სამართლის საბაზოს პრინციპს – *Pacta Sunt Servanda* – საერთო სამართლში შეეხატების დოკტინერია. იბ. Hyland R., *Pacta Sunt Servanda, A Meditation*, Va. J. Int'l L., Vol. 34, 1994, <<http://heinonline.org/HOL/Print?collection=journals&handle=hein.journals/vajint34&id=417>>, [24.06.2014].

<sup>5</sup> კანდელარდი რ., რეალური შესრულება თუ ზიანის ანაზღაურება: საერთაშორისო კონსენსუსი? საიუბილეო კრებული „სერგო ჯორბენაძე – 70“, თბ., 1996, 103; Houtte H.V., *Changed Circumstances and Pacta Sunt Servanda*, in: *Gaillard E.(ed.), Transnational Rules in International Commercial Arbitration* (ICC Publ. Nr. 480, 4), Paris, 1993, 105, 107, 108, <<http://tldb.uni-koeln.de/TLDB.html>>, [24.06.2014]; Liu Ch., Newman M.S.(ed.), *Remedies in International Sales, Perspectives from CISG, UNIDROIT Principles and PECL, JurisNet, LLC, Huntington, New York, 2007*, 653; Edlund H.E., *Imbalance in Long-Term Commercial Contracts*, ERCL, Vol. 5, Issue 4, 2009, 431.

<sup>6</sup> Ciematniece I., *Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts*, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 8.

<sup>7</sup> Maskow D., *Hardship and Force Majeure*, Am. J. Comp. L., Vol. 40, 1992, 657-658, <<http://www.heinonline.org/HOL/PDF?handle=hein.journals/amcomp40&collection=journals&section=36&id=667&print=section&sectioncount=1&ext=.pdf>>, [23.07.2014], მითოვებულია: Liu Ch., Newman M.S. (ed.), *Remedies in International Sales, Perspective from CISG, UNIDROIT Principles and PECL, JurisNet, LLC, New York, 2007*, 653. იბ. ასევე, Ciematniece I., *Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract*

შეკრულებო პირობების შესრულების სავალდებულობას სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის, სახელშეკრულებო წონასწორობის<sup>8</sup> უზრუნველყოფისა და სამართლებრივი განსაზღვრულობისათვის.<sup>9</sup> იგი კერძო სამართლის ტრანსნაციონალურ პრინციპად<sup>10</sup> და საერთაშორისო სავაჭრო სამართლის ქვაკუთხედად არის აღიარებული.<sup>11</sup> აღნიშნული პრინციპის სიცოცხლის-უნარიანობაზეა დამოკიდებული სამოქალაქო ბრუნვის ბედ-იდბალი. „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს ბრუნვის ტრადიციების ჩამოყალიბებას, რასაც მოსდევს ამ ტრადიციებით შთაგონებული ადამიანები. ის, ვისთვისაც ეს ბრუნვა წარმოადგენს ფასეულობას, ვისთვისაც მოთხოვნილებაა, ვალდებულება შესრულებეს, მისთვის მისაღებია აღეპვატურად ფასეული საჯარო ხელისუფლება. ასეთი ადამიანი მსგავსი ხელისუფლების შემოქმედი იქნება. ამდენად, ხელისუფლებისკენ გზა სამოქალაქო ბრუნვის ტრადიციებზე გადის.“<sup>12</sup>

სახელშეკრულებო ურთიერთობებში შეცვლილი გარემოებების აღმოცენება თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვის თანამდევი რისკია, რომლის პორტებშიც ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპის<sup>13</sup> შეუზღუდავი გამოყენება სახელშეკრულებო წონასწორობისა და სამართლიანობის ხელყოფას

Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 8.

<sup>8</sup> ნებისმიერი ხელშეკრულება მის მონაწილე სუბიექტთა შორის განამტკიცებს გარკვეულ წონასწორობას სარგებლისა და რისკების გადანაწილების ოვალსაზრისით. შესაბამისად, თუ ერთი მსარე ხელშეკრულების საფუძველზე განიცდის მატერიალურ დანაკარგს, ის ამავე გარიგებიდან იღებს სანაცვლო დირექტულების სიკეთებს. იხ. *Roberts Th.E.*, Commercial Impossibility and Frustration of Purpose: A Critical Analysis, *Can. J.L. & Jurisprudence*, Vol. 16, 2003, 137, <<http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/caljp16&collection=journals&page=129>>, [24.06.2014].

<sup>9</sup> *Puelinckxin A.H.*, Frustration, Hardship, Force Majeure, Imprévision, Wegfall der Geschäftsgrundlage, Unmöglichkeit, Changed Circumstances, *J. Int'l Arbitr.*, Vol. 3, No. 2, 1986, 47, <<http://tldb.uni-koeln.de/TLDB.html>>, [24.06.2014].

<sup>10</sup> *Goldman B.*, The Applicable Law: General Principles of Law - the Lex Mercatoria: *J. Lew* ed., Contemporary Problems in International Arbitration, London, 1986, 125, <<http://tldb.uni-koeln.de/TLDB.html>>, [24.06.2014].

<sup>11</sup> *Liu Ch.*, Changed Contract Circumstances, 2<sup>nd</sup> ed., 2005, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/liu5.-html>>, [24.06.2014].

<sup>12</sup> ზოდე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემცნების ცდა – უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესეები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2013, 181-182.

<sup>13</sup> იხ.: *Pacta Sunt Servarda* იხ.: *Surhone L.M., Timpledon M.T., Marseken S. F.*, *Pacta Sunt Servanda: Brocard, Civil Law, Contract, Clause, Law, Good Faith, Peremptory Norm, Clausula Rebus Sic Stantibus, Betascript Publishers*, 2010, ყველგან; *Houtte H.V.*, *Changed Circumstances and Pacta Sunt Servanda: Gaillard (ed.)*, *Transnational Rules in International Commercial Arbitration* (ICC Publ. Nr. 480, 4), Paris, 1993, ყველგან, <<http://tldb.uni-koeln.de/TLDB.html>>, [24.06.2014]; *Zimmermann R.*, *The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition*, Oxford University Press, 1996, 576-581; *Sharp M.P.*, *Pacta Sunt Servanda*, *Colum. L. Rev.*, Vol. 41, 1941, ყველგან, <<http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/clr41&div=55&gsent=1&collection=journals>>, [24.06.2014]; *Draetta U., Lake R.B., Nanda V.P.*, *Breach and Adaptation on International Contracts, An Introduction to Lex Mercatoria*, Butterworth Legal Publishers, 1992, 178.

განაპირობებს<sup>14</sup> და წინააღმდეგობაში მოდის სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ სიკეთეთა სამართლიანი გაცვლისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნებთან.<sup>15</sup>

ხელშეკრულების ურდვევობის პრინციპის შეუზღუდვავმა გამოყენებამ შესაძლებელია სამართლიანობის, გონივრულობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთა ხელყოფა<sup>16</sup> განაპირობოს და ამ პრინციპთა უმთავრესი მიზნის საწინააღმდეგო შედეგი გამოიწვიოს<sup>17</sup> სახელშეკრულებო ურთიერთობებში შეცვლილი გარემოებების აღმოცენებისას, რაც სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი ჩვეული რისკი და თანამდევი მოვლენაა. სახელშეკრულებო ურთიერთობის დროს მხარეთა მიერ წინასწარ განსაზღვრული გარემოებები შეიძლება ისე შეიცვალოს, რომ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ვალდებულების მბოჭავ ხასიათზე.<sup>18</sup>

შესაბამისად, შეცვლილი გარემოებების ინსტიტუტის კვლევის სამართლებრივი მნიშვნელობა მჭიდროდ უკავშირდება ვალდებულების შესრულების საკითხს, ვინაიდან „ეს ახალი გარემოებანი გავლენას ახდენენ ვალდებულების შემდგომ ხედ-იდებალსა და მხარეთა პასუხისმგებლობის ფარგლებზე“.<sup>19</sup> თანამედროვე მსოფლიოს ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება, მიუხედავად ვალდებულების წარმოშობის საფუძვლისა, ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები ინსტიტუტია.<sup>20</sup>

შესრულება ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ფუნდამენტური ელემენტია, რომელსაც ემსახურება მხარეთა ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების განხორციელება. ვალდებულების შესრულების ფუძემდებლურ მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ ვალდებულებითი სამართალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში<sup>21</sup> (შემდგომში – სსკ) შემდეგი სიტყვებით იწყება: ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება „ვალდე-

<sup>14</sup> Baranauskas E., Zapolskis P., The Effect of Change in Circumstances on the Performance of Contract, Mykolas Romeris University, 4 (118), 2009, 198, <[http://www.mruni.eu/lt/mokslo\\_darbai/jurisprudencija/archyvas/dwn.php?id=226657](http://www.mruni.eu/lt/mokslo_darbai/jurisprudencija/archyvas/dwn.php?id=226657)>, [24.06.2014]. იხ. ახევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის განჩინება საქმეზე: №ას-7-6-2010;

<sup>15</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბერის განჩინება საქმეზე: №ას-466-707-08.

<sup>16</sup> Baranauskas E., Zapolskis P., The Effect of Change in Circumstances on the Performance of Contract, Mykolas Romeris University, 4 (118), 2009, 198, <[http://www.mruni.eu/lt/mokslo\\_darbai/jurisprudencija/archyvas/dwn.php?id=226657](http://www.mruni.eu/lt/mokslo_darbai/jurisprudencija/archyvas/dwn.php?id=226657)>, [23.07.2014].

<sup>17</sup> Maskow D., Hardship and Force Majeure, Am. J. Comp. L., Vol.40, 1992, 658, <<http://www.translex.org/126400>>, [23.07.2014]; Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 9.

<sup>18</sup> ჭანმურია ლ., ზოდე ბ., ნინიძე თ., შეგველია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, ობ., 2001, 399.

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> ძლიერი შეიღის ზ., ვალდებულების შესრულება, ობ., 2006, 12.

<sup>21</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გამოცემა, „უწყებანი“, საკანონმდებლო დამატება, №31, 1997.

ბულებითი ურთიერთობის საგანია.<sup>22</sup> შეცვლილი გარემოებების მჭიდრო კავშირი ვალდებულების შესრულებასთან, როგორც ცენტრალური მნიშვნელობის ინსტიტუტთან, ამაღლებს საკითხის მეცნიერულ დირებულებას და ზრდის მისი კვლევის ინტერესს. აღსანიშნავია, რომ „შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასტაბილური სამოქალაქო ბრუნვის პირობებში, რაც დამახასიათებელია პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის“<sup>23</sup>

ამრიგად, შეცვლილ გარემოებათა პირობებში სახელშეკრულებო ბოჭვის პრობლემა უმნიშვნელოვანებია როგორც იურიდიული აბსტრაქტორების, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

ნაციონალურ სამართლებრივ სისტემებსა და უნიფიცირებულ საერთაშორისო კერძო სამართალში აღიარებულია, რომ შეცვლილი გარემოებების აღმოცენება სახელშეკრულებო ურთიერთობაში ფორსმაჟორისა (რომანულ სამართალში – *vis major*) და შესრულების გართულების (*hardship*) ორ ფუძემდებლურ, საბაზისო კონცეფციას აფუძნებს<sup>24</sup> თანამდევი სამართლებრივი შედეგებით. შესრულების გართულება არსებობს მაშინ, როდესაც ხელშეკრულების დადების შემდგომ აღმოცენებული გარემოებების გავლენით<sup>25</sup> ვალდებულების აღსრულება მოულოდნელად არაგონივრულად მძიმე ტვირთს აკისრებს მოვალეს.<sup>26</sup> შესრულების გართულება გულისხმობს ობიექტურად განხორციელებადი ვალდებულების შესრულების უკიდურეს დამძიმებას, რომელიც ობიექტურად არ გამორიცხავს შესრულების შესაძლებლობას<sup>27</sup> და რომლის პირობებშიც მხარეთა ინტერესების უპირველესი სამართლებრივი დაცვის საშუალება შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებაა. ფორსმაჟორი (შესრულების არაბრალეული შეუძლებლობა) კი განსხვავებული სამართლებრივი წინაპირობებით წარმოიშობა, რომელიც თანამ-

<sup>22</sup> ქაჩჩურია ლ., ზოდე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 28.

<sup>23</sup> ზოდე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და დირებულებათა წესრიგი საქართველოში, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), თბ., 2007, 22-23, <<http://www.scribd.com/doc/44006042/შესარიონ ზოდე>>, [15.07.2014].

<sup>24</sup> *Lando O.*, Salient Features of the Principles of European Contract Law: A Comparison with the UCC, *Pace Int'l L. Rev.*, Vol. 13, Issue 2, 2001, 27, <<http://digitalcommons.pace.edu/pilr/vol13/iss2/4/>>, [24.06.2014]; *Horn N.*, Changes in Circumstances and the Revision of Contracts in some European Laws and International Law, in: *Horn N. (ed.)*, Adaptation and Renegotiation of Contracts in International Trade and Finance, Antwerp, Boston, London, Frankfurt a.M., 1985, 16, <[http://translex.uni-koeln.de/113700/highlight\\_horn-changes\\_circumstances\\_and\\_the\\_revision\\_contracts\\_some\\_european\\_laws\\_and\\_international\\_law\\_horn\\_adaptation\\_and\\_renegotiation\\_contracts\\_inter\\_not\\_national\\_trade\\_and\\_finance](http://translex.uni-koeln.de/113700/highlight_horn-changes_circumstances_and_the_revision_contracts_some_european_laws_and_international_law_horn_adaptation_and_renegotiation_contracts_inter_not_national_trade_and_finance)>, [24.06.2014]; *Ciematniece I.*, Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 9, 13.

<sup>25</sup> *Yorio E.*, *Thel S.*, Contract Enforcement, 2<sup>nd</sup> ed., Wolters Kluwer Law and Business, Aspen Publishers, 2011, 5-6.

<sup>26</sup> *Sharpe R.J.*, Injunctions and Specific Performance, 2<sup>nd</sup> ed., 1992, 10-10, 10-11, მთითებულია: *Yorio E.*, *Thel S.*, Contract Enforcement, 2<sup>nd</sup> ed., Wolters Kluwer Law and Business, Aspen Publishers, 2011, 5-6.

<sup>27</sup> *Pizer L.K.*, *Smith M.R. (eds. in Chief)*, *Southerington T.*, Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 2002-2003, Kluwer Law International, The Hague, London, New York, 2004, 261.

დავ შედეგად შესრულების გალდებულებისაგან განთავისუფლებას მოიაზრებს.<sup>28</sup> თუმცა, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს<sup>29</sup> მტკიცებით, ფორსმაჟორის კონცეფცია არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ შესრულების აბსოლუტური შეუძლებლობის ცნებით, არამედ იგი მოიცავს მხარის კონტროლის მიღმა აღმოცენებულ უჩვეულო გარემოებებს, რომელთა შედეგების აღმოფხვრა გონივრული წინდახედულებისა და ყველა სათანადო ზრუნვის მიუხედავად, შეუძლებელია უკიდურესად მძიმე დანახარჯების გარეშე.<sup>30</sup>

შესრულების გართულება და შეუძლებლობა მჭიდროდ დაკავშირებული კონცეფციებია.<sup>31</sup> მათი ურთიერთდამოკიდებულების დადგენა ხშირად ძალიან რთულია, მით უმეტეს, რომ შესრულების შეუძლებლობა არ მოიცავს მხოლოდ აბსოლუტური, ობიექტური შეუძლებლობის შემთხვევებს. შესაბამისად, აუცილებელია იმ განსხვავების დადგენა, რომელიც შესრულების შეუძლებლობისა და გართულების არსებობისას პასუხისმგებლობის საზღვრებს მიჯნავს; მნიშვნელოვანია, თუ რა სამართლებრივი წინაპირობებით ემიჯნება ვალდებულების შესრულების გართულება, როგორც შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების საფუძველი, შესრულების შეუძლებლობას, როგორც ვალდებულების შესრულებისაგან განთავისუფლების საფუძველს; სად გადის ზღვარი შესრულების ვალდებულებისაგან განთავისუფლებასა და შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებას შორის; გარემოებათა როგორი ცვლილების პირობებში შეიძლება მხარეებმა გადაარჩინონ ხელშეკრულება (შეცვლილი გარემოებებისადმი მისი მისადაგების გზით) და რა შემთხვევაშია გამართლებული სახელშეკრულებო ბოჭვისგან მოვალის განთავისუფლება.

ამრიგად, ნაშრომში ვალდებულების შესრულების გართულება საპირისპირო ცნებასთან – შესრულების შეუძლებლობასთან ურთიერთკავშირში იქნება განხილული, რომლის საფუძველზე გამოიკვეთება ამ ორი სამართლებრივი ინსტიტუტის თანაფარდობა. წინამდებარე კვლევა სწორედ აღნიშნული კონცეფციების ანალიზს ისახავს მიზნად უნიფიცირებული, ანგლოამერიკული და კონტინენტური სამართლის ცივილისტური მეცნიერების, პოზიტიური კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე.

<sup>28</sup> Rössler H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law, Kluwer Law International BV/Printed in Netherlands, Eur. Rev. of Prv. L., Vol. 15, No. 4, 2007, 483, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1154004](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1154004)>, [24.06.2014].

<sup>29</sup> European Court of Justice (ECJ).

<sup>30</sup> European Court of Justice, Judgment of 11 July, 1968, Case 4/68, Rec. 1968, 563,

<<http://eur-lex.europa.eu/legal-content/ES/TXT/?uri=CELEX:61970CJ0011>>, [24.06.2014].

<sup>31</sup> „უნიფრუას“ (Institut International pour l’Unification du Droit, UNIDROIT) ინსტიტუტი დაარსდა 1926 წელს ერთა დიდის ეგიდით, კერძო სამართლის უნიფიკაციის ხელშეწყობის მიზნით. საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებათა პრინციპების (UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, in: Unif. L. Rev., 2004) 6.2.2-ე მუხლის მე-6 ოფიციალური კომენტარიდან ვლინდება, რომ ეს კონცეფციები ხშირად იმდენად უახლოვდება ერთმანეთს, რომ დაზარალებული მხარის გადასაწყვეტილი სამართლებრივი დაცვის რომელ საშუალებას გამოიყენებს.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებულია როგორც ზოგადმეცნიერული – ისტორიული, აგრეთვე, სპეციალური – ნორმატიული, დოგმატური და შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდები.

ისტორიული მეთოდის გამოყენებით ახსნილ იქნა შესასწავლი სამართლებრივი კონცეფციების აღმოცენებისა და განვითარების განმაპირობებელი ისტორიული საფუძვლები.

ნორმატიული და დოგმატური კვლევის მეთოდების საშუალებით განხორციელდა ცალკეულ ცნებათა შინაარსის დადგენა, ნორმათა სისტემატიზაცია და იურიდიული ანალიზი მათი ურთიერთკავშირში განხილვისა და სამართლის სისტემაში კუთვნილი აღგილის განსაზღვრის გზით. ხოლო კომპარატივისტული მეთოდით სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის ანალოგი ინსტიტუტები შესწავლილ იქნა ქართულ კონცეფციებთან ურთიერთკავშირში.

ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევა ათი თავის სახით არის ჩამოყალიბებული:

პირველ ორ თავში წარმოჩენილია კვლევის საგანი, მიზანი და აქტუალობა. განსაზღვრულია შეცვლილი გარემოებების სამართლებრივი პრობლემატიკის კვლევის ფარგლები, რომელიც მოიცავს ანგლოამერიკული, კონტინენტური და უნიფიცირებული სამართლის კვლევის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობის დასაბუთებას და მათი გავლენის აღწერას ნაციონალური სამართლის განვითარებაზე.

მესამე თავი ეთმობა შეცვლილი გარემოებებით დაფუძნებული ორი უმთავრესი სამართლებრივი კონსტრუქციის – ვალდებულების შესრულების გართულებისა და ფორსმაჟორის, როგორც ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპების კონცეფტუალურ ანალიზს, მათი ფუნქციური დანიშნულების კვლევას ხელშეკრულების მბოჭავ ძალასთან და სამართლებრივ ბედოან მიმართებით.

მეოთხე თავი ეძღვნება შესრულების გართულებისა და ფორსმაჟორის ანალოგი კონცეფციების კვლევას უცხოურ სამართლებრივ სისტემებში და მათი იურიდიული მახასიათებლების ანალიზს.

მეხუთე თავის ფარგლებში დაწვრილებით გამოკვლეულია შესრულების გართულებისა და ფორსმაჟორის კონცეფციების დაფუძნების სამართლებრივი წინაპირობები და შემოთავაზებულია დამატებითი წინაპირობების განმტკიცების აუცილებლობა ქართულ კანონმდებლობაში.

მეექვე თავში განხილულია შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება, როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგი; ხელშეკრულების ადაპტაციის ეტაპზე გამოსაყენებელი ფუძემდებლური კერძოსამართლებრივი პრინციპები; მოლაპარაკების წარმოების ვალდებულების განმამტკიცებელი საკანონმდებლო ნორმის დანერგიის აუცილებლობა; სასამართლოს როლისა და უფლებამოსილების ფარგლები ხელშეკრულების ადაპტაციასთან მიმართებით; სამართლიანობისა და სახელშეკრულებო წონასწორობის აღდგენის მიზანი; მხარეთა ნების ავტონომიისა და სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის საკითხი

სასამართლოს მიერ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების პროცესში.

მეშვიდე და მერვე თავები ასახავს ხელშეკრულების ადაპტაციის შეუძლებლობის შემთხვევაში წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის სახეებისა და გამოსაყენებელი მეორადი მოთხოვნის უფლებების ურთიერთ-მიმართების საკითხს. აღნიშნულ თავებში წარმოჩენილია სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების სამართლებრივი წინაპირობების ანალიზი.

მეცხრე თავი მესამე პირის მიერ შესრულების გართულების ან შეუძლებლობის გამომწვევი გარემოების აღმოცენების საფუძვლით პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საკითხის კვლევას მოიცავს. აღნიშნული თავის ფარგლებში განხილულია მესამე პირის სტატუსი და პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლები.

ნაშრომის დასასრულს, განხორციელებული კვლევის შედეგები ჩამოყალიბებულია მეათე თავში დასკვნის სახით, სადაც შემოთავაზებულია ძირითადი შემაჯამებელი თეზისები და ქართული კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

## II. შეცვლილი გარემოებების სამართლებრივი პროცესუალური პრინციპები

### 1. ქართული სამართლი უნიფიცირებული კერძო სამართლის სივრცეში

#### 1.1. უნიფიკაციის გავლენა ნაციონალურ სამართლებრივ სისტემათა განვითარებაზე

მსოფლიო გლობალიზაციისა და მზარდი უნიფიკაციის პირობებში, როდესაც სამართლი სულ უფრო ჰარმონიზაციისკენ მიემართება, შეუძლებელია იურიდიული ინსტიტუტების შესწავლა მხოლოდ შიდასახელმწიფო ებრივი კანონმდებლობის საფუძველზე. „საქართველოსთვის, რომელმაც ეპოქაში მნიშვნელობის ქარტების გამოიარა, ყველაზე მნიშვნელოვანია ევროპული იდეალებისკენ სწრაფვა და განვითარების დასავლურ სტანდარტზე გადასვლა. სამართლის განვითარება და მისი ევროპეიზაცია კი ამ პროცესის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.<sup>32</sup> სწორედ ამიტომ შედარებითსამართლებრივი მეცნიერული კვლევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართული სამართლის, როგორც უნიფიკაციის ერთიანი პროცესის ინტეგრაციური ნაწილის, განვითარებისათვის. აღნიშნული მეთოდი ემსახურება ეროვნული სამართლის სრულყოფას, რომელიც სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში დამკვიდრებული სამართლის ანალოგი ინსტიტუტებისა და ცნებების ურთიერთკავშირში შესწავლით მიიღწევა.<sup>33</sup>

„ვალდებულებითი სამართლი, როგორც ადამიანთა ყოველდღიური ინტერესების დაკმაყოფილებასთან ყველაზე ახლოს მდგომი დარგი, აუცილებლად განიცდის ბოლო პერიოდში განსაკუთრებით დაჩქარებული ძირეული ცვლილებების გავლენას.“<sup>34</sup> ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის პროცესმა სამართლებრივი სისტემები აიძულა გლობალური მიმართულება აედოთ. თანამედროვე მსოფლიოში ვაჭრობასთან ერთად სამართლიც კვეთს სახელმწიფოებრივ საზღვრებს. მოდელური კანონების შემუშავება და კონვენციების რატიფიცირება სამართლებრივი სისტემების პასუხია ინტერნაციონალიზაციის პროცესის მიმართ.<sup>35</sup> „შედარებითი სამართლის აღიარებული პრინციპი, რომლის თანახმადაც მართლწესრიგთა უმრავლესობა ერთი და იმავე შედეგისაკენ სტილურად განსხვავებული გზით მიისწრაფვის, ასეთი მნიშვნელოვანი არასოდეს ყოფილა. სხვადასხვა რეგიონული გაერთიანებები მაქსიმალურად ცდილობენ თავიანთი წევრი სახელმწიფოების მიერ

<sup>32</sup> გეგენავა დ. (რედ.), წინათქმა, კრებულში: ლადო ჭანტურია 50, საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, ობ., 2013, 5.

<sup>33</sup> ჩიხაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, „სამართლის ურნალი“, №1, 2009, 145.

<sup>34</sup> ჯუდელი გ. (რედ.), ძლიერი შეიძლი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშვალი ლ., ცერცვაძე გ., სახელშეკრულებო სამართლი, ობ., 2014, 19.

<sup>35</sup> Zeller B., CISG and Unification of International Trade Law, Routledge-Cavendish, Taylor and Francis Group, 2007, 1.

შეთავაზებულ სამართლებრივ ნორმებს შორის არსებული შეუსაბამოებებისა და წინააღმდეგობების აღმოფხვრას.“<sup>36</sup>

სასამართლო პრაქტიკაშიც აღიარებულ იქნა, რომ საერთაშორისო სამართლის განმარტებისა და გამოყენების უნიფიცირება ის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომელიც ემსახურება საერთაშორისო ვაჭრობის სტაბილურობასა და მისი პროცესების პროგნოზირებას.<sup>37</sup>

„თითქმის 20 წელია, რაც ევროპაში რეგულარულად გამოიცემა სამართლის ცნობილი მკვლევარებისა და პრაქტიკოსების სტატიების კრებული, რომელსაც „ევროპული სამოქალაქო კოდექსის შესახებ“ (*Towards European Civil Code*) ეწოდება. როგორც ამ კრებულის მეოთხე გამოცემის წინასიტყვაობაშია აღნიშნული, გამოცემის იდეის დაბადების მომენტში, ანუ 1990-იანი წლების დასაწყისში, ავტორთა უმრავლესობას ძნელად შეეძლო წარმოედგინა ერთიანი ევროპული სამოქალაქო კოდექსის რეალურობა, თუმცა 2011 წლისათვის საერთო და უნივერსალური უნიფიკაციისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები სადაცო არ არის“<sup>38</sup>

შეცვლილი გარემოებების საკითხი ურთელესი პრობლემაა ყველა განვითარებული სამართლის სისტემაში, განსაკუთრებით ეხება ეს საერთაშორისო სავაჭრო სამართალს.<sup>39</sup> შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ეთმობა მის რეგულირებას სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების ე.წ. „რბილი სამართლის“ არასაკანონმდებლო კოდიფიკაციებში<sup>40</sup>, რამეთუ „საერთაშორისო კომერციული სამართლის გავლენამ, კონვენციებისა და მოდელური კანონების ფორმით, მნიშვნელოვნად შეცვალა სახელშეკრულებო ლანდშაფტი და განაპირობა სახელშეკრულებო სამართლის სრული ტრანსფორმაცია.“<sup>41</sup>

<sup>36</sup> ჯუდელი გ. (რედ.), ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშვილი ლ., ცერცვაძე გ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 20.

<sup>37</sup> Zeller B., CISG and Unification of International Trade Law, Routledge-Cavendish, Taylor and Francis Group, 2007, 37.

<sup>38</sup> Hartkamp A.S., Hesselink M., Hondius E.H., Mak Ch., du Perron C.E.(eds.), Towards a European Civil Code, 4<sup>th</sup> Revised and Expanded edition, Kluwer Law International, 2011, მთოთქმულია წიგნში: ჯუდელი გ. (რედ.), ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშვილი ლ., ცერცვაძე გ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 21-22.

<sup>39</sup> Mustill M. J. (Lord Justice), The New Lex Mercatoria: The First Twenty-five Years, In Liber Amicorum for Lord Wilberforce, 149, Bos M. & Brownlie I. (eds.), 1987, reprinted in J. Int'l Arb., Vol. 4, 1988, 84.

<sup>40</sup> რბილი სამართლის არასაკანონმდებლო კოდიფიკაციების შესახებ დაწვრილებით იხ. Jansen N., The Making of Legal Authority, Non-legislative Codifications in Historical and Comparative Perspective, Oxford University Press, New York, 2010.

<sup>41</sup> ჯანებურია ლ., ზოიძე გ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხელურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 1.

## 12. უნიფიცირებული სამართლის ინსტრუმენტები

ნაშრომში შეცვლილ გარემოებებთან დაკავშირებული პრობლემატიკის მეცნიერებლი ანალიზი ეფუძნება ისეთი საერთაშორისოსამართლებრივი ინსტრუმენტების კვლევას, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ“<sup>42</sup> (შემდგომში – ვენის კონვენცია), „უნიდრუას საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები“<sup>43</sup> (შემდგომში – უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები), „ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები“<sup>44</sup> (შემდგომში – ევროპული პრინციპები)<sup>45</sup> და ევროპული კერძო სამართლის პრინციპები, განმარტებები და მოდელური წესები – *Draft Common Frame of Reference (DCFR)*<sup>46</sup>.

ვენის კონვენცია იურიდიულ დოქტრინაში სახელდებულია, როგორც მულტინაციონალური კონვენცია, რომელიც ადგენს საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის მომწერიგებელ უნიფიცირებულ სამართლს.<sup>47</sup> ხსენებული უნიფიცირებული აქტის კვლევის მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ მას მბოჭავი ძალა აქვს ხელმომწერი სახელმწიფოებისათვის. ვინაიდან საქართველო კონვენციის ხელშემკვრელი მხარეა, შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, იგი შეიძლება გახდეს გამოსაყენებელი სამართ-

<sup>42</sup> ob. United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 1980, United Nations Commission on International Trade Law, United Nations, New York, November, 2010 (United Nations' Publication – Sales No. E.10. V.14); ასევე, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/text/text.html>>, [03.07.2014].

<sup>43</sup> ob. UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (UNIDROIT Contract Principles ან UPICC), International Institute for the Unification of Private Law (UNIDROIT), Rome, 2004. ასევე, <<http://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles2004/integralversionprinciples2004-e.pdf>>, [20.06.2014].

<sup>44</sup> ob. Principles of European Contract Law, Parts I and II - Revised 1998, Part III – 2002, <<http://www.jus.uio.no/lm/eu.contract.principles.parts.1.to.3.2002/>>, [20.06.2014]. ასევე, Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, Part I, II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000.

<sup>45</sup> ეწ. „რბილი სამართლის“ კოდიფიკაციები შემუშავებულ იქნა პრაქტიკოსებისა და მეცნიერებისგან შემდგარი კერძო ჯგუფების მიერ, რომლებსაც არ ჰქონდათ საკანონმდებლო ხელისუფლება, რის გამოც მათ მიერ მიღებულ აქტებს ხშირად, „პრინციპების“ და არა „წესების“ სახელით მოიხსენიებენ. „პრინციპები“ ამ შემთხვევაში ატარებენ არა სახელმძღვანელო სტანდარტების მნიშვნელობას, არამედ გამოხატავენ დებულებების უნივერსალურ, ზოგად ხასიათს.

<sup>46</sup> Bar Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Vaneziano A., Zoll F. (eds.), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference, Study Group on a European Civil Code and Research Group on EC Private Law (Acquis Group), Sellier, European Law Publishers GmbH, Munich, 2009. “Draft Common Frame of Reference”, უნიფიდაციის ამ დოკუმენტის დასახელების ზუსტი ქართული შესატევისის მოძებნა ნაგულისხმევი დედაბურის ზედმიწვენით შენარჩუნებით განსაკუთრებით როგორი, შესაბამისად, იგი ინგლისური აბრევიატურის სახით – DCFR იქნება ნაშრომში გამოყენებული.

<sup>47</sup> Honnold J., The Sales Convention: Background, Status, Application, J.L. & Com., Vol. 8, 1988, 1, მითითებულია: Bund J.M., Force Majeure Clauses: Drafting Advice for the CISG Practitioner, J.L. & Com., Vol. 17, 1998, 383, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/bund.html#t9>>, [13.07.2014].

ლი, ოომელსაც უპირატესობა მიენიჭება შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან მიმართებით.<sup>48</sup> ვენის კონვენცია ხელმოწერილია 76 ქვეყნის<sup>49</sup> მიერ,<sup>50</sup> მან დიდი გავლენა მოახდინა არაერთი სახელმწიფოს ნაციონალური კანონმდებლობის განვითარებაზე<sup>51</sup> და დღემდე სამართლის უნიფიკაციის ორიენტირად რჩება.<sup>52</sup> ვენის კონვენციის მიზანია უზრუნველყოს საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის ერთიანობა და საერთაშორისო ვაჭრობის ბარიერებისგან განთავისუფლება. ვენის კონვენცია საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში უნიფიცირებული სამართლის ყველაზე მნიშვნელოვანი აქტია.<sup>53</sup>

ევროპული პრინციპები, უნიფრუას სახელშეკრულებო პრინციპები და ვენის კონვენცია კონტინენტური (ძირითადად, გერმანულ-ფრანგული) და ანგლოამერიკული (უმთავრესად, ამერიკულ-ინგლისური) სამართლის ძირითადი კოდიფიკაციების ამოსავალი პრინციპებისა და ტრადიციების, სამართლებრივი კონცეფციებისა და პრინციპების შეჯამებას ახდენს<sup>54</sup> და კომპრომისული მიდგომის გამომხატველია.<sup>55</sup> უნიფრუას სახელშეკრულებო

<sup>48</sup> ი. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 II მუხლი.

<sup>49</sup> The World of CISG, CISG contracting States წიგნში: Will M.R., Twenty Years of International Sales Law under the CISG (The UN Convention on Contracts for the International Sale of Goods, International Bibliography and Case Law Digest, 1980-2000, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 2000).

<sup>50</sup> Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 186.

<sup>51</sup> Ferrari F.(ed.), The CISG and its Impact on National Legal Systems, Sellier, European Law Publishers, Munich, 2008,

<[http://www.sellier.de/pages/downloads/9783866530782\\_leseprobe.pdf?code=4a8fb234920bc290ddcb75fd50df852a](http://www.sellier.de/pages/downloads/9783866530782_leseprobe.pdf?code=4a8fb234920bc290ddcb75fd50df852a)>, [20.06.2014]; Schwenzer I., Hachem P., The CISG - Successes and Pitfalls, Am. J. Comp. L., Vol. 57, 2009, 457-478, <[www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/schwenzer-hachem.html](http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/schwenzer-hachem.html)>, [20.06.2014];

Schlechtriem P., Basic Structures and General Concepts of the CISG as Models for a Harmonisation of the Law of Obligations, Juridica X/2005, <[www.juridicainternational.eu/public/pdf/ji\\_2005\\_1\\_27.pdf](http://www.juridicainternational.eu/public/pdf/ji_2005_1_27.pdf)>, [20.06.2014].

<sup>52</sup> Bonell M.J., The CISG, European Contract Law and the Development of a World Contract Law, Am. J. Comp. L., Vol.56, Issue 1, 2008.

<sup>53</sup> Spivack C., Of Shrinking Sweatsuits and Poison Vine Wax: A Comparison of Basis for Excuse under UCC §2-615 and CISG Article 79, Pa. J. Int'l Econ. L., Vol. 27, 2006, 765, <[www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/spivack.html#34](http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/spivack.html#34)>, [20.06.2014].

<sup>54</sup> Henseler P., Henseler & Partners Dusseldorf, Germany, The Application in the contracting states of the United Nations Convention on Contracts for International Sale of Goods (CISG), 2007, 1, <[http://www.hp-legal.com/images/stories/aktuelles/cisg\\_application.pdf](http://www.hp-legal.com/images/stories/aktuelles/cisg_application.pdf)>, [15.06.2014]; Liu Ch., Remedies for Non-performance: Perspectives from CISG, UNIDROIT Principles & PECL, 2003, 1, <[www.jus.uio.no/sisu/remedies\\_for\\_non\\_performance\\_perspectives\\_from\\_cisg\\_upicc\\_and\\_pecl.chengwei\\_liu/1.2.html#97](http://www.jus.uio.no/sisu/remedies_for_non_performance_perspectives_from_cisg_upicc_and_pecl.chengwei_liu/1.2.html#97)>, [05.03.2014]. ი. ასევე, ვენის კონვენციის პრეამბულა: United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 1980, United Nations Commission on International Trade Law, United Nations, (United Nations Publication – Sales No. E. 10. V.14), New York, November, 2010, 1.

<sup>55</sup> ი. Liu Ch., Remedies for Non-performance: Perspectives from CISG, UNIDROIT Principles & PECL, 2003, 100,

<[www.jus.uio.no/sisu/remedies\\_for\\_non\\_performance\\_perspectives\\_from\\_cisg\\_upicc\\_and\\_pecl.chengwei\\_liu/1.2.html#97](http://www.jus.uio.no/sisu/remedies_for_non_performance_perspectives_from_cisg_upicc_and_pecl.chengwei_liu/1.2.html#97)>, [10.05.2014]; Southerington T., Impossibility of Performance and Other Excuses in International Trade, Publication of the Faculty of Law of the University of Turku, Private Law Publication Series B:55, Turku, 2001, <[www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/southerington.html](http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/southerington.html)>, [10.05.2014];

პრინციპები მიჩნეულია მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად სამართლებრივი შეგნებისა და აზროვნების გლობალიზაციის თვალსაზრისით,<sup>56</sup> რომლითაც მეცნიერები შეეცადნენ შეეთავსებინათ საერთო და კონტინენტური სავაჭრო სამართლის ფუძემდებლური ელემენტები და შეემუშავებინათ საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების მიმართ მოქმედი პრინციპებისა და ნორმების უნიფიცირებული სისტემა,<sup>57</sup> მიუხედავად მონაწილე მხარეების სამართლებრივი, პოლიტიკური თუ ეკონომიკური მახასიათებლებისა.<sup>58</sup>

უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები, ევროპული პრინციპები და DCFR განეკუთვნებიან „რბილი სამართლის“ არასაკანონმდებლო კოდიფიკაციებს და, ვინაიდან ჩამოყალიბდნენ პოლიტიკური სფეროსა და გავლენის მიღმა, არ გამოხატავენ სახელმწიფოთა ნებას.<sup>59</sup>

უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები შემუშავებულ იქნა უმთავრესი სამართლებრივი სისტემების წარმომადგენელი სამართლის ექსპერტების მიერ, რომლებიც არ გამოხატავენ სახელმწიფოთა ინტერესებს და მოქმედებდნენ პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში.<sup>60</sup> საკანონმდებლო ხელისუფლებისგან განსხვავებით, „რბილი სამართლის“ შემმუშავებელი ჯგუფების მოქმედებისა და არჩევანის მეტი თავისუფლების გამო, ხსენებული სამართალი გაცილებით მოქნილი და ადაპტირებადია საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკის ცვალებად მოთხოვნებთან.<sup>61</sup> ხოლო სახელშეკრულებო სამართალი სამართლებრივ სივრცეში განსაკუთრებით ცვალებადია იმისთვის, რომ დაემორჩილოს კოდიფიკაციების მბოჭავ ძალას.<sup>62</sup> მიუხედავად იმისა, რომ უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები „რბილი სამართლის“ კოდიფიკაციებს განეკუთვნება, ის განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი სვლა

*Nottage L., Changing Contract Lenses: Unexpected Supervening Events in English, New Zealand, U.S., Japanese and International Sales Law and Practice, 2008, 403, <<http://ssrn.com/abstract=1105240>>, [10.05.2014].*

<sup>56</sup> მათიაშვილი ზ., UNIDROIT- საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები, ქურნ. „საერთაშორისო სამართალი“, №14, დეკემბერი, 2000, 6.

<sup>57</sup> Fucci R.F., Hardship and Changed Circumstances as Grounds for Adjustment or Non-Performance of Contracts, Practical Considerations in International Infrastructure Investment and Finance, Thelen Reid & Priest LLP, American Bar Association Section of International Law, 2006,

<<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/fucci.html>>, [10.05.2014].

<sup>58</sup> Slater S.D., Overcome by Hardship: The Inapplicability of the UNIDROIT Principles' Hardship Provisions to CISG, Fla. J. Int'l L., Vol. 12, 1998, 238,

<<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/slater.html>>, [10.05.2014].

<sup>59</sup> Jansen N., The Making of Legal Authority, Non-legislative Codifications in Historical and Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2010, 7; Carlsen A., Can the Hardship Provisions in the UNIDROIT Principles be Applied when the CISG is the Governing Law? Copenhagen, Denmark, Pace Essay Submission, 1998, <[www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/carlsen.html#fn7](http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/carlsen.html#fn7)>, [10.05.2014].

<sup>60</sup> Carlsen A., Can the Hardship Provisions in the UNIDROIT Principles be Applied when the CISG is the Governing Law? Copenhagen, Denmark, Pace Essay Submission, 1998,

<<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/carlsen.html#fn7>>, [10.05.2014].

<sup>61</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 3.

<sup>62</sup> Farnsworth E.A., Closing Remarks, Am. J.Comp.L., Vol. 40, 1992, 699.

იურიდიული აზროვნების გლობალიზაციისკენ<sup>63</sup> და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიო სახელშეკრულებო სამართლის განვითარებაში.<sup>64</sup>

უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები ამავე აქტის პრეამბულაში დასახელებულია, როგორც უნიფიცირებული სამართლის საერთაშორისო ინსტრუმენტების განმარტებისა და ინტერპრეტირების წყარო. აღნიშნულს ადასტურებს ვენის კონვენციის მე-7(2) მუხლის შინაარსი: კონვენციით პირდაპირ მოუწერივი გენერალური საკითხები, რომლებსაც კონვენცია შეეხება, მაგრამ არ ახდენს მათ ზუსტ რეგლამენტაციას, უნდა დარეგულირდეს იმ ზოგადი პრინციპებით, რომლებსაც აღნიშნული კონვენცია ეფუძნება ან, მათი არასებობის შემთხვევაში, საერთაშორისო კერძო სამართლით განსაზღვრული გამოსაყენებელი სამართლის ძალით.

იურიდიულ დოქტრინაში უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები მიიჩნევა უზოგადეს პრინციპებად ვენის კონვენციის განმარტების თვალსაზრისით.<sup>65</sup> აღნიშნულის უმთავრეს მიზეზად მიჩნეულია უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების შესაბამისობა როგორც ვენის კონვენციის შესაბამის დებულებებთან, ისე ვენის კონვენციიდან ნაწარმოებ უზოგადეს პრინციპებთან. ვენის კონვენცია განამტკიცებს სამართლებრივ დებულებებს, რომლებიც არის სხვადასხვა სამართლის სისტემის შედარებისა და მათ შორის მიღწეული პოლიტიკურად მხარდაჭერილი კომპრომისების შედეგი. შესაბამისად, ვენის კონვენცია მისი დებულებების განზოგადების გზით, ქმნის ზოგადი სახელშეკრულებო სამართლის საფუძველს. უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები მართალია, პირდაპირ ვენის კონვენციიდან არ არის ნაწარმოები, მაგრამ ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონვენციის განმარტებისა და ხარვეზის შევსებისათვის.<sup>66</sup> ასევე ეროვნული სასამართლოები და საარბიტრაჟო ტრიბუნალები უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებს ვენის კონვენციისა და სხვა საერთაშორისო უნიფიცირებული სამართლის ინსტიტუტების განმარტებისა და შევსების წყაროდ განიხილავენ.<sup>67</sup>

<sup>63</sup> Perillo J.M., UNIDROIT Principles of International Commercial Contracts: The Black Letter Text and a Review, Fordham L. Rev., Vol. 43, 281, 1994, 282, <<http://ir.lawnet.fordham.edu/flr/vol63/iss2/1/>>, [10.05.2014].

<sup>64</sup> Bonell M.J., The CISG, European Contract Law and the Development of a World Contract Law, Am. J. Comp. L., Vol. 56, 2008, 18, <<http://cisgw3.law.pace.edu/cisg/biblio/bonell4.html#93>>, [10.05.2014].

<sup>65</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ.: Bonell M.J., The UNIDROIT Principles of International Commercial Contracts and CISG – Alternatives or Complementary Instruments? Unif. L. Rev., Vol. 36, 1996, 26-39, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/ulr96.html#n31>>,[20.07.2014];

Bonell M.J., An International Restatement of Contract Law: The UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, 3<sup>rd</sup> ed., Ardsley, New York, 2005, 317, 320, 232; Garro A., Gap-Filling Role of the UNIDROIT Principles in International Sales Law: Some Comments on the Interplay between the Principles and the CISG, Tul. L. Rev., Vol. 69, 1995, 1149, <[www.heinonline.org/HOL/PDF?handle=hein.journals/tulr-69&collection=journals&section=39&id=1165&print=section&sectioncount=1&ext=.pdf](http://www.heinonline.org/HOL/PDF?handle=hein.journals/tulr-69&collection=journals&section=39&id=1165&print=section&sectioncount=1&ext=.pdf)>, [10.05.2014].

<sup>66</sup> Magnus U., The General Principles of UN-Sales Law, published in English at 3 International Trade and Business Law Annual, Australia, Int'l. Trade & Bus. L. Ann., Vol. 3, 1997, 33-56. მთითებულია წიგნში: Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 42.

<sup>67</sup> Bonell M.J., The Unidroit Principles and Transnational Law, Unif. L. Rev., Vol. 5, 2000, 199-218, <[www.heinonline.org/HOL/PDF?handle=hein.journals/droit2000&collection=journals&section=0&id=25](http://www.heinonline.org/HOL/PDF?handle=hein.journals/droit2000&collection=journals&section=0&id=25)>

*DCFR*-ის მიღებამდე, სახელშეკრულებო სამართლის აკადემიური დი-რებულების მქონე თანამედროვე პრინციპებად უმთავრესად უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები და ევროპული პრინციპები მიიჩნეოდა,<sup>68</sup> როგორც მოდელური კონცეფციები ნაციონალური და საერთაშორისო სამართლის კანონმდებლებისათვის.<sup>69</sup>

ევროპული კერძო სამართლის მეცნიერული ანალიზისა და კვლევისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია *DCFR*-ის შესწავლა, რომელიც კიდევ უფრო აკადემიური ხასიათის სამართლებრივ ინსტრუმენტად არის აღიარებული იურიდიულ დოქტრინაში<sup>70</sup> და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ევროპული სახელშეკრულებო სამართლის განვითარებაზე.<sup>71</sup>

*DCFR*-ის წესები ეფუძნება ევროპულ პრინციპებს და ეს ორი სამართლებრივი აქტი მნიშვნელოვნად ფესვგადგმულია ვენის კონვენციაში. აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია ითქვას, რომ ხსენებული სამართლებრივი ინსტრუმენტები ასახავენ მე-20 საუკუნის კომპარატივისტული იურიდიული მეცნიერების არსეს.<sup>72</sup>

ამრიგად, ზემოხსენებული უნიფიცირებული აქტების კვლევა მნიშვნელოვანია, როგორც ეროვნული კანონმდებლობის განმარტებისა და სრულყოფის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება.<sup>73</sup>

<sup>68</sup> 205&print=1&sectioncount=1&ext=.pdf>, [15.07.2014]; *Brunner Ch.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 42.

<sup>69</sup> *Hondius E.*, European Private Law – Survey, ERPL, Issue 6, 2002-2004, 863, <<http://www.kluwerlawonline.com>>, [10.05.2014].

<sup>70</sup> *Kronke H.*, The UN Sales Convention, the UNIDROIT Contract Principles and the Way Beyond, J.L. & Com., Vol. 25:451, 2005-06, 452, <<http://www.uncitral.org/pdf/english/CISG25/Kronke.pdf>>, [10.05.2014].

<sup>71</sup> *Bar Ch.*, *Clive E.*, *Schulte-Nölke H.*, *Beale H.*, *Herre J.*, *Huet J.*, *Storme M.*, *Swann S.*, *Varul P.*, *Vaneziano A.*, *Zoll F.* (eds.), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference, Study Group on a European Civil Code and Research Group on EC Private Law (Acquis Group), Sellier, European Law Publishers GmbH, Munich, 2009, 7-8.

<sup>72</sup> *Hesselink M. W.*, CFR & Social Justice: A Short Study for the European Parliament on the Values Underlying the Draft Common Frame of Reference for European Private Law - What Roles for Fairness and Social Justice?, Centre for the Study of European Contract Law Working Paper Series No. 2008/08, Munich: Sellier, 2008, 1, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1270575](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1270575)>, [10.05.2014].

<sup>73</sup> *Ackermann Th.*, Beyond Expectation? An Esessment of the DCFR Rules on Contractual Damages, სტატიათა კრებულში: *Wagner G.*(ed.), The Common Frame of Reference: A View from Law And Economics, Sellier – European Law Publishers GmbH, Munich, 2009, 36.

<sup>74</sup> *Bonell M.J.*, The UNIDROIT Principles 2010: An International Restatement of Contract Law, Symposium on the 2010 UNIDROIT Principles of International Commercial Contracts: Towards a “Global” Contract Law, October 28, 2011, 14,

<<http://www.law.georgetown.edu/cle/materials/UNIDROIT/2011.pdf>>, [10.05.2014]; UNIDROIT Principles – The New Edition of the Principles of International Commercial Contracts Adopted by the International Institute for the Unification of Private Law, 2004, 13,

<<http://www.unidroit.org/english/publications/review/articles/2004-1-bonell.pdf>>, [20.07.2014]. ი. ასევე, *Dessemontet F.*, Use of the UNIDROIT Principles to Interpret and Supplement Domestic Law, 2002,

<<http://www.unil.ch/webdav/site/cedidac/shared/Articles/Supplement%20Bull.%20CCI.pdf>>, [10.05.2014].

## 2. კონტინენტური და ანგლოამერიკული სამართლის კვლევის მნიშვნელობა

### 2.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გერმანიის სამოქალაქო სჯულდებისა და ცივილისტური მეცნიერების კვალდაკვალ

„ნებისმიერი სამართლებრივი სისტემა ანგარიშს უწევს შეცვლილ გარე-მოებებს ვალდებულების შეძღვომი შესრულების საკითხის გადაჭრისას“<sup>74</sup> თო-თოეული სამართლებრივი სივრცე საკითხის ამა თუ იმ მოდიფიკაციებით მო-წესრიგებისას<sup>75</sup> ხშირად კონცეფტუალურად განსხვავებულ მიღვომას ავლენს. ამ მხრივ გამორჩეული და საინტერესო რეგულირებით ხასიათდება გერმანუ-ლი სამართლი, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა ასევე, საერთო სამართლის ინსტიტუტების ფორმირებაზე.<sup>76</sup>

გერმანული სამართლის მიმართ კვლევის ინტერესი ასევე განპირობებუ-ლია იმ ფაქტით, რომ გერმანული დოქტრინა, XIX საუკუნიდან მოკიდებული დღეის ჩათვლით, იმდენად სრულყოფილი აღმოჩნდა, რომ იგი ოურიული წყა-რო გახდა არა მარტო თავად გერმანული კანონმდებლობისათვის, არამედ სხვა ხალხებისათვისაც და მათ შორის ქართველებისათვის. ამ დოქტრინისათ-ვის დამახასიათებელი აბსტრაქტული აზროვნების სტილი კარგად მოერგო ქართულ ცნობიერებას.<sup>77</sup>

ამასთან, სსკ პანდექტური სამართლის სისტემას შეესატყვისება<sup>78</sup> და ცალკეული სამართლის ინსტიტუტის მოწესრიგებისას ძირითადად ორიენტი-რებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსზე<sup>79</sup> (შემდგომში – გსკ<sup>80</sup>).

1997 წლის 26 ივნისს გერმანული სამართლის მოზიარე, დამოუკიდებე-ლი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღება იყო მცდელობა ევროპუ-ლი სამართლებრივი სივრცისათვის დამახასიათებელი პრინციპებისა და დი-რებულებათა სისტემის ამსახველი სამართლებრივი ბაზის შექმნისა, რომე-ლიც გაემიჯნებოდა საბჭოთასამართლებრივ შეხედულებებს და შესატყვისი იქნებოდა შეცვლილი სოციალური გარემოს პირობებში აღმოცენებული სა-მოქალაქო ბრუნვის მოთხოვნებისა. „კოდექსი უნდა ყოფილიყო ის ხიდი,

<sup>74</sup> ქანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგავლია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სა-მოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 399.

<sup>75</sup> Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 14.

<sup>76</sup> Riesenfeld S., The Impact of German Legal Ideas and Institutions on Legal Thought and Institutions in the United States in the Reception of Continental Ideas in the Common Law World, Reimann M. (ed.), 1993, 1820-1920, 89, 95-96.

<sup>77</sup> სურგულაძე ივ., ხელისუფლება და სამართლი, გერმანულიდან თარგმნა და შესავალი წერილი დაურთო თ. გამყრელისტებ, თბ., 2002, მთთითებულია: ზოიძე ბ., ქართული სამოქალა-ქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, ქურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 6/2003-1, 90.

<sup>78</sup> ქანტურია ლ., შესაგალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2000, 82.

<sup>79</sup> ჩაჩავა ბ., მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ქურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, საქოციალური გამოცემა, 2004, 35.

<sup>80</sup> German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005.

რომელსაც საქართველო დასავლეთის კულტურულ სამყაროსთან უნდა დაეკავშირებინა და რომლითაც განვითარებული სამართლებრივი კულტურა საქართველოშიც უნდა შემოსულიყო, რაც მნიშვნელოვანწილად მოხდა კიდევაც<sup>81</sup>.

ახალი სამართლებრივი ინსტიტუტების ფორმირებისას სსკ დაემყარა ევროპულ კოდიფიკაციებს, განსაკუთრებით კი გაიზიარა გერმანიის ვალდებულებითი სამართლის ფუნდამენტური რეფორმის საფუძველზე განხორციელებული კონცეფტუალური სრულყოფის შედეგები.

ზემოთქმულის დასტურად შეიძლება ითქვას, რომ „პრინციპული სიახლე საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა მისი 398-ე მუხლია, რომელიც ეხება ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილი გარემოებებისადმი. ასეთი ნორმა რუსულ კოდექსშიცაა და თანამედროვე ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გავლენით შემოვიდა პოსტსაბჭოურ სივრცეში. ამ მუხლის შემოტანით ერთგვარად დაზუსტდა ხელშეკრულების სავალდებულო ხასიათი. ამ მუხლის მიხედვით, ხელშეკრულება წარმოჩინდება როგორც ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც გარემოებათა შესაბამისად შეიძლება საჭიროებდეს სახეცვლილებას“<sup>82</sup>.

გერმანიაში შეცვლილი გარემოებების ანალოგი – გარიგების საფუძვლის რღვევის დოქტრინა საკანონმდებლო დონეზე მხოლოდ 2002 წელს განმტკიცდა. მიუხედავად ამისა, შეცვლილი გარემოებების მოწესრიგებისას ქართული სამართალი გსჯის რეფორმის შემდეგდროინდელ რეგულირებასთან მნიშვნელოვან საერთოს ავლენს. „რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ისევ გერმანულ-ქართული თანამშრომლობის შედეგად, საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსით უფრო ადრე იქნა გათვალისწინებული ხსენებული ნორმები“<sup>83</sup> აღნიშნული ნათლად მიუთითებს, რომ ქართველი კანონმდებელი სწრაფად რეაგირებს სამოქალაქო ბრუნვის მოთხოვნებზე, ხოლო გერმანიაში დიდი სიფრთხილით ეკიდებიან საკანონმდებლო ცვლილებებს. ასევე „ეს გამოწვეულია იმით, რომ გერმანიაში აღნიშნულ რეფორმაზე მუშაობა წლობით მიმდინარეობდა და ქართველ კანონმდებელს საშუალება პქონდა გასცნობოდა ჯერ კიდევ შემუშავების პროცესში მყოფ კანონპროექტებს... ასე რომ, ქართული და გერმანული სამოქალაქო სამართლის გალდებულებითი ნაწილიც მეტწილად ერთმანეთს შეესაბამება.<sup>84</sup> მიუხედავად აღნიშნულისა, გერმანული სამართლის გავლენით დანერგილი ქართული სამართლის არაერთი კონცეფცია მნიშვნელოვნად სცილდება გერმანიის სამოქალაქო სჯულდებით განმტკიცებულ ანალოგ ინსტიტუტებს. აღნიშნუ-

<sup>81</sup> ჭაბურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 19-20.

<sup>82</sup> ზორბეგ ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, პერძო სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2005, 288.

<sup>83</sup> ჭაბურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 117.

<sup>84</sup> მაჩალაძე ს., ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა ანალიზი), ქურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2004, 72.

ლის ფონზე, მნიშვნელოვანია ერთდროულად მსგავსი და კონცეფტუალური თუ სისტემური თვალსაზრისით, ხშირად წინააღმდეგობრივი რეგულირების ურთიერთკავშირში გამოკვლევა.

## 2.2. ანგლოამერიკული სამართლის გამოცდილება – აბსოლუტური პასუხისმგებლობიდან მისი გამომრიცხავი გარემოებების აღიარებამდე

ანგლოამერიკული სამართლის კვლევის აუცილებლობა განაპირობა ამ სისტემის კონცეფტუალურად განსხვავებულმა მიღებულმა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის საკითხის მიმართ. თვალსაზრისით, საერთო სამართლებრივი მნიშვნელოვნად განსხვავდება გერმანული და ფრანგული სამართლებრივი სისტემებისგან.<sup>85</sup>

კონტინენტური სამართლის სისტემა ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის მიმდევარია,<sup>86</sup> ხოლო ანგლოამერიკული სამართლი დაემყარა მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპს,<sup>87</sup> რომლის საფუძველზეც ისტორიულად საერთო სამართლი ყველა სახელშეკრულებო პირობას გარანტის ძლას ანიჭებდა.

მკაცრი პასუხისმგებლობის ძალით, ხელშეკრულება განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის უპირობო განხორციელების გარანტიად და ქმედით სამართლებრივ მექანიზმად განიხილება. იგი ითვალისწინებს ვალდებულების მკაცრი სიზუსტით, ხელშეკრულების შესატყვის შესრულებას. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის მიუღწევლობა ვალდებულების დარღვევას აფუძნებს შესაბამისი პასუხისმგებლობით.<sup>88</sup> ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობის განუხრელი დაცვა მხარეთა ნაგულისხმევი ვალდებულებაა, რომლის დარღვევა იწვევს სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას.<sup>89</sup>

შემდგომში მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპი ანგლოამერიკულ სამართლში შეიზღუდა კონტინენტური ეკროპისათვის ნიშანდობლივი ბრალეული პასუხისმგებლობის წესით. კონტინენტური სამართლის მსგავსად, ანგლოამერიკული სამართლის ძალით, მხარე შესაძლებელია განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ შექმნილ გარემოებათა პირობებში ვალდებულების დარღვევის თავიდან ასაცილებლად მის მი-

<sup>85</sup> Beale H., Hartkamp A. (eds.), *Cases, Materials and Text on Contract Law*, Oregon, Hart Publishing Oxford and Portland, 2002, 1.

<sup>86</sup> Schwenzer I., Hachem P., Kee Ch., *Global Sales and Contract Law*, Oxford University Press, New York, 2012, 650.

<sup>87</sup> Scott R.E., In (Partial) Defense of Strict Liability in Contract, *Columbia Law and Economics Working Paper No. 341*, Mich. L. Rev., Vol. 107, 2009, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1304239](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1304239)>, [23.04.2014].

<sup>88</sup> Zweigert K., Kötz H., *Introduction to Comparative Law, Volume II-The Institutions of Private Law*, 2<sup>nd</sup> Revised ed., Translated from German by Weir T., Oxford, Clarendon Press, 1987, 187.

<sup>89</sup> Reimann M., Zimmermann R. (eds.), *The Oxford Handbook of Comparative Law*, Farnsworth A., Comparative Contract Law, Part III, United States by Oxford University Press Inc., New York, 2006, 922.

ერ უკელა აუცილებელი, გონივრული და კანონიერი საშუალება იქნა გამოყენებული.<sup>90</sup>

ეტაპობრივად განხორციელდა მკაცრი პასუხისმგებლობის კომბინირება ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპთან და ამ გზით ანგლოამერიკული სამართლი დაუახლოვდა კონტინენტური სამართლის იურიდიული აზროვნების სისტემას. დღესდღეობით ანგლოამერიკული სამართლი, კონტინენტური სამართლის მსგავსად, ინარჩუნებს მკაცრი პასუხისმგებლობის რეჟიმს ცალკეული სახის დარღვევების მიმართ. მაგალითად, მსგავსად კონტინენტური სამართლისა, პასუხისმგებლობა კვლავ მკაცრია ფულადი, გვაროვნული და უნაკლო ნივთის მიწოდების ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში.<sup>91</sup>

მოვალის პასუხისმგებლობა შეიძლება შეიზღუდოს<sup>92</sup> ასევე, მხარეთა მიერ დადგენილი ფორსმაჟორული დათქმებით,<sup>93</sup> რომელიც თითქმის უკელა სამართლის სისტემისათვის არის დამახასიათებელი.<sup>94</sup> ამ დათქმებით კონტრაქტები თვით ხელშეკრულებაში უთითებენ იმ გარემოებათა შესახებ, რომელთა არსებობა იწვევს მათ განთავისუფლებას პასუხისმგებლობისაგან.<sup>95</sup> ამ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესია სახელშეკრულებო პირობებით ფორსმაჟორის სამართლებრივი შედეგების დეტალური განსაზღვრა მხარეთა მიერ.<sup>96</sup>

საგარანტიო პასუხისმგებლობა ანგლოამერიკულ სამართლი სახელშეკრულებო შეთანხმებით განმტკიცებული პასუხისმგებლობის გამომრიცხვის გარდა, შეიძლება შეიზღუდოს ე.წ. ხელშეკრულების ამაოების დოქტრინით, რომლის განვითარებას დასაბამი დაუდო საქმემ<sup>97</sup>

<sup>90</sup> Reimann M., Zimmermann R.(eds.), *The Oxford Handbook of Comparative Law*, Farnsworth A., Comparative Contract Law, Part III, Published in the United States by Oxford University Press Inc., New York, 2006, 922.

<sup>91</sup> ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, „სამართლის უურნალი“, №1, 2009, 159.

<sup>92</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის განჩინება საქმეზე: №ას-7-6-2010. აღნიშნულ საქმეში მხარეებმა სახელშეკრულებო შეთანხმებით განსაზღვრეს, რომ ისინი დროებით გათავისუფლდებოდნენ პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას ფორსმაჟორული გარემოებების მოქმედების პერიოდში, თუ ისინი გამოწვეული იქნებოდა გადაულახავი, დაუძლეველი ძალის შედეგად.

<sup>93</sup> Ciematniece I., *Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts*, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 33.

<sup>94</sup> DiMatteo L.A., *The Law of International Contracting*, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 2000, 54.

<sup>95</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგალია რ., ხელშეკრინიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, გალდებულებითი სამართლი, ზოგადი ნაწილი, ობ., 2001, 374.

<sup>96</sup> DiMatteo L.A., *The Law of International Contracting*, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 2000, 54.

<sup>97</sup> Ciematniece I., *Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts*, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 23.

*Taylor v. Caldwell*<sup>98</sup> ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით სასამართლომ პირველად აღიარა შესრულების შეუძლებლობა პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად,<sup>99</sup> რითაც მნიშვნელოვნად შეიცვალა ინგლისური სამართლის მიღვომა შეცვლილი გარემოებების პირობებში ვალდებულების მკაცრი შესრულების მიმართ.<sup>100</sup> სასამართლომ დასაშეგებად და ხელშეკრულების ნაგულისხმევ პირობად<sup>101</sup> მიიჩნია მხარეთა განთავისუფლება პასუხისმგებლობისგან თუ ხელშეკრულების დარღვევამდე ვალდებულების შესრულება მოვალის ბრალისაგან დამოუკიდებლად შეუძლებელი გახდა ინდივიდუალური ნივთის განადგურებამ.<sup>102</sup>

თავდაპირველად დოქტრინა ვიწროდ განიმარტებოდა და მხოლოდ შესრულების ობიექტური შეუძლებლობის პირობებში გამოიყენებოდა პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად.<sup>103</sup> თუმცა, *Tayllor v. Caldwell* არ იყო აბსოლუტური, ფიზიკური შეუძლებლობის მაგალითი, ვინაიდან შესრულება განხორციელებადი იყო დიდი ოდენობის ხარჯების გაწევის შემთხვევაში.<sup>104</sup> ამრიგად, შესრულების შეუძლებლობა და განუხორციელებ-

<sup>98</sup> ob. (1863)3b & S826, 122 ER 309 (QB). აღნიშნულ საქმეში მხარეთა ბრალისაგან დამოუკიდებლად დაიწვა მუხიკალური დარბაზი, რომელიც კონცერტის ორგანიზებისთვის იყო განკუთვნილი. სასამართლომ გააუქმა ხელშეკრულების მოქმედება და ორივე კონტრაქტი გაათავისუფლა სახელშეკრულებო ვალდებულებისგან. იხ. Poole J., Casebook on Contract Law, 9<sup>th</sup> ed., Online Resource Centre, Oxford University Press, Oxford, 2008, 565; Farnsworth E.A., Farnsworth on Contracts, 3<sup>rd</sup> ed., Vol. 2, Aspen Publishers, 2004, 627-632; Perillo J., Hardship and Its Impact on Contractual Obligations: A Comparative Analysis, Roma, 1996, 4,

<<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/perillo4.html>>, [10.05.2014]; Southerington T., Impossibility of Performance and Other Excuses in International Trade, Publication of the Faculty of Law of the University of Turku, Private Law Publication Series B:55, Turku, 2001,

<<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/southerington.html>>, [10.05.2014]; Bridgeman C., Reconciling Strict Liability with Corrective Justice in Contract Law, Fordham L. Rev., Vol. 75, 2007, 3035,

<[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=669504](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=669504)>, [10.05.2014].

<sup>99</sup> Goldberg V.P., Excuse Doctrine: The Eisenberg Uncertainty Principle, J. Legal Analysis, Vol.2, No.1, 2010, 366, <<http://jla.oxfordjournals.org/content/2/1/359.full.pdf+html>>, [20.07.2014]; Smythe D.J., Bounded Rationality, the Doctrine of Impracticability, and the Governance of Relational Contracts, S. Cal. Interdisc. L.J., Vol. 13, No. 2, 2003-2004, 228,

<[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=799328](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=799328)>, [20.07.2014].

<sup>100</sup> აბსოლუტური სახელშეკრულებო ვალდებულების მაგალითი იყო საქმე – *Paradine v. Jane, English Rep. 897 [K.B.1647]*, რომელშიც გამტკიცებული იყო შეცვლილი გარემოების მიუხედავად ვალდებულების მკაცრი დაცვის პრინციპი. იხ.: Chen-Wishart M., Contract Law, 2<sup>nd</sup> ed., Oxford University Press, 2008, 386; Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 23.

<sup>101</sup> *Implied Terms*.

<sup>102</sup> იხ.: Treitel G.H., The Law of Contract, 9<sup>th</sup> ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 779; Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 89.

<sup>103</sup> Blum B.A., Chemerinsky E., Epstein R., Gilson R.F., Krier J.E., Neumann R.K., Syverud K.D., Warren E., Farnsworth E.A., Hazard G.S., Wolfman B.(eds.), Contracts, Examples and Explanations, 3<sup>rd</sup> ed., Aspen Publishers, New York, 2004, 455.

<sup>104</sup> აღნიშნულის გამო აშშ-ზე გარემონი შეუძლებლობა შეცვალა განუხორციელებლობით. იხ. Treitel G.H., The Law of Contract, 9<sup>th</sup> ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 793.

ლობა აბსოლუტური პასუხისმგებლობის პრინციპის გამონაკლისად იქნა დაშვებული.<sup>105</sup>

დროთა განმავლობაში დოქტრინის მოქმედება გაფართოვდა:<sup>106</sup> სასა-მართლოები იყენებდნენ მას არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ვალ-დებულების შესრულება ხელშეკრულების საგნის განადგურებით შეუძლებელი ხდებოდა, არამედ როდესაც ქარწყლდებოდა მხარეთა მოსალოდნელი სახელშეკრულებო ინტერესი და ხელშეკრულების მიზანი ხდებოდა ამაო. მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულების შესრულება ობიექტურად კვლავ განხორციელებადი იყო,<sup>107</sup> სამართლიანობა მოითხოვდა შესრულების ვალ-დებულებისაგან განთავისუფლებას.<sup>108</sup>

ამრიგად, მართალია, ანგლოამერიკული სამართლი არ იცნობს ტერ-მინებს „ფორსმაჟორი“ და „შესრულების გართულება“<sup>109</sup>, მაგრამ შეცვლილი გარემოებების პრობლემატიკასთან მიმართებით მოქმედი „ხელშეკრულების მიზნის ამაოებისა“<sup>110</sup> და „კომერციული განუხორციელებლობის“<sup>111</sup> დოქტრინების შესწავლა კონტინენტური სამართლის კონცეფციებთან ურთიერთკავშირში, სამართლის სისტემების კონცეფტუალური მიღებობების წარმოჩენის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

<sup>105</sup> Jacobs D.L., Legal Realism or Legal Fiction? Impracticability Under the Restatement (second) of Contracts, New York, Com. L.J., Vol. 87, 1982, 289, <<http://heinonline.org/HOL/LandingPage?collection=journals&handle=hein.journals/clla87&div=70&id=&page=>>, [20.07.2014].

<sup>106</sup> Blum B.A., Chemerinsky E., Epstein R., Gilson R.F., Krier J.E., Neumann R.K., Syverud K.D., Warren E., Farnsworth E.A., Hazard G.S., Wolfman B. (eds.), Contracts, Examples and Explanations, 3<sup>rd</sup> ed., Aspen Publishers, New York, 2004, 456.

<sup>107</sup> Treitel G.H., The Law of Contract, 9<sup>th</sup> ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 779.

<sup>108</sup> Blum B.A., Chemerinsky E., Epstein R., Gilson R.F., Krier J.E., Neumann R.K., Syverud K.D., Warren E., Farnsworth E.A., Hazard G.S., Wolfman B. (eds.), Contracts, Examples and Explanations, 3<sup>rd</sup> ed., Aspen Publishers, New York, 2004, 456.

<sup>109</sup> Perillo J., Hardship and its Impact on Contractual Obligations: A Comparative Analysis, Roma, 1996, 1, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/perillo4.html>>, [10.05.2014].

<sup>110</sup> Frustration of Purpose.

<sup>111</sup> Commercial Impracticability.

### III. ფორსმაჟორის და შესრულების გართულების ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპები

#### 1. ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპის მნიშვნელობა

ნებისმიერი სამართლებრივი წესრიგი ახდენს მოვალის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ საფუძველთა სისტემის ფორმირებას.<sup>112</sup> შესაბამისად, როგორც კონტინენტურ ასევე, ანგლოამერიკულ სამართლში სულ უფრო მეტად ესწრაფვიან ვალდებულების შესრულების დაბრკოლების ცნების უნიფიცირებას.<sup>113</sup>

ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპები, როგორც უნიფიცირებული და განზოგადებული სამართლებრივი კონცეფციები<sup>114</sup> გამოიყენება საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა საყოველთაოდ, საერთაშორისო დონეზე აღიარებული პრინციპების მნიშვნელობით. ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპები შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ხარვეზული და ღია ნორმების, ასევე ხელშეკრულების პირობების განმარტებისა და შევსების ქმედით მექანიზმად შეიძლება იქნეს განხილული. შესაბამისად, ეს საკითხი დიდი მნიშვნელობის მქონეა დოქტრინული და პრაქტიკული თვალსაზრისით. თვით სახელშეკრულებო პრინციპების არსში არსებული ხარვეზების შევსება სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირების გზით მიიღწევა.<sup>115</sup> ზემოთქმული ნათლად დასტურდება არაერთი უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებით.<sup>116</sup>

<sup>112</sup> Schwenzer I., Force Majeure and Hardship in International Sales Contracts, VUWLR, Vol. 39, 2008, 710, <[www.austlii.edu.au/nz/journals/VUWLAWRw/2008/39.pdf](http://www.austlii.edu.au/nz/journals/VUWLAWRw/2008/39.pdf)>, [24.06.2014].

<sup>113</sup> შეიძლო პ. სახელშეკრულების ვალდებულების შეუძლებლობა, სადისერტაციო ნაშრომი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1997, 6.

<sup>114</sup> Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 31.

<sup>115</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 39.

<sup>116</sup> მაგალითად, უნიდრუს სახელშეკრულებო პრინციპები საერთაშორისო საფაჭრო პალატის (International Chamber of Commerce (ICC)) მიერ გამოყენებულ იქნა პოლანდიური სამართლის განმარტების საშუალებად. იხ. Award in ICC Case No. 8486. ორიგინალი დაცულია გერმანულად, J.D.I., 1998, 1047-1049. ინგლისური თარგმანი იხილეთ: Y. B. Com. Arb. 1999, 162-173, UNILEX, <[http://www.trans-lex.org/create\\_pdf.php?docid=208486UNILEX](http://www.trans-lex.org/create_pdf.php?docid=208486UNILEX)>, [20.07.2014],

by Berger K.P., International Arbitral Practice and the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, Am. J. Comp. L., Vol. 46, 1998, 140,

<[www.heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amcomp46&id=1&size=2&collection=journals&index=journals/amcomp#150](http://www.heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amcomp46&id=1&size=2&collection=journals&index=journals/amcomp#150)>, [06.07.2014]. კერძოდ: პოლანდიულმა გამყიდველმა ოურქ მყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება შაქრის მწარმოებელი დანადგარის დამზადებისა და დამონტაჟების თაობაზე, გამოსაყენებელ სამართლად ხელშეკრულებით განისაზღვრა პოლანდის კანონმდებლობა. ხელშეკრულების დადების შემდეგ მყიდველმა შეთანხმებული ფასის გადახდაზე უარი განაცხადა შაქრის მწარმოებელი დანადგარის მიმართ ბაზარზე მოთხოვნის მკვეთრი შემცირების საფუძვლით. მას შემდეგ, რაც უშედეგოდ დასრულდა მხარეთა მოლაპარაკება შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების თაობაზე, პოლანდიულმა გამყიდველმა უარი თქვა ხელშეკრულებაზე და მოითხოვა ზიანის

## 2. ფორსმაჟორის, როგორც ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპის, ცნება

„ფორსმაჟორი“ რომანული ცნებიდან – *vis major* იდებს სათავეს,<sup>117</sup> რომელიც განმტკიცებულ იქნა ნაპოლეონის კოდექსში<sup>118</sup> და ცნობილია თითქმის ყველა დიდი სამართლებრივი ტრადიციის ქვენე ქვეყნის სისტემაში.<sup>119</sup> ფორსმაჟორი ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპის სახით პასუხისმგებლობის გამომრიცხველი საფუძვლის სახით მოქმედებს მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ხელშეკრულებით გათვალისწინებული.<sup>120</sup> აღნიშნული პრინციპი უზრუნველყოფს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისგან დროებით ან მუდმივ, სრულ<sup>121</sup> ან ნაწილობრივ განთავისუფლებას.<sup>122</sup>

ფორსმაჟორი, როგორც შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების საფუძველი იმ დაბრკოლებისათვის, რომელიც მოვალის კონტროლისა და რისკის სფეროს მიღმა წარმოიშვ

---

ანაზღაურება თურქი მხარისაგან. აღნიშნულის საფუძვლად მან მიუთითა შესრულების გართულების მარეგულირებელი ნორმა (6:258) ნსკ-დან (NBW). ამის საპირისპიროდ, როგორც პოლანდიურ სამართალზე, ისე უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებზე დაყრდნობით, სასამართლომ წარმოაჩინა შესრულების გართულების სამართლებრივი ბუნება, რომელიც მისი გამოყენების წინაპირობად მოიაზრებდა შეცვლილი გარემოებებით გამოწვეულ სახელშეკრულებო წონასწორობის არსებით რღვევის. პალატამ ასევე მიუთითა პოლანდიულ მოსამართლეებს ფორსმაჟორისა და შესრულების გართულების შემთხვევებში უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ. ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპების ეროვნული სამართლის განმარტების საშუალებად გამოყენებასთან დაკავშირებით იხილეთ ასევე: *Maskow D., Hardship and Force Majeure, Am. J. Comp. L., Vol. 40, 1992, 657, 665, <http://www.heinonline.org/HOL/PDF?handle=hein.journals/amcomp-40&collection=journals&section=36&id=667&print=section&sectioncount=1&ext=.pdf>*, [10.02.2014];

Berger C. P., International Arbitral Practice and the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, Am. J. Comp. L., Vol. 46, 1998, 129, 139-140, <www.heinonline.org/HOL/PDF?handle=hein.journals/amcomp46&collection=journals&section=11&id=139&print=section&sectioncount=1&ext=.pdf>, [10.02.2014].

<sup>117</sup> Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 15.

<sup>118</sup> Pizer L.K., Smith M.R. (eds. in Chief), Southerington T., Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 2002-2003, Kluwer Law International, The Hague, London, New York, 2004, 259.

<sup>119</sup> Wright C., Force Majeure Clauses and the Insurability of Force Majeure Risks, The Construction Lawyer, Vol. 23, 2003, 16, <http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/conlaw23&div=46&g\_sent=1&collection=journals>, [11.02.2014].

<sup>120</sup> Anaconda-Iran, Inc. v. The Government of the Islamic Republic of Iran, et al., Award No. ITL 65-167-3 of 10.12.1986 at 41-43, 13 Iran-U.S. C.T.R. 199, 211-12, Y.B. Com. Arb. 1988, 319; Mobil Oil Iran Inc. v. Islamic Republic of Iran, Award No. 311-74/76/81/150-3 of 14.07.1987 at para.117.

<sup>121</sup> პასუხისმგებლობისგან სრული განთავისუფლება მოქმედებს მაშინაც, როდესაც ფორსმაჟორული გარემოება მხოლოდ ხელშეკრულების ნაწილზე ახდენს გავლენას, მაგრამ აქარწყლებს ხელშეკრულების არსებ ის. Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 63.

<sup>122</sup> იქვე.

ა, აერთიანებს და განაზოგადებს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემისთვის ნიშანდობლივ თავისებურებებს, რის საფუძველზეც საკუთარ ცნებაში მოიაზრებს მისთვის აუცილებელი წინაპირობების სისტემატიზირებულ კატალოგს და, შესაბამისად, მიიჩნევა სახელშეკრულებო სამართლის უზოგადეს პრინციპად.<sup>123</sup>

### 3. ფორსმაჟორის მოქმედება უნიფიცირებულ კერძო სამართალში

ფორსმაჟორის სამართლებრივი არსი სრულყოფილად შეიძლება წარმოჩიდეს უნიფიცირებული აქტების შესწავლის საფუძველზე. აღნიშნული საკითხი არსებითად ერთგვაროვნადაა მოწესრიგებული ვენის კონვენციის 79-ე, უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 7.1.7-ე, ევროპული პრინციპების 8:108-ე და DCFR-ის 3:104-ე (1) მუხლებით.<sup>124</sup>

#### 3.1. უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები

ფორსმაჟორისა და შესრულების გართულების კონცეფციები ამავე სახელწოდებითაა წარმოდგენილი უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 7.1.7-ე და 6.2.1-ე-6.2.3-ე მუხლებში.<sup>125</sup> ხსენებული ტერმინების განმტკიცება ისეთ ტრანსნაციონალურ სამართლებრივ ინსტრუმენტში, როგორიცაა უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები, განაპირობა მათ ფართო გამოყენებამ საერთაშორისო ბიზნეს წრეებსა და სავაჭრო პრაქტიკაში, რაც გამოიხატებოდა საერთაშორისო ხელშეკრულებებში შესაბამისი დათქმების განმტკიცებით.<sup>126</sup> უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებში პასუხისმგებლობისგან

<sup>123</sup> ი.ბ.: *Brunner Ch.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 109. შემდგომი მითოვებებით: *Magnus U.*, Force Majeure and the CISG, In the International Sale of Goods Revisited, edited by *Sarcevic and Volken*, The Hague, 2001, 8; *Kessedjian C.*, Competing Approaches to Force Majeure and Hardship, Int'l Rev. L. & Econ, Vol. 25, 2005, 430, <[www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio-kessedjian.html](http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio-kessedjian.html)>, [10.02.2014]; *Barry N.*, Force Majeure and Frustration, Am. J. Comp. L., Vol. 27, 1979, 231,<[www.heinonline.org/HOL/PDF?handle=hein.journals/amcomp27&collection=journals&section=22&id=245&print=section&sectioncount=1&ext=.pdf](http://www.heinonline.org/HOL/PDF?handle=hein.journals/amcomp27&collection=journals&section=22&id=245&print=section&sectioncount=1&ext=.pdf)>, [10.02.2014]. ცალკეული აეტორი ავითარებს საწინააღმდეგო პოზიციას მოსაზრებისა, რომ ვენის კონვენციის 79-ე მუხლი ანგლოამერიკული და კონტინენტური სამართლის „კომპრომისი“ შედეგია. საწინააღმდეგო შეხედულების თანახმად, ხსენებული მუხლი მხოლოდ ზედაპირულ, მოვალეობით პარმონიას ამჟარებს ამორინის პრინციპულად განსხვავებულ სამართლებრივ სისტემას შორის.

<sup>124</sup> *Schwenzer I.*, Force Majeure and Hardship in International Sales Contracts, VUWLR, Vol. 39, 2008, 714, <<http://www.austlii.edu.au/nz/journals/VUWLawRw/2008/39.pdf>>, [10.02.2014].

<sup>125</sup> *Brunner Ch.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 106. შემდგომი მითოვებებით: *Bonell M. J.*, An International Restatement of Contract Law: The Unidroit Principles of International Commercial Contracts, 3<sup>rd</sup> ed., Ardsley, New York, 2005, 148; *Magnus U.*, Force Majeure and the CISG, In The International Sale of Goods Revisited, *Sarcevic, Volken (eds.)*, The Hague, 2001, 28-29.

<sup>126</sup> ი.ბ. Official Comment 6.2.1, UPICC,

<[www.unilex.info/dynasite.cfm?dssid=2377&dsmid=109294](http://www.unilex.info/dynasite.cfm?dssid=2377&dsmid=109294)>, [10.02.2014].

განთავისუფლების საფუძვლების აღნიშნული ტერმინებით ასახვა განპირობებული იყო ეროვნული სამართლის სისტემებში დამკვიდრებული შესატყვისი ინტიტუტებისგან მათი გამიჯვნის აუცილებლობით.<sup>127</sup> ანალოგიურად იცავს ვენის კონვენციაც ტერმინოლოგიური ნეიტრალურობის პრინციპს<sup>128</sup> და გამორიცხავს ტერმინებს, რომლებსაც შიდასახელმწიფოებრივ სისტემებში დამკვიდრებული მნიშვნელობა აქვთ.<sup>129</sup>

უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 7.1.7-ე მუხლი მოიცავს საერთოსამართლებრივი სისტემისათვის ნიშანდობლივი „ხელშეკრულების ამაოებისა“<sup>130</sup> (*Frustration of Contract*) და „კომერციული განუხორციელებლობის“<sup>131</sup> (*Commercial Impracticability*), ასევე, კონტინენტურ სამართალში გავრცელებულ ფორსმაჟორისა (*Force Majeure*) და შესრულების შეუძლებლობის (*Unmöglichkeit*) ცნებებს, თუმცა ის არ არის ეროვნული კონცეფციების იდენტური.<sup>132</sup> ფორსმაჟორი ფართოდ გავრცელდა და განვითარდა საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში და უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებში დამკვიდრდა არა რომელიმე ქვეყნის ნაციონალური კანონმდებლობით განმტკიცებული ანალოგი კონცეფციების იდენტური შინაარსით, არამედ შეიძინა მათგან სხვადასხვა სამართლებრივი ნიშანი.<sup>133</sup>

<sup>127</sup> ი.ბ.: Official Comment No. 1 on Art. 7.1.7 UPICC, 2004 ed., <<http://www.unilex.info/dynasite.cfm?dssid=2377&dsmid=13637&x=1>>, [10.02.2014]; Doudko A.G., Summary of the Seminar on “Force Majeure and Hardship” organized by the ICC, Unif. L. Rev., Vol.6, 2001, 100-114, <<http://www.heinonline.org/HOL/PDF?handle=hein.journals/droit2001&collection=journals&section=12&id=104&print=section&sectioncount=1&ext=.pdf>>, [10.02.2014], მთითებულია წიგნში: Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 4.

<sup>128</sup> Andersen K.B., Uniform Application of the International Sales Law, Understanding Uniformity, the Global Jurisconsultorium and Examination and Notification Provisions of the CISG, Kluwer Law International, The Netherlands, 2007, 94.

<sup>129</sup> იქვე, 93.

<sup>130</sup> ხელშეკრულების ამაოების დოქტრინა პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შესრულება შეუძლებელი, კანონსაწინააღმდეგო ან იმ შინაარსისგან არსობრივად განსხვავებული ხედია, რაც მხარეებს პქონდათ ნაგულისსმევი და გამიზნული ხელშეკრულების დადგების ეტაპზე. აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ. McKendrick E., Contract Law, Oxford, Chapter 23, 2003. ხსენებული დოქტრინა პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად გამოყენებისას მკაცრად და ვიწროდ განიძარტება, რომელიც ანგლოამერიკულ სამართალში არსებული მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპის გამოხატულებად და ემსახურება მიზანს, არ მისცეს მხარეებს მბოჭავი ვალდებულებისგან მარტივად თავდადწევის საშუალება. ი.ბ. McKendrick E., The Creation of a European Law of Contracts – The Role of Standard Form Contracts and Principles of Interpretation, Kluwer-Deventer, 2004, 9-10.

<sup>131</sup> Syquia E.P., The Revision and Adaptation of Contracts in Philippine Law – With a Comparative Look at the Law of other ASEAN Countries, 1985, 91, წიგნში: Horn N.(ed.), Adaptation and Renegotiation of Contracts in International Trade and Finance, Deventer/The Netherlands, Kluwer Law and Taxation Publishers, 1985.

<sup>132</sup> Official Comment on Art. 7.1.7 UPICC, 2004,

<<http://www.unilex.info/dynasite.cfm?dssid=2377&dsmid=13637>>, [10.02.2014].

<sup>133</sup> Draetta U., Force Majeure Clauses in International Trade Practice, Bus. L. J., Vol. 5, 1996, 547.

ამრიგად, მიუხედავად სამართლებრივი სისტემების განსხვავებული მიღებისა, შესაძლებელი ხდება ფორსმაჟორის ცნების განზოგადებული მახასიათებლების ჩამოყალიბება.<sup>134</sup>

### 3.2. ევროპული პრინციპები და ვენის კონვენცია

უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 7.1.7-ე მუხლი თავისი შინაარსით ევროპული პრინციპების 1:108-ე მუხლით განმტკიცებული პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლის იდენტურია. ევროპული პრინციპების ხესნებული მუხლით განმტკიცებული ფორსმაჟორი შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის კონცეფციას გულისხმობს.<sup>135</sup>

ამრიგად, ევროპული პრინციპები მართალია, არ ამკვიდრებს ტერმინს „ფორსმაჟორი“, თუმცა 8:108-ე მუხლი განამტკიცებს მოვალის კონტროლის, შესაბამისად, პასუხისმგებლობის სფეროს მიღმა აღმოცენებულ შესრულების დამაბრკოლებელ გარემოებას<sup>136</sup> და ადგენს კლასიკური ფორსმაჟორის გამოყენების სამართლებრივ წინაპირობებს.

ვენის კონვენციის 79-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის გამორიცხვის წინაპირობებს და მისგან განთავისუფლების საფუძველია უმთავრესად შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის – ფორსმაჟორის არსებობისას. იურიდიული მეცნიერებისა და სასამართლო პრაქტიკის მიერ, ვენის კონვენციის ხესნებული ნორმა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლად იქნა აღიარებული შესრულების უკიდურესი გართულების პირობებშიც.<sup>137</sup>

ამრიგად, პასუხისმგებლობისა და მისგან განთავისუფლების კონცეფციების განვითარებისა და უნიფიცირების საფუძველზე ფორსმაჟორი ჩამოყალიბდა ზოგად სახელშეკრულებო პრინციპად, რომელშიც სინთეზირებულია ყველა ის არსებითი ნიშანი და წინაპირობა, რაც სამართლებრივი სისტემების მიერ ამ კონცეფციისათვის მიჩნეულ იქნა ძირითად მახასიათებლად. ამით აიხსნება, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები მნიშვნელოვნად

<sup>134</sup> Rimke J., Force Majeure and Hardship: Application in International Trade Practice with Specific Regard to the CISG and the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, Pace Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods, Kluwer, 1999-2000, 199, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/rimke.html#7>>, [10.02.2014].

<sup>135</sup> Southerington T., Impossibility of Performance and Other Excuses in International Trade, Publication of the Faculty of Law of the University of Turku, Private Law Publication Series B:55, Turku, 2001, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/southerington.html>>, [10.02.2014].

<sup>136</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 379. უნიდრუას 7.1.7-ე და ევროპული პრინციპების 8:108-ე მუხლები აწერიგებს მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება ხელშეკრულების დადების შემდგება.

<sup>137</sup> აღნიშნულ საკითხზე დეტალურად იქნება საუბარი შესრულების გართულებისადმი მიძღვნილ თავში.

უახლოვდებიან ერთმანეთს ფორსმაჟორის საფუძვლით პასუხისმგებლობისა-გან განთავისუფლების თვალსაზრისით.<sup>138</sup>

#### 4. ფორსმაჟორი როგორც პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი და მისი სამართლებრივი მახასიათებლები

ვენის კონვენცია განამტკიცებს მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპს, რომლის თანახმად, პირს მიუხედავად მისი ბრალეულობისა, შეერაცხება მისი კონტროლის სფეროში განხორციელებული ქმედება.<sup>139</sup> თუმცა, ვენის კონვენცია არ ითვალისწინებს შეუზღუდავ პასუხისმგებლობას, არამედ ადგენს მის გამომრიცხველ კრიტერიუმებს.<sup>140</sup> ამრიგად, უნიფიცირებული სამართლი ვენის კონვენციის სახით განამტკიცებს მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპს, თუმცა ამავდროულად, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას ცნობს პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესაძლებლობას.<sup>141</sup>

ფორსმაჟორის სამართლებრივი ბუნების ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიყოს მისი რამდენიმე არსებითი, კლასიკური ნიშანი. კერძოდ, ვენის კონვენციის 79-ე მუხლის<sup>142</sup> თანახმად, მხარეს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუ ის დაამტკიცებს, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვია (ა) მისი კონტროლის

<sup>138</sup> Zweigert K., Kötz H., An Introduction to Comparative Law, 3<sup>rd</sup> ed., Translated from the German by Weir T., Oxford, 1998, 510, 511-515.

<sup>139</sup> Lindström N., Changed Circumstances and Hardship in the International Sale of Goods, NJCL, 2006/1, 2, <[http://www.njcl.fi/1\\_2006/commentary1.pdf](http://www.njcl.fi/1_2006/commentary1.pdf)>, [17.04.2014].

<sup>140</sup> Lookofsky J., The 1980 United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, Herbots J. (ed.), Blanpain R. (gen. ed.), International Encyclopedia of Laws - Contracts, Suppl. 29, 2000, 152, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lookofsky.html>>, [20.07.2014].

<sup>141</sup> Schwenzer I., Hachem P., Kee Ch., Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012, 650.

<sup>142</sup> United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 1980, United Nations Commission on International Trade Law, United Nations' Publication – Sales No. E. 10. V.14, United Nations, New York, November, 2010, 24-25. 79-ე (2) მუხლის თარგმანი ითვალისწინებს: თუ მხარის მიერ ვალდებულების დარღვევა გამოიწვია მესამე მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობამ, რომელიც მან ჩართო მთლიანად ხელშეკრულების ან მისი ნაწილის შესასრულებლად, მაშინ ასეთი მხარე გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: ა) მისი პასუხისმგებლობა გამოირიცხება წინა პუნქტის საფუძველზე; ბ) მესამე პირი, რომელიც მან ჩართო, ასევე გათავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისაგან წინა პუნქტის დებულებების მის მიმართ ამოქმედების შემთხვევაში. 3) წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება ვრცელდება დაბრკოლების არსებობის პერიოდზე. 4) ვალდებულების დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს შეატყობინოს დაბრკოლების, მისი შედეგების შესახებ, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს დაბრკოლებამ მის მიერ ვალდებულების შესრულების შესაძლებლობაზე. თუ მხარე არ მიიღებს შეტყობინებას გონივრულ ვალაში მას შემდგებ, რაც დამრღვევგმა მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა ასეთი დაბრკოლების არსებობის შესახებ, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს შეტყობინების განუხორციელებლობით მეორე მხარისათვის გამოწვეული ნებისმიერი ზიანი. 5) წინამდებარე მუხლი არ ართმექს მხარეებს უფლებას მოითხოვონ კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი მეორადი უფლების განხორციელება, გარდა ზიანის ანაზღაურებისა.

სფეროს მიღმა არსებულმა მოვლენამ,<sup>143</sup> (გ) თუ მხარეს არ ჰქონდა ხელშეკრულების დადების ეტაპზე ამ მოვლენის წარმოშობის გონივრულად გათვალისწინების<sup>144</sup> (გ) ასევე, დაბრკოლების ან მისი შედეგების თავიდან აცილების ან მათი დაძლევის შესაძლებლობა.<sup>145</sup> ამასთან, დაბრკოლება უნდა იყოს შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზი.<sup>146</sup>

მნიშვნელოვანია, რომ ზემოხსენებული წინაპირობები ვენის კონვენციით განმტკიცებული პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების ცენტრალუ-

<sup>143</sup> Flechtner M.H., Issues Relating to Exemption (“Force Majeure”) Under Article 79 of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (“CISG”), Legal Studies Research Paper Series, Pittsburgh, Pennsylvania, 2008, 7,

<[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1118124](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1118124)>, [22.04.2014]; Honnold J.O., Flechtner H. M. (ed.), Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, 4<sup>th</sup> ed., Wolters Kluwer Law and Business, Austin, Boston, Chicago, New York, The Netherlands, 2009, 613; Trakman L.E., Declaring Force Majeure: Veracity or Sham? Un. of New South Wales, 2007, 15,

<[http://works.bepress.com/leon\\_trakman/4](http://works.bepress.com/leon_trakman/4)>, [22.07.2014].

<sup>144</sup> ვნის კონვენციის 79-ე მუხლი ვრცელდება მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდგომ აღმოცენებულ დაბრკოლებაზე. ვინაიდან შესრულების საწყისი შეუძლებლობა ხელშეკრულების ნამდვილობაზე ახდენს გავლენას და აღნიშნული საკითხი კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, მისი რეგულირების სფეროდან გამოირიცხება, ამდენად, 79-ე მუხლი არ მოიცავს შესრულების საწყისი შეუძლებლობის მოწესრიგებას. ი. წ. Flechtner H., Issues Relating to Exemption (“Force Majeure”) Under Article 79 of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG), Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, Honnold J., 4<sup>th</sup> ed., The Hague: Kluwer Law International, Forthcoming, University of Pittsburgh - School of Law, 2008, 10-13, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1118124##](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1118124##)>, [17.04.2014]; Lee W., Exemptions of Contract Liability Under the 1980 United Nations Convention, Dick. J. Int'l. L., 1990, 386, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lee.html>>, [17.04.2014].

მსგავსად, უნიდრუეს სახელშეკრულებო პრინციპების 7.1.7-ე და ეგროპული პრინციპების 8:108-ე მუხლები აწერივებს ხელშეკრულების დადების შემდგომ აღმოცენებულ შესრულების შეუძლებლობას. ი. წ. Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 379. შეად. Schwenzer I., Force Majeure and Hardship in International Sales Contracts, VUWLR, Vol. 39, 2008, 718,

<<http://www.austlii.edu.au/nz/journals/VUWLawRw/2008/39.pdf>>, [17.04.2014].

<sup>145</sup> Basedow J., Towards a Universal Doctrine of Breach of Contract: The Impact of the CISG, Int'l Rev. L. & Econ., Vol. 25, 2005, 497, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/basedow.html>>, [17.04.2014];

Lindström N., Changed Circumstances and Hardship in the International Sale of Goods, NJCL, 2006/1, 8-10, <[http://www.njcl.fi/1\\_2006/commentary1.pdf](http://www.njcl.fi/1_2006/commentary1.pdf)>, [17.04.2014]; Lee W., Exemptions of Contract Liability Under the 1980 United Nations Convention, Dick. J. Int'l. L., 1990, 388-391,

<<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lee.html>>, [17.04.2014]; Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 107; Nottage L., Changing Contract Lenses: Unexpected Supervening Events in English, New Zealand, U.S., Japanese, and International Sales Law and Practice, 2008, 403, <<http://ssrn.com/abstract=1105240>>, [17.04.2014]; Pizer L.K., Smith M.R. (eds in Chief), Southerington T., Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 2002-2003, Kluwer Law International, The Hague, London, New York, 2004, 285; ფორსმაჟორის აღნიშნულ წინაპირობებს განამტკიცებს ასევე საერთაშორისო საფაჭრო პალატაც; ი. წ. ICC Publication Num. 421, “Force Majeure and Hardship”, 1985, მთითებულია: DiMatteo L.A., The Law of International Contracting, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 2000, 57.

<sup>146</sup> Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1067; King V.K., Hardship as an Impediment to Performance in Terms of Article of the CISG, North-West University, November, 2010, 8.

რი, ფუნდამენტური მნიშვნელობის საფუძვლებია.<sup>147</sup> აღნიშნულ ნორმას ორმხრივი მოქმედება აქვს და მიემართება სახელშეკრულებო ურთიერთობის ორივე მონაწილეს: გამყიდველსა და მყიდველს.<sup>148</sup> მნიშვნელოვანია, რომ სექციული წინაპირობების<sup>149</sup> არსებობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გონივრული განსჯის საფუძველზე უნდა შეფასდეს. ამ შემთხვევაშიც სახელმძღვანელოა „გონიერი, წინდახედული პირის“<sup>150</sup> კრიტერიუმი.<sup>151</sup>

## 5. ფორსმაჟორის მოქმედების ფარგლები

ფორსმაჟორის გამოყენების საფუძველია სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა მიუხედავად იმისა, იგი ნაწილობრივია თუ სრული, დროებითი თუ მუდმივი, საწყისი თუ შემდგომი, აისახება თუ არა შეუსრულებლობა მესამე პირთა უფლებრივ ან ქონებრივ მდგომარეობაზე.<sup>152</sup>

თუ ხელშეკრულებით მოვალეს მხოლოდ შესრულებისათვის აუცილებელი და გონივრული ზომების მიღების მოვალეობა (*obligation de moyens*) აკისრია და არა განსაზღვრული შედეგის მიღწევისა (*obligation de résultat*),<sup>153</sup> მაშინ ხელშეკრულების დარღვევა გამოიხატება ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განუხორციელებლობით, „სათანადო მეთოდების გამოუყენებლობითა და ქცევის განსაზღვრული სტანდარტის“<sup>154</sup> დაუცველობით, ვინაიდან ხელშეკრულება მხოლოდ აუცილებელი და გონივ-

<sup>147</sup> Flechtner H., Article 79 of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) as Rorschach Test: The Homeward Trend and Exemption for Delivering Non-Conforming Goods, Pace Int'l L. Rev., Vol. 19, 2007/1, 30, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/flechtner7.html>>, [25.05.2014].

<sup>148</sup> Kessedjian C., Competing Approaches to Force Majeure and Hardship, Int'l Rev. L. & Econ., Vol. 25, 2005, 417, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/kessedjian.html>>, [25.05.2014].

<sup>149</sup> წინაპირობების შესახებ დაწვრილებით იხ. Backhaus R., The Limits of the Duty to Perform in the Principles of European Contract Law, EJCL, Vol. 8.1, 2004, <[www.ejcl.org](http://www.ejcl.org)>, [25.05.2014]; Flechtner M.H., Issues Relating to Exemption (“Force Majeure”) Under Article 79 of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (“CISG”), Legal Studies Research Paper Series, Pittsburgh, Pennsylvania, 2008, 7, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1118124](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1118124)>, [25.05.2014]; Wright C., Force Majeure Clauses and the Insurability of Force Majeure Risks, The Construction Lawyer, Vol. 23, 2003, 16-20,

<[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/conlaw23&div=46&g\\_sent=1&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/conlaw23&div=46&g_sent=1&collection=journals)>, [25.05.2014].

<sup>150</sup> *the bon père de famille*.

<sup>151</sup> Talon D., Section IV, Exemptions, Commentary on the International Sales Law, The 1980 Vienna Sales Convention, Art.79, Bianca M., Bonell M.J., Giuffrè-Milan, Milan, 1987, 580-581.

<sup>152</sup> Brunner Ch, Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 111; Magnus U., Force Majeure and the CISG, In The International Sale of Goods Revisited, Edited by Sarcevic and Volken, The Hague, 2001, 14.

<sup>153</sup> Reimann M., Zimmermann R., The Oxford Handbook of Comparative Law, Oxford University Press, USA, 2008, 923.

<sup>154</sup> Schmidt-Kessel M. (Osnabrück), Remedies for Breach of Contract in European Private Law - Principles of European Contract Law, Acquis Communautaire and Common und Frame of Reference, in Schulze R.(ed.), New Features in Contract Law, Sellier, European Law Publishers, München, 2007, 185, 192.

რული წინდახედულების გამოჩენას ავალდებულებს მხარეს. შედეგის, როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის, მიუღწევლობა მოვალეს ვალდებულების დარღვევად არ შეერაცხება და შესაბამისად, არ იარსებებს ფორსმაჟორის გამოყენების საფუძველი.

თუ გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული საქონელი დაზიანდება ან განადგურდება მყიდველისათვის მისი ჩაბარების შემდგომ, მაშინ გამყიდველს აღარ დაეკისრება ხელმეორედ შესრულების ვალდებულება, მიწოდების მომენტიდან შემთხვევითი დაღუპვის რისკის მყიდველზე გადანაცვლების (*preisgefahr*) გამო.<sup>155</sup> მყიდველის განკარგულების სფეროში გადასვლის შემდგომ საქონლის დაღუპვა, რომელიც გამყიდველის ქმედებით არ არის გამოწვეული, არ ქნის ფორსმაჟორის გამოყენების საფუძველს გამყიდველის მიერ ვალდებულების დარღვევის არარსებობის გამო. ამდენად, მყიდველი არ განთავისუფლდება სანაცვლო შესრულების – ფასის გადახდის ვალდებულებისგან, რომელიც მისი რისკის სფეროში სწორედ ვალდებულების შესრულების მიღების მომენტიდან მოიაზრება.<sup>156</sup>

აასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების მიზნით, მხარე ვერ დაეჭრდნობა მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტს, თუ ვალდებულების დარღვევა მისი, როგორც კრედიტორის, ქმედებითა თუ უმოქმედობით იქნა გამოწვეული. ამ შემთხვევაში მოვალის აასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძვლად შესაძლებელია ფორსმაჟორიც იქნეს გამოყენებული, რამეთუ ვალდებულების შეუსრულებლობა მოვალის კონტროლის სფეროს მიღმა არსებულმა დაბრკოლებამ – კრედიტორის ქმედებამ განაპირობა.<sup>157</sup> თუ ვალდებულების დარღვევაზე სრულად კრედიტორია აასუხისმგებლი, სამართლებრივი სისტემები უპირობოდ გამორიცხავენ მის მიერ ნებისმიერი მეორადი მოთხოვნის გამოყენების უფლებამოსილებას.<sup>158</sup>

ვალდებულების დარღვევის ერთიანი ცნებიდან გამომდინარე, ფორსმაჟორი, როგორც აასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველი, მიერთება ვალდებულების უველა სახის დარღვევას. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულების საფუძველზე აღმოცენებული უველა ვალდებუ-

<sup>155</sup> ი. ვენის კონვენციის 66-ე მუხლი.

<sup>156</sup> *Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration*, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 111.

<sup>157</sup> მოცემულ შემთხვევაში ფორსმაჟორთან შედარებით (სათანადო წინაპირობების არსებობისას) მოვალის აასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად უპირატესად გამოსაყენებელია სახელშეკრულებო კონტრაქტის (კრედიტორის) მიერ გამოწვეული ვალდებულების დარღვევა (*exemption due to interference by the other party*) (ვენის კონვენციის 80-ე მუხლი), რადგან ფორსმაჟორის საფუძვლით კრედიტორს მხოლოდ ზიანის ანაზღაურებისა და შესრულების მოთხოვნის უფლებები ეზღუდვება, ხოლო მეორე საფუძვლის გამოყენების შემთხვევაში კი, შესრულებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებთან ერთად გამოირიცხება ხელშეკრულებიდან გასვლის, ფასის შემცირებისა და ვალამოსული პროცენტის მოთხოვნის უფლებებიც. ი. *Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration*, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 115.

<sup>158</sup> *Schwenzer I., Hachem P., Kee Ch., Global Sales and Contract Law*, Oxford University Press, New York, 2012, 676.

ლების, მათ შორის ფულადი ვალდებულებისა და ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველზე წარმოშობილი რესტიტუციის ვალდებულების მიმართ.<sup>159</sup>

ფორსმაჟორი არ გულისხმობს ყოველგვარი ვალდებულების გამორიცხვას მხარეთა შორის. მაგალითად, ამ შემთხვევაში სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტისათვის აუცილებელი მოქმედებების განხორციელებისა და გარემოებათა ცვლილებით წარმოშობილი დამატებითი ხარჯების გადების ვალდებულება იწყებს ამოქმედებას.<sup>160</sup>

პრაქტიკაში ფორსმაჟორი ყველაზე იშვიათად ნაკლიანი შესრულების მიმართ გამოიყენება, რადგან გვაროვნული ნივთის ნაკლი, როგორც წესი, ყოველთვის მწარმოებელი გამყიდველის რისკის სფეროში მოიაზრება<sup>161</sup> და ის მკაცრად არის პასუხისმგებელი საქონლის ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლისათვის.<sup>162</sup>

## 6. შესრულების გართულების ზოგად სახელშეკრულებო პრინციპად აღიარება სასამართლო პრაქტიკის მიერ

ვალდებულების შესრულების გართულების ცნებაში განხოგადებული სახით გაერთიანდა ეროვნული სამართლებრივი სისტემების მიერ განმტკიცებული ამ კონცეფციის არსებითი სამართლებრივი მახასიათებლები, რის საფუძველზეც ეს კონცეფცია ზოგად სახელშეკრულებო პრინციპად<sup>163</sup> იქცა.

ვენის კონვენცია არ ითვალისწინებს შესრულების გართულების მომწერივებელ დამოუკიდებელ ნორმას. როგორც კონვენციის ტექსტი, ისე მისი შემუშავების ისტორია არაფერს იუწყება იმის შესახებ, 79-ე მუხლით განმტკიცებული ფორსმაჟორი აერთიანებს თუ არა შესრულების გართულების კონცეფციასას.<sup>164</sup> იურიდიულ დოქტრინაში არსებობს განსხვავებული

<sup>159</sup> *Magnus U.*, Wiener UN-kaufrecht (CISG) Art. 79 CISG para.11, *J. Von Staudingers Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch*, 14<sup>th</sup> ed., Berlin, 2005. მთითებულია წიგნში: *Brunner Ch.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 76.

<sup>160</sup> *Ciematniece I.*, Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 64.

<sup>161</sup> *Brunner Ch.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 76.

<sup>162</sup> *Schlechtriem P.*, *Schwenzer I.*, Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1075.

<sup>163</sup> იბ. *Brunner Ch.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 109. შემდგომი მთითებებით: *Magnus U.*, Force Majeure and the CISG, In The International Sale of Goods Revisited, Edited by Sarcevic and Volken, The Hague, 2001, 8; *Kessedjian C.*, Competing Approaches to Force Majeure and Hardship, Int'l Rev. L. & Econ., Vol. 25, 2005, 430, <[www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/kessedjian.html](http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/kessedjian.html)>, [24.06.2014]; *Barry N.*, Force Majeure and Frustration, Am. J. Comp. L., Vol. 27, 1979, 231,

<<http://www.heinonline.org/HOL/PDF?handle=hein.journals/amcomp27&collection=journals&section=22&id=245&print=section&sectioncount=1&ext=.pdf>>, [24.06.2014].

<sup>164</sup> *Brunner Ch.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 110.

მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, ხსენებული ნორმა მხოლოდ ფორსმაჟორის გამოყენების სამართლებრივ წინაპირობებს<sup>165</sup> განამტკიცებს, თუ იგი შესრულების გართულების ელემენტებსაც მოიცავს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მცნიერებაში დღემდე ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება ვერ განხორციელდა.<sup>166</sup>

ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაც არაერთგვაროვანია. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, ბულგარეთის სავაჭრო და ინდუსტრიული პალატის საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება,<sup>167</sup> რომელიც გართულებული სახელშეკრულებო ვალდებულებისგან განთავისუფლების თემას შეეხება. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მხარეთა შორის გაფორმდა საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა საქონლის ოდენობა, შესყიდვის ფასი და ანგარიშსწორების ფორმა. მყიდველი ასაბუთებდა გამყიდველის მიერ ვალდებულების დარღვევის არსებობას შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: ხელშეკრულების დადების შემდეგ მოვალემ შეტყობინების საფუძველზე სთხოვა გამყიდველს საქონლის მიწოდების შეწყვეტა საბაზრო პირობების გაუარესების მიზნით. შესაბამისად, რეალიზაციის პროცედურების გამო მისთვის გართულდა საქონლის შენახვა, გაიზარდა ვალუტის კურსი და მშენებლობის ბიზნესმა განიცადა კრიზისი. ამის საპასუხოდ, გამყიდველი ასაბუთებდა, რომ შეტყობინება არაფორმალურ ხასიათს ატარებდა და მყიდველს არ შეეძლო შეტყობინების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა. ასევე, მოვალეს არ განუცხადებია მიმწოდებლისთვის, თუ რა პერიოდით უნდა განხორციელებულიყო საქონლის მიწოდების შეჩერება, რომელი მხარე გაიდებდა საქონლის შენახვისა და დაცვის ხარჯებს და რა პირობებით და როდის განხორციელდებოდა სახელშეკრულებო ფასის გადახდა. ამასთან, შეტყობინების განხორციელების მომენტში, უკვე შესრულებული იყო საქონლის მნიშვნელოვანი ნაწილის მიწოდება, რომელიც მყიდველის განკარგულების სფეროში მოიაზრებოდა 4 წლის განმავლობაში და ხორციელდებოდა მისი რეალიზაცია.

ტრიბუნალის დასაბუთებით, ვალდებულების შესრულების დასახელებული სიძელეები, საბაზრო პირობების გაუარესება და ვალუტის გაუფასურება, რომელზეც მოვალე ამყარებდა პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების მოთხოვნას, ნებისმიერი მოვალის კომერციული რისკის სფეროში მოიაზრებოდა და დაუშვებელი იყო მისი სრულად კრედიტორზე გადაკისრება. ამასთან, ტრიბუნალის მტკიცებით, აღნიშნული გართულებები არ აკმაყოფი-

<sup>165</sup> *Bund J.M., Force Majeure Clauses: Drafting Advice for the CISG Practitioner, J.L. & Com., Vol. 17, 1998, 385, <http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/bund.html#t9>, [25.05.2014].*

<sup>166</sup> ერთ-ერთ არგუმენტად მოყვანიალია ვაქტი, რომ ცალკეული ქვეყნის სამართლებრივი სისტემა არ ცნობს შესრულების გართულების დოქტრინას, როგორც შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების საფუძველს. ი. ბ. *Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 110.*

<sup>167</sup> *Bulgarian Chamber of Commerce and Industry [BTPP (Bulgarska turgosko-promishlena palata)], Case No. 11/96, 12 February 1998, ი. ბ. <http://cisgw3.law.pace.edu/cases/980212bu.html#cd>, [20.07.2014];*

ლებდა ვენის კონვენციის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ წინაპირობებს და არ აფუძნებდა შესრულების ობიექტურ შეუძლებლობას.

ამრიგად, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა ვენის კონვენციის 79-ე მუხლი, მხოლოდ ფორსმაჟორის, როგორც აბსოლუტური შესრულების შეუძლებლობის, პირობებში გამოსაყენებლად მიიჩნია.<sup>168</sup> თუმცა, ის ფაქტი, რომ ვენის კონვენცია ცალკე მუხლის სახით არ განამტკიცებს შესრულების გართულების ცნებას, მაგრამ არსობრივად მისი მომცველია, არ გამორიცხავს ამ უკანასკნელის ზოგად სახელშეკრულებო პრინციპად აღიარებას.<sup>169</sup>

ვალდებულების შესრულების გართულების შეცვლილი გარემოებების პირობებში პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად და ზოგად სახელშეკრულებო პრინციპად აღიარების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბელგიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება<sup>170</sup>, რომლის საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მხარეებმა გააფორმეს ფოლადის მიღების ნასყიდობის ხელშეკრულება, რის შემდგომაც გაუთვალისწინებლად, 70%-ით გაიზარდა ფოლადის საბაზო დირებულება. ამასთან, ხელშეკრულება არ შეიცავდა ფასების დარეგულირების მექანიზმს შეცვლილი გარემოებების წარმოშობის შემთხვევისათვის. გამყიდველი, რომელიც წარმოდგენილი იყო ფრანგული კომპანიის სახით, მოითხოვდა სახელშეკრულებო ფასის მოდიფიცირებას, თუმცა მყიდველი, პოლანდიური კომპანიის სახით, უცვლელი პირობებით ითხოვდა შეთანხმებულ შესრულებას. პირველი ინსტანციის სასამართლომ ვალდებულების შესრულების გართულება არ მიიჩნია შეცვლილი გარემოებებისადმი ფასის მისადაგების საფუძვლად, იმ მოტივით, რომ აღნიშნული არ იყო ვენის კონვენციის რომელიმე, მათ შორის არც 79-ე, მუხლით მოაზრებული.

სააპელაციო სასამართლომ შეცვალა აღნიშნული გადაწყვეტილება და განმარტა, რომ შესრულების გართულების 79-ე მუხლის მოქმედება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ფორსმაჟორული გარემოებით და არ გამორიცხავდა შესრულების გართულების პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად აღიარებას. სასამართლომ გამოსაყენებელ სამართლად ფრანგული კანონმდებლობა აღიარა (ვენის კონვენციის მე-7 (2) მუხლის ძალით). კერძოდ, მან ხაზი გაუსვა ფრანგული სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – ფსკ) 1134-ე მუხლით განმტკიცებულ მხარეთა ვალდებულებას, აწარმოონ მოლაპარაკება ხელშეკრულების გადასინჯვის მიზნით, როდესაც კონომიკური გარემოებების ცვლილება ვალდებულების თავდაპირველი პირობებით შესრულების შემთხვევაში უსამართლო შედეგებს იწვევს. ამ დე-

<sup>168</sup> მსგავს მიღოვანს წარმოაჩენს შემდეგი გადაწყვეტილებები: *OLG Hamburg, 1 U 143/95 and 410 O 21/95, 04 July 1997*, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/970704g1.html>>, [20.07.2014]; *Tribunal of International Commercial Arbitration at the Russian Federation Chamber of Commerce and Industry, 155/1994, 16 March 1995*.

<sup>169</sup> *Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration*, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 43.

<sup>170</sup> *Scafom International BV v. Lorraine Tubes S.A.S; Hof van Cassatie, 19 June 2009, N°C.07.0289.N*, <<http://cisgw3.law.pace.edu/cisgw/wais/db/cases2/090619b1.html#ctoc>>, [20.07.2014].

ბულების ძალით, სასამართლომ მყიდველის მხრიდან მოლაპარაკებებზე უარის განცხადება კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევად მიიჩნია და გამყიდველის სასარგებლოდ დააკისრა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მყიდველმა ბელგის უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც არ გაიზიარა პოლანდიური კომპანიის არგუმენტები და მხარი დაუჭირა სააპელაციო სასამართლოს პოზიციას თუმცა, განსხვავებულ სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით: შეცვლილი გარემოებები, რომლებიც სახელშეკრულებო წონასწორობის არსებით რღვევას განაპირობებს, აფუძნებს დაბრკოლებას ვენის კონვენციის 79-ე მუხლის შინაარსით. მაგრამ ვინაიდან ვენის კონვენცია შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგების მოწესრიგებას არ ახდენს, აღნიშნული ხარჯები მქ-7 (2) მუხლის თანახმად, საერთაშორისო სავაჭრო სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე უნდა შეივსოს. შესაბამისად, სასამართლომ საერთაშორისო სავაჭრო სამართლის ნიშანსვეტი – უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები გამოიყენა, რომლის 6.2.2-ე მუხლი შესრულების გართულებას შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების წინაპირობად აღიარებს დარღვეული სახელშეკრულებო წონასწორობის აღდგენის მიზნისათვის.

სასამართლოს პოზიციით, ვენის კონვენციის 79-ე მუხლით განმტკიცებული დაბრკოლების კონცეფცია მნიშვნელოვნად ფართოა და მოიცავს როგორც შესრულების აბსოლუტური შეუძლებლობის, ასევე შესრულების გართულების შემთხვევებსაც.

ეს იყო ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება, რომელმაც საბაზრო ფასთა ცვლილებები ხელშეკრულების ადაპტაციის საფუძვლად მიიჩნია.<sup>171</sup> ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე კიდევ ერთხელ მყარდება იმ მეცნიერთა აზრი, რომლებიც შესრულების გართულებას ფორსმაჟორთან ერთად, ვენის კონვენციით განმტკიცებულ სამართლის ზოგად პრინციპად აღიარებენ.

ამირაგად, ვენის კონვენციის 79-ე მუხლი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველია უმთავრესად შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის – ფორსმაჟორის არსებობის პირობებში. თუმცა, თანდათანობით აღნიშნული მუხლის მოქმედების ფარგლები გაფართოვდა და შედეგად, იურიდიული მეცნიერებისა და სასამართლო პრაქტიკის მიერ, ვენის კონვენციის ხსენებული ნორმა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლად იქნა აღიარებული შესრულების უკიდურესი გართულების პირობებში.<sup>172</sup> დაბრკოლებაში არ მოიაზრება მხოლოდ ისეთი გარემოებები, რომელიც შეუძლებელს ხდის ვალდებულების შესრულებას, არამედ ასევე მოვლენები, რომლებიც ვალდებულების შესრულებას მოვალისათვის უკიდურესად ამძიმებს.

<sup>171</sup> Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 195.

<sup>172</sup> აღნიშნული საკითხი დეტალურად იქნა განხილული შესრულების გართულებისადმი მიძღვნილ თავში.

## 7. შესრულების გართულება როგორც ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპი უნიფიცირებულ ქერძო სამართალში

შესრულების გართულების არსი სრულყოფილად წარმოჩინდება უნიფიცირებული სამართლის კვლევის საფუძველზე.

### 7.1. უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები

უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები, ევროპული პრინციპები და *DCFR*, ვენის კონვენციისგან განსხვავებით, ითვალისწინებენ შესრულების გართულების დამოუკიდებელი მუხლებით რეგულირებას.<sup>173</sup> შესრულების გართულების კონცეფცია მოიცავს ანგლოამერიკული სამართლისათვის ნიშანდობლივ „სახელშეკრულებო მიზნის ამაღების“ ან „განუხორციელებლობის დოქტრინებს“,<sup>174</sup> ან ორივეს ერთად.<sup>175</sup>

1994 წელს უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების მიღებით, პირველად საერთაშორისო კომერციული სამართლის ნორმათა განვითარების ისტორიაში, შესრულების გართულების კონცეფციის მოქმედება აღიარებული იქნა სახელშეკრულებო შეთანხმებისგან დამოუკიდებლად. ეს იყო ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპიდან გამონაკლისის აღიარება შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების ადაპტაციის სახით.<sup>176</sup> უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები შეცვლილი გარემოებებით გამოწვეულ ვალდებულების შესრულების უკიდურეს დაბრკოლებას შესრულების გართულების ტერმინით განამტკიცებს 6.2.1-ე-6.2.3-ე მუხლებში და დეტალურად აწესრიგებს მის ცნებასა და სამართლებრივ შედეგებს. 6.2.1-ე მუხლი უპირველესად განამტკიცებს ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპს, რომლის თანახმად, მხარისათვის სახელშეკრულებო ვალდებულება მბოჭავია მისი შესრულების გართულების შემთხვევაშიც; შეთანხმების მხოლოდ ეკონომიკური სარგებლიანობის დაკარგვა არ შეიძლება გახდეს ხელშეკრულებაზე უარის საფუძველი.<sup>177</sup> ხარჯების მოულოდნელი ზრდა უპირობოდ არ ათავი-

<sup>173</sup> *Garro M.A.*, Comparison between Provisions of the CISG Regarding Exemption of Liability for Damages (Art. 79) and the Counterpart Provisions of the UNIDROIT Principles, Art. 7.1.7, 2005, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/principles/uni79.html>>, [25.05.2014]; *Schwenzer I.*, Force Majeure and Hardship in International Sales Contracts, VUWLR, Vol. 39, 2008, 712, <[www.austlii.edu.au/nz/journals/VUWLAWRw/2008/39.pdf](http://www.austlii.edu.au/nz/journals/VUWLAWRw/2008/39.pdf)>, [25.05.2014].

<sup>174</sup> *Jenkins S. H.*, Exemption for Nonperformance: UCC, CISG, UNIDROIT Principles - A Comparative Assessment, Tul. L. Rev., Vol.72, 1998, 2027, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/jenkins.html>>, [25.05.2014].

<sup>175</sup> *Bund J.M.*, Force majeure Clauses: Drafting Advice for the CISG Practitioner, J.L. & Com., Vol. 17, 1998, 386, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/bund.html#t9>>, [25.05.2014].

<sup>176</sup> *Ciematniece I.*, Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 35.

<sup>177</sup> *Lando O.*, Vision of a Future World Contract Law: Impact of European and UNIDROIT Contract Principles, Thomson/West, UCCLJ, Vol. 37, Issue 2, 2004, 39,

<[www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lando3.html](http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lando3.html)>, [25.05.2014]; *Lando O.*, Salient Features of the Principles of European Contract Law: A Comparison with the UCC, Pace Int'l L. Rev., Vol. 13, 2001, 366,

სუფლებს მოვალეს ხელშეკრულების მბოჭავი ძალისგან, სახეზე უნდა იყოს არსებითად მკვეთრი ცვლილება. შესაბამისად, შესრულების გართულება, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველი, მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში, განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას უნდა იქნეს გამოყენებული.

უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 6.2.2-ე მუხლი აღიარებს ხელშეკრულების დაურღვევლობის პრინციპიდან გამონაკლისს ვალდებულების შესრულების გართულების განმარტების სახით: ვალდებულების შესრულების გართულებას წარმოშობს ახლადგამოვლენილი გარემოებების მიერ სახელშეკრულებო წონასწორობის არსებითი, მკვეთრი ცვლილება, რაც გამოწვეულია ერთი მხარისათვის შესრულების დირებულების გაზრდის ან მეორე მხარის მიერ მიღებული შესრულების დირებულების შემცირებით.<sup>178</sup> აღნიშნული გულისხმობს, რომ დაზარალებული მხარე შესაძლებელია იყოს როგორც მყიდველი, ასევე გამყიდველი.<sup>179</sup> ამასთან, სახეზე უნდა იყოს შემდეგი სამართლებრივი წინაპირობები<sup>180</sup>: (ა) შეცვლილი გარემოებები უნდა აღმოცენდეს ან მხარისათვის გახდეს ცნობილი ხელშეკრულების დადების შემდეგ; (ბ) გონივრულად შეუძლებელი უნდა იყოს შეცვლილი გარემოებების ხელშეკრულების დადების ეტაპზე გათვალისწინება; (გ) გარემოებები უნდა არსებობდეს მხარის კონტროლის სფეროს მიღმა<sup>181</sup>; (დ) მხარეს არ უნდა ჰქონდეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი.<sup>182</sup>

უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 6.2.2-ე მუხლის კომენტარის თანახმად, შესრულების დირებულების ან ფასის 50%-ით ან მეტით გაზრდა/შემცირება იწვევს სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებით, ფუნდამენტურ ცვლილებას, როგორც შესრულების გართულების დაფუძნების

<<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lando.html#3iii>>, [25.05.2014].

<sup>178</sup> Gordley J., Impossibility and Changed and Unforeseen Circumstances, *Am. J. Comp. L.*, Vol. 52, 2004, 524, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/gordley1.html>>, [25.05.2014]; Jenkins S. H., Exemption for Non-performance: UCC, CISG, UNIDROIT Principles - A Comparative Assessment, *Tul. L. Rev.*, Vol. 72, 1998, 2028, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/jenkins.html>>, [25.05.2014]; Slater S.D., Overcome by Hardship: Inapplicability of the UNIDROIT Principles' Hardship Provisions to CISG, *Fla. J. Int'l L.*, Vol.12, 1998, 240, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/slater.html>>, [25.05.2014]; Pizer L.K., Smith M.R. (eds. in Chief), Southerington T., Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 2002-2003, Kluwer Law International, The Hague, London, New York, 2004, 262.

<sup>179</sup> Schwenzer I., Force Majeure and Hardship in International Sales Contracts, *VUWLR*, Vol. 39, 2008, 715, <<http://www.austlii.edu.au/nz/journals/VUWLawRw/2008/39.pdf>>, [25.05.2014].

<sup>180</sup> Fucci R.F., Hardship and Changed Circumstances as Grounds for Adjustment or Non-Performance of Contracts Practical Considerations in International Infrastructure Investment and Finance, American Bar Association Section of International Law, 2006,

<<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/fucci.html>>, [25.05.2014].

<sup>181</sup> Draetta U., Lake R.B., Nanda V.P., Breach and Adaptation on International Contracts, An Introduction to Lex Mercatoria, Butterworth Legal Publishers, 1992, 195.

<sup>182</sup> აღნიშნული წინაპირობა ასევე გულისხმობს მხარის არაბრალეულობას, მისგან დამოუკიდებელი დაბრკოლების წარმოშობის მიმართ. Fucci R.F., Hardship and Changed Circumstances as Grounds for Adjustment or Non-Performance of Contracts, Practical Considerations in International Infrastructure Investment and Finance, American Bar Association Section of International Law, 2006, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/fucci.html>>, [25.05.2014].

სამართლებრივ წინაპირობას.<sup>183</sup> ამიტომაც, შესრულების გართულების კონცეფცია იურიდიულ დოქტრინაში „ეკონომიკური ფორსმაჟორის“ ტერმინითაც არის მოხსენიებული.<sup>184</sup>

## 7.2. ევროპული პრინციპები

უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებისგან განსხვავებით, ევროპული პრინციპები „შესრულების გართულების“ ნაცვლად ითვალისწინებს ტერმინს – „შეცვლილი გარემოებები“.<sup>185</sup> ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების მიღებობა შედარებით ზუსტია, რადგან შეცვლილი გარემოებების გავლენით შესაძლებელია დაფუძნდეს როგორც შესრულების გართულება, ასევე ფორსმაჟორიც.

ევროპული პრინციპების მიხედვით, სახელშეკრულებო ვალდებულების ყოველგვარი გართულება არ ქმნის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს.<sup>186</sup> კერძოდ, 6:111-ე მუხლის თანახმად,

1) სახელშეკრულებო ვალდებულება მხარისათვის მბოჭავია ვალდებულების შესრულების გართულების შემთხვევაშიც, რომელიც გამოწვეულია შესრულების ხარჯის გაზრდით ან მიღებული შესრულების ფასის შემცირებით;

2) თუ ხელშეკრულების შესრულება გარემოებების შეცვლის გამოუკიდურებად მძიმდება, მხარეები ვალდებული არიან აწარმოონ მოლაპარაკება ხელშეკრულების მისადაგებისა თუ შეწყვეტის მიზნით იმ პირობით, რომ: ა) გარემოებათა ცვლილება აღმოცენდა ხელშეკრულების დადების შემდეგ; (ბ) გარემოებების ცვლილების შესაძლებლობა გონივრულად ვერ იქნებოდა გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების დროს; (გ) ხელშეკრულების საფუძველზე გარემოებების ცვლილების რისკი არ ეკისრება დაზარალებულ მხარეს.

მნიშვნელოვანია, რომ შეცვლილი გარემოებების პირობებში ხელშეკრულების შესრულება ეკონომიკურად დამღუპველი უნდა იყოს მხარისათვის. თუმცა, შესრულების უკიდურესი დამძიმება შესრულების შეუძლებლობაზე დაბალი ხარისხის<sup>187</sup> დაბრკოლებას გულისხმობს, რომელიც ეკონომიკური

<sup>183</sup> Slater S.D., Overcome by Hardship: The Inapplicability of the UNIDROIT Principles' Hardship Provisions to CISG, Fla. J. Int'l L., Vol. 12, 1998, 240,

<<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/slater.html>>, [25.05.2014];

<sup>184</sup> Lookofsky J., Impediments and Hardship in International Sales: A Commentary on Catherine Kessedjian's Competing Approaches to Force Majeure and Hardship, Int'l Rev. L. & Econ., Vol. 25, 2005, 438,

<[www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lookofsky.html](http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lookofsky.html)>, [25.05.2014].

<sup>185</sup> შეად. ევროპული პრინციპების 6:111-ე და უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 6.2.2-ე მუხლები.

<sup>186</sup> Lando O., Vision of a Future World Contract Law: Impact of European and UNIDROIT Contract Principles, Thomson/West, UCCLJ, Vol. 37, Issue 2, 2004, 40,

<[www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lando3.html](http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lando3.html)>, [25.02.2014];

<sup>187</sup> Flechner M.H., Issues Relating to Exemption ("Force Majeure") Under Article 79 of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods ("CISG"), Legal Studies Research Paper Series, Pittsburgh, Pennsylvania, 2008, 8, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1118124](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1118124)>, [25.05.2014].

თვალსაზრისით სახელშეკრულებო ბალანსის რდგევასა<sup>188</sup> და მოვალისათვის შესრულების ხარჯების გაუმართლებელ ზრდას უნდა იწვევდეს.<sup>189</sup> ეპროპული პრინციპები მიმართავს ფრანგული სამართლით განმტკიცებულ „გაუთვალისწინებლობის“ დოქტრინას<sup>190</sup> და 6:111-ე მუხლის საფუძვლად *Clausula Rebus Sic Stantibus* (ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპი უცვლელ გარემოებათა პირობებში) პრინციპს ასახელებს.<sup>191</sup> ფრანგულ სამართალში შეზღუდული სახით მოქმედ „გაუთვალისწინებლობის“ დოქტრინაზე მითითება 6:111-ე მუხლის ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპიდან გამონაკლისის სახით გამოყენებას უნდა აღნიშნავდეს.<sup>192</sup>

სახელშეკრულებო გალდებულების შესრულების გართულების კლასიკურ შემთხვევებად აღიარებულია: ფასების ათმაგი ზრდა ხელშეკრულების დადების შემდგომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, დამატებითი დანადგარებით ქარხნების აღჭურვის ვალდებულების დაწესება, რომელიც უკიდურესად ამძიმებს შესრულებას, ეროვნული ვალუტის გაუფასურება 80%-ით,<sup>193</sup> შესყიდული საქონლის რეალიზაციის ბაზრის გაუქმება სახელმწიფო მშობებით.<sup>194</sup>

### 7.3. DCFR

ნაშრომში განხილულ სამართლებრივ ინსტრუმენტებთან შედარებით DCFR-ის მიღებობა მნიშვნელოვნად შემზღუდავია. კერძოდ, III-1:110-ე მუხლით განმტკიცებულია შესრულების გართულების კიდევ ერთი დამფუძნებელი წინაპირობა, რომელიც საუკეთესოდ გამოხატავს აღნიშნული კონცეფციის

<sup>188</sup> Schwenzer I., Force Majeure and Hardship in International Sales Contracts, VUWLR, Vol. 39, 2008, 714-715, <<http://www.austlii.edu.au/nz/journals/VUWLawRw/2008/39.pdf>>, [25.05.2014].

<sup>189</sup> Backhaus R., The Limits of the Duty to Perform in the Principles of European Contract Law, EJCL, Vol. 8.1, 2004, 9-10, <[www.ejcl.org](http://www.ejcl.org)>, [25.05.2014].

<sup>190</sup> Horn N., Changes in Circumstances and the Revision of Contracts in some European Laws and in International Law, 1985, 18 წიგნში: Horn N. (ed.), Adaptation and Renegotiation of Contracts in International Trade and Finance, Deventer/The Netherlands, Kluwer Law and Taxation Publishers, 1985.

<sup>191</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 325.

<sup>192</sup> შეცვლილი გარემოებების დოქტრინა ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპიდან გამონაკლისის სახით არის აღიარებული უნიდრუსას სახელშეკრულებო პრინციპების მიხედვითაც, იხ. UNIDROIT Official Comment 6.2.1,

<<http://www.unilex.info/dynasite.cfm?dssid=2377&dsid=109294>>, [25.05.2014].

<sup>193</sup> მნიშვნელოვანია, რომ ევროპული პრინციპების 1994 წლის I გამოცემით სახელშეკრულებო ურთიერთობის ფინანსური მდგომარეობის 50%-ით ცვლილება მიზნეულ იქნა სახელშეკრულებო ბალანსის ფუნდამენტურ რეგულაცია, ხოლო 2004 წლის II გამოცემა უკვე თავს იკავებს კონკრეტული პროცესტურული ოდენობის ზღვარის დასახლებისგან, რაც გულისხმობს, რომ შესრულების გართულების არსებობა ხელშეკრულების განმარტების, კონკრეტული შემთხვევის ანალიზის საფუძველზე უნდა გადაწყდეს. Schwenzer I., Force Majeure and Hardship in International Sales Contracts, VUWLR, Vol. 39, 2008, 716,

<<http://www.austlii.edu.au/nz/journals/VUWLawRw/2008/39.pdf>>, [25.05.2014].

<sup>194</sup> Fucci R.F., Hardship and Changed Circumstances as Grounds for Adjustment or Non-Performance of Contracts, Practical Considerations in International Infrastructure Investment and Finance, Thelen Reid & Priest LLP, American Bar Association Section of International Law, 2006,

<<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/fucci.html>>, [25.05.2014].

სამართლებრივ ბუნებას. კერძოდ, შეცვლილი გარემოებების პირობებში მოვალისაგან ვალდებულების შესრულების მოთხოვნა მნიშვნელოვნად უსამართლო და არაგონივრული უნდა იყოს.<sup>195</sup> ამიტომაც შესრულების გართულების კონცეფციაც სახელშეკრულებო სამართლიანობის უზრუნველყოფას ემსახურება.<sup>196</sup> ამ თვალსაზრისით, *DCFR* ნაშრომში განხილული უნიფიცირებული სამართლებრივი ინსტრუმენტებისგან განსხვავებულ მიღებას ავლენს. *DCFR*-ის მსგავსად, ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი (შემდგომში – ისკ) ითვალისწინებს მითითებას სახელშეკრულებო სამართლიანობის კრიტერიუმზე. კერძოდ, 6:258-ე მუხლის<sup>197</sup> თანახმად, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლო უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება ან შეცვალოს მისი სამართლებრივი შედეგები, თუ შეცვლილი გარემოებების საფუძველზე მხარეს გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტების გათვალისწინებით არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების შეცვლელი პირობებით გაგრძელება. სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს ან შეწყვიტოს ხელშეკრულება ორმხრივი შედეგებით.

იგალიის სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – ისკ) 1467-ე მუხლი შესრულების გართულების კონცეფციის უმთავრეს მახასიათებლად შესრულების უკიდურეს დამძიმებას ითვალისწინებს, გსკ-ის 313-ე პარაგრაფი – ხელშეკრულების საფუძვლად მიჩნეული გარემოებების არსებით, ფუნდამენტურ ცვლილებას.

*DCFR*-ის ოფიციალური კომენტარის თანახმად, სახელშეკრულებო ურთიერთობის სამართლებრივი საფუძველი შეცვლილი გარემოებების გავლენით ძირეულად, არსებითად უნდა იყოს შეცვლილი და არსებობდეს მკვეთრი შეუსაბამობა მხარეთა ურთიერთსანაცვლო ვალდებულებებს შორის

სამართლიანობის კრიტერიუმის ანალიზი, რა თქმა უნდა, ძალიან რთულია, რადგან ის სრულად თავისუფალი უნდა იყოს ერთ-ერთი მხარის მიმართ სუბიექტური დამოკიდებულებისგან. აღნიშნული კრიტერიუმის ანალიზი თავისთავად გულისხმობს ისეთი გარემოებების შეფასებას, რომლებიც განსახილველი ხელშეკრულების შინაარსს უშუალოდ არ უკავშირდება. კერძოდ – მხარის ფინანსური მდგომარეობა და თვით მესამე პირებთან ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულებები. რეალურად შესრულების სირთულის ხარისხის განსაზღვრა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ობიექტური

<sup>195</sup> Bar Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Vaneziano A., Zoll F. (eds.), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference, Study Group on a European Civil Code and Research Group on EC Private Law (Acquis Group), Sellier, European Law Publishers GmbH, Munich, 2009, 737, <[http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law_en.pdf)>, [20.07.2014].

<sup>196</sup> იქვე, 75.

<sup>197</sup> ob. Dutch Civil Code, Book 6, The Law of Obligations, Art. 6:258,  
<[www.dutchcivillaw.com/legislation/dcctitle6655.html](http://www.dutchcivillaw.com/legislation/dcctitle6655.html)>, [25.05.2014].

გარემოებების პალევას უნდა ეფუძნებოდეს,<sup>198</sup> შესრულების ღირებულების ზრდის საზომი ობიექტური გარემოებანი უნდა იყოს.<sup>199</sup>

სახელშეკრულებო წონასწორობისა და მხარეთა ურთიერთსანაცვლო მოვალეობების ბალანსის შეფასებისთვის ურთიერთკავშირში უნდა იქნეს განხილული ხელშეკრულების დადების ეტაპზე ნაკისრი და შეცვლილი გარემოებების პირობებში გარდასახული მხარეთა უფლება-მოვალეობების მოცულობა, თანაფარდობა და შინაარსი.

#### 8. შესრულების გართულების და ფორსმაჟორის ფუნქციური განსხვავება ხელშეკრულების სამართლებრივ ბედოან მიმართებით

შესრულების გართულების კონცეფცია ფორსმაჟორის შემდეგი სამართლებრივი მახასიათებლებით ემიჯნება: შესრულების გართულება უნდა იყოს მაღალი ხარისხის, მაგრამ კვლავ ობიექტურად განხორციელებადი.<sup>200</sup> ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ფორსმაჟორისა და შესრულების გართულების კონცეფციებს ფუნქციურად განსხვავებული მიზანი აქვთ: შესრულების გართულება ხელშეკრულების შინაარსის ადაპტირების საფუძველი ხდება და მხარეთა მიზნად კვლავ შეთანხმების აღსრულება რჩება.<sup>201</sup> ხელშეკრულება ავტომატურად არ წყდება, არამედ შესაძლებელია მოხდეს მისი მოდიფიცირება.<sup>202</sup> ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ უნიდრუას სახელშეკრულებო პრინ-

<sup>198</sup> Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 200.

<sup>199</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმითა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინება საქმიზე: №ას-466-707-08.

<sup>200</sup> Lando O., Salient Features of the Principles of European Contract Law: A Comparison with the UCC, Pace Int'l L. Rev., Vol. 13, 2001, 367, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lando.html#3iii>>, [25.05.2014]. მაგალითად, შესრულების გართულებას აფუძნებს ინფლაცია, თუ კომპანიას ნაკისრი აქვს წელის მიწოდების ვალდებულება ხელშეკრულებით შეთანხმებულ ფიქსირებულ ფასად და ბაზარზე მნიშვნელოვნად იცვლება ხელშეკრულების საგნის ფასი. იხ. English Case Staffordshire Area Health Authority v. South Staffordshire Waterworks Co [1978] 1 W.L.R. 1387. 1908 წლის კომპანიამ იკისრა ოცდაათი წლის განმავლობაში ბუნებრივი აირის მიწოდების ვალდებულება ფიქსირებულ ფასად, მაგრამ I მსოფლიო ომის შემდგომ ქვანახშირის დეფიციტმა ოთხჯერ გაზარდა ბუნებრივი აირის დირებულება. Nicholas B., The French Law of Contract, 2<sup>nd</sup> ed., OUP Oxford, 1992, 208, 209. შესრულების გართულება წარმოიშობა მაშინაც, როდესაც ქვეყანაში ფაქტობრივად ადარ არსებობს ბაზარი შესყიდული საქონლის რეალიზაციისთვის. იხ. Lando O., A Vision of a Future World Contract Law: Impact of European and UNIDROIT Contract Principles, Reproduced with the consent of West Services, Inc., UCCLJ, Vol. 37, Issue 2, 2004, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lando3.html#83>>, [25.05.2014].

<sup>201</sup> Rimke J., Force Majeure and Hardship: Application in International Trade Practice with Specific Regard to the CISG and the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, Reproduced with Permission of Pace Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods, Kluwer, 1999-2000, 200, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/rimke.html>>, [25.05.2014].

<sup>202</sup> იქვე.

202 შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებისა და მეორადი მოთხოვნის უფლებების შესახებ იხილეთ: Schwenzer I., Force Majeure and Hardship in International Sales Contracts, VUWLR, Vol. 39, 2008, 721-725, <<http://www.austlii.edu.au/nz/journals/VUWLawRw/2008-39.pdf>>, [27.06.2014].

ციპები ფორსმაჟორის რეგულირებას მოიცავს ვალდებულების დარღვევის თავში,<sup>203</sup> ხოლო შესრულების გართულება ვალდებულების შესრულების ნაწილშია გაერთიანებული.<sup>204</sup> მსგავსად, შეცვლილი გარემოებების პრობლემაზე მოწესრიგებულია ევროპული პრინციპების მე-6 თავში, რომელიც ხელშეკრულების შინაარსსა და იურიდიულ ძალას შეეხება. მხარეებმა, როგორც მათი შემთხვევის საუკეთესო მოსამართლებმა, უნდა აწარმოონ სახელშეკრულებო მოლაპარაკება კეთილსინდისიერების პრინციპის ხელმძღვანელობით. ხოლო თუ მოლაპარაკებას არ შეიძლება აღნიშნული მიზანი ჰქონდეს, რადგან მნიშვნელოვნად დარღვეულია ეკონომიკური ბალანსი,<sup>205</sup> მაშინ შეწყვიტონ ხელშეკრულება.<sup>206</sup> ფორსმაჟორი კი ვალდებულების დარღვევის კონტექსტში განიხილება, რომელიც ხელშეკრულების შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველი ხდება.<sup>207</sup>

---

<sup>203</sup> Wright C., Force Majeure Clauses and the Insurability of Force Majeure Risks, *The Construction Lawyer*, Vol. 23, 2003, 19, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/conlaw23&div=46&g\\_sent=1&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/conlaw23&div=46&g_sent=1&collection=journals)>, [27.07.2014].

<sup>204</sup> Perillo J., Force Majeure and Hardship under the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, *Contratación internacional. Comentarios a los Principios sobre los Contratos Comerciales Internacionales del Unidroit*, Universidad Nacional Autónoma de México - Universidad Panamericana, 1998, 120, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/perillo3.html>>, [27.07.2014].

<sup>205</sup> Flechtner M.H., Issues Relating to Exemption (“Force Majeure”) Under Article 79 of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (“CISG”), *Legal Studies Research Paper Series*, Pittsburgh, Pennsylvania, 2008, 8, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1118124](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1118124)>, [27.07.2014].

<sup>206</sup> Lando O., Salient Features of the Principles of European Contract Law: A Comparison with the UCC, *Pace Int'l L. Rev.*, Vol. 13, 2001, 367, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lando.html#3iii>>, [27.07.-2014]. შესრულების გართულების სამართლებრივ შედეგებზე იხილეთ: Perillo J., Force Majeure and Hardship under the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, *Contratación internacional. Comentarios a los Principios sobre los Contratos Comerciales Internacionales del Unidroit*, Universidad Nacional Autónoma de México - Universidad Panamericana, 1998, 130-132, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/perillo3.html>>, [27.07.2014].

<sup>207</sup> Rimke J., Force Majeure and Hardship: Application in International Trade Practice with Specific Regard to the CISG and the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, Reproduced with Permission of Pace Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods, Kluwer, 1999-2000, 201, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/rimke.html>>, [27.07.2014].

#### IV. შესრულების გართულებისა და ფორსმაჟორის ანალოგი კონცეფციები უცხოურ სამართლებრივ სისტემებში

##### 1. შეცვლილი გარემოებების მნიშვნელობის აღიარება სამართლის ისტორიული განვითარების პერიოდში

შეცვლილი სახელშეკრულებო გარემოებების მნიშვნელობა აღიარებულ იქნა ჯერ კიდევ კანონიკური სამართლის იურისტების მიერ, რომლებიც პირობის დარღვევას, გაუთვალისწინებელი შეცვლილი გარემოებების წარმოშობის შემთხვევაში, არ მიიჩნევდნენ მართლსაწინააღმდეგოდ.<sup>208</sup> შეცვლილი გარემოებების დოქტრინა ახსნილ იქნა არისტოტელეს თანასწორუფლებიანობის თეორიით, რომლის თანახმად, კანონის მიღების შემდეგ შეიძლებოდა აღმოცენებულიყო გარემოებები, რომელთა არსებობის პირობებში კანონმდებელი, თანასწორუფლებიანობის თვალსაზრისით, არაგონივრულად მიიჩნევდა კანონის განუხერელ დაცვას.<sup>209</sup> შეცვლილი გარემოებების დოქტრინამ ასახვა ჰქონა ასევე, თომა აკვინელის, სქოლასტიკოსების, ბუნებითი სამართლის იურისტების შრომებშიც.

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპი სამართლებრივი სტაბილურობის შენარჩუნების გარანტიაა, პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მის შეუზღუდავ გამოყენებას ხშირ შემთხვევაში შეიძლება საპირისპირო შედეგები მოჰყვეს.<sup>210</sup> *Pacta Sunt Servanda* მართალია, ვალდებულებითი სამართლის ფუძემდებლურ პრინციპად ითვლება, მაგრამ მოვალის იძულება, ყოველგვარი შეცვლილი გარემოებების მიუხედავად ვალდებულების შესრულებაზე, არაგონივრული და ფატალური იქნებოდა საერთაშორისო საგაჭრო ბრუნვისათვის, ხოლო კონტრაქტი, როგორც სამართლებრივი გარიგება, აზრს დაკარგავდა.<sup>211</sup>

გლობალიზაციის კვალდაკვალ, გართულებული სამოქალაქო ბრუნვის პირობებში, ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპი დიდი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. სახელშეკრულებო ურთიერთობებში წარმოშობილი შეცვლილი გარემოებების სამართლებრივი პროცედურის გადასაწყვეტად იურიდიულ დოქტრინაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა კანონიკური სამართლიდან მომდინარე *Clausula Rebus Sic Stantibus*<sup>212</sup> მოძღვრებამ,<sup>213</sup> როგორც

<sup>208</sup> Gratian, Decretum, C. 22, q. 2, c.14, მთითებულია: Gordley J., Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006, 347.

<sup>209</sup> Aquinas T., Summa Theologiae II-II, q. 88 a. 10; q. 89, a. 9, მთითებულია: Gordley J., Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006, 347-348.

<sup>210</sup> Liu Ch., Changed Contract Circumstances, 2<sup>nd</sup> ed., 2005, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/liu5.html>>, [20.07.2014].

<sup>211</sup> Lindström N., Changed Circumstances and Hardship in the International Sale of Goods, NJCL, Issue 1, No.1, 2006, 2, <[http://www.njcl.fi/1\\_2006/commentary1.pdf](http://www.njcl.fi/1_2006/commentary1.pdf)>, [20.07.2014].

<sup>212</sup> დაწვრილებით იხ. Pichonaz P., From Clausula Rebus Sic Stantibus to Hardship: Aspects of the Evolution of the Judge's Role, Am. J. Legal Hist., Vol. 17, Issue 1, 2011, 125-143, <[http://www.sabinet.co.za/abstracts/funda/funda\\_v17\\_n1\\_a6.html](http://www.sabinet.co.za/abstracts/funda/funda_v17_n1_a6.html)>, [20.07.2014]; Gordley J., Impossibility and Changed and Unforeseen Circumstances, Am. J. Comp. L., Vol. 52, 2004, 513-530, <<http://www.cisg.law.pace.edu/>>

*Pacta Sunt Servanda* პრინციპის სახეცვლილებამ<sup>214</sup> და გამონაკლისმა,<sup>215</sup> რომელიც ხელშეკრულების მბოჭავ ბუნებას აღიარებს მხოლოდ უცვლელ გარემოებათა პირობებში<sup>216</sup> და შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების ადაპტაციის სამართლებრივ საფუძველს ქმნის.<sup>217</sup>

ისტორიულად *Clausula Rebus Sic Stantibus* მოძღვრება აისახა მე-18 საუკუნის კერძო სამართლის კოდიფიკაციებში თუმცა, მოგვიანებით გაკრიტიკებულ იქნა მისი ბუნდოვანების გამო. მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში, როდესაც აღორძინდა კლასიკური სახელშეკრულებო მოძღვრება და ხელშეკრულების თავისუფლებამ, ეკონომიკურმა ლიბერალიზმა და კანონის სიცხადემ უზენაესობა მოიპოვა, *Clausula Rebus Sic Stantibus* დოქტრინა დავიწყებას მიეცა.<sup>218</sup>

ამრიგად, მე-19 საუკუნის ლიბერალიზმა, რომელმაც აბსოლუტური პრიორიტეტი მიანიჭა კერძო ავტონომიასა და ხელშეკრულების სიტყვასიტყვით შინაარსს, უარყო ეს კონცეფცია და მნიშვნელოვნად შეამცირა მისი გავლენა კონტინენტური სამართლის ქვეყნებზე. პოზიცია, რომლის თანახმად, ხელშეკრულებაში გამოხატული მხარეთა თავისუფალი ნება აფუძნებს კონტრაქტებთა სამართლს, რომელიც არ შეიძლება შეცვლილ იქნეს სასამართლოს მიერ, სახელშეკრულებო სამართლის წამყვან პრინციპად იქცა.<sup>219</sup>

მოგვიანებით, სახელშეკრულებო სამართალში კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის იდეათა გავლენით უარყოფილ იქნა აბსოლუტური ვალდებულების დოქტრინა და სამართლებრივმა სისტემებმა შესრულების შეუძლებელობის გადასაცემა.

cisg/biblio/gordley1.html>, [20.07.2014]; *Draetta U., Lake R.B., Nanda V.P.*, Breach and Adaptation on International Contracts, An Introduction to Lex Mercatoria, Butterworth Legal Publishers, 1992, 178.

<sup>213</sup> ეს პრინციპი ჯერ კიდევ ადრეული შეს საუკუნეების გლოსატორებისათვის იყო ცნობილი. მას მისდევდნენ გროვიუსი და პუფენდორფი. აღნიშვნული პრინციპი განმტკიცებულია ასევე, 1756 წლის მაქსიმილიანეს კოდექსში და პრუსიის 1794 წლის კოდექსში. იხ. ცვაიგერტი პ., ერტცი პ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, ობ., 2001, 210.

<sup>214</sup> *Lando O.*, Salient Features of the Principles of European Contract Law: A Comparison with the UCC, Pace Int'l L. Rev., Vol. 13, Issue 2, 2001, 27,

<<http://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1214&context=plir>>, [20.07.2014].

<sup>215</sup> *Liu Ch.*, Changed Contract Circumstances, 2<sup>nd</sup> ed., 2005, 30, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/liu5.html>>, [20.07.2014].

<sup>216</sup> *Baranauskas E., Zapolskis P.*, The Effect of Change in Circumstances on the Performance of Contract, Mykolas Romeris University, 4 (118), 2009, 198, <[http://www.mruni.eu/lt/mokslo\\_darbai/jurisprudencija/archyvas/dwn.php?id=226657](http://www.mruni.eu/lt/mokslo_darbai/jurisprudencija/archyvas/dwn.php?id=226657)>, [20.07.2014]; *Ciematniece I.*, Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 10; *Zimmermann R.*, Roman Law, Contemporary Law, European Law, The Civilian Tradition Today, Oxford University Press, 2001, 80.

<sup>217</sup> *Ciematniece I.*, Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 5-6.

<sup>218</sup> *Liu Ch.*, Remedies for Non-performance – Perspectives from CISG, UNIDROIT Principles and PECL, 2003, 296, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/chengwei.html>>, [20.07.2014].

<sup>219</sup> *Horn N.*, Changes in Circumstances and the Revision of Contracts in Some European Laws and International Law, in: *Horn N. (ed.)*, Adaptation and Renegotiation of Contracts in International Trade and Finance, Antwerp, Boston, London, Frankfurt a.M. 1985, 17, <[http://www.trans-lex.org/create\\_pdf.php?docid=113700](http://www.trans-lex.org/create_pdf.php?docid=113700)>, [20.07.2014].

ლებლობა პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად აამოქმედება<sup>220</sup> – *Clausula Rebus Sic Stantibus* ყველა სამართლის სისტემის უზოგადეს პრინციპიად იქცა.<sup>221</sup>

ცივილისტური დოქტრინა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამართლის ნორმატიულ, სტატიურ სისტემაში საჭიროა შეტანილ იქნეს დინამიკური ელემენტი, შეიქმნას მასში „სასულე“, რომლის გავლითაც ახალი ცხოვრების ული ურთიერთობები „ჩაისხმება“ იურიდიულ ფორმებში. ასეთი სასულე სამართლისათვის არის დათქმა – *Clausula Rebus Sic Stantibus*. ესაა დინამიკურობის პრინციპი სამართლის სისტემაში, რაციონალური ცნება ირაციონალურის შესახებ, რომელიც აცოცხლებს სამართალს და აახლოებს მას ცვლილებების შედეგად დამდგარ რეალობებთან.<sup>222</sup>

## 2. ფორსმაჟორისა და შესრულების გართულების კონცეფციების ამსახველი მირითადი ტერმინები ეროვნულ და უცხოურ სამართლებრივ სისტემებში

ქართულ სამართალში შეცვლილ გარემოებებთან დაკავშირებული პრობლემატიკა არ არის მოწესრიგებული ფორსმაჟორისა და შესრულების გართულების სახელწოდების მქონე ინსტიტუტებით. თუმცა, კანონმდებლობა არსობრივად მსგავსი სამართლებრივი კონცეფციების რეგულირებას ითვალისწინებს დაუძლეველი ძალის, შესრულების არაბრალეული შეუძლებლობისა და შეცვლილი გარემოებების სახელწოდებით.

მსგავსად, გერმანულ სამართალშიც არ არსებობს ფორსმაჟორის სახელწოდების შესატყვისი კონცეფცია, თუმცა გერმანიის სამოქალაქო სჯულდება განამტკიცებს უზოგადეს პრინციპს, რომელიც ვალდებულების დარღვევისათვის სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას მოვალის ბრალეულობას, სულ მცირე, გაუფრთხელების არსებობას უკავშირებს, თუ მკაცრი პასუხისმგებლობა (ე.წ. გარანტია) არ არის შეთანხმებული<sup>223</sup> ან არ გამომდინარეობს ვალდებულების არსიდან.<sup>224</sup> შესაბამისად, გერმანული სამართლის თანახმად, ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა გამოირიცხება, როდესაც დაბრკოლება მხარის კონტროლის მიღმაა, რომელსაც ვალდებულების დარღვევისადმი გაუფრთხილებლობაც კი არ შეერაცხება.<sup>225</sup> პასუხისმგებლობის აღნიშნული წესი ფორსმაჟორის სამართლებრივ შედეგებს შეესაბამება.

<sup>220</sup> Liu Ch., Remedies for Non-performance - Perspectives from CISG, UNIDROIT Principles and PECL, 2003, 296, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/chengwei.html>>, [20.07.2014].

<sup>221</sup> Questech Inc.v. Ministry of National Defence, 9 IRAN – U.S. CL. Trib. Rep. 107, 122, 1985, <[tldb.uni-koeln.de/TLDB.html](http://tldb.uni-koeln.de/TLDB.html)>, [20.07.2014]. მთითებულია: Liu Ch., Newman M.S.(ed.), Remedies in International Sales, Perspectives from SISG, UNIDROIT Principles and PECL, JurisNet, LLC, Huntington, New York, 2007, 658.

<sup>222</sup> გოვიაშვილი ვ., *Clausula Rebus Sic Stantibus*, დინამიკა და სტატიკა სამართალში, უკრ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 9/2006-1/2, 108.

<sup>223</sup> Horn N., Kötz H., Leser H.G., German Private and Commercial Law: An Introduction, 1982, 93, 112.

<sup>224</sup> German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005, §276 I.

<sup>225</sup> Horn N., Kötz H., Leser H.G., German Private and Commercial Law: An Introduction, 1982, 93, 112.

ამრიგად, მართალია, გერმანული სამართალი არ იცნობს ფორსმაჟორის კონცეფციას, მაგრამ იდენტური სამართლებრივი მიზანი (შესრულების ვალდებულებისაგან განთავისუფლება) სხვა სახელწოდების ინსტიტუტით მიიღწევა. კერძოდ, შესრულების არაბრალეული შეუძლებლობა აფუძნებს ფორსმაჟორის სამართლებრივ შედეგებს – შესრულების ვალდებულებისაგან განთავისუფლებას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გამორიცხვით. რაც შეეხება შესრულების გართულების კონცეფციას, იგი გერმანულ სამართალში ეკონომიკური შეუძლებლობის ცნებაშია მოაზრებული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომში ვალდებულების შესრულების უკიდურესი დამძიმების კონცეფციის გამოსახაგად გამოყენებული იქნება შესრულების გართულების უზოგადესი ტერმინი, ხოლო ფორსმაჟორი მოხსენიებული იქნება გერმანული და ქართული კანონმდებლობისათვის კარგად ნაცნობი, შესრულების შეუძლებლობის სახელწოდებით.

წინამდებარე თავში გერმანული კონცეფციების ანალიზთან ერთად, განხილული იქნება ფრანგული სამართლის ე.წ. *imprévision*-ის, ასევე ანგლო-ამერიკულ სამართალში მოქმედი „ხელშეკრულების ამაღებისა“ და „კომერციული განუხორციელებლობის“ დოქტრინები.

### 3. შეცვლილი გარემოებების საფუძვლით პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების სისტემის ფორმირება გერმანულ სამართალში

#### 3.1. პიპერინფლაცია გერმანიაში და პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველთა აღმოცენების ისტორიული პირობები

ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპის გავლენით, გერმანიის სამოქალაქო სჯულდებაში *Clausula Rebus Sic Stantibus* დოქტრინაში ვერ ჰპოვა ასახვა.<sup>226</sup> ზოგადგერმანული საერთო სამართლის მეცნიერების წარმომადგენლებმა თავდაპირველად უარი თქვეს აღნიშნულ პრინციპზე, ჩათვალეს იგი გაურკვევლად და მიიჩნევდნენ, რომ ეს პრინციპი ხელს უშლის სამართლებრივი სტაბილურობის შენარჩუნებას.<sup>227</sup>

მიუხედავად აღნიშნულისა, გერმანულმა სამართალმა გვერდი ვერ აუარა შეცვლილი გარემოებების საკანონმდებლო მოწესრიგებას, რისი აუცილებლობაც ცხადყო პირველმა მსოფლიო ომმა,<sup>228</sup> რომელსაც გერმანიაში

<sup>226</sup> ი.ბ.: *Hondius E.H., Grigoleit H.Ch., Unexpected Circumstances in European Contract Law*, Cambridge University Press, New York, 2011, 62; *Schlechtriem P.*, The German Act to Modernize the Law of Obligations in the Context of Common Principles and Structures of the Law of Obligations in Europe, Oxford U. Compar. L. Forum, Vol. 2, 2002, <http://ouclf.iuscomp.org/articles/schlechtriem2.shtml#fn1sym>, [20.07.2014].

<sup>227</sup> ცვაიგერტი ქ., კოტცი ქ., შედარებითი სამართალმცოდნების შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თბ., 2001, 210.

<sup>228</sup> *Backhaus R.*, The Limits of the Duty to Perform in the Principles of European Contract Law, Vol. 8.1, 2004, <http://www.ejcl.org/81/art81-2.txt>, [20.07.2014].

გამანადგურებელი ეკონომიკური შედეგები მოჰყვა:<sup>229</sup> ვაიმარის რესპუბლიკამ პიპერინფლაცია განიცადა,<sup>230</sup> ომამდელ პერიოდთან შედარებით ფასები მკვეთრად გაიზარდა, რამაც გრძელვადიანი ხელშეკრულებების შესრულება მოვალეებისთვის ეკონომიკურად დამდუპეტელი გახდა.<sup>231</sup> ინფლაციამ განაპირობა უკიდურესი შეუსაბამობა მიწოდებასა და გადახდას – მომსახურებასა და ანაზღაურებას შორის.<sup>232</sup>

1919 წელს ქარხნის რამდენიმე მესაკუთრემ გაყიდა კუთვნილი წილი. საკუთრების გადაცემა მოხდა 1920 წლის 1 იანვარს შესყიდვის ფასის ნახევრის სანაცვლოდ. დარჩენილი თანხის გადახდა უნდა განხორციელებულიყო 1921 წლის პირველ თვეებში. 1920 წლის დასაწყისში ვალუტის მსყიდველობითი უნარიანობა 80%-ით შემცირდა. მოვალის მიერ გადასახდელი თანხა მნიშვნელოვნად აღარ შეესაბამებოდა კრედიტორის მიერ წარდგენილ შესრულებას. თუმცა, მყიდველი მოითხოვდა ხელშეკრულების განუხრელ შესრულებას თავდაპირველი, გაუფასურებამდე არსებული პირობებით.<sup>233</sup> სახელშეკრულებო ურთიერთობების ჩიხიდან გამოსაყვანად სახელმწიფო მხრიდან სასწრაფო რეაგირების აუცილებლობა დადგა.

### **3.2. გართულებულ ვალდებულებათა პირობებში სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების პრობლემა**

ვალუტის გაუფასურების შედეგების გასანეიტრალებლად გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ (*the Reichsgericht – RG*) შესრულების შეუძლებლობის დოქტრინას მიმართა. კერძოდ, მან შეიმუშავა პრაქტიკული შეუძლებლობის კონცეფცია,<sup>234</sup> რომელიც ფუძნდება დაბრკოლების წარმოშობით და

---

<sup>229</sup> Rössler H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law, Kluwer Law International BV/Printed in Netherlands, Eur. Rev. of Prv. L., Vol. 15, No. 4, 2007, 491, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1154004](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1154004)>, [15.06.2014].

<sup>230</sup> Renner Sh., Inflation and the Enforcement of Contracts, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 1999, ყველგან; Holtfrerich C.L., The German Inflation 1914-1923, Berlin: Gruyter W.D., 1986, ყველგან; Ringer F.K., The German Inflation of 1923, New York, Oxford University Press, 1969, ყველგან; Laursen K., Pederson J., The German Inflation 1918-1923, Amsterdam, North Holland Pub. Co., 1964, ყველგან.

<sup>231</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, the Netherlands, 2009, 79.

<sup>232</sup> Säcker F.J., The Transition from German to European Civil Law – Effective Competition, Fairness and Reasonableness and Consumer Protection as New Principles of a Modern Social Civil Law in Europe, 3, <[http://web.fu-berlin.de/iww/downloads/china/peking\\_09\\_03\\_the\\_transition.pdf](http://web.fu-berlin.de/iww/downloads/china/peking_09_03_the_transition.pdf)>, [22.06.2011].

<sup>233</sup> Rössler H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law, Kluwer Law International BV/Printed in Netherlands, Eur. Rev. of Prv. L., Vol. 15, No. 4, 2007, 491, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1154004](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1154004)>, [15.06.2014].

<sup>234</sup> პრაქტიკული შეუძლებლობის შესახებ იხ. Pizer L.K., Smith M.R. (ed. in Chief), Southerington T., Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 2002-2003, Kluwer Law International, The Hague, London, New York, 2004, 255.

არაგონივრულად დიდ ხარჯებს ითვალისწინების ვალდებულების შესასრულებლად.<sup>235</sup>

სასამართლომ აბსოლუტური შეუძლებლობის მიმართ დადგენილი შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების წესი აამოქმედა ფარდობითი შეუძლებლობის<sup>236</sup> მიმართ და სახელშეკრულებო ბოჭვისგან განთავისუფლების საფუძვლად მიუთითა შესრულების შეუძლებლობის მარეგულირებელი გსკ-ის 275 I პარაგრაფი. ამით სასამართლომ შესრულების შეუძლებლობის კონცეფცია ვალდებულების შესრულების უკიდურესი გართულების შემთხვევაზეც გაავრცელა.

ამრიგად, რეფორმამდელ კანონმდებლობაში<sup>237</sup> შესრულების აბსოლუტური შეუძლებლობის მომწესრიგებელი ნორმა ვრცელდებოდა უკიდურესი გართულების შემთხვევაზე, მიუხედავად იმისა, სახეზე იყო აბსოლუტური თუ პრაქტიკული შეუძლებლობა.<sup>238</sup>

თუმცა, მოსამართლეებს გაუძნელდათ ამ ბუნდოვანი და არაზუსტი კრიტერიუმის საფუძველზე, აბსოლუტური შეუძლებლობის მომწესრიგებელი ნორმების გამოყენებით, გადაეწყვიტათ ფარდობითი შეუძლებლობის პრობლემა.<sup>239</sup>

### 3.3. ორგმანის თეორიის აღმოცენება

არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, გერმანელმა მეცნიერებმა მრავალი თეორია განავითარეს. მაგალითად, ლარენცემა ფარდობითი შეუძლებლობის პრობლემის მოსაგვარებლად გსკ-ის 275-ე პარაგრაფის ნაცვლად კეთილსინდისიერების პრინციპის (გსკ-ის §242) გამოყენება მიიჩნია მიზანშეწონილად.<sup>240</sup> კინდშაიდმა შეიმუშავა „სახელშეკრულებო პრეზუმაციის“ თეორია (*Lehre von der Voraussetzung*), რომელიც გაპრიტიკებულ იქნა იმის საფუძველზე, რომ ცალმხრივი მოტივები არ შეიძლე-

<sup>235</sup> Rösler H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law, Kluwer Law International BV/Printed in Netherlands, Eur. Rev. of Prv. L., Vol. 15, No. 4, 2007, 487-488, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=115404](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=115404)>, [15.06.2014].

<sup>236</sup> Litvinoff S., Force Majeure, Failure of Cause and Theorie De L'imprevision: Louisiana Law and Beyond, La. L. Rev., Vol. 46, No. 1, 1985, 1, 54,

<<http://digitalcommons.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=4942&context=lalrev>>, [15.06.2014].

<sup>237</sup> იგულისხმება 2002 წლის ვალდებულებითი სამართლის ფუნდამენტური რეფორმა გერმანიაში.

<sup>238</sup> Zimmermann R., Breach of Contract and Remedies under the New German Law of Obligations, Saggi, Conferenze e Seminari 48, Roma, 2002, 15, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/zimmerman.html>>, [15.06.2014].

<sup>239</sup> Enneccerus L., Lehmann H., Derecho de Obligaciones, 241, 1966, მთითებულია: Oliveira N.M.P., The German Act to Modernize the Law of Obligations as a Model for the Europeanization of Contract Law? The New Rules Regarding Impossibility of Performance from the Perspective of a Portuguese Lawyer, EJCL, Vol. 11.4, December 2007, 2, <<http://www.ejcl.org/114/art114-2.pdf>>, [15.06.2014].

<sup>240</sup> Larenz K., Lehrbuch des Schuldrechts. Allgemeiner Teil, 14<sup>th</sup> ed., 1989, supra note 2, at 320, მთითებულია: Oliveira N.M.P., The German Act to Modernize the Law of Obligations as a Model for the Europeanization of Contract Law? The New Rules Regarding Impossibility of Performance from the Perspective of a Portuguese Lawyer, EJCL, Vol. 11.4, December 2007, 2, <<http://www.ejcl.org/114/art114-2.pdf>>, [15.06.2014].

ბა პირობებად იქნეს განხილული მანამ, სანამ ხელშეკრულებაში არ იქნება ისინი გათვალისწინებული.<sup>241</sup>

არსებულ დოქტრინათა შორის ყველაზე მისაღები ორტმანის (*Oertmann*) მიერ შეთავაზებული „გარიგების საფუძვლის რღვევის“ თეორია (*Wegfall der Geschäftsgrundlage*)<sup>242</sup> აღმოჩნდა. ხსენებული დოქტრინის გამოყენების წინაპირობაა იმ სახელშეკრულებო გარემოებათა არსებითი ცვლილების არსებობა, რომელსაც უმთავრესად დაემყარა მხარეთა შეთანხმება<sup>243</sup> და ახალ პირობებში არაგრივრულია მოვალისაგან ვალდებულების თავდაპირველი სახით შესრულების მოთხოვნა. ხელშეკრულების ფუნდამენტურ პირობებად განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადების ეტაპზე მტკიცებულებად მიჩნეული ფაქტები, წარმოდგენები, რომელიც მხარეთა სახელშეკრულებო მიზნის საფუძველს ქმნის.<sup>244</sup>

შესაბამისად, სასამართლომ 1922 წელს შესრულების შეუძლებლობის მოწესრიგებელი ნორმების შეფარდება შესრულების უკიდურესი გართულების შემთხვევებისათვის უსაფუძვლოდ მიიჩნია.<sup>245</sup> სასამართლო, გსკ-ში შესაბამისი დებულების არარსებობის გამო, პირველად დაეყრდნო კონომიკური შეუძლებლობის კონცეფციას<sup>246</sup> და ზემოხსენებულ საქმეზე 1923 წლის გადაწყვეტილებაში სახელშეკრულებო გარემოებების არსებითი ცვლილების პრინციპით იხელმძღვანელა, რომელიც დააფუძნა ორტმანის (*Oertmann*) მიერ 1921 წელს განვითარებულ გარიგების საფუძვლის (*Geschäftsgrundlage*) შესახებ დოქტრინასაც<sup>247</sup> და გსკ-ის 242-ე პარაგრაფით განმტკიცებულ კეთილსინდისიერების პრინციპს.<sup>248</sup>

<sup>241</sup> ცვაიგერტი კ., კოტცი ჸ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, გ. II, თბ., 2001, 211.

<sup>242</sup> კინგშაიდის თეორიისაგან განსხვავებით, ორტმანის თეორიის თანახმად, სამომავლო მოვლენათა განვითარების შესახებ წარმოდგენები უნდა ეკუთვნოდეს არა მხოლოდ ერთერთ მხარეს, არამედ გაზიარებული უნდა იყოს ორივე მხარის მიერ. იხ. ცვაიგერტი კ., კოტცი ჸ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, გ. II, თბ., 2001, 213.

<sup>243</sup> Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 12.

<sup>244</sup> Rösler H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law, Kluwer Law International BV/Printed in Netherlands, Eur. Rev. of Prv. L., Vol. 15, No. 4, 2007, 488, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1154004](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1154004)>, [15.06.2014].

<sup>245</sup> იქვე.

<sup>246</sup> იქვე, 491.

<sup>247</sup> Effect of Inflation in Zimmermann R., Whittaker S.(eds.), Good Faith in European Contract Law, Cambridge University Press, Cambridge, 2000, 557-558.

<sup>248</sup> RG 03.02.1922, RGZ 103, 328; 27.06.1922, RGZ 104, 394-402, იხ. Tallon D. წიგნში: Beale H., Kötz H., Hartkamp A., Tallon D. (eds.), Cases Materials and Text on Contract Law, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002, 631-633; RG 03.02.1922, RGZ 103, 328, იხ. Lipstein K. წიგნში: Markesinis S.B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 797-798; 15.12.1941, RGZ 168, 121, 126; Musy A.M., The Good Faith Principle in Contract Law and the Pre-contractual Duty to Disclose: Comparative Analysis of New Differences in Legal Cultures, 2000, 5, <<http://www.icer.it/docs/wp2000/Musy192000.pdf>>, [15.06.2014].

### 3.4. კეთილსინდისიერების პრინციპის გავლენა გარიგების საფუძვლის დოქტრინის განვითარებაზე

გერმანულ სამართალში კეთილსინდისიერი ქცევა მხარეთა უპირველესი ვალდებულებაა. ყველა უფლებისა და მოვალეობის განხორციელება კეთილსინდისიერების ძირითად წესს უნდა ეფუძნებოდეს.<sup>249</sup> საუკუნეების განმავლობაში „კეთილსინდისიერების დათქმაზე“ დაყრდნობით კერძო სამართლის არაერთი ინსტიტუტი ჩამოყალიბდა და განვითარდა.<sup>250</sup> ამ პრინციპის პირმშობი შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების დოქტრინაც.<sup>251</sup>

სხვადასხვა სამართლის სისტემაში კეთილსინდისიერების პრინციპისათვის მინიჭებული განსხვავებული ფუნქცია იმავდროულად (შესაბამის სამართლის სისტემაში) ამ პრინციპის განსხვავებულ მნიშვნელობას განაპირობებს. უპირველეს ყოვლისა, გერმანულ სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში გსკის 242-ე პარაგრაფი ყოვლისმომცველ ზოგად დებულებად ჩამოყალიბდა, რომლის გამოყენებაც სცილდება მის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას და ზეგავლენას ახდენს მთელ სამართლის სისტემაზე.<sup>252</sup>

ამრიგად, კეთილსინდისიერების პრინციპი მიიჩნევა გერმანული დოქტრინის – *Geschäftsgrundlage* – საფუძვლად.<sup>253</sup> ორგმანის გარიგების საფუძვლის თეორიაში (*Geschäftsgrundlange*) ყველაზე ნათლად ვლინდება კეთილსინდისიერების პრინციპის „მაკორექტირებელი“ ფუნქცია. კეთილსინდისიერების პრინციპის გავლენის საკითხი სასამართლო პრაქტიკის განვითარებაზე განხილული იქნება მომდევნო თავში.

<sup>249</sup> Firoozmand M.R., Changed Circumstances and Immutability of Contract: a Comparative Analysis of Force Majeure and Related Doctrines, Bus. L. Int'l, Vol. 8, No. 2, 2007, 170, <[http://heinonline.org/HOL/Welcome?message=Please%20log%20in&url=%2FHOL%2FPrint%3Fhandle%3Dhein.journals%2Fblawintnl2007%26div%3D17%26collection%3Djournals%26set\\_as\\_cursor%3D1%26men\\_tab%3Dsrchresults](http://heinonline.org/HOL/Welcome?message=Please%20log%20in&url=%2FHOL%2FPrint%3Fhandle%3Dhein.journals%2Fblawintnl2007%26div%3D17%26collection%3Djournals%26set_as_cursor%3D1%26men_tab%3Dsrchresults)>, [15.06.2014].

<sup>250</sup> კერძო კერძო დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 84.

<sup>251</sup> Tallon D. წიგნში: Hartkamp A.S., Hesselink M., Hondius E.H., du Perron E., Joustra C., Veldman M.(eds.), Towards a European Civil Code, 3<sup>rd</sup> ed., Kluwer Law International, 2004, 503.

<sup>252</sup> Palandt/Heinrichs, 2003, §242, RdNr. 16, მითოთებულია: კერძო დ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, „ქართული სამართლის მიმხილვა“, 7/2004-1, 34.

<sup>253</sup> Oliveira N.M.P., The German Act to Modernize the Law of Obligations as a Model for the Europeanization of Contract Law? The New Rules Regarding Impossibility of Performance from the Perspective of a Portuguese Lawyer, EJCL, Vol. 11. 4, December 2007, 2, <<http://www.ejcl.org/114/art114-2.pdf>>, [18.07.2014]. ი. ასევე, ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქურნ. „ქართული სამართლის მიმხილვა“, 10/2007-1, 26.

### 3.5. გარიგების საფუძვლის დოქტრინის არსი და მისი მოქმედება სასამართლო პრაქტიკაში

საკითხი, შესაძლებელია თუ არა მკვეთრად შეცვლილი გარემოებების საფუძვლით თავიდან იქნეს აცილებული მბოჭავი სახელშეკრულებო ვალდებულებები, ასწლეულების მანძილზეა ცნობილი კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართლის მეცნიერებისთვის. ამ პრინციპის თანახმად, ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმ გარემოებათა შეუცვლელობაზე, რომელთა პირობებშიც დაიდო ხელშეკრულება.

ორგმანის გარიგების საფუძვლის (*Geschäftsgrundlage*) თეორიის მიხედვით, შეცვლილი გარემოებების გამო ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას, თუ არ გამართლდა მხარეთა მოლოდინი, წარმოდგენები და ვარაუდები, რომლებსაც ისინი მიზნად ისახავდნენ ხელშეკრულების დადების მომენტში. აღნიშნული დოქტრინის მიზანია, მოაწესრიგოს სახელშეკრულებო ურთიერთობები შეცვლილ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოებებთან დაკავშირებით.<sup>254</sup>

გერმანიის (უმაღლესმა) საიმპერიო სასამართლომ სათავე დაუდო თავის ცნობილ სასამართლო პრაქტიკას რევალვაციასთან დაკავშირებით. 1923 წლიდან საიმპერიო (უმაღლესი) სასამართლო გსკ-ის 242-ე პარაგრაფის საფუძველზე, ანუ კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით, საიპოთეკო კრედიტორებს უფლებას აძლევდა, მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებისთვის გადაეხდევინებინათ დამატებითი თანხები იპოთეკის ნომინალური დირებულების ზევით, რათა მკეთრად გაუფასურებული გერმანული ქალალდის ფულის კომპენსაცია მომხდარიყო. გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო ხშირად იყენებდა „გარიგების საფუძვლის მოშლის“ დოქტრინას და, ამავე დროს, აღნიშნავდა კეთილსინდისიერების პრინციპის შესატყვისად ყოველი კონკრეტული შემთხვევის გარემოებათა გადამწყვეტ მნიშვნელობას.<sup>255</sup>

სასამართლო ვალუტის გაუფასურებას სახელშეკრულებო გარემოებათა წინასწარ გაუთვალისწინებელ და ფუნდამენტურ ცვლილებად განსაზღვრავს იმ შემთხვევაში, თუ სახელშეკრულებო ფასი და შესრულებათა ეკვივალენტობა არსებით პირობად არის ნავარაუდები ან შეთანხმებული მხარეთა მიერ. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება მოითხოვს სახელშეკრულებო ფასის არსებით და არა ჩვეულებრივ ცვლილებას, რომელიც სამოქალაქო ბრუნვის თანამდევი მოვლენაა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოვალეს ეკისრება ინფლაციის რისკი.

ამრიგად, სასამართლომ შექმნა პრეცედენტი შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებისა და ხელშეკრულების შეწყვეტა მხო-

<sup>254</sup> ოსუელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2007, 62.

<sup>255</sup> იქვე, 64-65.

ლოდ ისეთი შემთხვევებისათვის განსაზღვრა, როდესაც არაგონივრული და გაუმართლებელია მხარეთაგან ხელშეკრულების შენარჩუნების მოთხოვნა.<sup>256</sup>

1923 წლიდან გერმანიაში დოქტრინა გარიგების საფუძვლის რდვევის შესახებ სულ უფრო ხშირად გამოიყენებოდა შესრულების განუხორციელებლობის დროს ხელშეკრულების მბოჭავი ძალის საკითხის გადასაწყვეტად. როდესაც წინასწარ გაუთვალისწინებელი გარემოებები მხარეების ინტერესთა ბალანსსა და სახელშეკრულებო წონასწორობას მნიშვნელოვნად არღვევდა, მაშინ მოსამართლეები, აღნიშნულ დოქტრინაზე დაყრდნობით, ხელშეკრულების შეწყვეტას ან შეცვლილი გარემოებებისადმი მის მისადაგებას მიმართავდნენ.

ამრიგად, პრეცედენტული სამართლშემოქმედების ნიმუში – ხელშეკრულების საფუძვლის რდვევის კონცეფცია – სასამართლომ განავითარა და ამით მოამზადა საფუძველი საკანონმდებლო რეფორმისათვის, რომელიც დაწყობით მომდევნო თავებში იქნება განხილული.

### 3.6. გალდებულებითი სამართლის რეფორმა და მისი კონცეფტუალური სრულყოფის შედეგები

გერმანიაში 2002 წელს განხორციელებული ვალდებულებითი სამართლის რეფორმა გერმანული კოდიფიკაციის მიღების დღიდან (1900 წლის პირველი იანვარი) კოდექსის ყველაზე ფუნდამენტურ რეფორმად ითვლება.<sup>257</sup>

1992 წელს გერმანიის იუსტიციის სამინისტროს მიერ 1984 წელს შექმნილმა სამართლის რეფორმის კომისიამ გამოაქვეყნა წინადადებები სახელშეკრულებო სამართლის რეფორმირების შესახებ. აღნიშნული რეკომენდაციები მნიშვნელოვნად გვუძნებოდა ვენის კონცენვიის და უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების პროექტს. რეფორმა დასრულდა 2001 წლის 26 ნოემბერს ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზების შესახებ კანონის<sup>258</sup> მიღებით, რომელიც ძალაში 2002 წლის პირველ იანვარს, გსკის მიღებიდან 102-ე წელს, შევიდა.<sup>259</sup>

„ვალდებულებითი სამართლის რეფორმის მიზანი სასამართლოს მიერ კოდექსისაგან დამოუკიდებლად განვითარებული სამართლებრივი ინსტიტუტების კოდიფიკაციაში ასახვა იყო.“<sup>260</sup> აღნიშნული რეფორმის შედეგად,

<sup>256</sup> Rösler H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law, Kluwer Law International BV/Printed in Netherlands, Eur. Rev. of Prv. L., Vol. 15, No. 4, 2007, 492, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1154004](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1154004)>, [15.06.2014].

<sup>257</sup> Zimmermann R., Breach of Contract and Remedies Under the New German Law of Obligations, Saggi, Conferenze e Seminari 48, Roma, 2002, 1, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/zimmerman.html>>, [15.06.2014].

<sup>258</sup> Gesetz zur Modernisierung des Schuldrechts, Vom 26.11.2001, verkündet in Jahrgang 2001 Nr. 61 vom 29.11.2001, <[http://www.rechtliches.de/info\\_Gesetz\\_zur\\_Modernisierung\\_des\\_Schuldrechts.html](http://www.rechtliches.de/info_Gesetz_zur_Modernisierung_des_Schuldrechts.html)>, [15.06.2014].

<sup>259</sup> რეფორმის შესახებ ი. ც. Zimmermann R., Breach of Contract and Remedies under the New German Law of Obligations, 2002, 1-5, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/zimmerman.html>>, [15.06.2014].

<sup>260</sup> Markesinis S.B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 383.

გსკ-ის 241-ე II პარაგრაფში განმტკიცდა დაცვის ვალდებულების კონცეფცია, ასევე მოწესრიგდა წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების საკითხი. რეფორმამ სხვა მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემების რეგულირებაც მოიცვა.

რეფორმამ<sup>261</sup> მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემების რეგულირება მოიცვა: საფუძვლიანი ცვლილებები განხორციელდა ევროკავშირის დირექტივების იმპლემენტაციის კუთხით, ხანდაზმულობის ვადებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში. ახლებურად მოწესრიგდა ვალდებულების დარღვევის, ნასყიდობის ხელშეკრულებასა და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები.<sup>262</sup>

თუმცა, რეფორმა არ იყო მხოლოდ ევროკავშირის სამართლის მოთხოვნებით განპირობებული, მან მოაწესრიგა შესრულების გართულებისა და შეუძლებლობის პრობლემებიც.<sup>263</sup> წინაიდან კანონმდებლის ერთ-ერთი მიზანი იყო სასამართლოს მიერ კოდექსისაგან დამოუკიდებლად განვითარებული სამართლებრივი ინსტიტუტების კოდიფიკაციაში ასახვა,<sup>264</sup> ადნიშნული რეფორმის საფუძველზე გსკ-ში მოწესრიგდა დამხმარე ვალდებულებების კონცეფცია,<sup>265</sup> წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებათა საკითხი,<sup>266</sup> მესამე პირთა უფლება-მოვალეობები.<sup>267</sup> ასევე რეფორმის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებამ სრული ტრანსფორმაცია განიცადა.<sup>268</sup> ვალდებულების დარღვევის შემდგომ აღმოცენებული სამართლებრივი დაცვის საშუალებებს შორის ერთიანობის უზრუნველ-

<sup>261</sup> ადნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ.: *Markesinis S.B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise*, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 382-392; *Vogenauer S., Weatherill S. (eds.), Zimmermann R., Contract Law Reform: The German Experience*, Hart Publishing, Oxford, 2006, 71-87, მთლიანობისას: *Vogenauer S., Weatherill S. (eds.), The Harmonization of European Contract Law: Implications for European Private Laws, Business and Legal Practice (Studies of the Oxford Institute of European and Comparative Law)*, Hart Publishing, Oxford, 2006; *Zimmerman R., The New German Law of Obligations: Historical and Comparative Perspectives*, Oxford University Press, 2005, 30, <<http://fds.oup.com/www.oup.co.uk/pdf/0-19-929137-3.pdf>>, [15.06.2014]; *Löwisch M., New Law of Obligations in Germany*, Ritsumeikan L. Rev., No. 20, 2003, <<http://www.ritsumei.ac.jp/acd/cg/law/lex/rjr20/Manfred141.pdf>>, [15.06.2014]; *Schulte-Nölke H., The New German Law of Obligations: an Introduction*, <<http://www.murallivre.net/Archives/Law%20of%20Obligations.pdf>>, [15.06.2014].

<sup>262</sup> *Löwisch M., New Law of Obligations in Germany*, Ritsumeikan L. Rev., No. 20, 2003, 141, <<http://www.ritsumei.ac.jp/acd/cg/law/lex/rjr20/Manfred141.pdf>>, [15.06.2014].

<sup>263</sup> *Rösler H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law*, Kluwer Law International BV/Printed in Netherlands, Eur. Rev. of Prv. L., Vol. 15, No. 4, 2007, 486, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1154004](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1154004)>, [15.06.2014].

<sup>264</sup> *Markesinis S.B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise*, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 383.

<sup>265</sup> *Reimann M., The Good, the Bad, and the Ugly: The Reform of the German Law of Obligations*, Tul. L. Rev., Vol. 83, 2009, 888, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/tulr83&div=33&g\\_sent=1&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/tulr83&div=33&g_sent=1&collection=journals)>, [15.06.2014].

<sup>266</sup> იქვე, 889.

<sup>267</sup> იქვე, 890.

<sup>268</sup> *Markesinis S.B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise*, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 438.

ყოფის მიზნით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გამოყენების წინაპირობები, ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისის – ბრალის – გარდა, შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებების წინაპირობებთან.<sup>269</sup>

რეფორმადე არსებული ფრაგმენტული მოწესრიგებისაგან განსხვავებით, მოქმედი რეგულირების სისტემა გაცილებით ზუსტი და მოქნილია, კანონმდებლის მიზანი რამდენიმე მუხლის კომბინაციით მიიღწევა.

რეფორმის ერთ-ერთი დიდი მონაპოვარი იყო „გარიგების საფუძვლის რღვევის“ დოქტრინა, რომელიც კანონმდებლმა გსკ-ის 313-ე პარაგრაფში დამკვიდრა.<sup>270</sup>

### 3.7. გარიგების საფუძვლის დოქტრინის საკანონმდებლო რეგლამენტაცია და შესრულების გართულების სამართლებრივი შინაარსი

სასამართლო წიაღში განვითარებული ორგანიზაცია კოდიფიცირებულ იქნა გერმანიის ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შემდგომ და მოდერნიზების აქტით განმტკიცებულ გსკ-ის ახალ, 313-ე პარაგრაფში<sup>271</sup> აისახა სახელწოდებით „გარიგების საფუძვლის რღვევა“ (*Störung der Geschäftsgrundlage*) (“interference with the basis of the transaction”).<sup>272</sup> აღნიშნული დოქტრინა შესრულების გართულების უზოგადესი კონცეფციის გერმანული შესატყვისია.

ახალი ნორმატიული დებულებით განმტკიცებული კონცეფცია გულისხმობს ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოცენებულ ცვლილებას ხელშეკრულების ობიექტურ საფუძვლებში, ვალდებულების შესრულების უკიდურეს გართულებას, რომელიც იწვევს სახელშეკრულებო ვალდებულებების თანაფარდობის, ეკვივალენტობისა და სახელშეკრულებო წონასწორობის რღვევას. ცვლილება იმდენად არსებითი უნდა იყოს, რომ მისი წინასწარ გათვალისწინების შემთხვევაში მხარეები ხელშეკრულებას არ დადებდნენ, ან შეათანხმებდნენ მას განსხვავებული შინაარსით.

გსკ ითვალისწინებს ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების შესაძლებლობას თუ, კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით, არაგონივრულია მხარისათვის ვალდებულების თავდაპირველი, უცვლელი სახით შესრულების მოთხოვნა. ხელშეკრულების მბოჭავი ძალის

<sup>269</sup> *Markesinis S.B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise*, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 438.

<sup>270</sup> *Reimann M., The Good, the Bad, and the Ugly: The Reform of the German Law of Obligations*, Tul. L. Rev., Vol. 83, 2009, 891,

<[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/tulr83&div=33&g\\_sent=1&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/tulr83&div=33&g_sent=1&collection=journals)>, [17.06.2014].

<sup>271</sup> *Säcker F.J., The Transition from German to European Civil law – Effective Competition, Fairness and Reasonableness and Consumer Protection as New Principles of a Modern Social Civil Law in Europe*, 3, <[http://web.fu-berlin.de/iww/downloads/china/peking\\_09\\_03\\_the\\_transition.pdf](http://web.fu-berlin.de/iww/downloads/china/peking_09_03_the_transition.pdf)>, [22.06.2011].

<sup>272</sup> *Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration*, Kluwer Law International BV, the Netherlands, 2009, 79.

საკითხი უნდა გადაწყდეს სახელშეკრულებო რისკისა და ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით.<sup>273</sup> ამ შემთხვევაში ერთმანეთს უპირის-პირდება ხელშეკრულების მბოჭავი ძალისა და კეთილსინდისიერების პრინციპები,<sup>274</sup> რაც უნდა განისაზღვროს გონივრულობის კრიტერიუმის საფუძველზე.

„კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების სფერო ძირითადად განპირობებულია შემთხვევებით, რომლებშიც მოთხოვნა ფორმალურად შეესაბამება მოქმედ მატერიალურ სამართლის, მაგრამ მისი განხორციელება კონკრეტულ შემთხვევაში უსამართლოა. მოქმედი სამართლიდან გამომდინარე დაუშვებელია, უფლება თუ შედეგი იყოს არასამართლიანი. შესაბამისად, „კეთილსინდისიერების დათქმა“ წინ აღუდგება მოთხოვნის განხორციელებას ისეთი უფლებიდან გამომდინარე, „რომელსაც მოცემულ შემთხვევაში უფლების მხოლოდ ფორმა აქვს და არა შინაარსი“<sup>275</sup>

ხელშეკრულების საფუძვლის რღვევის კონცეფციაში შეიძლება სამი ელემენტი იქნეს მოაზრებული: (1) ფაქტობრივი, რომელიც გულისხმობს, რომ არსებითი, შეთანხმების საფუძვლად მიჩნეული გარემოებები კონტრაქტითა ან ერთ-ერთი მათგანის მიერ იმთავითვე, ხელშეკრულების დადების ეტაპზე, არის გაცნობიერებული, ნაგულისხმევი. ეს პირობები რომ არ ყოფილიყო მხარეთა (ან მხარის) მიერ ნავარაუდები, ხელშეკრულება არ დაიდებოდა, ან შეთანხმდებოდა იგი სრულიად განსხვავებული შინაარსით. (2) პიროვნეული – ხელშეკრულების საფუძვლად მიჩნეული მხარის/მხარეთა ნაგულისხმევი პირობები აუცილებლად გახდებოდა ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი ერთ-ერთი მხარის შესაბამისი სურვილის შემთხვევაში. (3)

<sup>273</sup> გსბ-ის 313-ე პარაგრაფი ითვალისწინებს:

(1) თუ გარემოები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველს ქმნის, ხელშეკრულების დადების შემდგომ არსებითად შეიცვალა, და მხარეები ამ ცვლილების წინასწარ გათვალისწინების შემთხვევაში არ დადგებდნენ ხელშეკრულებას, ან დადებდნენ მას სრულიად განსხვავებული შინაარსით, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს, თუ კონკრეტული შემთხვევის, რისკის სახელშეკრულებო და კანონისმიერი გადანაწილების გათვალისწინებით არაგონივრულია, მოვალეს მოვთხოვოს ხელშეკრულების თავდაპირველი, შეუცვლელი პირობების შესრულება. (2) გარემოებათა ცვლილებას უთანაბრდება შემთხვევა, როდესაც წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, მცდარი აღმოჩნდება. (3) თუ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი შეუძლებელია, ან იგი მნიშვნელოვან სირთულეს უკავშირდება ერთ-ერთი კონტრაქტისათვის, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე. გრძელვადია ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებში ხელშეკრულებაზე უარის ნაცვლად გამოიყენება ხელშეკრულების შეწყვეტა.

<sup>274</sup> Hesselink M., The Concept of Good Faith, წიგნში: Hartkamp A.S., Hesselink M., Hondius E.H., du Perron E., Joustra C., Veldman M.(eds.), Towards a European Civil Code, 3<sup>rd</sup> ed., Kluwer Law International, 2004, 471-498; Ebke W.F., Steinhauter B.M., The Doctrine of Good Faith in German Contract Law, in Beatson J., Friedman D. (eds.), Good Faith and Fault in Contract Law, Oxford University Press, 1995, 171-180; Houh E., The Doctrine of Good Faith in Contract Law: A (Nearly) Empty Vessel? Utah L. Rev., Vol. 2005, U. of Cincinnati Public Law Research Paper, No. 04-12, 2005,

<[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=622982##](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=622982##)>, [19.06.2014].

<sup>275</sup> „...im gegebenen Falle also nur die Form, nicht das Wesen des Rechtes hätte“. Dernburg, Pandekten, Band I, 1: Allgemeiner Theil, 1900, § 138, 320, მითითებულია: კერძებლიდან და კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 84.

ნორმატიული – მეორე მხარე აუცილებლად დაეთანხმებოდა ხსენებული პირობების ხელშეკრულებაში ჩართვას. ნორმატიული ელემენტი უმნიშვნელოვანები კრიტერიუმია, რადგან ის ქმნის ხელშეკრულების საფუძველს ორივე მხარისათვის.<sup>276</sup>

სისტემური თვალსაზრისით, გარიგების საფუძვლის მოშლის დოქტრინა ხშირად ვალდებულების დარღვევის (*Leistungsstörung*) სათაურის ფარგლებში მოიაზრება.<sup>277</sup> გსკ-ის 313-ე პარაგრაფი, რომელიც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოხატულებაა, განთავსდა არა კეთილსინდისიერების პრინციპის ამ-სახველ 242-ე პარაგრაფთან, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, არამედ ვალდებულებითი სამართლის II წიგნში – სახელშეკრულებო ვალდებულებების ნაწილში, ამიტომ მისი დებულებები თანაბრად ვრცელდება ყველა სახელშეკრულებო ვალდებულებაზე.

ამასთან, გსკ-ის 313-ე პარაგრაფს აქვს მკაცრად დამხმარე მნიშვნელობა.<sup>278</sup> უპირველესად განიმარტება სახელშეკრულებო დებულებები, გამოიყენება შეცდომის, შესრულების შეუძლებლობის, ნაკლიანი შესრულების მომწერიგებელი ნორმები და თუ ეს მექანიზმებიც ვერ უზრუნველყოფს საკითხის გადაწყვეტას, მაშინ მოსამართლეს შეუძლია მიმართოს კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე ხელშეკრულების განმარტებას (§157, §242). ამრიგად, გსკ-ის 313-ე პარაგრაფი გამოიყენება მაშინ, როდესაც სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება ამოწურულია.<sup>279</sup>

### **3.7.1. შესრულების გართულება და შეცდომა გარიგების საფუძვლებში**

რეფორმის შემდგომ შეცვლილი გარემოებების პრობლემატიკამ გერმანულ სამართალში მოიცვა ასევე „შეცდომა გარიგების საფუძველში“. გსკ-ის 313-ე პარაგრაფი მიჯნავს გარიგების ობიექტურ თუ სუბიექტურ საფუძვლებს კონცეფტუალურად და არა სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით.<sup>280</sup> დივერგენციაცია ხორციელდება მხარეთა შეთანხმების შემდგომ აღმოცენებულ სახელშეკრულებო გარემოებათა არსებით ცვლილებასა და სუბიექტური გარემოებების საწყის არარსებობას შორის, რომელიც მკვეთრად არ არის გამოხატული. თუ გსკ-ის 313-ე I პარაგრაფი მოიაზრებს არსებით ცვლილებას ობიექტურ საფუძვლებში, გსკ-ის 313-ე II პარაგრაფი გულისხმობს სუბიექტური გარემოებების საწყის არარსებობას, ზოგად შეცდომას

<sup>276</sup> Rösler H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law, Kluwer Law International BV/Printed in Netherlands, Eur. Rev. of Prv. L., Vol. 15, No. 4, 2007, 489, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1154004](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1154004)>, [19.07.2014].

<sup>277</sup> Markesinis S.B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 381.

<sup>278</sup> Hondius E.H., Grigoleit H.Ch., Unexpected Circumstances in European Contract Law, Cambridge University Press, New York, 2011, 55.

<sup>279</sup> Rösler H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law, Kluwer Law International BV/Printed in Netherlands, Eur. Rev. of Prv. L., Vol. 15, No. 4, 2007, 490-491, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1154004](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1154004)>, [19.07.2014].

<sup>280</sup> Markesinis S.B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 319.

მოტივაციაში, შემთხვევებს, როდესაც მხარე შეცდომით უშებს გარკვეული გარემოების არსებობას. აღნიშნულის კლასიკური მაგალითია საქმე, რომელ შიც მხარეები არასწორად მიაკუთვნებენ ნახატს სხვა მხატვარს, ხელშეკრულების დადების შემდგომ კი ნამდვილი მხატვარი აღმოჩნდება ლუიბლი, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ხელშეკრულების საგნის ღირებულებას.<sup>281</sup>

გსკ-ის 119-ე პარაგრაფისგან განსხვავებით, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ ერთი კონტრაქტის შეცდომას ნების გამოვლენის შინაარსთან დაკავშირებით, გსკ-ის 313-ე II პარაგრაფი გულისხმობს მხარეთა ორმხრივ შეცდომას და გამოსაყენებელია მაშინ, როდესაც მხარეებს არ უფიქრიათ იმ სახელშეკრულებო გარემოებებზე, რომლებიც შემდგომ სამართლებრივ მნიშვნელობას იძენენ. ამ დროს წარმოიშობა იმ ფაქტობრივი გარემოებების განსაზღვრის საკითხი, რომლებიც შეთანხმების საფუძვლად უნდა იქნენ მიჩნეულნი.<sup>282</sup>

ამრიგად, გსკ-ის 313-ე II პარაგრაფის შეფარდებისთვის საკმარისია მხარეთა წარმოდგენების არარსებობა მნიშვნელოვან გარემოებებზე, მაშინ როდესაც გსკ-ის 119-ე პარაგრაფის გამოყენება აუცილებლად გულისხმობს მხარის მიერ ნების (თუმცა მცდარი) გამოვლენას გარემოებებთან დაკავშირებით.<sup>283</sup>

გსკ-ის 313-ე I და II პარაგრაფების დიფერენციაცია არ უნდა ხორციელდებოდეს სუბიექტური და ობიექტური გარემოებების განსხვავებით, არამედ გამიჯვის კრიტერიუმად აღიარებულ უნდა იქნეს სახელშეკრულებო დაბრკოლების წარმოშობის დრო. მით უფრო, რომ გსკ-ის 313 II აწესრიგებს სუბიექტური გარემოებების სპეციალურ შემთხვევას, მაშინ როდესაც გსკ-ის 313-ე I არეგულირებს ხელშეკრულების დადების შემდგომ წარმოშობილი შეცვლილი გარემოებების პრობლემას და მათ შორის მოიცავს როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ გარემოებებს.<sup>284</sup>

განსხვავება არ იკვეთება სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისითაც, რადგან ხელშეკრულების მოდიფიცირება გამართლებულია მხარეთათვის უცნობი მოვლენის ხელშეკრულების დადების მომენტამდე არსებობის შემთხვევაშიც.<sup>285</sup>

<sup>281</sup> ი. ა. *BGH*, 8.6.1988, 2597.

<sup>282</sup> Rösler H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law, Kluwer Law International BV/Printed in Netherlands, Eur. Rev. of Prv. L., Vol. 15, No. 4, 2007, 496, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1154004](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1154004)>, [19.07.2014].

<sup>283</sup> იქვე, 497; შეცდომის სახეებზე დაწვრილებით ი. ა. *Hondius E.H., Grigoleit H.Ch., Unexpected Circumstances in European Contract Law*, Cambridge University Press, New York, 2011, 56.

<sup>284</sup> Rösler H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law, Kluwer Law International BV/Printed in Netherlands, Eur. Rev. of Prv. L., Vol. 15, No. 4, 2007, 496-497, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1154004](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1154004)>, [19.07.2014].

<sup>285</sup> Mekki M., Pelese M.K., Hardship and Modification (or ‘Revision’) of the Contract, 2010, 6, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1542511](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1542511)>, [19.07.2014].

### 3.7.2. შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგები

გერმანიის სამოქალაქო სჯულდებამ<sup>286</sup> 313-ე პარაგრაფის განმტკიცებით აღიარა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების პრიმატი მის შეწყვეტასთან შედარებით. გერმანული სასამართლო პრაქტიკაც ადასტურებს, რომ სასამართლოები შეცვლილი გარემოებების დროს ხელშეკრულების შეწყვეტის ნაცვლად უმთავრესად მის მისადაგებას მიმართავენ.

შესრულების გართულების სამართლებრივ შედეგებს უპირველესად გსკ-ის 313-ე I და III პარაგრაფები განსაზღვრავს: (1) ...შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს, თუ კონკრეტული შემთხვევის, რისკის სახელშეკრულებო და კანონისმიერი გადანაწილების გათვალისწინებით, არაგონივრულია, მოვალეს მოეთხოვოს ხელშეკრულების თავდაპირველი, შეუცვლელი პირობების შესრულება. (3) თუ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი შეუძლებელია, ან იგი მნიშვნელოვან სირთულეს უკავშირდება ერთ-ერთი კონტრაქტისათვის, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე. გრძელვადიან ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებში ხელშეკრულებაზე უარის ნაცვლად გამოიყენება ხელშეკრულების შეწყვეტა.

ხელშეკრულების შეწყვეტა, მოცემულ შემთხვევაში, გამოყენებულია ხელშეკრულების მოშლის შინაარსით, გრძელვადიან ურთიერთობებში შესრულების უკან დაბრუნებისა და რესტიტუციის შეუძლებლობიდან გამომდინარე, რომელიც სწორედ ხელშეკრულებაზე უარის, იგივე ხელშეკრულებიდან გასვლის, კონცეფციის არსობრივი მახასიათებელია. ამიტომაც, ამ თრ მომიჯნავე სამართლებრივ ინსტრუმენტს შორის ფუნდამენტური განსხვავება არსებობს თანმდევი შედეგებისა და სამომავლოდ შესასრულებელი ვალდებულებების კუთხით.

ამდენად, გერმანული სამართალი ორიენტირებულია ხელშეკრულების გადარჩენაზე, შეცვლილი გარემოებებისადმი მის მისადაგებაზე, რომელიც უპირველესად გამოსაყენებელ სამართლებრივი დაცვის საშუალებად განიხილება შესრულების დაბრკოლების პირობებში. ამასთან, გსკ-ის 313-ე პარაგრაფი უფლებამოსილ კონტრაქტის ანიჭებს ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას, ყოველგვარი წინასწარი მოლაპარაკების გარეშე.<sup>287</sup> ღოქტრინაში მიჩნეულია, რომ მოლაპარაკების წარმოება და ხელშეკრულების გადასინჯვა უნდა იყოს სასამართლოს მიერ ხელშეკრულების ადაპტაციის წინაპირობა.<sup>288</sup> მხარეებს უნდა ეკისრებოდეთ ვალდებულება, კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით აწარმოონ მოლაპარაკება ხელშეკრულების მისადაგების მიზნით და მხოლოდ შეუთანხმებლობის შემთხვევაში გამოიყენონ სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებ-

<sup>286</sup> ინგლისური სამართლისგან განსხვავებით.

<sup>287</sup> Schlechtriem P., The German Act to Modernize the Law of Obligations in the Context of Common Principles and Structures of the Law of Obligations in Europe, Oxford U. Comparative L. Forum, Vol. 2, 2002, <<http://ouclf.iuscomp.org/articles/schlechtriem2.shtml#fn1sym>>, [19.07.2014].

<sup>288</sup> იქვე.

ლობა.<sup>289</sup> პრაქტიკაში დამკვიდრებული მიდგომის თანახმად, სასამართლო ადაპტაციის უფლების გამოყენებამდე უპირატესობას კონტრაკტითა მოლაპარაკების წარმოებას ანიჭებს.<sup>290</sup>

ამდენად, გონივრულია, რომ გსკ-ის 313-ე პარაგრაფით განმტკიცებული წინაპირობების არსებობა უპირველესად მოლაპარაკებების წარმოების ვალდებულებას წარმოშობდეს.

მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულებიდან ორმხრივი გასვლა გამოიყენება მხოლოდ უკიდურესი სამართლებრივი დაცვის საშუალების სახით (გსკ-ის 346-ე და შემდგომი პარაგრაფების საფუძველზე), როდესაც შეუძლებელი ან არაგონივრულია ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება.<sup>291</sup>

ამდენად, რეფორმამდე არსებულ სამართლებრივ საშუალებებთან შედარებით, პრობლემის გადაწყვეტის ახალი გზა მეტად ორიენტირებულია ხელშეკრულების შენარჩუნებაზე.<sup>292</sup> სასამართლოს მეშვეობით ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი ადაპტაციით კანონმდებელი უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესთა ბალანსისა და სახელშეკრულებო წონასწორობის აღდგენას.

### 3.8. შესრულების შეუძლებლობის კონცეფციის ახლებური მოწესრიგება

#### 3.8.1. შესრულების შეუძლებლობის სახეები<sup>293</sup>

შესრულების შეუძლებლობის დოქტრინა კონტინენტური სამართლის სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტიპური სამართლებრივი მახასიათებელია, რომელიც რომაული სამართლიდან იღებს სათავეს.<sup>294</sup> შესრულების შეუძლებლობის პრობლემა უმნიშვნელოვანესია ყველა განვითარებული სამართლის სისტემაში. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში განსხვავებულად რეგულირდება შესრულების შეუძლებლობის საფუძვლით პასუხის-

<sup>289</sup> Horn N., Changes in Circumstances and the Revision of Contracts in some European Laws and International Law, in: Horn N. (ed.), Adaptation and Renegotiation of Contracts in International Trade and Finance, Antwerp, Boston, London, Frankfurt a.M. 1985, 15, 22-23, <<http://www.trans-lex.org/create-pdf.php?docid=113700>>, [19.07.2014].

<sup>290</sup> Backhaus R., The Limits of the Duty to Perform in the Principles of European Contract Law, Vol. 8.1, 2004, <<http://www.ejcl.org/81/art81-2.txt>>, [19.07.2014].

<sup>291</sup> Backhaus R., The Limits of the Duty to Perform in the Principles of European Contract Law, Vol. 8.1, 2004, <<http://www.ejcl.org/81/art81-2.txt>>, [19.07.2014].

<sup>292</sup> Rösler H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law, Kluwer Law International BV/Printed in Netherlands, Eur. Rev. of Prv. L., Vol. 15, No. 4, 2007, 492, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1154004](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1154004)>, [19.07.2014].

<sup>293</sup> Pizer L.K., Smith M.R. (eds. in Chief), Southerington T., Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 2002-2003, Kluwer Law International, The Hague, London, New York, 2004, 257-259.

<sup>294</sup> Schwenzer I., Hachem P., Kee Ch., Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012, 654-655.

მგებლობისგან განთავისუფლების საკითხი.<sup>295</sup> შეუძლებლობის დოქტრინა უმთავრესად გერმანიის სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში განავითარა. ამიტომაც მას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გერმანიის პოზიტურ კანონმდებლობასა და იურიდიულ დოქტრინაში.

ბუნებრივმა კატასტროფებმა, გაუთვალისწინებელმა პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა ფაქტორებმა,<sup>296</sup> სოციალურმა ცვლილებებმა – ინფლაცია, ეკონომიკური კრიზისი, შეიარაღებული კონფლიქტები, ემბარგო, ექსპორტის აკრძალვა, შესყიდვის წყაროს მარცხი და ა.შ., შესაძლებელია დაბრკოლოს ან შეუძლებელი გახადოს ვალდებულების შესრულება. მაგალითად, შესრულების შეუძლებლობა შეიძლება გამოიწვიოს კონკრეტული საგნის განადგურებაში (*Destruction of a Subject Matter*);<sup>297</sup> მოვალის სიკვდილმა ან ქმედუუნაროდ გახდომაში (*Death or Disability*)<sup>298</sup> იმ ხელშეკრულებებში, რომლებიც ვალდებულების პირადად შესრულებას ითვალისწინებენ (*Personal Contracts*);<sup>299</sup> ხელშეკრულების საგნის მიუწვდომლობაში (*Unavailability of the Subject Matter of the Performance*);<sup>300</sup> მიწოდების განსაზღვრული წყაროს მარცხმა (*Failure of a Particular Source*);<sup>301</sup> ბუნებრივმა კატასტროფებმა (*Natural Disasters*), გაფიცვამ, ლოკალურმა, ბოიკოტმა, შრომის პროცესის შეწყვეტაში (*Boycotts, Strikes,*

<sup>295</sup> ი. მაგალითად, შეკის (Swiss Code of Obligations, English Translation of the Official Text, Zurich, 1992) 97-ე, 119-ე მუხლები; ისკის (Codice Civile Italiano, 1942) 1256 (1), 1463-ე-1465-ე მუხლები; ესკის (Código Civil español, 1889) 1182-ე მუხლი; ფსკ (French Civil Code, Translated by Rouhette G. with the assistance of Rouhette-Berton A., 2006) შესრულების შეუძლებლობაში მხოლოდ გაყიდული საქმის დაღუპვის შემთხვევას მოიაზრებს (1302-ე მუხლი).

<sup>296</sup> Schwenzer I., Force Majeure and Hardship in International Sales Contracts, VUWLR, Vol. 39, 2008, 709, <<http://www.austlii.edu.au/nz/journals/VUWLawRw/2008/39.pdf>>, [19.07.2014].

<sup>297</sup> Restatement (second) of Contracts, American Law Institute (ALI), §263, 1981; Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, the Netherlands, 2009, 91, შემდგომი მითითებით: Treitel G.H., The Law of Contract, 10<sup>th</sup> ed., London, 1999, 811; Treitel G.H., Frustration and Force Majeure, 2<sup>nd</sup> ed., London, 2004, Ch.3.

<sup>298</sup> Mullen v. Wafer 480S.W.2d. 332 (ark.1972), მითითებულია: Farnsworth E. A., Farnsworth on Contracts, 3<sup>rd</sup> ed., Vol. 2, Aspen Publishers, New York, 2004, 626.

<sup>299</sup> მაგალითად, შრომის ხელშეკრულება, წარმომადგენლობა. Restatement (second) of Contracts, American Law Institute (ALI), §263, 1981; Treitel G.H., Frustration and Force Majeure, 2<sup>nd</sup> ed., London, 2004, 4-016 და შემდგომი გვერდები.

<sup>300</sup> ხელშეკრულების საგნის მიუწვდომლობის მაგალითად შეიძლება დასახელდეს გაყიდული საქმის რეკვიზიტის შემთხვევა. ი. Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, the Netherlands, 2009, 91, შემდგომი მითითებით: Treitel G.H., Frustration and Force Majeure, 2<sup>nd</sup> ed., London, 2004, 4-002 და შემდგომი გვერდები.

<sup>301</sup> Restatement (second) of Contracts, American Law Institute (ALI), §263, 1981. მაგალითად, თუ შესყიდული საქმის იმპორტი შეუძლებელი გახდება ომის, ბუნებრივი კატასტროფების ან ექსპორტის აკრძალვის გამო. ი. Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, the Netherlands, 2009, 91, შემდგომი მითითებით: Treitel G.H., The Law of Contract, 10<sup>th</sup> ed., London, 1999, 814; Treitel G.H., Frustration and Force Majeure, 2<sup>nd</sup> ed., London, 2004, 4-041.

*Lock-outs, Work-stoppages);*<sup>302</sup> შესრულების ხერხის შეუძლებლობამ (*Impossibility of the Method of Performance*).<sup>303</sup> ხელშეკრულების დადების შემდგომ განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა<sup>304</sup> შეიძლება გამოიწვიოს შესრულების სამართლებრივი შეუძლებლობა (*Legal Impossibility, Supervening Illegality*).<sup>305</sup>

ვალდებულების შესრულების საკითხი საჭიროებს გადაწყვეტას, როდესაც კონტრაქტებს შეცვლილი გარემოებების წარმოშობის შემთხვევისათვის წინასწარი სახელშეკრულებო შეთანხმებით არ დაუდგენიათ ე.წ. ფორსმაჟორული დათქმები.<sup>306</sup> ამ შემთხვევაში მხარეთა ნება დგინდება ხელშეკრულების განმარტების საფუძველზე ხარვეზის შევსების გზით.<sup>307</sup> ფორსმაჟორული დათქმებისა და ხელშეკრულების განმარტების გარდა საჭირო

<sup>302</sup> Schwenzer I., Hachem P., Kee Ch., Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012, 658; DiMatteo L.A., The Law of International Contracting, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 2000, 57.

<sup>303</sup> სასამართლომ განიხილა საქმე *Nicholl & Knight v. Ashton Edridge &Co* (ob. Treitel G.H., The Law of Contract, 10<sup>th</sup> ed., London, 1999, 818), რომლის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ხელშეკრულება ითვალისწინებდა იანვრის თვეში ქალაქ ალექსანდრიიდან ბამბის მარცვლების მიწოდებას გემ „ორლანდოს“ მეშვეობით. ხომალდი ბალტიის ზღვის ნაპირზე გაირიყა და იანვრის თვეში ალექსანდრიამდე მიღწევა ვერ შეძლო. სასამართლომ ხელშეკრულების განმარტების საფუძველზე დადგინა, რომ ვალდებულება მხარეთა მიერ შეთანხმებული წესის ზუსტი დაცვით უნდა შესრულებულიყო (საქონლის გამოგზავნა უნდა მომხდარიყო ქალაქ ალექსანდრიიდან).

<sup>304</sup> DiMatteo L.A., The Law of International Contracting, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 2000, 57.

<sup>305</sup> *Abbot of Westminster v Clerke*, 73 Eng. Rep. 59, 63 (K.B.1536) მთითებულია: Farnsworth E. A., Farnsworth on Contracts, 3<sup>rd</sup> ed., Vol. 2, Aspen Publishers, New York, 2004, 626. Restatement (Second) of Contracts, American Law Institute (ALI), §264, 1981; Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, the Netherlands, 2009, შემდგომი მთითებით: McKendrick E., Chitty on Contracts, The Law of Contracts, Vol.1, General Principles, Chapter 24, Discharge by Frustration, London , 1999, 24-021.

<sup>306</sup> ფორსმაჟორული დათქმები უმთავრესად გამოიყენება ინგლისურ სამართლში, რადგან ანგლოამერიკული ხელშეკრულებები მნიშვნელოვნად დეტალიზებული პირობებით ხასიათდება კონტინენტური ქვეყნების ხელშეკრულებებისგან განსხვავებით. აღნიშნული განპირობებულია გადაწყვეტილებით საქმეზე: *Paradine v. Jane, English Rep. 897 [K.B. 1647]*, ob. წიგნში: Beale H., Kötz H., Hartkamp A., Tallon D.(eds.), Cases Materials and Text on Contract Law, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002, 608; ასევე ი. Force Majeure and the Performance Excuse: A Review of the English Doctrine of Frustration and Article 2-615 of the Uniform Commercial Code, 2010, 4, 9, <<http://www.dundee.ac.uk/cepmpl/gateway/?news=30853>>, [17.07.2014]; Rösler H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law, Kluwer Law International BV/Printed in Netherlands, Eur. Rev. of Prv. L., Vol. 15, No. 4, 2007, Vol. 15, No. 4, 2007, 483, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1154004](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1154004)>, [17.07.2014]; Tallon D., Clauses Dealing with Supervening Events, წიგნში: Beale H., Kötz H., Hartkamp A., Tallon D.(eds.), Cases Materials and Text on Contract Law, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002, 639; Werner M., Force Majeure and Hardship Clauses in International Commercial Contracts in View of the Practices of the ICC Court of Arbitration, J.Int'l Arb., Vol. 1, 1984, <<http://trans-lex.org/126600>>, [17.07.2014]; Trakman L.E., Declaring Force Majeure: Veracity or Sham? Un. of New South Wales, 2007, <[http://works.bepress.com/leon\\_trakman/4](http://works.bepress.com/leon_trakman/4)>, [17.07.2014]; Draetta U., Hardship and Force Majeure Clauses in International Contracts, RDAI/IBLJ, No. 3/4, 2002, 347.

<sup>307</sup> *Ergänzende Vertragsbedingung*.

ხდება სხვა სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება შეცვლილი გარემოებების პრობლემის გადასაჭრელად.

რეფორმამდელი გსკ-ით დეტალურად განმტკიცებული შესრულების შეუძლებლობის კონცეფცია ეფუძნებოდა ფრიდრიჰ მომზენის (*Friedrich Mommsen*) დოქტრინას, რომელიც განასხვავებდა საწყისი და შემდგომი, აბსოლუტური და ფარდობითი, ობიექტური და სუბიექტური,<sup>308</sup> ბუნებრივი და სამართლებრივი, მუდმივი და დროებითი, სრული და ნაწილობრივი შესრულების შეუძლებლობის სახეებს. შესრულების შეუძლებლობის თითოეული ზემოხსენებული კატეგორია შეიძლება ობიექტურად წარმოშვას ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოების საფუძველზე.<sup>309</sup>

რეფორმამდელი გსკ-ის 306-ე პარაგრაფის მოქმედება ვრცელდებოდა საწყის აბსოლუტურ შეუძლებლობაზე და აფუძნებდა გარიგების ბათილობას.<sup>310</sup> ხოლო გსკ-ის 275-ე პარაგრაფი აწესრიგებდა ხელშეკრულების დადგბის შემდგომ აღმოცენებული აბსოლუტური შეუძლებლობის შემთხვევას.

რეფორმის საფუძველზე გაუქმდა საწყისი და სუბიექტური შეუძლებლობის მარეგულირებელი დებულებები და გსკ-ის 275-ე პარაგრაფს დაემატა შესრულების გართულების მომწერლირებული ნორმები.<sup>311</sup>

რეფორმამდელი მოწესრიგებისგან განსხვავებით, გსკ-ის ახალი 275-ე I პარაგრაფი აერთიანებს და ათანაბრებს სუბიექტურ და ობიექტურ შეუძლებლობას,<sup>312</sup> რომელთა არსებობისას ითვალისწინებს მოვალის შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლებას.<sup>313</sup> სუბიექტური შეუძლებლობა გულისხმობს ობიექტურად განხორციელებადი შესრულების შეუძლებლობას მხოლოდ კონკრეტული მოვალისათვის. ობიექტური შეუძლებლობისას ვალდებულების შესრულება ფიზიკურად განუხორციელებელია არა მხოლოდ ხელშეკრულების კონკრეტული მხარისათვის, არამედ ნებისმიერი პირისათვის.<sup>314</sup>

<sup>308</sup> Chechelashvili Z., Introduction to the Georgian Business Law, Textbook, GIZ, Tb., 2013, 131.

<sup>309</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, the Netherlands, 2009, 87.

<sup>310</sup> Zimmermann R., Breach of Contract and Remedies under the New German Law of Obligations, Saggi, Conferenze e Seminari 48, Roma, 2002, 6, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/zimmerman.html>>, [17.07.2014].

<sup>311</sup> Oliveira N.M.P., The German Act to Modernize the Law of Obligations as a Model for the Europeanization of Contract Law? The New Rules Regarding Impossibility of Performance from the Perspective of a Portuguese Lawyer, EJCL, Vol. 11.4, 2007, 1, <<http://www.ejcl.org/114/art114-2.pdf>>, [17.07.2014].

<sup>312</sup> Zimmermann R., Remedies for Non-performance. The Revised German Law of Obligations, Viewed against the Background of the Principles of European Contract Law, Edin.L.R., Vol.6, 2002, 281, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/edinlr6&div=28&g\\_sent=1&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/edinlr6&div=28&g_sent=1&collection=journals)>, [17.07.2014].

<sup>313</sup> მოვალის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გამორიცხავს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის არსებობას. იხ. გსკ-ის (German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005) §275 I.

<sup>314</sup> იხ.: Goldman A.J., Sigismund W.D., Business Law and Practices, 8<sup>th</sup> ed., South-Western College/West, 2010, 217; Pizer L.K., Smith M.R. (eds in Chief), Southerington T., Review of the Convention on Contracts for the

ვენის კონვენციის 79-ე, უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 7.1.7-ე და ევროპული პრინციპების 8:108-ე მუხლები განამტკიცებს მოვალის მიერ დაბრკოლების თავიდან აცილების ან მისი დაძლევის ვალდებულებას, მიუხედავად იმისა, დაბრკოლება თავად შესრულებას უკავშირდება თუ მოვალის პიროვნებას.<sup>315</sup> სუბიექტური შეუძლებლობის არსებობისას მოვალეს დაბრკოლების დაძლევა შეუძლია შესრულების მესამე პირისათვის გონივრულ ფასად გადანდობის გზით. თუ გონივრულ ფასად მესამე პირის მიერ შესრულება შეუძლებელია, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს უკიდურესი გართულების მომწერიგებელი ნორმები.<sup>316</sup> ამრიგად, შესრულების სუბიექტური შეუძლებლობა არ უნდა იქნეს გსკ-ის 275-ე I პარაგრაფში მოაზრებული.<sup>317</sup>

ამრიგად, გსკ-ის 275-ე I პარაგრაფის მოქმედება (შესრულების ვალდებულებისაგან განთავისუფლება) ვრცელდება ობიექტური და სუბიექტური, საწყისი და შემდგომი, ნაწილობრივი და სრული შესრულების შეუძლებლობის სახეებზე.<sup>318</sup> აღნიშნული ნორმით განმტკიცებული შესრულების შეუძლებლობის სახეები წარმოშობს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. შესაბამისად, არ ქმნის შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების საფუძველს. ხოლო შესრულების გართულების შემთხვევები, როდესაც შესრულება ობიექტურად განხორციელებადი რჩება, მოწერიგებულია გსკ-ის 275-ე II და 313-ე პარაგრაფებით.<sup>319</sup>

თუ გსკ-ის 275-ე I პარაგრაფი აწესრიგებს შესრულების აბსოლუტურ შეუძლებლობას, II და III ნაწილები ეთმობა ფარდობითი შეუძლებლობის რეგულირებას, რომელიც აერთიანებს პრაქტიკული შეუძლებლობისა (§275

International Sale of Goods (CISG) 2002-2003, Kluwer Law International, The Hague, London, New York, 2004, 257.

<sup>315</sup> Stoll H., Commentary on Article 79, მთითებულია: Schlechtriem P. (ed.), Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 2<sup>nd</sup> ed., 1998, 612: „როგორც წესი, მოვალეს ვალდებულების შეთანხმებული შინაარსით შესრულების უზრუნველსაყოფად მოეთხოვება დაბრკოლების დაძლევა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს მნიშვნელოვნად დიდ დანახარჯებს ან ეკონომიკურ დანაკარგს უკავშირდება“. Flechtner H., Article 79 of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) as Rorschach Test: The Homeward Trend and Exemption for Delivering Non-Conforming Goods, Pace Int'l L. Rev., Vol. 19, Issue 1, 4-1-2007, 31, 32, 39, 48,

<<http://digitalcommons.pace.edu/pilr/vol19/iss1/3>>, [17.07.2014].

<sup>316</sup> Oliveira N.M.P., The German Act to Modernize the Law of Obligations as a Model for the Europeanization of Contract Law? The New Rules Regarding Impossibility of Performance from the Perspective of a Portuguese Lawyer, EJCL, Vol. 11.4, December 2007, 10, <<http://www.ejcl.org/114/art114-2.pdf>>, [19.07.2014].

<sup>317</sup> Zimmermann R., Breach of Contract and Remedies under the New German Law of Obligations, Saggi, Conferenze e Seminari 48, Roma, 2002, 15, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/zimmerman.html>>, [19.07.2014].

<sup>318</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, the Netherlands, 2009, 82.

<sup>319</sup> Markesinis S.B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 413.

II)<sup>320</sup> და მორალური, ეთიკური, პირადი შეუძლებლობის (§275 III)<sup>321</sup> სახე-ებს.<sup>322</sup> პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს იმ შემთხვევაშიც, თუ მოვალეს გაუმართლებელია მოეთხოვოს შესრულება ეთიკური მიზეზების გათვალისწინებით. მაგალითად, თუ გამყიდველი-სათვის ცნობილია, რომ მყიდველი შესრულების საგანს გამოიყენებს ბიოლოგიური ან ქიმიური იარაღის წარმოებისათვის ან ისეთი მიზნებისათვის, რომლისთვისაც საქონელი ექვემდებარება კონფისკაციას მყიდველი სახელ-მწიფოს მხრიდან. ზემოაღნიშნული საფუძვლით შესაძლებელია განხორცი-ელდეს მოვალისათვის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების მინიჭებაც.<sup>323</sup>

ფარდობითი შეუძლებლობა არ გამორიცხავს შესრულების შესაძლებლობას, ის მხოლოდ უფლებას ანიჭებს მოვალეს უარი თქვას შესრულებაზე.

გსკ-ის 275-ე II პარაგრაფი განამტკიცებს შესრულების პრაქტიკულ შეუძლებლობას (*faktische oder praktische Unmöglichkeit/Practical Impossibility*), რომლის დროსაც ვალდებულება მართალია, ობიექტურად განხორციელებადია, მაგრამ მისი შესრულება არაგონივრულია, რამდენადაც კრედიტორის შესრულების ინტერესთან შეფარდებით შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს უკავშირდება. ხელშეკრულების მბოჭავი ძალის განსაზღვრისას შესრულების ხარჯების სიდიდე და დაბრკოლების გადალახვის სირთულე არ შეიძლება აბსოლუტური მნიშვნელობით განიმარტოს. იგი შეიძლება შეფასებულ იქნეს მხოლოდ კრედიტორის შესრულების ინტერესის გათვალისწინებით.<sup>324</sup>

გსკ-ის 275-ე II პარაგრაფი გამოიყენება მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევაში: თუ სახეზეა შესრულებისათვის აუცილებელი ხარჯებისა და კრე-

<sup>320</sup> მოვალეს შეუძლია უარი განაცხადოს ვალდებულების შესრულებაზე, თუ იგი დაკავშირებულია ისეთ ხარჯებთან, რაც, ხელშეკრულების საგნისა და კეთილსინდისი-ერების პრინციპის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად შეუსაბამოა შესრულებისადმი კრედიტორის სახელშეკრულები ინტერესისა. იმის განსაზღვრისათვის, თუ რა ძალისხმევა შეიძლება მოეთხოვოს მოვალეს, გასათვალისწინებელია მისი ბრალი შესრულების შეუძლებლობის გამომწვევ დაბრკოლებაში. იხ. გსკ-ის (German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005) §275 III.

<sup>321</sup> მოვალეს, რომელმაც ვალდებულება პირადად უნდა შეასრულოს, შეუძლია უარი განაცხადოს შესრულებაზე, თუ, კრედიტორის შესრულების ინტერესისა და შესრულების მიმართ არსებული დაბრკოლების ურთიერთშეფარდების გათვალისწინებით, მოვალეს არა-გონივრულია მოეთხოვოს ვალდებულების შესრულება. იხ. გსკ-ის (German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005) §275 III.

<sup>322</sup> Zimmermann R., Remedies for Non-performance. The Revised German Law of Obligations, Viewed against the Background of the Principles of European Contract Law, Edin.L.R., Vol. 6, 2002, 271-314, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/edinlr6&div=28&g\\_sent=1&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/edinlr6&div=28&g_sent=1&collection=journals)>, [19.07.2014].

<sup>323</sup> Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1077.

<sup>324</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, the Netherlands, 2009, 82-83.

დიგორის ინტერესების აშკარა დისხალანსი,<sup>325</sup> როდესაც ვერცერთი გონიერი კრედიტორი ვერ დააყენებს შესრულების მოთხოვნას.<sup>326</sup> გსკის 275-ე III პარაგრაფი განამტკიცებს შესრულების პირად შეუძლებლობას და ვრცელდება მომსახურებისა და შრომით ხელშეკრულებებზე, რომლებიც ვალდებულების პირადად შესრულებას ითვალისწინებენ. მაგალითად, შესრულების ვალდებულებისაგან შეიძლება განთავისუფლდეს ოპერის მომღერალი, რომლის ბავშვი სიცოცხლისათვის საშიში ავადმყოფობით არის დაავადებული.<sup>327</sup>

### 3.8.2. შესრულების შეუძლებლობის სამართლებრივი შედეგები

კონტრაკენტო უმთავრესი სამართლებრივი ინტერესი შეთანხმებული პირობებით ხელშეკრულების შესრულებაა.<sup>328</sup> მნიშვნელოვანია, თუ სამართლებრივი სისტემა სახელშეკრულებო ინტერესის დაკმაყოფილების რაფორმებს სთავაზობს დაზარალებულ მხარეს შესრულების შეუძლებლობის არსებობისას.

შესრულების შეუძლებლობის დოქტრინის თანახმად, მოვალე თავისუფლდება სახელშეკრულებო ბოჭვისა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან, თუ შესრულების შეუძლებლობა, რომელიც მოვალის ბრალეულ (განზრას ან გაუფრთხილებელ) ქმედებას (მოქმედებას ან უმოქმედობას) არ მიეწერება, წარმოიშვა ხელშეკრულების დადების შემდეგ. სინალაგმატური ხელშეკრულებების ორმხრივი ბუნებიდან გამომდინარე, არაბრალეული შესრულების შეუძლებლობა, როგორც მოვალის შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების საფუძველი, იწვევს კონტრაკენტოს განთავისუფლებას სანაცვლო სახელშეკრულებო ვალდებულებისგან (ორმხრივი განთავისუფლება).<sup>329</sup>

თუ შესრულების შეუძლებლობა ვალდებულების მხოლოდ ნაწილზე ვრცელდება, მაშინ მეორე ხელშემკვრელი მხარის სანაცვლო ვალდებულებისგან განთავისუფლება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეიძლება ჰქონდეს კრედიტორს ნაწილობრივი შესრულების მიღების ინტერესი. შესაბამისად, სანაცვლო განთავისუფლება შეიძლება გავრცელდეს სანაცვლო

<sup>325</sup> Oliveira N.M.P., The German Act to Modernize the Law of Obligations as a Model for the Europeanization of Contract Law? The New Rules Regarding Impossibility of Performance from the Perspective of a Portuguese Lawyer, EJCL, Vol. 11, 4, December 2007, 3, <<http://www.ejcl.org/114/art114-2.pdf>>, [19.07.2014].

<sup>326</sup> Volker E., Das Recht der Leistungsstörungen 37 (5<sup>th</sup> ed., 2003), მთითებულია: Oliveira N.M.P., The German Act to Modernize the Law of Obligations as a Model for the Europeanization of Contract Law? The New Rules Regarding Impossibility of Performance from the Perspective of a Portuguese Lawyer, EJCL, Vol. 11.4, December 2007, 3, <<http://www.ejcl.org/114/art114-2.pdf>>, [19.07.2014].

<sup>327</sup> Rösler H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law, Kluwer Law International BV/Printed in Netherlands, Eur. Rev. of Prv. L., Vol. 15, No. 4, 2007, 495, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1154004](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1154004)>, [19.07.2014].

<sup>328</sup> Lindström N., Changed Circumstances and Hardship in the International Sale of Goods, NJCL, Issue 1, 2006, No. 1, 2, <[http://www.njcl.fi/1\\_2006/commentary1.pdf](http://www.njcl.fi/1_2006/commentary1.pdf)>, [19.07.2014].

<sup>329</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, the Netherlands, 2009, 79.

შესრულების ვალდებულებაზე სრულად ან შეუძლებელი შესრულების პროკორციულად.

დროებითი შეუძლებლობისას, სანაცვლო შესრულება არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს შესრულების შეუძლებლობის არსებობის მანძილზე. მუდმივი შესრულების შეუძლებლობა იწვევს ხელშემკვრელ მხარეთა საბოლოო განთავისუფლებას ურთიერთსანაცვლო ვალდებულებებისგან.<sup>330</sup>

განსაკუთრებით რთულია შესრულების აბსოლუტური და ფარდობითი, ობიექტური და სუბიექტური შეუძლებლობის გამიჯვნა ვალდებულების შესრულებისაგან მოვალის განთავისუფლების ნიშნით. მაგალითად, შესრულების ვალდებულებისაგან განთავისუფლება შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ აბსოლუტური (ობიექტური), არამედ ფარდობითი (სუბიექტური) შეუძლებლობის შემთხვევაშიც. ამრიგად, აბსოლუტური და ფარდობითი შეუძლებლობის გამიჯვნა, შედეგის თვალსაზრისით, აზრს მოკლებულია.<sup>331</sup>

შესრულების პრაქტიკული შეუძლებლობისას ხელშეკრულების მბოჭავი ძალა განისაზღვრება მხარეთა ბრალეულობის გათვალისწინებით და ვალდებულების შეუსრულებლობის რისკის გადანაწილების მიხედვით.

### 3.8.3. პრაქტიკული და ეკონომიკური (შესრულების გართულება) შეუძლებლობის თანაფარდობა

გერმანული დოქტრინა განასხვავებს შესრულების პრაქტიკულ შეუძლებლობას (*faktische oder praktische Unmöglichkeit*) ეკონომიკური შეუძლებლობისან (*wirtschaftliche Unmöglichkeit*). ეს უკანასკნელი არ რეგულირდება გსკ-ის 275-ე II პარაგრაფით, არამედ მას აწესრიგებს გსკ-ის 313-ე პარაგრაფი, რომელიც კონცეფტუალურად განსხვავებულ – შეცვლილ გარემოებებთან (*Störung der Geschäftsgrundlage*) (“*Interference with the Basis of the Transaction*”) დაკავშირებულ შესრულების გართულების პრობლემატიკას შეეხება. გსკ-ის 313-ე პარაგრაფის მოქმედების ფარგლები გაცილებით ფართოა და მოიცავს შესრულების განსაკუთრებულ გართულებას, როდესაც გამოირიცხება პრაქტიკული შეუძლებლობის შემთხვევა.<sup>332</sup> ეკონომიკური შეუძლებლობისას ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას ეკონომიკური რესურსების

<sup>330</sup> Gareth J., Schlechtriem P., Breach of Contract (Deficiencies in a Party's Performance), International Encyclopedia of Comparative Law, Vol. VII (Contracts in General), Chapter 15, Tübingen, 1999, Parag. 163, 103, მოთვებულია: Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, the Netherlands, 2009, 80.

<sup>331</sup> Treitel G.H., Frustration and Force Majeure, 2<sup>nd</sup> ed., London, 2004, 3-003, მოთვებულია: Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, the Netherlands, 2009, 88.

<sup>332</sup> Oliveira N.M.P., The German Act to Modernize the Law of Obligations as a Model for the Europeanization of Contract Law? The New Rules Regarding Impossibility of Performance from the Perspective of a Portuguese Lawyer, EJCL, Vol. 11.4, December 2007, 3, <<http://www.ejcl.org/114/art114-2.pdf>>, [10.02.2014].

ნაკლებობა განაპირობებს.<sup>333</sup> ეკონომიკური შეუძლებლობისას ვალდებულება, მართალია, მოვალისათვის უკიდურესად მძიმეა შესასრულებლად, მაგრამ ეს სირთულე არ არის კრედიტორის შესრულების ინტერესთან მნიშვნელოვნად შეუსაბამო (არაპროპორციული). მაგალითად, ხელშეკრულების დადების შემდეგ თუ გაყიდული ნივთის ფასი 100-ჯერ გაიზრდება, ამით, მართალია, ვალდებულება უკიდურესად დამძიმდება, მაგრამ კრედიტორის შესრულების ინტერესიც გაყიდული ნივთის ფასის შესაბამისად გაიზრდება.<sup>334</sup> ბუნებრივია, ამ შემთხვევაში გამყიდველს ექნება საფუძვლიანი ინტერესი, ნივთის სანაცვლოდ მიიღოს მისი საბაზო დირექტულების შესატყვისი ფასი.

ამდენად, ეკონომიკური შეუძლებლობის არსებობისას კრედიტორის შესრულების ინტერესსა და მოვალისათვის შესრულების სირთულეს შორის შეუსაბამობა არ არსებობს – რამდენადაც რთულია ვალდებულების შესრულება მოვალისათვის, იმდენად მნიშვნელოვანია ამგვარი შესრულების მიღება უფლებამოსილი პირისათვის. კრედიტორის შესრულების ინტერესი შეესაბამება ნივთის საბაზო ფასს და არა ხელშეკრულების საწყის ფასს. მოვალის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება განისაზღვრება იმისდა მიხედვით, დაცულია თუ არა გსკ-ის 313-ე პარაგრაფის წინაპირობები.<sup>335</sup>

გსკ-ის 275 II (1) პარაგრაფი, განამტკიცებს რა შესრულების პრაქტიკულ, ფაქტობრივ შეუძლებლობას, ათავისუფლებს მოვალეს შესრულების ვალდებულებისგან, რომელიც არაგონიერულად დიდ დანახარჯებს უკავშირდება, ხოლო შესრულებისათვის აუცილებელი ძალისხმევა, ვალდებულების არსისა და კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად შეუსაბამოა კრედიტორის სახელშეკრულებო ინტერესისა. ამ დროს ხდება ვალდებულების შესრულების მიმართ წარმოშობილი დაბრკოლებისა და კრედიტორის სახელშეკრულებო ინტერესის ურთიერთშეფარდება.<sup>336</sup> მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია მოვალის ბრალი დაბრკოლების წარმოშობაში.

პრაქტიკული შეუძლებლობის კლასიკური მაგალითია ცნობილი საქმე ბეჭდის ნასყიდობის შესახებ,<sup>337</sup> როდესაც ხელშეკრულების საგანი მყიდველისათვის გადაცემამდე ჩავარდა ტბაში და ჩაიძირა. ვინაიდან ტბის დაშრობა ობიექტურად შესაძლებელია, მოცემულ შემთხვევაში არ წარმოიშობა შესრულების აბსოლუტური შეუძლებლობა (§275 I). ვინაიდან ბეჭდის დირექტულება

<sup>333</sup> Pizer L.K., Smith M.R. (eds. in Chief), Southerington T., Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 2002-2003, Kluwer Law International, The Hague, London, New York, 2004, 258.

<sup>334</sup> Zimmermann R., Breach of Contract and Remedies Under the New German Law of Obligations, Saggi, Conferenze e Seminari 48, Roma, 2002, 12-14, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/zimmerman.html>>, [10.02.2014].

<sup>335</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, the Netherlands, 2009, 83.

<sup>336</sup> Grundmann S., Germany and the Schuldrechtsmodernisierung, 2002, ERCL, Vol. 1, Issue 1, 2005, 129, 135.

<sup>337</sup> ob. Zimmermann R., Breach of Contract and Remedies under the New German Law of Obligations, Saggi, Conferenze e Seminari 48, Roma, 2002, 12-13, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/zimmerman.html>>, [10.02.2014].

100-ჯერ ნაკლებია ტბის დაშრობის ხარჯებთან შედარებით, შესრულებისათვის აუცილებელი ძალისხმეულია და ხარჯები მნიშვნელოვნად არაპროპორციულია თვით ბეჭდის დირებულებისა და შესრულებისადმი კრედიტორის უცვლელი ინტერესისა. ამ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების მოთხოვნა, მისი განხორციელებადობის მიუხედავად, არაგონივრულია, რამეთუ დაბრკოლების გადალახვასთან (ტბის ამოშრობასთან) დაკავშირებული ხარჯები კრედიტორის შესრულების ინტერესს 100-ჯერ აღემატება.

მოვალის ზედმეტი და უსაფუძვლო დანახარჯების თავიდან აცილება არის კანონმდებლის ეკონომიკური მიზანი. შესრულების ვალდებულება გამოირიცხება, თუ საამისოდ აუცილებელი ხარჯები მნიშვნელოვნად აღემატება ხელშეკრულების სარგებლიანობას. სწორედ ხელშეკრულების სარგებლიანობით ფასდება ხელშეკრულების მბოჭავი ძალის განმსაზღვრელი „გონივრულობის“ კრიტერიუმი.<sup>338</sup>

1973 წელს ნავთობის იმპორტიორმა კომპანიამ, არსებული კრიზისის გათვალისწინებით, უარი განაცხადა ქალაქისათვის ნავთობის მიწოდებაზე იმ საფუძვლით, რომ მისთვის შესრულება შეთანხმებულ სახელშეკრულებო ფასად არაგონივრული იყო. გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ (BGH) წარმოშობილი ფინანსური ზარალის მიმართ ბრალეულად მიიჩნია კომპანია, რომელმაც არ შეისყიდა გარკვეული რაოდენობის ნავთობი მარაგის აკუმულირების მიზნით, არ მიიღო მოსალოდნელი ცვლილებების თავიდან აცილებისათვის აუცილებელი ზომები. ამასთანავე, ხელშეკრულება განამტკიცებდა ფიქსირებულ სახელშეკრულებო ფასებს, რაც მხარეებს აკისრებდა საბაზრო ფასების ცვლილებათა რისკს. მოცემულ შემთხვევაში გამოირიცხა შეცვლილი გარემოებისადმი ხელშეკრულების როგორც მისადაგება, ასევე მისი შეწყვეტა გარემოებათა ცვლილების წინასწარ გათვალისწინებისა და მათი თავიდან აცილების შესაძლებლობის საფუძვლით, რადგან შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ან სახელშეკრულებო ბოჭვისაგან განთავისუფლების სამართლებრივი წინაპირობაა მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადების ეტაპზე გონივრულად არასაგარაუდო, გაუთვალისწინებელი გარემოებათა ცვლილება.<sup>339</sup>

ნავთობის კრიზისის შესახებ ზემოგანხილულ საქმეში მოვალის შესრულების ვალდებულება არ გამოირიცხება გსკ-ის 275 II პარაგრაფის სა-

<sup>338</sup> Rössler H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law, Kluwer Law International BV/Printed in Netherlands, Eur. Rev. of Prv. L., Vol. 15, No. 4, 2007, 494, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1154004](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1154004)>, [10.02.2014]; Posner R.A., Rosenfield A.M., Impossibility and Related Doctrines in Contract Law: An Economic Analysis, J. Legal Stud., Published by: The University of Chicago Press, Vol. 6, No. 1, 83-118,

<<http://www.jstor.org/stable/pdfplus/724191.pdf?acceptTC=true>>, [10.02.2014]; Kováč M., Comparative Contract Law and Economics (New Horizons in Law and Economics Series), Edward Elgar Pub., August 30, 2011, 259-292; Kessedjian C., Competing Approaches to Force Majeure and Hardship, Int'l Rev. L. & Econ., Vol. 25, 2005, 415-431, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/kessedjian.html>>, [10.02.2014].

<sup>339</sup> Mekki M., Pelese M.K., Hardship and Modification (or ‘Revision’) of the Contract, 2010, 16, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1542511](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1542511)>, [10.02.2014]; Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 10.

ფუძველზე, რადგან შესყიდვის ფასის მკვეთრმა ცვლილებამ გამოიწვია მყიდველის სახელშეკრულებო ინტერესის, სახელშეკრულებო სარგებლის სანაცვლო გაზრდა, ვინაიდან კრედიტორს ნავთობის სხვა წყაროდან შესყიდვის შემთხვევაში მოუწევს მნიშვნელოვნად მაღალი ფასის გადახდა, ხოლო შეთანხმებულ თავდაპირველ ფასად შესყიდული ნავთობის შემდგომი რეალიზაციის შემთხვევაში, მიიღებს მნიშვნელოვან სარგებელს. ვინაიდან, არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით არ არსებობს დირექტულებისა და სარგებლიანობის მნიშვნელოვანი შეუსაბამობა, მოვალეს ეკისრება ვალდებულების შესრულება საამისოდ აუცილებელი ძალისხმევის მიუხედავად.<sup>340</sup>

ამრიგად, გსკ-ის 275-ე II (1) პარაგრაფი არ ვრცელდება შემთხვევაზე, როდესაც დიდ ხარჯებთან დაკავშირებულ მოვალის სახელშეკრულებო ვალდებულებას შეესაბამება კრედიტორის შესრულების ინტერესის სანაცვლო, სიმეტრიული ზრდა. გსკ-ის 313-ე პარაგრაფი მოითხოვს მხარეთა ინტერესების ურთიერთმიმართების ანალიზს მორალური, ფინანსური თუ ოჯახური საკითხების თვალსაზრისით. გსკ-ის 275-ე II (1) პარაგრაფი კი ვალდებულების შესრულების გონივრულობის განსაზღვრის კრიტერიუმად კრედიტორის სახელშეკრულებო ინტერესს აწესებს და აფასებს მას მოვალის შესრულების დირექტულებასთან შეფარდებით.

საბოლოოდ, გსკ-ის 275-ე II პარაგრაფი გამოსაყენებელია იმ შემთხვევებში, როდესაც ურთიერთსანაცვლო შესრულება ეკონომიკური თვალსაზრისით გაუმართლებელია, რამდენადაც ხარჯები აღემატება სარგებლიანობას. მაშინ როდესაც, გსკ-ის 313-ე პარაგრაფი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ ორმხრივი შესრულება უსამართლოა, ვინაიდან შესრულების ფასი გაცილებით დაბალია და არ შეესატყვისება შესრულების დირექტულებას.<sup>341</sup> გსკ-ის 275-ე II პარაგრაფისათვის ამოსავალი პრინციპი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების მიმართ კრედიტორის ინტერესია, ხოლო გსკ-ის 313-ე პარაგრაფი ორიენტირებულია მოვალის ინტერესზე – უარი თქვას არასასურველ შესრულებაზე.

ზემოხსენებული პარაგრაფების სამართლებრივი შედეგები შესაძლებელია იდენტური იყოს. კერძოდ, თუ მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს უცვლელი პირობებით ვალდებულების შესრულება, მხარე უფლებამოსილია გსკ-ის 346-ე პარაგრაფის ძალით, ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლება აამოქმედოს მას შემდეგ, რაც გამოირიცხება ხელშეკრულების ადაპტაციის შესაძლებლობა ან გონივრულობა, მისი პრიორიტეტული მნიშვნელობიდან გამომდინარე. ხელშეკრულების კორექტირების უარყოფითი შედეგები ორივე მხარისათვის თანაბრად ნაწილდება სახელშეკრულებო წონასწორობისა და ინტერესთა თანაფარდობის უზრუნველყოფის მიზნით.

<sup>340</sup> Rösler H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law, Kluwer Law International BV/Printed in Netherlands, Eur. Rev. of Prv. L., Vol. 15, No. 4, 2007, 494-495, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1154004](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1154004)>, [10.02.2014].

<sup>341</sup> იქვე.

#### 4. კონცეფტუალურად განსხვავებული ფრანგული სამართლებრივი სისტემა

კონტინენტური ევროპის ქვეყნებს შორის ფრანგული და ბელგიური სამართლი უკელაზე ნაკლებად იზიარებს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების დოქტრინას.<sup>342</sup>

ისტორიულად ფრანგული კერძო სამართლი არ ცნობდა შეცვლილი გარემოებების გავლენას ხელშეკრულების მბოჭავ ძალაზე იმ სახით, რომ მხარეს უფლება პქნონდა მოეთხოვა შეცვლილი გარემოების გავლენით უკიდურესად გართულებული შესრულების ვალდებულებისაგან განთავისუფლება.

მოგვიანებით აღიარებულ იქნა, რომ შეცვლილი გარემოებები უფრო ხშირად გრძელვადიან ურთიერთობებთან მიმართებით აღმოცენდება და იწვევს სანაცვლო უფლება-მოვალეობების დისბალანსს.<sup>343</sup> შეცვლილ გარემოებათა პირობებში ხელშეკრულების შესრულების საკითხის მოსაწესრიგებლად განვითარდა კონცეფცია „*imprévision*“<sup>344</sup>, რომელიც მოიაზრებს გაუთვალისწინებელი გარემოების ძალით გართულებულ, ერთ-ერთი მხარისათვის უკიდურესად დამძიმებულ, მაგრამ ობიექტურად ჯერ კიდევ განხორციელებად ვალდებულებას. აღნიშნული ცნება არსობრივად განსხვავდება ფსკის<sup>345</sup> 1147-ე და 1148-ე მუხლებით განმტკიცებული ფორსმაჟორისაგან, როგორც შესრულების არაბრალეული შეუძლებლობისაგან, რომელიც გამორიცხავს როგორც შესრულების, ასევე ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

ზემოაღნიშნული კონცეფციები განსხვავდებიან როგორც არსობრივად, ასევე თანამდევი სამართლებრივი შედეგებით: თუ ფორსმაჟორი იწვევს როგორც შესრულების ვალდებულებისაგან, ისე ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან განთავისუფლებას, შესრულების გართულება – „*imprévision*“ მხარეთა მიერ მოლაპარაკების, ხელშეკრულების გადასინჯვისა და სასამართლოს მიერ შეცვლილი გარემოებებისადმი კონტრაქტის მისადაგების ვალდებულებას აღმოაცენებს.<sup>346</sup>

<sup>342</sup> Draetta U., Lake R B., Nanda V.P., Breach and Adaptation on International Contracts, An Introduction to Lex Mercatoria, Butterworth Legal Publishers, 1992, 183.

<sup>343</sup> მხარეთა ურთიერთსანაცვლო უფლებამოვალეობებით დატვირთული ორმხრივი ხელშეკრულებები ურთერთშესასრულებელ ვალდებულებათა ექონომიკურ ძალანსს ემყარება, რომელიც მხარეთა მიერ მათი ნებისა და განზრახვის შესაბამისდ არის ფორმირებული. შესაბამისად, აღნიშნული სუბიექტურ სახელშეკრულებო ძალანსად იწოდება.

ob. Karampatzos A., Supervening Hardship as Subdivision of the General Frustration Rule: A Comparative Analysis with Reference to Anglo-American, German, French and Greek Law, Eur. Rev. Private L., Kluwer Law International, The Netherlands, Vol.13, No. 2, 2005, 110,

<[http://www.heinonline.org/HOL/Print?handle=hein.kluwer/erpl0013&div=13&collection=kluwer&set\\_as\\_cursor=0&men\\_tab=srchresults](http://www.heinonline.org/HOL/Print?handle=hein.kluwer/erpl0013&div=13&collection=kluwer&set_as_cursor=0&men_tab=srchresults)>, [10.02.2014].

<sup>344</sup> théorie de l'*imprévision*.

<sup>345</sup> French Civil Code, Translated by Rouquette G. with the assistance of Rouquette-Bertot A., 2006.

<sup>346</sup> Uribe M., The Effect of a Change of Circumstances on the Binding Force of Contracts, Comparative Perspectives, Ius Commune Europaeum, Intersentia, 2011, 41.

ფრანგულ სამართალში მნიშვნელობა არ ენიჭება მხარეთა სახელ-შეკრულებო ინტერესების ანალიზს, შესაბამისად, „*imprévision*“ დოქტრინა არ მოიცავს „სახელ-შეკრულებო მიზნის გაქარწყლების“<sup>347</sup> დოქტრინის ელე-მენტებს<sup>348</sup>, არამედ ემიჯნება მას.

მიუხედავად *imprévision* კონცეფციის არსებობისა, ტრადიციული ფრანგული დოქტრინა, როგორც წესი, არ განიხილავს შეცვლილი გარემოებებით განპირობებულ შესრულების დამძიმებას, როგორც ხელ-შეკრულების შეწყვეტის, მოლაპარაკებისა და ადაპტაციის საფუძველს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ფრანგული სამართლის კვლევა მხოლოდ მისი არსობრივი მიმოხილვით ამოიწურება.

## 5. შეცვლილი გარემოებების სამართლებრივი რეგლამენტაცია ანგლოამერიკულ სამართალში

ანგლოამერიკული სამართალი არ იცნობს ტერმინებს ფორსმაჟორი და შესრულების გართულება.<sup>349</sup> შეცვლილი გარემოებების პრობლემატიკასთან მიმართებით მოქმედებს ხელ-შეკრულების მიზნის ამაოებისა<sup>350</sup> და კო-მერციული განუხორციელებლობის<sup>351</sup> დოქტრინები.

### 5.1. ხელ-შეკრულების ამაოების ინგლისური დოქტრინა

#### 5.1.1. ხელ-შეკრულების ამაოების მოძღვრების ადმოცენება

კონტინენტური სამართლის სისტემა ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის მიმდევარია,<sup>352</sup> ხოლო ანგლოამერიკულ სამართალში, კონტინენტური სამართლისგან განსხვავებით, მოქმედებს მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპი,<sup>353</sup> რომლის საფუძველზეც საერთო სამართალი ყველა სახელ-შეკრულებო პირობას გარანტის ძალას ანიჭებს. თუმცა, მოვალის პასუხისმგებლობა აბსოლუტური არ არის და ის შეიძლება შეიზღუდოს მხარეთა მიერ დადგენილი ე.წ. ფორსმაჟორული დათქმებით,<sup>354</sup> რომელიც თითქმის

<sup>347</sup> frustration of purpose.

<sup>348</sup> Uribe M., The Effect of a Change of Circumstances on the Binding Force of Contracts, Comparative Perspectives, Ius Commune Europaeum, Intersentia, 2011, 41.

<sup>349</sup> Perillo J., Hardship and Its Impact on Contractual Obligations: A Comparative Analysis, Roma, 1996, 1, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/perillo4.html>>, [10.02.2014].

<sup>350</sup> Frustration of Purpose.

<sup>351</sup> Commercial Impracticability.

<sup>352</sup> Schwenzer I., Hachem P., Kee Ch., Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012, 650.

<sup>353</sup> Scott R. E., In (Partial) Defense of Strict Liability in Contract, Columbia Law and Economics Working Paper No. 341, Mich. L. Rev., Vol. 107, 2009, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1304239](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1304239)>, [10.02.2014].

<sup>354</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის განჩინება საქმეზე: №ას-7-6-2010. აღნიშნულ საქმეში მხარეებმა სახელ-შეკრულებო შეთანხმებით განსაზღვრეს, რომ ისინი დროებით თავისუფლდებოდნენ პასუხისმგებლობისაგან ხელ-შეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას

ყველა სამართლის სისტემისათვის არის დამახასიათებელი.<sup>355</sup> ამ შემთხვევაში კონტრაქტები თვით ხელშეკრულებაში უთითებენ იმ გარემოებათა შესახებ, რომელთა არსებობა იწვევს მათ განთავისუფლებას პასუხისმგებლობისაგან.<sup>356</sup> აღნიშნული თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია სახელშეკრულებო შეთანხმებით ფორსმაჟორის სამართლებრივი შედეგების დეტალური განსაზღვრა მხარეთა მიერ.<sup>357</sup> ფორსმაჟორული დათქმის მოქმედების ფარგლების დადგენა შესაძლებელია განხორციელდეს იმ მოვლენების შეზღუდული ჩამონათვალის ან კონკრეტული აღწერილობის<sup>358</sup> განსაზღვრით, რომლებიც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების წინაპირობა უნდა გახდეს ვალდებულების შესრულების დაბრკოლებისას ან შეუძლებლობისას.<sup>359</sup> თუ მხარეთა ინტერესი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების ფართო შესაძლებლობების მინიჭებაა, კონტრაქტითა მიზნის შესაბამისად, შესაძლებელია ასევე, დაბრკოლებათა ზოგადი ხასიათის განსაზღვრა მოვლენათა კონკრეტული ჩამონათვალის ნაცვლად.

საგარანტიო პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო შეთანხმებით განმტკიცებული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების გარდა, შეიძლება შეიზღუდოს ე.წ. ხელშეკრულების ამაოების დოქტრინით, რომლის განვითარებას დასაბამი დაუდო საქმემ თვილორი ქვლდველის წინააღმდეგ - *Taylor v. Caldwell*.<sup>360</sup> ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით სასამართლო

---

ფორსმაჟორული გარემოებების მოქმედების პერიოდში, თუ ისინი გამოწვეული იქნებოდა გადაუხალავი ძალის გავლენით.

<sup>355</sup> *DiMatteo L.A.*, *The Law of International Contracting*, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 2000, 54.

<sup>356</sup> ჯანგურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შეგვებელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 374.

<sup>357</sup> *DiMatteo L.A.*, *The Law of International Contracting*, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 2000, 54.

<sup>358</sup> ი. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: პკ-310-2000. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში განმარტებული ხელშეკრულებით კონკრეტულად განისაზღვრა აგარიული სიტუაცია ფორსმაჟორულ, ე.ი. პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად.

<sup>359</sup> UNCITRAL – Legal Guide on Drawing Up International Contracts for the Construction of Industrial Works, Prepared by the United Nations Commission on International Trade Law, United Nations, New York, A/CN.9/SER.B/2, 1988, 233,

<[http://www.uncitral.org/pdf/english/texts/procurem/construction/Legal\\_Guide\\_e.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/texts/procurem/construction/Legal_Guide_e.pdf)>.

<sup>360</sup> ი. (1863) 3b & S826, 122 ER 309 (QB). აღნიშნულ საქმეში მხარეთა ბრალისაგან დამოუკიდებლად დაიწვა მუხიადური დარბაზი, რომელიც კონცერტის ორგანიზებისთვის იყო განკუთვნილი. სასამართლომ გააუქმა ხელშეკრულების მოქმედება და ორივე კონტრაქტი გაათავისუფლა სახელშეკრულებო ვალდებულებისაგან. ი. *Poole J.*, Casebook on Contract Law, 9<sup>th</sup> ed., Online Resource Centre, Oxford University Press, Oxford, 2008, 565; *Farnsworth E.A.*, Farnsworth on Contracts, 3<sup>rd</sup> ed., Vol. 2, Aspen Publishers, 2004, 627-632; *Perillo J.*, Hardship and Its Impact on Contractual Obligations: A Comparative Analysis, Roma, 1996, 4,

<<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/perillo4.html>>; *Southerington T.*, Impossibility of Performance and Other Excuses in International Trade, 2001, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/southerington.html>>; *Bridgeman C.*, Reconciling Strict Liability with Corrective Justice in Contract Law, Fordham L. Rev., Vol. 75, 2007, 3035, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=669504](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=669504)>, [10.02.2014].

პირველად აღიარა შესრულების შეუძლებლობა პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად,<sup>361</sup> რითაც მნიშვნელოვნად შეიცვალა ინგლისური სამართლის მიღებობა შეცვლილი გარემოებების პირობებში ვალდებულების მკაცრი შესრულების მიმართ.<sup>362</sup> სასამართლომ დასაშვებად და ხელშეკრულების ნაგულისხმევ პირობად<sup>363</sup> მიიჩნია მხარეთა განთავისუფლება პასუხისმგებლობისგან, თუ ხელშეკრულების დარღვევამდე ვალდებულების შესრულება მოვალის ბრალისაგან დამოუკიდებლად შეუძლებელი გახადა მაგალითად, ინდივიდუალური ნივთის განადგურებამ.<sup>364</sup>

თავდაპირველად, დოქტრინა ვიწროდ განიმარტებოდა და პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად მხოლოდ შესრულების ობიექტური შეუძლებლობის პირობებში გამოიყენებოდა.<sup>365</sup> თუმცა, *Tayllor v. Caldwell* არ იყო აბსოლუტური, ფიზიკური შეუძლებლობის შემთხვევა, ვინაიდან შესრულება განხორციელებადი იყო დიდი ოდენობის ხარჯების გაწევის შემთხვევაში.<sup>366</sup> ამრიგად, შესრულების შეუძლებლობა და განუხორციელებლობა აბსოლუტური პასუხისმგებლობის პრინციპის გამონაკლისად იქნადაშვებული.<sup>367</sup>

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დროთა განმავლობაში დოქტრინის მოქმედება გაფართოვდა:<sup>368</sup> სასამართლოები იუქებდნენ მას არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების შესრულება ხელშეკრულების საგნის განადგურებით შეუძლებელი ხდებოდა, არამედ როდესაც ქარწყლდებოდა მხარეთა მოსალოდნელი სახელშეკრულებო ინტერესი და შეთანხმების მიზანი ხდებოდა ამაო. მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულების

<sup>361</sup> Goldberg V.P., Excuse Doctrine: The Eisenberg Uncertainty Principle, *J. Legal Analysis*, Vol.2, No. 1, 2010, 366, <<http://jla.oxfordjournals.org/content/2/1/359.full.pdf+html>>, [10.02.2014]; Smythe D.J., Bounded Rationality, the Doctrine of Impracticability, and the Governance of Relational Contracts, *S. Cal. Interdisc. L.J.*, Vol. 13, No. 2, 2003-2004, 228, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=799328](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=799328)>, [10.02.2014].

<sup>362</sup> აბსოლუტური სახელშეკრულებო ვალდებულების მაგალითად შეიძლება დასახელდეს საქმე – *Paradine v. Jane, English Rep. 897 [K.B. 1647]*, რომელშიც გამტკიცებული იყო შეცვლილი გარემოების მიუხედავად ვალდებულები მკაცრი დაცვის პრინციპი. იხ. *Chen-Wishart M., Contract Law*, 2<sup>nd</sup> ed., Oxford University Press, 2008, 386.

<sup>363</sup> *Implied Terms*.

<sup>364</sup> Treitel G.H., *The Law of Contract*, 9<sup>th</sup> ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 779; Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, *Exemption for Non-performance in International Arbitration*, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 89.

<sup>365</sup> Blum B.A., Chemerinsky E., Epstein R., Gilson R.F., Krier J.E., Neumann R.K., Syverud K.D., Warren E., Farnsworth E.A., Hazard GS., Wolfman B.(eds.), *Contracts, Examples and Explanations*, 3<sup>rd</sup> ed., Aspen Publishers, New York, 2004, 455.

<sup>366</sup> Treitel G.H., *The Law of Contract*, 9<sup>th</sup> ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 793.

<sup>367</sup> Jacobs D.L., Legal Realism or Legal Fiction? Impracticability Under the Restatement (second) of Contracts, New York, Com. L.J., Vol. 87, June/July, 1982, 289, <<http://heinonline.org/HOL/LandingPage?collection=journals&handle=hein.journals/clla87&div=70&id=&page=>>, [24.06.2014].

<sup>368</sup> Blum B.A., Chemerinsky E., Epstein R., Gilson R.F., Krier J.E., Neumann R.K., Syverud K.D., Warren E., Farnsworth E.A., Hazard GS., Wolfman B.(eds.), *Contracts, Examples and Explanations*, 3<sup>rd</sup> ed., Aspen Publishers, New York, 2004, 456.

შესრულება ობიექტურად კვლავ განხორციელებადი იყო,<sup>369</sup> სამართლიანობა მოითხოვდა შესრულების ვალდებულებისაგან განთავისუფლებას.<sup>370</sup>

### 5.1.2. ხელშეკრულების ამაოების სამართლებრივი მახასიათებლები

ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს<sup>371</sup> ხელშეკრულების ამაოების საფუძვლით, თუ ხელშეკრულების დადების შემდგომ აღმოცენებული, პირისგან დამოუკიდებლად არსებული გარეშე მოვლენა<sup>372</sup> ფიზიკურად თუ ეკონომიკურად განუხორციელებელს ხდის ვალდებულების შესრულებას ან წარმოშობს სრულიად სხვა შინაარსისა და სამართლებრივი ბუნების<sup>373</sup> ვალდებულებას, ვიდრე ეს ხელშეკრულების დადების ეტაპზე იყო მხარეთა მიერ შეთანხმებული.<sup>374</sup>

ამ შემთხვევაში უნდა შევასდეს მნიშვნელოვნად შეიცვალა თუ არა სახელშეკრულებო ვალდებულების არსი შეცვლილი გარემოების ან არაბუნებრივი მოვლენის<sup>375</sup> დადგომის შემდეგ.<sup>376</sup> ამისათვის უნდა განისაზღვროს თავდაპირველი ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და ხელშეკრულების დადების ეტაპზე არსებული გარემოებანი, დადგინდეს გაუთვალისწინებელი მოვლენის წარმოშობამდე არსებული და მის შემდეგ შეცვლილი ვალდებულების შინაარსი და ორივე ვალდებულების ურთიერთშეფარდების საფუძველზე განისაზღვროს ძირეული გარდასახვის არსებობა თავდაპირველი ვალდებულების შინაარსში.<sup>377</sup>

<sup>369</sup> Treitel G.H., *The Law of Contract*, 9<sup>th</sup> ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 779.

<sup>370</sup> Blum B.A., Chemerinsky E., Epstein R., Gilson R.F., Krier J.E., Neumann R.K., Syverud K.D., Warren E., Farndsworth E.A., Hazard G.S., Wolfman B. (eds.), *Contracts, Examples and Explanations*, 3<sup>rd</sup> ed., Aspen Publishers, New York, 2004, 456.

<sup>371</sup> *Discharge of a Contract*.

<sup>372</sup> Blum B.A., Chemerinsky E., Epstein R., Gilson R.F., Krier J.E., Neumann R.K., Syverud K.D., Warren E., Farndsworth E.A., Hazard G.S., Wolfman B. (eds.), *Contracts, Examples and Explanations*, 3<sup>rd</sup> ed., Aspen Publishers, New York, 2004, 442; Nachatar J.S., Hussin A.A., Omran A., *Frustration of Contract in the Malaysian Construction Contract management*, IJE, Tome 9, fascicule 3, Hunedoara, Romania, 2011, 86, <<http://web.ebscohost.com/ehost/pdfviewer/pdfviewer?sid=cbc3f99c-b258-4811-9ace-4a8f1729b548%40ses-sionmgr13&vid=2&hid=10>>, [24.06.2014].

<sup>373</sup> ი. გადაწყვეტილებები: *National Carriers Ltd. v. Panalpina (Northern) Ltd; Davis Contractors v Fareham UDC*; ასევე, Gregorio M., *Impossible Performance or Excused performance? Common Mistake and Frustration after Great Peace Shipping*, KCLJ, Vol. 16, No. 1, 2005 ,71.

<sup>374</sup> Chen-Wishart M., *Contract Law*, 2<sup>nd</sup> ed., Oxford University Press, 2008, 283; McKendrick E., Chitty on Contracts, *The Law of Contracts*, Vol.1, General Principles, Chapter 24, Discharge by Frustration, London, 1999, 24-001.

<sup>375</sup> Schwartz A.A., A “Standard Clause Analysis” of the Frustration Doctrine and the Material adverse Change Clause, Rev., Vol. 57, 2009 - 2010, 22-23,

<[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1466131](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1466131)>, [24.06.2014].

<sup>376</sup> აღნიშნულ საკოთხოან დაკავშირებით იხილეთ გადაწყვეტილება *Davis Contractors LTD v Fareham Urban District Council*, [1956] AC 696 (HL).

<sup>377</sup> Brunner Ch., *Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration*, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 90.

ხელშეკრულების ამაოების წარმოშობისათვის შესაძლებელია მნიშვნელოვანი იყოს შესრულების მეოთვის ცვლილებაც, თუ კონკრეტული მეოთვის გამოყენება საგანგებოდ იყო შეთანხმებული მხარეთა შორის.<sup>378</sup>

ამრიგად, ხელშეკრულების ამაოების წარმოშობს მხარეებისგან დამოუკიდებლად არსებული ახლადაღმოცენებული გარემოება, რომელიც იწვევს ძირულ ცვლილებას სახელშეკრულებო გარემოებებსა და ვალდებულების შინაარსში, ხელშეკრულების საფუძვლის რღვევას<sup>379</sup> და ამასთან, არ არის იმ მხარის ბრალეული მოქმედების ან უმოქმედობის შედეგი,<sup>380</sup> რომელიც ითხოვს ხელშეკრულების ამაოების საფუძვლით პასუხისმგებლობისგან გათვაისუფლებას.<sup>381</sup>

ხელშეკრულების ამაოება შეიძლება გამოიწვიოს ისეთმა გარემოებებმა, რომლებიც ვალდებულების შესრულებას ხდის შეუძლებელს ან მნიშვნელოვნად ართულებს მას. უმთავრესია, რომ აღნიშნული იწვევს მოვალისათვის შესრულების ინტერესის დაკარგვას, იმ სახელშეკრულებო მიზანს ხდის ამაოს, კომერციულად განუხორციელებელს, რომელიც ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში ჩართვის უმთავრეს მოტივაციას წარმოადგენდა.<sup>382</sup> მაგალითად, თუ ხელშეკრულების დადების შემდგომ აღმოცენებულმა გარემოებებმა იმდენად მნიშვნელოვნად შეამცირეს საქონლის, მომსახურებისა თუ მომსახურების საშუალებების ღირებულება, რომ მყიდველს არაგონივრულია მოეთხოვოს ასეთი შესრულების მიღება და შეთანხმებული ფასის გადახდა, მაშინ წარმოიშობა ხელშეკრულების მიზნის ამაოება.<sup>383</sup>

ხელშეკრულების მიზნის ამაოებისას შეუძლებლობისგან განსხვავებით ვალდებულების შესრულება კვლავ ობიექტურად განხორციელებადია,<sup>384</sup>

<sup>378</sup> ი. გადაწყვეტილება: *Tsakiroglou & Co. LTD v. Noblee Thorl GmbH*, [1962] AC 93 (HL).

<sup>379</sup> Smith S.A., Contract Theory, McGill University, Oxford University Press, 2007, 372. ი. ასევე, გადაწყვეტილება, რომელმაც განავითარა გარიგების საფუძვლის რღვევის დოქტრინა ინგლისურ სამართალში: *F.A. Tamplin Steamship Co. v. Anglo-Mexican Petroleum Products Co.* [1916] 2 A.C. 397, მთითებულია: *Rapsomanikas M. G.*, Frustration of Contract in International Trade Law and Comparative Law, Duq. Bus. L.J., Vol. 18, 1979-1980, 556, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/rapsomanikas.html#39>>, [20.05.2014].

<sup>380</sup> ი. გადაწყვეტილება: *Lauritzen AS v Wijsmuller BV, The Super Servant Two*, [1990] 1Lloyd's Rep 1 (CA); ასევე, *Nachatar J.S., Hussin A.A., Omran A.*, Frustration of Contract in the Malaysian Construction Contract Management, IJE, Tome 9, fascicule 3, Hunedoara, Romania, 2011, 86, <<http://web.ebscohost.com/ehost/pdfviewer/pdfviewer?sid=cbc3f99c-b258-4811-9ace-4a8f1729b548%40-sessionmgr13&vid=2&hid=10>>, [20.05.2014].

<sup>381</sup> *McKendrick E.*, Chitty on Contracts, The Law of Contracts, Vol.1, General Principles, Chapter 24, Discharge by Frustration, London, 1999, 24-007.

<sup>382</sup> Weiskopf N.R., Frustration of Contractual Purpose - Doctrine or Myth? St. John's L. Rev., Vol. 70, Issue 2, Number 2, Spring 1996, 240, <<http://scholarship.law.stjohns.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1607&context=lawreview>>, [20.05.2014].

<sup>383</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 91, შემდგომ მთითებებით: Treitel G.H., The Law of Contract, 10<sup>th</sup> ed., London, 1999, 824; Treitel G.H., Frustration and Force Majeure, 2<sup>nd</sup> edn., London, 2004, Ch.7.

<sup>384</sup> Kim N., Mistakes, Changed Circumstances and Intent, U. Kan. L. Rev., Vol. 56, 2007-2008, 505, <[http://www.law.ku.edu/sites/law.drupal.ku.edu/files/docs/law\\_review/v56/Kim\\_Final.pdf](http://www.law.ku.edu/sites/law.drupal.ku.edu/files/docs/law_review/v56/Kim_Final.pdf)>, [20.05.2014].

მაგრამ შეცვლილი გარემოებები სანაცვლო ვალდებულების შესრულების მიღებას ყოველგვარ ღირებულებას უკარგავს კრედიტორისათვის<sup>385</sup> და ამდენად, აქარწყლებს მის უმთავრეს სახელშეკრულებო მიზანს.<sup>386</sup> ამასთან, უმნიშვნელოვანესია, ორივე მხარე აცნობიერებდეს სახელშეკრულებო ურთიერთობის ძირითად მიზანს, რომლის განუხორციელებლობა ვალდებულების შესრულებას უკარგავს კონტრაქტებისათვის ღირებულებას.<sup>387</sup> პიროვნული მოტივები მხედველობაში არ მიიღება. ხელშეკრულების მიზანი იმდენად ნათლად უნდა იყოს მხარეთა მიერ გაცნობიერებული, რომ ხელშეკრულების საერთო, საზიარო საფუძვლად უნდა იქნეს აღიარებული.<sup>388</sup> ამრიგად, მხარეთა მიერ ნაგულისხმევი წარმოდგენები აუცილებლად ორმხრივად უნდა იყოს გაზიარებული,<sup>389</sup> რომ მათი გაქარწყლება პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველი გახდეს.

### 5.1.3. ხელშეკრულების ამაოების სამართლებრივი შედეგები

1943 წელს გაერთიანებულ სამეფოში მიღებულ იქნა ხელშეკრულების ამაოების მომწერიგებელი სამართლის რეფორმის აქტი<sup>390</sup>, რომლის მიზანი იყო ცვლილებები და დამატებები შეეტანა აღნიშნული საკითხის მარეგულირებელ ნორმებში.

ხსენებული აქტის მიღებამდე ხელშეკრულების ამაოება იწვევდა მხარეთა შეთანხმების ძალადაკარგულად გამოცხადებას შეცვლილი გარემოების გამოვლენის (*ex nunc*)<sup>391</sup> და არა ვალდებულების წარმოშობის მომენტი-

<sup>385</sup> ob.: *Rohwer C.D., Skrocki A.M.*, Contracts in a Nutshell, 7<sup>th</sup> ed., West Nutshell Series, 2010, 320; *Schwartz A.A.*, A „Standard Clause Analysis” of the Frustration Doctrine and the Material Adverse Change Clause, UCLA L. Rev., Vol.57, 2009-2010, 20, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1466131](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1466131)>; *Kim N.*, Mistakes, Changed Circumstances and Intent, U. Kan. L. Rev., Vol. 56, 2007-2008, 505, <[http://www.law.ku.edu/sites/law.drupal.ku.edu/files/docs/law\\_review/v56/Kim\\_Final.pdf](http://www.law.ku.edu/sites/law.drupal.ku.edu/files/docs/law_review/v56/Kim_Final.pdf)>, [20.05.2014].

<sup>386</sup> *Schwartz A.A.*, A „Standard Clause Analysis” of the Frustration Doctrine and the Material adverse Change Clause, UCLA l. Rev., Vol. 57, 2009-2010, 49, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1466131](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1466131)>, [20.05.2014]; *Brunner Ch.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 98; *Blum B.A., Chemerinsky E., Epstein R., Gilson R.F., Krier J.E., Neumann R.K., Syverud K.D., Warren E., Farndsworth E.A., Hazard G.S., Wolfman B.(eds.)*, Contracts, Examples and Explanations, 3<sup>rd</sup> ed., Aspen Publishers, New York, 2004, 463.

<sup>387</sup> *Rohwer C.D., Skrocki A.M.*, Contracts in a Nutshell, 7<sup>th</sup> ed., West Nutshell Series, 2010, 321.

<sup>388</sup> *Blum B.A., Chemerinsky E., Epstein R., Gilson R.F., Krier J.E., Neumann R.K., Syverud K.D., Warren E., Farndsworth E.A., Hazard G.S. , Wolfman B. (eds.)*, Contracts, Examples and Explanations, 3<sup>rd</sup> ed., Aspen Publishers, New York, 2004, 463.

<sup>389</sup> *Eisenberg M.A.*, Impossibility, Impracticability and Frustration, J. Legal Analysis, Vol. 1, No. 1, 2009, 221, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1349482](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1349482)>, [28.06.2014].

<sup>390</sup> Law Reform (Frustrated Contracts) Act 1943,

<[http://opsi.gov.uk/RevisedStatutes/Acts/ukpga/1943/cukpga\\_19430040\\_en\\_1](http://opsi.gov.uk/RevisedStatutes/Acts/ukpga/1943/cukpga_19430040_en_1)>, [20.05.2014]. ob. ასკავ, *Poole J.*, Casebook on Contract Law, 9<sup>th</sup> ed., Online Resource Centre, Oxford University Press, Oxford, 2008, 584.

<sup>391</sup> *Rapsomanikas M. G.*, Frustration of Contract in International Trade Law and Comparative Law, Duq. Bus. L.J., Vol. 18, 1979-1980, 557,

<<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/rapsomanikas.html#39>>, [29.05.2014].

დან (*ex tunc - ab initio*), რის საფუძველზეც მხარეები თავისუფლდებოდნენ სამომავლოდ შესასრულებელი ვალდებულებებისგან, მაგრამ შეცვლილი გარემოების წარმოშობამდე მოპოვებული უფლებები ძალაში რჩებოდა.<sup>392</sup> თუმცა, ამ წესის თანახმად, მხარეები ვერ იბრუნებდნენ შეცვლილი გარემოების წარმოშობამდე განხორციელებულ შესრულებას, რაც მეორე მხარის უსაფუძვლო გამდიდრებას იწვევდა.<sup>393</sup>

თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილე შეცვლილი გარემოების წარმოშობამდე შესასრულებდა ვადამოსულ ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების ამაოების შემდეგ, ის ვედარ მოითხოვდა კონტრაქტისგან შესრულების უკან დაბრუნებას და ვერც შემხვედრი იმ ვალდებულების განხორციელებას, რომელიც ვადამოსული მხოლოდ გარემოებათა შეცვლის შემდგომ გახდა.<sup>394</sup>

სასამართლო გადაწყვეტილებით საქმეზე ჩანდლერი ვებსტერის წინააღმდეგ<sup>395</sup> რესტიტუციის მოთხოვნა არ გავრცელდა კონტრაქტის მიმართ შესრულებულ გადახდაზე, რომელიც ხელშეკრულების ამაოების გამომწვევი მოვლენის დადგომამდე განხორციელდა.<sup>396</sup> საფუძვლიანი კრიტიკის მიუხედავად, აღნიშნული წესის მოქმედება ორმოცი წლის განმავლობაში გაგრძელდა, სანამ არ იქნა მიღებული გარდამტეხი მნიშვნელობის გადაწყვეტილება, რომელმაც არსობრივად შეცვალა მანამდე არსებული პრაქტიკა და მიღიომა საკითხისადმი.<sup>397</sup>

ზემოაღნიშნული პრობლემების საპასუხოდ და საკანონმდებლო დონეზე გადასაჭრელად მიღებულ იქნა 1943 წლის აქტი (შემდგომში – სასრა),<sup>398</sup> რომლის უმთავრესი მიზანი ხელშეკრულების ამაოებით გამოწვეუ-

<sup>392</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 90-91, შემდგომი მითითებებით: Treitel G.H., The Law of Contract, 10<sup>th</sup> ed., London, 1999, 847-849; McKendrick E., Chitty on Contracts, The Law of Contracts, Vol.1, General Principles, Chapter 24, Discharge by Frustration, London, 1999, 24-069/070/71.

<sup>393</sup> McKendrick E., The Consequences of Frustration: The Law Reform (Frustrated Contracts) Act 1943, Force Majeure and Frustration of Contracts, 1991, 55-57, მითითებულია: Mizrahi K., Force Majeure in Project Finance: A Comparative and Practical Analysis of Risk Allocation, J. Struct. Finan., Vol. 12, No. 2, 2006, 79.

<sup>394</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 91.

<sup>395</sup> ი. ხ. Chandler v. Webster, [1904] 1 K.B. 493.

<sup>396</sup> Goldberg V.P., After Frustration: Three Cheers for Chandler v. Webster, Wash. & Lee L. Rev., Vol. 68, Issue 3, 2011, 1134, <<http://heinonline.org/HOL/LandingPage?collection=journals&handle=hein.journals/waslee68&div=35&id=&page=>>, [22.07.2014].

<sup>397</sup> Fibrosa Spolka Akcyjna v. Fairbairn Lawson Combe Barbour, Ltd, [1943] A.C. 32 at 49-50 (H.L. 1942), Goldberg V.P., After Frustration: Three Cheers for Chandler v. Webster, Wash. & Lee L. Rev., Vol. 68, Issue 3, 2011, 1134,

<<http://heinonline.org/HOL/LandingPage?collection=journals&handle=hein.journals/waslee68&div=35&id=&page=>>.

<sup>398</sup> Goldberg V.P., After Frustration: Three Cheers for Chandler v. Webster, Wash. & Lee L. Rev., Vol. 68, Issue 3, 2011, 1146,

<<http://heinonline.org/HOL/LandingPage?collection=journals&handle=hein.journals/waslee68&div=35&id=&page=>>, [22.07.2014].

ლი ერთ-ერთი მხარის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილება იყო.<sup>399</sup> აქტის 1(2) და 1(3) მუხლები მიემართება ხელშეკრულების ამაოების სამართლებრივ შედეგებს:

1(2) მუხლის თანახმად, თუ შეცვლილი გარემოების წარმოშობამდე მხარეთა შორის არსებობდა ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება, მაშინ ხელშეკრულების ამაოების დაფუძნების მომენტიდან მხარე თავისუფლდება აღნიშნული ვალდებულებისგან,<sup>400</sup> ხოლო უკვე განხორციელებული შესრულების შემთხვევაში, მას ენიჭება გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება.<sup>401</sup> თუ მხარემ, რომლისთვისაც კონტრაქტის სახელშეკრულებო ვალდებულების ფარგლებში უნდა გადაეხადა გარკვეული ფულადი თანხა, გაიღო ხარჯები ვალდებულების შესასრულებლად, ხელშეკრულების ამაოების წარმოშობის შემდეგ სასამართლოს შეუძლია სამართლიანობის გათვალისწინებით, უფლება მიანიჭოს მხარეს მოითხოვოს ფულადი თანხის გადაცემა ან არ განახორციელოს გადაცემულის უკან დაბრუნება, მხოლოდ გაწეული ხარჯების ოდენობით.<sup>402</sup>

1(3) მუხლის თანახმად, თუ შეცვლილი გარემოების წარმოშობამდე მხარემ კონტრაქტის მიერ ვალდებულების შესასრულებლად განხორციელებული ქმედებისგან მნიშვნელოვანი სარგებელი მიიღო (არა ფულადი სახით), მაშინ სასამართლოს შეუძლია დააკისროს მხარეს მიღებული სარგებლის შესატყვისი ფულადი თანხის უკან დაბრუნების ვალდებულება.<sup>403</sup> ამ დროს გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

ა) შეცვლილი გარემოების წარმოშობამდე სარგებლის მიმღები მხარის მიერ ვალდებულების შესასრულებლად გაწეული ხარჯებისა და ხელშეკრულების მიზნებისათვის სხვა პირისათვის გადაცემული თანხის ოდენობა.

ბ) ხელშეკრულების ამაოების გამომწვევი შეცვლილი გარემოებების გავლენა მხარის მიერ მიღებულ სარგებელზე.<sup>404</sup>

ინგლისურ სამართალში მოქმედი ხელშეკრულების ამაოების დოქტრინა სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდება კონტინენტურ და უნიფიცირებულ სამართალში მოქმედი ფორსმაჟორის სამართლებრივი კონცეფციისგან.<sup>405</sup> კერძოდ, ხელშეკრულების ამაოების

<sup>399</sup> McKendrick E., The Consequences of Frustration: The Law Reform (Frustrated Contracts) Act 1943, *Force Majeure and Frustration of contracts*, 1991, 55-57, მთითებულია: Mizrachi K., Force Majeure in Project Finance: A Comparative and Practical Analysis of Risk Allocation, J. Struct. Finan., Vol.12, No.2, 2006, 79.

<sup>400</sup> ob. *Gamerco SA v I.C.M./Fair Warning (Agency) Ltd*, [1995] 1 WLR 1226.

<sup>401</sup> ob. *Fibrosa Spolka Akcyjna v Fairbairn Lawson Combe Barbour Ltd*, [1943] AC 32 (HL).

<sup>402</sup> Goldberg V.P., After Frustration: Three Cheers for Chandler v. Webster, Wash. & Lee L. Rev., Vol. 68, Issue 3, 2011, 1147, [<http://heinonline.org/HOL/LandingPage?collection=journals&handle=hein.journals/waslee68&div=35&id=&page=>](http://heinonline.org/HOL/LandingPage?collection=journals&handle=hein.journals/waslee68&div=35&id=&page=>).

<sup>403</sup> ob. *BP Exploration Co. (Libya) Ltd v Hunt (No.2)*, [1979] 1 WLR 783.

<sup>404</sup> ob. Law Reform (Frustrated Contracts) Act 1943, <http://www.legislation.gov.uk/ukpga/Geo6/6-7/40>.

<sup>405</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 94.

ბა ავტომატურად იწვევს მთლიანად ხელშეკრულების შეწყვეტას<sup>406</sup> და მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულების დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობისაგან.<sup>407</sup> პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების აღნიშნული საფუძველი ძალიან ვიწროდ უნდა იქნეს გამოყენებული და არ შეიძლება მოხდეს მისი ფართო განმარტება.<sup>408</sup> ხოლო ფორსმაჟორის საფუძველზე ხელშეკრულების შეწყვეტა დამოკიდებულია კრედიტორის უფლების განხორციელებაზე – მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების არსებითი დარღვევისათვის.<sup>409</sup> ამასთან, ფორსმაჟორის საფუძველზე მხარის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება შეიძლება იყოს ნაწილობრივი,<sup>410</sup> რამდენადაც ფორსმაჟორული გარემოება შესაძლებელია ხელშეკრულების მხოლოდ გარკვეულ ნაწილზე ახდენდეს გავლენას და მხოლოდ შესაბამისი პროპორციით იწვევდეს მხარის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას.<sup>411</sup>

შესაძლებელია, რომ შეცვლილი გარემოება დროებით ხასიათს ატარებდეს. ამდენად, პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება ფორსმაჟორის საფუძვლით შეიძლება მხოლოდ ამ დამაბრკოლებელი გარემოებისა და მისი უარყოფითი შედეგების არსებობის ვადით განხორციელდეს. აღნიშნულისგან განსხვავებით, ხელშეკრულების ამაოების დოქტრინის მიზანი ხელშეკრულების ანულირება და შეთანხმების საფუძველზე მხარეთა ურთიერთსანაცვლო ვალდებულებებისგან საბოლოო განთავისუფლებაა.

გერმანული სასამართლო პრაქტიკა, ანგლოამერიკული სისტემის სასამართლოებისგან განსხვავებით, ხელშეკრულების ავტომატურად შეწყვეტასთან მიმართებით, უპირატესობას ანიჭებს მის შეცვლილ გარემოებებთან

---

<sup>406</sup> Treitel G. H., *Frustration and Force Majeure*, London: Sweet and Maxwell, 1994, 52, მითოვებულია: Osadare B., *Force Majeure and the Performance Excuse: A Review of the English Doctrine of Frustration and Article 2-615 of the Uniform Commercial Code.*, 2010, 10; Anson W., *Anson's Law of Contract*, 27<sup>th</sup> ed., Oxford: Oxford University Press, 1998, 526, მითოვებულია: Firoozmand M.R., *Changed Circumstances and Immutability of Contract: a Comparative Analysis of Force Majeure and Related Doctrines*, Bus. L. Int'l, Vol. 8, No.2, 2007, 177, <[http://heinonline.org/HOL/Welcome?message=Please%20log%20in&url=%2FHOL%2FPrint%3Fhandle%3Dhein.journals%2Fblawintnl2007%26div%3D17%26collection%3Djournals%26set\\_as\\_cursor%3D1%26men\\_tab%3Dsrchresults](http://heinonline.org/HOL/Welcome?message=Please%20log%20in&url=%2FHOL%2FPrint%3Fhandle%3Dhein.journals%2Fblawintnl2007%26div%3D17%26collection%3Djournals%26set_as_cursor%3D1%26men_tab%3Dsrchresults)>, [22.07.2014].

<sup>407</sup> Chen-Wishart M., *Contract Law*, 2<sup>nd</sup> ed., Oxford University Press, 2008, 318; Southerington T., *Impossibility of Performance and Other Excuses in International Trade*, 2001, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/southerington.html>>, [22.07.2014].

<sup>408</sup> Nachatar J.S., Hussin A.A., Omran A., *Frustration of Contract in the Malaysian Construction Contract management*, IJE, Tome 9, fascicule 3, Hunedoara, Romania, 2011, 85-86, <<http://web.ebscohost.com/ehost/pdfviewer/pdfviewer?sid=cbc3f99c-b258-4811-9ace-4a8f1729b548%40sessionmgr13&vid=2&hid=10>>, [22.07.2014].

<sup>409</sup> Brunner Ch., *Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration*, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 94.

<sup>410</sup> Chechelashvili Z., *Introduction to the Georgian Business Law*, Textbook, GIZ, Tb., 2013, 133.

<sup>411</sup> Ciematniece I., *Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts*, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 63.

ადაპტაციას, რაც კონტინენტური სამართლის სისტემის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია.<sup>412</sup>

## 5.2. კომერციული განუხორციელებლობისა და მიზნის ამაოების ამერიკული დოქტრინები

### 5.2.1. კომერციული განუხორციელებლობისა და მიზნის ამაოების დოქტრინათა მოქმედების ფარგლები

ამერიკული სამართლი ითვალისწინებს კომერციული განუხორციელებლობის დოქტრინას,<sup>413</sup> რომელიც ვალდებულების შესრულებისგან განთავისუფლების საფუძველია არა მხოლოდ შესრულების ობიექტური, ფიზიკური შეუძლებლობის, არამედ შესრულების უკიდურესი გართულების შემთხვევაშიც.<sup>414</sup> ამ თვალსაზრისით, კომერციული განუხორციელებლობის დოქტრინის მოქმედების სფერო გაცილებით ვრცელია განსხვავებით დოქტრინის საკანონმდებლო რეგლამენტაციამდე არსებული წესია, რომელიც პასუხისმგებლობის გამორიცხვის წინაპირობად ასხოლუტურ შეუძლებლობას ადგენდა. შესაბამისად, ამერიკულმა სამართალმა ტერმინი შესრულების შეუძლებლობა შეცვალა განუხორციელებლობით,<sup>415</sup> რამეთუ ეს უკანასკნელი

<sup>412</sup> Vagts D.F., Rebus Revisited: Changed Circumstances in Treaty Law, Colum. J. Transnat'l L., Vol. 43, 2004-2005, 464, <[www.heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/cjtl43&collection=journals&page=459](http://www.heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/cjtl43&collection=journals&page=459)>, [22.07.2014].

<sup>413</sup> პირველად აღნიშნული დოქტრინა გამოიხატა გადაწყვეტილებაში საქმეზე: *Minera Park Land Co. v. Howard*, 156, 458 (1916), მთითებულია: *Osadare B.*, Force Majeure and the Performance Excuse: A Review of the English Doctrine of Frustration and Article 2-615 of the Uniform Commercial Code., 2010, 11.

<sup>414</sup> ი. გადაწყვეტილება: *Krell v Henry* [1903] 2 KB 740 სტატიიში: *Knutson R.*, Common Law Development of the Doctrines of Impossibility of Performance and Frustration of Contracts and their Use and Application in Long Term Concession Contracts, Presented at the IBA Committee T, Berlin, ICLR, 298, 1997, 7; *Ciematniece I.*, Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 24. აღნიშნულ საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებით, დამქირავებელი განთავისუფლდა შესრულების ვალდებულებისგან, რამეთუ ბინამ, რომელიც დაქირავებულ იქნა მეფის კორნაციის პროცესზე დაკვირვებისათვის, მეფის ავადმყოფობისა და მეფედ კურთხევის ცერემონიალის გადადების გამო, დირექტულება დაკარგა დამქირავებლისათვის. ამდენად, გაქარწყლდა ხელშეკრულების საფუძველი, მისი უმთავრესი მიზანი. მოვალე განთავისუფლდა ობიექტურად განუხორციელებადი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან. ი. *Rohwer C.D., Skrocki A.M.*, Contracts in a Nutshell, 7<sup>th</sup> ed., West Nutshell Series, 2010, 321; *Blum B.A., Chemerinsky E., Epstein R., Gilson R.F., Krier J.E., Neumann R.K., Syverud K.D., Warren E., Farndsworth E.A., Hazard G.S., Wolfman B. (Eds.)*, Contracts, Examples and Explanations, 3<sup>rd</sup> ed., Aspen Publishers, New York, 2004, 463. აღნიშნული გადაწყვეტილება ხელშეკრულების ამაოების დოქტრინის საფუძვლადაც არის იურიდიულ მეცნიერებაში აღიარებული, რომლის ძალითაც მნიშვნელოვნად შესუსტდა მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპის მოქმედება ანგლოამერიკულ სამართალში. ი. *Smythe D.J.*, Bounded Rationality, the Doctrine of Impracticability, and the Governance of Relational Contracts, S. Cal. Interdisc. L.J., Vol. 13, No. 2, 2003-2004, 228, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=799328](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=799328)>, [22.07.2014].

<sup>415</sup> *Southerington T.*, Impossibility of Performance and Other Excuses in International Trade, 2001, <[www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/southerington.html](http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/southerington.html)>, [23.07.2014].

ლი უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს არა მხოლოდ აბსოლუტურ შეუძლებლობას, არამედ ვალდებულების შესრულების დამტკიცებასაც.<sup>416</sup>

ხელშეკრულებათა მე-2 კრებულის 265-ე პარაგრაფი განამტკიცებს ასევე, მიზნის ამაოების დოქტრინას: თუ მხარის უმთავრესი სახელშეკრულებო მიზანი,<sup>417</sup> მისი ბრალისგან დამოუკიდებლად, არსებითად ქარწყლდება ისეთი გარემოების ძალით, რომლის არარსებობა მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადგების უმთავრეს საფუძველს ქმნიდა, მაშინ მოვალე თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისგან, თუ ხელშეკრულებიდან ან გარემოებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

ამრიგად, სასამართლოს მიერ უპირველესად დგინდება მხარეთა სახელშეკრულებო მიზანი და თუ აღმოჩნდება, რომ ხელშეკრულების საფუძვლად მიჩნეული მიზნის არარსებობის შემთხვევაში მხარეები არ დადგებლენ ხელშეკრულებას, მაშინ აღნიშნული სასამართლოს მიერ პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად იქნება გამოყენებული.<sup>418</sup>

სასამართლოს მიერ მიზნის ამაოების დოქტრინა ფართოდ განიმარტება და შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების საფუძვლად სახელშეკრულებო მიზნის სრულ ამაოებას მოიაზრებს. თუ მხარე შეცვლილი გარემოების გავლენით სრულად ვერ იკმაყოფილებს მოსალოდნელ სახელშეკრულებო ინტერესს, მაგრამ შესრულება მაინც გარკვეული სარგებლის მომტანია მისთვის, მაშინ გარემოებათა ასეთი ცვლილება არ იქნება საკმარისი ხელშეკრულების მიზნის სრული ამაოების დაფუძნებისათვის.<sup>419</sup>

ხელშეკრულების ამაოების ერთ-ერთი სახე – ხელშეკრულების მიზნის ამაოება არსობრივად განუხორციელებლობის დოქტრინას ეხმიანება: ხელშეკრულების მიზნის ამაოების შემთხვევაში, შეცვლილი გარემოება იმდენად ამცირებს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ეკონომიკურ ფასეულობას, რომ არაგონივრულია კრედიტორისგან ასეთი შესრულების მიღებისა და სახელშეკრულებო ფასის გადახდის მოთხოვნა. მსგავსად, შესრულების განუხორციელებლობის შემთხვევაში, ვალდებულების შესრულება შეცვლილი გარემოების გავლენით მოვალისთვის უკიდურესად დიდ სირთულეს, ხარჯებსა და დანაკარგებს<sup>420</sup> უკავშირდება.<sup>421</sup>

<sup>416</sup> Frey M.A., Frey Ph. H., An Introduction to the Law of Contracts, 4<sup>th</sup> ed., Delmar Cengage Learning, 2007, 399. ი. ხელშეკრულებათა მე-2 კრებულის 261-ე პარაგრაფი.

<sup>417</sup> Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 10.

<sup>418</sup> Hillman R.A., Principles of Contract Law, 2<sup>nd</sup> ed., The Concise Hornbook Series, West, 2009, 318.

<sup>419</sup> Farnsworth E.A., On Contracts, 2<sup>nd</sup> ed., New York, 1998, §9.7, 625-626.

<sup>420</sup> ი. Fla. Power & Light Co. v. Westinghouse Elec. Corp. 517 F.Supp. 440 (E.D. Va. 1981). აღნიშნულ საქმეში ურანის მიმწოდებელი მხარე ითხოვდა შესრულების ვალდებულებისაგან განთავისუფლებას ფასების გაუთვალისწინებელი ზრდის, შესაბამისად, აესკ-ის 2-615-ე მუხლით განმტკიცებული, კომერციული განუხორციელებლობის საფუძვლით, რომელიც მოვალის კონტროლის სფეროს მიღმა აღმოცენდა. Trakman L., Pluralism in Contract Law, Buff. L. Rev., Vol. 58, No. 5, 2010, 1066,

<<http://heinonline.org/HOL/Print?collection=journals&handle=hein.journals/buflr58&id=1041>>, [26.07.2014].

ამრიგად, პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების ანგლოამერიკული სისტემის დოქტრინა სამ ძირითად სეგმენტს მოიცავს: (1) შესრულების ფიზიკურ თუ სამართლებრივ შეუძლებლობას (2) ობიექტურად განხორციულებადი გალდებულების მიუხედავად, ხელშეკრულების მიზნისა და შესრულებით მისაღები სარგებლის დაკარგვას (3) ობიექტურად და სამართლებრივად განხორციელებადი გალდებულების შესრულების ეკონომიკურ დამძიმებას.<sup>422</sup>

### **5.2.2. კომერციული განუხორციელებლობისა და მიზნის ამაოების დოქტრინათა ურთიერთდამოკიდებულება**

ხელშეკრულების ამაოებისა და კომერციული განუხორციელებლობის დოქტრინები კონცეფტუალური თვალსაზრისით მნიშვნელოვნად უახლოვდებიან ერთმანეთს: ორივე მათგანი გამოსაყენებელია ობიექტურად შესრულებადი გალდებულების პირობებში. შესაბამისად, ამ კონცეფციების დამაფუძნებელი წინაპირობებიც ურთიერთდამომცველია.

განსხვავება შეცვლილი გარემოების სამართლებრივი ბუნებით გამოიხატება, რომელიც ერთ შემთხვევაში უკიდურესად ართულებს გალდებულების შესრულებას, ხოლო მეორე შემთხვევაში – შესრულებას უკარგავს მიზანს.<sup>423</sup>

დოქტრინათა შორის განსხვავება იმითაც ვლინდება, რომ კომერციული განუხორციელებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველია საქონლის ან მომსახურების მიმწოდებლისათვის, რომლისთვისაც უკიდურესად დამძიმდა ვალდებულების შესრულება, ხოლო მიზნის ამაოება ვალდებულების შეუსრულებლობისათვის გამორიცხავს საქონლის ან მომსახურების მიმღების პასუხისმგებლობას, რომლისთვისაც გაუთვალისწინებელი გარემოებების გავლენით სანაცვლო შესრულება იმდენად რადიკალურად შემცირდა, რომ მას აღარ ეკისრება საქონლის მიღებისა და ფასის გადახდის ვალდებულება.<sup>424</sup>

ამრიგად, აესკ-ის 2-615-ე მუხლი უმთავრესად გამჟიდველის მიმართ გამოიყენება, თუმცა განუხორციელებლობის საფუძვლით შესრულების ვალ-

<sup>421</sup> *Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration*, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 93.

<sup>422</sup> *Karampatzos A., Supervening Hardship as Subdivision of the General Frustration Rule: A Comparative Analysis with Reference to Anglo-American, German, French and Greek Law*, Eur. Rev. Private L., Kluwer Law International, The Netherlands, Vol.13, No. 2, 2005, 106-107.

<[http://www.heinonline.org/HOL/Print?handle=hein.kluwer/erpl0013&div=13&collection=kluwer&set\\_as\\_cursor=0&men\\_tab=srchresults](http://www.heinonline.org/HOL/Print?handle=hein.kluwer/erpl0013&div=13&collection=kluwer&set_as_cursor=0&men_tab=srchresults)>, [22.07.2014].

<sup>423</sup> *Blum B.A., Chemerinsky E., Epstein R., Gilson R.F., Krier J.E., Neumann R.K., Syverud K.D., Warren E., Farnsworth E.A., Hazard G.S., Wolfman B. (eds.), Contracts, Examples and Explanations*, 3<sup>rd</sup> ed., Aspen Publishers, New York, 2004, 463.

<sup>424</sup> *ob. Treitel G.H., The Law of Contract*, 9<sup>th</sup> ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 779; *Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration*, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 797. *Corbin A.L., Corbin on Contracts*, West Pub. Co., 1952, Chicago, 1091-1099.

დებულებისგან შეიძლება განთავისუფლდეს მოვალეც, თუ გამყიდველის შესრულებამ დაკარგა დირექტულება და შესაბამისად, სახელშეკრულებო ინტერესიც მყიდველისათვის.<sup>425</sup>

ორივე ზემოთ მოვალილი მაგალითის საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ ერთ შემთხვევაში – შესრულების მიღება და მეორე შემთხვევაში – შესრულების განხორციელება ხელშეკრულების შესაბამის მხარეს უკიდურესად მძიმე პირობებში აყენებს, რაც კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის თვალსაზრისით მიუღებელია და აქარწყლებს სახელშეკრულებო მიზანს.

ამდენად, ეს ორი ზემოთ განხილული კატეგორია მნიშვნელოვნად თავსებადია თავისი სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით. შესაბამისად, პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების დროს ისინი მსგავს სამართლებრივ შედეგებს იწვევენ.<sup>426</sup>

### 5.2.3. კომერციული განუხორციელებლობის დოქტრინის უპირატესობა და მისი საკანონმდებლო რეგლამენტაცია

ამაოების დოქტრინა სასამართლო პრაქტიკაში განვითარდა და იგი აესკ-ში მკვეთრად გამოხატული არ არის.<sup>427</sup> თუმცა, სასამართლოებიც შესრულების ვალდებულებისგან მოვალის განთავისუფლების სამართლებრივ საფუძვლად უპირატესად კომერციულ განუხორციელებლობას განსაზღვრავენ, მიზნის ამაოებასთან მიმართებით.<sup>428</sup> შესაბამისად, ამერიკული სამართლის კვლევა უმთავრესად კომერციული განუხორციელებლობის დოქტრინის მაგალითზეა შესრულებული.

კომერციული განუხორციელებლობის ამერიკული დოქტრინა<sup>429</sup> განმტკიცებულია აესკ-ის<sup>430</sup> 2-615-ე (ა) მუხლსა<sup>431</sup> და ხელშეკრულებათა მე-2

<sup>425</sup> Burton S.J., Contract Law: Selected Source Materials, 1995, 157, (Official Comment No.4 on § 2-615 UCC, Comment No.9 on 2-615).

<sup>426</sup> Blum B.A., Chemerinsky E., Epstein R., Gilson R.F., Krier J.E., Neumann R.K., Syverud K.D., Warren E., Farnsworth E.A., Hazard GS., Wolfman B. (eds.), Contracts, Examples and Explanations, 3<sup>rd</sup> ed., Aspen Publishers, New York, 2004, 462.

<sup>427</sup> Farnsworth E.A., On Contracts, 2<sup>nd</sup> ed., New York, 1998, §9.7, 623-623, მთითებულია წიგნში: Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 98.

<sup>428</sup> Farnsworth E.A., On Contracts, 2<sup>nd</sup> ed., New York, 1998, §9.7, 624-625.

<sup>429</sup> აღნიშნული დოქტრინის დამკვიდრებას მნიშვნელოვანად შეუწყო ხელი ასევე სანიმუშო საქმეში Mineral Park Land Co. v. Howard, 172 Cal. 289 (1916), სადაც განუხორციელებლობის საფუძვლით მოხდა სახელშეკრულებო ბოჭვისაგან მხარეთა განთავისუფლება. იხ. Smythe D.J., Bounded Rationality, the Doctrine of Impracticability, and the Governance of Relational Contracts, S. Cal. Interdisc. L.J., Vol. 13, No. 2, 2003-2004, 228,

<[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=799328](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=799328)>, [22.07.2014].

<sup>430</sup> Uniform Commercial Code, Cornell University Law School, Legal Information Institute, Copyright 1978, 1987, 1988, 1990, 1991, 1992, 1994, 1995, 1998, 2001. The American Law Institute and the National Conference of Commissioners on Uniform State Laws; reproduced, published and distributed with the permission of the Permanent Editorial Board for the Uniform Commercial Code for the limited purposes of study, teaching, and academic research, 2003,

კრებულის 261-ე პარაგრაფში.<sup>432</sup><sup>433</sup> აქსკის<sup>434</sup> 2-615-ე მუხლის თანახმად, გამყიდველის მიერ მიწოდების ვადის გადაცილება ან მიწოდების ვალდებულების სრულად შეუსრულებლობა არ განიხილება სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევად, თუ ვალდებულების შესრულება განუხორციელებელი გახდა მხარეთა მიერ წინასწარ გაუთვალისწინებელი გარემოების<sup>435</sup> აღმოცენებამ,<sup>436</sup> ხოლო ხელშეკრულება დაიდო იმ ძირითადი ვარაუდით, რომ მსგავსი გარემოება არ წარმოიშობოდა,<sup>437</sup> ასევე, თუ გარიგება მხარეთა შორის კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით დაეფუძნა უცხოურ თუ შიდა-სახელმწიფოებრივ საკანონმდებლო აქტს, რომელიც შემდეგ ბათილი აღმოჩნდა.<sup>438</sup>

ხელშეკრულებათა მე-2 კრებულის 261-ე პარაგრაფი ადგენს: თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ მოვალის ბრალისგან დამოუკიდებლად წარმოშობილმა მოვლენამ ვალდებულების შესრულება გახდა უკიდურესად მძიმე (განუხორციელებელი) და თუ ხელშეკრულება ეფუძნებოდა მხარეთა იმ ძირითად ვარაუდს, რომ აღნიშნული მოვლენა არ დადგებოდა, მაშინ მო-

<<http://www.law.cornell.edu/ucc/ucc.table.html>>, [23.07.2014].

<sup>431</sup> Stone B., Adams K.D., Uniform Commercial Code in a Nutshell, 7<sup>th</sup> ed., Thomson-West, 2008, 115-117; Bridgeman C., Reconciling Strict Liability with Corrective Justice in Contract Law, Fordham L. Rev., Vol. 75, 2007, 3036,

<[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=669504](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=669504)>, [23.07.2014]; Frey M.A., Frey Ph. H., An Introduction to the Law of Contracts, 4<sup>th</sup> ed., Delmar Cengage Learning, 2007, 398.

<sup>432</sup> Restatement (Second) of Contracts, American Law Institute (ALI), § 261, 1981,

<[http://www.lexinter.net/LOTWVers4/restatement\\_%28second%29\\_of\\_contracts.htm](http://www.lexinter.net/LOTWVers4/restatement_%28second%29_of_contracts.htm)>, [23.07.2014];

Bridgeman C., Reconciling Strict Liability with Corrective Justice in Contract Law, Fordham L. Rev., Vol. 75, 2007, 3036, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=669504](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=669504)>, [23.12.2014].

<sup>433</sup> გარდა კომერციული განუხორციელებლობისა, ხელშეკრულებათა მე-2 კრებული მოიცავს ასევე შეუძლებლობისა და ხელშეკრულების მიზნის ამაღების დოქტრინებს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებათა მე-2 კრებულის მუხლები, რომლებიც შექება კომერციულ განუხორციელებლობასა და ხელშეკრულების მიზნის ამაღებას, არის ასკის მსგავსი ვინაიდან ასკის დებულებები გამოყენებულ იქნა, როგორც მოდელი ხელშეკრულებათა მე-2 კრებულის შესაბამისი ნორმების ფორმულირებისას. იხ. Kováč M., Comparative Contract Law and Economics, Utrecht, 2008, 229.

<sup>434</sup> Uniform Commercial Code, Cornell University Law School, Legal Information Institute, Copyright 1978, 1987, 1988, 1990, 1991, 1992, 1994, 1995, 1998, 2001. The American Law Institute and the National Conference of Commissioners on Uniform State Laws; Reproduced, Published and Distributed with the Permission of the Permanent Editorial Board for the Uniform Commercial Code for the Limited Purposes of Study, Teaching, and Academic Research, 2003, <<http://www.law.cornell.edu/ucc/ucc.table.html>>, [23.07.2014].

<sup>435</sup> იხ. Calvin V. Koltermann Inc. v. Underream Piling Co, 563 S.W.2d 950, 1979; Ellwood v. Nutex Oil Company, 148 S.W. 2d 862 (Tex. Civ. App. 1941), მთლიანობის: Jacobs D.L., Legal Realism or Legal Fiction? Impracticability Under the Restatement (Second) of Contracts, New York, Com. L.J., Vol. 87, June/July, 1982, 293,

<[http://heinonline.org/HOL/LandingPage?collection=journals&handle=hein.journals/clla87&div=70&id=&paged=>](http://heinonline.org/HOL/LandingPage?collection=journals&handle=hein.journals/clla87&div=70&id=&page=>), [25.07.2014].

<sup>436</sup> Stone B., Adams K.D., Uniform Commercial Code in a Nutshell, 7<sup>th</sup> ed., Thomson-West, 2008, 116.

<sup>437</sup> Schwenzer I., Hachem P., Kee Ch., Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012, 658.

<sup>438</sup> Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 26.

გალე თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისგან, თუ გარემოებები და ხელშეკრულების არსი საწინააღმდეგოზე არ მიუთითებს.

ხელშეკრულებათა მე-2 კრებულის 262-ე-264-ე პარაგრაფებით გამოყოფა სამი შემთხვევა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ვალდებულების შესრულების განუხორციელებლობა: მოვალის ქმედუუნარობა ან გარდაცვალება<sup>439</sup> (§262), ინდივიდუალური ნივთის განადგურება (§263), საკანონმდებლო აკრძალვა (§264).<sup>440</sup> აკრძალვის დამწესებელი სახელმწიფო აქტი შეიძლება იყოს არა მხოლოდ კანონი, არამედ ადმინისტრაციული ან სასამართლო ბრძანება.<sup>441</sup>

#### 5.2.4. კომერციული განუხორციელებლობის დოქტრინის გამოყენების სამართლებრივი წინაპირობები

კომერციულ განუხორციელებლობას აფუძნებს წინასწარ გაუთვალისწინებელი შემთხვევითობა, რომელიც ვალდებულების შეთანხმებულ შესრულებას განუხორციელებელს ხდის, ხოლო მიზნის ამაოებისას შემთხვევითი გარემოება არსებითად აქარწყლებს ხელშეკრულების უმთავრეს მიზანს.<sup>442</sup>

ხელშეკრულებათა მე-2 კრებულის 261-ე პარაგრაფის ანალიზიდან გამოდინარეობს კომერციული განუხორციელებლობის წარმოშობისათვის აუცილებელი ოთხი წინაპირობა:

1) შეცვლილი გარემოების გავლენით ვალდებულების შესრულება, თავდაპირველად შეთანხმებული შინაარსით, განუხორციელებელია;<sup>443</sup> ამასთან, აღნიშნული წინაპირობა ობიექტურ განუხორციელებლობას მოიცავს.<sup>444</sup>

2) ხელშეკრულების დადებისას მხარეთა გარაუდი იმის შესახებ, რომ მსგავსი სახელშეკრულებო გარემოება არ წარმოიშობოდა, წარმოადგენდა გარიგების უმთავრეს საფუძველს;<sup>445</sup> ამ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, რომელ ნაგულისხმევ პირობებსა და წარმოდგენებს დაეფუძნა ხელშეკრულება.

<sup>439</sup> Farnsworth E.A., Farnsworth on Contracts, 3<sup>rd</sup> ed., Vol. 2, Aspen Publishers, 2004, 626.

<sup>440</sup> Jacobs D.L., Legal Realism or Legal Fiction? Impracticability Under the Restatement (Second) of Contracts, New York, Com. L.J., Vol. 87, June/July, 1982, 292,  
[<http://heinonline.org/HOL/LandingPage?collection=journals&handle=hein.journals/clla87&div=70&id=&page=>](http://heinonline.org/HOL/LandingPage?collection=journals&handle=hein.journals/clla87&div=70&id=&page=>), [24.07.2014].

<sup>441</sup> Farnsworth E.A., Farnsworth on Contracts, 3<sup>rd</sup> ed., Vol. 2, Aspen Publishers, 2004, 625.

<sup>442</sup> Farnsworth E.A., On Contracts, 2<sup>nd</sup> ed., New York, 1998, §9.6, 605-606, §9.7, 623.

<sup>443</sup> Rohwer C.D., Skrocki A.M., Contracts in a Nutshell, 7<sup>th</sup> ed., West Nutshell Series, 2010, 316; Farnsworth E.A., Farnsworth on Contracts, 3<sup>rd</sup> ed., Vol. 2, Aspen Publishers, 2004, 634.

<sup>444</sup> იქვე, 317.

<sup>445</sup> Schwenzer I., Hachem P., Kee Ch., Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012, 658; Rohwer C.D., Skrocki A.M., Contracts in a Nutshell, 7<sup>th</sup> ed., West Nutshell Series, 2010, 318.

ბა.<sup>446</sup> მოცემული წინაპირობის ანალიზისას ისევ ობიექტური გათვალისწინების კრიტერიუმი მოქმედებს.<sup>447</sup>

3) განუხორციელებლობა არ უნდა იყოს მხარის ბრალეული მოქმედების შედეგი;<sup>448</sup>

4) მხარეს, რომელიც ითხოვს შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლებას, არ უნდა ჰქონდეს ნაკისრი კანონით განმტკიცებულზე ფართო ვალდებულება.<sup>449</sup>

#### 5.2.4.1. ვალდებულების შესრულების ობიექტური განუხორციელებლობა

შესრულების განუხორციელებლობის დროს ვალდებულების შესრულება ერთ-ერთი მხარისათვის არაგონივრულად დიდ ხარჯებთან<sup>450</sup> ან სხვა მნიშვნელოვან დანაკარგთან<sup>451</sup> არის დაკავშირებული<sup>452</sup> ან ფიზიკურად განუხორციელებელია, ვალდებულების დამაბრკოლებელი გარემოებების დასაძლევად მხარის მიერ მიღებული გონივრული ზომების მიუხედავად.<sup>453</sup>

კომერციული განუხორციელებლობა შეიძლება გამოიწვიოს ისეთმა გარემოებებმა, როგორიცაა ნედლეულისა და რესურსების ომით გამოვეული მკაცრი დეფიციტი, ემბარგოს დაწესება, ადგილობრივი მოსავლის გა-

<sup>446</sup> Kim N., Mistakes, Changed Circumstances and Intent, U. Kan. L. Rev., Vol. 56, 2007-2008, 507, <[http://www.law.ku.edu/sites/law.drupal.ku.edu/files/docs/law\\_review/v56/Kim\\_Final.pdf](http://www.law.ku.edu/sites/law.drupal.ku.edu/files/docs/law_review/v56/Kim_Final.pdf)>.

<sup>447</sup> Smythe D.J., Bounded Rationality, the Doctrine of Impracticability, and the Governance of Relational Contracts, S. Cal. Interdisc. L.J., Vol. 13, No. 2, 2003-2004, 237, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=799328](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=799328)>, [24.07.2014].

<sup>448</sup> USA Taylor Edwards Warehouse & transfer Co v. Burlington Northern, US Ct App (9<sup>th</sup> Cir) 12 September, 1983, 715 F2d 1330, მთლიანობის: Schwenzer I., Hachem P., Kee Ch., Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012, 658. აქსკის 2-613-ე მუხლის ასევე განამტკიცებს არაბრალეულობის კრიტერიუმს. იხ. ასევე, Rohwer C.D., Skrocki A.M., Contracts in a Nutshell, 7<sup>th</sup> ed., West Nutshell Series, 2010, 318.

<sup>449</sup> Farnsworth E. A., Farnsworth on Contracts, 3<sup>rd</sup> ed., Vol. 2, Aspen Publishers, New York, 2004, 634; Rapsomanikas M. G., Frustration of Contract in International Trade Law and Comparative Law, Duq. Bus. L.J., Vol. 18, 1979-1980, 559, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/rapsomanikas.html#39>>, [23.07.2014]; Rohwer C.D., Skrocki A.M., Contracts in a Nutshell, 7<sup>th</sup> ed., West Nutshell Series, 2010, 318-319; Kim N., Mistakes, Changed Circumstances and Intent, 56 U. Kan. L. Rev., 2007-2008, 507, <[http://www.law.ku.edu/sites/law.drupal.ku.edu/files/docs/law\\_review/v56/Kim\\_Final.pdf](http://www.law.ku.edu/sites/law.drupal.ku.edu/files/docs/law_review/v56/Kim_Final.pdf)>, [25.07.2014].

<sup>450</sup> Kim N., Mistakes, Changed Circumstances and Intent, U. Kan. L. Rev., Vol. 56, 2007-2008, 506, <[http://www.law.ku.edu/sites/law.drupal.ku.edu/files/docs/law\\_review/v56/Kim\\_Final.pdf](http://www.law.ku.edu/sites/law.drupal.ku.edu/files/docs/law_review/v56/Kim_Final.pdf)>, [25.07.2014].

<sup>451</sup> Smythe D.J., Bounded Rationality, the Doctrine of Impracticability, and the Governance of Relational Contracts, S. Cal. Interdisc. L.J., Vol. 13, No. 2, 2003-2004, 236, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=799328](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=799328)>, [26.07.2014].

<sup>452</sup> Frey M.A., Frey Ph. H., An Introduction to the Law of Contracts, 4<sup>th</sup> ed., Delmar Cengage Learning, 2007, 399; Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 96.

<sup>453</sup> Restatement (Second) of Contracts, American Law Institute (ALI), §205, 1981, <[http://www.lexinter.net/LOTWVers4/restatement\\_%28second%29\\_of\\_contracts.htm](http://www.lexinter.net/LOTWVers4/restatement_%28second%29_of_contracts.htm)>, [26.07.2014].

ნადგურება, მიწოდების ძირითადი წყაროს დახურვა,<sup>454</sup> რომელთა საფუძველზეც ფიზიკურად შეუძლებელი ხდება ვალდებულების შესრულება ან მოვალისათვის მნიშვნელოვნად მკვეთრად იზრდება შესრულების ხარჯი.<sup>455</sup>

კომერციული განუხორციელებლობა შეიძლება არსებობდეს მაშინაც, თუ ვალდებულების შესრულებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ერთ-ერთ მხარეს ან მის ქონებას, რაც არაპროპორციულია ვალდებულების შესრულებით განსახორციელებელი სახელშეკრულებო ინტერესისა.<sup>456</sup> ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზომიერი ცვლილება შესრულების სირთულის ხარისხსა და შესრულების ხარჯებში სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი ჩვეული რისკი და თანამდევი მოვლენა, რომელიც არ ქმნის განუხორციელებლობის დოქტრინის პასუხისმგებლობის განთავისუფლების საფუძვლად გამოყენების საფუძველს.<sup>457</sup>

ვალდებულების შესრულების განუხორციელებლობის წინაპირობა მოიცავს შესრულების ეკონომიკური „მიუწვდომლობისა“<sup>458</sup> და შესრულების გართულების<sup>459</sup> კონცეფციებსაც. ფორსმაჟორის ერთ-ერთი წინაპირობის თანახმად, მოვალე შესრულების ვალდებულებისგან თავისუფლდება, თუ მას არ შეეძლო თავიდან აეცილებინა, დაეძლია დაბრკოლება ან აღმოეფხვრა მისი შედეგები.<sup>460</sup> განუხორციელებლობის კრიტერიუმი ფორსმაჟორის ამ ნიშანსაც ემსგავსება.<sup>461</sup>

ხელშეკრულებათა მე-2 კრებულის 268-ე პარაგრაფის საფუძვლით, მხარემ შესაძლებელია მოითხოვოს ვალდებულების შესრულების გარანტია იმ შემთხვევაში, თუ არსებული გონიგრული საფუძლებით მას შეუძლია ივარაუდოს, რომ მომავალში აღმოცენდება ვალდებულების განუხორციელებლობა ან მიზნის ამაღება.<sup>462</sup>

<sup>454</sup> Brand R.A., Fundamentals of International of International Business Transactions Documents, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 2000, 528; Stone B., Adams K.D., Uniform Commercial Code in a Nutshell, 7<sup>th</sup> ed., Thomson-West, 2008, 116.

<sup>455</sup> Farnsworth E.A., Farnsworth on Contracts, 3<sup>rd</sup> ed., Vol. 2, Aspen Publishers, 2004, 637; Burton S.J., Contract Law: Selected Source Materials, Uniform Commercial Code, West Publishing Co., St. Paul, Minn., 1995, 156, (Official Comment No. 4 on § 2-615 UCC).

<sup>456</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 96.

<sup>457</sup> Burton S.J., Contract Law: Selected Source Materials, Uniform Commercial Code, West Publishing Co., St. Paul, Minn., 1995, 156.

<sup>458</sup> Economic Unaffordability.

<sup>459</sup> Hardship.

<sup>460</sup> Schwenzer I., Hachem P., Kee Ch., Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012, 658.

<sup>461</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 99.

<sup>462</sup> Jacobs D.L., Legal Realism or Legal Fiction? Impracticability Under the Restatement (second) of Contracts, New York, Com. L.J., Vol. 87, June/July, 1982, 292,  
<<http://heinonline.org/HOL/LandingPage?collection=journals&handle=hein.journals/clla87&div=70&id=&page=>>, [26.07.2014].

### 5.2.4.2. შესრულების ხასიათის არსებითი ცვლილება

კომერციული განუხორციელებლობის დოქტრინით მოვალის ვალდებულებისაგან განთავისუფლების საფუძველი შეიძლება გახდეს ფასების ისეთი გაუთვალისწინებელი ზრდა, რომელიც არსებითად ცვლის შესრულების ხასიათს.<sup>463</sup> მხოლოდ საბაზრო ფასების გაუთვალისწინებელი ზრდა თავისთავად არ ქმნის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების წინაპირობას,<sup>464</sup> თუ ეს არსებითად არ ახდენს შესრულების შინაარსზე გავლენას<sup>465</sup> და რადიკალურად განსხვავებული არსის ვალდებულებას არ წარმოშობს, ვიდრე ხელშეკრულების დადების ეტაპზე იყო მხარეთა მიერ განსაზღვრული.<sup>466</sup>

მსგავსად, შესრულების უმნიშვნელო გართულება, რომელიც რესურსების დეფიციტით გამოიხატება, უპირობოდ არ წარმოშობს კომერციულ განუხორციელებლობას.<sup>467</sup> იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ფასების ზრდა გაუთვალისწინებელია, სასამართლოთა უმრავლესობა განმარტავს, რომ კომერციული განუხორციელებლობის დოქტრინა მკაცრად უნდა იქნეს ამოქმედებული, თუ ხარჯების ზრდა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ვალდებულების შესრულება უსამართლო შედეგებს იწვევს.<sup>468</sup>

<sup>463</sup> ი.ბ.: *Farnsworth E.A.*, Farnsworth on Contracts, 3<sup>rd</sup> ed., Vol. 2, Aspen Publishers, 2004, 637; *Burton S.J.*, Contract Law: Selected Source Materials, Uniform Commercial Code, West Publishing Co., St. Paul, Minn., 1995, 156.

<sup>464</sup> ი.ბ.: *Rohwer C.D.*, *Skrocki A.M.*, Contracts in a Nutshell, 7<sup>th</sup> ed., West Nutshell Series, 2010, 317; *Speidel R.E.*, On Change and the Law of Contracts: A tribute to Joe Perillo, Fordham L. Rev., Vol. 71, 2002-2003, 978, <<http://heinonline.org/HOL/LandingPage?collection=journals&handle=hein.journals/flr71&div=5&id=&page=>>, [26.07.2014]; *Brand R.A.*, Fundamentals of International of International Business Transactions Documents, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 2000, 528; *Farnsworth E.A.*, Farnsworth on Contracts, 3<sup>rd</sup> ed., Vol. 2, Aspen Publishers, New York, 2004, 637.

<sup>465</sup> *Stone B.*, *Adams K.D.*, Uniform Commercial Code in a Nutshell, 7<sup>th</sup> ed., Thomson-West, 2008, 116; *Burton S.J.*, Contract Law: Selected Source Materials, Uniform Commercial Code, West Publishing Co., St. Paul, Minn., 1995, 156 (Official Comment No. 4 on § 2-615 UCC); *Speidel R. E.*, On Change and the Law of Contracts: A Tribute to Joe Perillo, Fordham L. Rev., Vol. 71, 2002-2003, 977, <<http://heinonline.org/HOL/LandingPage?collection=journals&handle=hein.journals/flr71&div=5&id=&page=>>, [26.07.2014].

<sup>466</sup> *Davis Contractors Ltd. v. Fareham U.D.C.* 119561 A.C. 696 at 729 per Lord Radcliffe, მითითებულია: *Roberts Th. E.*, Commercial Impossibility and Frustration of Purpose: A Critical Analysis, Can. J.L. & Jurisprudence, Vol. 16, 2003, 139, <<http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/caljp16&collection=journals&page=129>>, [26.07.2014].

<sup>467</sup> *Farnsworth E.A.*, Farnsworth on Contracts, 3<sup>rd</sup> ed., Vol. 2, Aspen Publishers, 2004, 626.

<sup>468</sup> *Speidel R.E.*, Contracts in Crises, Excuse Doctrine and Retrospective Government Acts, Carolina Academic Press, Durham, North Carolina, 2007, 207.

### 5.2.4.3. ვარაუდი მოვლენის წარმოუშობლობის შესახებ როგორც გარიგების უმთავრესი საფუძველი

განუხორციელებლობის დოქტრინისათვის უმთავრესია განისაზღვროს, რომ მხარეთა მიერ ხელშეკრულება დაეფუძნა ძირითად ვარაუდს იმისა, რომ მოვლენა, რომელმაც ვალდებულების შესრულება უკიდურესად გაართველა, არ წარმოიშობოდა.<sup>469</sup>

კომერციული განუხორციელებლობის დოქტრინა გამოიყენება მაშინაც, თუ კონკრეტული მიწოდების წყარო ნაგულისხმევად იყო განისაზღვრული მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადების დროს არსებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე.<sup>470</sup> თუ გამყიდველის კონტროლს მიღმა არსებული გარემოებების გავლენით მხარეთა მიერ შეთანხმებული მიწოდების წყაროდან ვერ განხორციელდა საქონლის დროული მოწოდება, მაშინ მოვალე შეიძლება განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან, თუ შეთანხმებული წყაროდან შესრულება წარმოადგენდა უმთავრეს პრეზუმაციას, რასაც ხელშეკრულება დაეფუძნა.<sup>471</sup>

თუ გაყიდული მარცვლეული, რომელიც გამიზნული იყო კონკრეტული მიწის ნაკვეთზე დასათესად, დაიღუპება, მაშინ შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლება შეიძლება მოხდეს როგორც ინდივიდუალური ნივთის განადგურების წინაპირობით, ასევე ხელშეკრულების იმ საფუძვლის მოშლით, რომლის უცვლელი არსებობა მხარეთა უმთავრეს ვარაუდს წარმოადგენდა გარიგების დადების დროს.<sup>472</sup>

ხელშეკრულების განმარტების პროცესში სასამართლო ყოველთვის უპირატესობას ანიჭებს მხარეთა განზრახვის დადგენას, ხარვეზის შევსებასთან მიმართებით.<sup>473</sup> საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა მხარეთა ნების, მიზნის განხორციელება<sup>474</sup> და მათი პიროვნული ავტონომიის გამოხატულების – სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის რეალიზებაა.<sup>475</sup>

<sup>469</sup> Jacobs D.L., Legal Realism or Legal Fiction? Impracticability under the Restatement (second) of Contracts, New York, Com. L.J., Vol. 87, June/July, 1982, 292, <<http://heinonline.org/HOL/LandingPage?collection=journals&handle=hein.journals/clla87&div=70&id=&page=>>, [26.07.2014].

<sup>470</sup> Burton S.J., Contract Law: Selected Source Materials, Uniform Commercial Code, West Publishing Co., St. Paul, Minn., 1995, 156.

<sup>471</sup> Brand R.A., Fundamentals of International of International Business Transactions Documents, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 2000, 529.

<sup>472</sup> Burton S.J., Contract Law: Selected Source Materials, Uniform Commercial Code, West Publishing Co., St. Paul, Minn., 1995, 157.

<sup>473</sup> Hillman R.A., Principles of Contract Law, 2<sup>nd</sup> ed., The Concise Hornbook Series, West, 2009, 318.

<sup>474</sup> Kim N., Mistakes, Changed Circumstances and Intent, U. Kan. L. Rev., Vol. 56, 2007-2008, 479, <[http://www.law.ku.edu/sites/law.drupal.ku.edu/files/docs/law\\_review/v56/Kim\\_Final.pdf](http://www.law.ku.edu/sites/law.drupal.ku.edu/files/docs/law_review/v56/Kim_Final.pdf)>, [25.07.2014].

<sup>475</sup> Barnett R.E., Some Problems with Contract as Promise, Cornell L. Rev., Vol. 77, 1992, 1023-1024, <<http://www.bu.edu/rbarnett/some.htm>>, მითითებულია: Nancy K.S., Reasonable Expectations in Socio-cultural Context, Wake Forest L. Rev., Vol. 45, 2010, 642, <<http://heinonline.org/HOL/LandingPage?collection=journals&handle=hein.journals/wflr45&div=25&id=&page=>>, [26.07.2014].

ამდენად, განუხორციელებლობის საფუძვლით შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების წესი არ გამოიყენება თუ გარემოებათა ცვლილება ხელშეკრულების დადების ეტაპზე არსებული ეკონომიკური ვითარების ანალიზის საფუძველზე მხარეთა მიერ წინასწარ გათვალისწინებადი იყო მოსალოდნელ ბიზნეს-რისკთა შორის.<sup>476</sup> მხარეები ჩვეულებრივ ვარაუდობენ, რომ სახელმწიფოს მიერ გამოცემული აქტით არ აიკრძალება ვალდებულების შესრულება, მოვალე ცოცხალი და ქმედუნარიანი იქნება ვალდებულების შესრულების მომენტისათვის, ხელშეკრულების საგანი იარსებებს და ვარგისი იქნება ვალდებულების შესრულებისათვის და ა.შ.<sup>477</sup>

#### 5.2.4.4. მოვალის არაბრალეულობა

შესრულების განუხორციელებლობის დაფუძნებისათვის აუცილებელი მოვალის არაბრალეულობის მოთხოვნა არსებით განსხვავებას არ ავლენს ფორსმაჟორის წინაპირობებთან მიმართებით. მოვალის ბრალეულობის არსებობისას, შეცვლილი გარემოების წარმოშობის რისკი ბრალეული მხარის კონტროლის სფეროში მოიაზრება, რაც თავისთავად გამორიცხავს შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლებას. ბუნებრივია, შესრულების ვალდებულებისგან არ შეიძლება განთავისუფლდეს მხარე, რომელმაც საკუთარი ბრალეული, განხრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით ხელი შეუწყო შეცვლილი გარემოების წარმოშობას.<sup>478</sup>

ამის საპირისპიროდ, მოვალის არაბრალეულობა თავისთავად არ გულისხმობს განუხორციელებლობის საფუძვლით მოვალის შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლებას. მაგალითად, თუ არაბრალეულ მხარეს ნაკისრი აქვს შეცვლილი გარემოების წარმოშობის რისკი, შესაბამისად, არაბრალეულობის მიუხედავად მასვე დაეკისრება შეცვლილი გარემოების უარყოფითი შედეგები, რაც თავისთავად გამორიცხავს შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლებას.<sup>479</sup>

სახელშეკრულებო რისკის საკითხი დაწვრილებით მომდევნო თავში იქნება წარმოდგენილი.

---

<sup>476</sup> Burton S.J., Contract Law: Selected Source Materials, Uniform Commercial Code, West Publishing Co., St. Paul, Minn., 1995, 157.

<sup>477</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 99 შემდგომი მითითებებით: Farnsworth E.A., On Contracts, 2<sup>nd</sup> ed., New York, 1998, §9.6, 612.

<sup>478</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 100, შემდგომი მითითებით: Farnsworth E.A., On Contracts, 2<sup>nd</sup> ed., New York, 1998, §9.6, 606, 613-614.

<sup>479</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 100.

### **5.2.4.5. გაფართოებული პასუხისმგებლობის გამორიცხვა რისკის ნაგულისხმევი ან სახელშეკრულებო გადანაწილებით**

კომერციული განუხორციელებლობის მეოთხე წინაპირობა გულისხმობს, რომ მხარეს, რომელიც ითხოვს შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლებას, არ უნდა ჰქონდეს ნაკისრი კანონით განმტკიცებულზე ფართო ვალდებულება. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება ფორსმაჟორის ერთერთ აუცილებელ მოთხოვნას, რომლის მიხედვით, შესრულებისგან განთავისუფლების აუცილებელი წინაპირობაა მხარეს წინასწარი შეთანხმებით არ ჰქონდეს ნაკისრი შეცვლილი გარემოების წარმოშობის რისკი. ხელშეკრულების უმთავრესი საფუძვლის კრიტერიუმთან შედარებით ამ შემთხვევაში ყურადღება გასამახვილებელია არა იმდენად მოვალის რისკის სფეროზე, არამედ პირდაპირ თუ ნაგულისხმევი სახით სახელშეკრულებო რისკის გადანაწილებაზე. თუ მხარე ითვალისწინებდა შეცვლილი გარემოების წარმოშობის შესაძლებლობას, მასვე ეკისრება მისი უარყოფითი შედეგების რისკი.<sup>480</sup>

აღნიშნული წინაპირობის ანალიზისას უმნიშვნელოვანესია დადგინდეს, თუ ხელშეკრულების დადების ეტაპზე რომელმა კონტრაკენტრმა იკისრა ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი.<sup>481</sup> სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლომ შეიძლება გადაუხვიოს იმ ძირითად პრინციპს, რომლის თანახმად, მოვალეს ეკისრება ვალდებულების გართულებული შესრულების რისკი.<sup>482</sup> რისკის გადანაწილების საკითხი ურთულესია ამერიკულ სამართლში, რამეთუ როგორც აესკ, ისე ხელშეკრულებათა მე-2 კრებული გვერდს უვლის რისკის პრობლემის პირდაპირ რეგულირებას.<sup>483</sup>

კომერციული განუხორციელებლობის დაფუძნებისათვის აუცილებელი ზემოთ განხილული ერთ-ერთი წინაპირობა გარიგების უმთავრესი საფუძვლის შესახებ, შეესაბამება ფორსმაჟორის ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნას, რომ მხარეს პირდაპირ ან ნაგულისხმევი სახით არ უნდა ეკისრებოდეს შეცვლილი გარემოების წარმოშობის რისკი, ასევე ამ მოვლენის დადგომა არ უნდა განეკუთვნებოდეს მოვალის კონტროლის სფეროს. საკითხის გადაწყვეტა – წარმოადგენდა თუ არა მხარეთა ვარაუდი იმის შესახებ, რომ მსგავსი მოვლენა სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ აღმოცენდებოდა, ხელშეკრულების უმთავრეს საფუძველს – გულისხმობს განსაზღვრას იმისა, ითვალისწინებდა თუ არა რომელიმე მხარე ამ მოვლენის წარმოშობის შესაძლებლობას<sup>484</sup> და შესაბამისად, იკისრა თუ არა რომელიმე მათგანმა ამ

<sup>480</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, შემდგომი მითითებით: Farnsworth E.A., On Contracts, 2<sup>nd</sup> ed., New York, 1998, §9.6, 64, 616-618.

<sup>481</sup> Stone B., Adams K.D., Uniform Commercial Code in a Nutshell, 7<sup>th</sup> ed., Thomson-West, 2008, 115.

<sup>482</sup> Farnsworth E.A., Farnsworth on Contracts, 3<sup>rd</sup> ed., Vol. 2, Aspen Publishers, 2004, 6.

<sup>483</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 96.

<sup>484</sup> Farnsworth E.A., Farnsworth on Contracts, 3<sup>rd</sup> ed., Vol. 2, Aspen Publishers, 2004, 640.

მოვლენის წარმოშობის რისკი ხელშეკრულების დადების დროს.<sup>485</sup> ამრიგად, დაბრკოლების გათვალისწინების შეუძლებლობის კრიტერიუმი სახელშეკრულებო რისკის გადაკისრების სამართლებრივი მქანიზმია, შესაბამისი სახელშეკრულებო დათქმის არარსებობის შემთხვევაში.<sup>486</sup>

ამდენად, თუ დადგინდება, რომ შეცვლილი გარემოების წარმოშობის რისკი პირდაპირ ან ნაგულისხმევი სახით იქისრა ერთ-ერთმა კონტრაქტნიგმა,<sup>487</sup> მაშინ მხარეთა ვარაუდი მოვლენის მომავალში წარმოუშობლობის შესახებ ვერ იქნება ხელშეკრულების დადების უმთავრესი საფუძველი, რამეთუ მხარე კისრულობდა რა მოვლენის წარმოშობის რისკს, იმავდროულად ითვალისწინებდა კიდევ შეცვლილი გარემოების წარმოშობის შესაძლებლობას. ამასთან, გასათვალისწინებელია ორივე მხარის ვარაუდი და არა ცალკეული მხარის წარმოდგენები.<sup>488</sup> რისკის გადაკისრების შესახებ პირდაპირი დათქმის არარსებობისას, მხარეთა მიზნების, წარმოებული მოლაპარაკების შინაარსისა და სავაჭრო ჩვეულებების მხედველობაში მიღებით განიმარტება და დგინდება რისკის ნაგულისხმევი გადანაწილება მხარეთა შორის.<sup>489</sup>

## 5.2.5. კომერციული განუხორციელებლობის სამართლებრივი შედეგი

კომერციული განუხორციელებლობის სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას ხელშეკრულება ავტომატურად წყდება და შესაბამისად, გამოირიცხება ვალდებულების შესრულების მოთხოვნის არსებობა.<sup>490</sup>

თუ პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების პრობლემა ვერ წყდება ნორმის შინაარსის განსაზღვრის საფუძველზე, მაშინ საკითხი უნდა გადაწყდეს ნორმის მიზნობრივი განმარტებისა და კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად.<sup>491</sup>

ამერიკულ სამართალში, ინგლისურის მსგავსად და კონტინენტური სამართლისგან განსხვავებით, არ არის გათვალისწინებული შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების ადაპტაცია, როგორც უმთავრესად და უპირველესად გამოსაყენებელი წესი. ამ სამართლებრივი მქანიზმის გამოყენება მოსამართლის დისკრეციის სფეროა და არა უპირატესად ასამოქმედებელი სამართლებრივი ინსტრუმენტი. ამიტომაც, აქსკ-ის 2-615-ე მუხლი გამონაკ-

<sup>485</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 99.

<sup>486</sup> Posner R., Economic Analysis of Law, §4.9, 7<sup>th</sup> ed., 2007, 115, მითითებულია: Yorio E., Thel S., Contract Enforcement, Specific Performance and Injunctions, Aspen Publishers, Wolters Kluwer Law and Business, 2011, 8-22.

<sup>487</sup> Hillman R. A., Principles of Contract Law, 2<sup>nd</sup> ed., Concise Hornbooks Series, West, New York, 2009, 317.

<sup>488</sup> Farnsworth E.A., Farnsworth on Contracts, 3<sup>rd</sup> ed., Vol. 2, Aspen Publishers, 2004, 640.

<sup>489</sup> Transatlantic Fin. Corp. v. United States, 363 F.2d 312, 316 (D.C. Cir. 1996), მითითებულია: Hillman R.A., Principles of Contract Law, 2<sup>nd</sup> ed., The Concise Hornbook Series, West, 2009, 318.

<sup>490</sup> Stone B., Adams K.D., Uniform Commercial Code in a Nutshell, 7<sup>th</sup> ed., Thomson-West, 2008, 117.

<sup>491</sup> Burton S.J., Contract Law: Selected Source Materials, Uniform Commercial Code, West Publishing Co., St. Paul, Minn., 1995, 156; Brand R.A., Fundamentals of International of International Business Transactions Documents, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 2000, 529.

ლისის სახით, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, მოსამართლეს უფლებას ანიჭებს მიუსადაგოს ხელშეკრულება შეცვლილ გარემოებებს.<sup>492</sup>

## V. შესრულების გართულებისა და შეუძლებლობის სამართლებრივი წინაპირობები

### 1. შეცვლილი გარემოებების დოქტრინის გამოყენების სამართლებრივი წინაპირობები ქართულ სამართალში

სსკ არ ითვალისწინებს შეცვლილ გარემოებებთან დაკავშირებული პრობლემატიკის რეგლამენტაციას შესრულების გართულების ან ფორსმაჟორის სახელწოდებით, თუმცა ქართული კანონმდებლობით განმტკიცებული კონცეფციები არსებითად ვალდებულების შესრულების გართულებისა და ფორსმაჟორის უზოგადეს სამართლებრივ პრინციპებს ეხმიანება.<sup>493</sup> ამიტომაც, შესრულების უკიდურესი დამძიმების არსის გამოსახატავად ტერმინი – ვალდებულების შესრულების გართულება, ხოლო ფორსმაჟორის ცნების აღსანიშნავად – შესრულების შეუძლებლობა<sup>494</sup> იქნება ნაშრომში გამოყენებული.

შეცვლილი გარემოებებით გართულებული სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგების ანალიზი ქართულ სამართალში ავლენს არაერთ მნიშვნელოვან ხარვეზს როგორც სისტემური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით. კერძოდ, 398-ე I მუხლის პირველი წინადადებით, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება განსაზღვრული სამართლებრივი წინაპირობების<sup>495</sup> არსებობას უკავშირდება: (1) ხელშეკრულების საფუძვლად მიჩნეული გარემოებების (2) არსებითი ცვლილების (3) აღმოცენება ხელშეკრულების დადების შემდგომ; (4) გარემოებათა წინასწარ გათვალისწინების შეუძლებლობა<sup>496</sup> – არაგან-

<sup>492</sup> Burton S.J., Contract Law: Selected Source Materials, Uniform Commercial Code, West Publishing Co., St. Paul, Minn., 1995, 157.

<sup>493</sup> შესრულების გართულებისა და ფორსმაჟორის შესატყვის ქართული კონცეფციები და მათი ამსახველი საკანონმდებლო ტერმინოლოგია განხილულია ნაშრომის IV თავის მე-2 ქვეთავში.

<sup>494</sup> ტერმინ შესრულების შეუძლებლობის გამოყენება იურიდიულ დოქტრინასა და საკანონმდებლო სივრცეში უპირატესად გამართლებულია ფორსმაჟორთან შედარებით, რამეთუ, ერთი მხრივ, შესრულების შეუძლებლობა განმტკიცებულია ქართული კანონმდებლობით და, მეორე მხრივ, ის ქართული ეტიმოლოგიის ტერმინია და ამდენად, უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს ფორსმაჟორთან შედარებით.

<sup>495</sup> სს-ის 398-ე მუხლის გამოყენების სამართლებრივი წინაპირობების შესახებ იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივნისის განჩინება საქმეზე №№ას-7-6-2010, 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინება საქმეზე №№ას-466-707-08, 2011 წლის 4 ივლისის განჩინება საქმეზე: №ას-762-818-2011.

<sup>496</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის განჩინება საქმეზე: №ას-7-6-2010; საქართველოს უზენაესი სასამართლოს

ჭვრეტადობა, გაუთვალისწინებლობა; (5) გარემოებების არსებობა მოვალის კონტროლის სფეროს მიღმა, შესაბამისად, მოვალის არაბრალეულობა<sup>497</sup> (6) ვალდებულების შესრულების უკიდურესი დამძიმება<sup>498</sup> (7) მიზეზობრივი კავშირი<sup>499</sup> – ხელშეკრულების შესრულების გართულება, როგორც შეცვლილი გარემოებების უშუალო შედეგი (8) გარემოებათა წინასწარ გათვალისწინების შემთხვევაში: (ა) მხარეთა მიერ ხელშეკრულების არდადება (ე.ი. სახელშეკრულებო ინტერესის არარსებობა ხელშეკრულების დადების მიმართ) ან (ბ) მის განსხვავებულ შინაარსზე შეთანხმება.<sup>500</sup>

მნიშვნელოვანია, რომ ზემოთ ფორმულირებული სამართლებრივი წინაპირობების უმრავლესობა არა მხოლოდ შესრულების გართულების, არა მედ შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის სამართლებრივ მახასიათებლებად შეიძლება იქნეს განხილული.<sup>501</sup> შესრულების უკიდურესი დამძიმების ნიშანიც კი ფარდობითი შესრულების შეუძლებლობის წინაპირობაა.

მოყვანილი საკანონმდებლო დებულების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე იკვეთება შესრულების გართულებისა და შეუძლებლობის წარმოშობისათვის აუცილებელი, მაგრამ მუხლით პირდაპირ არაფორმულირებული, დამატებითი წინაპირობები. კერძოდ, თუ გარემოებათა ცვლილება მხარისათვის არ არის ხელშეკრულების დადების ეტაპზე სავარაუდო, სახეზეა გაუთვალისწინებლობის წინაპირობა, რომელიც იმავდროულად გულისხმობს დაბრკოლების არაკონტროლირებად ხასიათს, მის გარდაუვალ ბუნებას. კერძოდ, თუ კონტრაქტები არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა გარემოებათა ცვლილება, შესაბამისად, იგი მოკლებული იყო ამ დაბრკოლების თავიდან აცილების, დაძლევის ან მისი უარყოფითი შედეგების

სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბერის განჩინება საქმეზე: №ას-466-707-08.

<sup>497</sup>ვალდებულების შესრულების დაბრკოლება ან შეუძლებლობა პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად განხილება მაშინ, თუ გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებით და არ არის კავშირში პირის განზრას ან გაუკრთხილებელ ქმედებასთან. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-617-842-08.

<sup>498</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბერის განჩინებით საქმეზე: №ას-466-707-08 დადგენილია, რომ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების საფუძველია ხელშეკრულების ეკონომიკური საფუძვლის მკვერი, კარდინალური შეცვლა და მხარეთა ურთიერთვალდებულებათა ბალანსის მნიშვნელოვანი რღვევა.

<sup>499</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-735-697-2013.

<sup>500</sup> ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართლი, თბ., 1999, 57

<sup>501</sup> ფორსმაჟორი, ანუ დაუძლეველი ძალაშეუძლებელს ხდის ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას, ამდენად, ფორსმაჟორული სიტუაცია გულისხმობს მხარეთა დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებულ ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობა გამორიცხავს მოვალის ბრალს. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-30-367-09.

აღმოფხვრის ობიექტურ შესაძლებლობას<sup>502</sup> საჭირო წინდახედულები-სა და გულისხმიერების გამოვლენის შემთხვევაშიც.<sup>503</sup>

ზემოაღნიშნული წინაპირობების არსებობა დაბრკოლებას მოვალის კონტროლის სფეროს მიღმა<sup>504</sup> მოიაზრებს და, შესაბამისად, აფუძნებს დაბრკოლების მიმართ მოვალის არაბრალეულობის კიდევ ერთ დამატებით წინაპირობას. არაბრალეულობის კრიტერიუმი კი, ბუნებრივია, გამორიცხავს პასუხისმგებლობას ვალდებულების შესრულების გართულებისა და შესრულების შეუძლებლობისათვის.

პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებისათვის აუცილებელია, რომ გამორიცხული იყოს დამაბრკოლებელი გარემოების აღმოცენების წინასწარ გათვალისწინების,<sup>505</sup> მისი თავიდან აცილების ან უარყოფითი შედეგების დაძლევის<sup>506</sup>/შემცირების შესაძლებლობა მხარეთათვის და, ამასთანავე, აუცილებელია მოვლენის არსებობა მოვალის კონტროლის სფეროს მიღმა.<sup>507</sup> ერთ-ერთ საქმეში არსებული ხელშეკრულების თანახმად, მხარეებმა ურთიერთშეთანხმებით გამორიცხეს ფინანსური სიძნელეების, საგადასახა-

<sup>502</sup> ერთ-ერთი მხარის სახსრების ნაკლებობა არ ჩაითვლება ფორსმაჟორულ მოვლენად. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-218-204-2011. მსგავსად აღნიშნულისა, ღოქტრინაში სუბიექტური გადახდისუუნარობა პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძლად არ განიხილება (იხ. Busch D., Hondius E., *The Principles of European Contract Law and Dutch Law: A Commentary (Perspectives on Company Law)*, Kluwer Law International; 1<sup>st</sup> ed., August 27, 2002, 341), რამეთუ იგი მოვალის კონტროლის სფეროში მოიაზრება და პიპოთებურად არსებობს მასზე ზემოქმედების შესაძლებლობა მოვალის მხრიდან.

<sup>503</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-418-391-2010.

<sup>504</sup> Liu Ch., *Changed Contract Circumstances*, 2005, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/liu5.html>>; Lindström N., *Changed Circumstances and Hardship in the International Sale of Goods*, NJCL, 2006/1, 8, <[www.njcl.fi/1\\_2006/commentary1.pdf](http://www.njcl.fi/1_2006/commentary1.pdf)>, [10.02.2014]; Southerington T., წიგნში: Maggi M., *Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG)*, 2002-2003, Kluwer Law International, Netherlands, 2004, 275-276. ფორსმაჟორული გარემოებების მხარეთა დამოუკიდებლად აღმოცენებულ, გარეშე მოვლენებად აღიარების შესახებ იხ. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-1162-1424-09.

<sup>505</sup> Fucci F.R., *Hardship and Changed Circumstances as Grounds for Adjustment or Non-Performance of Contracts, Practical Considerations in International Infrastructure Investment and Finance*, American Bar Association Section of International Law, Spring Meeting, April 2006, 17, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/fucci.html>>.

<sup>506</sup> თუ მოვალის შესაძლებლობის სფეროშია შესრულების ალტერნატიული გზის გამოძებნის საშუალება, მაშინ აღნიშნული გამორიცხავს ფორსმაჟორული გარემოების საფუძლით პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას, რამეთუ მოვალემ არ განახორციელა ფორსმაჟორული გარემოების უარყოფითი შედეგების აღმოფხვრის ვალდებულება და არ მიმართა შესრულების ალტერნატიულ მექანიზმებს. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-576-542-2010.

<sup>507</sup> ICC Force Majeure Clause 2003, ICC Hardship Clause 2003, ICC Publication No. 650, 2003, 2, <<http://www.trans-lex.org/700700>>.

დო და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, ასევე სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობის გამო დამდგარი შედეგების ფორსმაჟორულ სიტუაციად აღიარება.<sup>508</sup> აღნიშნულის მიზეზად განხილულ უნდა იქნეს ფაქტი, რომ ზემოხსენებული დაბრკოლებების თავიდან აცილება და მართვა გარკვეულწილად მოვალის შესაძლებლობების სფეროს განეკუთვნება.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი წინაპირობების არსებობისა და მათ მიერ სახელშეკრულებო წონასწორობის რდვევის ხარისხი ცალკეული შემთხვევის თავისებურებათა ანალიზის საფუძველზე უნდა განისაზღვროს.

ამრიგად, ვალდებულების შესრულების უკიდურესი გართულებისა და შესრულების შეუძლებლობის კონცეფციების დეტალურ საკანონმდებლო მოწესრიგებას სსკ არ ახდენს. შესაბამისად, ამ ინსტიტუტების სამართლებრივი წინაპირობებისა და თანამდევი შედეგების განსაზღვრა ისტორიული ტრადიციების მქონე ქართული და უცხოური სამართლებრივი სისტემების იურიდიული დოქტრინის, ასევე სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

განსახილველი საკითხის არსებული მწირი რეგულირების ნაცვლად, დეტალურად უნდა მოწესრიგდეს შესრულების გართულებისა და შეუძლებლობის კონცეფციების სამართლებრივი მახასიათებლები და განისაზღვროს მათი გამოყენებისათვის აუცილებელი, ე.წ. დამფუძნებელი წინაპირობების სამართლებრივი ბუნება. აღნიშნული კი საერთაშორისოსამართლებრივი სისტემებისა და ინსტრუმენტების კვლევის საფუძველზე მიიღწევა.

## 2. შესრულების გართულებისა და შეუძლებლობის გამოყენების ცალკეულ წინაპირობათა სამართლებრივი ბუნება

### 2.1. დაბრკოლება

ვენის კონვენციის 79-ე (1) მუხლი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლად აცხადებს ვალდებულების შესრულების მიმართ დაბრკოლების<sup>509</sup> არსებობას, თუმცა უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებისა და ეკროპული პრინციპების მსგავსად, არ აღგენს დამაბრკოლებელი გარემოებების ამომწურავ ჩამონათვალს. დაბრკოლების სამართლებრივი ბუნება ყოველი კონკრეტული საქმის განხილვისა და პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საკითხის გადაჭრისას უნდა გადაწყდეს.

დაბრკოლება მოიცავს ბუნებრივ, სოციალურ ან პოლიტიკურ მოვლენებს, ასევე, ვალდებულების შესრულების ფიზიკურ ან იურიდიულ სირთულეებს.<sup>510</sup>

<sup>508</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-1220-1480-09.

<sup>509</sup> Maggi M., Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG), 2002-2003, Kluwer Law International, Netherlands, 2004, 275-276.

<sup>510</sup> Stoll H., Exemptions in Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 608, Schlectriem P.(ed.), Thomas G., Trans., 2<sup>nd</sup> ed., 1998, მითოთებულია: Pizer L.K., Smith M.R. (eds. in

პასუხისმგებლობის განსაზღვრის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ ვენის კონვენციის 79-ე მუხლით გათვალისწინებული დაბრკოლება შესაძლებელია არა მხოლოდ შესრულების აბსოლუტურ, ფიზიკურ შეუძლებლობას იწვევდეს, არამედ უკიდურესად ართულებდეს ვალდებულების შესრულებას, არსებითად, ფუნდამენტურად არღვევდეს სახელშეკრულებო წონასწორობას და შესრულების ეკონომიკურ შეუძლებლობას წარმოშობდეს. შესაბამისად, ვალდებულების შესრულების გართულების შემთხვევაშიც პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლად შესაძლებელია 79-ე მუხლი იქნეს გამოყენებული,<sup>511</sup> როდესაც ვალდებულება მხოლოდ პრაქტიკული და არა ტექნიკური თვალსაზრისით არის განუხორციელებელი.<sup>512</sup>

მნიშვნელოვანია, რომ „უნიტრალის“ კონფერენციაზე დაბრკოლებად ჩაითვალა, როგორც ფიზიკური, ისე ეკონომიკური შეუძლებლობის გამომწვევი გარემოება, რომელიც ეკონომიკურად განუხორციელებლად აქცევს შესრულებას.<sup>513</sup> ამიტომაც, იურიდიულ მეცნიერებაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, რომელმაც უპირატესობა მოიპოვა შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სისტემებში არსებულ განსხვავებულ შეხედულებებთან შედარებით, 79-ე მუხლი მოიცავს როგორც ფორსმაჟორის, ასევე შესრულების გართულების<sup>514</sup> ეკონომიკური შეუძლებლობის კონცეფციასაც<sup>515</sup>, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების ანალოგი კონცეფციის მომწერიგებელი ნორმის – 6.2.2-ე მუხლის ფორმირებაზე.<sup>516</sup> როგორც სამართლის მეცნიერებაში, ისე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით აღიარებულია, რომ არ არსებობს შიდასახელმწიფოებრივ სა-

*Chief), Southerington T., Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 2002-2003, Kluwer Law International, The Hague, London, New York, 2004, 285.*

<sup>511</sup> CISG-AC Opinion No. 7, Exemption of Liability for Damages under Article 79 of the CISG, *Garro A. M.*, Columbia University School of Law, New York, N.Y., USA. Adopted by the CISG-AC at its 11<sup>th</sup> meeting in Wuhan, People's Republic of China, 2007, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/CISG-AC-op7.html>>, [15.07.2014]

<sup>512</sup> Honnold J., Flechtnar H.M., Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, 4<sup>th</sup> revised ed., Kluwer Law International, 2009, 628.

<sup>513</sup> Schlechtriem P., Uniform Sales Law, The UN-Convention on Contracts for the International Sale of Goods, Manzsche Verlags und Universitätsbuchhandlung, Vienna, 1986, 101, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/schlechtriem.html#b422a>>, [20.07.2014]; Schlechtriem P., Butler P., UN Law on International Sales, The UN Convention on the International Sale of Goods, Springer, Verlag Berlin Heidelberg, 2009, 203; Rimke J., Force Majeure and Hardship: Application in International Trade Practice with Specific Regard to the CISG and the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, Pace Int'l L. Rev. of the Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1999-2000, 197-243, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/rimke.html>>, [10.02.2014].

<sup>514</sup> Schwenzer I., Hachem P., Kee Ch., Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012, 652, 673; Schwenzer I., Force Majeure and Hardship in International Sales Contracts, VUWLR, Vol. 39, 2008, 725, 713, <<http://www.austlii.edu.au/nz/journals/VUWLawRw/2008/39.pdf>>, [10.02.2014].

<sup>515</sup> Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1076.

<sup>516</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 396-397.

მართალზე მიმართვის საჭიროება ეკონომიკური შეუძლებლობის პრობლემის მოსაწესრიგებლად, რამეთუ ვენის კონვენცია მისი მომცველია.<sup>517</sup>

დაბრკოლების სამართლებრივ ბუნებას წარმოაჩენს ის შედეგები, რომელიც ამ დაბრკოლების აღმოცენებას ახლავს თან. ევროპული პრინციპების თანახმად, დაბრკოლებით გამოწვეული ვალდებულების „უკიდურესი დამძიმება“ გულისხმობის მოვალისათვის დამანგრეველ შედეგებს და სახელშეკრულებო ვალდებულებების მნიშვნელოვან დისტალანსს.<sup>518</sup>

უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები შესრულების გართულებას სახელშეკრულებო წონასწორობის არსებით, ფუნდამენტურ ცვლილებად განმარტავს. ევროპული პრინციპები დამაბრკოლებელი გარემოებით განპირობებულ შესრულების გართულებას შესრულების უკიდურეს დამძიმებად აცხადებს, რომელიც სახელშეკრულებო წონასწორობის რდგვევით გამოიხატება. თუ შესრულება მხოლოდ უმნიშვნელოდ გართულდა და ნაკლებად სასურველი გახდა მოვალისათვის, ეს, რა თქმა უნდა, არ ქმნის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. მიუხედავად იმისა, რომ უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები შესრულების დამძიმებას პირდაპირ არ განიხილავს როგორც შეცვლილი გარემოებებისა და დაბრკოლების თანამდევ შედეგს, სახელშეკრულებო წონასწორობის არსებითი რდგვევა თავისთავად მოიაზრებს ზემოაღნიშნულ წინაპირობასაც.

## 2.2. დაბრკოლების აღმოცენება ხელშეკრულების დადების შემდგომ

შესრულების გართულების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები წინაპირობაა დაბრკოლების აღმოცენება ხელშეკრულების დადების შემდგომ. ამ საკითხის მიმართ იდენტურ მიღებას ავლენს ვენის კონვენცია, ევროპული პრინციპები და *DCFR*.<sup>519</sup> აღნიშნული მოწესრიგების მიზანია შესრულების გართულების კონცეფციის გამიჯვნა შეცდომის ინსტიტუტისა და მისი მომწესრიგებელი ნორმებისგან.<sup>520</sup> თუმცა, ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები შესრულების გართულების დაფუძნებისათვის დასაშვებ წინაპირობად აცხადებს შეცვლილი გარემოებების არსებობას ხელშეკრულების დადების

<sup>517</sup> Schwenzer I., Force Majeure and Hardship in International Sales Contracts, *VUWLR*, Vol. 39, 2008, 713, <<http://www.austlii.edu.au/nz/journals/VUWLawRw/2008/39.pdf>>, [10.02.2014]; Stoll H., in *Schlechtriem P.*, (ed.) Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods, 2<sup>nd</sup> ed., Clarendon Press, Oxford, 1998, Article 79, para. 39.

<sup>518</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 324

<sup>519</sup> Bar Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Vaneziano A., Zoll F.(eds.), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference, Study Group on a European Civil Code and Research Group on EC Private Law (Acquis Group), Sellier, European Law Publishers GmbH, Munich, 2009, 739-740, <[http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law_en.pdf)>, [10.02.2014]

<sup>520</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. *Hondius E.H., Grigoleit H. Ch.*, Unexpected Circumstances in European Contract Law, Cambridge University Press, New York, 2011, 74.

ეტაპზეც, რომელთა შესახებაც მხარისათვის ხელშეკრულების დადების შემდეგ გახდა ცნობილი.<sup>521</sup>

### 2.3. გარემოებათა უჩვეულო ცვლილება

შესრულების გართულების სამართლებრივი წინაპირობების მიმართ, კვლევაში განხილულ სხვა უნიფიცირებულ აქტებთან შედარებით, *DCFR* უდავოდ გამორჩეულ მიღომას ავლენს. კერძოდ, *DCFR*-ის III.-1:110-ე (2) მუხლი გარემოებათა უჩვეულო, განსაკუთრებულ ცვლილებას განიხილავს შესრულების უკიდურესი დამძიმების საფუძვლად. აღნიშნული სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლისათვის მკაცრი შეზღუდვებისა და ფარგლების დაწესებას უნდა ისახავდეს მიზნად და მხარეთა სახელშეკრულებო ბოჭვისაგან განთავისუფლებას მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებისათვის უნდა უშვებდეს.<sup>522</sup>

მნიშვნელოვანია, რომ სწორედ უჩვეულო, განსაკუთრებული ცვლილება არ შეიძლება იყოს მხარისათვის გონივრულად სავარაუდო ხელშეკრულების დადების ეტაპზე. შესაბამისად, ზემოგანხილულ ორ წინაპირობას შორის ლოგიკური ურთიერთკავშირი არსებობს. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განსაკუთრებული, უჩვეულო ხასიათის გარემოებათა ცვლილების არსებობის მტკიცება დიდ ტვირთს აკისრებს დაზარალებულ მხარეს და მკაცრად ზღუდვას სახელშეკრულებო ვალდებულებისგან განთავისუფლების ხელმისაწვდომობას მოვალისათვის.<sup>523</sup>

### 2.4. დაბრკოლების აღმოცენება მოვალის კონტროლის სფეროს მიღმა

პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად მიიჩნევა მოვალის კონტროლის სფეროს მიღმა,<sup>524</sup> მისგან დამოუკიდებლად არსებული, გარეშე მოვლენა,<sup>525</sup> რომლის წარმოშობის რისკიც პირდაპირ არ უკისრია მო-

<sup>521</sup> ი. უნიფრუას სახელშეკრულებო პრინციპების 6.2.2-ე (ა) მუხლი.

<sup>522</sup> *Bar Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Vaneziano A., Zoll F.* (eds.), *Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference*, Study Group on a European Civil Code and Research Group on EC Private Law (Acquis Group), Sellier, European Law Publishers GmbH, Munich, 2009, 59, <[http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law_en.pdf)>, [15.02.2014].

<sup>523</sup> *Uribé M.*, The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 204.

<sup>524</sup> *Liu Ch.*, Changed Contract Circumstances, 2005, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/liu5.html>>, [10.02.2014]; *Lindström N.*, Changed Circumstances and Hardship in the International Sale of Goods, NJCL, 2006/1, 8, <[www.njcl.fi/1\\_2006/commentary1.pdf](http://www.njcl.fi/1_2006/commentary1.pdf)>, [10.02.2014]; *Southerington T.*, წიგნი: *Maggi M.*, Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG), 2002-2003, Kluwer Law International, Netherlands, 2004, 275-276.

<sup>525</sup> *Firoozmand M.R.*, Changed Circumstances and Immutability of Contract: a Comparative Analysis of Force Majeure and Related Doctrines, Bus. L. Int'l, Vol. 8, No.2, 2007, 165, <[http://heinonline.org/HOL/Welcome?message=Please%20log%20in&url=%2FHOL%2FPrint%3Fhandle%3Dhein.journals%2Fblawintnl2007%26div%3D17%26collection%3Djournals%26set\\_as\\_cursor%3D1%26men\\_tab%3Dsrchresults](http://heinonline.org/HOL/Welcome?message=Please%20log%20in&url=%2FHOL%2FPrint%3Fhandle%3Dhein.journals%2Fblawintnl2007%26div%3D17%26collection%3Djournals%26set_as_cursor%3D1%26men_tab%3Dsrchresults)>, [21.04.2014]; *Liu Ch., Newman M.S.(ed.)*, Remedies in International Sales,

ვალეს ან არც შეიძლება ნაგულისხმევად<sup>526</sup> ეკისრებოდეს ხელშეკრულების შინაარსიდან ან ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე<sup>527</sup> გარეშე მოვლენები ობიექტურად არსებული გარემოებანია, რომელთა პირობებში მხედველობაში არ მიიღება მხარეთა სუბიექტური შეფასებები სახელშეკრულებო წონასწორობის შესახებ.<sup>528</sup>

მნიშვნელოვანია, რომ თუ შეცვლილი გარემოებების აღმოცენება მხარისათვის გონივრულად სავარაუდო იყო, ეს იმავდორულად აკისრებს მხარეს ამ გარემოებით გამოწვეული შესრულების გართულების რისკს. ამდენად, შეცვლილი გარემოების წინასწარ გათვალისწინების შეუძლებლობისა და მოვალის კონტროლის სფეროს მიღმა დაბრკოლების არსებობის წინაპირობები ფაქტობრივად ურთიერთმომცველია. მსგავსად ამისა, თუ შესრულების უკიდურესი დამძიმება, როგორც ერთ-ერთი აუცილებელი და უმთავრესი წინაპირობა არ არის სახეზე, მაშინ გამოირიცხება მოვალის კონტროლის სფეროს მიღმა დაბრკოლების არსებობის წინაპირობაც, რადგან ვალდებულების შესრულების საშუალო ხარისხის გართულება, როგორც წესი, მოვალის პასუხისმგებლობის სფეროში მოიაზრება.<sup>529</sup>

იმავდორულად, ვენის კონვენციის 79-ე, უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 7.1.7-ე და ევროპული პრინციპების 8:108-ე მუხლები მართალია, პირდაპირ არ მიუთითებენ დაბრკოლების წარმოშობის რისკის განაწილებაზე, მაგრამ იურიდიულ დოქტრინაში საყოველთაოდ არის მიღებული<sup>530</sup>, რომ მოვალე პასუხისმგებელია ვალდებულების შესრულების მიმართ წარმოშობილი იმ დაბრკოლებისათვის, რომლის წინასწარ განსაზღვრის, თავიდან აცილების ან დაძლევის ობიექტური შესაძლებლობაც მას ჰქონდა. ამ თვალსაზრისით, მოვალე ხელშეკრულებით გარანტირებულს ხდის იმ ვალდებულების შესრულებას, რომლის მომზადება, ორგანიზაცია და აღსრულება მისი კონტროლისა და გამგებლობის სფეროში მოიაზრება. დამაბრკოლებელი

---

Perspectives from CISG, UNIDROIT Principles and PECL, JurisNet, LLC, Huntington, New York, 2007, 674.

<sup>526</sup> სახელშეკრულებო დუმილის, როგორც რისკის გადანაწილების საფუძვლის, შესახებ, იხ. *Gillette C.P.*, Commercial Rationality and the Duty to Adjust Long-Term Contracts, Minn. L. Rev., Vol. 69, 521, 1984-1985, 534-540,

<[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/mnlr69&div=21&g\\_sent=1&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/mnlr69&div=21&g_sent=1&collection=journals)>, [12.03.2014].

<sup>527</sup> *Bar Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Vaneziano A., Zoll F.* (eds.), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference, Study Group on a European Civil Code and Research Group on EC Private Law (Acquis Group), Sellier, European Law Publishers GmbH, Munich, 2009, 740, <[http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law_en.pdf)>, [10.02.2014].

<sup>528</sup> *Roberts Th.E.*, Commercial Impossibility and Frustration of Purpose: A Critical Analysis, Can. J.L. & Jurisprudence, Vol. 16, 2003, 139, <<http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/caljp16&collection=journals&page=129>>, [12.03.2014].

<sup>529</sup> *Uribe M.*, The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 204.

<sup>530</sup> *Brunner Ch.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 76; *Zweigert K., Kötz H.*, An Introduction to Comparative Law, Vol. II -The Institutions of Private Law, 2<sup>nd</sup> Revised ed., Translated from the German by Weir T., Oxford, Clarendon Press, 1987;

გარემოების არსებობა მოვალის კონტროლის სფეროში მის ბრალეულობას აფუძნებს ვალდებულების შეუსრულებლობის მიმართ.<sup>531</sup>

მნიშვნელოვანია, რომ მოვალის სუბიექტური კონტროლის სფეროში შემავალი მოვლენები შესრულების დამაბრკოლებელ გარემოებად არ განიხილება. მაგალითად, ბიზნესის წარუმატებლობა, ქმედუნარიანობის დაკარგვა, ლიკვიდაცია ან გაკოტრება, წარმოების ან სააღრიცხვო სისტემების მარცხი, სათანადო პერსონალის დაკარგვა,<sup>532</sup> მოვალის გარდაცვალება ან დაპატიმრება, შიდა დაპირისპირებით გამოწვეული გაფიცვები და ა.შ.

სუბიექტური გადახდისუუნარობა პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძლად არ განიხილება.<sup>533</sup> შესაბამისად, მოვალის პასუხისმგებლობის სფეროს განეკუთვნება უცხოური ვალუტის მოძიების ვალდებულება.<sup>534</sup>

ანალოგიურ მიდგომას ავლენს უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებიც.<sup>535</sup> ინდივიდუალური გადახდისუუნარობა სუბიექტური და არა ობიექტური მიზეზით აღმოცენებულ დაბრკოლებას განასახიერებს და არ არის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძლად აღიარებული,<sup>536</sup> რადგან ფინანსურ ოპერაციებთან, ბიზნესის წარმართვასთან დაკავშირებული რისკი და პირის ფინანსური მდგომარეობა მოვალის კონტროლისა და პასუხისმგებლობის სფეროდ განიხილება.<sup>537</sup> ანალოგიური მოსაზრება გაზიარებულია ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც.<sup>538</sup>

<sup>531</sup> Busch D., Hondius E., *The Principles of European Contract Law and Dutch Law: A Commentary (Perspectives on Company Law S.)*, Kluwer Law International, 1<sup>st</sup> ed., August 27, 2002, 341.

<sup>532</sup> Enderlein F., Maskow D., *International Sales Law, United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods: Convention on the Limitation Period in the International Sale of Goods: Commentary*, Oceana Publications, 1992, §4.1, 322-323, მთოთებულია: Flambouras D.P., *The Doctrines of Impossibility of Performance and Clausula Rebus Sic Stantibus in the 1980 Vienna Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law: A Comparative Analysis*, Pace Int'l L. Rev., Vol. 13, 2001, 267-268,

<<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/flambouras1.html#iie>>, [15.03.2014].

<sup>533</sup> Schlechtriem P., Schwenzer I., *Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG)*, 3rd ed., Oxford University Press, 2010, 1073; იბ. ასევე, Busch D., Hondius E., *The Principles of European Contract Law and Dutch Law: A Commentary (Perspectives on Company Law)*, Kluwer Law International; 1<sup>st</sup> ed., August 27, 2002, 341.

<sup>534</sup> Schlechtriem P., Schwenzer I., *Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG)*, 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1073.

<sup>535</sup> Wright C., *Force Majeure Clauses and the Insurability of Force Majeure Risks*, The Construction Lawyer, Vol. 23, 2003, 19,

<[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/conlaw23&div=46&g\\_sent=1&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/conlaw23&div=46&g_sent=1&collection=journals)>, [15.03.2014].

<sup>536</sup> Perillo J., *Force Majeure and Hardship under the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, Contratación internacional. Comentarios a los Principios sobre los Contratos Comerciales Internacionales del Unidroit*, Universidad Nacional Autónoma de México - Universidad Panamericana, 1998, 121, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/perillo3.html?>>>, [15.03.2014].

<sup>537</sup> Lookofsky J., *The 1980 United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, Herbots J.(ed.)/Blanpain R.(general ed.)*, International Encyclopedia of Laws - Contracts, Suppl. 29, 2000, 161, <http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lookofsky.html?>>; Schlechtriem P., Schwenzer I., *Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG)*, 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010,

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით,<sup>539</sup> ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა უსახსრობის გამო, არ წარმოადგენს ისეთ გარემოებას, რაც სსკ-ის 401-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების ვადის გადაცილებაში მოვალის ბრალის არარსებობას დაადასტურებდა და შესაბამისად, პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად მიიჩნეოდა.

ამრიგად, ერთ-ერთი მხარის სახსრების ნაკლებობა არ ჩაითვლება პასუხისმგებლობის გამომრიცხველ, ფორსმაჟორულ გარემოებად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, პირის ფინანსური მდგომარეობა არ წარმოადგენს დაუძლეველ ძალას, რომელიც შეიძლება გახდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი.<sup>540</sup>

თუ გადახდისუუნარობა სახელმწიფოს მიერ გამოცემული საკანონმდებლო აკრძალვითაა განპირობებული, მაშინ ფინანსური ვალაუვალობა მოვალის პასუხისმგებლობის გამომრიცხველია.<sup>541</sup> სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ჩარევა (*faits du prince*), რომელიც შესრულების დამაბრკოლებელია, როგორც წესი, მოვალის რისკის სფეროს მიღმა მოიაზრება.<sup>542</sup>

მნიშვნელოვანია, რომ მოვალის მიერ ვადის გადაცილების, როგორც მოვალის მიერ ვალდებულების ბრალეული დარღვევის, შემდგომ აღმოცენებული დაბრკოლება არ განიხილება პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად, რადგან ბრალეულ ქმედებას შეუსრულებლობის რისკი მოვალის კონტროლის სფეროზე გადააჭვს, გარდა იმ შემთხვევისა თუ მოვალე დაამტკიცებს, რომ დაბრკოლება აღმოცენდებოდა ვალდებულების დროული შესრულების შემთხვევაშიც.<sup>543</sup>

მხარის პასუხისმგებლობის სფერო იმ საზღვრებს მოიცავს, რა ფარგლებშიც სუბიექტს ობიექტურად უნდა შესწევდეს დამაბრკოლებელი გარემოების კონტროლის, მასზე ზემოქმედების და უარყოფით შედეგებზე პრევენციული ფორმით ზეგავლენის თეორიული შესაძლებლობა.

1073; *Lookofsky J.*, Understanding the CISG in Scandinavia, DJÆF Publishing Copenhagen, Copenhagen, 1996.

<sup>538</sup> მოიჯარის მიერ შემოსავლის მიღება დამოკიდებულია სწორი სამეწარმეო საქმიანობის წარმართვაზე. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 მარტის განჩინება საქმეზე: საქმე №ას-1359-1197-2010.

<sup>539</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 აპრილის განჩინება საქმეზე: №ას-218-204-2011.

<sup>540</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 მარტის განჩინება საქმეზე: საქმე №ას-1359-1197-2010.

<sup>541</sup> *Lando O., Beale H.*, Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 379.

<sup>542</sup> *Schlechtriem P., Schwenzer I.*, Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1071.

<sup>543</sup> *Lando O., Beale H.*, Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 380. იხ. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის განჩინება საქმეზე: №ას-1224-1244-2011.

## **2.5. გალდებულების შეუსრულებლობის რისკი გამოირიცხება მხარის პასუხისმგებლობის სფეროდან**

შესრულების გართულების და შეუძლებლობის დოქტრინათა გამოყენების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა, რომ შეცვლილი გარემოებების აღმოცენებისა და გალდებულების შეუსრულებლობის რისკი გამორიცხული უნდა იყოს მხარის პასუხისმგებლობის სფეროდან. ამდენად, სახელშეკრულებო რისკის ფაქტორი, პასუხისმგებლობის განსაზღვრის ოვალსაზრისით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გალდებულებით სამართალში.

წინამდებარე თავები ვრცლად ეძღვნება სახელშეკრულებო შეთანხმებით და მისი ნაგულისხმევი პირობების განმარტების საფუძველზე მხარის პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრას შეცვლილ გარემოებათა პირობებში, შესრულების შეუძლებლობისა და შემხვედრი ვალდებულების შეუსრულებლობის რისკის საკითხს სახელშეკრულებო სამართალში და მათთან დაკავშირებულ პრობლემატიკას.

### **2.5.1. თეორია სახელშეკრულებო რისკის შესახებ და მისი გადანაწილების ნორმატიული წესი**

პოსნერმა და როსენფილდმა შესრულების შეუძლებლობის, შესრულების განუხორციელებლობისა და ხელშეკრულების მიზნის ამაოების დოქტრინების ეკონომიკური ანალიზის გზით პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საკითხის განსაზღვრისათვის, განავითარეს თეორია სახელშეკრულებო რისკის მატარებელი მხარის შესახებ.<sup>544</sup> ხელშეკრული თეორიის თანახმად, პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საკითხი მჭიდროდ უკავშირდება რისკის გადანაწილების პრობლემას, რამეთუ პასუხისმგებლობის შერაცხვა უნდა განხორციელდეს რისკის უმთავრესად მატარებელ მხარეზე.<sup>545</sup>

მაგალითად, მოვალის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება გულისხმობს შესრულების დამაბრკოლებელი გარემოების წარმოშობის რისკის კრედიტორზე დაკისრებას, ხოლო მოვალის პასუხისმგებლობა დამაბრკოლებელ გარემოებას მისი რისკის სფეროში მოიაზრებას.<sup>546</sup>

პასუხისმგებელი მხარის დადგენისათვის უნდა განისაზღვროს, თუ სახელშეკრულების რომელ მხარეს შეეძლო თავიდან აეცილებინა რისკის გან-

<sup>544</sup> Posner R.A., Rosenfield A.M., Impossibility and Related Doctrines in Contract Law: An Economic Analysis, J. Legal Stud., Vol. 6, 1977, 83-118; Jenkins S. H., Exemption for Nonperformance: UCC, CISG, UNIDROIT Principles -- A Comparative Assessment, Tul. L. Rev., Vol. 72, 1998, 2017, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/jenkins.html>>, [17.04.2014].

<sup>545</sup> Goldber V.P., Framing Contract Law, An Economic Perspective, Harvard University Press, Cambridge, Massachusetts and London, England, 2006, 325-326.

<sup>546</sup> Posner R. A., Rosenfield A.M., Impossibility and Related Doctrines in Contract Law: An Economic Analysis, J. Legal Stud., Vol. 6, 1977, 87, <<http://www.jstor.org/stable/pdfplus/724191.pdf?acceptTC=true>>, [17.04.2014].

ხორციელება,<sup>547</sup> მისი გამომწვევი მოქმედება ან შეემცირებინა მისი შედეგები. შესრულების შეუძლებლობისას რისკის საკითხი უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, თუ რომელ მხარეს პქონდა იმ გარემოების კონტროლის უნარი, რამაც ვალდებულების დარღვევა განაპირობა; რაც შეეხება მეორე კრიტერიუმს, თუ რომელ კონტრაქტის შეუძლო რისკის წინასწარ გათვალისწინება, უნდა ითქვას, რომ შესრულების შეუძლებლობის პირობებში ეს კრიტერიუმი არ გამოიყენება, რადგან შეუძლებლობის გამომწვევი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი გარემოება, რომლის წარმოშობის მხედველობაში მიღება ხელ-შეკრულების დადების ეტაპზე მხარეთათვის თანაბრად შეუძლებელია.<sup>548</sup> კონტრაქტორს, რომელსაც შეუძლებლობის წარმოშობი გარემოების გაკონტროლების საშუალება აქვს, ეკისრება კიდეც მისი თავიდან აცილების ვალდებულება. სწორედ აღნიშნული ქმნის მისთვის პასუხისმგებლობის შერაცხვის საფუძველს.

თეორია, რისკის უმთავრესად მატარებელი მხარის შესახებ, შემდგომში განავითარეს მოსამართლეებმა, რომლებიც ხელშეკრულების ხარვეზის შევსებისას ადგენდნენ თუ რა შინაარსის იქნებოდა ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი დებულებები მხარეები მათზე რომ შეთანხმებულიყვნენ.<sup>549</sup>

პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების წინაპირობებია: (1) შესრულების დამაბრკოლებელი გარემოების თავიდან აცილების შეუძლებლობა; (2) შესრულების დამაბრკოლებელი გარემოების რისკის დაზღვევის მოვალესთან შედარებით კრედიტორის უპირატესი შესაძლებლობა;<sup>550</sup> (3) კრედიტორის მხრიდან (ა) მოსალოდნელი ზიანის ოდენობის შეფასებისა და (ბ) ამ ზიანისგან მოვალესთან შედარებით შედავათიანი პირობებით დაზღვევის შესაძლებლობა.<sup>551</sup>

მოვალის მიერ ზიანის წარმოშობის რისკის სადაზღვევო პაკეტით უზრუნველყოფა არ განიხილება პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად და მას კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობის განსაზღვრის თვალსაზრისით, მნიშვნელობა არ ენიჭება. კრედიტორს, საამისოდ აუცილე-

<sup>547</sup> Goldber V.P., *Framing Contract Law, An Economic Perspective*, Harvard University Press, Cambridge, Massachusetts and London, England, 2006, 326; Buxbaum R.M., *Modification and Adaptation of Contracts: American Legal Developments*, 1985, 33-34, წიგნში: Horn N.(ed.), *Adaptation and Renegotiation of Contracts in International Trade and Finance*, Deventer/The Netherlands, Kluwer Law and Taxation Publishers, 1985.

<sup>548</sup> ob. იქვე, 345.

<sup>549</sup> Posner R.A., Rosenfield A.M., *Impossibility and Related Doctrines in Contract Law: An Economic Analysis*, J. legal Stud., Vol. 6, 1977, 87, 88-89.

<sup>550</sup> ob. *Clay v. Landreth*, 187 Va. 169, 180, 45 S.E. 2d 875, 880-88. აღნიშნულ საქმეში ვალდებულების შესრულების მოხოვენა გამოირიცხა, რამეთუ მყიდველს, გამყიდველთან შედარებით, რისკისგან დაზღვევის უკეთესი პირობები პქონდა. ob. Yorio E., *Thel S.*, *Contract Enforcement*, 2<sup>nd</sup> ed., Wolters Kluwer Law and Business, Aspen Publishers, 2011, 5-6.

<sup>551</sup> Posner R.A., Rosenfield A.M., *Impossibility and Related Doctrines in Contract Law: An Economic Analysis*, J. Legal Stud., Vol. 6, 1977, 87, 92.

ბელი წინაპირობების არსებობისას, შეუძლია მოვალისგან მოითხოვოს სადაზღვევო კომპანიის მიერ მოვალისათვის ასანაზღაურებული თანხა.<sup>552</sup>

პოსტერისა და როსენფილდის მოსაზრებით, თეორია რისკის უმთავრესად მატარებელი მხარის შესახებ, პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების კრიტერიუმად ძირითადად, საერთო სამართლის ქვეყნებში განიხილება. საწინააღმდეგოდ ამისა, პროფ. ბრუნერი მიიჩნევს, რომ ხენებული თეორია არ შეიძლება პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის სამართლის ზოგად პრინციპად გამოიყენებოდეს შეცვლილი გარემოებების წარმოშობის ან ფორსმაჟორის არსებობისას. ამის მიზეზად იგი რამდენიმე გარემოებას ასახელებს: პასუხისმგებელი მხარის რისკის სფეროს განსაზღვრა ძალიან ფართო კრიტერიუმია პასუხისმგებლობის დადგენის თვალსაზრისით. ამასთან, როდესაც კონტრაპენტო რისკის სფეროები ხელშეკრულების დადების ეტაპზე განსაზღვრული არ არის, მხარეებმა არ იციან თუ რა ზომების მიღება ევალებათ ამ რისკის განხორციელებისა და პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად.<sup>553</sup> აღნიშნული პრინციპი კონტრაქტორებისათვის მიუღებლად უნდა ჩაითვალოს, რადგან მის საფუძველზე რისკის მატარებელი მხარე სასამართლოს მიერ განისაზღვრება მხოლოდ შეცვლილი გარემოების წარმოშობის შემდეგ. თუმცა, აღნიშნული გონიერ სახელშეკრულებო მხარეებს უბიძგებს დამაბრკოლებელი გარემოების წარმოშობის პოტენციური რისკისა და კონტრაპენტოების პასუხისმგებლობის, ხელშეკრულების დადების ეტაპზე განსაზღვრის წესს, მიანიჭონ უპირატესობა.<sup>554</sup>

თუ ხელშეკრულების განმარტებით რისკის გადანაწილების საკითხი არ იკვეთება, პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის სახელშეკრულებო რისკის ნორმატიული წესი<sup>555</sup> და კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი საფუძვლები იმოქმედებს. მაგალითად, როგორც წესი, საქონლის მიწოდებამდე, სანამ ხელშეკრულების საგანი მყიდველის განკარგულების სფეროში მოექცევა, საბაზრო ფასების გაუთვალისწინებელი ზრდის რისკი გამყიდველს ეკისრება. დაბრკოლებები, რომლებიც განეკუთვნება ვალდებულების მომზადების, ორგანიზაციისა და განხორციელების სფეროს, როგორც წესი, მოვალის რისკის სფეროში მოიაზრება.

ამრიგად, სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი, როგორც წესი, მოვალის მხარესაა, სანამ იგი არ გათავისუფლდება პირველადი ვალდებულებისაგან ნატურით შესრულების საფუძველზე. ამ შემთხვევაში ვალდებული პირის „პასუხისმგებლობის მასშტაბი განისაზღვრება იმდენად არა მისი ქცევით, არამედ იმ სფეროთი, საიდანაც მომდინარეობს

<sup>552</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 144.

<sup>553</sup> ოქვე.

<sup>554</sup> Kull A., Mistake, Frustration, and the Windfall Principle of Contract Remedies, *Hastings L.J.*, Vol. 43, 1991, 46-47,

<[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/hastlj43&div=11&g\\_sent=1&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/hastlj43&div=11&g_sent=1&collection=journals)>, [17.04.2014].

<sup>555</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 117-118.

ვალდებულების შესრულების შეფერხება.<sup>556</sup> უნდა მიეკუთვნოს თუ არა ვალდებულების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოება მოვალის პასუხისმგებლობის სფეროს, შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ხელშეკრულების შინაარსის ან იმის საფუძველზე, რაც მხარეებს კეთილგონივრულად ექნებოდათ შეთანხმებული.<sup>557</sup>

თუ გამყიდველის ერთადერთი ვალდებულება მყიდველისათვის საქონლის გადაცემაა (*Schickschuld*), მაშინ ვალდებულების შესრულების რისკი კრედიტორზე მხოლოდ ქონების გადაცემის მომენტიდან გადაინაცვლებს, მანამდე კი აღნიშნული რისკის მატარებლად მოვალე ითვლება,<sup>558</sup> რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ ქონება მყიდველისათვის გადაცემამდე დაიღუპება, გამყიდველს აღარ მოეთხოვება ვალდებულების შესრულების კიდევ ერთი მცდელობა, მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულებითი ურთიერთობა შესრულებით არ შემწყდარა.<sup>559</sup> ამ შემთხვევაში მოვალე თავისუფლდება ვალდებულების შესრულების პირველადი მოვალეობისაგან. იგივე წესი მოქმედებს ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთის განადგურების პირობებში:<sup>560</sup> ვალდებულების შესრულების რისკის უარყოფითი შედეგი მოვალისათვის იმით ვლინდება, რომ იგი ვალდებულია, გამყიდველს დაუბრუნოს საქონლის სახელშეკრულებო ფასი.

ზოგადი წესის თანახმად, გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი საქონლის მოძიების რისკი გამყიდველს აკისრია, რამდენადაც ობიექტურად ხელმისაწვდომია ხელშეკრულების საგანი სასაქონლო ბაზარზე ან შეთანხმებით განსაზღვრული მიწოდების წყაროს გამოყენებით.<sup>561</sup> მოვალემ ხელშეკრულების საგანი აუცილებლად უნდა ჩაანაცვლოს ანალოგიური გვაროვნული ნივთით. თუ აღნიშნულის დროულად განხორციელება შეუძლებელია, მაშინ მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ ვადიანი შესრულების დაბრკოლება არაკონტროლირებადი და გაუთვალისწინებელი მოვლენით იყო გამოწვეული.<sup>562</sup> მოვალის პასუხის-

<sup>556</sup> პელეგრინ მ., სუბიექტური თუ ობიექტური სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა? საიუბილეო კრებული „სერგო ჯორბენაძე – 70“, თბ., 1996, 160.

<sup>557</sup> შეად. Stoll H., in: Kommentar zum Einheitlichen UN-Kaufrecht, 2. Aufl., München 1995, Caemmerer E., Schlechtriem P. (Hrsg.) Art.79 Rdnr.7; Keil A., Die Haftungsbefreiung des Schulners im UN-Krankfurt am Main 1993, 105 ff., მთოთებულია: პელეგრინ მ., სუბიექტური თუ ობიექტური სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა? საიუბილეო კრებული „სერგო ჯორბენაძე – 70“, თბ., 1996, 162.

<sup>558</sup> Looofsky J.L., Understanding the CISG: A Compact Guide to the 1980 United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 3<sup>rd</sup> ed., Publishing Copenhagen, Wolters Kluwer Law and Business, Austin, Boston, Chicago, New York, The Netherlands, 2008, 100.

<sup>559</sup> იბ. გსკ-ის (German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005) §362.

<sup>560</sup> Markesinis S.B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 410.

<sup>561</sup> Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1074; Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 148.

<sup>562</sup> Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1074.

მგებლობა არ გამოირიცხება მისი მიმწოდებლის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძვლით.<sup>563</sup> ოუმცა, მოვალეს მისი მიმწოდებლის მიმართ რეგრესის წესით ექნება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.<sup>564</sup> გამყიდველის აღნიშნულ ვალდებულებას უპირისპირდება მყიდველის მიერ მიღებული საქონლის სარგებლიანობის დაკარგვის რისკი. მყიდველი შესრულების მიღებაზე ვერ განაცხადებს უარს იმ საფუძვლით, რომ საქონელს ვედარ გაყიდის საერთოდ ან სასურველ ფასად. შესრულების მიღებაზე უარის თქმის საფუძველი ვერ გახდება ასევე ის გარემოება თუ საქონელი გამოუყენებელია მყიდველისათვის ან უკეთესი და უახლესი წარმოების პროდუქტია ბაზარზე ხელმისაწვდომი.<sup>565</sup>

რისკის გადანაწილების აღნიშნული ნორმატიული წესი შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით შეიცვალოს და მოვალის კონტროლის სფეროდან გამოირიცხოს პასუხისმგებლობა შეცვლილი გარემოებების წარმოშობისათვის. მაგალითად, მხარემ შესაძლებელია ხელშეკრულებით იკისროს საქონლის გაგზავნა მყიდველისათვის მისი მიწოდების (ჩაბარების) ვალდებულების ნაცვლად, რაც ბუნებრივია, მოვალის კონტროლის სფეროდან გამორიცხავს საქონლის ტრანსპორტირების პერიოდში მისი შემთხვევითი დაღუპვისა თუ განადგურების რისკს.

პასუხისმგებლობის ნორმატიული წესი არ გამოიყენება, როდესაც რისკის მატარებელი მხარე ხელშეკრულებით არის განსაზღვრული. ამრიგად, პოსტერისა და როსენფილდის თეორია ხელშეკრულების ინტერპრეტაციისას დამხმარე მნიშვნელობისაა რისკის მატარებელი მხარის დადგენის თვალსაზრისით,<sup>566</sup> რომელიც დამხმარე წესის სახით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, როდესაც ტრადიციული კრიტერიუმები საამისოდ არ არის საკმარისი.<sup>567</sup>

## 2.5.2. პასუხისმგებლობის სფეროს განსაზღვრა და სახელშეკრულებო რისკის გადანაწილება ურთიერთშეთანხმებით

მხარეებმა ურთიერთშეთანხმებით შესაძლებელია გაითვალისწინონ სახელშეკრულებო რისკის კანონისგან განსხვავებული განაწილება. კონტრაქტთა ავტონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, სახელშეკრულებო რისკის საკითხის გადაწყვეტისთვის უპირატესობა ენიჭება ხელშემკვრელ მხარეთა ნების, მათი განზრახვის დადგენას.

ურთიერთშეთანხმებით ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი შესაძლებელია ხელშეკრულების ერთ-ერთ მონაწილეს დაეკისროს, იმის მი-

<sup>563</sup> Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1074.

<sup>564</sup> იქვე, 1076.

<sup>565</sup> იქვე, 1077.

<sup>566</sup> Posner R.A., Rosenfield A.M., Impossibility and Related Doctrines in Contract Law: An Economic Analysis, J. legal Stud., 6, 1977, 87, 90.

<sup>567</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 146.

ხედვით თუ, მიზანშეწონილობისა და სამართლიანობის გათვალისწინებით, „ხელშეკრულების რომელ მონაწილეს აქვს შეუსრულებლობის გამომწვევი გარემოების თავიდან აცილების შესაძლებლობა.“<sup>568</sup> იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სახელშეკრულებო რისკი უნდა დაეკისროს მხარეს, რომელსაც მეტად შეუძლია წინასწარ განსაზღვროს მისი წარმოშობის შესაძლებლობა, ან თავიდან აიცილოს იგი.<sup>569</sup>

სახელშეკრულებო რისკის ფარგლების დადგენისათვის უნდა შეფასდეს პირდაპირ ან ნაგულისხმევად ეკისრება თუ არა მოვალეს ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი. მხარემ საკუთარი პასუხისმგებლობის სფეროდან გამორიცხა გარკვეული დაბრკოლების წარმოშობის რისკი თუ პირიქით, გააფართოვა თავისი კონტროლის სფერო, ხელშეკრულების ობიექტური განმარტების საფუძველზე, ფაქტობრივი გარემოებების გონივრული განსჯისა და მხარეთა სახელშეკრულებო მიზნის დადგენის გზით უნდა განხორციელდეს.

მხარის პასუხისმგებლობის სფერო გაფართოებულია, თუ მან პირდაპირი ან ნაგულისხმევი ფორმით გარანტირებული გახდა ხელშეკრულებით მისაღწევი შედეგი. მოცემულ შემთხვევაში მოვალეს პასუხისმგებლობა დაკისრება არა მხოლოდ მისი კონტროლისა და გავლენის სფეროში შემავალი, არამედ მის მიღმა წარმოშობილი დაბრკოლებისთვისაც. შესრულების შეუძლებლობისას კრედიტორისათვის გამოსაყენებელი მეორედი მოთხოვნის უფლებებიდან მართალია, გამოირიცხება დამატებითი შესრულების მოთხოვნა, მაგრამ მოვალის მიერ ვალდებულების შემთხვევითი შეუსრულებლობის რისკის საკუთარ თავზე აღების შემთხვევაში, შეუზღუდავია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხელმისაწვდომობა.

ხელშეკრულებაში შესაძლებელია განმტკიცდეს დებულებები, რომებიც ადასტურებენ ხელშეკრულების დადების ეტაპზე გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების უტყუარ არსებობას, რაც მეორე მხარის მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობაში ჩართვის უმთავრეს მოტივსა და საფუძვლს ქმნის. თუ ფაქტობრივი გარემოებები მცდარი აღმოჩნდება, მაშინ მხარეს, რომელმაც ფაქტების სინამდვილე გარანტირებული გახდა, უპირობოდ დაეკისრება პასუხისმგებლობა, მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა მან აღნიშნულის შესახებ.<sup>570</sup>

<sup>568</sup> Gordley J., Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006, 406.

<sup>569</sup> იქვე, 345.

<sup>570</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 120.

### 2.5.3. სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დაკისრება ან შეზღუდვა-გამორიცხვა ურთიერთშეთანხმებით

სავაჭრო სფეროში ბრუნვის თავისებურებიდან გამომდინარე ყოველ-  
თვის არსებობს ეკონომიკური კრიზისის რისკი.<sup>571</sup> საყურადღებოა, რომ სა-  
ერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში საბაზრო ფასების ცვლილება მა-  
დალი ხარისხის რისკით არის მოსალოდნელი შიდასახელმწიფოებრივ სამო-  
ქალაქო ბრუნვასთან შედარებით.<sup>572</sup> აღნიშნული აიძულებს მხარეებს სახელ-  
შეკრულებო შეთანხმებით შეზღუდონ ან გამორიცხონ პასუხისმგებლობა მა-  
თი რისკის სფეროში შემავალი გარემოების წარმოშობისათვის ან იკისრონ  
პასუხისმგებლობა დამაბრკოლებელი გარემოებების აღმოცენებაზე. აღნიშ-  
ნული ხელშეკრულების განმარტების გზით უნდა შეფასდეს.<sup>573</sup>

მაგალითად, ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები შესაძლებელია:

- იკისროს ვალდებულების შესასრულებლად აუცილებელი ქმედების განხორციელების და არა კონკრეტული შედეგის მიღწევის ვალდებუ-  
ლება იკისროს;
- კონკრეტული გარემოების წარმოშობას დაუკავშიროს ხელშეკრულე-  
ბიდან გასვლის უფლების გამოყენება;
- შეზღუდოს ან გამორიცხოს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა  
ვალდებულების დარღვევისათვის;
- განსაზღვროს ისეთი სახელშეკრულებო პირობის (*renegotiation clause*)  
დადგენის აუცილებლობა, რომელიც მიმართული იქნება გრძელვადიან  
ურთიერთობებში სახელშეკრულებო ფასის ცვლილების რისკის მოწე-  
რიგებისკენ,<sup>574</sup>
- დაადგინოს სახელშეკრულებო ფასის განსაზღვრის მოქნილი მექა-  
ნიზმი, კრიტერიუმი, რომელიც ფიქსირებული ფასებისგან განსხვავე-  
ბით, უზრუნველყოფს ფასების მოდიფიცირებას შეცვლილი გარემოებე-  
ბის შესაბამისად;
- შემოფარგლოს მისი ვალდებულება საქონლის გაგზავნის და არა მი-  
წოდების ვალდებულებით და ა.შ.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ჰამბურგის სააპელაციო სასა-  
მართლოს გადაწყვეტილება,<sup>575</sup> რომლის თანახმად, გამყიდველი ხელშეკრუ-  
ლების საგნის მომწოდებლისგან მოძიების ვალდებულებისა და რისკის მა-  
ტიარებელია. მოვალის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვე-

<sup>571</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივ-  
ლისის განხინება საქმეზე: №ას-7-6-2010.

<sup>572</sup> Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative  
Perspectives, Intersentia, 2011, 193.

<sup>573</sup> Schwenzer I., Force Majeure and Hardship in International Sales Contracts, VUWLR, Vol. 39, 2008, 715,  
<<http://www.austlii.edu.au/nz/journals/VUWLawRw/2008/39.pdf>>, [27.06.2014].

<sup>574</sup> Draetta U., Lake R. B., Nanda V.P., Breach and Adaptation of International Contracts, An Introduction to  
the Lex Mercatoria, Butterworth Legal Publishers, 1992, 172.

<sup>575</sup> OLG Hamburg, Appellate Court Hamburg (Iron molybdenum case), 1 U 167/95, 28 February, 1997,  
<<http://cisgw3.law.pace.edu/cases/970228g1.html>>, [27.06.2014].

ლი შეიძლება გახდეს მსგავსი ან იდენტური ხარისხის საქონლის მოსპობა ბაზარზე. სასამართლომ მოვალის პასუხისმგებლობის სფეროს მიაკუთვნა სამმაგად გაზრდილი საბაზრო ფასების რისკი, რადგან მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება მაღალი ხარისხის სპეციალაციურ შეთანხმებად შეაფასა. სპეციალაციური შეთანხმების პირობებში შეუძლებელია ფიქსირებულად განისაზღვროს სახელშეკრულებო ფასი. ამ შემთხვევაში მხარეს შესაძლებელია მოეთხოვოს გასამაგებული საბაზრო ფასის გადახდაც. ფასების მსგავსი ცვლილებები სრულიად მოხალოდნელი და დამახასიათებელია სპეციალაციური ხასიათის გარიგებისთვის.<sup>576</sup>

გამყიდველის პასუხისმგებლობა შესრულების საგნის მოძიებისათვის შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ ნათლად ფორმულირებული სახელშეკრულებო პირობის საფუძველზე, რომლის არსებობის მტკიცების ტვირთიც თავად გამყიდველს აკისრია.<sup>577</sup>

ამრიგად, შესრულებისათვის აუცილებელი საქონლის მოპოვებაზე რისკის ერთ-ერთ კონტრაპენტზე დაკისრების შესაძლებლობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ფარგლებში უმთავრესად სასამართლო პრაქტიკამ აღიარა.<sup>578</sup>

ფორმაჟორულ დათქმასთან მიმართებით აუცილებლად უნდა დადგინდეს, იგი მხოლოდ განსაზღვრული რისკისაგან მხარის განთავისუფლებას ადგენს, თუ ზღუდავს მოვალის პასუხისმგებლობას.<sup>579</sup>

უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 7.1.6-ე მუხლი შეეხება პასუხისმგებლობის გამომრიცხველ სახელშეკრულებო დებულებებს<sup>580</sup>, ხოლო ევროპული პრინციპების 8:109-ე მუხლი ეთმობა ისეთ საკონტრაქტო პირობებს, რომლებიც ზღუდავენ ან გამორიცხავენ სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენებას.<sup>581</sup> ევროპული პრინციპების 8:109-ე მუხლი, არაერთი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის მსგავსად, დაუშვებლად აცხადებს წინასწარი სახელშეკრულებო შეთანხმებით პასუხისმგებლობის გამორიცხავს ვალდებულების განზრახი დარღვევისათვის.<sup>582</sup>

სასამართლოები აღჭურვილი არიან ფართო დისკრეციული უფლება-მოსილებით, რომლის ძალითაც პირობები, სამართლებრივი დაცვის საშუალებების შეზღუდვის ან გამორიცხვის შესახებ, არ გამოიყენება თუ ისინი თავისი არსით მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპებს და არღვევს სახელშეკრულების განზრახი დარღვევისათვის.

<sup>576</sup> Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1076.

<sup>577</sup> იქვე, 149.

<sup>578</sup> Swiss Federal Tribunal, 05.04.2005, 5.I, 4C.474/2004, CISG-online No. 1012; BGH 12.01.1994, VIII ZR 165/92; BGHZ 49, 388 (1968).

<sup>579</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 156.

<sup>580</sup> Exemption Clauses.

<sup>581</sup> Clause Limiting or Excluding Remedies.

<sup>582</sup> გე-ის (German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005) §276 (3), Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 388-390.

ლებო წონასწორობას.<sup>583</sup> ამრიგად, არ აქვს იურიდიული ძალა სამართლებრივი დაცვის საშუალების გამორიცხვის ან შეზღუდვის შესახებ სახელშეკრულებო პირობას, რომელიც თავისი არსით უსამართლოა და მნიშვნელოვნად არღვევს მხარეთა ინტერესების ბალანსს.

განსაკუთრებით საყურადღებოა სახელშეკრულებო დათქმებით მხარისათვის სახელშეკრულებო რისკის დაკისრება არა კონკრეტული გარემოებისა და მისი განსაზღვრული შედეგების აღმოცენებისათვის, არამედ მოვალის ზოგადი პასუხისმგებლობის განმტკიცება ვალდებულების შესრულებაზე ყოველგვარი შეცვლილი გარემოების გამოვლენის მიუხედავად. მსგავს შეთანხმებას არ შეიძლება მხოჭავი ძალა ჰქონდეს, რადგან კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპების თვალსაზრისით, მან შეიძლება გამოიწვიოს გაუმართლებლად მძიმე შედეგები პასუხისმგებელი მხარისათვის. ამრიგად, სახელშეკრულებო შეთანხმებით შეცვლილი გარემოებების აღმოცენების რისკის გადაკისრება მხარეზე შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ კონკრეტული გარემოების და მისი განსაზღვრული მასშტაბით წარმოშობისათვის, რადგან მოვალეზე ყოველგვარი შეცვლილი გარემოების გამოვლენისათვის პასუხისმგებლობის დაწესება, როდესაც უცნობია მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების მოცულობა და მასშტაბი, გაუმართლებელი იქნებოდა სამართლიანობის, სამართლებრივი განსაზღვრულობისა და სახელშეკრულებო წონასწორობის პრინციპების თვალსაზრისით. ამიტომაც, იურიდიულ დოქტრინაში სახელშეკრულებო დათქმებით რისკისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის გადანაწილება აღიარებულია მხოლოდ კონკრეტული გარემოების და არა ზოგადად ნებისმიერი გაუთვალისწინებლობის აღმოცენების შემთხვევისათვის.<sup>584</sup> შესაბამისად, ფორსმაჟორულ დათქმებს სასამართლო ძალიან ვიწროდ განმარტავს და პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად ზუსტად იმ გარემოების აღმოცენებას უთითებს, რაც მხარეთა შეთანხმებით იყო დადგენილი და არ უშვებს გარემოების განზოგადების და ანალოგიით გამოყენების შესაძლებლობას.<sup>585</sup>

მნიშვნელოვანია, რომ მხარეზე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი არ იმოქმედებს, თუ შეცვლილი გარემოება უმთავრესად იმ მხარის ბრალით არის გამოწვეული, ვის სასარგებლოდაც ზემოაღნიშნული დათქმის განმტკიცება მოხდა.<sup>586</sup>

თუ ვალდებულების შესრულების უკიდურესი გართულება გამოიწვია არა თვით შეცვლილი გარემოებების აღმოცენებამ, არამედ მათ ხშირმა ინტენსივობამ, მაშინ მხარეს შეუძლია, კანონით დადგენილი შესაბამისი წინა-

<sup>583</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 388-390; Comment No. 5 on art. 7.1.6 UPICC.

<sup>584</sup> Böckstiegel K.H., Hardship, Force Majeure and Special Risks Clauses in International Contracts, 1985, 160 წიგნში: Horn N. (ed.), Adaptation and Renegotiation of Contracts in International Trade and Finance, Deventer/The Netherlands, Kluwer Law and Taxation Publishers, 1985.

<sup>585</sup> Kel Kim Corp. v. Central Mkts., Inc., 519 N.E.2d 295, 296 (N.Y. 1987), მოთითებულია: Hillman R.A., Principles of Contract Law, 2<sup>nd</sup> ed., The Concise Hornbook Series, West, 2009, 317.

<sup>586</sup> Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 206.

პირობების დაცვით, თავისუფლად მიმართოს შესრულების გართულებისათვის გათვალისწინებულ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, რადგან, როგორც აღინიშნა, მხარეთა შეთანხმებით სახელშეკრულებო რისკის გადანაწილება შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული მოვლენის აღმოცენებასა და მისი შედეგების განსაზღვრულ მოცულობაზე გავრცელდეს.<sup>587</sup>

#### **2.5.4. შეცვლილი გარემოებების მომწესრიგებელი ნორმების იმპერატიული თუ დისპოზიციური სამართლებრივი ბუნება?**

შეცვლილი გარემოებების მომწესრიგებელ ნორმებს კონტინენტური ეპროპის ქვეყნების სამართლებრივ სისტემაში იმპერატიული ძალა აქვთ. ისტორიულად შეცვლილი გარემოებების ინსტიტუტის სამართლებრივ სივრცეში დამკვიდრება სახელშეკრულებო სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფის პრინციპებით იყო მოტივირებული. შესაბამისად, მათი იმპერატიული მოქმედება ზემოსესნებული ფუნდამენტური პრინციპების დაცვისა და განხორციელების გარანტიებს ქმნის. ასე მაგალითად, გსკ-ის შეცვლილი გარემოებების მომწესრიგებელი 313-ე პარაგრაფი იმპერატიულ ნორმად არის აღიარებული, რამეთუ იგი კეთილსინდისიერების პრინციპის გამომხატველია.<sup>588</sup> იგივე შეიძლება ითქვას ნსკ-ის 6:258-ე მუხლზე, რომლის იმპერატიული ბუნება კრძალავს მისი მოქმედების გამორიცხვას სახელშეკრულებო შეთანხმებით.<sup>589</sup> მსგავსი კონცეფტუალური მიდგომა არსებობს ანგლოამერიკულ სამართლებრივ სისტემაშიც. მაგალითად, აესკ-ის 2:615-ე მუხლიც განამტკიცებს კომერციული განუხორციელებლობისა და მიზნის ამაოების დოქტრინათა მოქმედების ურთიერთშეთანხმებით გამორიცხვის აკრძალვას.

DCFR-ის ოფიციალური კომენტარის თანახმად, მხარეებს ხელშეკრულების თავისუფლებისა და ნების ავტონომიის პრინციპის<sup>590</sup> ძალით მინიჭებული აქვთ უფლება ურთიერთშეთანხმებით გამორიცხონ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების კანონით დადგენილი წესის<sup>591</sup> გამოყენება<sup>592</sup> და თავად განსაზღვრონ სახელშეკრულებო პასუხისმგებლო-

<sup>587</sup> Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 205-206.

<sup>588</sup> Rösler H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law, Kluwer Law International BV/Printed in Netherlands, European Review of Private Law, Vol. 15, No. 4, 2007, 490, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1154004](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1154004)>, [30.06.2014].

<sup>589</sup> Hondius E.H., Grigoleit H. Ch., Unexpected Circumstances in European Contract Law, Cambridge University Press, New York, 2011, 73-74.

<sup>590</sup> ob. DCFR-ის 1:102-ე მუხლი.

<sup>591</sup> ob. DCFR-ის III.- 1:110-ე მუხლი.

<sup>592</sup> Bar Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Vaneziano A., Zoll F. (eds.), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference, Study Group on a European Civil Code and Research Group on EC Private Law (Acquis Group), Sellier, European Law Publishers GmbH, Munich, 2009, 59, <[http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law_en.pdf)>, [30.06.2014].

ბის წესი შეცვლილი გარემოებების აღმოცენების შემთხვევისათვის. *DCFR*-ის კომენტარის თანახმად, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპზე დასაშვებია მხოლოდ მინიმალური ზემოქმედება, ისიც მხოლოდ სუსტი მხარის უფლებების განხორციელებისთვის. ცალკეული სახელშეკრულებო ნორმისათვის იმპერატიული ძალის მინიჭებისას უნდა შეფასდეს ხომ არ იქნება სამართლიანობის მოქნილი პრინციპი საკმარისი მხარეთა ინტერესების უზრუნველსაყოფად, რამეთუ სამართლიანობის ტესტი მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლებისა და ნების ავტონომიის სფეროში ნაკლებ ჩარევას გულისხმობს. ამასთან, უსამართლო სახელშეკრულებო პირობას მბოჭავი ძალა არ აქვს.<sup>593</sup>

მართალია, ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებისათვის სამართლიანობის წინაპირობის დაწესებით არსობრივად იდენტური შედეგი მიიღება, რაც შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების უფლების გამორიცხვის იმპერატიული ნორმის საფუძველზე აკრძალვით, მაგრამ ამ უკანასკნელი მეთოდის უპირატესობაზე მეტყველებს შემდეგი: *DCFR*-ის II.-3:301-ე მუხლი<sup>594</sup>, რომელიც დაუშვებლად აცხადებს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით გამოირიცხოს მათი ვალდებულება, სახელშეკრულებო მოლაპარაკებები აწარმოონ კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპთა შესაბამისად. ვინაიდან შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების უფლებაც კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპებით არის მოტივირებული, კეთილსინდისიერების პრინციპის შეზღუდვის ამკრძალავი იმპერატიული ნორმების საფუძველზე ბათილად უნდა იქნეს აღიარებული შესრულების გართულების პირობებში გამოსაყენებელი სამართლებრივი დაცვის საშუალებების შეზღუდვა სახელშეკრულებო შეთანხმებით.

ამრიგად, დაუშვებელია კონტრაქტენტებს მიენიჭოთ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ნორმების უგულებელყოფისა და ყოველგვარი მოულოდნელი სახელშეკრულებო ცვლილებისათვის პასუხისმგებლობის ერთ მხარეზე გადაკისრების უფლება, რამეთუ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის გადანაცვლება დასაშვებია მხოლოდ კონკრეტული გარემოების ცვლილების, მისი განსაზღვრული მასშტაბისა და მოცულობის შედეგებისათვის. შეცვლილი გარემოებების მომწესრიგებელი ნორმებისათვის იმპერატიული ძალის მინიჭება უზრუნველყოფს, რომ მხარეს შეეზღუდოს უფლება, წინასწარი შეთანხმებით გამორიცხოს სახელშეკრულებო სამართლიანობის, ხელშეკრულების გადარჩენის, სახელშეკრულებო

<sup>593</sup> *Bar Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Vaneziano A., Zoll F. (eds.), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference, Study Group on a European Civil Code and Research Group on EC Private Law (Acquis Group), Sellier, European Law Publishers GmbH, Munich, 2009, 53-54, <http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law\_en.pdf>, [30.06.2014].*

<sup>594</sup> *Bar Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Vaneziano A., Zoll F. (eds.), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference, Study Group on a European Civil Code and Research Group on EC Private Law (Acquis Group), Sellier, European Law Publishers GmbH, Munich, 2009, 271, <http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law\_en.pdf>, [01.07.2014].*

წონასწორობის აღდგენის და მხარეთა საუკეთესო ინტერესების სამართლებრივი დაცვის საშუალება – მოლაპარაკების სავალდებულობა და ხელშეკრულების ადაპტაცია. მით უმეტეს, დაუშვებლად უნდა იყოს ცნობილი წინასწარი შეთანხმებით ხელშეკრულების ადაპტაციის გამორიცხვა, რამეთუ მხარეთაოვის წინასწარ გაუთვალისწინებელია შეცვლილი გარემოებების გავლენით ვალდებულების გართულების მასშტაბი და სარისხი. ასეთი დათქმა არაპროგნოზირებადი შედეგების დადგომის რისკს შექმნიდა და მხარეს გამოაცლიდა ხელშეკრულების ადაპტაციის მექანიზმს უკიდურესად გართულებული ვალდებულების პირობებში.

ნების ავტონომია და სახელშეკრულებო შეთანხმების თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ გავრცელდეს სახელშეკრულებო რისკის გადანაწილების, პასუხისმგებლობის მასშტაბების, მოლაპარაკების წარმოების პროცედურის, თანამშრომლობის ვალდებულების შინაარსის, შეტყობინების პროცედურის, ხელშეკრულების ადაპტაციის პირობების, კრიტერიუმების, პრინციპების, ადაპტაციის შეუძლებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების შეჩერების<sup>595</sup>/შეწყვეტის<sup>596</sup> საკითხებზე და გამოსაყენებელ მეორედი მოთხოვნის უფლებებზე. მაგრამ იმპერატიული ძალა უნდა მიენიჭოს მოლაპარაკების სავალდებულობას, მისადაგების უპირატესობას (შეწყვეტასთან შედარებით) და მათ ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობად დაწესებას.

შეცვლილი გარემოებების ღოქტრინის სახელშეკრულებო შეთანხმებით გამორიცხვა, მისი იმპერატიული მოქმედების არარსებობის შემთხვევაში, სწორედ იმ ფუძემდებლური პრინციპების – სამართლიანობის, ეკონომიკური სტაბილურობის, სიკეთეთა სამართლიანი გაცვლის, ხელშეკრულების უზენაესობის და კეთილსინდისიერების შეზღუდვას იწვევს, რომელსაც აღნიშნული დოქტრინა თავად ემყარება.

შესაბამისად, მიზანშეწონილია შეცვლილი გარემოებების საკითხის მომწესრიგებელი სსკ-ის დებულებები იმპერატიულ ნორმებად განიმარტოს ან განმტკიცდეს სამოქალაქო კოდექსში.

## 2.5. ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი რისკის განმარტება

სახელშეკრულებო რისკის ფარგლები შესაძლებელია შეთანხმებაში პირდაპირ განისაზღვრებოდეს ან ნაგულისხმევად დგინდებოდეს ობიექტური განმარტების გზით.

ნაგულისხმევი რისკის განმარტების თვალსაზრისით, საინტერესოა ლიტერის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, რომლის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, კომპანიის წილების შემსყიდველმა მოვალემ სახელშეკრულებო ფასის 20%-ის გადახდის შემდგომ უარი განაცხადა

<sup>595</sup> Konarski H., Force Majeure and Hardship Clauses in International Contractual Practice, Int'l Bus. L. J., Vol. 4, 2003, 405-407; Al-Emadi T.A., The Hardship and Force Majeure Clauses in International Petroleum Joint Venture Agreements, oxford Student Legal Research Paper Series, #02/2011, July 2011, 4, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1878558](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1878558)>.

<sup>596</sup> Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 14.

სრული თანხის ანგარიშსწორებაზე იმ საფუძვლით, რომ კომპანია გადახდისუნარო გახდა წილების ფასის მნიშვნელოვანი შემცირების მიზეზით. სასამართლომ არ გაიზიარა მხარის არგუმენტები და განმარტა, რომ ხელშეკრულების საგანი – კომპანიის წილები ფასთა ცვალებადობის მაღალი რისკით ხასიათდებოდა, რაც ხაგულისხმევად მყიდველს აკისრებდა მათი ღირებულების გაუფასურების რისკს.<sup>597</sup>

გარკვეული სახელშეკრულებო გარემოებები შესაძლებელია მხარეს ხაგულისხმევად აკისრებდეს ვალდებულების შეუსრულებლობის რისკს. მაგალითად:

(ა) დაბრკოლების წინასწარ გათვალისწინების შესაძლებლობა შესაბამის მხარეს აკისრებს ვალდებულების შესრულების გართულების რისკს.<sup>598</sup>

(ბ) გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა ბუნებრივად გულისხმობს გარემოებათა ცვლილების ობიექტურ შესაძლებლობას, რაც მხარეებს აკისრებს შეცვლილი გარემოებების წინასწარ განსაზღვრის ვალდებულებასა და შესაბამისად, ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკს. გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობის ერთ-ერთი თავისებურება გულისხმობს, რომ მხარეები უმთავრესად შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მიზანს ისახავენ, ვიდრე ხელშეკრულების შეწყვეტას ან ყველა შესაძლო ცვლილების წინასწარ გათვალისწინების განუხორციელებელ ამოცანას.<sup>599</sup>

(გ) ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების ხასიათი. შესაძლებელია, მოვალის პასუხისმგებლობის სფეროში იმთავითვე მოიაზრებოდეს ვალდებულების შეუსრულებლობის რისკის არსებობა. მაგალითად, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს შესრულებას გარკვეული ტექნოლოგიური მიღწევის საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია ვერ განხორციელდეს.

(დ) კრედიტორის რისკი, გამოიყენოს მიღებული შესრულება ხელშეკრულების დადების ეტაპზე გამიზნული სახით. მაგალითად, მყიდველი შესრულების მიღებაზე ვერ განაცხადებს უარს იმ საფუძვლით, რომ შეუძლებელი გახდა ხელშეკრულების საგნის გამოყენება გარიგების დადების ეტაპზე გათვალისწინებული ფორმით. რისკის ამგვარი გადანაწილება შეიძლება შეიცვალოს თუ მიღებული შესრულების კონკრეტული სახით გამოყენება მხარეებმა საერთო მიზნად განსაზღვრეს. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად მიზნის ამაღება შეიძლება იქნეს გამოყენებული.

<sup>597</sup> *G.Brencius v. Ukiu investicine grupe*, Supreme Court of Lithuania, 19.05.2003, n.3K-3-612, <<http://www.unilex.info/case.cfm?pid=2&do=case&id=1183&step=Abstract>>.

ხაგულისხმევი რისკის შესახებ მსგავსი არგუმენტაციის გადაწყვეტილება იხილეთ: *Centro de Arbitraje de México (CAM)*, 30.11.2006, <[www.unilex.info/case.cfm?pid=2&do=case&id=1149&step=Abstract](http://www.unilex.info/case.cfm?pid=2&do=case&id=1149&step=Abstract)>, [30.06.2014].

<sup>598</sup> *Schwenzer I., Hachem P., Kee Ch.*, Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012, 672.

<sup>599</sup> *Draetta U., Lake R. B., Nanda V.P.*, Breach and Adaptation of International Contracts, An Introduction to the Lex Mercatoria, Butterworth Legal Publishers, 1992, 171.

(ე) ვალდებულების შესრულებლობის რისკი, როდესაც მაგალითად, მყიდველს ეკისრება შესრულებისათვის აუცილებელი ტექნიკური მასალების მიწოდების ვალდებულება. თუ მყიდველის მხრიდან შესრულებისათვის აუცილებელი საშუალებების მიწოდების ვალდებულების განხორციელება ობიექტურად შეუძლებელი გახდება, მაშინ გამყიდველი განთავისუფლდება სანაცვლო ვალდებულებისგან, რამდენადაც შესრულებისათვის აუცილებელი ქმედების განხორციელება – მასალების მიწოდება, მყიდველის კონტროლის სფეროში მოიაზრება. თუ დამტკიცდება, რომ გამყიდველსაც მიუძღვის ბრალი მყიდველის ვალდებულების შესრულებლობაში, მაშინ შესაბამისი პროპორციით პასუხისმგებლობას ორივე მხარე გაიზიარება.

(ვ) საქონლის ტრანსპორტირების ხარჯების გაუთვალისწინებელი ზრდა. ვალდებულების შესრულებამდე ტრანსპორტირების ხარჯები მყიდველის რისკის სფეროში მოიაზრება. მათი გაუთვალისწინებელი ზრდისას შესრულების ფასი განისაზღვრება მიწოდების მომენტში არსებული ტარიფით.<sup>600</sup>

## 2.5.6. არაბრალეული შესრულების შეუძლებლობის რისკის პრობლემა

არაბრალეული შესრულების შეუძლებლობის რისკის პრობლემა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის. ამ თვალსაზრისით უნდა დადგინდეს, თუ რა დატვირთვას იქნება საქონლის შემთხვევითი დაღუპვისა და განადგურების რისკი სახელშეკრულებო პასუხისმგებლობასთან მიმართებით.

როგორც აღინიშნა, კრედიტორის განკარგულების სფეროში საქონლის გადასვლამდე მისი შემთხვევითი დაღუპვისა და განადგურების რისკი მოვალის მხარესაა. ევროპული პრინციპების 7:112-ე მუხლის თანახმად, შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები ეკისრება ვალდებულების შემსრულებელ მხარეს. „შესრულების საგნის ტრანსპორტირება, ფულადი თანხის გადარიცხვა, რისკის დაზღვევა მოვალის ვალდებულებათა სფეროს განეკუთვნება“<sup>601</sup>. თუ ტრანსპორტირების პროცესში შემთხვევით დაიღუპება გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი, მაშინ მოვალე პასუხისმგებელი იქნება კრედიტორის წინაშე განადგურებული საქონლის ეკვივალენტური ღირებულების გვაროვნული ნივთით შეცვლაზე. მოვალის მიერ განადგურებული საქონლის ახლით ჩანაცვლება ხორციელდება ისევ ვალდებულების შესრულების ფარგლებში და სახელშეკრულებო ურთიერთობა მეორადი მოთხოვნის უფლებების სამართლებრივ რეჟიმში არ ტრანსფორმირდება. თუ მოვალის რისკით დაიღუპა ინდივიდუალური ნივთი, მაშინ წარმოიშობა ვალდებულების არაბრალეული დარღვევა შესრულების შეუძლებლობის სა-

<sup>600</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 126.

<sup>601</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 357.

ხით. დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება გამორიცხულია,<sup>602</sup> რადგან შესრულების საგანი ობიექტურად ადარ არსებობს.<sup>603</sup> კრედიტორი უფლებამოსილია, მიმართოს ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლებას,<sup>604</sup> რის საფუძველზეც მას უბრუნდება განხორციელებული შესრულება ნივთის გადაცემული საფასურის სახით. კრედიტორის მიმართ დამდგარი ზიანი ანაზღაურებას არ დაექვემდებარება, ვინაიდან არ იარსებებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემდეგი აუცილებელი წინაპირობები: მიზეზობრივი კავშირი მოვალის ქმედებასა და ზიანს შორის (შემთხვევითობამ განაპირობა ნივთის დაღუპვა) და მოვალის ბრალი ნივთის განადგურებაში.

ამრიგად, თუ შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის შედეგად კრედიტორმა განიცადა ზიანი, მაშინ მოვალე თავისუფლდება როგორც შესრულების ვალდებულებისაგან, ისე ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან.

ამდენად, შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის დროს წარმოშობილი ზიანის რისკი კრედიტორს ეკისრება. არაბრალეული მოვალის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან განთავისუფლებისას ზიანის უარყოფითი შედეგები ასევე არაბრალეული კრედიტორის მიმართ დგება, რაც, კმთილსინდისიერების პრინციპის თვალსაზრისით, გაუმართლებელია. მართალია, ხელშეკრულების მონაწილეებმა შეიძლება გაითვალისწინონ შესრულების შეუძლებლობის წარმოშობის რისკის კანონისგან განსხვავებული გადანაწილება, მაგრამ სამართლიანობის პოზიციიდან გამართლებული იქნებოდა, შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის შედეგად წარმოშობილი ზიანი საკანონმდებლო დონეზე თანაბრად განაწილებულიყო კრედიტორზეც და მოვალეზეც, როგორც ხელშეკრულების ორ თანაბრად არაბრალეულ მხარეზე. ამით შესაძლებელი იქნებოდა გართულებული სამოქალაქო ბრუნვის პირობებში ხელშეკრულების მონაწილეების ინტერესთა ბალანსის უზრუნველყოფა.

#### **2.5.7. შემსვედრი ვალდებულების შესრულების რისკი და მისი სამართლებრივი შედეგები**

„ვალდებულების შეუსრულებლობის სახელშეკრულებო რისკს (Leistungsgefahr) უპირისპირდება შემსვედრი ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი (Preisgefahr). სანაცვლო ვალდებულების შესრულების რისკის განსაზღვრისთვის უნდა დადგინდეს, თუ რამდენად ინარჩუნებს მოვალე შემ

<sup>602</sup> Pizer L.K., Smith M.R. (eds. in Chief), Southerington T., Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 2002-2003, Kluwer Law International, The Hague, London, New York, 2004, 263.

<sup>603</sup> იხ. სსკ-ის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გამოცემა, „უწყებანი“, საკანონმდებლო დამატება, №31, 1997) 405-ე II (ა) მუხლი.

<sup>604</sup> იხ. იქვე, 352-ე I მუხლი. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის განჩინება საქმეზე: №ას-8-5-2011.

ხედრი შესრულების მოთხოვნის უფლებას, მაშინ, როდესაც იგი განთავისუფლებულია ნატურით შესრულების პირველადი ვალდებულებისაგან.“<sup>605</sup>

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის პირობებში შესრულების ვალდებულებისაგან მოვალის განთავისუფლება იმავდროულად გამორიცხავს არაბრალეული კრედიტორის მიერ სანაცვლო შესრულების განხორციელების ვალდებულებას. ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენლები მხარეთა ურთიერთსანაცვლო შესრულების მოვალეობებს განიხილავნენ ურთიერთდამოკიდებულად. შესაბამისად, ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა განაპირობებდა მეორე მხარის განთავისუფლებას შემხვედრი შესრულებისგან.<sup>606</sup>

ორმხრივ ხელშეკრულებაში ვალდებულების დარღვევისას შემხვედრი ვალდებულების შესრულების საკითხს არეგულირებს სსკ-ის 406-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ ორმხრივ ხელშეკრულებაში მოვალეს უფლება აქვს, უარი თქვას მისთვის დაკისრებულ ვალდებულებაზე, ხოლო გარემოება, რომელიც მას აძლევს ამის უფლებას, გამოწვეულია კრედიტორის ბრალით, მაშინ იგი ინარჩუნებს საპასუხო შესრულების მიღების უფლებას. ამრიგად, ვალდებულების ბრალეული შეუსრულებლობა მხოლოდ კრედიტორს ათავისუფლებს შესრულების ვალდებულებისაგან, რომელიც ინარჩუნებს შემხვედრი დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლებას. ამის საპირისპიროდ კრედიტორის მიერ შესრულების მიღების დაყოვნება არ არის მოვალის შესრულების მოვალეობისაგან განთავისუფლების საფუძველი, ვინაიდან კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება, სსკ-ის მიხედვით, ვალდებულების დარღვევად არ განიხილება. „შესრულების მიღება-არმიღება კრედიტორის უფლებრივი სფეროა.“<sup>607</sup> ამასთან, მოვალე არ თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისგან იმ შემთხვევაში, თუ საპასუხო შესრულების საფუძველი კრედიტორის მიერ დაყოვნების პროცესში წარმოიშვა.<sup>608</sup>

თუ კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების დროს წარმოშობილი შესრულების შეუძლებლობის მიმართ მოვალე არაბრალეულია, მაშინ ვადის გადამცილებელ კრედიტორს ეკისრება სახელშეკრულებო ფასის გადახდის ვალდებულება, ხოლო სანაცვლოდ ის ვერ მიიღებს შესრულებას მოვალისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ სანაცვლო ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი ბრალეული კრედიტორის მხარესაა.

შემხვედრი ვალდებულების შესრულების საკითხს განსაზღვრავს გსკ-ის 326-ე I პარაგრაფი, რომლის თანახმად, შესრულების შეუძლებლობის საფუძვლით მოვალის პირველადი ვალდებულებისაგან განთავისუფლების შემ-

<sup>605</sup> Markesinis S. B., Unberath H., Johnston A., *The German Law of Contract – A Comparative Treatise*, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 409.

<sup>606</sup> ი. ც. Zimmermann R., *The Law of Obligations - Roman Foundations of the Civilian Tradition, Breach of Contract*, Chapter 25, Clarendon, Oxford University Press, 1996, 803.

<sup>607</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 448.

<sup>608</sup> ი. ც. სსკ-ის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გამოცემა, „უწყებანი“, საკანონმდებლო დამატება, №31, 1997) 406-ე II მუხლი.

თხვევაში, კრედიტორს ფასის გადახდის მოვალეობა აღარ დაეკისრება.<sup>609</sup> კრედიტორის შემხვედრი შესრულების ვალდებულებისაგან განთავისუფლებით რეალურად ხორციელდება ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლება.

ამრიგად, შესრულების შეუძლებლობის პირობებში, ორივე მხარე თავისუფლდება ურთიერთსანაცვლო ვალდებულებებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კრედიტორს ბრალი მიუძღვის შესრულების შეუძლებლობის გამომწვევი გარემოების წარმოშობაში ან შესრულების შეუძლებლობის საფუძველი – დამაბრკოლებელი გარემოება კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების პერიოდში წარმოიშვა.<sup>610</sup>

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია, სსკ-ში განმტკიცდეს ნორმა, რომელიც განსაზღვრავს შესრულების შეუძლებლობის სამართლებრივ შედეგს შემხვედრი ვალდებულების შესრულებასთან მიმართებით.

### 3. დაბრკოლების გათვალისწინების შეუძლებლობა ხელშეკრულების დადების დროს

ვენის კონვენციით ფორსმაჟორის (79-ე მუხლის) გამოყენების ერთ-ერთ სავალდებულო წინაპირობად დადგენილია შესრულების დამაბრკოლებელი გარემოების ხელშეკრულების დადების ეტაპზე გათვალისწინების შეუძლებლობა.<sup>611</sup> მხარე პასუხისმგებლად ცხადდება იმ დაბრკოლებისა და მისი შედეგებისათვის, რომელთა აღმოცენების შესაძლებლობაც მისთვის გონივრულად მოსალოდნელი იყო.<sup>612</sup> თუ ხელშეკრულების დადების დროს მხარეს წინასწარ შეეძლო დაბრკოლების წარმოშობა ევარაუდა და მან აღნიშ-

<sup>609</sup> ანალოგიური მიდგომაა გაზიარებული ამერიკულ სამართალში, სადაც ვალდებულების შეუსრულებლობა სინალაგმატიკურ ხელშეკრულებებში აქარწყლებს მეორე მხარის შემხვედრი ვალდებულების შესრულების ვადამოსულობას, იხ. *Burton S.J., Contract Law: Selected Source Materials, Restatement of Law, West Publishing Co., St. Paul, Minn., 1995, 228.*

<sup>610</sup> იხ. გსკ-ის (German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005) §326 II.

<sup>611</sup> *Southerington T. წიგნზო: Maggi M., Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG), 2002-2003, Kluwer Law International, Netherlands, 2004, 277; Wright C., Force Majeure Clauses and the Insurability of Force Majeure Risks, The Construction Lawyer, Vol. 23, 2003, 17, <http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/conlaw23&div=46&g\_sent=1&collection=journals>, [06.06.2014]; Horn N., Standard Clauses on Contract Adaptation in International Commerce, 1985, 134, წიგნზო: Horn N. (ed.), Adaptation and Renegotiation of Contracts in International Trade and Finance, Deventer/The Netherlands, Kluwer Law and Taxation Publishers, 1985; Draetta U., Lake R.B., Nanda V.P., Breach and Adaptation on International Contracts, An Introduction to Lex Mercatoria, Butterworth Legal Publishers, 1992, 195.*

<sup>612</sup> *Kofod R., Hardship in International Sales CISG and the UNIDROIT Principles, University of Copenhagen-Faculty of Law, Pace Law School Institute of International Commercial Law, 2011, <http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/kofod.html>, [06.06.2014]; Huber P., Mullis A., The CISG A New Textbook for Students and Practitioners, Selliers, European Law Publishers, 2007, 192; Tallon D., Section IV. Exemptions, 572-596, in Commentary on the International Sales Law, The 1980 Vienna Sales Convention, Bianca M. & Bonell M.J, GiuffrèMilan, Milan, 1987.*

ნულის მხედველობაში მიღებით არ მიიღო შესაბამისი ზომები,<sup>613</sup> მაშინ მასვე ეკისრება აღნიშნული გარემოების დადგომის რისკიც.<sup>614</sup> ზემოხსენებული წინაპირობა მნიშვნელოვნად უკავშირდება მოვალის „გაუფრთხილებლობის“, „დაუდევრობის“ საკითხებს.<sup>615</sup> ამ შემთხვევაში მოვალის ბრალი გარემოების გაუთვალისწინებლობით ან მისი შედეგების თავიდან აცილების განუხორციელებლობით ვლინდება.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ არა მხოლოდ დაბრკოლების, არამედ მისი წარმოშობის მომენტის გათვალისწინება არ უნდა იყოს მხარისათვის გონივრულად სავარაუდო. მაგალითად, თანამედროვე მსოფლიოში შტორმი, ემბარგო, ომი თეორიულად, ზოგადად შესაძლებელია სავარაუდო იყოს,<sup>616</sup> მაგრამ პასუხისმგებლობის გამორიცხვისთვის აუცილებელია, რომ დაბრკოლების წარმოშობის კონკრეტული დრო არ იყოს მოსალოდნელი.<sup>617</sup> ამასთან, პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია არა მოვალის მიერ დაბრკოლების გათვალისწინების სუბიექტური შესაძლებლობის, არამედ იმავე მდგომარეობაში მყოფი საშუალო შესაძლებლობების მქონე პირის უნარის გონივრული შეფასება ობიექტური თვალთახედვიდან.<sup>618</sup>

პროფესიონალს მისი ცოდნისა და გამოცდილების ფარგლებში მოეთხოვება მოვლენების პროგნოზირება. მაგალითად, სავაჭრო ურთიერთობების მონაწილეობის გონივრულად სავარაუდოა ნედლეულის ფასის ცვალებადობის მაღალი რისკის არსებობა. თუმცა, პასუხისმგებლობის დაკისრება არ შეიძლება სავაჭრო ჩვეულებებში გაუთვითცნობიერებელ მომხმარებელზე. თანამედროვე პირობებში ვალუტის კურსისა და საბაზო ფასების ცვლილების რისკი ძალიან მაღალი ხარისხით არსებობს განსაკუთრებით

<sup>613</sup> Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1068.

<sup>614</sup> Liu Ch., Newman M.S. (ed.) Remedies in International Sales, Perspectives from CISG, UNIDROIT Principles and PECL, JurisNet, LLC, Huntington, New York, 2007, 677; Bar Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Vaneziano A., Zoll F. (eds.), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference, Study Group on a European Civil Code and Research Group on EC Private Law (Acquis Group), Sellier, European Law Publishers GmbH, Munich, 2009, 740,

<[http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law_en.pdf)>, [06.06.2014].

<sup>615</sup> Firoozmand M.R., Changed Circumstances and Immutability of Contract: a Comparative Analysis of Force Majeure and Related Doctrines, Bus. L. Int'l, Vol. 8, No. 2, 2007, 164,

<[http://heinonline.org/HOL/Welcome?message=Please%20log%20in&url=%2FHOL%2FPrint%3Fhandle%3Dhein.journals%2Fblawintnl2007%26div%3D17%26collection%3Djournals%26set\\_as\\_cursor%3D1%26men\\_tab%3Dsrchresults](http://heinonline.org/HOL/Welcome?message=Please%20log%20in&url=%2FHOL%2FPrint%3Fhandle%3Dhein.journals%2Fblawintnl2007%26div%3D17%26collection%3Djournals%26set_as_cursor%3D1%26men_tab%3Dsrchresults)>, [06.06.2014].

<sup>616</sup> Secretariat Commentary, Guide to CISG article 79, 2006,

<<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/text/secomm/secomm-79.html>>, [06.06.2014]; Perillo J., Force Majeure and Hardship under the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, Contratación internacional. Comentarios a los Principios sobre los Contratos Comerciales Internacionales del Unidroit, Universidad Nacional Autónoma de México - Universidad Panamericana, 1998, 121,

<<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/perillo3.html>>, [06.06.2014].

<sup>617</sup> Jones R., Moens G., International Trade Business Law Review, Vol. 10, 2006, 306.

<sup>618</sup> Honnold J., Impediments Excusing Party From Damages ("Force Majeure"), Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, 3<sup>rd</sup> ed., Kluwer Law International, The Hague, 1999, 472-495, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/ho79.html>>, [06.06.2014].

გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში. თუმცა იგივე წესი ვერ გავრცელდება მოულოდნელ და მკვეთრ ცვლილებებზე.<sup>619</sup>

ფორსმაჟორული გარემოების გათვალისწინების შეუძლებლობა მოვალის ბრალეულობის გამომრიცხავ კრიტერიუმად არის მიჩნეული ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც.<sup>620</sup>

ევროპულ პრინციპებთან და უნიფორუას სახელშეკრულებო პრინციპებთან შედარებით, რომლებიც მხოლოდ შეცვლილი გარემოების წარმოშობის გათვალისწინების შეუძლებლობის კრიტერიუმს იცნობენ, *DCFR* მოთხოვნად აწესებს მოვლენების მასშტაბურობის, მოცულობისა და ინტენსივობის გონიერულად გათვალისწინების შეუძლებლობას.<sup>621</sup>

იურიდიულ დოქტრინასა და პრაქტიკაში მიჩნეულია, რომ შესრულების გართულების თვალსაზრისით შესაძლებელია სავარაუდო იყოს შემდეგი მოვლენები: პროდუქციის ფასის მკვეთრი ცვლილებები ბაზარზე,<sup>622</sup> არასასურველი ეკონომიკური ძვრები, სავალუტო კურსის მკვეთრი ცვლილებები, უცხოურ ვალუტაში გადახდის აკრძალვა ცენტრალური ბანკის მიერ ხელშეკრულების დადგების შემდეგ, საომარი მოქმედებები ისტორიულად დაპირისპირებულ ქვეყნებს შორის.<sup>623</sup>

აღნიშნული კრიტერიუმის ზუსტი განსაზღვრა და მტკიცება მხარის მიერ ძალიან რთულია<sup>624</sup> და, უმრავლეს შემთხვევაში, დამოკიდებულია იმაზე სასამართლო მოვლენის დამოუკიდებელ, განკერძოებულ შეფასებას მოახდენს თუ – მისი შედეგების ანალიზს.<sup>625</sup>

<sup>619</sup> *Bar Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Vaneziano A., Zoll F.(eds.), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference, Study Group on a European Civil Code and Research Group on EC Private Law (Acquis Group), Sellier, European Law Publishers GmbH, Munich, 2009, 740,*

<[http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law_en.pdf)>, [06.06.2014].

<sup>620</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის განხინება საქმეზე: №ას-7-6-2010.

<sup>621</sup> იბ. *DCFR*-ის III.-1:110(2)(b) მუხლი.

<sup>622</sup> *Lookofsky J., The 1980 United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, Herbots J. (ed.), Blanpain R. (gen. eds.), International Encyclopedia of Laws - Contracts, Suppl. 29, 2000, 162*, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lookofsky.html>>; *Schwenzer I., Force Majeure and Hardship in International Sales Contracts, VUWLR, Vol. 39, 2008, 716*,

<<http://www.austlii.edu.au/nz/journals/VUWLAWRw/2008/39.pdf>>, [01.07.2014];

<sup>623</sup> *Fucci R.F., Hardship and Changed Circumstances as Grounds for Adjustment or Non-Performance of Contracts, Practical Considerations in International Infrastructure Investment and Finance, Thelen Reid & Priest LLP, American Bar Association Section of International Law, 2006*,

<<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/fucci.html>>, [01.07.2014].

<sup>624</sup> Secretariat Commentary on Art. 65 of the 1978 Draft [draft Counterpart of the CISG, art.79], Comment 5, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/text/secomm/secomm-79.html>>, მთითებულია: *Liu Ch., Newman M.S. (ed.) Remedies in International Sales, Perspectives from CISG, UNIDROIT Principles and PECL, JurisNet, LLC, Huntington, New York, 2007, 679*.

<sup>625</sup> *Wright C., Force Majeure Clauses and the Insurability of Force Majeure Risks, The Construction Lawyer, Vol. 23, 2003, 19*,

<[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/conlaw23&div=46&g\\_sent=1&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/conlaw23&div=46&g_sent=1&collection=journals)>, [01.07.2014].

მხარის კონტროლის სფეროს მიღმა არსებული დაბრკოლებისა და წინასწარ გათვალისწინების ვალდებულების შესახებ საინტერესოა მაასტრიპტის სასამართლოს გადაწყვეტილება:<sup>626</sup> საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, საქონლის მიწოდებაზე პასუხისმგებელი მხარე ასაბუთებდა, რომ კლიმატური პირობების მკვეთრი გაუარესების მიზეზით, რომელიც ძალიან იშვიათად შეიძლება წარმოიშვას, მოსავლის დიდი ნაწილი განადგურდა. მოვალის მტკიცებით, აღნიშნული დაბრკოლება მისი კონტროლის სფეროს მიღმა წარმოიშვა და მას გონივრულად არ შეეძლო ასეთი ცვლილება ხელშეკრულების დადების ეტაპზე ევარაუდა.

მყიდველი ასაბუთებდა, რომ ამინდის გაუარესებისა და მისი უარყოფითი შედეგების რისკი, როგორც წესი, მოვალეს აკისრია. ამასთან, მისი მტკიცებით, გარემო პირობების გაუარესება არ იყო იმდენად მკვეთრი, რომ ზეგავლენა მოეხდინა მოვალის მხრიდან შესრულების მოვალეობაზე, რადგან მყიდველის უმრავლესმა კონტრაქტორებმა შეძლეს მისთვის შეთანხმებული ოდენობის მიწოდება. მყიდველის მტკიცებით, მოვალეს შეეძლო შეუსრულებლობის რისკი თავიდან აეცილებინა იმით, რომ წინასწარ არ დაედო ხელშეკრულება პომიდვრის მთელ მოსალოდნელ მოსავალზე და მოეხდინა ნაწილის რეზერვირება შეცვლილი გარემოებების აღმოცენების პირობებში ვალდებულების შესრულების გართულების შემთხვევაში. ამასთან, პომიდვრის ბაზარზე კვლავ ხელმისაწვდომობის გამო მყიდველს შეეძლო ხელშეკრულების საგნის სხვა მომწოდებლისგან შესყიდვა.

მყიდველმა წარმოადგინა მტკიცებულება, რომ 2006 წელს კლიმატური პირობების გაუარესების მიზეზით გაცილებით ნაკლები ოდენობის მოსავლის არსებობა დადასტურდა სახელმწიფოში. პომიდვრის ფასის სამმაგიზრდა კლიმატური პირობების მნიშვნელოვან გაუარესებაზე მიუთითებდა. საკითხზე, შეეძლო თუ არა გამყიდველს მიწოდების სხვა წყაროდან შეესყიდა საქონელი და უზრუნველეყო შესრულება და ამდენად განეხორციელებინა მისი კონტროლის სფეროში მოაზრებული დაბრკოლების დაძლევა, სასამართლომ განმარტა, რომ მყიდველს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ ხელშეკრულებას აფორმებდა ფერმერთან და არა გადამყიდველ მოვაჭრესთან. ამასთან, ხელშეკრულების საგანი სასამართლომ გამყიდველის მიერ ინდივიდუალურად მოყვანილი პომიდვრით შემოფარგლა. ამასთან, მყიდველთან მიმართებით სასამართლომ განმარტა, რომ მას შეეძლო კრედიტორის მოსალოდნელი რისკის კონტროლი განეხორციელებინა მოსავლის ეტაპობრივი ინსპექტირებით.

სასამართლოს მტკიცებით, საზოგადოდ აღიარებულია, რომ ამინდისა და კლიმატის პროგნოზირების შეუძლებლობის გამო მოსავლის ოდენობა და შესაბამისად, მისი ფასი მნიშვნელოვნად არის გარემო პირობების გაუარესებაზე დამოკიდებული. შესაბამისად, გულისხმიერ ფერმერს მოეთხოვება კლიმატური პირობების გაუარესების გათვალისწინებითა და მოსალოდნელი შედეგების მხედველობაში მიღებით ჩაერთოს სახელშეკრულებო ურთიერ-

<sup>626</sup>District Court (Rechtbank) Maastricht, 9 July, 2008 [120428/HAZA 07-550],  
<<http://cisgw3.law.pace.edu/cases/080709n1.html#cx>>, [01.07.2014].

თობაში. დაბრკოლების გაუთვალისწინებლობის კრიტერიუმს ეხმიანება მყიდველის არგუმენტი, რომ გამყიდველს კლიმატური პირობების შესაძლო გაუარესების პროგნოზირებით ნასყიდობის ხელშეკრულების საგნად არ უნდა ექცია სავარაუდო მოსავლის სრული ოდენობა. გამყიდველს მხოლოდ მომავალი მოსავლის ნახევრის მიწოდება რომ ეკისრა, ის მძიმე კლიმატურ პირობებშიც კი უზრუნველყოფდა სახელშეკრულებო ვალდებულების განუხრელ შესრულებას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ გულისხმიერ ფერმერს მოეთხოვება კლიმატის გაუარესების გათვალისწინებით იმ მოცულობის სახელშეკრულებო ვალდებულება იკისროს, რომლის 90%-ით შესრულებას შეცვლილი გარემოების პირობებშიც კი გარანტირებულს გახდის. აღნიშნული გულისხმობს, რომ მოვალეს შეუძლია პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად კონტროლის მიღმა არსებული დაბრკოლება მიუთითოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსავლის ოდენობა იმაზე ნაკლები იქნებოდა, ვიდრე განვლილი წლების 90%-ის შემთხვევაში.

#### 4. დაბრკოლების თავიდან აცილების – დაძლევის ან მისი შედეგების აღმოფხვრის – შემცირების შეუძლებლობა

ევროპული პრინციპების თანახმად, პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველია რამდენიმე კუმულაციური პირობის თანადროული არსებობა: „დაუძლეველი, გადაულახავი დაბრკოლების“<sup>627</sup> აღმოცენება, რომელიც გამორიცხავს მისი მართვის, თავიდან აცილების<sup>628</sup>, უარყოფითი შედეგების აღმოფხვრის ან მათი შემცირების შესაძლებლობას<sup>629</sup> ჩვეულებრივი ადამიანის მიერ, რომელიც იჩენს გონივრულ წინდახედულებასა და ზრუნვას.<sup>630</sup> ვენის კონვენციის ოფიციალური კომენტარის თანახმად, მოვალეს პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების სხვა წინაპირობებთან ერთად ეკის-

<sup>627</sup> Busch D., Hondius E., *The Principles of European Contract Law and Dutch Law: A Commentary (Perspectives on Company Law S.)*, Kluwer Law International, 1<sup>st</sup> ed., August 27, 2002, 341; Liu Ch., *Remedies for Non-performance -Perspectives from CISG, UNIDROIT Principles and PECL*, 2003, 319, <[http://www.jus.uio.no/pace/remedies\\_for\\_non\\_performance\\_perspectives\\_from\\_cisg\\_upicc\\_and\\_pecl.cheng\\_wei\\_liu/portrait.pdf](http://www.jus.uio.no/pace/remedies_for_non_performance_perspectives_from_cisg_upicc_and_pecl.cheng_wei_liu/portrait.pdf)>, [01.07.2014]; Reimann M., Zimmermann R., *The Oxford Handbook of Comparative Law*, Oxford University Press, USA, 2008, 926.

<sup>628</sup> Osadare B., *Force Majeure and the Performance Excuse: A Review of the English Doctrine of Frustration and Article 2-615 of the Uniform Commercial Code.*, 2010, 6.

<sup>629</sup> Lando O., Beale H., *Principles of European Contract Law*, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 381; Krüger K., *Financial Force Majeure, The Extent of Efforts which the Seller must Take to Overcome Impediments for Performance in Contracts for the Sale of Goods under Scandinavian Law - Remarks on the Impact of CISG Art. 79*, Stockholm 1999, <[http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/kruger2.html#\\_Toc434290086](http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/kruger2.html#_Toc434290086)>, [01.07.2014]; Liu Ch., Newman M.S.(ed.), *Remedies in International Sales, Perspectives from CISG, UNIDROIT Principles and PECL*, JurisNet, LLC, Huntington, New York, 2007, 681-683.

<sup>630</sup> Firoozmand M.R., *Changed Circumstances and Immutability of Contract: a Comparative Analysis of Force Majeure and Related Doctrines*, Bus. L. Int'l, Vol. 8, No.2, 2007, 164, <[http://heinonline.org/HOL/Welcome?message=Please%20log%20in&url=%2FHOL%2FPrint%3Fhandle%3Dhein.journals%2Fblawintnl2007%26div%3D17%26collection%3Djournals%26set\\_as\\_cursor%3D1%26men\\_tab%3Dsrchresults](http://heinonline.org/HOL/Welcome?message=Please%20log%20in&url=%2FHOL%2FPrint%3Fhandle%3Dhein.journals%2Fblawintnl2007%26div%3D17%26collection%3Djournals%26set_as_cursor%3D1%26men_tab%3Dsrchresults)>, [01.07.2014].

რება ფორსმაჟორის ზემოაღნიშნული ერთ-ერთი კლასიკური წინაპირობის მტკიცების ტვირთი.<sup>631</sup> მხარეს მოეთხოვება ძალისხმევა მიმართოს ვალდებულების შესრულებისკენ და არ დაელოდოს იმ გარემოებების აღმოცენებას, რომელიც შემდგომ მისი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი გახდება.<sup>632</sup> ასევე, შესაძლებელია მხარეს მოეთხოვოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულების კომერციულად გონივრული და გამართლებული სამაგიერო შესრულების განხორციელება.<sup>633</sup> საპასუხოდ, უფლებამოსილ კონტრაქტებსაც ეკისრება ფორსმაჟორით დაზარალებულ მხარესთან თანამშრომლობისა და ყველა გონივრული საშუალებით მისი დახმარების ვალდებულება, რომ შეამციროს უარყოფითი შედეგების მოქმედება და შედეგები. აღნიშნული დახმარება შესაძლებელია გულისხმობდეს ასევე, მომსახურების ორგანიზებასა და გაწევას.<sup>634</sup>

მნიშვნელოვანია, რომ მოვალის მიერ დაბრკოლების დაძლევისათვის გამოყენებული ძალისხმევა უნდა შეესაბამებოდეს ვალდებულების შეუსრულებლობის რისკის ხარისხს, პროპორციული და თანაზომიერი უნდა იყოს დაბრკოლების სირთულისა. მხარეს უკიდურესად მმიმე ტვირთს არ უნდა აკისრებდეს დაბრკოლების დაძლევის ვალდებულება, რომელიც ისევ და ისევ გონივრულობის კრიტერიუმით არის შემოსაზღვრული.<sup>635</sup> მაგალითად, ტბის დაშრობა ობიექტურად შესაძლებელია, მაგრამ ის მოვალის მხრიდან არათანაზომიერად გაზრდილ ხარჯებს უკავშირდება.<sup>636</sup>

რთულია განისაზღვროს ძალისხმევის ხარისხი, რომელიც უნდა მოეთხოვოს მხარეს იმ დაბრკოლების დასაძლევად ან შედეგების გასაუგნებელყოფად, რომელიც მისი კონტროლის სფეროს მიღმა აღმოცენდა.<sup>637</sup> ამგვარ უკიდურეს შემთხვევაში თელეოლოგიური განმარტების საფუძველზე

<sup>631</sup> Pizer L.K., Smith M.R. (eds. in Chief), Southerington T., Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 2002-2003, Kluwer Law International, The Hague, London, New York, 2004, 288; Secretariat Commentary, Guide to CISG Article 79,

<<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/text/secomm/secomm-79.html>>, [09.07.2014].

<sup>632</sup> Liu Ch., Force Majeure Perspectives from the CISG, UNIDROIT Principles, PECL and Case Law, 2<sup>nd</sup> ed., Case annotated update, Pace Law School Institute of International Commercial Law, 2005, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/liu6.html>>, [09.07.2014].

<sup>633</sup> Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1069; Liu Ch., Secretariat Commentary, Guide to CISG article 79, <[www.globalsaleslaw.org/index.cfm?pageID=644#Article 79](http://www.globalsaleslaw.org/index.cfm?pageID=644#Article 79)>, [09.07.2014]; Liu Ch., Force Majeure Perspectives from the CISG, UNIDROIT Principles, PECL and Case Law, 2<sup>nd</sup> ed., Case annotated update, Pace Law School Institute of International Commercial Law, 2005, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/liu6.html>>, [09.07.2014].

<sup>634</sup> Espenschied L.E., Contract Drafting, Powerful Prose in Transactional Practice, American Bar Association Publishing, 2010, 61.

<sup>635</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 381.

<sup>636</sup> Zimmermann R., Breach of Contract and Remedies Under the New German Law of Obligations, Saggi, Conferenze e Seminari 48, Roma, 2002, 59.

<sup>637</sup> Flechtner H., Article 79 of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) as Rorschach Test: The Homeward Trend and Exemption for Delivering Non-Conforming Goods, Pace Int'l L. Rev., Vol. 19, 2007/1, 31, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/flechtner7.html>>, [09.07.2014].

უნდა დადგინდეს მოვალის მიერ კ.წ. „გასაღები მსხვერპლის ზღვარი“ (*sacrifice limit*),<sup>638</sup> რაც ვალდებულების შესრულების მიმართ კრედიტორის სახელ-შეკრულებო ინტერესის, შეუსრულებლობის რისკის ხარისხის, კრედიტორისათვის დარღვევით გამოწვეული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგებისა და მათი დაძლევისათვის ობიექტურად საჭირო ძალისხმევის ურთიერთშეფარდების, მათი თანაზომიერებისა და სახელშეკრულებო წონასწორობის პრინციპის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს.

## 5. არაბრალეულობის წინაპირობა შეცვლილი გარემოებების აღმოცენების კონტექსტში

### 5.1. ბრალეულობის ობიექტური სტანდარტი

რომაული სამართალი განამტკიცებდა ბრალის ობიექტურ კატეგორიას, „როგორც გარკვეული გულისხმიერების განუხორციელებლობას, რაც იწვევდა უარყოფით შედეგებს.“<sup>639</sup> ბრალი გულისხმობდა „მართებულობიდან გადახვევას, რისი გათვალისწინებაც შესაძლებელი იყო ადამიანის გონივრული წინდახედულებით.“<sup>640</sup>

რომაული სამართლის თანახმად, „ქონების უსასყიდლოდ თხოვების შემთხვევაში მხარე პასუხისმგებელი იყო ზედმიწევნით ფრთხილი გულმოდგინების ვალდებულების (*exactissima diligentia*) დარღვევისათვის.“<sup>641</sup> „კანონიკური სამართლის იურისტები მიიჩნევდნენ, რომ სათანადო წინდახედულებისა და გულისხმიერების ვალდებულების დამრღვევი ბრალეული მხარე ითვლებოდა არა მხოლოდ მორალური თვალსაზრისით დამნაშავედ“, არამედ „ვალდებულად, აენაზღაურებინა მიუენებული ზიანი.“<sup>642</sup>

<sup>638</sup> Stoll H. წიგნი: Schlechtriem P. (ed.), Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods, 1998, paras. 55, 57, 622, მთითებულია სტატიაში: Flambouras P.D., The Doctrines of Impossibility of Performance and Clausula Rebus Sic Stantibus in the 1980 Vienna Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law: A Comparative Analysis, Pace Int'l L. Rev., Vol. 13, 2001, 274; CISG-AC Opinion No. 7, Exemption of Liability for Damages under Article 79 of the CISG, Rapporteur: Garro M.A., Columbia University School of Law, New York, N.Y., USA, adopted by the CISG-AC at its 11<sup>th</sup> meeting in Wuhan, People's Republic of China, on 12 October, 2007.

<sup>639</sup> Lessius L., De iustitia et iure, lib. 2, cap. 7, dub. 6 (omission alicuius Diligentia, unde sequitur aliquod incommodum), მთითებულია: Gordley J., Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006, 338.

<sup>640</sup> Molina L., De iustitia et iure, disp. 293, no.12 (deviationem ab eo, quod bonum est, quodque per hominis potuit diligentiam provideri), მთითებულია: Gordley J., Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006, 338.

<sup>641</sup> Dig. 44.7.1. 4, მთითებულია: Gordley J., Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006, 337.

<sup>642</sup> Gratian, Decretum, D. 50, cc. 49-50; Decretales Gregorii ob. 5.10.7-13 on Corpus iuris canonici 2 (Friedberg E. (ed.), Leipzig, 1876); Papiensis B., Summa Decretalium (laspeyres, ed., Graz, 1976), lb. 5, tit.10, §§5-6; Pennaforte R., Summa de Paenitentia (Ochoa and Diez, eds., Rome.1976), lib.2, tit. 1, § 3. ob. Kuttner S., Kanonistische Schuldlehre von Gratian bis auf die Dekretalen Gregors IX (Vatican City, 1935),

„კანონიკური სამართლის იურისტების მტკიცებით, მხოლოდ ის ჩაითვლებოდა მორალურად პასუხისმგებელ პირად, ვისაც სხვაგვარად მოქმედების საშუალება ჰქონდა და მისი ბრალი სწორედ ამ შესაძლებლობის გამოუყენებლობით გამოიხატებოდა.“<sup>644</sup>

„გერმანელი იურისტები ბრალს განიხილავდნენ იმ წინდახედულებისა და სიფრთხილის დაუცველობას, რომელიც მხარეს გონივრულად მოეთხოვებოდა.“<sup>645</sup> ამის დასამტკიცებლად პუტბა მიიჩნევდა, რომ მადალი ხარისხის წინდახედულების დაუცველობისათვის მოვალეზე ბრალეულობის დაკისრება უთანაბრდებოდა შემთხვევითობისათვის<sup>646</sup>, ე.ი. ბრალის გარეშე მხარის პასუხისმგებლობას.<sup>647</sup> მორალის ფილოსოფიასა და ოროლოგიაში ბრალი უთანაბრდებოდა ცოდვას<sup>648</sup> და განიხილავდა გონიერებისა და უფლის კანონიდან გადახვევად.<sup>649</sup> ამრიგად, ოროლოგიასა და სამართალში ბრალის განსხვავებული გაგება იყო დამკვიდრებული.<sup>650</sup>

„ბუნებითი სამართალი ბრალეულად მიიჩნევდა პირს, რომელიც არ გამოიჩნდა ისეთ წინდახედულებასა და სიფრთხილეს, როგორსაც იმავე პირობებში მყოფი სხვა პირი.“<sup>651</sup>

საფრანგეთში მხარეს, რომელსაც „ევალებოდა გარკვეულ საგანზე ზედამხედველობის გაწევა, მოეთხოვებოდა მზრუნველობისა და სიფრთხილის ის სტანდარტი, რაც ახასიათებდა გონიერ მესამე პირს (*bon père de famille*).“<sup>652</sup>

მოქმედ ქართულ სამოქალაქო სამართალში განმტკიცებულია ბრალის სამართლებრივი კატეგორია, რომლისთვისაც უმთავრესია სამოქალაქო

213-27, მითითებულია: Gordley J., Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006, 337.

<sup>643</sup> Glossa ordinaria to Decretales Gregorii ob.Venice, 1595, 5.36.5, Casus to non custovit; to reddet; to 5.36.6 to voluntarie; to 5. 36.9, მითითებულია: Gordley J., Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006, 338.

<sup>644</sup> Gordley J., Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006, 338.

<sup>645</sup> იქვე, 341.

<sup>646</sup> Puchta G.F., Pandekten, 2<sup>nd</sup> ed., Leipzig, 1844, §266, მითითებულია: Gordley J., Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006, 341.

<sup>647</sup> ob. Windscheid B., Lehrbuch des Pandektenrechts 1, 7<sup>th</sup> ed., Frankfurt-am-Main, 1891, §101, მითითებულია: Gordley J., Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006, 341.

<sup>648</sup> ob. Lessius L., De iustitia et iure, lib. 2, cap.7, dub.6, მითითებულია: Gordley J., Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006, 338.

<sup>649</sup> ob. Molina L., De iustitia et iure, disp.293, no.10, მითითებულია: Gordley J., Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006, 338.

<sup>650</sup> ob. Gordley J., Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006, 338.

<sup>651</sup> Lessius L., De iustitia et iure, lib.2, cap.7, dub.6, no.23; Molina L., De iustitia et iure, disp. 293, no. 18, მითითებულია: Gordley J., Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006, 338-9.

<sup>652</sup> Gordley J., Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006, 339.

ბრუნვისათვის ჩვეული უურადღებიანობის დაცვა. ბრალი ობიექტური კატეგორიაა, რადგან განისაზღვრება ობიექტური მესამე პირის ქცევის სტანდარტით. წინდახედულების ობიექტური სტანდარტის არსებობით ქართული სამართალი მნიშვნელოვნად უახლოვდება გერმანული სამართლის სისტემას.

საბჭოთა სამართალში ბრალი განიხილებოდა როგორც პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისა და დამდგარი შედეგისადმი. ბრალეულობა განისაზღვრებოდა კონკრეტული პირის შეფასებითი უნარიანობით, რითაც პრაქტიკულად უგულებელყოფილი იყო ობიექტური მასშტაბის როლი.<sup>653</sup>

ინგლისურ სამართალში „გონივრული წინდახედულებისა და ცოდნის“ სტანდარტი, ჩვეულებრივ, განისაზღვრება იმ ხარისხით, რომელიც დამახასიათებელია იმავე პირობებში მყოფი (იმავე პროფესიის, სპეციალიზაციისა და ხარისხის) საშუალო დონის კომპეტენციის მქონე პირთაოვის.<sup>654</sup> იმის გათვალისწინებით, რომ საქონლის ნასყიდობისა და მიწოდების შესახებ 1982 წლის კანონის<sup>655</sup> (შემდგომში – სმშ) მე-13 მუხლის (რომელიც განამტკიცებს ბრალის ობიექტურ კატეგორიას) გამოყენების პრაქტიკა ხშირია საერთო სამართლის სასამართლოებში, შეიძლება ითქვას, რომ ინგლისური სახელშეკრულებო სამართალი ცნობს ბრალეულობის ზემოხსენებულ სტანდარტს პასუხისმგებლობის განსაზღვრის კონტექსტში.<sup>656</sup>

მხარის ბრალეულობის განსაზღვრისათვის უვროპული პრინციპები დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხელშეკრულების მონაწილის გონივრულ ქცევას<sup>657</sup>, რომელიც, 1:302-ე მუხლის თანახმად, დგინდება იმის მიხედვით, თუ რას მიიჩნევს გონივრულად იმავე პირობებში მოქმედი ობიექტური მესამე პირი კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით. გონივრულობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება: ხელშეკრულების ბუნება და მიზანი, კონკრეტული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებები, სავაჭრო ჩვეულებები და პრაქტიკა, ასევე მხარეთა პროფესიის თავისებურება.

<sup>653</sup> იბ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შებგელია რ., ხელშრიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 370-1.

<sup>654</sup> Powell J.L., Stewert R., Jackson R.M., Jackson and Powell on Professional Negligence, 5<sup>th</sup> ed., Sweet and Maxwell, 2001, 2-120, მთლიანობულია: Markesinis S.B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 445.

<sup>655</sup> Supply of Goods and Services Act, 1982 (საქონლის მიწოდებისა და მომსახურების შესახებ აქტი (შემდგომში – სმშა),

იბ. <[http://www.opsi.gov.uk/R-evisedStatutes/Acts/ukpga/1982/cukpga\\_19820029\\_en\\_1](http://www.opsi.gov.uk/R-evisedStatutes/Acts/ukpga/1982/cukpga_19820029_en_1)>, [12.07.2014].

<sup>656</sup> იბ. Markesinis S. B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 446.

<sup>657</sup> დამატებით იბ. Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 126.

## 5.2. ბრალის ფორმების მნიშვნელობა შესრულების გართულებისა და შეუძლებლობის დაფუძნებისთვის

სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ბრალის ორ ფორმას: განზრახვასა (*dolus*) და გაუფრთხილებლობას (*culpa*), რომლებიც პირის ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია. გაუფრთხილებლობა, თავის მხრივ, შესაძლებელია დაიყოს უხეშ (*culpa lata*) და მარტივ (*culpa levis*) ფორმებად. სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტის სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის ბრალის ცალკეული ფორმის არსებობა იურიდიული მნიშვნელობის მქონეა და განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს.

### 5.2.1. განზრახვა

განზრახვი ბრალის ფორმა გულისხმობს ვალდებულების დარღვევას სახელშეკრულებო ურთიერთობაში ყველა მნიშვნელოვანი გარემოების ცოდნისა და მოვალის მიერ საკუთარი ვალდებულებების გაცნობიერების პირობებში. შესაძლებელია, მხარეს არასწორი წარმოდგენა ჰქონდეს საქმის ნამდვილ ვითარებაზე – ცდებოდეს როგორც კონკრეტულ ფაქტებში, ასევე სამართლის ნორმის შინაარსში, არ ცნობდეს თავს ვალდებულად. ამ შემთხვევაში განზრახვი ბრალის არსებობა გამოირიცხება, სანაცვლოდ მოვალეს დაეკისრება პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისათვის, რადგან ვალდებულების დარღვევა განიხილება როგორც მისი დაუდევარი მოქმედების (უმოქმედობის) შედეგი.<sup>658</sup>

მხარის პასუხისმგებლობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად პატივსადები საფუძვლით განხორციელდა მის მიერ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების მცდარი შეფასება. მოვალის შეცდომა სამართლებრივი ნორმების ნამდვილ შინაარსში გაცილებით მძიმედ ფასდება სასამართლოს მიერ, ვიდრე კონკრეტული ფაქტების შესახებ არასწორი წარმოდგენები. მაგალითად, სანამ პირი არ შეიტყობს მამკვიდრებლის გარდაცვალების შესახებ, მანამ სამკვიდროს მიღების ვადის დენა არ იწყება.<sup>659</sup>

მართალია, სხვა არ იძლევა განზრახვის ცნების განმარტებას, მაგრამ სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული განზრახვის კატეგორია სისხლის სამართალში აღიარებული ანალოგი კონცეფციის იდენტურია.<sup>660</sup> განზრახვა მოიცავს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ფაქტობრივი გარემოებების, მხარეთა უფლება-მოვალეობების ცოდნას, ასევე ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებას. განზრახვის აუცილებელი კომპო-

<sup>658</sup> Markesinis S. B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 447.

<sup>659</sup> იქვე.

<sup>660</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხელურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 382.

ნენტია საკუთარი ქმედების „შედეგის ცოდნა და სურვილი მართლწინააღმდეგობის შეგნებით.“<sup>661</sup>

ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება ბრალის ინტელექტუალური (კოგნიტური) ელემენტია, რომელიც სამართალდამრღვევის ცნობიერების შეფასებას გულისხმობს. სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტებისა და გარემოებების ცოდნა გადამწყვეტია პირის ბრალეულობის განსაზღვრისათვის. ვალდებულების შეუსრულებლობის ეტაპზე სამართლებრივად მნიშვნელოვანი გარემოებების ცოდნასა და გაცნობიერებას იურიდიული დოქტრინა პასუხისმგებლობისათვის განმსაზღვრელ დატვირთვას ანიჭებს.<sup>662</sup>

მნიშვნელოვანია, რომ „სამოქალაქო სამართალში შეცდომა გამორიცხავს განზრახვას“<sup>663</sup> და არა ბრალეულობას, ვინაიდან პირს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილისათვის აუცილებელი გულისხმიერება და გონივრული წინდახედულება ავალებს კანონით ან ხელშეკრულებით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების ცოდნას. ამის ნათელი დადასტურებაა სსკ-ის მე-3 II მუხლის ფორმულირება: კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგზავნა არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ან ამ კანონით გაოგადისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი. ბოროტი განზრახვის დროს მართლსაწინააღმდეგო შედეგი პირის „ნებისმიერი“ ქმედების უმთავრეს მოტივად განიხილება.<sup>664</sup>

## 5.2.2. გაუფრთხილებლობა და მისი ფორმები (უხეში და მარტივი)

სამოქალაქო სამართალში, სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, ვალდებულების დარღვევა უმეტესად ხორციელდება გაუფრთხილებლობით, რაც გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვისათვის აუცილებელი წინდახედულებისა და უურადღებიანობის უგულებელყოფას.

კერძო სამართალში დამკვიდრებული გაუფრთხილებლობის კონცეფცია ძირებულად განსხვავდება სისხლის სამართალში განმტკიცებული მისი ანალოგისაგან. „გაუფრთხილებლად მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელ უურადღებიანობას“<sup>665</sup>,

<sup>661</sup> Fikentscher W., Schuldrecht, 8, Auflage, Berlin – New-York, 1992, 312; Müch-Komm-Hanau, §276, 49-50; Schellhammer K., Zivilrecht nach Anspruchsgrundlagen, 627, მითითებულია: ჭანტურია ლ., ზოდება, ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 382.

<sup>662</sup> იბ. ევროპული პრინციპების (Principles of European Contract Law – Parts I and II - Revised 1998, Part III – 2003, <www.lexmercatoria.org>, [08.12.07]) მუხლები: 1:301 (5), 2:104, 3:102 (2), 3:204 (2), 3:205 (1)(3), 3:208, 3:209 (1), 3:301 (1), 4:109 (1), 4:103 (1), 4:111 (2), 4:113 (1), 4:114, 4:117 (1), 6:101 (2)(3), 6:110 (3), 6:111 (2), 7:101 (2), 8:103 (3), 8:108 (3), 9:102(3), 9:303 (2)(3), 9:503.

<sup>663</sup> ჭანტურია ლ., ზოდება, ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 382.

<sup>664</sup> იქვე, 384.

<sup>665</sup> Medicus D., Schuldrecht, Allgemeiner, 8 Auflage, 149, მითითებულია: ჭანტურია ლ., ზოდება, ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 384.

რომელიც განისაზღვრება ობიექტური მასშტაბით და არა კონკრეტული ინდივიდის პიროვნებიდან გამომდინარე. სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს მოეთხოვება მისი პროფესიის „საშუალო წარმომადგენლისათვის“ დამახასიათებელი ჩვეული წინდახედულების დაცვა.<sup>666</sup>

გაუფრთხილებლობის არსი გერმანულ სამართალშიც ობიექტურადაა განსაზღვრული. გსკ-ის 276-ე II პარაგრაფის თანახმად, პირი მოქმედებს გაუფრთხილებლობით, როდესაც ხელშემკვრელი მხარის ინტერესებისადმი არ იჩენს გონივრულ წინდახედულებას.

პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა არა აქვს, კონკრეტული მოვალე სუბიექტურად რამდენად უნარიანია შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, არამედ მას მოეთხოვება წინდახედულების ის ხარისხი, რაც, ჩვეულებრივ, მიღებულია სამოქალაქო ბრუნვაში და მოსალოდნელია მისი პროფესიის საშუალო დონის წარმომადგენლისაგან. გერმანული სამართლისათვის ცნობილია ნდობის პრინციპი, რომლის თანახმად, სამოქალაქო ბრუნვის ყოველ მონაწილეს შეუძლია დაეყრდნოს ვარაუდს, რომ ურთიერთობის სხვა მონაწილე იმოქმედებს სათანადო გულისხმიერებით.<sup>667</sup>

გაუფრთხილებლობისას გამოირიცხება სამოქალაქო ბრუნვისათვის აუცილებელი წინდახედულება და კეთილგონიერება, რასაც ვალდებულება, კონკრეტული ურთიერთობის ხასიათის გათვალისწინებით, აკისრებს სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტს. ხშირად გაუფრთხილებლობა გულისხმობს გონივრული მოქმედებების განუხორციელებლობას მოსალოდნელი დარღვევის ადსაკვეთად ან ზიანის შესამცირებლად. თუმცა, განზრახვისგან განსხვავებით, გაუფრთხილებლობა ხორციელდება მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის სურვილის გარეშე.<sup>668</sup>

მოვალე სახელშეკრულებო ურთიერთობაში ჩართვით გარანტირებულს ხდის ყველა იმ უნარისა და შესაძლებლობის გამოყენებას, რაც აუცილებელია ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის ის ვერ მიუთითებს საჭირო კომპეტენციის არარსებობაზე. იგივე მიღგომა გაზიარებულია არა მარტო დოქტრინულ დონეზე, არამედ სასამართლო პრაქტიკაშიც. თუკი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა ვერ მოხდა ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზით, მაშინ მოვალემ უნდა დაამტკიცოს მესამე პირის (წარმომადგენლის) მეშვეობით ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა. სწორედ ესაა წინდახედულებისა და ცოდნის ობიექტური სტანდარტის ლოგიკური ახსნა.

გაუფრთხილებლობა, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, სამოქალაქო სამართალში იყოფა უხეშ (*culpa lata*) და მარტივ (*culpa levis*) ფორმებად. უხეში გაუფრთხილებლობისას სამოქალაქო ბრუნვისათვის აუცილებელი ყუ-

<sup>666</sup> ცვაიგერტი კ., კოტცი პ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თბ., 2001, 290.

<sup>667</sup> Manfred L. in Staudinger, §276, 2004, Rn. 28, მითითებულია: ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., 2006, 377.

<sup>668</sup> ჭანტურია ლ., ზოდე ბ., ნინოძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 386.

რადღებიანობის მოთხოვნა „უჩვეულოდ მაღალი ხარისხით ირღვევა“<sup>669</sup>, რის გამოც განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა ხშირად ერთ სიბრტყეზე განიხილება,<sup>670</sup> მარტივი გაუფრთხილებლობისას კი გონივრული წინდახედულებისა და უურადღებიანობის დარღვევის ხარისხი მნიშვნელოვნად შემცირებულია.

ევროპული სამართლებრივი სისტემის ზოგიერთ ქვეყანაში განზრახი ქმედება მოიცავს უხეშ გაუფრთხილებლობასაც, რომელიც ხშირად მიიჩნევა *dolus eventualis*-ად<sup>671</sup> (არაპირდაპირ განზრახვად). მაგალითად, ევროპული პრინციპების 1:301-ე III მუხლის თანახმად, უხეში გაუფრთხილებლობა განზრახ ქმედებად განიხილება. განზრახ ქმედებად ითვლება პირის გაცნობიერებული ქცევა, რომელიც გამიზნულად მიმართულია ქმედების სამართლებრივი შედეგების წარმოშობისაკენ. ასევე, უხეში გაუფრთხილებლობითაა განხორციელებული ქმედება, რომლის დროსაც პირი ითვალისწინებს თავისი ქცევის მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგს, მართალია, მიზანმიმართულად არ მიისწრაფვის, მაგრამ გულგრილად ეკიდება მის დადგომას. ამის საპირისპიროდ, მარტივი გაუფრთხილებლობისას მხარე არ აცნობიერებს თავისი ქცევის შესაძლო სამართლებრივ შედეგს და, შესაბამისად, იგი განზრახ ქმედებად არ ჩაითვლება. ამრიგად, პრინციპები ერთმანეთისგან განახევავებს განზრახვას და მარტივ გაუფრთხილებლობას.<sup>672</sup>

ევროპული პრინციპების მიერ განზრახვის კატეგორიაში უხეში გაუფრთხილებლობის გაერთიანებას განსაზღვრული საფუძველი აქვს. ამის მიზეზი უნდა იყოს განზრახვისა და უხეში გაუფრთხილებლობისათვის საერთო დამახასიათებელი ნიშნის არსებობა – ორივე შემთხვევაში მხარის მიერ საკუთარი ქმედების სამართლებრივი მნიშვნელობის გაცნობიერებისა და მისი შედეგების გათვალისწინების შესაძლებლობა, რაც უცხოა მარტივი გაუფრთხილებლობისათვის. ამრიგად, ევროპულ პრინციპებში გამოხატული მიდგომის თანახმად, განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა აუცილებლად გულისხმობს მხარის გაცნობიერებულ ქმედებას.

<sup>669</sup> Fikentscher W., Schuldrecht, 8, Auflage, Berlin – New-York, 1992, 314, მითითებულია: ჭანტურია ლ., ზოდებ ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 386.

<sup>670</sup> იხ. ჭანტურია ლ., ზოდებ ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 383-4.

<sup>671</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 125.

<sup>672</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 122-3.

## 6. დაბრკოლების მოქმედების ხანგრძლივობა

დროებითი დაბრკოლების არსებობისას პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება კრცელდება მხოლოდ დაბრკოლების მოქმედების პერიოდზე.<sup>673</sup> ამ შემთხვევაში დაბრკოლება არ იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას – ის კვლავ ძალაში რჩება.<sup>674</sup> მხოლოდ გარკვეული დროით გადაიწვევს ვალდებულების შესრულების ვადა.<sup>675</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით შესრულების ვალდებულებისაგან განთავისუფლების საფუძვლად არ იქნა მიჩნეული ფორსმაჟორის არსებობა, რომელიც არ ემთხვეოდა ვალდებულების დარღვევის პერიოდს, რამეთუ ვალდებულების შეუსრულებლობა ფორსმაჟორული გარემოების აღმოფხვრის შემდგომ განხორციელდა.<sup>676</sup>

შესაძლებელია დაბრკოლების უარყოფითი შედეგების მოქმედება მისი არსებობის შეწყვეტის შემდეგაც გრძელდებოდეს, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების პირობების ფუნდამენტური შეცვლის გამო არაგონიკრულს და უსამართლოს ხდის შეუსრულებლობისათვის მოვალეზე პასუხისმგებლობის დაკისრებას. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებაში<sup>677</sup> დადგენილია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გარემოებათა შეცვლა ხდება თანხათან, გარკვეული დროის გასვლის შემდეგაც. საქმეში გამოვლენილი შეცვლილი გარემოების საფუძვლის – ომის უარყოფითი ეკონომიკური შედეგები, როგორც წესი, არ სრულდება საომარი მოქმედებების დასრულებასთან ერთად და მას, ზოგიერთ შემთხვევაში, საკმაოდ ხანგრძლივი განვითარება აქვს. ამდენად, 2008 წლის აგვისტოს ომი სასამართლომ მომდევნო 6 თვის განმავლობაში ვალდებულების შესრულების გაგრძელების შეუძლებლობის საფუძვლად აღიარა.

თუ დროებითი დაბრკოლებით გამოწვეული შესრულების ვადის გადაცილება ფუნდამენტურ (არსებით) დარღვევას აფუძნებს, მაშინ მხარე უფლებამოსილია გამოიყენოს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, შემდგომში დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის შეწყვეტის შემთხვევაშიც.<sup>678</sup>

ვენის კონვენცია დროებითი დაბრკოლების წარმოშობისას ვალდებულების შესრულების საკითხის უნიდრუს სახელშეკრულებო პრინციპებისა

<sup>673</sup> Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1080.

<sup>674</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 259.

<sup>675</sup> შესრულების შემთხვევაში გადაწყვეტილი ვალდებულების შეუძლებლობა, სადისერტაციო ნაშრომი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1997, 18.

<sup>676</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 თებერვლის განჩინება საქმეზე: №ას-1166-1428-09; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის განჩინება საქმეზე: №ას-7-6-2010.

<sup>677</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის განჩინება საქმეზე: №ას-7-6-2010.

<sup>678</sup> Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1080.

და ევროპული პრინციპების მსგავს მოწესრიგებას ითვალისწინებს. კერძოდ, ევროპული პრინციპების 108:8-ე (2) მუხლის თანახმად, დროებითი დაბრკოლების არსებობისას, პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება მოიცავს მხოლოდ დაბრკოლების არსებობის პერიოდს.<sup>679</sup> თუმცა, თუ ვადის გადაცილება ვალდებულების არსებით შეუსრულებლობას წარმოშობს, მაშინ მოვალეს შეუძლია ვალდებულება არსებითად დარღვეულად ჩათვალოს,<sup>680</sup> რაც მეორადი მოთხოვნის უფლებების ამოქმედების წინაპირობა გახდება.

მსგავსად, უნიფრუას სახელშეკრულებო პრინციპების თანახმად, დროებითი დაბრკოლების არსებობის შემთხვევაში შესრულებისგან გათავისუფლება ვრცელდება მხოლოდ იმ პერიოდზე, რომელიც გონივრულია იმ შედეგების გათვალისწინებით, რაც ხელშეკრულების შესრულების დაბრკოლებას მოყვა.<sup>681</sup>

პასუხისმგებლობისგან დროებით განთავისუფლებას ითვალისწინებს ასევე, ვენის კონვენციის 79-ე (3) მუხლი,<sup>682</sup> რომლის განმარტება გულისხმობს მოვალის მხრიდან შესრულებისა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულების განახლებას დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის შეწყვეტის შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ დაბრკოლების მოქმედების პერიოდში მხარეს არ გამოუყენებია ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლება. კრედიტორს დაბრკოლების წარმოშობისას ენიჭება ხელშეკრულებაზე უარის უფლება არსებითი, ფუნდამენტური დარღვევის არსებობის შემთხვევაში (79-ე (5) მუხლი).<sup>683</sup>

<sup>679</sup> Schwenzer I., Force Majeure and Hardship in International Sales Contracts, VUWLR, Vol. 39, 2008, 720, <<http://www.austlii.edu.au/nz/journals/VUWLAWRw/2008/39.pdf>>; Flambouras D.P., The Doctrines of Impossibility of Performance and *Clausula Rebus sic Stantibus* in the 1980 Vienna Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law: A Comparative Analysis, Pace Int'l L. Rev., Vol. 13, 2001, 274, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/flambouras1.html>>, [09.07.2014].

<sup>680</sup> Flambouras D.P., The Doctrines of Impossibility of Performance and *Clausula Rebus sic Stantibus* in the 1980 Vienna Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law: A Comparative Analysis, Pace Int'l L. Rev., Vol. 13, 2001, 275, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/flambouras1.html>>, [09.07.2014].

<sup>681</sup> Wright C., Force Majeure Clauses and the Insurability of Force Majeure Risks, The Construction Lawyer, Vol. 23, 2003, 20, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/conlaw23&div=46&g\\_sent=1&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/conlaw23&div=46&g_sent=1&collection=journals)>, [09.07.2014].

<sup>682</sup> Schlechtriem P., Uniform Sales Law - The UN-Convention on Contracts for the International Sale of Goods Manz, Vienna: 1986, 104, <[http://cisgw3.law.pace.edu/cisg/biblio/schlechtriem-79.html#b\\*](http://cisgw3.law.pace.edu/cisg/biblio/schlechtriem-79.html#b*)>, [09.07.2014]; Honnold O.J., Impediments Excusing Party From Damages ("Force Majeure"), Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, 3<sup>rd</sup> ed., Kluwer Law International, The Hague, 1999, 490, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/ho79.html#435>>, [09.07.2014].

<sup>683</sup> ვენის კონვენციის საფუძველზე ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ დაწვრილებით იხილეთ: Kazimierska A., The Remedy of Avoidance under the Vienna Convention on the International Sale of Goods, Pace Int'l L. Rev. of the Convention on Contracts for the International Sale of Goods, Kluwer, 1999-2000, 79-192, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/kazimierska.html>>; Silveira M., Termination of Contract under the Principles of European Contract Law - A Comparative Study, Pace Law School Institute of International Commercial Law, 2006, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/silveira.html>>, [09.07.2014].

გამყიდველის მხრიდან მნიშვნელოვანი დარღვევის არსებობა უნდა განისაზღვროს მყიდველის მიმართ დამდგარი იმ შედეგების გათვალისწინებით, რაც ცალკეულმა დარღვევამ გამოიწვია.<sup>684</sup> თუ დაბრკოლების აღმოცენებამ განაპირობა უარყოფითი შედეგები, რომელიც დაბრკოლების შეწყვეტის შემდეგაც აფერხებს ვალდებულების შესრულებას, მაშინ მოვალის მხრიდან შესრულების ვალდებულება განახლდება ამ უარყოფითი შედეგების აღმოფხვრის შემდეგ.

დროებითი დაბრკოლება პასუხისმგებლობისგან დროებითი განთავისუფლების საფუძველს ქმნის<sup>685</sup>, მაგრამ პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება მოიცავს არა მხოლოდ დაბრკოლების, არამედ მათი უარყოფითი შედეგების არსებობის პერიოდს,<sup>686</sup> მთელ იმ დროს, როდესაც მოვალისათვის შეუძლებელია ან უკიდურესად მძიმეა შესრულების განხორციელება. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების არსებობა განისაზღვრება იმით, ვალდებულების დროული შესრულება წარმოადგენდა თუ არა კრედიტორის უმთავრეს სახელშეკრულებო ინტერესს, ე.ი. არსებით პირობად დადგენილი იყო თუ არა ხელშეკრულების ვადა, რომლის დარღვევაც კრედიტორისათვის აქარწყლებს შესრულების აზრს და აფუნქცის არსებით, ფუნდამენტურ შეუსრულებლობას. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არსებობს მაშინაც, როდესაც დროებითი დაბრკოლების ხასიათი ცხადყოფს ვალდებულების მოსალოდნელ, სამომავლო დარღვევას.<sup>687</sup>

## 7. შეტყობინების ვალდებულება

ევროპული პრინციპების 8:108-ე (3)<sup>688</sup>, უნიდრუს სახელშეკრულებო პრინციპების 7.1.7-ე (3)<sup>689</sup> და ვენის კონვენციის 79-ე მუხლები განამტკიცებს

<sup>684</sup> ჩაჩავა ხ., მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, უკრნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2004, 65.

<sup>685</sup> Liu Ch., Remedies for Non-performance - Perspectives from CISG, UNIDROIT Principles and PECL, 2003, 324,

<[http://www.jus.uio.no/pace/remedies\\_for\\_non\\_performance\\_perspectives\\_from\\_cisg\\_upicc\\_and\\_pecl.cheng\\_wei\\_liu/portrait.pdf](http://www.jus.uio.no/pace/remedies_for_non_performance_perspectives_from_cisg_upicc_and_pecl.cheng_wei_liu/portrait.pdf)>, [09.07.2014].

<sup>686</sup> Honnold O.J., Impediments Excusing Party From Damages ("Force Majeure"), Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, Kluwer Law International, The Hague, 3<sup>rd</sup> ed., 1999, 490, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/ho79.html#435>>, [15.07.2014].

<sup>687</sup> Perillo J., Force Majeure and Hardship under the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, Contratación internacional. Comentarios a los Principios sobre los Contratos Comerciales Internacionales del Unidroit, Universidad Nacional Autónoma de México - Universidad Panamericana, 1998, 124, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/perillo3.html>>.

<sup>688</sup> მხარე, რომელიც არ ასრულებს ვალდებულებას, უნდა დარწმუნდეს, რომ შეტყობინება დაბრკოლების და მის მიერ გამოწვეული შედეგების შესახებ, მეორე მხარის მიერ მიღებულ იქნა გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც დამრღვევმა მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა დაბრკოლების წარმოშობის შესახებ. მეორე მხარეს უვლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ასეთი შეტყობინების მიუღებლობის შედეგად განცდილი ნებისმიერი ზიანისათვის.

<sup>689</sup> მხარემ, რომელიც არ ასრულებს ვალდებულებას, შეატყობინება უნდა გაუგზავნოს კონტრაქტის დაბრკოლების და მისი მოსალოდნელი შედეგების შესახებ. თუ მხარე არ მიიღებს შეტყობინებას გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც მოვალემ იცოდა, ან უნდა

კრედიტორისათვის გონივრულ ვადაში მოვალის მიერ შეტყობინების ვალდებულებას დაბრკოლების, მისი ხარისხის, ხანგრძლივობისა და შესაძლო შედეგების შესახებ.<sup>690</sup> შეტყობინების ვალდებულება თანამშრომლობის ვალდებულებისა<sup>691</sup> და კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლინებადა<sup>692</sup> სახელ-შეკრულებო ურთიერთობაში. თუ შეტყობინება ხორციელდება ხელშეკრულების შესატყვისი შესრულების შეუძლებლობის შესახებ, მაშინ მიზანშეწონილია შეტყობინების შინაარსი მოიცავდეს ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების შეთავაზებასაც.<sup>693</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით<sup>694</sup> განსაზღვრულია, რომ სსკ-ის 398-ე მუხლი არ ითვალისწინებს პერიოდს, თუ რა დროის განმავლობაში უნდა მოითხოვოს დაზარალებულმა მხარემ შეცვლილი გარემოების შესაბამისი პირობების ხელშეკრულებაში ასახვა, მაგრამ მითითებული ნორმის არსიდან იკვეთება, რომ ასეთი მოთხოვნა ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, შეცვლილი გარემოების დადგომისთანავე. შეცვლილი პირობებისადმი ხელშეკრულების მისადაგება უნდა განხორციელდეს რაც შეიძლება სწრაფად, უმაღვე ამ გარემოებათა წარმოშობიდან.<sup>695</sup>

---

ცოდნოდა დაბრკოლების შესახებ, ის პასუხისმგებელია შეტყობინების მიუღებლობის შედეგად წარმოშობილი ზიანისათვის.

<sup>690</sup> *Flambouras D.P., The Doctrines of Impossibility of Performance and Clausula Rebus Sic Stantibus in the 1980 Vienna Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law: A Comparative Analysis, Pace Int'l L. Rev., Vol. 13, 2001, 264,*

<<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/flambouras1.html>>, მთითებულია: *Liu Ch., Newman M.S.(ed.) Remedies in International Sales, Perspectives from CISG, UNIDROIT Principles and PECL, JurisNet, LLC, Huntington, New York, 2007, 704.*

<sup>691</sup> *Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1081.*

<sup>692</sup> *Schwenzer I., Hachem P., Kee Ch., Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012, 666.*

<sup>693</sup> *Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1081.*

<sup>694</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის განჩინებით საქმეზე: №ას-7-6-2010.

<sup>695</sup> იხ. სსკ-ის 398-ე მუხლის გამოყენების სამართლებრივი წინაპირობების შესახებ იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის განჩინება საქმეზე №№ას-7-6-2010 წიგნში: ნაჭერებია ა., სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამათლოს პრაქტიკაში (2000- 2013), GIZ, 2014, 141. იხ. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინება საქმეზე: №ას-466-707-08, სადაც სასამართლო განმარტავს: შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება უნდა მომხდარიყო რაც შეიძლება სწრაფად ამ გარემოებათა წარმოშობიდან. რასაკირველია, თუ გარემოების შეცვლა ხდებოდა თანდათანობით, მოთხოვნის დრო შეიძლებოდა გაზრდილიყო, მაგრამ სასამართლო შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნით მოსარჩელის მოპასუხისათვის ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე 5 დღით ადრე მიმართვა არ მიიჩნია შეცვლილი გარემოების წარმოშობიდან დასაშვებ პერიოდში განხორციელებულ მოთხოვნად.

შეტყობინების გაგზავნა არ არის აუცილებელი განხორციელდეს წერილობითი ფორმით.<sup>696</sup> გონივრული ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მოვალისათვის ობიექტურად ცნობილი იყო ან უნდა სცოდნოდა ვალდებულების დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის შესახებ. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ თუ დაბრკოლების აღმოცენებისას მოვალისათვის შეუძლებელია მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა, მაშინ დასაშვებია შეტყობინებების გაგზავნა ეტაპობრივად განხორციელდეს.

შეტყობინების გაგზავნის მიზანია მოხდეს მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება ან მათი შემცირება. შეტყობინება მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა და ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ის მეორე მხარეს მიუვა. შესაბამისად, შეტყობინების მიუღებლობის ან დაგვიანების რისკი, როგორც წესი, მოვალეს ეკისრება.<sup>697</sup> აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მოვალე პასუხისმგებელია არა მხოლოდ ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით გამოწვეული, არამედ ასევე შეტყობინების განუხორციელებლობით მიყენებული ზიანისათვის.<sup>698</sup> აღნიშნული ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანი ანაზღაურდება ზოგადი წესის საფუძველზე.<sup>699</sup>

ხელშეკრულებაში ფორსმაჟორული დათქმის არსებობისა და მისი ამოქმედების შემთხვევაში, ფორსმაჟორული მოვლენის აღმოცენების შესახებ მეორე მხარისათვის შეტყობინების მომენტიდან მხარე თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან. დაუყოვნებლივი შეტყობინების განუხორციელებლობის შემთხვევაში კი, ვალდებულების შესრულებისაგან განთავისუფლება შეტყობინების ადრესატამდე მისვლის მომენტიდან მოქმედებს.<sup>700</sup> ფორსმაჟორული დათქმის საფუძველზე მხარე თავისუფლდება ზიანის ანაზღაურების<sup>701</sup> და საჯარიმო სანქციების გადახდის ვალდებულებისაგან.<sup>702</sup>

<sup>696</sup> Flambouras D.P., The Doctrines of Impossibility of Performance and Clausula Rebus sic Stantibus in the 1980 Vienna Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law: A Comparative Analysis, Pace Int'l L. Rev., Vol. 13, 2001, 272, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/flambouras1.html>>, [05.07.2014].

<sup>697</sup> ი. Lee W., Exemptions of Contract Liability Under the 1980 United Nations Convention, Dick. J. Int'l. L., Vol. 8, 1990, 391, <[www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lee.html](http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lee.html)>; Flambouras D.P., The Doctrines of Impossibility of Performance and Clausula Rebus sic Stantibus in the 1980 Vienna Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law: A Comparative Analysis, Pace Int'l L. Rev., Vol. 13, 2001, 273, <[www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/flambouras1.html](http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/flambouras1.html)>, [05.07.2014].

<sup>698</sup> Gabriel H.D., Contract for the Sale of Goods, A Comparison of Domestic and International Law, Oceana Publications, Inc., Dobbs, Ferry, New York, 2004, 219.

<sup>699</sup> Busch D., Hondius E., The Principles of European Contract Law and Dutch Law: A Commentary (Perspectives on Company Law S.), Kluwer Law International, 1<sup>st</sup> ed., 2002, 343.

<sup>700</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-837-888-2011.

<sup>701</sup> ICC Force Majeure Clause 2003, ICC Hardship Clause 2003, ICC Publication No. 650, 2003, 3, <<http://www.trans-lex.org/700700>>. ი. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: ას-858-1171-07 და 2001 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: № 3 კ/992-01.

სრულყოფილი ფორსმაჟორული დათქმა აუცილებლად უნდა ასახავდეს კონტრაქტის პირველი შესაძლებლობისთანავე წერილობითი შეტყობინების ვალდებულებას დაბრკოლების აღმოცენების, მისი მიზეზების,<sup>703</sup> ხარისხისა<sup>704</sup> და მოქმედების ფარგლების შესახებ, შეტყობინების ფორმას, პროცედურას, განხორციელების ვადებს, შეტყობინების ადრესატამდე მიუღივლობის რისკის საკითხს, შეტყობინების მომენტიდან მოვლენის უარყოფითი შედეგების შემცირებისათვის გულმოდგინე ზრუნვის ვალდებულებას,<sup>705</sup> ამ კუთხით განხორციელებელ მოქმედებებს<sup>706</sup> და დაბრკოლების მოქმედების შეწყვეტის შესახებ ინფორმაციას.<sup>707</sup>

დროებითი ხასიათის ფორსმაჟორული გარემოების წარმოშობისას პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება მოვლენის არსებობის ვადით არის შემოფარგლული.<sup>708</sup> აღნიშნული მოვლენის აღმოფხვრის შემდეგ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება უნდა განახლდეს.<sup>709</sup> გარემოების არარსებობის შეწყვეტის შემთხვევაში მოვალეს ეკისრება აღნიშნულის შესახებ კრედიტორისათვის შეტყობინების ვალდებულება.<sup>710</sup>

<sup>702</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-964-1166-08.

<sup>703</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-30-367-09.

<sup>704</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-1118-1065-2013. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი განმარტებიდან გამომდინარე, ძლიერი ატმოსფერული მოვლენის ფორსმაჟორულ მიწნევისათვის აუცილებელია დაზიანების ხასიათის, ხარისხისა და მიზეზების შეფასება. კლიმატური მოვლენის (თოვლი) ფორსმაჟორულ გარემოებად მიწნევის შესახებ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-217-636-06.

<sup>705</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-837-888-2011.

<sup>706</sup> Al-Emadi T.A., The Hardship and Force Majeure Clauses in International Petroleum Joint Venture Agreements, Oxford Student Legal Research Paper Series, #02/2011, July 2011, 14, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1878558](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1878558)>.

<sup>707</sup> იქვე, 12-13,

<sup>708</sup> ფორსმაჟორული სიტუაციის შემდეგ სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება, მაგალითად შესრულებით, ვერ აბათილებს ხელშეკრულებით დათქმულ ვალაში ფორსმაჟორული გარემოების საფუძლით ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-30-367-09.

<sup>709</sup> თუ მოვალის შესაძლებლობის სფეროშია შესრულების ალტერნატიული გზის გამოძებნის საშუალება, მაშინ აღნიშნული გამორიცხავს ფორსმაჟორული გარემოების საფუძლით პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას, რამეთუ მოვალემ არ განახორციელა ფორსმაჟორული გარემოების უარყოფითი შედეგების აღმოფხვრის ვალდებულება და არ მიმართა შესრულების ალტერნატიულ მექანიზმებს. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-931-969-2011.

<sup>710</sup> ICC Force Majeure Clause 2003, ICC Hardship Clause 2003, ICC Publication No. 650, 2003, 3, <<http://www.trans-lex.org/700700>>.

პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების წინაპირობების არსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს.<sup>711</sup> ამასთან, უნდა არსებობდეს მიზეზედეგობრივი კავშირი დაბრკოლებასა და მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას შორის.<sup>712</sup> დაბრკოლება პირდაპირი საფუძველი, უშუალო გამომწვევი მიზეზი უნდა იყოს ვალდებულების დარღვევის.<sup>713</sup> მოვალე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ დამაბრკოლებელი გარემოება აღმოცენდება მოვალის მიერ ვადის გადაცილების პროცესში, ამასთან, დაბრკოლება ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდა ვალდებულების შესრულებაზე, ვადის გადაცილების არარსებობის შემთხვევაში.<sup>714</sup>

უნიფიცირებული კერძო სამართლის კალევის საფუძველზე შესრულების გართულებისა და ფორმაჟორის ცნებებისა და მათი გამოყენების სამართლებრივი წინაპირობების ანალიზი სსკ-ით განმტკიცებული ანალოგი კონცეფციების განმარტების ქმედით საშუალებად შეიძლება იქნეს გამოყენებული და მათ ზოგად სახელშეკრულებო პრინციპებად აღიარების საფუძველს ქმნის.

## 8. მიზეზობრივი კავშირი

პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ასევე, მიზეზობრივი კავშირის არსებობა შესრულების დაბრკოლებასა და მის გამომწვევ გარემოებას შორის, რომელიც, თავის მხრივ, უნდა აკმაყოფილებდეს ყველა ზემოგანხილულ წინაპირობას.<sup>715</sup> მიზეზობრივი კავშირის არსებობის მტკიცების ტვირთი მოვალეს ეკისრება.<sup>716</sup> შესაბამისად, მხარე ვერ განთავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, რომელიც წინასწარ უარს განაცხადებს შესრულებაზე, ხოლო შემდგომ საქონელი შემთხვევით

<sup>711</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 383; Lee W., Exemptions of Contract Liability Under the 1980 United Nations Convention, Dick. J. Int'l. L., Vol. 8, 1990, 388, <[www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lee.html](http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lee.html)>, [05.07.2014].

<sup>712</sup> Flambouras D.P., The Doctrines of Impossibility of Performance and Clausula Rebus Sic Stantibus in the 1980 Vienna Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law: A Comparative Analysis, Pace Int'l L. Rev., Vol. 13, 2001, 273, <[www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/flambouras1.html](http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/flambouras1.html)>, [05.07.2014].

<sup>713</sup> Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1069; Lee W., Exemptions of Contract Liability Under the 1980 United Nations Convention, Dick. J. Int'l. L., Vol. 8, 1990, 390, <[www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lee.html](http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lee.html)>, [05.07. 2014].

<sup>714</sup> Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1070. იბ. ასევე, სსკ-ის 402-ე მუხლი, რომელიც მოვალეს პასუხისმგებლობას აკისრებს ვადის გადაცილების შემდგომ აღმოცენებული შემთხვევითობისთვის.

<sup>715</sup> Liu Ch., Newman M.S. (ed.), Remedies in International Sales, Perspectives from CISG, UNIDROIT Principles and PECL, JurisNet, LLC, Huntington, New York, 2007, 684.

<sup>716</sup> ICC Arbitration Case No. 7197/1992, მიზეზობრივი: Flambouras D.P., The Doctrines of Impossibility of Performance and Clausula Rebus Sic Stantibus in the 1980 Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law - A Comparative Analysis, Pace Int'l L. Rev., Vol. 13, 2001, 273, <[heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/pacnlwr13&collection=journals&page=261](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/pacnlwr13&collection=journals&page=261)>, [05.07.2014].

დაიღუპება.<sup>717</sup> თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ თუ ზიანი ვალდებულების შესრულების შემთხვევაშიც დადგებოდა, აღნიშნული მიჩნეულ უნდა იქნეს ვალდებულების დამრღვევი სუბიექტის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად.<sup>718</sup>

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები: თუ მოვალე ბრალეულად უარს აცხადებს ობიექტურად განხორციელებადი ვალდებულების შესრულებაზე, მაშინ აღნიშნულის შემდეგ საქონლის შემთხვევით (არაბრალეულად) დაღუპვისას ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობა, სამართლიანობის გათვალისწინებით, მასვე უნდა ეკისრებოდეს. თუ მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ განცხადება მისი ბრალეული მოქმედებით არ არის გამოწვეული, მაშინ გონივრულია, რომ შემთხვევითობისათვის უნდა გამოირიცხოს მისი პასუხისმგებლობაც.

## VI. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგი

სახელშეკრულებო ურთიერთობაში აღმოცენებული შეცვლილი გარემოებების კვლევა ვალდებულების შესრულებაზე მათი გავლენის ხარისხით და თანამდევი სამართლებრივი შედეგების განსაზღვრის თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი.

წინამდებარე თავი მიზნად ისახავს ვალდებულების შესრულების გართულების პირობებში უმთავრესად გამოსაყენებელი სამართლებრივი დაცვის საშუალების – შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების, როგორც შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგის, მოლაპარაკების წარმოების პრინციპებისა და სავალდებულობის, კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის შედეგების, მოსამართლის როლისა და სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლების კვლევას შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების პროცესში.

<sup>717</sup> Tallon D., Bianca C.M., Bonell M.J. (eds.), Exemptions, in Commentary on the International Sales Law, 1987, §2.6.6, 583, მთითებულია: Flambouras D.P., The Doctrines of Impossibility of Performance and Clausula Rebus sic Stantibus in the 1980 Vienna Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law: A Comparative Analysis, Pace Int'l L. Rev., Vol. 13, 2001, 273, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/flambouras1.html#iie>>, [05.07.2014].

<sup>718</sup> Enderlein F., Maskow D., International Sales Law, United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods: Convention on the Limitation Period in the International Sale of Goods: Commentary, Oceana Publications, 1992, §3.4, 322, მთითებულია: Flambouras D.P., The Doctrines of Impossibility of Performance and Clausula Rebus Sic Stantibus in the 1980 Vienna Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law: A Comparative Analysis, Pace Int'l L. Rev., Vol. 13, 2001, 273, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/flambouras1.html#iie>>, [05.07.2014].

1. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება როგორც  
გალდებულების შესრულებისა და სახელშეკრულებო სამართლიანობის  
უზრუნველყოფის მექანიზმი

გართულებული სამოქალაქო ბრუნვის პირობებში გრძელვადიანი სა-  
ერთაშორისო კომერციული კონტრაქტები განსაკუთრებით მგრძნობიარე  
გახდა სახელშეკრულებო ურთიერთობაში აღმოცენებული შეცვლილი გარე-  
მოებების მიმართ.<sup>719</sup>

შეცვლილ გარემოებათა პირობებში ვალდებულების შესრულების სა-  
კითხის მოწესრიგება ხელშეკრულების ადაპტაციის გზით, მხარეთა და ზო-  
გადად, საზოგადოების საუკეთესო ინტერესებს შეესატყვისება, იმ შემთხვე-  
ვაში, თუ სახელშეკრულებო ბოჭვის პრინციპისადმი ფორმალური ერთგუ-  
ლება ზემოხსენებული საუკეთესო ინტერესების განხორციელებისათვის  
დაბრკოლებად იქცევა.<sup>720</sup> ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი  
ადაპტაციისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს „ხელშეკრულების სტაბილუ-  
რობისა“<sup>721</sup> და „ხელშეკრულების მოქნილობის“<sup>722</sup> პრინციპთა ბალანსირება.

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება შესრუ-  
ლების გართულების სამართლებრივ შედეგად განიხილება.<sup>723</sup> ხელშეკრულე-  
ბის ადაპტაცია, ჩვეულებრივ, გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთო-  
ბაში გამოიყენება შეცვლილი გარემოებების გავლენით მხარეთა ეკონომი-  
კურ ინტერესებს შორის წონასწორობის რდვევისას<sup>724</sup>, ეკონომიკური ინტე-  
რესის შენარჩუნების გათვალისწინებით<sup>725</sup> სამომავლო თანამშრომლობის  
უზრუნველყოფის მიზნით.<sup>726</sup>

ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპის თანახმად, ხელშეკრულე-  
ბის გადასინჯვა, შესაძლებელია, ფორმალური სამართლიანობისათვის საფ-  
როხედ იქნეს განხილული. თუმცა, თანამედროვე დოქტრინისთვის პირობათა  
უცვლელობა-დაურღვევლობა არ შეიძლება სახელშეკრულებო სამართლის

<sup>719</sup> Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 5.

<sup>720</sup> იქვე, 29.

<sup>721</sup> Frick J.G., Arbitration and Complex International Contracts, Kluwer Law International, Schulthess, 2001, 36.

<sup>722</sup> იქვე.

<sup>723</sup> გერმანულ სამართალში ხელშეკრულების საფუძვლის რდვევა წარმოშობს ხელშეკრუ-  
ლების ადაპტაციის მოთხოვნას, როგორც ავტომატურ სამართლებრივ შედეგს. იხ. BGH, LM  
§242 (ba) BGB Nr. 38; BGH NJW 1972, 152. მსგავს მიღვომას იზიარებს იტალური სამართლის  
დოქტრინა. იხ. ასევე, Rimke J., Force Majeure and Hardship: Application in International Trade Practice  
with Specific Regard to the CISG and the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, Pace  
Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods, Kluwer, 1999-2000, 196-197,  
<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/rimke.html#7>, [24.06.2014].

<sup>724</sup> Draetta U., Lake R B., Nanda V.P., Breach and Adaptation on International Contracts, An Introduction to Lex Mercatoria, Butterworth Legal Publishers, 1992, 169.

<sup>725</sup> Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 37.

<sup>726</sup> იქვე, 33.

უზენაეს დირებულებად იქნეს ცნობილი. სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ მოქმედი ახალი პრინციპები, როგორიცაა პროპორციულობა, განგრძობადობა და უწყვეტობა განიხილება ხელშეკრულების გადასინჯვის კანონიერების დასასაბუთებლად.<sup>727</sup> ხელშეკრულების გადასინჯვა მისი სტაბილურობისა და ურთიერთობის გაგრძელების წინაპირობაა. რისკებისა და შეცვლილი გარემოებების გავლენით წარმოშობილი ზარალისა და სარგებლის ურთიერთგაზიარება მხარეთა მიერ („გაზიარების პრინციპი“) უსამართლობის პრევენციას ახდენს.<sup>728</sup>

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების ადაპტაცია მის შეწყვეტასთან ან მკაცრ აღსრულებასთან შედარებით მნიშვნელოვან წილად უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესების განხორციელებას. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების უპირატესობა იმ შემთხვევითაც ვლინდება, როდესაც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და ზიანის ანაზღაურება ვერ უბრუნებს მხარეებს მათ თავდაპირველ მდგომარეობას. მაგალითად, თუ გაწეულია მნიშვნელოვანი დანახარჯები იმ ნივთებზე, რომლებიც გამოუყენებელი დარჩება მოვალის შესრულების ვალდებულებისაგან განთავისუფლების შემთხვევაში.<sup>729</sup>

კონტრაქტებს შეუძლიათ გაზარდონ სახელშეკრულებო სარგებელი, თუ ურთიერთობის განმავლობაში ისინი შეინარჩუნებენ მოქნილობას და ამით დაზოგავენ დავის წარმოებისათვის აუცილებელ ხარჯებს სახელშეკრულებო კრიზისის აღმოცენების შემთხვევაში.<sup>730</sup> ამიტომაც, როგორც წესი, მხარეები ინტერესთა ბალანსის აღდგენისათვის შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების წესს ანიჭებენ უპირატესობას ურთიერთობის შეწყვეტასთან შედარებით.<sup>731</sup>

აღნიშვნული მიზეზით განამდეკიცებს უნიფიცირებული კერძო სამართლი და უმრავლესი ეროვნული სამართლის სისტემა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მიზნით მხარეთა მოლაპარაკების სავალდებულობის დანაწეს.

<sup>727</sup> Mazeaud D., La révision du contrat. Rapport Français. In: Société de Législation comparée (Ed.), Le Contrat: Juornées Brésiliennes. Société de Législation comparée: Paris, 2008, 560-561, მთითებულია: Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 239

<sup>728</sup> Fried C., Contract as Promise: A theory of Contractual Obligations, Harvard University Press: Cambridge, Mass, 1981, 69-73.

<sup>729</sup> Hubbard S.W., Relief from Burdensome Long-Term Contracts: Commercial Impracticability, Frustration of Purpose, Mutual Mistake of Fact, and Equitable Adjustment, Mo. L. Rev., Vol. 47, 1982, 103, <<http://heinonline.org/HOL/Print?collection=journals&handle=hein.journals/molr47&id=139>>, [24.06.2014].

<sup>730</sup> Hillman R.A., Court Adjustment of Long-Term Contracts: An Analysis Under Modern Contract Law, Duke L.J., 1987, 5-6, მთითებულია: Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 238.

<sup>731</sup> იბ.: Draetta U., Lake R.B., Nanda V.P., Breach and Adaptation on International Contracts, An Introduction to Lex Mercatoria, Butterworth Legal Publishers, 1992, 171; Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 13.

## 2. სამართლებრივი სისტემების კონცეფტუალური მიდგომების შესახებ

ხელშეკრულების ადაპტაციის მქანიზმის საშუალებით სახელშეკრულებო თავისუფლების სივრცეში სამართლებრივი სისტემების ჩარევის ხარისხი მნიშვნელოვნად განსხვავებულია.<sup>732</sup> შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების<sup>733</sup> საკითხისადმი ანგლოამერიკული და კონტინენტური სამართლებრივი სისტემა კონცეფტუალური განსხვავებულ მიდგომას აკლენს: საერთო სამართალში ხელშეკრულების განუხორციელებლობისა და სახელშეკრულებო მიზნის ამაოების დოქტრინათა გამოყენების სამართლებრივი შედეგი არის ხელშეკრულების შეწყვეტა. გერმანული სამართლისგან განსხვავებით, ინგლისური სამართლის სახელშეკრულებო მიზნის ამაოების დოქტრინა არ ითვალისწინებს სასამართლოს მიერ ხელშეკრულების ადაპტაციის შესაძლებლობას.<sup>734</sup> სასამართლოს ჩარევა ხორციელდება ზიანისა და უარყოფითი შედეგების მხარეთა შორის გადანაწილების მიზნით, რაც ხელშეკრულების გადასიჯვად მიიჩნევა, ხოლო კონტინენტურ სამართალში მსგავსი სამართლებრივი რეალობა ხელშეკრულების შეწყვეტის ტიპურ შემთხვევას უტოლდება მხარისთვის ზიანის ანაზღაურების გალდებულების დაკისრებით.

საერთო სამართალში მოქმედებს მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპი, რომლის გამოყენებისა და უკიდურესად გართულებული ვალდებულების მკაცრი სიზუსტით შესრულების თავიდან აცილების მიზნით, სახელშეკრულებო ურთიერთობის წინასწარი შეწყვეტა სასამართლოს მიერ აღნიშნულ სისტემაში ხელშეკრულების მოდიფიცირებად არის მიჩნეული.<sup>735</sup>

ამრიგად, ხელშეკრულების ამაოების ან განუხორციელებლობის აღმოცენების შემდგომ სასამართლოს ჩარევა მხოლოდ ხელშეკრულების შეწყვეტის და არა მისი სამომავლო შესრულების უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. კონტინენტურსამართლებრივ სისტემაში ხელშეკრულების გადასიჯვა მეორადი მოთხოვნის უფლებების განხორციელების რეჟიმში ტრანსფორმაციის გარეშე, პირველადი სახელშეკრულებო ვალდებულების შეცვლილი პირობებით შესრულებას გულისხმობს.

<sup>732</sup> Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 74.

<sup>733</sup> შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მნიშვნელობით კომერციულ სახელშეკრულებო ურთიერთობებში არაერთი ტერმინი გამოყენება: ადაპტაცია, მოდიფიცირება, შეგუება, გადახედვა, შეცვლა, შეთანხმება და ა.შ. იხ. Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 17.

<sup>734</sup> Beale H., Hartkamp A.(eds.), Cases, Materials and Text on Contract Law, Oregon, Hart Publishing Oxford and Portland, 2002, 607.

<sup>735</sup> Collins H., The Law of Contract. LexisNexis Butterworths: London, 2003, 294, მთითებულია: Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 236.

ამერიკის ერთიანი სავაჭრო კოდექსი (შემდგომში – აესკ)<sup>736</sup> სასამართლოს ანიჭებს ხელშეკრულებაში არსებული ხარვეზის შევსების უფლება-მოსილებას – სამართლიანობისა და გონივრული განსჯის საფუძველზე გადაწყვიტოს დამატებითი შესრულების საკითხი.<sup>737</sup> მნიშვნელოვან გადაწყვეტილებად შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების ადაპტაციის შესახებ, შესაძლებელია, დასახელდეს საქმე: აღუმინის ამერიკული კომპანია ეხებს ჯგუფის წინააღმდეგ<sup>738</sup>, რომლის განხილვისას სასამართლომ კომერციული განუხორციელებლობის დოქტრინის საფუძვლით მოახდინა არატრადიციულად შესრულების ვალდებულებისაგან განთავისუფლება, არამედ წინასწარ გაუთვალისწინებელი შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება, რისკებისა და ზარალის მხარეებზე გადანაწილების გზით.<sup>739</sup>

აესკ-ის 2-209-ე პარაგრაფის თანახმად, შეთანხმების მბოჭავი ძალა, რომელიც სახელშეკრულებო პირობების ცვლილებას ითვალისწინებს, არ შეიძლება იყოს სადავო. თუმცა, ასეთი ცვლილებები განხორციელებული უნდა იყოს კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად. ამასთან, კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევით თავდაპირველი ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე თავის არიდება ან შეთანხმების მოდიფიცირების იძულება ლეგიტიმური კომერციული მიზეზისა და ინტერესის გარეშე, ჩაითვლება კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევად.<sup>740</sup> თუმცა აესკ-ით რეგლამენტირებული შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების წესი სასამართლო პრაქტიკაში შედარებით იშვიათად გამოიყენება.<sup>741</sup>

---

<sup>736</sup> Uniform Commercial Code, Cornell University Law School, Legal Information Institute, Copyright 1978, 1987, 1988, 1990, 1991, 1992, 1994, 1995, 1998, 2001. The American Law Institute and the National Conference of Commissioners on Uniform State Laws; reproduced, published and distributed with the permission of the Permanent Editorial Board for the Uniform Commercial Code for the limited purposes of study, teaching, and academic research, 2003,

<<http://www.law.cornell.edu/ucc/ucc.table.html>>, [24.06.2014].

<sup>737</sup> Hillman R.A., Principles of Contract Law, 2<sup>nd</sup> ed., The Concise Hornbook Series, West, 2009, 331.

<sup>738</sup> Aluminum Co. of American vs. Essex Group, Inc., 449 F. Supp.53 (W.D. Pa.1980).

<sup>739</sup> Halpern S.W., Application of the Doctrine of Commercial Impracticability: Searching for “The Wisdom of Solomon”, U. Pa. L. Rev., Vol. 135, No.5, 1987, 1125,

<[http://scholarship.law.upenn.edu/cgi/viewcontent.cgi?article=3961&context=penn\\_law\\_review](http://scholarship.law.upenn.edu/cgi/viewcontent.cgi?article=3961&context=penn_law_review)>, [24.06.2014].

<sup>740</sup> Uniform Commercial Code, Cornell University Law School, Legal Information Institute, Copyright 1978, 1987, 1988, 1990, 1991, 1992, 1994, 1995, 1998, 2001. The American Law Institute and the National Conference of Commissioners on Uniform State Laws; reproduced, published and distributed with the permission of the Permanent Editorial Board for the Uniform Commercial Code, 2003, <<http://www.law.cornell.edu/ucc/ucc.table.html>>, [24.06.2014].

<sup>741</sup> Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 235; Goldber V.P., Framing Contract Law, An Economic Perspective, Harvard University Press, Cambridge, Massachusetts and London, England, 2006, 326.

### 3. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება მხარეთა მოლაპარაკების გზით

#### 3.1. კეთილსინდისიერების პრინციპის გაფლენა სამართლის ინსტიტუტების განვითარებაზე

კონტინენტური ეკონომიკის ქვეყნების უმრავლეს სამართლებრივ სისტემი ვალდებულებითი სამართლი აღიარებს და იცავს ფუნდამენტურ პრინციპს, რომ ხელშეკრულების ფორმირებისა და მისი აღსრულების ეტაპზე მხარეები უნდა ხელმძღვანელობდნენ კეთილსინდისიერების პრინციპით, რომელიც თავისი არსით სამართლიანობის უზრუნველყოფას გულისხმობს.<sup>742</sup> შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების დოქტრინა, როგორც სახელშეკრულებო ინტერესის რეალიზების მექანიზმი, სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე აღმოცენდა. „საუკუნეების განმავლობაში „კეთილსინდისიერების დათქმაზე“ დაყრდნობით კერძო სამართლის არაერთი ინსტიტუტი ჩამოყალიბდა და განვითარდა.“<sup>743</sup> ამ პრინციპის პირმშობის შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების დოქტრინაც.<sup>744</sup>

„კეთილსინდისიერების პრინციპი ინდივიდის მოქმედებას სამართლიანობის კრიტერიუმთან ურთიერთკავშირში განიხილავს. იგი ინდივიდის მოქმედების თავისუფლების ერთგვარი შეზღუდვაა. პირი ცალკეულ შემთხვევაში „კეთილსინდისიერად“ მიჯნავს სამართლიანს უსამართლოსგან და თავის ქცევას სამართლიანობის კრიტერიუმს შეუსაბამებს. მას უნდა სწამდეს, რომ სამართლიანად იქცევა, ანუ ისე, როგორც ამას ობიექტური დამკვირვებელი თუ მიუკარძოებელი პირი სამართლიანად შეაფასებდა. სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპს დაქვემდებარებული მოქმედების თავისუფლებიდან გამომდინარეობს სუბიექტის მიერ სხვა პირის ინტერესების გათვალისწინების ვალდებულება იმ მოცულობით, რომელიც არ იწვევს თავად მისი ინტერესების არათანაზომიერ შეზღუდვას.“<sup>745</sup>

სხვადასხვა სამართლის სისტემაში კეთილსინდისიერების პრინციპისათვის მინიჭებული განსხვავებული ფუნქცია იმავდროულად ამ პრინციპის განსხვავებულ მნიშვნელობას განაპირობებს. გერმანულ სამართლში კეთილსინდისიერი ქცევა მხარეთა უპირველესი ვალდებულებაა. ყველა უფლუ-

<sup>742</sup> Collins H., The Law of Contract, Cambridge University Press, New York, 2003, 216-217; იხ. ასევე, სსკ-ის 261-ე II მუხლი.

<sup>743</sup> კერძებული და, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 84.

<sup>744</sup> Tallon D., წიგნში: Hartkamp A.S., Hesselink M., Hondius E.H., du Perron E., Joustra C., Veldman M.(eds.), Towards a European Civil Code, 3<sup>rd</sup> ed., Kluwer Law International, 2004, 503; იხ. ასევე, ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა, „სამართლის უზრნალი“, №2, 2011, 139-142.

<sup>745</sup> კერძებული და, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 83.

ბისა და მოვალეობის განხორციელება კეთილსინდისიერების ძირითად წესს უნდა ეფუძნებოდეს.<sup>746</sup>

გერმანულ სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ დოქტრინაში კეთილსინდისიერების პრინციპის განმამტკიცებელი გსკ-ის 242-ე პარაგრაფი ყოვლისმომცველ ზოგად დებულებად ჩამოყალიბდა, რომლის გამოყენებაც სცილდება მის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას და ზეგავლენას ახდენს მოელ სამართლის სისტემაზე.<sup>747</sup>

გერმანული სამართლის გავლენით კეთილსინდისიერების ვალდებულება უნივერსალური პრინციპის<sup>748</sup> სახით განმტკიცდა სსკ-ის არაერთ მუხლში, ხოლო ვალდებულებით სამართლში ასახვა პპოვა 361-ე II მუხლის<sup>749</sup> შინაარსით. საკანონმდებლო დონეზე პრინციპის რეგლამენტაციასთან ერთად, მიზანშეწონილია, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში გაიზარდოს აღნიშნული ნორმატიული პრინციპის მოქმედების შემთხვევები და იგი „გამოყენებულ იქნეს სამართლიანი შედეგების დადგომისათვის და, ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებისათვის.“<sup>750</sup> კეთილსინდისიერების პრინციპის ფართო გამოყენება სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად რეალურად უზრუნველყოფდა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და მის მონაწილეობა ინტერესების სამართლიან გადანაწილებას.

### 3.2. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მიზნით მოლაპარაკების წარმოების ვალდებულება კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით

უმრავლეს ევროპულ სამართლებრივ სისტემაში შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება უმთავრესად მხარეთა მიერ ხორციელდება, თუმცა აღნიშნული უფლებამოსილება მინიჭებული აქვს სასამართლოსაც. თუ სასამართლო უშედეგოდ მიიჩნევს კონტრაკენტებზე მოლაპა-

<sup>746</sup> Firoozmand M.R., Changed Circumstances and Immutability of Contract: a Comparative Analysis of Force Majeure and Related Doctrines, Bus. L. Int'l, Vol. 8, No. 2, 2007, 170,  
[http://heinonline.org/HOL/Welcome?message=Please%20log%20in&url=%2FHOL%2FPrint%3Fhandle%3Dhein.journals%2Fblawintnl2007%26div%3D17%26collection%3Djournals%26set\\_as\\_cursor%3D1%26men\\_tab%3Dsrchresults](http://heinonline.org/HOL/Welcome?message=Please%20log%20in&url=%2FHOL%2FPrint%3Fhandle%3Dhein.journals%2Fblawintnl2007%26div%3D17%26collection%3Djournals%26set_as_cursor%3D1%26men_tab%3Dsrchresults), [24.06.2014].

<sup>747</sup> Palandt/Heinrichs, 2003, §242, Rdnr. 16, მთითებულია: კერძესლიდ დ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, ქურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 7/2004-1, 34.

<sup>748</sup> ამ პრინციპის უნივერსალურობაზე მეტყველებს სსკ-ის მე-8 III მუხლი, რომელიც განმტკიცებულია სსკ-ის ზოგად ნაწილში და ყველა სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობას მიემართება.

<sup>749</sup> აღნიშნული მუხლი აწესებს ვალდებულების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულების სავალდებულობას.

<sup>750</sup> იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართლში, (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა), „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გაცემა, 2007, 12.

რაკების გალდებულების დაკისრებას, მაშინ თავად ახორციელებს ხელშეკრულების ადაპტაციას.<sup>751</sup>

კონტინენტური ევროპის ქვეყნებში შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპთა საფუძველზე ხორციელდება.<sup>752</sup> შეცვლილი გარემოებების გავლენით შესრულების გართულების წარმოშობისას, კეთილსინდისიერების პრინციპი მხარეებს აკისრებს ურთიერთთანამშრომლობის გალდებულებას ხელშეკრულების ადაპტაციის მიზნით, ხოლო სასამართლოს ანიჭებს მისი მისადაგების უფლებამოსილებას, რომელიც მოწოდებულია სახელშეკრულებო სამართლიანობისა და წონასწორობის აღდგენისათვის მხარეთ თავდაპირველი მიზანი განმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპის ჭრილში.

თანამედროვე სამართლებრივ სივრცეში ხელშეკრულება განიხილება, როგორც მხარეთა ლეგიტიმური მიზნებისა და ინტერესების ამსახველი შეთანხმება და არა მარტო დანართობის უფლებებისა და მოვალეობების მკაცრად მარეგლამენტირებელი დოკუმენტი.<sup>753</sup>

სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეებს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად კისრებათ ურთიერთთანამშრომლობის გალდებულება.<sup>754</sup> ევროპული პრინციპების თანახმად, ურთიერთთანამშრომლობის გალდებულების შეუსრულებლობა, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, გალდებულების დარღვევის დამოუკიდებელ სახეს აფუძნებს და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმების<sup>755</sup> გამოყენების უფლებას აღმოაცენებს.<sup>756</sup> მოლაპარაკების წარმოება ხელშეკრულების ადაპტაციის მიზნით, მხარეთა თანაქმედების გალდებულების გამოხატულებად უნდა განიმარტოს.

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მიზნით მხარეთა მოლაპარაკების საგალდებულოობა აღნიშნული გალდებულების სახელშეკრულებო დათქმებით განმტკიცებისგან დამოუკიდებლად მოქმედებს. ხსენებული გალდებულება განსაკუთრებით მკაცრად ვრცელდება შრომითსახელშეკრულებო ურთიერთობებზე. მოლაპარაკების საგალდებულოობის პრინციპი კონტინენტური სამართლის სისტემის არსობრივი მახასიათებელია, რამეთუ ის განსაკუთრებით ორიენტირებულია სახელშეკრულებო

<sup>751</sup> Frick J.G., Arbitration and Complex International Contracts, Kluwer Law International, Schulthess, 2001, 183.

<sup>752</sup> Draetta U., Lake R.B., Nanda V.P., Breach and Adaptation on International Contracts, An Introduction to Lex Mercatoria, Butterworth Legal Publishers, 1992, 183.

<sup>753</sup> Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 74.

<sup>754</sup> ი. ევროპული პრინციპების 1:201-ე მუხლი.

<sup>755</sup> მათ შორის, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას (შენიშვნა – 6.ჩ.).

<sup>756</sup> Busch D., Hondius E., Kooten H.V., Schelhaas H.N., Schrama W. (eds.), The Principles of European Contract Law and Dutch Law: A Commentary, Kluwer Law International, Ars Aequi Libri, Nijmegen, 2002, 52.

ურთიერთობის დაცვასა და ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა-<sup>757</sup>  
ზე.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის წესები ხელშეკრულების ადაპტა-  
ციის შესახებ და უნიტიტალის წესები შემათანხმებელი პროცედურების შე-  
სახებ, მართალია, არ განამტკიცებენ ფორსმაჟორისა და შესრულების გარ-  
თულების ცნებებს, მაგრამ განამტკიცებენ მოლაპარაკების ვალდებულებას  
ხელშეკრულების ადაპტაციის მიზნით.<sup>758</sup> შეცვლილი გარემოებების აღმოცე-  
ნება ავტომატურად არ წარმოშობს ადაპტაციის ვალდებულებას, არამედ  
მოლაპარაკების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს მხარეს.<sup>759</sup> ვალდებულების  
შესრულების გართულება კონტრაქტენტების მიმართ აღმოაცენებს მოლაპარა-  
კებაში ჩართვის ვალდებულებას შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრუ-  
ლების მისადაგების მიზნით. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლო-  
ბის შემთხვევაში ხელშეკრულების მისადაგებას ახორციელებს დამოუკიდე-  
ბელი მესამე პირი მოსამართლის ან არბიტრის სახით.<sup>760</sup>

დაოქმა *Clausula Rebus Sic Stantibus* შეცვლილი გარემოებების არსებო-  
ბისას ითვალისწინებს მოლაპარაკებათა გამართვას კონტრაქტის ადაპტაცი-  
ის უზრუნველსაყოფად, შეთანხმების პირობების გადახედვას იმგვარად, რომ  
შესრულების გაგრძელება შესაძლებელი გახდეს.<sup>761</sup> ამდენად, შეცვლილი გა-  
რემოებების პირობებში მხარეთა უმთავრესი მიზანი ხელშეკრულების შე-  
ნარჩუნება უნდა იყოს.<sup>762</sup>

უნიფიცირებულ კერძო სამართალში შეცვლილი გარემოებების გავ-  
ლენით შესრულების უკიდურესი დამძიმების შემდგომ დაზარალებულ მხა-  
რეს წარმოეშობა სახელშეკრულებო მოლაპარაკებაში ჩართვის მოთხოვნა  
კონტრაქტის მიმართ.<sup>763</sup>

DCFR-ის III.-1:110(2)(d) მუხლი მხარეს აკისრებს ვალდებულებას კე-  
თილსინდისიერებისა და გონიერების პრინციპის დაცვით მოლაპარაკების  
გზით მიაღწიოს სახელშეკრულებო ვალდებულებების მომწესრიგებელი  
ნორმების გონივრულ და სამართლიან ადაპტირებას.<sup>764</sup> ევროპული პრინციპე-

<sup>757</sup> Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 65.

<sup>758</sup> იქვე, 38.

<sup>759</sup> BGHZ 10, 44, 51; 350 F; BGH NJW 1967, 1081; BGH WM 1975, 769.

<sup>760</sup> Schwenzer I., Hachem P., Kee Ch., Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012, 672-673.

<sup>761</sup> გოვიაშვილი გ., Clausula Rebus Sic Stantibus, დინამიკა და სტატიკა სამართალში, ქურნ. „ქართული სამართლის მიმრეცვა“, 9/2006-1/2, 110.

<sup>762</sup> Pizer L.K., Smith M.R. (eds. in Chief), Southerington T., Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 2002-2003, Kluwer Law International, The Hague, London, New York, 2004, 264.

<sup>763</sup> Gabriel H.D., Contract for the Sale of Goods, A Comparison of Domestic and International Law, Oceana Publications, Inc, Dobbs, Ferry, New York, 2004, 221.

<sup>764</sup> Bar Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Vaneziano A., Zoll F. (eds.), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference, Study Group on a European Civil Code and Research Group on EC Private Law (Acquis Group), Sellier, European Law Publishers GmbH, Munich, 2009, 737,  
<[http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law_en.pdf)>, [24.06.2014].

ბისა და უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების ძალით მხარეთა სასამართლოსადმი მიმართვის უფლების წინაპირობად დადგენილია სახელშეკრულებო მოლაპარაკების წარუმატებლობა,<sup>765</sup> რაც იმავდროულად გულისხმობს, რომ მხარეთა ურთიერთმოლაპარაკება კონტრაქტითა კანონით განმტკიცებული ვალდებულებაა. უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 6.2.3-ე მუხლი ანიჭებს მხარეს მოლაპარაკებაში კონტრაქტის მოწვევის უფლებას, რასაც ბუნებრივია, შეესატყვისება ხელშემკვრელი მხარის სანაცვლო ვალდებულება. მრავალ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაშიც აღიარებულია მოლაპარაკებაში ჩართვის ვალდებულება.<sup>766</sup>

კეთილსინდისიერების პრინციპი არის სახელშეკრულებო მოლაპარაკებაში კონტრაქტის ჩართვის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ფსკ-ში.<sup>767</sup> გსკ-ის 313-ე პარაგრაფი პირდაპირ არ მიუთითებს მოლაპარაკებაში ჩართვის ვალდებულებაზე, თუმცა დავის გადაწყვეტისას შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების ადაპტაციის უპირატესობა მის შეწყვეტასთან შედარებით მოლაპარაკების ეტაპის სავალდებულოობაზე მეტყველებს. გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში კი აღიარებულია მიღვომა, რომ მხარეს უნიჭება შეტყობინების გაგზავნისა და სახელშეკრულებო მოლაპარაკების მოთხოვნის უფლება<sup>768</sup>. გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრაქტიკიდან ვლინდება, რომ მართლმსაჯულება უპირატესობას გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მხარეთა ნების თავისუფლების პრინციპის საფუძველზე განხორციელებულ სახელშეკრულებო მოლაპარაკებას ანიჭებს.<sup>769</sup> თვით გერმანული ვალდებულებითი სამართლის რეფორმამდევ გერმანული სასამართლო პრაქტიკა ხელშეკრულების საფუძვლის რდგევისას მხარეთა უპირველეს ვალდებულებად აღიარებდა კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე ურთიერთმოლაპარაკების სავალდებულოობას ხელშეკრულების ადაპტაციის მიზნით.<sup>770</sup>

ამერიკულ სამართლებრივ დოქტრინაში კეთილსინდისიერების პრინციპი არის მიჩნეული, როგორც კონტრაქტის მოლაპარაკებაში ჩართვის

<sup>765</sup> Gabriel H.D., Contract for the Sale of Goods, A Comparison of Domestic and International Law, Oceana Publications, Inc, Dobbs, Ferry, New York, 2004, 221.

<sup>766</sup> 2000 Arbitral Award ICC International Court of Arbitration (No.10021); December 2001 Arbitral Award ICC International Court of Arbitration (No. 9994), Centro de Arbitraje de México (CAM), 30.11.2006, <<http://www.unilex.info/case.cfm?pid=2&do=case&id=1149&step=Abstract>>, მოთითებულია წიგნში: Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 209.

<sup>767</sup> ი. ფსკ-ის (French Civil Code, Translated by Rouquette G. with the assistance of Rouquette-Berton A., 2006) 1134-ე მუხლი.

<sup>768</sup> ი. OLG Karlsruhe, DB 1980, 254 (საქმე შეეხება ელექტროენერგიის მიწოდების გრძელვადოან ხელშეკრულებას).

<sup>769</sup> Horn N., Changes in Circumstances and the Revision of Contracts in some European Laws and in International Law, 1985, 23 წიგნში: Horn N.(ed.), Adaptation and Renegotiation of Contracts in International Trade and Finance, Deventer/The Netherlands, Kluwer Law and Taxation Publishers, 1985.

<sup>770</sup> Karampatzos A., Supervening Hardship as Subdivision of the General Frustration Rule. A Comparative Analysis with Reference to Anglo American, German, French and Greek Law, Eur. Rev. of Prv. L., Vol. 13, 2005, 134, <[www.KluwerLawInternational.com](http://www.KluwerLawInternational.com)>, [24.06.2014].

ვალდებულების დაკისრების საფუძველი, როდესაც შეცვლილი გარემოებების გავლენით მეორე მხარის მიერ უკიდურესად რთულდება ვალდებულების აღსრულება. კერძოდ, აქსკ-ის 1-304-ე პარაგრაფის თანახმად, ნებისმიერი ხელშეკრულება და მოვალეობა მისი განხორციელებისა და აღსრულების პროცესში ითვალისწინებს კეთილსინდისიერების ვალდებულების დაცვას.<sup>771</sup>

იტალიური იურიდიული დოქტრინის თანახმად, როდესაც ხელშეკრულების შესრულების პირობები აღარ შეესაბამება იმ „ეკონომიკურ ლოგიკას“, რომელიც ხელშეკრულების დადების ეტაპზე არსებობდა, მაშინ დაზარალებულ მხარეს აქვს უფლება მოითხოვოს მოლაპარაკებების დაწყება სახელშეკრულებო წონასწორობის აღდგენის მიზნით.<sup>772</sup>

სახელშეკრულებო მოლაპარაკების ვალდებულების საკანონმდებლო დონეზე რეგლამენტაცია მნიშვნელოვნად წაახალისებს დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის ფორმების გამოყენებას სასამართლო პროცესებთან შედარებით.<sup>773</sup> ხელშეკრულების შეწყვეტის საპირისპიროდ მხოლოდ მოლაპარაკების წარმოების გზით შეძლებენ მხარეები იყვნენ მოქნილნი, ხელი შეუწყონ ურთიერთნდობის ფორმირებასა და პქონდეთ კოორდინაცია კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით დავის გადაწყვეტის პროცესში,<sup>774</sup> რათა მიღწეულ იქნეს სახელშეკრულებო ურთიერთობის მიზანი – ვალდებულების შესრულება.<sup>775</sup>

ხელშეკრულება არის ინსტრუმენტი, რომელიც მხარეთა ლეგიტიმური მოლოდინის აღსრულებისათვის მოითხოვს მუდმივ ურთიერთთანამშრომლობას და თანაქმედების ვალდებულების განხორციელებას. ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულება, როგორც მხარეთა ქცევის სახელმძღვანელო პრინციპი, სახელშეკრულებო მოლაპარაკებას შეცვლილი გარემოებების აღმოცენების უპირობოდ თანამდევ პროცესად მოიაზრებს.<sup>776</sup>

<sup>771</sup> ამერიკული სამართლისგან კონცეფტუალურად განსხვავებული მიღორა აქვს ინგლისურ სამართლს, რომელიც არ იცნობს მხარეთა კეთილსინდისიერების, ლოიალობისა და თანაქმედების, შესაბამისად, სახელშეკრულებო მოლაპარაკებაში ჩართვის ვალდებულებას, იხ. *Cartwright J., Negotiation and Renegotiation: an English Perspective*. In: *Cartwright J., Vogenauer S., Whittaker S. (eds.), Reforming the French Law of Obligations, Comparative Reflections on the Avant-Projet De Réforme Du Droit Des Obligations Et De La Prescription ('the Avant-Projet Catala')*. Hart Publishing: Oxford, 2009, 52, მთითებულია წიგნში: *Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives*, Intersentia, 2011, 221.

<sup>772</sup> *Macario F., Adeguamento e rinegoziazione nei contratti a lungo termine*. Jovene Editore: Naples, 1996, 312, მთითებულია წიგნში: *Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives*, Intersentia, 2011, 220.

<sup>773</sup> *Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives*, Intersentia, 2011, 251.

<sup>774</sup> *Macneil I.R., The New Social Contract: An Inquiry into Modern Contractual Relations*, Yale University Press New Haven, CT., 1980, მთითებულია: *Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives*, Intersentia, 2011, 219.

<sup>775</sup> *Williston S., Lord R.A., A Treatise on the Law of Contracts*, Thomson/West: Rochester, New York, §77:10, 1990, 306.

<sup>776</sup> *Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives*, Intersentia, 2011, 238.

### 3.3. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მიზნით მოთხოვნის წარდგენის გალდებულება

სსკ-ის 398-ე I მუხლის თანახმად, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება შემდეგ სამართლებრივ წინაპირობებს უკავშირდება: თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდგომ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადგებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადგებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. საყურადღებოა ასევე, რომ ვალდებულების შესრულების ისეთი დაბრკოლება, როდესაც მხარეს არ შეიძლება (ე.ი. არაგონივრულია) მოუთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკარად დაცვა კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, იურიდიულ დოქტრინაში შესრულების გართულების წარმოშობის აუცილებელ წინაპირობად განიხილება, რამდენადაც შესრულების გონივრულობა ხელშეკრულების მბოჭავი ძალის განმსაზღვრელ კრიტერიუმად არის მიჩნეული.<sup>777</sup> ამ შემთხვევაში „ხელშეკრულება ხდება არა თანამშრომლობისა და თავისუფალი ბრუნვის საშუალება, არამედ ერთი მხარის მეორეზე დამორჩილების იარაღი“<sup>778</sup> შესაბამისად, „კანონმდებელმა გამართლებულად მიიჩნია სახელშეკრულებო ბოჭვისაგან იმ პირის განთავისუფლება, რომელიც გარემოებათა ცვლილების შედეგად მნიშვნელოვნად და არათანაზომიერად ზარალდება“<sup>779</sup> ასეთი შესრულება უთანასწორო მდგომარეობაში ჩააყენებდა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს.

ამდენად, შესრულების არაგონივრულობა, არარაციონალურობა შესრულების გართულების, როგორც კონცეფციის, სრულად დაფუძნების სხვა საგალდებულო წინაპირობებთან ერთად ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად და არა მის თანამდევ შედეგად უნდა იქნეს განსახილველ მუხლში განმტკიცებული.

მუხლის აღნიშნული ფორმულირება ეწინააღმდეგება ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნისა და მოლაპარაკების სავალდებულობის პრინციპს, რამეთუ ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება, არამედ პირდაპირ ხელშეკრულებიდან გასვლა.

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება ხელშეკრულების გადარჩენასა და მის აღსრულებას ემსახურება. ამიტომაც, როგორც ზემოთ დაწვრილებით იქნა ასენილი, უნიფიცირებულ კერძო სამარ-

<sup>777</sup> მაგალითად, გსკ-ის (German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005) §313 I.

<sup>778</sup> ზომიერ ბ., ეგროველი კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, კერძო სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2005, 281.

<sup>779</sup> ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართლში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2010, 68, <[http://tsu.edu.ge/data/file\\_db/faculty-law-public/sofio\\_chachava.pdf](http://tsu.edu.ge/data/file_db/faculty-law-public/sofio_chachava.pdf)>, [24.06.2014].

თალსა და უმრავლეს სამართლებრივ სისტემაში ერთმნიშვნელოვნად აღიარებულია მხარეთა მოლაპარაკების სავალდებულოობა ხელშეკრულების ადაპტაციის მიზნით. ამდენად, შეუძლებელია არსებობდეს შემთხვევები, როდესაც არ იქნება მოთხოვნილი შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მიზნით მხარეთა მოლაპარაკება როგორც ეს 398-ე I მუხლის ბოლო წინადადებაშია მითითებული. ამიტომ, ფრაზა „წინააღმდეგ შემთხვევაში“ არსობრივად ცვლის საკითხის რეგულირებას და მუხლის დანაწესიდან სრულად უნდა იქნეს ამოღებული. ამასთან, ფორმულირებას: „შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება“ უნდა მიენიჭოს იმპერატიული მნიშვნელობა და შესაძლებლობა უნდა განისაზღვროს ვალდებულების სახით. არსი სწორედ ისაა, რომ უპირველესად, სავალდებულო წესით უნდა განხორციელდეს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მცდელობა მხარეთა მიერ და მხოლოდ აღნიშნულის უშედეგოდ დასრულების შემდგომ შესაძლებელია ხელშეკრულების შეწყვეტა ხელშეკრულებიდან გასვლის გზით.

შესაბამისად, საკანონმდებლო დებულების დაზუსტება შესაძლებელია შემდეგი ფორმულირებით: ოუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადგებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადგებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ აღმოცენდება შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნა, თუ ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოჰთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცემა.

### 3.4 მოლაპარაკების მოთხოვნის სავალდებულოობა და მისი უარყოფის დაუშვებლობა

სსკ-ის 398-ე მუხლი წინააღმდეგობრივი რეგულირებით ხასიათდება. კერძოდ, III ნაწილის I წინადადება, ამავე მუხლის I ნაწილისგან განსხვავებით, შეცვლილ გარემოებათა პირობებში ხელშეკრულების ადაპტაციის მიზნით მოლაპარაკებას მხარეთა უპირველეს ვალდებულებად განსაზღვრავს: მხარეები ჯერ უნდა შეკვადონ, რომ ხელშეკრულება მიუხადაგონ შეცვლილ გარემოებებს. „მიზანი ამისა ისევ შესრულებისადმი მხარდაჭერაა, მხარეებისათვის იმისი შეხსენებაა, რომ შეცვლილ გარემოებებს ისინი კი არ უნდა გაექცნენ, არამედ ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ ხელშეკრულება შეაგურონ მათ. ამით სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობაც შენარჩუნდება და ხელშეკრულებაც შესრულდება“.<sup>780</sup> მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებას, ნაგულისხმე-

<sup>780</sup> ზოდე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, კერძო სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2005, 288-289.

ვად განიხილება სახელშეკრულებო ბოჭვის კომპონენტიდ,<sup>781</sup> რომლის მიზანი პრინციპის – ხელშეკრულება უნდა შესრულდეს – გატარებაა.

სსქ-ის 398-ე III მუხლის დარჩენილი ნაწილი ზემოთქმულის საწინააღმდეგო მოწესრიგებას ითვალისწინებს: თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. აღნიშნული საკანონმდებლო დებულება უგულებელყოფს სასამართლოს როლს<sup>782</sup> შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების პროცესში, რამდენადაც სახელშეკრულებო მოლაპარაკების ეტაპზე მისადაგების შეუძლებლობას ან ერთ-ერთი მხარის თანხმობის არარსებობას პირდაპირ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას უკავშირებს და სახელშეკრულებო მოლაპარაკების შემდგომ ეტაპად სასამართლოსადმი ადაპტაციის მოთხოვნის უფლების წარდგენას არ განიხილავს, მაშინ როდესაც, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტი პრეცედენტული სამართლის პირმშოა, რომელიც სასამართლო წიადში აღმოცენდა და შემდგომ პოვა საკანონმდებლო რეგლამენტაცია. „ეპროცეს სამართლშიც კი შეცვლილი გარემოებანი უმეტესწილად სასამართლო პრაქტიკაში დადგენილი გარემოებანია“.<sup>783</sup>

შენიშვნა საფუძვლიანად უნდა გამოითქვას იმ საკანონმდებლო დებულების მიმართ, რომელიც მხარეს ავტომატურად ანიჭებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას ხელშეკრულების მისადაგების მიმართ მისი თანხმობის არარსებობის შემთხვევაში. კრედიტორის უარი შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებაზე არ უნდა იყოს ანგარიშგასაწევი, რამდენადაც მას უპირისპირდება მოვალის პატივსადები ინტერესი, სახელშეკრულებო წონასწორობისა და ინტერესთა ბალანსის აღდგენის პრინციპი. მხარე ვალდებულია, ხელი შეუწყოს ხელშეკრულების გადარჩენისკენ მიმართულ დონისძიებებს და 398-ე III მუხლის განხილული წინადადების (თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება) ძალით არ შეიძლება მას ენიჭებოდეს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების უარყოფის უფლება პატივსადები საფუძვლის გარეშე. ხელშეკრულების ადაპტაციაზე უარი დასაშვებად შეიძლება იქნეს განხილული მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის ვერ უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესების დაბალანსებას. ამ პირობებშიც ხელშეკრულების ადაპტაციის საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება უნდა მიენდოს სასამართლოს. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებაზე მოლაპარაკების გზით შეთანხმების მიუღწევლობის პირობებში, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზებამდე ხელშეკრულების ადაპტაციის მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვა, დამატებითი შესრუ-

<sup>781</sup> Mekki M., Pelese M.K., Hardship and Modification (or ‘Revision’) of the Contract, 2010, 17,

<[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1542511](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1542511)>, [24.06.2014].

<sup>782</sup> ჭანტურია ლ., ზოდე ბ., ნინოდ თ., შენგელია რ., ხელშეკრულების კ. (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 407.

<sup>783</sup> იქვე, 400.

ლების მსგავსად, ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობად უნდა იქნეს განხილული.

ეკონომიკური შეუძლებლობისას ვალდებულება, მართალია, მოვალისათვის უკიდურესად მძიმეა შესასრულებლად, მაგრამ ეს სირთულე არ არის კრედიტორის შესრულების ინტერესთან მნიშვნელოვნად შეუსაბამო (არაპროპორციული). კრედიტორის შესრულების ინტერესსა და მოვალის შესრულების სირთულეს შორის შეუსაბამობა არ არსებობს – რამდენადაც რთულია ვალდებულების შესრულება მოვალისათვის, იმდენად მნიშვნელოვანია ამგვარი შესრულების მიღება კრედიტორისათვის. ამ პირობებში, ხელშეკრულების მისადაგება ყოველთვის მოვალის, როგორც დაზარალებული მხარის, ინტერესებს ეხმიანება, რომლისთვისაც თავდაპირველი პირობებით შესრულება მძიმე შედეგებს უკავშირდება. კრედიტორისათვის უმჯობესია ხელშეკრულების უცვლელი პირობებით შესრულება, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის მისთვის სახელშეკრულებო ინტერესს, ხელშეკრულების ფასსა და სარგებლიანობას. თუმცა კრედიტორისათვის შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების შესაბამისობაში მოყვანა არ იქნება მძიმე ეკონომიკური შედეგის მომტანი, რამდენადაც მისადაგების დროს სასამართლო მაქსიმალურად ხელმძღვანელობს კეთილსინდისიერებისა (სსკ-ის მე-8 III, 361-ე II მუხლები) და სამართლიანობის (სსკ-ის 325-ე მუხლი) პრინციპებით.

### 3.5. მოლაპარაკების გამართვის მიზანი და წინაპირობები

სახელშეკრულებო მოლაპარაკება მნიშვნელოვნად ამცირებს დავის წარმოშობის შესაძლებლობას და ხელს უწყობს ურთიერთობის მოწესრიგებასა და გამყარებას მხარეებს შორის.<sup>784</sup> სახელშეკრულებო მოლაპარაკება უთანხმოების გადაწყვეტის უვალაზე ეფექტური და სწრაფი საშუალებაა, ნაკლებ ხარჯებს უკავშირდება და მხარეთა ურთიერთშეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას ითვალისწინებს ჯერ კიდევ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ეტაპზე.<sup>785</sup> მოლაპარაკების ვალდებულების აღსრულება უნდა განხორციელდეს მოქნილობისა და თანამშრომლობის ფორმატში.<sup>786</sup>

შეცვლილი გარემოებებისადმი გონივრული და სამართლიანი მისადაგება არ შეიძლება გულისხმობდეს სახელშეკრულებო წონასწორობის აბსოლუტურ აღდგენას იმ სახით, როგორიც არსებობდა ხელშეკრულების დადების ეტაპზე. მოლაპარაკება უნდა ითვალისწინებდეს შესრულების სიმძიმის შემსუბუქებას მოვალისათვის, ხოლო კრედიტორისათვის კვლავ სახელშეკრულებო სარგებლით უზრუნველყოფას. ამდენად, სახელშეკრულებო მოლა-

<sup>784</sup> Gotanda J.Y., Renegotiation and Adaptation Clauses in Investment Contracts, Revisited, Vand. J. Transnat'l L., Vol. 36, 2003, 1469, მთოვებულია: Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 233.

<sup>785</sup> Fox W.F., International Commercial Agreements, A Primer on Drafting, Negotiation and Resolving Disputes, 4<sup>th</sup> ed., Wolters Kluwer Law and Business, The Netherlands, 2009, 78.

<sup>786</sup> Hillman R.A., Court Adjustment of Long-Term Contracts: An Analysis under Modern Contract Law, Duke L.J., 1987, 17.

პარაკებები არ შეიძლება ისახავდეს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მეორე მხარეზე სრულად გადაკისრების მიზანს.<sup>787</sup>

მხარეებმა სახელშეკრულებო მოლაპარაკება უნდა აწარმოონ შეთანხმების მიღწევის რეალური განზრახვით, კონსტრუქციულად და არ გამოიყენონ იგი როგორც ტაქტიკური მანევრი.<sup>788</sup> ხშირად, მოლაპარაკების კეთილსინდისიერი მონაწილე უნდა იყენებდეს მედიატორის უნარ-ჩვევებს.<sup>789</sup>

მოლაპარაკების მოთხოვნა უნდა განხორციელდეს დროულად და უნდა ემყარებოდეს სამართლებრივ საფუძვლებს, შეცვლილი გარემოებების შესახებ ზუსტ ინფორმაციას და ვალდებულების შესრულებაზე მათი ზემოქმედების ხარისხს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, ბულგარეთის სავაჭრო და ინდუსტრიული პალატის საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება,<sup>790</sup> რომელიც შეეხება გართულებული სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების საკითხს. კერძოდ, საქმის ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე მოპასუხებ მისი მხრიდან მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიუღებლობა იმ არგუმენტაციით გაამართლა, რომ მოვალეს არ განუცხადებია მიმწოდებლისთვის, თუ რა ხარისხით დაამძიმებდა შეცვლილი გარემოებების ზემოქმედება ვალდებულების შესრულებას, შესაბამისად, რა პერიოდით უნდა განხორციელებულიყო საქონლის მიწოდების შეჩერება და ა.შ.

კეთილსინდისიერების პრინციპი მოთხოვს, რომ მოლაპარაკებებში ჩართვის მოთხოვნა იყოს საფუძვლიანი და ყველა იმ ინფორმაციის მომცველი, რომელიც აუცილებელია კონტრაქტების მიერ ვითარების ადეკვატური შეფასებისათვის.<sup>791</sup> ამასთან, აუცილებელია, რომ სახელშეკრულებო მოლაპარაკებისათვის გონივრული ვადა იყოს განსაზღვრული.<sup>792</sup>

მოლაპარაკებაში ჩართვის მოთხოვნა გაგზავნილ უნდა იქნეს შეცვლილი გარემოების აღმოცენების შემდგომ გონივრულ ვადაში და იყოს საფუძვლიანად მოტივირებული.<sup>793</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მოთხ-

<sup>787</sup> Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 208.

<sup>788</sup> Bonell M. J., An International Restatement of Contract Law. The UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, 3<sup>rd</sup> ed., Ardsley, New York: Transnational Publishers, Inc., 2009, 120.

<sup>789</sup> Savigila P., Contracts and Negotiating for the business person (You and Your Lawyer), Carolina Academic Press, United States of America, 2007, 70.

<sup>790</sup> Bulgarian Chamber of Commerce and Industry [BTTP (Bulgarska turgosko-promishlena palata), Case No. 11/96, 12 February 1998, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/980212bu.html#cd>>, [24.06.2014].

<sup>791</sup> Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 208.

<sup>792</sup> Bar Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Vaneziano A., Zoll F. (eds.), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference, Study Group on a European Civil Code and Research Group on EC Private Law (Acquis Group), Sellier, European Law Publishers GmbH, Munich, 2009, 741, <[http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law_en.pdf)>, [24.06.2014].

<sup>793</sup> Baranauskas E., Zapolskis P., The Effect of Change in Circumstances on the performance of Contract, Jurisprudence, 2009, 4(118), 209,

<[https://www.mruni.eu/en/mokslo\\_darbai/jurisprudencija/archyvas/dwn.php?id=226356](https://www.mruni.eu/en/mokslo_darbai/jurisprudencija/archyvas/dwn.php?id=226356)>, [24.06.2014]. ი. ასევე, უნიფორმუს სახელშეკრულებო პრინციპების 6.2.3-ე (1) მუხლი.

ოვნა უნდა ემყარებოდეს კეთილსინდისიერების პრინციპს. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარემ, რომელმაც შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნა ვალდებული პირის მიერ შესრულების ვადის დადგომამდე 5 დღით (არაგონივრული ვადით) ადრე წარადგინა, მნიშვნელოვნად დაარღვია კეთილსინდისიერების მოთხოვნა. <sup>794</sup>

სახელშეკრულებო მოლაპარაკებისა და დაბრკოლების მიერ გამოწვეული უარყოფითი შედეგების მოქმედების პერიოდი შესაძლებელია დიდხანს გაგრძელდეს. ამიტომაც, ხელშეკრულების გადარჩენის მიზნისათვის, რათა არ მოხდეს უფლებამოსილი მხარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა და მეორადი მოთხოვნის უფლებებისადმი მიმართვა, აუცილებელია, მოლაპარაკების მომთხოვნმა დაზარალებულმა მხარემ მიმართვაში განსაზღვროს ის მინიმალური შესრულება, რის უზრუნველყოფასაც შეძლებს მოლაპარაკების მიმდინარეობის პერიოდში, რათა ზიანი არ მიაღეს კრედიტორის ინტერესებს. თუ მხარე უარს აცხადებს მინიმალური შესრულების განხორციელებაზე, ის შეიძლება მოთხოვნილ იქნეს სასამართლოს ძალით. ამასთან, თუ სახელშეკრულებო მოლაპარაკების ვალდებულება დაკისრებულია სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, მაშინ იგი უნდა განსაზღვრავდეს მინიმალური შესრულების განხორციელების პირობებს, მხარეთა მოლაპარაკების დასრულებისა და შეთანხმების მიღწევის გონივრულ ვადას. <sup>795</sup>

მნიშვნელოვანია ადინიშნოს, რომ სახელშეკრულებო მოლაპარაკების წარმოების პროცესში მხარეს შეზღუდული აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება.

### 3.6. სახელშეკრულებო დათქმები მოლაპარაკების წარმოების ვალდებულების შესახებ

ხელშეკრულების ადაპტაციის პროცესში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სეგმენტი არის დათქმები ხელშეკრულების ადაპტაციის მიზნით მოლაპარაკების წარმოების ვალდებულების შესახებ. სახელშეკრულებო ურთიერთობის შენარჩუნებისათვის მხარეებმა დავის გადაწყვეტის ფორმალური და რადიკალური საშუალებებისადმი მიმართვის ნაცვლად, <sup>796</sup> შესაძლებელია, განამტკიცონ სახელშეკრულებო დათქმა შეცვლილი გარემოებების აღმოცენებისას უპირველესად მოლაპარაკების წარმოების ურთიერთსანაცვლო ვალდებულების შესახებ. <sup>797</sup>

<sup>794</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბერის განჩინება საქმეზე: №ას-466-707-08.

<sup>795</sup> Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 228.

<sup>796</sup> იხ.: Fox W.F., International Commercial Agreements, A Primer on Drafting, Negotiation and Resolving Disputes, 4<sup>th</sup> ed., Wolters Kluwer Law and Business, The Netherlands, 2009, 77; Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 6.

<sup>797</sup> Berger K.P., Renegotiation and Adaptation of International Investment Contracts: The Role of Contract Drafters and Arbitrators, Vand. J. Transnat'l L., Vol. 36, 2003, 1364,

ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგების წინასწარ განსაზღვრის შეუძლებლობის გათვალისწინებით, სახელშეკრულებო დათქმები უმთავრესად მოლაპარაკების სავალდებულოობას ასახავს, ვიდრე შესრულების გართულების შედეგებისა და შესაბამისი ურთიერთსანაცვლო პასუხისმგებლობის აღწერას.<sup>798</sup> მსგავსი დათქმები ემსახურება გრძელვადიან ურთიერთობათა სტაბილურობის უზრუნველყოფის, ასევე, ხელშეკრულების შეწყვეტის ან დარღვევის შემთხვევების შემცირების მიზანს<sup>799</sup> და მხარეთა სახელშეკრულებო ავტონომიის პრინციპის გამომხატველია.<sup>800</sup>

სახელშეკრულებო დათქმები შეცვლილი გარემოებების შესახებ უმთავრესად საერთაშიროსო ხელშეკრულებებში გამოიყენება, რამდენადაც ისინი, ძირითადად, გრძელვადიან, განგრძობად და პერიოდულად შესასრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებებს ითვალისწინებენ. ამასთან, საერთაშიროსო კონტექსტში ეკონომიკური გარემო მნიშვნელოვნად სწრაფ და ხშირ ცვლილებებს განიცდის.<sup>801</sup> ხელშეკრულების ადაპტაციის ვალდებულების განმამტკიცებელი დათქმები, როგორც წესი, ითვალისწინებენ ხელშეკრულების საგნისა და მისი მთავარი არსის შენარჩუნებას.<sup>802</sup> მსგავსი დათქმები თვითაღსრულებადი მექანიზმია ხელშეკრულებაში, რომელიც უზრუნველყოფს სამომავლო ცვლილებებისადმი ხელშეკრულების მომზადებას მისი შენარჩუნებისა და გადარჩენის მიზნით, ამასთან, შეთანხმების არსებითი ელემენტების შენარჩუნებით.<sup>803</sup>

სახელშეკრულებო დათქმები მოლაპარაკების წარმოების შესახებ განამტკიცებენ მხარეთა ვალდებულებას შეთანხმების მიღწევის პროცესში იმოქმედონ კეთილსინდისიერების, სამართლიანობისა და გულისხმის გადასაცემის შესახებ.

<<http://www-prod.law.vanderbilt.edu/publications/journal-of-transnational-law/archives/volume-36-number-4/download.aspx?id=1888>>, [24.06.2014]; *Draetta U., Lake R.B., Nanda V.P.*, Breach and Adaptation on International Contracts, An Introduction to Lex Mercatoria, Butterworth Legal Publishers, 1992, 196.

<sup>798</sup> *Ciematniece I.*, Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 66.

<sup>799</sup> *Uribe M.*, The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 223.

<sup>800</sup> *Moore H.*, Allocating Foreseeable Sovereign Risks in Infrastructure Investment in Indonesia: *Force Majeure* and Indonesia's Economic Woes, PLI8, 2001, მთითებულია: *Mizrachi K.*, Force Majeure in Project Finance: A Comparative and Practical Analysis of Risk Allocation, J. Struct. Finan., Vol. 12, No. 2, 2006, 78; *Karampatos A.*, Supervening Hardship as Subdivision of the General Frustration Rule: A Comparative Analysis with Reference to Anglo-American, German, French and Greek Law, Eur. Rev. Private L., Kluwer Law International, The Netherlands, Vol. 13, No. 2, 2005, 112, <[http://www.heinonline.org/HOL/Print?handle=hein.kluwer/erpl0013&div=13&collection=kluwer&set\\_as\\_ccursor=0&men\\_tab=srchresults](http://www.heinonline.org/HOL/Print?handle=hein.kluwer/erpl0013&div=13&collection=kluwer&set_as_cursor=0&men_tab=srchresults)>, [24.06.2014]. *Trakman L.E.*, Declaring Force Majeure: Veracity or Sham? Un. of New South Wales, 2007, 11, <[http://works.bepress.com/leon\\_trakman/4](http://works.bepress.com/leon_trakman/4)>, [24.06.2014].

<sup>801</sup> *Draetta U., Lake R.B., Nanda V.P.*, Breach and Adaptation on International Contracts, An Introduction to Lex Mercatoria, Butterworth Legal Publishers, 1992, 170-171.

<sup>802</sup> *Ciematniece I.*, Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 40.

<sup>803</sup> *Ciematniece I.*, Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 41.

პრინციპთა შესაბამისად, ხელშეკრულების ეკონომიკური ბალანსის აღდგენის მიზნით.<sup>804</sup>

მოლაპარაკების წარმოების ვალდებულების არსებობა იმთავითვე არ გულისხმობს შეთანხმების ვალდებულებასაც. არ არსებობს ერთიანი საკანონმდებლო ან მეცნიერული პოზიცია საკითხთან დაკავშირებით, ეკისრება თუ არა მხარეს მოლაპარაკების მონაწილისაგან ორივე კონტრაქტის ინტერესების შესატყვისი და გონივრული შინაარსის შემოთავაზების მიღების ვალდებულება დავის გადაწყვეტის მიზნით. ასეთი ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია რა კრიტერიუმების საფუძველზე უნდა შევასდეს შემოთავაზებული ალტერნატივის გონივრულობა და მიზანშეწილობა.<sup>805</sup> შეთანხმებას „შეთანხმების მიღწევის შესახებ“ არ შეიძლება პქონდეს მბოჭავი ძალა.<sup>806</sup> ამიტომაც, მეტად სავარაუდოა, რომ ხელშეკრულების ადაპტაციის მიზნით, სახელშეკრულებო მოლაპარაკებაში ჩართვა არის მოლაპარაკების მიღწევის მცდელობის, შეთანხმებისათვის აუცილებელი, გონივრული ზომების მიღების (*obligation de moyens*) და არა შედეგის მიღწევის (*obligation de résultat*) ვალდებულება. უმთავრესია, რომ მხარეები კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად შეეცადონ ურთიერთშეთანხმებას.<sup>807</sup>

თუ სახელშეკრულებო დათქმებით მხარეებმა გამორიცხეს შეცვლილი გარემოებების შესაძლო გავლენა ვალდებულების მბოჭავ ძალაზე და ამ გავლენით გამოწვეული სამართლებრივი შედეგებისათვის პასუხისმგებლობა, სასამართლო უფლებამოსილია უგულებელყოს ეს შეთანხმება სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპების უზრუნველყოფის მიზნით.<sup>808</sup>

სახელშეკრულებო დათქმები მოლაპარაკების წარმოების ვალდებულებისა და შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების შესახებ, უმთავრესად, კონტინენტური სამართლის სისტემისათვის არის დამახასიათებელი. ანგლოამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნებისგან განსხვავებით, მსგავსი დათქმების გამოყენების პრაქტიკა განსაკუთრებით ფართოა გერმანიასა და ნიდერლანდებში. აღნიშნულის მიზეზად შესაძლებელია დასახელდეს ინფლაციის პროცესები, რომელიც გამოიარა კონტინენტური ეპოპის ქვეყნებმა.<sup>809</sup>

<sup>804</sup> Berger K.P., Renegotiation and Adaptation of International Investment Contracts: The Role of Contract Drafters and Arbitrators, Vand. J. Transnat'l L., Vol. 36, 2003, 1363-1364.

<sup>805</sup> იქვე; Speidel R.E., Court-Imposed Price Adjustments Under Long-Term Supply Contracts, N/W Univ. L. Rev., Vol. 76, 1981, 408-410, 416.

<sup>806</sup> Gaillard E., Savage J. (eds.), Fouchard Gaillard Goldman on International Commercial Arbitration, 1<sup>st</sup> ed., Business & Economics, Kluwer Law International 1999, 830.

<sup>807</sup> Draetta U., Lake R.B., Nanda V.P., Breach and Adaptation on International Contracts, An Introduction to Lex Mercatoria, Butterworth Legal Publishers, 1992, 197.

<sup>808</sup> Brownlie I., Principles of Public International Law, 2<sup>nd</sup> ed., 1973, 599, მთითებულია: Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 32.

<sup>809</sup> Perillo J., Force Majeure and Hardship under the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, Tul. J. Int'l & Comp. L., Vol. 5, 1997, 26-27.

დათქმების ხელშეკრულების ადაპტაციის მიზნით მოლაპარაკების წარმოების ვალდებულების შესახებ, მნიშვნელოვნად ამცირებს მხარეთა შორის დავის წარმოშობისა და აღნიშნული საფუძვლით სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის რისკს. ამიტომაც, მსგავსი დათქმები ხელშეკრულების სტაბილურობის უზრუნველყოფის მექანიზმად შეიძლება იქნეს განხილული.<sup>810</sup> ამასთან, დათქმები მოლაპარაკების წარმოების ვალდებულების შესახებ, მხარეთა მიერ მოლაპარაკების პროცესისათვის დადგენილ კრიტერიუმებსაც ითვალისწინებს, რომლებიც, შესაძლებელია, ეფექტურად იქნეს გამოყენებული დავის გადამწყვეტი მესამე პირის მიერ ხელშეკრულების ადაპტაციის მიზნებისათვის.<sup>811</sup>

ამრიგად, დათქმები მოლაპარაკების წარმოების ვალდებულების შესახებ, მიზანშეწონილია მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს: ა) იმ ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებს, რომლებიც აღმოაცენებს მოლაპარაკების ვალდებულებას; ბ) მხარეთა მოლაპარაკების წარუმატებლობის შემთხვევაში, დამოუკიდებელი მესამე პირის, დავის განმხილველი ორგანოს უფლებამოსილებას ხელშეკრულების ადაპტაციაზე; გ) ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების პროცესში მხარეთა ინტერესების რეალიზებისათვის აუცილებელ სახელმძღვანელო კრიტერიუმებს.<sup>812</sup>

მოლაპარაკების წარმოების ვალდებულების ამსახველი დათქმების განმტკიცება ხელშეკრულებაში მნიშვნელოვნად აზღვევს ხელშეკრულების მომავალს და იცავს მხარეებს დავის გადაწყვეტის ძვირადლირებული და სანგრძლივი ფორმალური პროცესებისაგან.<sup>813</sup>

### **3.7. მოლაპარაკების წარმოების ვალდებულების ამსახველი დათქმების განსხვავება ფორსმაჟორული დათქმებისგან და პასუხისმგებლობის გამორიცხვის საკანონმდებლო საფუძვლებისგან**

მოლაპარაკების ვალდებულების განმსაზღვრელი დათქმები მიზნობრიობით განსხვავდება ფორსმაჟორული დათქმებისაგან, რომლებიც შესრულების შეუძლებლობის გამომწვევი გარემოებების აღმოცენებისას ამოქმედდება და ემსახურება ფორსმაჟორული გარემოების მოქმედების პერიოდში სახელშეკრულებო ვალდებულებისაგან მხარის დროებით ან მუდმივ განთავისუფლებას<sup>814</sup> და არა ხელშეკრულების შენარჩუნებას, ინტერესთა ბალანსის, სა-

<sup>810</sup> Salacuse J. W., Direct Foreign Investment and the Law in Developing Countries, Foreign. Invest. L. J. ICSID Rev., Vol. 15, Issue 2, 2000, 382, 387, <<http://icsidreview.oxfordjournals.org/content/15/2/382.full.pdf>>, [24.06.2014].

<sup>811</sup> Gotanda J.Y., Renegotiation and Adaptation Clauses in Investment Contracts, Revisited, Villanova University School of Law, Vand. J. Transnat'l L., Vol. 36, 2003, 1471, <<http://works.bepress.com/cgi/viewcontent.cgi?article=1007&context=gotanda>>, [24.06.2014].

<sup>812</sup> Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 73.

<sup>813</sup> იქვე, 76.

<sup>814</sup> Espenschied L. E., Contract Drafting, Powerful Prose in Transactional Practice, American Bar Association Publishing, 2010, 60.

ხელშეკრულებო წონასწორობის ადდგენის გზით.<sup>815</sup> ორივე ტიპის დათქმის მიზანი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მდგრადობის შენარჩუნებაა ისეთი ფორსმაჟორული გარემოებების პირობებშიც კი, როგორიცაა ინფლაცია, ვალუტის კურსის მერყეობა, საკანონმდებლო ცვლილებები,<sup>816</sup> საომარი მდგომარეობა<sup>817</sup> და შემდგომი ეკონომიკური კრიზისი.<sup>818</sup>

ფორსმაჟორული დათქმით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმებია ვალდებულების შეჩერება<sup>819</sup> და შესრულების ვადის გადავადება ფორსმაჟორული გარემოების მოქმედების ხანგრძლივობით<sup>820</sup> ან ხელშეკრულების შეწყვეტა<sup>821</sup>, გამომდინარე იქედან ფორსმაჟორით გამოწყეულია შესრულების დროებითი თუ მუდმივი შეუძლებლობა.<sup>822</sup> აღნიშნული დათქმა ხშირად შეიცავს მოლაპარაკების სავალდებულობის პირობას ფორსმაჟორის უარყოფითი შედეგების აღმოფხვრის ან მათი სამართლიანი გადანაწილების მიზანის გადაწყვეტილების დაცვის მექანიზმების შემთხვევაში.

<sup>815</sup> Berger K.P., Renegotiation and Adaptation of International Investment Contracts: The Role of Contract Drafters and Arbitrators, Vand. J. Transnat'l L., Vol. 36, 2003, 1352,

<<http://www-prod.law.vanderbilt.edu/publications/journal-of-transnational-law/archives/volume-36-number-4/download.aspx?id=1888>>, [24.06.2014]; Al-Emadi T.A., The Renegotiating Clause in Petroleum International Joint Venture Agreements, University of Qatar, Oxford Student Legal Studies Paper No. 04/2012, 2012, 26, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2073340](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2073340)>, [24.06.2014]; Strohbach H., Force Majeure and Hardship Clauses in International Commercial Contracts and Arbitration: The East German Approach', 1 JIA, Vol. 39, 1984, 41.

<sup>816</sup> Fucci F.R., Hardship and Changed Circumstances as Grounds for Adjustment or Non-Performance of Contracts, Practical Considerations in International Infrastructure Investment and Finance, American Bar Association Section of International Law, Spring Meeting, April 2006, 11, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/fucci.html>>.

<sup>817</sup> ქართული სასამართლო პრაქტიკის მიერ საომარი მდგომარეობა განმარტებულია ფორსმაჟორულ გარემოებად. იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-218-204-2011; 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-837-888-2011; 2011 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-931-969-2011; 2013 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-160-153-2013; 2013 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: ას-1162-1091-2012; 2014 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-523-497-2013; 2014 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-302-284-2014.

<sup>818</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-388-368-2011.

<sup>819</sup> მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2014 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე: №ას-834-792-2013 აღნიშნულია, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადა გადაიწევს იმ ვადით, რა ვადითაც იარსებებს ფორსმაჟორული გარემოება.

<sup>820</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-1300-1320-2011.

<sup>821</sup> Berger K.P., Renegotiation and Adaptation of International Investment Contracts: The Role of Contract Drafters and Arbitrators., Vanderbilt Journal of Transnational Law, Vol. 36, 2003, 1352, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/vantl36&div=55&g\\_sent=1&collection=journals#1380](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/vantl36&div=55&g_sent=1&collection=journals#1380)>, [07.04.2015].

<sup>822</sup> Böckstiegel K., Hardship, Force Majeure and Special Risks Clauses in International Contracts, წიგნში: Horn N. (Ed.), Adaptation and Renegotiation of Contracts in International Trade and Finance, Kluwer: Deventer, 1985, 159.

ლების უზრუნველსაყოფად.<sup>823</sup> სახელშეკრულებო დათქმით გათვალისწინებული გარემოებების აღმოცენებისას გამოსაყენებელი პროცედურა გულისხმობს დაუყოვნებლივი შეტყობინების განხორციელებას,<sup>824</sup> ასევე, მოლაპარაკების წარმოების ვალდებულებას, თვით უკიდურესად კომპლექსური პროცედურის - მესამე პირისადმი მიმართვის პირობის ჩათვლით.<sup>825</sup>

შესაბამისად, მოლაპარაკების წარმოების ვალდებულების განმამტკიცებელი და ფორსმაჟორული დათქმები ხშირად შინაარსობრივად ურთიერთმომცველია.

ერთიანი ფორსმაჟორული დათქმის მექანიზმით შესაძლებელია ხელშეკრულების ფორმირების ეტაპზევე მოწესრიგდეს შეცვლილ გარემოებებთან დაკავშირებული როგორც შესრულების გართულების, ისე შეუძლებლობის შემთხვევებში მხარეთა პასუხისმგებლობის ფარგლები. აღნიშნულის დადასტურებაა ერთ-ერთი ქართული სასამართლო გადაწყვეტილებით განმარტებული ხელშეკრულება, რომელიც მხარის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად ადგენდა ფორსმაჟორული გარემოებით გამოწვეულ გალდებულების შესრულების შეფერხებას ან სრულ შეუსრულებლობას.<sup>826</sup>

ხშირად მხარეები პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების განმსაზღვრელი დათქმის ამოქმედების წინაპირობად ადგენენ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს, სავაჭრო თუ ნოტარიუსთა პალატის მიერ ფორსმაჟორული მოვლენის არსებობის დადასტურებას.<sup>827</sup> მაგალითად, საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული დამატებული გითარების გამო, საინგესტი-

---

<sup>823</sup> Berger K.P., Renegotiation and Adaptation of International Investment Contracts: The Role of Contract Drafters and Arbitrators., Vanderbilt Journal of Transnational Law, Vol. 36, 2003, 1352, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/vantl36&div=55&g\\_sent=1&collection=journals#1380](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/vantl36&div=55&g_sent=1&collection=journals#1380)>, [07.04.2015].

<sup>824</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრუების საქმეთა პალატის 2013 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე: საქმე №ას-888-834-2012 განისაზღვრა რომ ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვანი გადაჭარბების შემთხვევაში მენარდეს აქვს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნის უფლება, თუმცა თუ ის გააგრძელებს შესრულებას და არ განახორციელებს ამ უფლებას კონტრაქტებისათვის შეტყობინებით, მაშინ ის კარგავს აღნიშნულ უფლებას. შესაბამისად, შეტყობინება ხელშეკრულების ადაპტაციის წინაპირობაა.

<sup>825</sup> Fontaine M., Les Clauses de Hardship, aménagement conventionnel de l'imprévision dans les contrats internationaux à long terme, DCPI 51, 1976, 59, მოთითებულია: Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 226.

<sup>826</sup> იბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრუების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-30-367-09.

<sup>827</sup> UNCITRAL – Legal Guide on Drawing Up International Contracts for the Construction of Industrial Works, Prepared by the United Nations Commission on International Trade Law, United Nations, New York, A/CN.9/SER.B/2, 1988, 240,

<[http://www.uncitral.org/pdf/english/texts/procurement/construction/Legal\\_Guide\\_e.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/texts/procurement/construction/Legal_Guide_e.pdf)>.

ციო ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტი საქართველოს სავაჭრო პალატამ<sup>828</sup> კონკრეტული მხარეებისათვის ფორსმაჟორულ გარემოებად ცნო.

საინტერესოა, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა მიიჩნევა თუ არა ფორსმაჟორული გარემოების დამდგენ ექსკლუზიურ ორგანოდ, თუ დაუძლეველი ძალა არ შეიძლება წარმოადგენდეს მარტოოდენ სავაჭრო-სამრეწველო პალატის შეფასების საგანს და იგი შესაძლებელია შეფასებულ იქნეს ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ან სხვა დამოუკიდებელი დაწესებულების მიერ.<sup>829</sup> აღნიშნული საკითხი შესაძლებელია მხარეთა სახელშეკრულებო დათქმით დარეგულირდეს და მხარეებმა თავად განსაზღვრონ ფორსმაჟორული გარემოების შეფასებაზე უფლებამოსილი სუბიექტი. ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებულია: სავაჭრო-სამრეწველო პალატა ამოწმებს ფორსმაჟორის არსებობას, ანუ იმ გარემოებას, რომელიც შესაძლებელია ჩაითვალოს დაუძლეველიალად, ხოლო პირთა პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა მის კომპეტენციაში არ შედის.<sup>830</sup>

პოსტერის თანახმად, ფორსმაჟორული დათქმები არ აზღვევენ მხარეს იმ რისკისაგან, რომელიც, ჩვეულებრივ, ყველა ხელშეკრულებისთვის ბუნებრივად თანამდევია. ნორმალური რისკია, მაგალითად, სახელშეკრულებო ფასების საბაზრო ცვლა. ფორსმაჟორული დათქმა რისკის იმ შედეგებისგან ათავისუფლებს მხარეს, რომელიც ხელშეკრულების არსებით, ცენტრალურ პირობას აქარწყლებს.<sup>831</sup>

სახელშეკრულებო დათქმებით, რომელიც თითქმის ყველა გრძელვადიან ხელშეკრულებებშია განმტკიცებული,<sup>832</sup> მხარეები განსაზღვრავენ იმ გარემოებებს, რომელთა აღმოცენების პირობებშიც წარმოიშობა ურთიერთმოლაპარაკების ვალდებულება, ხელშეკრულების ადაპტაციის მიზნით, ამ გარემოებების ზეგავლენის აღწერას ვალდებულების შესრულების სირთულის ხარისხზე და მოლაპარაკების წარმოების პროცედურას. ამასთან, სახელშეკრულებო დათქმების მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ გარემოებებზე, რომელთა აღმოცენებაც მხარეთა შეთანხმებით არის მოცული, ყველა სხვა გართულების შემთხვევაში გამოსაყენებელია სამართლებრივი სისტემებში მოქმედი საკანონმდებლო ნორმები პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების შესახებ.<sup>833</sup>

<sup>828</sup> „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ საქართველოს 2001 წლის 26 ოქტომბრის №1131 კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვემოთ მითითებული თანახმად, ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ნებაყოფლობით წარდგენილი განაცხადის საფუძველზე, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ახორციელებს ფორსმაჟორისა და საგარეო ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გარემოებების დამოწმებას.

<sup>829</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-1118-1065-2013.

<sup>830</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმთა პალატის 2010 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-418-391-2010.

<sup>831</sup> Speidel R.E., Contracts in Crises, Excuse Doctrine and Retrospective Government Acts, Carolina Academic press, Durham, North Carolina, 2007, 199.

<sup>832</sup> Fox W.F., International Commercial Agreements, A Primer on Drafting, Negotiation and Resolving Disputes, 4<sup>th</sup> ed., Wolters Kluwer Law and Business, The Netherlands, 2009, 77.

<sup>833</sup> იქვე.

სახელშეკრულებო დათქმები განსხვავდება კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი საფუძვლებისაგან, რომელთაც უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭებათ გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში, რამეთუ შეუძლებელია ყველა მოსალოდნელი გარემოების წინასწარ განსაზღვრა და სახელშეკრულებო დათქმით მათი შედეგების გათვალისწინება.<sup>834</sup> პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების კანონით გათვალისწინებული წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც სახელშეკრულებო დათქმები არ არის მხარეთა მიერ წინასწარ შეთანხმებული.<sup>835</sup>

### 3.8. მოლაპარაკების გალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები

ხელშეკრულების გადახედვის მიზნით მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების ვალდებულების შესრულება შესაძლებელია განხილულ იქნეს მხარის მიერ შეცვლილი გარემოებების შემთხვევისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების მოთხოვნის წინაპირობად და შეცვლილი გარემოების თანამდევ პროცესად.<sup>836</sup>

სახელშეკრულებო მოლაპარაკებაში კეთილსინდისიერი მონაწილეობა მხარის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალებებით სარგებლობის წინაპირობაა.<sup>837</sup> DCFR-ის თანახმად,<sup>838</sup> მხარე ვალდებულების შესრულების, სანაცვლო შესრულების მოთხოვნის უფლების განხორციელების, ვალდებულების შესრულებისათვის გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების, ასევე, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელების პროცესში ვალდებულია იმოქმედოს კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად. აღნიშნული ვალდებულება არ შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს შეთანხმებით, ან სხვა სამართლებრივი აქტით. ხსენებული მოვალეობის შეუსრულებლობა წაართმევს მხარეს მისი მოთხოვნებისა და სამართლებრივი დაცვის საშუალებების განხორციელების უფლებას.

თუ მხარე კეთილსინდისიერების პრინციპის უხეში დარღვევით, გონივრული ბიზნესის ინტერესებისა და სხვა პატივსადები მიზეზის გარეშე უარს

<sup>834</sup> Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 224; Karampatzos A., Supervening Hardship as Subdivision of the General Frustration Rule: A Comparative Analysis with Reference to Anglo-American, German, French and Greek Law, Eur. Rev. Private L., Kluwer Law International, The Netherlands, Vol. 13, No. 2, 2005, 112, <[http://www.heinonline.org/HOL/Print?handle=hein.kluwer/erpl0013&div=13&collection=kluwer&set\\_as\\_ccursor=0&men\\_tab=srchresults](http://www.heinonline.org/HOL/Print?handle=hein.kluwer/erpl0013&div=13&collection=kluwer&set_as_cursor=0&men_tab=srchresults)>, [24.06.2014].

<sup>835</sup> Fox W.F., International Commercial Agreements, A Primer on Drafting, Negotiation and Resolving Disputes, 4<sup>th</sup> ed., Wolters Kluwer Law and Business, The Netherlands, 2009, 58.

<sup>836</sup> Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 218.

<sup>837</sup> Bar Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Vanenziano A., Zoll F.(eds.), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference, Study Group on a European Civil Code and Research Group on EC Private Law (Acquis Group), Sellier, European Law Publishers GmbH, Munich, 2009, 741,

<[http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law_en.pdf)>, [24.06.2014].

<sup>838</sup> ob. III.-I:103-გ მუხლი.

განაცხადებს ან შეწყვეტს მოლაპარაკების წარმოებას მაშინ, როდესაც ნებისმიერი გონიერი ადამიანი დიდ ძალის ხმევას გაიღებდა ანალოგიურ ვითარებაში,<sup>839</sup> დაზარალებული მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მან განიცადა ხელშემკვრელი მხარის მოლაპარაკებაში ჩართვის იმედითა და შეთანხმების მიღწევის მოლოდინით გამოწვეული დაყოვნებით.<sup>840</sup>

ევროპული პრინციპების 6:111-ე (3) მუხლის ძალით, სასამართლო უფლებამოსილია ზიანის ანაზღაურება დააკისროს იმ მხარეს, რომელმაც უარი განაცხადა მოლაპარაკების წარმოებაზე ან ჩაშალა იგი კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ.<sup>841</sup> აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურების განმტკიცება სსკ-ით მხარეთა მიერ მოლაპარაკების კეთილსინდისიერად წარმოების გარანტიას შექმნის.

სახელშეკრულებო მოლაპარაკების წარუმატებლობა არ იწვევს ხელშეკრულების ავტომატურ შეწყვეტას.<sup>842</sup> თუ მხარეთა შორის ხელშეკრულების ადაპტაციის მიზნით წარმოებული მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა, მაშინ სანქციის სახით, შესაძლებელია, მოხდეს მიმართვა ობიექტური მესამე პირისათვის (სასამართლო, არბიტრაჟი და ა.შ.) ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგების მოთხოვნით. შესაძლებელია, მხარეებმა ხელშეკრულებით მოაწესრიგონ სასამართლოს ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის უფლებამოსილების ფარგლები ხელშეკრულების მისადაგების მიმართ.<sup>843</sup>

თუ მოლაპარაკება ვერ სრულდება ხელშეკრულების ადაპტაციით, მაშინ აღნიშნულს ახორციელებს სასამართლო.<sup>844</sup> სასამართლოს მიერ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების საკითხი მომდევნო თავში იქნება განხილული.

<sup>839</sup> Berger K.P., Renegotiation and Adaptation of International Investment Contracts: The Role of Contract Drafters and Arbitrators, Vand. J. Transnat'l L., Vol. 36, 2003, 1369, <<http://www-prod.law.vanderbilt.edu/publications/journal-of-transnational-law/archives/volume-36-number-4/download.aspx?id=1888>>, [24.06.2014].

<sup>840</sup> Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 210.

<sup>841</sup> ob. Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 326; Tallon D., წიგნში: Hartkamp A.S., Hesselink M., Hondius E.H., du Perron E., Joustra C., Veldman M.(eds.), Towards a European Civil Code, 3<sup>rd</sup> ed., Kluwer Law International, 2004, 501; Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 39.

<sup>842</sup> BGH LM §242 (Bb) BGB Nr. 57; BGH WM 1958, 700.

<sup>843</sup> Faruque A., Possible Role of the Arbitration in the Adaptation of Petroleum Contracts by Third Parties, Asian Int'l Arb. J., Vol. 2, 2006, 152, <<http://www.heinonline.org/HOL/LuceneSearch?specialcollection=&terms=creator%3A%22%20Al%20Faruque,%20Abdullah%22&yearlo=&yearhi=&subject=ANY&journal=ALL&sortby=relevance&collection=journals&searchtype=advanced&submit=Search&base=js&all=true>>, [25.06.2014].

<sup>844</sup> Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 65.

#### **4. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება სასამართლოს მიერ**

თუ მხარეები ვერ აღწევენ შეთანხმებას სახელშეკრულებო მოლაპარაკების პროცესში, მაშინ სასამართლოს მიერ უნდა გადაწყვდეს ხელშეკრულება უნდა შესრულდეს უცვლელი შინაარსით, მოხდეს მისი ადაპტაცია თუ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისგან სრული განთავისუფლება.

ხელშეკრულების ადაპტაციამ უნდა ასახოს მხარეთა ის შეთანხმებული ნება, რომელიც მათ ექნებოდათ შეცვლილი გარემოებების ხელშეკრულების დადების ეტაპზე ცოდნის შემთხვევაში.<sup>845</sup>

მოლაპარაკების პროცედურის გზით ხელშეკრულების მისადაგების შესახებ მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სასამართლო ოთხ შესაძლო გადაწყვეტილებას იღებს: 1. აკისრებს მხარეებს მოლაპარაკების გაგრძელების ვალდებულებას შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მიზნით<sup>846</sup> 2. წყვეტს ხელშეკრულებას განსაზღვრულ დროსა და განსაზღვრული პირობებით; 3. ახორციელებს შეცვლილი გარემოებებისადმი შეთანხმების მისადაგებას სახელშეკრულებო ზიანისა და სარგებლის მხარეებზე სამართლიანი გადანაწილების გზით,<sup>847</sup> საწყისი სახელშეკრულებო წონასწორობის აღდგენის მიზნით;<sup>848</sup> 4. უცვლელად ტოვებს სახელშეკრულებო პირობებს თავდაპირველად შეთანხმებული შინაარსით.

##### **4.1. სახელშეკრულებო სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზანი**

სახელშეკრულებო სამართალი დინამიკური და ახალი მოვლენების შესაბამისად ცვალებადია. მე-19 საუკუნის დასაწყისში ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მხარეთა ნების ავტონომიას ენიჭებოდა აბსოლუტური თავისუფლება, რომელიც არ შეიძლებოდა შეზღუდულიყო სახელმწიფოს ძალაუფლებით. მოგვიანებით აღიარებულ იქნა, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია ჩაერიოს სახელშეკრულებო ურთიერთობაში შეცვლილი გარემოებებისადმი მისი ადაპტაციის გზით მხარეთა თანასწორუფლებიანობის, საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესებისა და ხელშეკრულების სამართლიანი შედეგების უზრუნველყოფის მიზნით.<sup>849</sup>

<sup>845</sup> Hillman R.A., Court Adjustment of Long-Term Contracts: An Analysis under Modern Contract Law, Duke L.J., 1987, 17.

<sup>846</sup> შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სასამართლოსადმი საერთო წესების დაცვით მიმართვის უფლების შენარჩუნებით.

<sup>847</sup> ი. ეკროპული პრინციპების 6:111-ე „ბ“ მუხლი.

<sup>848</sup> Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 13.

<sup>849</sup> Syquia E. P., The Revision and Adaptation of Contracts in Philippine Law – With a Comparative Look at the Law of other Asian Countries, 1985, 96-97, წიგნში: Horn N. (ed.), Adaptation and Renegotiation of

სამართლებრივ სისტემებში შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება მხარეთა სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთ საშუალებად არის აღიარებული, რისთვისაც სასამართლოს მინიჭებული აქვს ფართო უფლებამოსილება კონტრაქტების ინტერესების შესატყვისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

სახელშეკრულებო ურთიერთობის შინაარსის მოდიფიცირებაში სასამართლოს ჩარევა განპირობებულია სამართლიანობის უზრუნველყოფის აუცილებლობით. მხარე ვერ იქნება იმ რისკისათვის პასუხისმგებელი, რომელზეც თანხმობა არ განუცხადებია. ამიტომაც, სახელშეკრულებო უსამართლობას იწვევს ის ფაქტი, რომ არც მოვალეს დაუმსახურებია ზარალი და არც კრედიტორს ის სარგებელი, რაც მათ წარმოეშობათ ხელშეკრულების დადების შემდეგ.<sup>850</sup> ამდენად, ჩარევა მიზანშეწონილია უარყოფითი შედეგების მხოლოდ დაზარალებულ მხარეზე დაკისრებისა და ამით გამოწვეული უსამართლობის პრევენციის თვალსაზრისით. რადგან შეცვლილი გარემოებების წარმოშობის მიმართ ორი თანაბრად არაბრალებული მხარის არსებობისას უარყოფითი შედეგების დაკისრება მხოლოდ ერთი მხარისათვის უდავოდ იწვევს სამართლიანობის პრინციპის ხელყოფას. ამასთან, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით და ზიანის გადანაწილება კონტრაქტენტებზე<sup>851</sup> მნიშვნელოვნად იცავს იმ მესამე პირთა ინტერესებს, რომლებიც დამოკიდებული არიან მოვალის ფინანსურ მდგომარეობაზე.<sup>852</sup> ამიტომ, სახელშეკრულებო პირობების მკაცრი შესრულება, შესაძლებელია საზიანო აღმოჩნდეს არა მხოლოდ მოვალისათვის, არამედ მესამე პირების ინტერესებისთვისაც და მან, შესაძლებელია, მთელი ეკონომიკური სისტემის სტაბილურობის რდვევა გამოიწვიოს.

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება აუცილებელი სამართლებრივი დაცვის მექანიზმია იმ შემთხვევაში, როდესაც შეთანხმება აღარ არის სოციალური სარგებლისა და ეფექტურიანობის მომტანი. მხარეები სახელშეკრულებო შეთანხმებით ან, მის გარეშე, ნაგულისხმევად ანაწილებენ რისკებსა და განსაზღვრავენ სახელშეკრულებო პირობებს.

---

Contracts in International Trade and Finance, Deventer/The Netherlands, Kluwer Law and Taxation Publishers, 1985; *Ciematniece I.*, Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 11.

<sup>850</sup> *Speidel R.E.*, Court-Imposed Price Adjustments under Long-Term Supply Contracts, *Nw. U. L. Rev.*, Vol. 76, 369, 1981-1982, 405-406,  
[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/illr76&div=19&g\\_sent=1&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/illr76&div=19&g_sent=1&collection=journals), [25.06.2014].

<sup>851</sup> *Scott R.E.*, The Death of Contract Law, *U. Toronto L.J.*, Vol. 54, 2004, 373,  
<http://heinonline.org/HOL/Print?collection=journals&handle=hein.journals/utlj54&id=382>, [25.06.2014].  
<sup>852</sup> *Trakman L.E.*, Winner Take Some: Loss Sharing and Commercial Impracticability, *Minn. L. Rev.*, Vol. 69, 1984, 486, მთითებულია: *Uribe M.*, The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 240.

#### 4.2. სახელშეკრულებო თავისუფლების ოქალიზება და მხარეთა სახელშეკრულებო ნების აღსრულება

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ადმინისტრაციული ტრიბუნალის გადაწყვეტილებაში<sup>853</sup> მითითებულია, რომ სასამართლოს ფუნქცია მხარეთა ნების შესაბამისად ხელშეკრულების განმარტებაა. სასამართლოს ნებისმიერი ჩარევა სახელშეკრულებო ურთიერთობის შინაარსში, შესაძლებელია, ზღუდავდეს სახელშეკრულებო თავისუფლებას და მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპს. მნიშვნელოვანია საკითხი, შესაძლებელია თუ არა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება განხორციელდეს ერთ-ერთი მხარის ნების საწინააღმდეგოდ და რა ხარისხით.<sup>854</sup>

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების სასამართლოს მიერ მისადაგების პრიცესში ერთმანეთს უპირისპირდება მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპი და ხელშეკრულების სტაბილურობის უზრუნველყოფის აუცილებლობა.<sup>855</sup>

კეთილსინდისიერების, თანამშრომლობისა და მოქნილობის პრინციპი შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მთავარ საფუძვლებად განიხილება. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება სასამართლოს მიერ გულისხმობს განმარტებისა და ხარვეზის შევსების მეოთხების გამოყენებას. სასამართლოს მიერ ხელშეკრულების გადახედვა ყოველთვის ითვალისწინებს ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად, მხარეთა მიზნების განმარტების გზით დადგენას, როდესაც ხელშეკრულებაში არსებობს ხარვეზი. ამდენად, შეცვლილი გარემოებების შესაბამისად მოდიფიცირებული ხელშეკრულება ყოველთვის მხარეთა თავდაპირველი სახელშეკრულებო ინტერესებისა და მიზნების ამსახველი უნდა იყოს.<sup>856</sup> სასამართლოს მიზანია ადაპტირებული ხელშეკრულება ახალ პირობებშიც გამოხატავდეს მხარეთა ნებას. სასამართლოს მიერ ხელშეკრულების მისადაგება, უმრავლეს შემთხვევაში, იწვევს სახელშეკრულებო პირობების გაუმჯობესებას, თუ სამართლიანობა სახელმძღვანელო პრინციპია გადასინჯვის პროცესში.<sup>857</sup> შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება

<sup>853</sup> ILO Administrative Tribunal Judgement 701, November 1985, B. against PAHO (WHO).

<sup>854</sup> Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 13.

<sup>855</sup> Faruque A., Possible Role of the Arbitration in the Adaptation of Petroleum Contracts by Third Parties, Asian Int'l Arb. J., Vol. 2, 2006, 152,

<www.heinonline.org/HOL/LuceneSearch?specialcollection=&terms=creator%3A%22%20Al%20Faruque,%20Abdullah%22&yearlo=&yearhi=&subject=ANY&journal=ALL&sortby=relevance&collection=journals&searchtype=advanced&submit=Search&base=js&all=true>, [25.06.2014].

<sup>856</sup> Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 237.

<sup>857</sup> Kull A., Mistake, Frustration, and the Windfall Principle of Contract Remedies, Hastings L.J., Vol. 43, 1991-1992, 38,  
<http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/hastlj43&div=11&g\_sent=1&collection=journals>, [25.06.2014].

შესაძლებელია განხილულ იქნეს, როგორც დამატებითი შესრულების ნაირ-სახეობა, რომლითაც აღსრულდება მხარეთა სახელშეკრულებო ნება.<sup>858</sup>

ნებისმიერი კომერციული გარიგება ხელშეკრულების მხარეთა ურთიერთსანაცვლო მოვალეობების ბალანსს ემყარება.<sup>859</sup> შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებისას კეთილსინდისიერების პრინციპის თვალთახედვით უნდა შეფასდეს მხარეთა ორმხრივ ვალდებულებათა წონასწორობის რდგვევის ხარისხი და მისი შედეგები. ვინაიდან, კეთილსინდისიერების პრინციპი ურთიერთობის შეფასებისათვის უმთავრესი მექანიზმია, ამიტომ, ხელშეკრულების ადაპტაცია არ იწვევს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შეზღუდვას, არამედ ბუნებრივი და სამართლიანი შედეგების უზრუნველყოფას ისახავს მიზნად.<sup>860</sup>

ხელშეკრულება არ შეიძლება განხილულ იქნეს გარემომცველი გარემოებების მხედველობაში მიუღებლად. ხელშეკრულების მისადაგება მნიშვნელოვნად შეცვლილი გარემოებებისადმი არ ცვლის მხარეთა ნებას, არამედ შეცვლილი გარემოებების პირობებში მხარეთა თავდაპირველი განზრახვის, ნამდვილი ნების დადგენის საშუალება ხდება. მხარეთა ნება ხელშეკრულების დადების ეტაპზე მისი აღსრულება და შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგებაც ხელშეკრულების აღსრულების და შესაბამისად, მხარეთა ნების განხორციელების წინაპირობაა.

ამრიგად, თანასწორუფლებიანობის პრინციპის საფუძველზე ხელშეკრულების ეკონომიკური ბალანსის აღდგენა ხორციელდება მხარეთა თავდაპირველი ნების დადგენისა და შეცვლილი გარემოებების ჭრილში მათი გააზრების გზით.<sup>861</sup>

ანგლოამერიკული სამართლის დოქტრინაში გავრცელებული ერთერთი მოსაზრების თანახმად, სასამართლოს არ შეიძლება პქონდეს მხარეთა ნაცვლად „ხელშეკრულების ხელმეორედ დაწერის“<sup>862</sup> კომპეტენცია.<sup>863</sup> აღნიშნული შეზღუდავდა სახელშეკრულებო თავისუფლებას.<sup>864</sup> თუმცა სასამართლოს მიერ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება არ ზღუდავს მხარეთა ნების ავტონომიას, ვინაიდან მხარეებს არ შეიძლება

<sup>858</sup> Hillman R.A., Court Adjustment of Long-Term Contracts: An Analysis Under Modern Contract Law, Duke L.J., 1987, 27, მთითებულია: Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 242.

<sup>859</sup> ICC Arbitration Case No. 2291, 1976 Lunet 989 (1976).

<sup>860</sup> Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 22.

<sup>861</sup> Karampatzos A., Supervening Hardship as Subdivision of the General Frustration Rule: A Comparative Analysis with Reference to Anglo-American, German, French and Greek Law, Eur. Rev. Private L., Kluwer Law International, The Netherlands, Vol. 13, No. 2, 2005, 111,

<[http://www.heinonline.org/HOL/Print?handle=hein.kluwer/erpl0013&div=13&collection=kluwer&set\\_as\\_cursor=0&men\\_tab=srchresults](http://www.heinonline.org/HOL/Print?handle=hein.kluwer/erpl0013&div=13&collection=kluwer&set_as_cursor=0&men_tab=srchresults)>, [24.06.2014].

<sup>862</sup> Gotanda J.Y., Renegotiation and Adaptation Clauses in Investment Contracts, Revisited, Villanova University School of Law, Vand. J. Transnat'l L., Vol. 36, 2003, 1463,

<<http://works.bepress.com/cgi/viewcontent.cgi?article=1007&context=gotanda>>, [25.06.2014].

<sup>863</sup> Hillman R.A., Principles of Contract Law, 2<sup>nd</sup> ed., The Concise Hornbook Series, West, 2009, 330.

<sup>864</sup> იქვე, 331.

ჰქონდეთ გამოვლენილი ნება იმ მოვლენებისა და მათი შედეგების რეგულირებაზე, რომელთა გათვალისწინებაც მათ გონივრულად არ შეეძლოთ ხელშეკრულების დადების ეტაპზე. შესაბამისად, შეცვლილი გარემოებების მოწესრიგება მათი ხელშეკრულების შინაარსის ფარგლებს სცილდება და ამდენად, შესაძლებელია, თავისუფლად მიენდოს სასამართლოს, როგორც ობიექტურ მესამე პირს.

სასამართლოს მიერ სახელშეკრულებო ხარვეზის შევსების დროს არ იღავის მხარეთა სახელშეკრულებო ნება, რამეთუ ხარვეზის შემთხვევაში არ არსებობს მხარეთა შეთანხმება სამართლებრივად მნიშვნელოვან ცალკეულ გარემოებაზე. აღნიშნული კი შესაძლებელია განხილულ იქნეს მხარეთა ნაგულისხმევ თანხმობად, მათ ნაცვლად სასამართლოს მიერ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებაზე.<sup>865</sup>

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების პროცესში სასამართლოსათვის სახელმძღვანელოა სამართლიანობის, გონივრულობისა და კეთილსინდისიერების პრინციპები.<sup>866</sup>

#### **4.3. სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების პროცესში**

სამართლებრივი აქსიომაა, რომ სასამართლოს არ შეიძლება ჰქონდეს მხარეთა ნაცვლად არსობრივად ახალი სახელშეკრულებო პირობების შედგენის უფლებამოსილება.<sup>867</sup> თუმცა თუ მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს არ ექნება შეთანხმების ადაპტაციის სამართლებრივი შესაძლებლობა, ეს მხარეებს დაუკარგავს მოტივაციას, მოლაპარაკების გზით თავად შეთანხმდნენ, ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში სასამართლოს ჩარევამდე. ხელშეკრულების მისადაგების უფლებამოსილება პრაქტიკული ბიძგია ბიზნესმენებისათვის – ურთიერთმოლაპარაკების გზით შეათანხმონ გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში აღმოცენებული დავა.<sup>868</sup>

სასამართლომ შეიძლება იქონიოს მნიშვნელოვანი ბერკეტი წაახალის მხარეთა შორის მოლაპარაკება და ურთიერთშეთანხმებით ხელშეკრულების ადაპტაცია. ერთ-ერთ საქმეზე<sup>869</sup> სასამართლომ მხარეთა შორის მოლაპარაკების ხელშეწყობის მიზნით, უარი თქვა შეცვლილი გარემოებების

<sup>865</sup> Hillman R.A., Court Adjustment of Long-Term Contracts: An Analysis Under Modern Contract Law, Duke L. J., 1987, 28, მითითებულია: Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 242.

<sup>866</sup> ი. ა. DCFR-ის III – 1:110-ე (ა), ისკ-ის 1467-ე და ასკ-ის 2-615-ე მუხლები.

<sup>867</sup> Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 30.

<sup>868</sup> მხარეთა მოლაპარაკების წააღმინდების აღნიშნული მექანიზმი განხილულია საქმეში: *Aluminum Co. of American vs. Essex Group, Inc.*, 449 F. Supp. 53 (W.D. Pa. 1980).

<sup>869</sup> Florida power & Light Company v. Westinghouse Electric Corporation, 517 F. Supp. 440, E.D. Va., 1981, <<http://openjurist.org/826/f2d/239/florida-power-light-company-v-westinghouse-electric-corporation>>, [25.06.2014].

პირობებში სამართლებრივი დაცვის საშუალებების განსაზღვრაზე იმ დასაბუთებით, რომ მხარეებს უკეთესად შესწევთ სამართლიანი და ორმხრივად სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების უნარი.<sup>870</sup>

სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების პროცესში სასამართლოსათვის სახელმძღვანელო მეთოდი შესაძლებელია იყოს წარმოშობილი ზიანის გამომწვევი მიზეზების მიკუთვნება მხარეთა რისკის სფეროებისადმი და უარყოფითი შედეგების შესაბამისი პროპორციით გადანაწილება კონტრაქტებზე.<sup>871</sup>

ერთ-ერთ სახელმძღვანელო პრინციპიად შესაძლებელია ჩაითვალოს ზიანის თანაბარი პროპორციით გადანაწილება ორ თანაბრად არაბრალეულ მხარეზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი პასუხისმგებლობის დიფერენცირება შეუძლებელია სხვადასხვა მოცულობის რისკის სფეროს მიხედვით.

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების პროცესში, როდესაც არსებობს შეუსაბამობა, დარღვეული წონასწორობა მხარეთა ურთიერთსანაცვლო შესრულებას შორის, შესაძლებელია განხორციელდეს სახელშეკრულებო ფასის მოდიფიცირება პირველადი სახელშეკრულებო ვალდებულების სამართლებრივ რეჟიმში, რომლის მეშვეობითაც ხელმისაწვდომი ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება განახლებული პირობებით და ხელშეკრულების თანხის შემცირების საფუძვლზე მხარეთა არაეკივალენტური შესრულების დაბალანსება.

სასამართლოს ენიჭება უფლებამოსილება გააგრძელოს შესრულებისათვის დადგენილი ვადა, განახორციელოს სახელშეკრულებო ფასის ან შესრულების მოცულობის მოდიფიცირება. ხელშეკრულების მისადაგების პროცესში მოსამართლე მოკლებულია უფლებამოსილებას ხელმეორედ შეადგინოს ხელშეკრულება ან შეცვალოს მისი სამართლებრივი ბუნება და მიზანი.<sup>872</sup> თუ სახელშეკრულებო ბალანსის აღდგენა გულისხმობს ხელშეკრულების არსის შეცვლას, მაშინ სასამართლომ უნდა შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.<sup>873</sup>

სასამართლომ შეცვლილი გარემოებებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები მხარეებზე იმ პრინციპით უნდა გადაანაწილოს, რომ შესრულება მოვალისათვის გახდეს გონივრული სიმძიმის.<sup>874</sup> ბუნებრივია, ხელშეკრულების

<sup>870</sup> Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 28-29, ასევე, *Florida power & Light Company v. Westinghouse Electric Corporation*, 517 F. Supp. 440, E.D. Va., 1981,

<<http://openjurist.org/826/f2d/239/florida-power-light-company-v-westinghouse-electric-corporation>>, [25.06.2014].

<sup>871</sup> Hubbard S.W., Relief from Burdensome Long-Term Contracts: Commercial Impracticability, Frustration of Purpose, Mutual Mistake of Fact, and Equitable Adjustment. Mo. L. Rev., Vol. 47, 1982, 109, <<http://heinonline.org/HOL/Print?collection=journals&handle=hein.journals/molr47&id=139>>, [25.06.2014].

<sup>872</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 327.

<sup>873</sup> იქვე.

<sup>874</sup> Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles: Exemption for Nonperformance in International Arbitration, Kluwer Law International: Alphen aan den Rijn, 2009, 499.

ბის ადაპტაცია არ გულისხმობს სახელშეკრულებო წონასწორობის აბსოლუტურ აღდგენას და სასამართლოს მიერ დაზარალებული მხარის სრულად განთავისუფლებას შეცვლილი გარემოებებით გამოწვეული ხარჯების-გან.<sup>875</sup>

სასამართლომ, შესაძლებელია, გააგრძელოს შესრულების ვადა, გაზარდოს ან შეამციროს სახელშეკრულებო ფასი, ან განსახორციელებელი ურთიერთსანაცვლო შესრულების მოცულობა. სახელშეკრულებო ვალდებულების მოდიფიცირება, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს სრულიად ახალი შინაარსისა და განსხვავებული არსის მქონე ვალდებულების დაკისრებას მხარეებისათვის.<sup>876</sup> ხელშეკრულებაში არსებული ორაზორვნება არ ანიჭებს სასამართლოს უფლებამოსილებას გარდაქმნას საქმის შინაარსი სამართლი-ანობის ძიების პროცესში.<sup>877</sup>

#### 4.4. შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების შეუძლებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა სასამართლოს მიერ

შეცვლილი გარემოებებით გართულებული ვალდებულების არსებობის საფუძვლით, ხელშეკრულების შეწყვეტა სასამართლოს მიერ უკიდურეს შემთხვევაში გამოსაყენებელი<sup>878</sup>, უმკაცრესი სამართლებრივი მექანიზმია<sup>879</sup> კონტინენტური და, განსაკუთრებით, უნიფიცირებული სამართლის სისტემაში. ანგლოამერიკულ სამართალში ხელშეკრულების ამაოება მის ავტომატურ შეწყვეტასა და მხარეთა შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლებას იწვევს თითოეული მხარისათვის შერაცხული პასუხისმგებლობით. ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტა არ შეიძლება იყოს მხარეთა ინტერესების საუკეთესო დაცვის საშუალება მაშინ, როდესაც ხელშეკრულების შენარჩუნება ემსახურება მესამე პირთა ან საჯარო ინტერესებს.<sup>880</sup>

ვალდებულების შესრულებისას ქართული სამოქალაქო კოდექსი იძლევა ინტერესთა მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობას. პატივსადები ინტერესი ხდება ვალდებულებითი ურთიერთობის როგორც ტრანსფორმაციის, ისე მისი შეწყვეტის საფუძველი. თავად ინტერესის მდგომარეობას კი განსაზღვრავს როგორც შესრულების პროცესი, ისე მის გარეთ არსებული

<sup>875</sup> ი. უნიდორუას სახელშეკრულებო პრინციპების 6.2.1-ე, ევროპული პრინციპების 6:111-ე (1) და DCFR-ის III – 1:110-ე მუხლები.

<sup>876</sup> Flambouras D., Comparative Remarks on CISG Article 79 & PECL Articles 6:111, 8:108, Pace Law School Institute of International Commercial Law, May, 2002,

<<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/text/peclcomp79.html>>, [25.06.2014].

<sup>877</sup> Goldber V.P., Framing Contract Law, An Economic Perspective, Harvard University Press, Cambridge, Massachusetts and London, England, 2006, 347.

<sup>878</sup> Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 64.

<sup>879</sup> Horn N., Standard Clauses on Contract Adaptation in International Commerce, 1985, 137, მითითებულია წიგნში: Horn N.(ed.), Adaptation and Renegotiation of Contracts in International Trade and Finance, Deventer/The Netherlands, Kluwer Law and Taxation Publishers, 1985.

<sup>880</sup> Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 255.

გარემოებანი.<sup>881</sup> ხელშეკრულების შეწყვეტა, შესაძლებელია, განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, თუ იგი ხელშეკრულების ადაპტაციასთან შედარებით უკეთესად უზრუნველყოფს მხარეთა ორმხრივ ინტერესებს და ამასთან, ამ შეწყვეტით ზიანი არ ადგება საჯარო ან მესამე პირების ინტერესებს.

სასამართლოს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ საერთო წესებისაგან განსხვავებული პირობებით, რომელიც იმოქმედებდა ზოგადად ხელშეკრულებიდან გასვლის დროს. სასამართლოს მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში იგი განსაზღვრავს ხელშეკრულების შეწყვეტისთვის გონივრულ ვადას, რათა არ მოხდეს დაზარალებული მხარისათვის ზიანის მიუყენება.<sup>882</sup> თუ ვერც შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება და ვერც ხელშეკრულების შეწყვეტა უზრუნველყოფს მხარეთა საუკეთესო ინტერესების გონივრულ დაბალანსებას, მაშინ სასამართლოს შეუძლია კიდევ ერთხელ მოუწოდოს მხარეებს მოლაპარაკებისაკენ ან ძალაში დატოვოს ხელშეკრულება უცვლელად, თავდაპირველად შეთანხმებული პირობებით.

უმთავრესია, რომ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება, ისევე როგორც ვალდებულების შესრულების გართულების ან შეუძლებლობის საფუძვლით სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება, არ იწვევს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის ხელყოფას.<sup>883</sup>

<sup>881</sup> ზოდე პ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, კერძო სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2005, 300.

<sup>882</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 327.

<sup>883</sup> Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 11.

## VII. მეორადი მოთხოვნის უფლებების სისტემა ორგორც დარღვეული უფლების სამართლებრივი დაცვის საშუალებების ერთობლიობა

სამართლებრივი უფლების არსის გაანალიზება შეუძლებელია მისი დარღვევისას გამოსაყენებელი შესაბამისი სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესწავლის გარეშე<sup>884</sup> შეცვლილი გარემოებების გავლენით ხელ-შეკრულებით გათვალისწინებული პირველადი სახელ-შეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორადი მოთხოვნის<sup>885</sup> უფლებების გამოყენების საკითხი განიხილება.<sup>886</sup> მეორადი მოთხოვნის უფლებები იურიდიულ ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც შეუსრულებლობის შედეგები,<sup>887</sup> სამართლებრივი დაცვის მექანიზმები,<sup>888</sup> რომელთა მეშვეობით უზრუნველყოფილია ვალდებულების დარღვევის უარყოფითი შედეგების გადანაწილება ბრალეულ ან რისკის მატარებელ, პასუხისმგებელ მხარეზე.<sup>889</sup>

მომდევნო თავებში წარმოდგენილი იქნება მეორადი მოთხოვნის უფლებათა სამართლებრივი დახასიათება და ურთიერთდამოკიდებულება შეცვლილ გარემოებათა პირობებში მათი გამოყენების საფუძვლების გაანალიზების მიზნით.

<sup>884</sup> Posner E.A., Sykes A.O., Efficient Breach of International Law: Optimal Remedies, "Legalized Noncompliance" and Related Issues, Mich. L. Rev., Vol. 110, No. 2, 2011, 245, <<http://www.michiganlawreview.org/assets/pdfs/110/2/Posner.pdf>>, [20/07/2014].

<sup>885</sup> იურიდიულ ლიტერატურაში მეორადი მოთხოვნები მოხსენიებულია ასევე, „დამატებითი მოთხოვნების“ სახელწოდებით (იხ. ჟენერალი ს., სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, გამომც. „სიესტა“, თბ., 2009, 86), თუმცა ტერმინი „მეორადი მოთხოვნები“ უკეთ გამოხატავს პირველადი სახელ-შეკრულებო ვალდებულების დარღვევის საფუძველზე აღმოცენებული სამართლებრივი მექანიზმების არსს. დამატებითი მოთხოვნები შესაძლებელია ასევე პირველად, ძირითად სახელ-შეკრულებო ვალდებულებებსაც უკავშირდებოდეს. ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილია ტერმინი „მეორადი მოთხოვნების“ გამოყენება, მით უფრო რომ უცხოური სამართლებრივი სისტემები სწორებ ამ სახელწოდებით იცნობს აღნიშნულ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს. დამატებითი ვალდებულებების შესახებ იხ. ჭანტურია ლ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შეგველია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 34.

<sup>886</sup> ბოლოინგი ჸ., ლუტრინგპაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009, 30; ჟენერალი ს., სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, გამომც. „სიესტა“, თბ., 2009, 86.

<sup>887</sup> Lando O., წიგნში: Hartkamp A.S., Hesselink M., Hondius E.H., du Perron E., Joustra C., Veldman M.(eds.), Towards a European Civil Code, 3<sup>rd</sup> ed., Kluwer Law International, 2004, 505.

<sup>888</sup> Zbarsky A.V., Correlation of the Legal Defence Remedies for the Breach of International Sales Contract, Law and Democracy: Collected Scientific Articles, Vol. 10, 1999, 81-83, მთითებულია: Seliaznova T., Prospective Non-Performance or Anticipatory Breach of Contract, Comparison of the Belarusian Approach to CISG Application and Foreign Legal Experience, J.L.& C., Vol. 24, 2004, 113.

<sup>889</sup> Lando O., წიგნში: Hartkamp A.S., Hesselink M., Hondius E.H., du Perron E., Joustra C., Veldman M.(eds.), Towards a European Civil Code, 3<sup>rd</sup> ed., Kluwer Law International, 2004, 506.

## 1. სახელშეკრულებო ფასის შემცირება

### 1.1. ფასის შემცირების სამართლებრივი არსი და მიზანი

შესრულების დამაპრკოლებელი გარემოების მოქმედება შესაძლებელია მხოლოდ ვალდებულების გარკვეულ ნაწილზე გავრცელდეს და მსარემ მხოლოდ ნაწილობრივი შესრულება უზრუნველყოს, ან მის მიერ განხორციელებული შესრულება არ აღმოჩნდეს შეთანხმებული ხარისხის.<sup>890</sup> აღნიშნულ შემთხვევაში, კრედიტორი უფლებამოსილია წარადგინოს ფასის შემცირების, როგორც ერთ-ერთი დამოუკიდებელი სახის, მეორადი მოთხოვნა ფაქტობრივად განხორციელებული შესრულების შესაბამისად და განუხორციელებელი შესრულების პროპორციით.

აღნიშნული მეორადი მოთხოვნის უფლება რომაული სამართლის ინსტიტუტიდან – *actio quanti minoris* – იღებს სათავეს, რომელიც მყიდველს ხელშეკრულების შენარჩუნების მიზნით სარჩელის წარდგენისა და სახელშეკრულებო ფასის მოდიფიცირების მოთხოვნის უფლებას ანიჭებდა.<sup>891</sup>

ცალკეულ სამართლებრივ სისტემაში ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებით განსახორციელებელი მიზანი ხელშეკრულებიდან ნაწილობრივი გასვლის ინსტიტუტით მიიღწევა.<sup>892</sup> ფასის შემცირება იურიდიულ დოქტრინაში ზიანის ანაზღაურების მეორადი მოთხოვნის უფლების ნაირსახეობად არის აღიარებული, მაგრამ ზიანის ანაზღაურებისგან განსხვავებით, მისი გამოყენება არ არის დამოკიდებული მოვალის ბრალეულობაზე.<sup>893</sup> მყიდველისათვის აღნიშნული მოთხოვნა ხელმისაწვდომია გამყიდველის ბრალეულობის მტკიცების გარეშე.<sup>894</sup> კრედიტორს მხოლოდ ნაკლის არსებობის დადასტურების ვალდებულება ეკისრება.<sup>895</sup> ვინაიდან ფასის

<sup>890</sup> ფასის შემცირების მოთხოვნის უფლების გამოყენება მნიშვნელოვანი შესაძლებელია გახდეს მაგალითად, როდესაც ემბარგოს დაწესება გარკვეულ პროდუქციაზე, ხელშეკრულების საგნის მხოლოდ ნაწილზე ვრცელდება.

<sup>891</sup> Bergsten E. E., Miller A. J., The Remedy of Reduction of Price, Am. J. Comp. L., Vol. 27, 255, 255-57, <<http://cisgw3.law.pace.edu/cisgw/biblio/bergsten.html>>, [17.05.2014],

მოთხებულია: Sondahl E., Understanding the Remedy of Price Reduction – A Means to Fostering a More Uniform Application of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, VJ Int'l Comm. Arb., Vol. 7, 2003, 255-276.

<sup>892</sup> Schwenzer I., Hachem P., Kee Ch., Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012, 664.

<sup>893</sup> მაგალითად, ფასის შემცირება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნაკლიანი შესრულებისა და ნაწილობრივი შესრულების შემთხვევაში, რომელიც მოვალისგან დამოუკიდებელი მიზეზით განხორციელდა და არ მისი ბრალეული მოქმედებით.

<sup>894</sup> Honnold J.O., Uniform Law for International Sales Under the 1980 United Nations Convention, 2<sup>nd</sup> ed., Deventer: Kluwer, 1991, 313, მოთხებულია: Piliounis P.A., The Remedies of Specific Performance, Price Reduction and Additional Time (*Nachfrist*) under the CISG: Are These Worthwhile Changes or Additions to English Sales Law? Cambridge University, 1999, Pace Int'l L. Rev., Vol. 12, 2000, 1-46, <[http://www.cisgw3.law.pace.edu/cisgw/biblio/piliounis.html#N\\_108\\_>](http://www.cisgw3.law.pace.edu/cisgw/biblio/piliounis.html#N_108_>), [17.05.2014].

<sup>895</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 30 მაისის განჩინება საქმეზე: №ას-331-315-2011,

შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლება რომაული სამართლიდან იღებს სათავეს,<sup>896</sup> ის ძირითადად, რომაული კოდიფიკაციის მქონე ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი.<sup>897</sup> აღნიშნული მოთხოვნის უფლება აღიარებული და გავრცელებულია ევროპულ კერძო სამართალში,<sup>898</sup> განსხვავებით საერთო სამართლის სისტემების მიღვომისა, რომელიც არ ცნობს ფასის შემცირებას, როგორც მეორადი მოთხოვნის უფლებას.<sup>899</sup> ევროპული პრინციპებისაგან განსხვავებით ფასის შემცირება, როგორც მეორადი მოთხოვნის უფლება, არ არის გათვალისწინებული უნიფრული უნიფრული პრინციპებით.<sup>900</sup>

ვენის კონვენციის 50-ე (1) მუხლის თანახმად, მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ფასის მოდიფიცირება იმ ოდენობით, რა ფარგლებშიც შემცირდა ნივთის დირებულება არსებული ნაკლი გამო.<sup>901</sup> ფასის შემცირების მოთხოვნა კონვენციის თანახმად, ხელმისაწვდომია მხოლოდ ნაკლიანი შესრულების შემთხვევაში და არ გამოიყენება სხვა ტიპის ვალდებულების დარღვევის დროს.<sup>902</sup> მყიდველს ენიჭება უფლება ხელშეკრულების შეუსაბა-

---

<<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/05-2011.pdf>>, [21.05.2014].

<sup>896</sup> რომაულ სამართალში ფასის შემცირების მოთხოვნა ცნობილი იყო „*actio quanti minoris*“ ტერმინით. ი. e. Zimmermann R., The Law of Obligations: Roman Foundations of the Civilian Tradition, Oxford: Clarendon Press, 1996, 318; Treitel G.H., The Law of Contract, 9<sup>th</sup> ed., London: Sweet & Maxwell, 1995, 107; Bergsten E.E., Miller A.J., The Remedy of Reduction of Price, 1979, 27 Am. J. of Comp. L., 255-277, reprinted in CISG W3 database, Pace University School of Law, 15 January, 1998; Will M. in Bianca M.C., Bonell M.J., Commentary on the International Sales Law, Milan: Giuffré, 1987, 368, მთთვებულია: Piliounis P.A., The Remedies of Specific Performance, Price Reduction and Additional Time (*Nachfrist*) under the CISG: Are these Worthwhile Changes or Additions to English Sales Law? Cambridge University, 1999, Pace Int'l L. Rev., Vol. 12, 2000, 1-46,

<[http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/piliounis.html#N\\_108\\_>](http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/piliounis.html#N_108_>), [20.06.2014].

<sup>897</sup> Bergsten E.E., Miller A.J., The Remedy of Reduction of Price, Am. J. of Comp. L., 1979, 255-277, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/bergsten.html>>, [20.06.2014].

<sup>898</sup> Schmidt-Kessel M. (Osnabrück), Remedies for Breach of Contract in European Private Law - Principles of European Contract Law, Acquis Communautaire and Common und Frame of Reference, in Schulze R. (ed.), New Features in Contract Law, Sellier, European Law Publishers, München, 2007, 191. ი. ასევე, ევროპული პრინციპების 9:401-ე მუხლი.

<sup>899</sup> Schmidt-Kessel M. (Osnabrück), Remedies for Breach of Contract in European Private Law - Principles of European Contract Law, Acquis Communautaire and Common und Frame of Reference, in Schulze R. (ed.), New Features in Contract Law, Sellier, European Law Publishers, München, 2007, 191.

<sup>900</sup> Unidroit Principles of International Commercial Contracts, International Institute for the Unification of Private Law, Rome, 2004, 220-251; Piliounis P.A., The Remedies of Specific Performance, Price Reduction and Additional Time (*Nachfrist*) under the CISG: Are these Worthwhile Changes or Additions to English Sales Law? Pace Int'l L. Rev., Vol. 12, 2000, 1-46,

<<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/piliounis.html>>, [20.06.2014].

<sup>901</sup> ჩავსევ, მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2004, 65.

<sup>902</sup> Bianca C.M., Bonell M.J., Commentary on the International Sales Law – The 1980 Vienna Sales Convention, Milan, 1987, მთთვებულია: Lorenz A., Fundamental Breach under the CISG, 1998, 3, <[http://www.jus.uio.no/pace/fundamental\\_breach\\_under\\_the\\_cisg.alexander\\_lorenz/portrait.pdf](http://www.jus.uio.no/pace/fundamental_breach_under_the_cisg.alexander_lorenz/portrait.pdf)>, [20.06.2014].

მო შესრულების პირობებში მოახდინოს მხარეთა საპასუხო შესრულების გათანაბრება ნაკლიანი მიწოდებისას ნივთის ფასის შემცირების გზით.<sup>903</sup>

## 1.2. ფასის შემცირების მოთხოვნის უფლების განხორციელების წინაპირობები

სსკ ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში არ ითვალისწინებს ფასის შემცირების მოთხოვნას, ის ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამის თავშია განმტკიცებული ნაკლიანი შესრულების დროს ხელშეკრულებიდან გასვლის აღტერნატიული მეორადი მოთხოვნის უფლების სახით.<sup>904</sup>

ფასის შემცირების მოთხოვნა არ შეიძლება მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებას მიემართებოდეს. აქ კიდევ ერთხელ ვლინდება სსკ-ის მიერ მეორადი მოთხოვნის უფლებების არასისტემური მოწესრიგების ხარვეზი: ფასის შემცირების მოთხოვნა ყველა დარჩენილი მეორადი მოთხოვნის უფლებების მსგავსად, რეგლამენტირებული უნდა იყოს ზოგადი ნაწილით და შესაბამისად – კერძო ნაწილით მოწესრიგებული ინსტიტუტების მიმართ გამოყენებადი.

მნიშვნელოვანია ფასის შემცირების მოთხოვნის გამოყენების წინაპირობები. უპირველეს ყოვლისა, როგორც აღინიშნა, ფუნდამენტური დარღვევა ფასის შემცირების მოთხოვნის ამოქმედების წინაპირობად არ განიხილება.<sup>905</sup> სსკ-ის 492-ე მუხლის თანახმად, თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას, გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულების მოშლას, მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი. აღნიშნული მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მოთხოვნები თანაბრად ხელმისაწვდომია მხარისათვის ყოველგვარი თანმიმდევრობის გარეშე.

ფუნდამენტური დარღვევა ფასის შემცირების წინაპირობად არ არის დადგენილი და ეს მექანიზმი შესაძლებელია ამოქმედებულ იქნეს ხელშეკრულებით შეთანხმებულ ხარისხთან შეუსაბამო საქონლის მიწოდების შემთხვევაში.<sup>906</sup> ფასის შემცირების მოთხოვნა მყიდველისთვის ხელმისაწვდომია იმისდა მიუხედავად, ფასი გადახდილია მთლიანად, ნაწილობრივ თუ საერ-

<sup>903</sup> ჩაჩავა ს., მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2004, 67.

<sup>904</sup> იხ. სსკ-ის 492-ე მუხლი.

<sup>905</sup> Lorenz A., Fundamental Breach under the CISG, 1998, 3,

<[http://www.jus.uio.no/pace/fundamental\\_breach\\_under\\_the\\_cisg.alexander\\_lorenz/portrait.pdf](http://www.jus.uio.no/pace/fundamental_breach_under_the_cisg.alexander_lorenz/portrait.pdf)>, [27.06.2014].

<sup>906</sup> იქვე.

თოდ არ არის გადახდილი.<sup>907</sup> ნივთის ნაკლის გამოსწორება ან მისი ახლით შეცვლა განხილულ უნდა იქნეს დამატებითი შესრულების მოთხოვნად,<sup>908</sup> რომელიც პრიორიტეტული, უპირატესად გამოსაყენებელია სხვა დანარჩენ მეორადი მოთხოვნის უფლებებს შორის.<sup>909</sup> კერძოდ, სანამ მხარე ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლებას აამოქმედებდეს, ის ვალდებულია მიმართოს დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლებას<sup>910</sup> იმ პირობით, თუ სახეზე არ არის დამატებითი შესრულების გამომრიცხავი საფუძვლები.<sup>911</sup> აღნიშნული მოტივირებულია კონტინენტური სამართლის სისტემის კონცეფტუალური მიდგომით, რომელიც ორიენტირებულია ხელშეკრულების შესრულებაზე,<sup>912</sup> მოწოდებულია გადაარჩინოს შეთანხმება და უზრუნველყოს მხარეთა ლეგიტიმური სახელშეკრულებო ინტერესის განხორციელება თვით მეორადი მოთხოვნის უფლებების სამართლებრივ რეჟიმში.

ზემოაღნიშნული გულისხმობს, რომ დამატებითი შესრულება შესაძლებელია მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობად იქნეს განხილული, რამდენადაც აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების მიზანს ემსახურება. მსგავსად, ფასის შემცირების პირობებშიც არ ხორციელდება ხელშეკრულების შეწყვეტა, არამედ კრედიტორის მიერ სახელშეკრულებო თანხის გადახდის მოვალეობის მოდიფიცირება და შესაბამისობის უზრუნველყოფა შესრულების ხარისხთან.

ამდენად, ფასის შემცირება დამატებითი შესრულების ალტერნატიული მეორადი მოთხოვნის უფლებად შესაძლებელია იქნეს განმარტებული. ამასთან, ფასის შემცირების განხილვა ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობად გაუმართლებელი იქნებოდა, რადგან იგი დამატებითი შესრულების განსხვავებით, ვერ უზრუნველყოფს კრედიტორისათვის თავდაპირველი შესრულების ინტერესის რეალიზებას. ამდენად, ფასის შემცირება შესატყვი-

<sup>907</sup> ჩაჩავა ს., მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, უკრ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2004, 67.

<sup>908</sup> დაწვრილებით იხ.: *Piliounis P.A., The Remedies of Specific Performance, Price Reduction and Additional Time (Nachfrist) under the CISG: Are these Worthwhile Changes or Additions to English Sales Law? Pace Int'l L. Rev., Vol. 12, 2000, 1-46, <http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/piliounis.html>, [27.06.2014].*

<sup>909</sup> გერმანული და ქართული სამართლისგან განსხვავებით, ვენის კონვენციის 47-ე (1) მუხლი გამყიდველს დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს საამისოდ აუცილებელი გონივრული ვადის განსაზღვრით, მაგრამ აღნიშნული მხოლოდ უფლების და არა ვალდებულების სახით არის წარმოდგენილი. იხ.: *DiMatteo L.A., Dhooge L.J., Greene S., Maurer V.G., Pagnattaro M.A., International Sales Law, A Critical Analysis of CISG Jurisprudence, Cambridge University Press, Cambridge, 2005, 134; DiPalma M., Nachfrist under National Law, the CISG, and the UNIDROIT and European Principles: A Comparison, International Contract Adviser (Kluwer), Vol. 5, No. 1, 1999, 8-9, <http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/DiPalma.html>*, [30.06.2014].

<sup>910</sup> იხ. სსკ-ის 405-ე I მუხლი. სპეციალური უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის განჩინება საქმეზე: №ას-8-5-2011.

<sup>911</sup> იხ. სსკ-ის 405-ე II მუხლი.

<sup>912</sup> განსხვავებით ანგლოამერიკული სისტემისგან, რომელიც ზიანის ანაზღაურებაზე ახდენს ორიენტაციას. იხ. *Schwenzer I., Hachem P., Kee Ch., Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012, 650.*

სი ინტერესის არსებობის შემთხვევაში, კრედიტორის ნება-სურვილზეა და-  
მოკიდებული.

დამატებითი შესრულების, როგორც უპირველესად გამოსაყენებელი  
მეორადი მოთხოვნის უფლების სამართლებრივი ბუნებიდან და მიზნიდან  
გამომდინარე, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების წინაპირობად უნდა  
იქნეს განხილული ნაკლის გამოსწორების ან ნაკლიანი ნივთის უნაკლოთი  
შეცვლის მოთხოვნა. მხოლოდ ამ მოთხოვნების განუხორციელებლობის შემ-  
თხვევაში უნდა აამოქმედოს უფლებამოსილმა პირმა ხელშეკრულებიდან  
გასვლის<sup>913</sup> მეორადი მოთხოვნის სამართლებრივი მექანიზმი.

ფასის შემცირების მოთხოვნის უფლების განმამტკიცებელი ნორმის  
– სსკ-ის 492-ე მუხლის ანალიზიდან ვლინდება, რომ დამატებითი შესრულე-  
ბის მოთხოვნის უფლების განუხორციელებლობა არ არის ფასის შემცირე-  
ბის მოთხოვნის უფლების ამოქმედების წინაპირობად დადგენილი. როგორც  
ხელშეკრულებიდან გასვლა, ასევე დამატებითი შესრულების მოთხოვნა  
(რაც ნაკლიანი შესრულების პირობებში ნაკლის გამოსწორებით<sup>914</sup> ან ნაკ-  
ლიანის უნაკლოთი შეცვლის<sup>915</sup> მოთხოვნის უფლებით ვლინდება) ფასის  
შემცირების მეორადი მოთხოვნის ალტერნატიულ მოთხოვნად არის ზემოაღ-  
ნიშნულ ნორმაში მოაზრებული<sup>916</sup>, რაც გამორიცხავს მათ ერთდროულად  
ამოქმედების შესაძლებლობას.

მნიშვნელოვანია, რომ ფასის შემცირების უფლების მომწესრიგებელი  
სსკ-ის 492-ე მუხლის მიერ მოხსენიებულ „ხელშეკრულების მოშლაში“ უნდა  
მოიაზრებოდეს ხელშეკრულებიდან გასვლა, ურთიერთსანაცვლო შესრულე-  
ბის მხარეთათვის უკან დაბრუნების (რესტიტუციის) ობიექტური შესაძლებ-  
ლობიდან გამომდინარე. სსკ-ის 490-ე მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტები-  
დან კი იკვეთება კანონმდებლის ნება, მოახდინოს დიფერენცირება დამატე-  
ბითი შესრულების სახეების განსაზღვრისას ინდივიდუალური და გვაროვ-  
ნული ნივთების მიხედვით. გვაროვნული ნივთის შემთხვევაში, გამყიდველი  
თავისუფლია დამატებითი შესრულების სახის არჩევაში. მისი არჩევანის  
თავისუფლება იზღუდება ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის შემ-  
თხვევაში და გამყიდველს მხოლოდ ნაკლის გამოსწორება შეუძლია.<sup>917</sup>

<sup>913</sup> სსკ-ის 491-ე მუხლში ტერმინი ხელშეკრულების მოშლა მითითებულია ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების ნაცვლად. მუხლის ასეთი სახელდება არაზუსტია და აღნიშნული ნორმა არსობრივად, ხელშეკრულებიდან გასვლის შინაარსის მომცველი უნდა იყოს.

<sup>914</sup> იხ. სსკ-ის 490-ე I მუხლი (თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა  
გამოასწოროს ეს ნაკლი ან თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ეს ნივთი  
საამისოდ აუცილებელ ვადაში); ასევე, სსკ-ის 642-ე I მუხლი. ვენის კონვენციაში ნაკლის  
გამოსწორებას შეესაზღვისება 46-ე (3) მუხლი.

<sup>915</sup> ნაკლიანი ნივთის უნაკლოთი შეცვლას განამტკიცებს ვენის კონვენციის 46-ე (2) მუხლი.  
<sup>916</sup> თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას  
გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულების  
მოშლას, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა  
ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადგების  
მომენტისათვის არსებული ფასი (სსკ-ის 492-ე მუხლი).

<sup>917</sup> ბაჩია შვილი კ., დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის  
შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის

დამატებითი შესრულების მოთხოვნის გამოყენება ნაკლიანი ნივთის მიწოდებისას, არ არის დამოკიდებული მოვალის ბრალეულობის არსებობაზე, რამეთუ არაბრალეული შეუსრულებლობაც ვალდებულების დარღვევის დასრულებულ შემადგენლობას ქმნის.

## 2. დამატებითი შესრულება

მეორადი მოთხოვნის უფლებათა კონკურენციის საკითხი თითქმის ყველა სამართლებრივ სივრცეში განსაზღვრულ იერარქიასა და ეტაპობრიობას ექვემდებარება,<sup>918</sup> ისე რომ, შესაძლებელია, მეორადი მოთხოვნის უფლებათა დიფერენციაცია პირველადად და მეორადად. ვალდებულების დარღვევის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია კონკრეტული მეორადი მოთხოვნის უფლება იყოს პრიორიტეტული.<sup>919</sup>

შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი ფორსმაჟორი შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის ტოლფასი სამართლებრივი კონცეფციაა, რომელიც შესრულების აბსოლუტურ შეუძლებლობას გულისხმობს დროებითი ან მუდმივი, სრული ან ნაწილობრივი შეუძლებლობის<sup>920</sup> სახით. ფორსმაჟორის კონცეფცია არ არსებობს მაშინ, როდესაც შესრულება ობიექტურად, ფიზიკურად განხორციელებადია, მაგრამ არაგრივრულად დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.<sup>921</sup> შესაბამისად, ფორსმაჟორის არსებობა უპირობოდ გამორიცხავს ნატურით შესრულებისა<sup>922</sup> და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებს,<sup>923</sup> მაგრამ ამით არ წყდება ვალდებულებითსა-

---

სამართლის მიხედვით), უურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2008, 170.

<sup>918</sup> გერმანული სამართლისგან განსხვავებით, ევროპულ პრინციპებში არ არის დამატებითი შესრულების პრიორიტეტულობა დადგენილი. იხ. Schmidt-Kessel M. (Osnabrück), Remedies for Breach of Contract in European Private Law - Principles of European Contract Law, Acquis Communautaire and Common und Frame of Reference, in Schulze R. (ed.), New Features in Contract Law, Sellier, European Law Publishers, München, 2007, 194.

<sup>919</sup> ფიფია ა., ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურევროპული და ანგლოამერიკული სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე, უურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, 74.

<sup>920</sup> დაწვრილებით იხ. Firoozmand M.R., Changed Circumstances and Immutability of Contract:a Comparative Analysis of Force Majeure and Related Doctrines, Bus. L. Int'l, Vol. 8, No. 2, 2007, 166-167, <[http://heinonline.org/HOL/Welcome?message=Please%20log%20in&url=%2FHOL%2FPrint%3Fhandle%3Dhein.journals%2Fblawintnl2007%26div%3D17%26collection%3Djournals%26set\\_as\\_cursor%3D1%26men\\_tab%3Dsrchresults](http://heinonline.org/HOL/Welcome?message=Please%20log%20in&url=%2FHOL%2FPrint%3Fhandle%3Dhein.journals%2Fblawintnl2007%26div%3D17%26collection%3Djournals%26set_as_cursor%3D1%26men_tab%3Dsrchresults)>, [05.07.2014].

<sup>921</sup> Naon H.A.G., Adaptation of Contracts: An Argentine Substantive and Private International Law Outlook, 1985, 57, მთითებულია: Horn N.(ed.), Adaptation and Renegotiation of Contracts in International Trade and Finance, Deventer/The Netherlands, Kluwer Law and Taxation Publishers, 1985.

<sup>922</sup> Schwenzer I., Hachem P., Kee Ch., Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012, 662.

<sup>923</sup> იხ. ევროპული პრინციპების 8:101-ე (2) და უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 7.1.7-ე (4) მუხლები.

მართლებრივი ურთიერთობა. მხარეთა შორის კვლავ მოქმედებს ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობები.<sup>924</sup>

შესრულების შეუძლებლობისას შესრულების ვალდებულებისაგან განთავისუფლებასთან ერთად,<sup>925</sup> ორივე მხარისათვის ხელმისაწვდომი ხდება რესტიტუციის,<sup>926</sup> ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლება. თუ ფორსმაჟორული გარემოება დროებითი ხასიათისაა, მაშინ შესაძლებელია მოხდეს ვალდებულების შესრულების შეჩერება დროებითი დაბრკოლების არსებობის პერიოდში, თუ ვალდებულების დროული შეუსრულებლობა მოვალისათვის მთავარი სახელშეკრულებო ინტერესის დაკარგვას არ იწვევს. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში<sup>927</sup> განმარტებულია, რომ ფორსმაჟორული გარემოება სახელშეკრულებოსამართლებრივ ურთიერთობაში არ წარმოადგენს ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების საფუძველს, თუ რა თქმა უნდა, ვალდებულების შესრულება ფორსმაჟორულ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგაც შესაძლებელია და თუ აღნიშნული შესრულების მიმართ კრედიტორს ინტერესი არ დაუკარგავს.

ნატურით შესრულების მოთხოვნა გამოირიცხება თუ შესრულება კანონსაწინააღმდეგოა ან მისი ობიექტურად, ფიზიკურად განხორციელებადობის მიუხედავად, მოვალისაგან მოთხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევასა და არაგონივრულ ხარჯებს.<sup>928</sup>

მაგალითად, შესრულება კანონსაწინააღმდეგო გახდება, თუ აიკრძალება ქიმიური ნივთიერების გამოყენება და დაწესდება ჯარიმა შესაბამისი საშუალებებით ვაჭრობისათვის.<sup>929</sup> შესაბამისად, არ იარსებებს ქიმიური ნივთიერების, როგორც ხელშეკრულების საგნის, მყიდველისათვის მიწოდების ვალდებულება, ვინაიდან იგი გამოიწვევს საკანონმდებლო დანაწესის დარღვევასა და სავაჭრო ლიზენციის გაუქმებას.<sup>930</sup>

შესრულებისათვის აუცილებელი ხარჯების არაგონივრულობისა და არათანაბარზომიერების საკითხი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს და შეუძლებელია იგი წინასწარ განისაზღ

<sup>924</sup> Horn N., Standard Clauses on Contract Adaptation in International Commerce, 1985, 137, მთითებულია: Horn N. (ed.), Adaptation and Renegotiation of Contracts in International Trade and Finance, Deventer/The Netherlands, Kluwer Law and Taxation Publishers, 1985.

<sup>925</sup> Chechelashvili Z., Introduction to the Georgian Business Law, Textbook, GIZ, Tb., 2013, 134.

<sup>926</sup> Hillman R.A., Principles of Contract Law, 2<sup>nd</sup> ed., The Concise Hornbook Series, West, 2009, 328.

<sup>927</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-496-470-2011.

<sup>928</sup> ი. უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 7.2.2 (ა)(ბ) და ევროპული პრინციპების 9:102-ე (2) (ბ) მუხლები.

<sup>929</sup> Honnold J. O., Impediments Excusing Party From Damages ("Force Majeure"), Kluwer Law International, The Hague, 1999, 472-495, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/ho79.html>>, [25/07/2014].

<sup>930</sup> Flambouras D.P., The Doctrines of Impossibility of Performance and Clausula Rebus Sic Stantibus in the 1980 Vienna Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law: A Comparative Analysis, Pace Int'l L. Rev., Vol. 13, 2001, 261-293, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/flambouras1.html#iie>>, [25/07/2014].

ვროს.<sup>931</sup> ამასთან, ფორსმაჟორი იწვევს არა ხელშეკრულების ანულირებას<sup>932</sup>, არამედ მის შეწყვეტას, რომელიც პირველადი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გამო მეორადი მოთხოვნის უფლებების აღმოცენების სამართლებრივი საფუძველი ხდება.<sup>933</sup> ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტა ვალდებულების შეწყვეტისგან განსხვავებული კონცეფციაა: ვალდებულუბითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობა წყდება მხოლოდ პირველადი და მეორადი მოთხოვნის უფლებათა სრულად განხორციელებით, რომლის შემდეგ მხარეთა შორის აღარ არსებობს ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობები.

სახელშეკრულებო ურთიერთობაში აღმოცენებული დაბრკოლება ნატურით შესრულებისა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან განთავისუფლების საფუძვლად შესაძლებელია განხილულ იქნეს, თუ მხარე დაამტკიცებს, რომ გარემოებები, რომლებმაც გამოიწვია ვალდებულების შესრულების უკიდურესი დამძიმება, აკმაყოფილებს ნაშრომში განხილული შესრულების გართულების კონცეფციისათვის აუცილებელ, მათ შორის არაბრალეულობის წინაპირობებს.<sup>934</sup> ამასთან, დაბრკოლების წარმოშობა მხარის კონტროლის მიღმა, იმავდროულად გამორიცხავს მოვლენის არსებობას მისი რისკისა და პასუხისმგებლობის სფეროში და შესაბამისად, აფუძნებს არაბრალეულობის წინაპირობას. ამრიგად, ნატურით შესრულებისაგან განთავისუფლება არ გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არსებობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაბრკოლება აკმაყოფილებს ფორსმაჟორის წინაპირობებს.<sup>935</sup>

ევროპული პრინციპების თანახმად, ნატურით შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლება შეზღუდულია.<sup>936</sup> 9:102-ე (2)(ა) მუხლი გამოხატავს პრინციპს – არ არსებობს შეუძლებლობის შესრულების ვალდებულება (*impossibilitum nulla est obligatio*).<sup>937</sup> ვალდებულების დროებითი შეუძლებლობა გამორიცხავს დამაბრკოლებელი გარემოების მოქმედების პერიოდში ვალდებულების იძულებით აღსრულებას. ხოლო თუ ვალდებულებამ შეიძინა კანონსაწინააღმდეგო ხასიათი და ხანგრძლივად გახდა შეუძლებელი, მაშინ ხელ-

<sup>931</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 398.

<sup>932</sup> იქვე, 213.

<sup>933</sup> უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების მიხედვით, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, ვალდებული პირი თავისუფლდება, როგორც ნატურით შესრულებისაგან, ისე ზიანის ანაზღაურებისაგან. ხოლო კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, ვალდებულების შესრულების შეჩერება და პროცენტი, რომლის გადახდის ვადა დამდგარია.

<sup>934</sup> იხ. მაგალითად, უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 7.2.2-ე (ბ) და 6.2.1-ე მუხლების ურთიერთდამოკიდებულება.

<sup>935</sup> იხ. ევროპული პრინციპების 8:108-ე მუხლი. ასევე, Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 402.

<sup>936</sup> იხ. ევროპული პრინციპების 9:102-ე (2) (ა) (ბ) მუხლი.

<sup>937</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 400.

შეკრულებიდან გასვლა ავტომატურად გამოიყენება შეტყობინების გარეშე.<sup>938</sup> შეტყობინების მიზანია კონტრაქტის მიენიჭოს დაბრკოლების თავიდან აცილების ან უარყოფითი შედეგების დაძლევის შესაძლებლობა. თუ აღნიშნული მიზანი განუხორციელებელია ვალდებულების აბსოლუტური შეუძლებლობის გამო, მაშინ შეტყობინების ვალდებულება ქარწყლდება. შესრულების შეუძლებლობის არაბრალეულობა ან შესრულების გართულების გამომწვევი გარემოების აღმოცენება მოვალისაგან დამოუკიდებელი, გარეშე მოვლენებით ნატურით შესრულების მოთხოვნასთან ერთად, გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების არსებობასაც<sup>939</sup> ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის ძალით.<sup>940</sup>

დამატებითი შესრულების მოთხოვნის გამომრიცხავ საინტერესო საფუძველს ითვალისწინებს ევროპული პრინციპები, რომლის თანახმად, დამატებითი შესრულების მოთხოვნა არ გამოყენება თუ ვალდებულების დარღვევა მხარის განზრახვით არის გამოწვეული, რაც პატივსადებ და საფუძვლიან მიზეზს აძლევს მხარეს ივარაუდოს ვალდებულების მომავალში, დამატებით ვადაში შეუსრულებლობა.<sup>941</sup>

დროებითი სახელშეკრულებო დაბრკოლების არსებობისას მხარეს აქვს კუთვნილი ვალდებულების შესრულების შეჩერების უფლება კონტრაქტის მიერ სანაცვლო ვალდებულების განხორციელებამდე.<sup>942</sup>

დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება კრედიტორს ანიჭებს შესაძლებლობას, უარი განაცხადოს სინალაგმატური ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე თავისი ვალდებულების შესრულებაზე. მყიდველს უფლება აქვს, დამატებით შესრულებამდე უარი განაცხადოს ფულის გადახდაზე<sup>943</sup>, ასევე, ნაკლიანი ნივთის მიწოდებისას – მის მიღებაზე, რაც არ გამოიწვევს კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებას.<sup>944</sup>

<sup>938</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 402. ისევე, ევროპული პრინციპების 9:303-ე (4) მუხლი განამტკიცებს, რომ ფორსმაჟორის შემთხვევაში არ გამოიყენება შეტყობინების განხორციელების ვალდებულება.

<sup>939</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, Part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 398. იხ. ასევე, ევროპული პრინციპების 9:303-ე (4) მუხლი.

<sup>940</sup> იხ. სხვ-ის 394-ე I მუხლი.

<sup>941</sup> იხ. ევროპული პრინციპების 8:103-ე (c) მუხლი,

<<http://www.jus.uio.no/lm/eu.contract.principles.parts.1.to.3.2002/8.103.html>>, [25.07.2014]

<sup>942</sup> იხ. უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 7.1.3-ე და ევროპული პრინციპების 9:201-ე მუხლები.

<sup>943</sup> Gursky, *Schuldrecht, Besonderer*, Teil, 5. Auflage, Heidelberg, 2005, 2, მითითებულია: ბაზიაშვილი ვ., დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, 171.

<sup>944</sup> Der Kaufvertrag, Einführung,

<[http://www.wiec.de/Download/WIEC01b/Semester2/Recht/Skript%20Recht%202002-07-31%20\(previous\).pdf](http://www.wiec.de/Download/WIEC01b/Semester2/Recht/Skript%20Recht%202002-07-31%20(previous).pdf)>, [25.07.2014], მითითებულია: ბაზიაშვილი ვ., დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2008, 171.

თუ ვალდებულების დარღვევის გამომწვევი დამაბრკოლებელი გარემოების წარმოშობაზე ორივე მხარეა პასუხისმგებელი, მაშინ მეორადი მოთხოვნის უფლებებისადმი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, საერთაშორისო დონეზე ორი მიდგომა არის აღიარებული. პირველის თანახმად, კრედიტორისათვის ხელმისაწვდომია დამატებითი შესრულებისა და ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნები, თუ მოვალის წვლილი ვალდებულების დარღვევაში 50%-ს აღემატება. მეორე, უფრო გავრცელებული მიდგომის, თანახმად, კრედიტორს ზემოაღნიშნული უფლებები შეიძლება მიენიჭოს თუ იგი ვალდებულების დარღვევაში მისი მონაწილეობის ხარისხის შესატყვის ფულად თანხას გადაუხდის მოვალეს.

თუ ვალდებულების დარღვევა უმთავრესად კრედიტორის მოქმედების ან უმოქმედობის შედეგია, მაშინ კრედიტორს ეკრძალება არაფულადი ხასიათის ყველა მეორადი მოთხოვნის უფლებით სარგებლობა.<sup>945</sup>

### 3. ზიანის ანაზღაურება

#### 3.1. ზოგადი დახასიათება

ზიანის ანაზღაურების მეორადი მოთხოვნის უფლება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სახის ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის არსებობისას.<sup>946</sup> აღნიშნული უფლება არ არის აღტერნატიული,<sup>947</sup> არამედ შესაძლებელია სხვა მეორადი მოთხოვნის უფლებებთან პარალელურად იქნეს ამოქმედებული.<sup>948</sup>

ვენის კონვენციის 79-ე მუხლი მხოლოდ ზიანის ანაზღაურების უფლების გამორიცხვაზე საუბრობს, ხოლო კონვენციით გათვალისწინებული სხვა მეორადი მოთხოვნის უფლებები<sup>949</sup> ხელშეკრულებიდან გასვლა, დამატებითი შესრულება და ფასის შემცირება შესაძლებელია გახდეს მხარისათვის ხელმისაწვდომი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით<sup>950</sup> და შესატყვისი წინაპირობების არსებობისას. მნიშვნელოვანია, რომ

<sup>945</sup> Schwenzer I., Hachem P., Kee Ch., Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012, 677, შემდგომი მითითებებით.

<sup>946</sup> Eiselen S., Ferrari F., Flechtner H.M., Garro A., Ulrich M., Viscasillas P.P., Rogers V., Sono H., Witz C., Voleger A.K. (ed.in chief), J.L. & Com., UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, Special Issue, University of Pittsburgh, Vol. 30, 2012, 225.

<sup>947</sup> როგორც მაგალითად, ფასის შემცირება და ხელშეკრულებიდან გასვლა.

<sup>948</sup> Eiselen S., Ferrari F., Flechtner H.M., Garro A., Ulrich M., Viscasillas P.P., Rogers V., Sono H., Witz C., Voleger A.K. (ed.in chief), J.L. & Com., UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, Special Issue, Vol. 30, University of Pittsburgh, 2012, 225; Bianca C.M., Bonell M.J., Commentary on the International Sales Law – The 1980 Vienna Sales Convention, Milan, 1987, Art. 81. იხ. ასევე, ევროპული პრინციპების 8:102-ე და სსკ-ის 407-ე მუხლები.

<sup>949</sup> Gabriel H.D., Contract for the Sale of Goods, A Comparison of Domestic and International Law, Oceana Publications, Inc, Dobbs, Ferry, New York, 2004, 219.

<sup>950</sup> Garro A.M., Gap-Filling Role of the Unidroit Principles in International Sales Law: Some Comments on the Interplay Between the Principles and the CISG, Tul. L. Rev., Vol. 69, 1149, 1995; King V. K., Hardship as an Impediment to Performance in Terms of Article of the CISG, North-West University, November, 2010, 8.

ვენის კონვენციის რეგულირების მიღმა რჩება საკითხი – პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება მხოლოდ ზიანის ანაზღაურების უფლების გამორიცხვას მოიცავს თუ ვრცელდება ასევე, ვალდებულების დარღვევისათვის ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირგასამტებლოზეც. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის მოწესრიგება მთლიანად ეროვნული კანონმდებლობის რეგულირებას უნდა მიენდოს.<sup>951</sup>

ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მიემართება მხოლოდ მოსალოდნელი ზიანის ოდენობას. ევროპული პრინციპების თანახმად, მხარის ვალდებულება შემოიფარგლება მხოლოდ ზიანის იმ მოცულობით, რომელიც სავარაუდო იყო ხელშეკრულების დადების ეტაპზე. აღნიშნული წესი კიდევ ერთხელ ეხმიანება დამაბრკოლებელი გარემოების გათვალისწინების შეუძლებლობის ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნას და გულისხმობს, რომ მხარე ვერ იქნება იმ დაბრკოლებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი, რომლის გონივრული გათვალისწინების უნარსაც მოკლებული იყო სახელშეკრულებო ურთიერთობაში ჩართვის დროს.<sup>952</sup>

ფორსმაჟორის არსებობისას ზიანის ანაზღაურებასთან ერთად გამოირიცხება ასევე, წინასწარ შეთანხმებული ზიანის (*liquidated damages*) ან საჯარიმო სანქციების მოთხოვნის უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარეთა მიერ განსხვავებული მოწესრიგებაა გათვალისწინებული.<sup>953</sup> ფორსმაჟორის არსებობისას შეუზღუდავია პროცენტის მიღების უფლება,<sup>954</sup> რადგან პროცენტი არ უთანაბრდება ზიანის ანაზღაურებას.<sup>955</sup>

ზიანის ანაზღაურების, როგორც უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი დაცვის საშუალების, გამოყენების წინაპირობად ზოგადი წესის თანახმად, მხოლოდ ვალდებულების ბრალეული დარღვევა მოიაზრება. მოვალის ბრალით გამოწვეული დამაბრკოლებელი გარემოებით წარმოშობილი ვალდებულების დარღვევა აღმოაცენებს ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. ბრალის სამართლებრივი კატეგორია განსაკუთრებული იურიდიული მნიშვნელობის მქონეა, როგორც კონტინენტური, ისე ანგლოამერიკული სამართლის სისტემაში, თუმცა თითოეული სამართლებრივი სისტემა ბრალის საკითხისადმი არსებითად განსხვავებულ მიღებობას ითვალისწინებს:

<sup>951</sup> Comment 9 on Article 65, of the 1978 Draft [Draft Counterpart of the CISG art. 79] Comment 5, <[www.cisg.law.pace.edu/text/secomm/secomm-79.html](http://www.cisg.law.pace.edu/text/secomm/secomm-79.html)>, [01.07.2014] მთითებულია: *Liu Ch., Newman M.S. (ed.), Remedies in International Sales, Perspectives from SISG, UNIDROIT Principles and PECL, JurisNet, LLC, Huntington, New York, 2007, 706.*

<sup>952</sup> იბ. ევროპული პრინციპების 8:108-ე და უნიფორმული სახელშეკრულებო პრინციპების 7.1.7-ე (1) მუხლები.

<sup>953</sup> *Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 382.*

<sup>954</sup> იბ. ევროპული პრინციპების 8:101-ე (2) და უნიფორმული სახელშეკრულებო პრინციპების 7.1.7-ე (4) მუხლები.

<sup>955</sup> *Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 451.*

ანგლოამერიკულ სამართლებრივ სივრცეში დამკვიდრებულია ბრალეულობის არსებითად განსხვავებული კონცეფცია: თუ კონტინენტურ სამართალში ბრალი მნიშვნელობას იძენს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრის თვალსაზრისით, ანგლოამერიკულ სამართალში ბრალი განსაზღვრავს ვალდებულების დარღვევის არსებობას.

ანგლოამერიკულ სამართლებრივ სივრცეში ვალდებულების არაბრალეული შეუსრულებლობა არ აფუძნებს ვალდებულების დარღვევის დასრულებულ შემადგენლობას.<sup>956</sup> შესაბამისად, ვალდებულების დარღვევის არარსებობის გამო გამორიცხულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. სანაცვლოდ, ავტომატურად ირთვება ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი რეჟიმი, რითაც კრედიტორისათვის უზრუნველყოფილია მისი მხრიდან განხორციელებული შესრულების დაბრუნების სამართლებრივი ინტერესი, ხოლო მოვალისათვის პირველადი ვალდებულების შესრულებისაგან განთავისუფლება. ამრიგად, ანგლოამერიკული სამართალი ვალდებულების დარღვევის წინაპირობად ბრალის არსებობის განსაზღვრით დასაწყისშივე გამორიცხავს არაბრალეული შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. პატივსადები საფუძვლის არსებობისას არაბრალეული შეუსრულებლობა მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლებას აღმოაცენებს, ხოლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას წარმოშობს მხოლოდ ბრალეული შეუსრულებლობა.

ვინაიდან კონტინენტურ სამართალში ბრალი ვალდებულების დარღვევის წინაპირობად არ მოიაზრება, ხელშეკრულებიდან გასვლა უზრუნველყოფილია როგორც ბრალეული, ისე არაბრალეული შეუსრულებლობის შემთხვევაში. ბრალის არსებობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებისადმი ხელმისაწვდომობას განსაზღვრავს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ორივე სამართლებრივი სისტემა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობას ბრალის კატეგორიაზე დამოკიდებულად აცხადებს, თუმცა, არსებითად ანალოგიური შედეგი აქ განსხვავებული სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით მიიღწვევა.

გსკ-ის 280-ე პარაგრაფის ძალით, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, თუკი მოვალეს არ მიუძღვის ბრალი ვალდებულების დარღვევაში. თუ სახეზეა ხსენებული პარაგრაფით გათვალისწინებული ყველა წინაპირობა: ნამდვილი ვალდებულება, მისი დარღვევა, ზიანი, მოვალის ბრალი და მიზეზობრივი კავშირი, კრედიტორს წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მეორადი მოთხოვნა.

ანალოგიურად, სსკ-ის 394-ე I მუხლი ცენტრალური და უზოგადესი ნორმაა, რომელიც განამტკიცებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს და კრედიტორს ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. აღნიშნული მუხლის გამოყე-

<sup>956</sup> Treitel G.H., The Law of Contract, 9<sup>th</sup> ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 674-666.

ნების წინაპირობებია: 1) მართლწინააღმდეგობა 2) ბრალი 3) მიზეზობრივი კავშირი 4) ზიანი.<sup>957</sup>

ევროპული პრინციპების 9:501-ე (1) მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ვალდებულების ბრალეული დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი. ვალდებულების დარღვევა, შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის სახით, პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველია და, შესაბამისად, გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების არსებობას. ევროპული პრინციპების 9:103-ე მუხლის ძალით, შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლება არ აბრკოლებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების განხორციელებას.

სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი შესაძლებელია ერთდროულად იყოს როგორც მოვალის, ისე თავად კრედიტორის ბრალეული ქმედების შედეგი. ამ შემთხვევაში სახეზეა შერეული ბრალის სამართლებრივი კატეგორია, როდესაც ბრალეულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იდენტური იქნება.

კრედიტორის ბრალი შეიძლება გამოიხატოს ისეთი მოქმედებითაც, რომელიც ხელს უწყობს შესრულების დამაბრკოლებელი შეცვლილი გარემოებების წარმოშობას, ან ხელს უშლის მის ლიკვიდაციას, უარყოფითი შედეგების აღმოფხვრას ან თავიდან აცილებას. მსგავსად, ევროპული პრინციპების 9:504-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების დამრღვევი მხარე არ არის პასუხისმგებელი დამდგარი ზიანისათვის იმდენად, რამდენადაც დაზარალებულმა საკუთარი ქმედებით ხელი შეუწყო ვალდებულების დარღვევას ან მისი სამართლებრივი შედეგების წარმოშობას.

გსკ-ის 254-ე პარაგრაფი არეგულირებს პასუხისმგებლობის საკითხს შემხვედრი ბრალის არსებობისას: თუ დაზარალებულის ბრალეულმა ქმედებამ ხელი შეუწყო ზიანის წარმოშობას, მაშინ როგორც ანაზღაურების ვალდებულება, ისე ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა დამოკიდებულია საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, ასევე იმაზე, უმეტესწილად თუ რომელი მხარის ბრალითაა ზიანი გამოწვეული. სსკ-ის 415-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მისი უმოქმედობით – თავიდან აეცილებინა ზიანი.<sup>958</sup>

თუ დაზარალებულს ვალდებულების დარღვევის უარყოფითი შედეგების შემცირების ან აღმოფხვრის შესაძლებლობა აქვს და ბრალეული უმოქმედობით ეს ვალდებულება არ სრულდება, მაშინ, ევროპული პრინციპების 9:505-ე (1) მუხლის თანახმად, ვალდებულების დამრღვევი მხარე თა-

<sup>957</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1300-1320-2011, ასევე, 2011 წლის 27 ივნისის განჩინება საქმეზე: №ას-804-858-2011.

<sup>958</sup> იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 29 მაისის განჩინება საქმეზე: №ას-1685-1671-2011; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის განჩინება საქმეზე: №ას-8-5-2011.

ვისუფლდება დამდგარი ზიანისათვის პასუხისმგებლობისაგან იმ ოდენობით, რამდენიმაც დაზარალებულს გონივრული მოქმედების საფუძველზე შეეძლო შეემცირებინა იგი. ამ შემთხვევაში ბრალი მხარის მიერ ზიანის შესამცირებლად სათანადო ღონისძიებების განუხორციელებლობით გამოიხატება. მხარის ვალდებულება – კეთილგონივრული მოქმედებით შეამციროს ხელშეკრულების კონტრაკენტის მიერ ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ოდენობა, კეთილსინდისიერების პრინციპისა და გულისხმიურების ვალდებულების გამოხატულება.<sup>959</sup> ევროპული პრინციპების 9:505-ე მუხლის შინაარსიდან კი ვლინდება, რომ კეთილსინდისიერების პრინციპისა და გულისხმიურების ვალდებულების დარღვევა, ბრალეული დარღვევის მსგავსად, აისახება მხარის სახელშეკრულებო პასუხისმგებლობაზე და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების არსებობას განსაზღვრავს. დაზარალებულ მხარეს ენიჭება იმ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომლებიც გაღებულ იქნა ზიანის შემცირების მცდელობისას.

კრედიტორის ბრალი ვალდებულების შეუსრულებლობაში მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მისი მხრიდან მეორადი მოთხოვნის უფლებების გამოყენების შესაძლებლობაზე. კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, კრედიტორს ვალდებულების დარღვევისას ეზღუდება სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების უფლებამოსილება.<sup>960</sup> მაგალითად, ევროპული პრინციპების 8:101-ე (3) მუხლის თანახმად, კრედიტორი მოკლებულია სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას იმდენად, რამდენადაც საკუთარი ქმედებით ხელი შეუწყო ვალდებულების შეუსრულებლობას. თუ კრედიტორის მიერ ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანი ნაწილობრივ მოვალის ქმედების შედეგიცაა, მაშინ კრედიტორი სამართლებრივი დაცვის საშუალებებს სრულად ვერ გამოიყენებს, იმ შემთხვევისაგან განსხვავებით, როდესაც შეუსრულებლობისათვის მხოლოდ მოვალეა პასუხისმგებელი.<sup>961</sup> თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის გაუფრთხილებელ ბრალს უპირისპირდება კონტრაკენტის შემხვედრი განზრახი ბრალი, მაშინ ამ უკანასკნელს წარმოეშობა ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურების ვალდებულება.<sup>962</sup>

ვალდებულების დარღვევაში შემხვედრი ბრალის არსებობისას განისაზღვრება თითოეული მხარის ბრალეულობის ხვედრითი წილი დამდგარი ზიანის წარმოშობაში და პასუხისმგებლობა განისაზღვრება ზიანის ოდენობაში მათი წილობრივი მონაწილეობის მიხედვით. შერეული ბრალის არსებობისას დამდგარი ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება არა ზიანის მიმყენებელს, არამედ მისი პასუხისმგებლობა მცირ-

<sup>959</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 115.

<sup>960</sup> იქვე, 360.

<sup>961</sup> იქვე, 361.

<sup>962</sup> Larenz K., Canaris C.W., Lehrbuch, §31 I e, Grunsky W. in Münchener Kommentar to §254, no. 7. OLG, Munich, 23 Feb. 1990, NJW-RR 1990, 828 at 829 (All the damages on the injured party when the injurer was grossly negligent); Heinrichs H. in Palandt O. to §254, no.51, მთითებულია: Gordley J., Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006, 411.

დება იმ ნაწილში, რითაც დაზარალებულმა ხელი შეუწყო ზიანის წარმოშობას და ზიანის შემცირებული ოდენობა დაეკისრება დაზარალებულ მხარეს.

ამრიგად, თუ დამდგარი ზიანი ხელშეკრულების მონაწილეთა ერთობლივი ბრალეული ქმედების შედეგია, მაშინ პასუხისმგებლობა ორივე მხარეზე გადანაწილდება ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით.<sup>963</sup>

თუ ზიანის წარმოშობის ერთადერთი მიზეზი მოვალის ბრალეული მოქმედებაა, მაშინ კონტრაპენტის სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი დღის წესრიგიდან იხსნება.

### 3.2. ბრალის მნიშვნელობა ანაზღაურებას დაქვემდებარებული ზიანის ოდენობის განსაზღვრისათვის

სამართლებრივად დაცულია მხოლოდ ის ზიანი, რომელიც სავარაუდო იქნებოდა ნებისმიერი გონიერი ადამიანისათვის, ბრუნვის საშუალო მონაწილისათვის.<sup>964</sup> როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მას მხედველობაში აქვს თავის თავზე მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულის გამო მისგან შეიძლება მხოლოდ მოთხოვნილ იქნეს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება. სსკ-ის 412-ე მუხლი მოვალეს ათავისუფლებს ისეთი რისკისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის. ზიანის სავარაუდობა დგინდება გონიერი ადამიანის თვალსაზრისით და არ განისაზღვრება კონკრეტული ხელშეკრულების კონკრეტული დამრღვევის სუბიექტური შესაძლებლობებით.<sup>965</sup> ამრიგად, კანონმდებლობა ზიანის სავარაუდობის განსაზღვრისათვის ობიექტურ კრიტერიუმს ამკვიდრებს, რითაც დგინდება მოვალის პასუხისმგებლობის ფარგლები.<sup>966</sup>

იურიდიულ მეცნიერებაში დოქტრინა მხარისათვის მოსალოდნელი და სავარაუდო ზიანის ანაზღაურების შესახებ საფრანგეთში მე-18 საუკუნეში განვითარდა.<sup>967</sup> ფრანგული სამართლის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემ-

<sup>963</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 482-483.

<sup>964</sup> იხ. სსკ-ის 412-ე მუხლი. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინება საქმეზე: №ას-375-355-2011.

<sup>965</sup> ჩოხელი ნ., ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ქურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბ., 5/2002-4, 624.

<sup>966</sup> აღნიშნული პრინციპის საფუძველზე ანაზღაურებას არ ექვემდებარება არაპირდაპირი ზიანი, რომელიც, გონიერული ვარაუდის ცნებიდან გამომდინარე, ვერ იქნებოდა მოვალისათვის მოსალოდნელი და წინასწარ განსაზღვრადი. იხ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 466.

<sup>967</sup> Gordley J., Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006, 408.

დებარება მხარისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი, რომელიც ვალდებულების დარღვევის თანადოული და უშუალო სამართლებრივი შედეგია. საინტერესოა, რომ ვალდებულების განზრახი დარღვევის შემთხვევაში ფრანგული და იტალიური სამართალი ზიანის ანაზღაურების წინაპირობად მხარის მიერ ზიანის წინასწარ გათვალისწინების კრიტერიუმს აღარ აყენებს. შესაბამისად, დამდგარი ზიანი ანაზღაურდება სრული ოდენობით, მათ შორის ისიც, რომელსაც მხარე არ ითვალისწინებდა, ან არ შეეძლო გაეთვალისწინებინა, ხოლო მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ზიანი ვალდებულების დარღვევის უშუალო შედეგი უნდა იყოს, უცვლელი რჩება.

ფრანგული დოქტრინისაგან განსხვავებით, გერმანული სამართალი განამტკიცებს მიზეზობრივი კავშირის შესახებ თეორიას, რომლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანი, რომელიც ვალდებულების დარღვევის უშუალო სამართლებრივი შედეგია. ეს თეორია დაზარალებულს, დარღვეული ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, უკეთეს პირობებში აყენებს.

გერმანული დოქტრინის თანახმად, პასუხისმგებლობა უნდა ეფუძნებოდეს ორ კონცეფციას: ერთი, პასუხისმგებლობა შესაძლებელია დაეკისროს მხოლოდ ბრალეულ მხარეს; მეორე, დაზარალებულ მხარეს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი იმ ოდენობით, რაც აუცილებელია მხარისათვის იმ პირობების შესაქმნელად, რომელიც იარსებებდა, ხელშეკრულება რომ არ დარღვეულიყო.<sup>968</sup>

საყოველთაოდ დამკვიდრებული შეხედულებით, დაზარალებულს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ წარმოეშობა, თუ მას ბრალი მიუძღვის მოსალოდნელი ზიანის შესახებ მოვალისათვის შეუტყობინებლობაში.<sup>969</sup> მაგალითად, გსკ-ის 254-ე პარაგრაფის თანახმად, დაზარალებულის ბრალი შეიძლება გამოიხატოს უჩვეულოდ დიდი ზიანის წარმოშობის რისკის მოვალისათვის შეუტყობინებლობაში, რომელმაც არ იცოდა და არც შეძლო სცოდნოდა ადნიშნული რისკის არსებობის შესახებ.

ამრიგად, გსკ-ის 254-ე პარაგრაფი მნიშვნელოვნად უახლოვდება ფრანგულ დოქტრინას, რომლის თანახმად, განზრახი დარღვევის შემთხვევაში, მოვალე პასუხს აგებს დამდგარი სამართლებრივი შედეგისათვის სრული ოდენობით. განზრახი დარღვევის არარსებობისას კი მხარე პასუხისმგებელია მხოლოდ მოსალოდნელი ზიანისათვის, რისი გათვალისწინებაც შესაძლებელი იყო საკუთარი ცოდნისა თუ სხვისი შეტყობინების საფუძველზე.<sup>970</sup>

<sup>968</sup> Puchta G.F., Vorlesungen, 2, §224; Windscheid B., Lehrbuch, 2, §257; Vangerow K., Lehrbuch der Pandekten 3, 7<sup>th</sup> ed., Marburg, 1863, §571, Anm.3.; Zimmermann R., Obligations, 833-4, მითოთებულია: Gordley J., Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006, 411.

<sup>969</sup> Grunsky W. in Münchener Kommentar to §254, no.59; Heinrichs H. in Palandt O. Bürgerliches Gesetzbuch 62<sup>nd</sup> ed., Munich, 2003, to §254, no.51, OLG, Bremen, 20 Nov. 1975, Versicherungs Recht, 1976, 558-560, მითოთებულია: Gordley J., Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006, 411.

<sup>970</sup> Gordley J., Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006, 411.

ევროპული პრინციპების 9:503-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების დამრღვევი მხარე პასუხისმგებელია იმ ზიანისათვის, რომელსაც იგი ხელშეკრულების დადების ეტაპზე ითვალისწინებდა, ან ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა, როგორც მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედების სამართლებრივი შედეგი.<sup>971</sup> თუ მხარე განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებდა, მაშინ იგი პასუხისმგებელია არა მხოლოდ მის მიერ სავარაუდო, არამედ დამდგარი ზიანისათვის, სრული ოდენობით.

მართლია, სსკ განამტკიცებს მხარისათვის მოსალოდნელი და სავარაუდო ზიანის ანაზღაურების წესს,<sup>972</sup> მაგრამ ანაზღაურებას დაქვემდებარებული ზიანის ოდენობის განსაზღვრისას ანგარიშს არ უწევს, თუ ბრალის რომელი ფორმითაა ვალდებულების დარღვევა გამოხატული. კეთილსინდისიერების უნივერსალური პრინციპიდან გამომდინარე, გათვალისწინების კრიტირიუმი არ უნდა მიემართებოდეს ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობას მხოლოდ განზრახი დარღვევის არსებობის შემთხვევაში, რაც მიზანშეწონილია აისახოს ქართულ სამოქალაქო კოდექსში.

სსკ-ის 392-ე მუხლის თანახმად, მოვალეს მარტივი გაუფრთხილებლობით ვალდებულების დარღვევისას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების შემთხვევაში. მარტივი გაუფრთხილებლობისათვის გამოირიცხება ასევე მჩუქრებლის პასუხისმგებლობა გსკ-ის 521-ე პარაგრაფის ძალით, ხოლო უსასყიდლო სესხის დროს გამსესხებლის პასუხისმგებლობა მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის ფუძნდება.<sup>973</sup>

ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი გულისხმიერების ხარისხი მცირდება იმ ურთიერთობებში, სადაც მხარეებად ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სუბიექტებად გვევლინებიან (მეუღლეები<sup>974</sup>, მშობლები შვილებთან მიმართებით<sup>975</sup>). ამ შემთხვევაში მოვალემ პასუხი უნდა აგოს ისეთი გულისხმიერებისათვის, რომელსაც, ჩვეულებრივ, საკუთარი საქმეების მიმართ ავლენს (*diligentia quam in suis*). მოვალე შეიძლება განთავისუფლდეს მარტივი გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობისაგან,<sup>976</sup> თუკი დაამტკიცებს, რომ საკუთარი საქმეების მიმართაც ისეთივე გულგრი-

<sup>971</sup> Schmidt-Kessel M. (*Osnabrück*), Remedies for Breach of Contract in European Private Law - Principles of European Contract Law, Acquis Communautaire and Common und Frame of Reference, in Schulze R. (ed.), New Features in Contract Law, Sellier, European Law Publishers, München, 2007, 193. იდენტური შინაარსია განმტკიცებული ვენის კონვენციის 74-ე მუხლში. ი. ი. DiMatteo L.A., Dhooge L.J., Greene S., Maurer V.G., Pagnattaro M.A., International Sales Law, A Critical Analysis of CISG Jurisprudence, Cambridge University Press, Cambridge, 2005, 153.

<sup>972</sup> ი. სსკ-ის 412-ე მუხლი. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინება საქმეზე: №ას-466-707-08.

<sup>973</sup> ი. გსკ-ის (German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005) §599.

<sup>974</sup> ი. იქვე, §1359.

<sup>975</sup> ი. იქვე, §1664.

<sup>976</sup> ი. იქვე, §277.

ლობით მოქმედებს, როგორითაც კონკრეტულ განსახილველ ურთიერთობაში.

ფრანგულ სამართალში მოვალის პასუხისმგებლობის ზომა დამოკიდებულია ბრალის ფორმაზე. მაგალითად, მოვალის მიერ გაუფრთხილებლობით ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას კრედიტორს უფლება აქვს მხოლოდ პროცენტზე, ხოლო განზრახი ბრალის არსებობისას მას შეუძლია, პროცენტის გადახდასთან ერთად, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.<sup>977</sup>

ფსკ-ის<sup>978</sup> 1927-ე მუხლის თანახმად, უსასყიდლო მიბარების დროს შემნახველს ისეთივე გულისხმიერება და ყურადღებიანობა მოეთხოვება, როგორსაც იჩენს საკუთარი ქონების მიმართ. ხოლო სასყიდლიან ხელშეკრულებაში წინდახედულების სტანდარტი განისაზღვრება მსგავს პირობებში მყოფი, გონიერი და კეთილსინდისიერი მესამე პირის ჩვეული ყურადღებიანობით. სსკ-ის 774-ე მუხლის თანახმად, მიბარების სასყიდლიან ხელშეკრულებაში შემნახველი პასუხს აგებს განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ორივე ფორმისათვის, უსასყიდლო ხელშეკრულებისას კი შემნახველს პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ განზრახვისა და უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში.<sup>979</sup>

### 3.3. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გამორიცხვა მხარეთა სახელშეკრულებო შეთანხმებით

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ძალით, მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ ვალდებულების შინაარსი – საკუთარი უფლება-მოვალეობები კონკრეტულ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში. შესაბამისად, ხელშეკრულების მონაწილეები უფლებამოსილნი არიან, შეთანხმდნენ ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივ შედეგებზე, კერძოდ, შეზღუდონ ან გამორიცხონ თავიანთი პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.<sup>980</sup>

კონტრაქტების შეუძლიათ, ხელშეკრულების ცალკეული პირობის დაცვა თავიანთი ვალდებულების სფეროდან გამორიცხონ. დაუშვებელია მსგავსი შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობაზე, რომლის შეუსრულებლობა არსებით დარღვევას აფუძნებს. მხარეთა მიერ განსაზღვრული ან კანონით დადგენილი არსებითი პირობების დაცვა ხელშეკრულების მონაწილეთა ძირითადი ვალდებულებაა.<sup>981</sup>

გარემოებები, რომელთა არსებობისას ვალდებულების შეუსრულებლობა დარღვევად არ განიხილება, შესაძლებელია, მხარეებმა წინასწარ გა-

<sup>977</sup> დლიერი შვილი ზ., ვალდებულების შესრულება, თბ., 2006, 126.

<sup>978</sup> French Civil Code, Translated by Rouhette G. with the assistance of Rouhette-Berton A., 2006.

<sup>979</sup> ჭანტურია ლ., ზოდებ ბ., ნინობ თ., შენგელია რ., ხელშრიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, გ. II, თბ., 2001, 56.

<sup>980</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 385.

<sup>981</sup> იქვე.

ითვალისწინონ ხელშეკრულებაში. ასეთი სახელშეკრულებო დათქმები ემიჯნება დათქმებს პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ. პირველი კატეგორიის სახელშეკრულებო შეთანხმებები ემსახურება იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომელთა წარმოშობის პირობებში ვალდებულების შეუსრულებლობა დარღვევად არ განიხილება, ხოლო მეორე სახის დათქმები გამოიყენება სახელშეკრულებო ურთიერთობის იმ ეტაპზე, როდესაც ვალდებულება დარღვეულია, მაგრამ მათი განსაზღვრა ემსახურება მხარეთა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას უკვე დარღვეული ვალდებულების პირობებში.

პასუხისმგებლობის გამომრიცხავ დათქმებს განამტკიცებს როგორც გსკ, ისე ევროპული პრინციპები, თუმცა ორივე მათგანი პრობლემის განსხვავებულ გადაწყვეტას ითვალისწინებს.

გერმანულ სამართალში მხარეებს უფლება აქვთ, წინასწარი სახელშეკრულებო შეთანხმებით შეამცირონ ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი წინდახედულების ხარისხი, ან გამორიცხონ პასუხისმგებლობა ისეთი მოქმედებისათვის, რაც მსგავსი სახელშეკრულებო დანაწესის არარსებობის შემთხვევაში ვალდებულების დარღვევად განიხილება. თუმცა ეს უფლება იზღუდება გსკ-ის 276-ე III პარაგრაფით, რომელიც კრძალავს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის წინასწარ გამორიცხვას ვალდებულების განზრახას დარღვევისათვის.<sup>982</sup>

სამომხმარებლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მიმართ გსკ გაცილებით მკაცრ დანაწესებს განამტკიცებს. კერძოდ, გსკ-ის 309-ე VII (ა) პარაგრაფის ძალით, ბათილად ითვლება სახელშეკრულებო პირობა, მომხმარებლის ან მისი წარმომადგენლის ისეთი განზრახა ან გაუფრთხილებელი (როგორც უხეში, ასევე მარტივი) მოქმედებისათვის პასუხისმგებლობის შეზღუდვის, თუ მისგან განთავისუფლების შესახებ, რაც ხელყოფს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხეულის მთლიანობას. რაც შეეხება პასუხისმგებლობის გამორიცხვას ან შეზღუდვას მარტივი გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისათვის, მას გსკ დასაშვებად მიიჩნევს. ეს დასკვნა გამომდინარეობს გსკ-ის 309-ე VII (ბ) პარაგრაფიდან: ბათილია შეთანხმება მომხმარებლის ან მისი წარმომადგენლის განზრახა ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის შეზღუდვისა თუ მისგან განთავისუფლების შესახებ. დაუშვებელია ასევე, მხარეთა შეთანხმებით გამოირიცხოს ხელშეკრულებაზე უარის უფლება მომხმარებლის მიერ ვალდებულების ბრალეული დარღვევის შემთხვევაში, თუკი ეს გამოწვეული არაა შესყიდული საქონლის ან შესრულებული სამუშაოს ნაკლით.

რაც შეეხება ევროსაბჭოს 1994 წლის 31 დეკემბრის დირექტივას „მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების არაკეთილ სინდისიერი პირობების“

<sup>982</sup> ანალოგიურად ინგლისურ სამართალში ბათილად ითვლება შეთანხმება განზრახა დარღვევისათვის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ. იხ. Unfair Contract Terms Act, Legislation of United Kingdom, 1977 (არასამართლიანი სახელშეკრულებო პირობების შესახებ აქტი (შემდგომში – ასპა),

<[http://www.opsi.gov.uk/RevisedStatutes/Acts/ukpga/1977/cukpga\\_19770050\\_en\\_1](http://www.opsi.gov.uk/RevisedStatutes/Acts/ukpga/1977/cukpga_19770050_en_1)>.

ბის შესახებ“<sup>983</sup> (შემდგომში – არაკეთილსინდისიერი პირობების შესახებ დირექტივა), იგი კრძალავს სახელშეკრულებო დათქმებს განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის მხარეთ პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ.<sup>984</sup> ანალოგიურად, სსკ-ის 348-ე „ვ“ მუხლის ძალით, ბათილად ითვლება ხელშეკრულების სტანდარტული პირობა, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს პასუხისმგებლობას იმ ზიანისათვის, რაც გამოწვეულია შემთავაზებლის ან მისი წარმომადგენლის მიერ უხეში გაუფრთხილებლობით ვალდებულების დარღვევის გამო.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა წინასწარი შეთანხმებით კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოა, ვინაიდან იგი გაუმართლებელ უპირატესობას ანიჭებს ვალდებულების დამრღვევა მხარეს, ამასთან, მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და სახელშეკრულებო წონასწორობას.

სსკ-ის ზოგადი 410-ე მუხლი ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი დაცვის მექანიზმის წინასწარი სახელშეკრულებო შეთანხმებით ან კანონის საფუძველზე შეზღუდვის შესაძლებლობას განამტკიცებს. სსკ-ის სპეციალური 395-ე II მუხლის საფუძველზე იკრძალება მოვალის მიერ მხოლოდ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება. განზრახი დარღვევისათვის მოვალის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ შეთანხმება ეწინააღმდეგება ვალდებულების დაურღვევლობის პრინციპს (*Pacta Sunt Servanda*), ასევე მნიშვნელოვნად ზრდის ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკს, რითაც საფრთხე ექმნება მხარეთ ლეგიტიმური ინტერესების სამართლიან უზრუნველყოფას. ასევე, სსკ-ის 348-ე „ვ“ პუნქტის თანახმად, ბათილია დებულება, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს პასუხისმგებლობას იმ ზიანისათვის, რაც გამოწვეულია შემთავაზებლის ან მისი წარმომადგენლის მიერ უხეში გაუფრთხილებლობით ვალდებულების დარღვევის გამო. მსგავსი საკანონმდებლო დანაწეხებით სამოქალაქო კოდექსი ბრუნვის მონაწილეს იცავს უსამართლო დათქმებისაგან.<sup>985</sup>

მხარეთა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე პასუხისმგებლობისან განთავისუფლების საკითხის მეტად საინტერესო გადაწყვეტას ითვალისწინებს ეკროპული პრინციპები. კერძოდ, 8:109-ე მუხლის თანახმად, სახელშეკრულებო შეთანხმებით შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს მხარეთა პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, იმ პირობით, თუ ამგვარი სახელშეკრულებო დათქმა არ ხელყოფს კეთილსინდისიე-

<sup>983</sup> იხ. The EC Directive on Unfair Terms in Consumer Contracts 93/13/EEC: L 95/29, (ევროსაბჭოს დირექტივა სამომსმარებლო ხელშეკრულებებში არასამართლიანი პირობების შესახებ), <<http://webjcli.ncl.ac.uk/articles3/kaye3.rtf>>.

<sup>984</sup> პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ან შეზღუდვის შესახებ სახელშეკრულებო დათქმების ბათილობა გათვალისწინებულია სსკ-ის არაერთი ნორმით, მაგალითად, 497-ე, 539-ე, 697-ე მუხლებით და სხვა.

<sup>985</sup> ჯანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხელურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 460.

რებისა და გულისხმიერების პრინციპებს. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის აუცილებელია, რომ თავად პირველადი ვალდებულების შესრულება აფუძნებდეს მხარეთათვის უარყოფით სამართლებრივ შედეგს კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით. ერთი შეხედვით, მხარეთა შეთანხმებით დადგენილი პირობები, როგორც ხელშეკრულების მონაწილეთა ურთიერთმფარავი ნების გამოხატულება, არ შეიძლება იყოს კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპების საწინააღმდეგო. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მხარემ გაცნობიერებულად განახორციელა ხელშეკრულების პირობის იგნორირება, თუნდაც კონტრაქტენტისათვის ზიანის მიუყენების განზრახვის გარეშე, პასუხისმგებლობის გამომრიცხავი პირობაც ძალას კარგავს. მისი გამოყენება, მიუხედავად მხარეთა შეთანხმების არსებობისა, კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპების საწინააღმდეგოა.<sup>986</sup>

ამ კუთხით საფურადდებოა ევროპული პრინციპების 1:201-ე II მუხლი, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევს კეთილსინდისიერების პრინციპის ყოველგვარ შეზღუდვას ან გამორიცხვას სახელშეკრულებო შეთანხმებით. აღნიშნული ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და სახელშეკრულებო პირობით შეზღუდვას არ ექვემდებარება. ხოლო მხარეთა შეთანხმება, ვალდებულების გაუფრთხილებლობით დარღვევისათვის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების თაობაზე, მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების დაცვის იმპერატიულ წესს, ვინაიდან ამგვარი სახელშეკრულებო დათქმის არსებობის შემთხვევაში ვალდებულების შესრულებისას მხარისაგან მოსალოდნელი წინდახედულების ხარისხი და კეთილგონიერების სტანდარტი მნიშვნელოვნად მცირდება, რაც ზრდის გაუფრთხილებლობით ვალდებულების დარღვევის რისკს. თუ ხელშეკრულების მონაწილე აცნობიერებს გაუფრთხილებლობისას პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესაძლებლობას, მისი მხრიდან სახელშეკრულებო ურთიერთობაში აუცილებელი გულისხმიერების დაცვა ნაკლებად მოსალოდნელია, რაც ვალდებულების გაუფრთხილებლობით დარღვევის საშიშროებას აფუძნებს, ეს კი მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება *Pacta Sunt Servanda-*ს ფუძემდებლურ პრინციპს, საფრთხეს უქმნის კრედიტორის მიმართ ვალდებულების შესრულების ლეგიტიმურ სახელშეკრულებო ინტერესს და ამით მხარეებს არათანაბარ პირობებში აყენებს. აღნიშნული თავისთავად კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევას გულისხმობს.

ამდენად, მხარეთა შეთანხმება გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების შესახებ, კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით, დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული. მხარეთა კანონიერი ინტერესებისა და თანასწორუფლებიანობის დაცვის მიზნით სამართალშეფარდების დონეზე მკაცრად უნდა გაკონტროლდეს პასუხისმგებლობის გამომრიცხავი ან შემზღუდავი შეთანხმებების მოქმედება.

<sup>986</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 386.

## 4. ხელშეკრულებიდან გასვლა

### 4.1. არსებითი დარღვევა როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების წინაპირობა

ხელშეკრულებიდან გასვლა გულისხმობს ხელშეკრულების გაუქმებას ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით, რომელიც არ საჭიროებს კონტრაქტის მიერ აქცეპტირებას. შეცვლილი გარემოებით წარმოშობილი ფორსმაჟორის შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია აამოქმედოს ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა, რომელიც მოიაზრებს თავდაპირველი შესრულების ურთიერთსანაცვლო ვალდებულებებისგან მხარეთა განთავისუფლებას.<sup>987</sup> ხოლო დროებითი დაბრკოლების პირობებში შეუძლია შეაჩეროს სანაცვლო შესრულების განხორციელება.

თუ დაბრკოლება მხოლოდ ხელშეკრულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას იწვევს, მაშინ კრედიტორს ენიჭება არჩევანის უფლება ნაწილობრივი შესრულების მიღებასა და ხელშეკრულებიდან გასვლას შორის, რამეთუ შესაძლებელია ადარ არსებობდეს კრედიტორის სახელშეკრულებო ინტერესი ნაწილობრივ შესრულებასთან მიმართებით.<sup>988</sup> ხელშეკრულებიდან ნაწილობრივ გასვლა დაუშვებელია – თუ შესრულების ინტერესი ადარ არსებობს, განხორციელდება გასვლის უფლება.<sup>989</sup>

ხელშეკრულებიდან გასვლა დასაშვებია ვალდებულების როგორც ფაქტობრივი, ასევე მოსალოდნელი დარღვევის<sup>990</sup> არსებობისას,<sup>991</sup> როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობაში აღმოცენებული შეცვლილი გარემოებები ცხადყოფს მომავალში ვალდებულების დარღვევის გარდუვალობას.

ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლების ანალიზისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ უფლების გამოყენების ზოგადი საფუძვლები. კერძოდ, ხელშეკრულებიდან გასვლის უმთავრეს წინაპირობად კანონმდებლობით განსაზღვრულია ვალდებულების დარღვევა, რომელიც შეიძლება გამოიხატოს მაგალითად, ფორსმაჟორული გარემოებით გამოწვეული შესრულების შეუძლებლობით.

<sup>987</sup> Gabriel H.D., Contract for the Sale of Goods, A Comparison of Domestic and International Law, Oceana Publications, Inc, Dobbs, Ferry, New York, 2004, 223.

<sup>988</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 382.

<sup>989</sup> მაჯარაძე მ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა – განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), „ქართული სამართლის მიმხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2008, 130.

<sup>990</sup> იბ. სსკ-ის 405-ე IV მუხლი. Zimmermann R., Roman Law, Contemporary Law, European Law, The Civilian Tradition Today, Oxford University Press, Oxford, 2001 (reprinted, 2004), 138; Zharsky A.V., Correlation of the Legal Defence Remedies for the Breach of International Sales Contract, Law and Democracy: Collected Scientific Articles, Vol. 10, 1999, 81-83, მთოვებულია: Seliaznova T., Prospective Non-Performance or Anticipatory Breach of Contract (Comparision of the Belarusian Approach to CISG Application and Foreign Legal Experience, J.L.&C., Vol. 24, 2004, 116.

<sup>991</sup> იბ. ევროპული პრინციპების 1:303-ე (4), 3:302-ე და 8:105-ე მუხლები.

იურიდიულ დოქტრინაში ვალდებულების დარღვევა განიხილება როგორც მოწვევა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებაზე.<sup>992</sup> თითქმის ყველა სამართლებრივი სისტემა ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობად არსებით შეუსრულებლობას აცხადებს.<sup>993</sup> ამდენად, ვალდებულების ყოველგვარი შეუსრულებლობა არ უზრუნველყოფს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებისადმი მხარის ხელმისაწვდომობას.<sup>994</sup> სსკ-ის 405-ე III „ა“ მუხლით, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების წინაპირობად არსებითი ხასიათის, მნიშვნელოვანი დარღვევა სახელდება. კერძოდ, ზემოხსენებული ნორმა ხელშეკრულებიდან გასვლას დაუშვებლად აცხადებს ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევის პირობებში. აღნიშნული წესი ემთხვება გსკ-ში განმტკიცებული ფუნდამენტური დარღვევის ცნებას, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობას. გსკ-ში ხელშეკრულებიდან გასვლისათვის არსებითი დარღვევის არსებობის მოთხოვნა მხოლოდ ნაკლიან შესრულებასთან მიმართებით არის დაგენილი.<sup>995</sup> ფუნდამენტური დარღვევის კონცეფცია უმნიშვნელოვანების ნიშანსვეტია,<sup>996</sup> ცენტრალური მნიშვნელობისაა ასევე, ვანის კონვენციით<sup>997</sup> განმტკიცებული მეორადი მოთხოვნის უფლებების სისტემაში,<sup>998</sup> რამეთუ ხელშეკრულებაზე უარის უფლება მხოლოდ ფუნდამენტური დარღვევის არსებობას უკავშირდება.<sup>999</sup>

<sup>992</sup> Smith S.A., Contract Theory, McGill University, Oxford University Press, 2007, 373-374.

<sup>993</sup> არსებითი შეუსრულებლობის სამართლებრივი კატეგორია განსაკუთრებით აღიარებულია ანგლოამერიკული სამართლის სისტემაში – იხ. “Substantial Failure” წიგნში: Treitel G.H., The Law of Contract, 9<sup>th</sup> ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 686-693.

<sup>994</sup> Reimann M., Zimmerman R., The Oxford Handbook of Comparative Law, Oxford University Press, USA, 2008, 924. იხ. ისევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთს პალატის 2011 წლის 13 ივნისის განჩინება საქმეზე: №ას-502-476-2011.

<sup>995</sup> იხ. გსკ-ის (German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005) §323 V. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ შესრულების შეუძლებლობა, როგორც ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთი სახე, თავისთავად არსებით შეუსრულებლობას გულისხმობს, რამეთუ სრულად გამოირიცხება შეთანხმებული შესრულებით კრედიტორის უზრუნველყოფა.

<sup>996</sup> Graffi L., Case Law on the Concept of "Fundamental Breach" in the Vienna Sales Convention, International Business Law Journal, No. 3, 2003 338, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/graffi.html>>, [10.07.2014].

<sup>997</sup> იხ. ვენის კონვენციის 25-ე მუხლი.

<sup>998</sup> Koch R., Fundamental Breach: Commentary on Whether the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts may be used to Interpret or Supplement Article 25 CISG, წიგნში: Felemegeas J. (ed.), An International Approach to the Interpretation of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (1980) as Uniform Sales Law, Sydney, 2007, 125; Nicolas B., The Vienna Convention on International Sales Law, L Quart. Rev., 105, 1989, 218, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/nicholas2.html>>, [10.07.2014].

<sup>999</sup> Eiselen S., Ferrari F., Flechtner H.M., Garro A., Ulrich M., Viscasillas P.P., Rogers V., Sono H., Witz C., Voleger A.K. (ed.in chief), J.L. & Com., UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, Special Issue, Vol. 30, University of Pittsburgh, 2012, 224; Lorenz A., Fundamental Breach under the CISG, Dinslaken, Germany/Canterbury, England, 1998, 1-2, 4, <[http://www.jus.uio.no/pace/fundamental\\_breach\\_under\\_the\\_cisg.alexander\\_lorenz/portrait.pdf](http://www.jus.uio.no/pace/fundamental_breach_under_the_cisg.alexander_lorenz/portrait.pdf)>, [10.07.2014].

ვალდებულების არსებითი შეუსრულებლობა ხელშეკრულებაზე უარის მოთხოვნის საფუძვლად არის ასევე დადგენილი ევროპული პრინციპებისა<sup>1000</sup> და უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების<sup>1001</sup> მიხედვით.

ვალდებულების შეუსრულებლობა ფუნდამენტურ დარღვევად შესაძლებელია იქნეს განხილული, თუ ვალდებულების შინაარსის ხელშეკრულების შესატყვისი, მკაცრი შესრულება ხელშეკრულების მთავარი არსი და მიზანია და შეუსრულებლობა არსებითად უკარგავს მხარეს სახელშეკრულებო მოლოდინს.<sup>1002</sup> არსებითია შეუსრულებლობა, რომელიც სერიოზულობის განსაზღვრულ დონეს აღწევს და მნიშვნელოვნად ხელყოფს კრედიტორის მოსალოდნელ სახელშეკრულებო ინტერესს. რამდენადაც ქართული კოდექსი მნიშვნელოვანი დარღვევის შეფასების არავითარ ობიექტურ მასშტაბს არ განამტკიცებს, არსებითი შეუსრულებლობის კონცეფცია მოლიანად შეფასებით და აბსტრაქტულ კატეგორიად რჩება.

ევროპული პრინციპები განსაზღვრავს არსებითი შეუსრულებლობის სამ შემთხვევას, კერძოდ, ვალდებულების დარღვევა არსებითია თუ:

ა) ხელშეკრულების მკაცრი სიზუსტით შესრულება მხარეთა შეთანხმებული პირობა იყო;

ბ) შეუსრულებლობის შედეგად მხარე სრულიად კარგავს მოსალოდნელ სახელშეკრულებო ინტერესს ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა დარღვევის მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგი;

გ) ვალდებულების დარღვევა მხარის განზრახი მოქმედების შედეგია, რის გამოც კრედიტორი ვერ დაეყრდნობა მოვალის სამომავლო შესრულებას.

ბრალის კატეგორია ზემოჩამოთვლილ თითოეულ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რაც არსებითი დარღვევის სახეების ცალკალ ანალიზის აუცილებლობას განაპირობებს:

ა) შესრულების მკაცრი შესაბამისობა გალდებულების შინაარსთან. იურიდიულ დოქტრინაში დამკვიდრებული შეხედულებით, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას არ აფუძნებს ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევა, რაც ასევე განმტკიცდა საკანონმდებლო დონეზე.<sup>1003</sup> ვალდებულების დარღვევის არსებითობა დამოკიდებულია არა მხოლოდ დარღვევის ხასიათის სერიოზულობასა და დიდ მნიშვნელობაზე, არამედ იმაზე, თუ რამდე-

<sup>1000</sup> ი. ევროპული პრინციპების 9:301-ე და 8:103-ე მუხლები. ი. ასევე, Schmidt-Kessel M. (Osnabrück), Remedies for Breach of Contract in European Private Law - Principles of European Contract Law, Acquis Communautaire and Common und Frame of Reference, in Schulze R. (ed.), New Features in Contract Law, Sellier, European Law Publishers, München, 2007, 189.

<sup>1001</sup> ი. უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 7.3.1-ე მუხლი. ასევე, Koch R., "Fundamental Breach": Commentary on Whether the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts may be used to Interpret or Supplement Article 25 CISG, წიგნში: Felemegeas J. (ed.), An International Approach to the Interpretation of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (1980) as Uniform Sales Law, Sydney, 2007, 128.

<sup>1002</sup> ი. ევროპული პრინციპების 8:103-ე მუხლი.

<sup>1003</sup> ი. სსკ-ის 405-ე III „ა“ მუხლი.

ნად დაუკავშირეს მხარეებმა ხელშეკრულება მკაცრი სიზუსტით შესრულებას. ამ შემთხვევაში, ბრალისა და დარღვევის ხასიათის მიუხედავად, ფუძნდება არსებითი შეუსრულებლობა, რაც უფლებამოსილი მხარისათვის ხელმისაწვდომს ხდის ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლების განხორციელებას. ვალდებულების მკაცრი შესრულების მოთხოვნა შეიძლება წარმოადგენდეს როგორც მხარეთა შეთანხმებით წინასწარ დადგენილ, ისე ხელშეკრულების ნაგულისხმევ პირობას. ცალკეულ შემთხვევებში მკაცრი შესრულების მოთხოვნას თვით კანონი აწესებს. მაგალითად, საქონლის ნასყიდობის დროს მიწოდების ადგილისა და დროის ზუსტი დაცვა მხარეს მკაცრად მოჰტხოვება.<sup>1004</sup>

ბ) ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგების სიმძიმე. პრინციპები დარღვევის არსებითად სახელდებისათვის ანგარიშს უწევს ხელშეკრულების მხარის ბრალსა და შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგების სიმძიმეს. თუ შესრულება მნიშვნელოვნად ხელყოფს მხარის სახელშეკრულებო ინტერესს, მაშინ დარღვევა არსებითად განიხილება იმ შემთხვევის გარდა, თუ მოვალე არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა დარღვევის მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები. მოვალის ბრალებულობის განსაზღვრისათვის უნდა დადგინდეს, არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ობიექტური მესამე პირისათვის თუ რამდენად იქნებოდა დარღვევის შედეგები სავარაუდო. ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში მოვალის ბრალი განაპირობებს არსებითი დარღვევის არსებობას.

გ) ვალდებულების განხრახი შეუსრულებლობა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხარის სახელშეკრულებო ინტერესი სრულიად არ ილახება ან დარღვევა უმნიშვნელოა, ვალდებულების შეუსრულებლობა შეიძლება არსებითად ჩაითვალოს, თუ მოვალე განხრახი ბრალით მოქმედებდა, რის გამოც კრედიტორი კარგავს ნდობას ვალდებულების მომავალი შესრულების მიმართ.<sup>1005</sup>

ვენის კონვენცია, ბრალებულობის თვალსაზრისით, ვალდებულების არსებითი დარღვევის საინტერესო კონცეფციას განამტკიცებს. კერძოდ, 25-ე მუხლის თანახმად, არსებითი დარღვევა მნიშვნელოვნად ხელყოფს მხარის ლეგიტიმურ სახელშეკრულებო მოლოდინს, ამასთან, ვალდებულების დამრღვევმა მხარემ იცოდა და შეეძლო სცოდნოდა მისი ქმედების მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგი, წინააღმდეგ შემთხვევაში დარღვევა არსებითად არ განიხილება.

შეთანხმება არსებით პირობებზე მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადგების ეტაპზე უნდა განხორციელდეს, რათა მოვალემ გააცნობიეროს, თუ რომელი პირობების დარღვევამ შეიძლება წარმოშვას ხელშეკრულებაზე უარის სამართლებრივი საფუძველი ხელშეკრულების არსებითი დარღვევის სახით. თუ სახელშეკრულებო პირობა არსებითად არ იყო დათქმული მხარეთა

<sup>1004</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 364.

<sup>1005</sup> იქვე, 365.

მიერ მოლაპარაკების ეტაპზე, მაშინ მისი შეუსრულებლობა ფუნდამენტურ დარღვევად არ შეერაცხება მოვალეს, ვინაიდან მას არაძირითადი პირობის დაუცველობა არსებით დარღვევად არ შეეძლო განესაზღვრა ხელშეკრულების შეთანხმებული შინაარსიდან გამომდინარე.

ამრიგად, ხელშეკრულებიდან გასვლა, ვენის კონვენციის მიხედვით, დაუშვებლად ცხადდება, როდესაც მხარეს არ შეეძლო გაეთვალისწინებინა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კონკრეტული პირობის შესრულება ხელშეკრულების მიზნის გათვალისწინებით.

სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა აფუძნებს ვალდებულების დარღვევის ობიექტურ კატეგორიას, რომლის საფუძველზე აღმოცენდება ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლება, რაც ბრალეული დარღვევის არსებობას წინაპირობად არ მოიაზრებს.<sup>1006</sup>

ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უზოგადესი საფუძველია გსკ-ის 323-ე პარაგრაფი, რომელიც კრედიტორის სასარგებლოდ წარმოშობს ხელშეკრულებაზე უარის უფლებას მოვალის მიერ სანაცვლო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა იურიდიულ წინაპირობად ბრალის არსებობას არ მოიაზრებს, გსკ-ის 324-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლა შეფასებით კატეგორიაზეა დამოკიდებული. კერძოდ, ორმხრივ ხელშეკრულებაში მოვალის მიერ კონტრაქტის ინტერესებისა და უფლებების დაცვის ვალდებულების (*Schutzpflichten*) დარღვევისას კრედიტორს წარმოეშობა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, თუ არაგონივრულია, მას დაცვის ვალდებულების დარღვევის შედეგად მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება. ხელშეკრულებიდან გასვლის გონივრულობა განისაზღვრება იმის საფუძველზე, თუ რამდენად სამართლიანია, ჰქონდეს სახელშეკრულებო ურთიერთობას პერსპექტივა კეთილსინდისიერებისა და ინტერესთა ბალანსის გათვალისწინებით.<sup>1007</sup>

ამრიგად, ზოგადი წესის საფუძველზე ხელშეკრულების მხარის ბრალეულობა ხელშეკრულებიდან გასვლის აუცილებელ წინაპირობას არ ქმნის, მაგრამ გსკ-ის 324-ე პარაგრაფსა და სსკ-ის 405-ე III(ბ) მუხლში განმტკიცებულ შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების წარმოშობის საფუძველი შეფასებითად განისაზღვრება. ევროპული პრინციპებსა და ნასყიდობის კონვენციაშიც ვალდებულების არსებითი დარღვევის განსაზღვრა მთლიანად აბსტრაქტულ კატეგორიაზეა დაფუძნებული.

<sup>1006</sup> *Markesinis S.B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise*, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 388.

<sup>1007</sup> ი. სსკ-ის 405-ე III „ბ“ მუხლი.

#### 4.2. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების შეუძლებლობა როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა

შესრულების გართულების პირობებში ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სსკ-ის 398-ე III მუხლის ანალიზი: მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.<sup>1008</sup>

ამრიგად, მხარეთა მოლაპარაკების ეტაპზე შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების შეუძლებლობისას სსკ-ის 398-ე III მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს დაზარალებული მხარის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებას სასამართლოსადმი მისადაგების მოთხოვნით მიმართვის ვალდებულების გარეშე. აღნიშნული საკანონმდებლო დებულება ხარვეზებით ხასიათდება, რამეთუ ბუნდოვანია, როგორ შეიძლება შეფასდეს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების ადაპტაციის შეუძლებლობა სასამართლოსგან ან სხვა ობიექტური მესამე პირისგან დამოუკიდებლად. თუ აღნიშნული მხოლოდ მხარეთა მოლაპარაკებისა და შეფასების საგანი გახდება, მაშინ ადაპტაციის შეუძლებლობა სუბიექტურ შეხედულებებსა და მოსაზრებებზე დამყარებული და ამდენად, არაობიექტური იქნება. მით უფრო დაუშვებელია, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით პირის აღჭურვა, რომელიც ცალმხრივად არ ეთანხმება შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების ადაპტაციას. ვინაიდან შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება ვალდებულების შესრულებას უზრუნველყოფს და ხელშეკრულების შენარჩუნებას ემსახურება, ამიტომ მისი ხელმისაწვდომობისათვის ყველა სამართლებრივი საშუალება უნდა იქნეს გამოყენებული.<sup>1009</sup> კერძოდ, ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა უკიდურესი ღონისძიების (*ultima ratio*) სახით უნდა იქნეს ამოქმედებული, როდესაც ხელშეკრულების შესრულების ყველა სამართლებრივი გზა ამოწურულია.<sup>1010</sup> კერძოდ, ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის გამოყენება უნდა დაიშვებოდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგებას და არა

<sup>1008</sup> ადაპტაციის შეუძლებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების არსებობა ასევე გაზიარებულია იურიდიულ დოქტრინაში. იხ. ვაშაკოდ გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, GTZ, თბ., 2010, 172.

<sup>1009</sup> მაგალითად, სსკ-ის 256-ე II მუხლის თანახმად, თუ სახელშეკრულებო ვალდებულება ობიექტურდ შესრულებადია და სახეზე არ არის მუდმივი და დროებითი შეუძლებლობის შემთხვევა, მაშინ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენება დაუშვებელია სანამ მხარეს გაფრთხილება არ მიეცემა შესრულებისათვის განსაზღვრული დროის დაწესებით. იხ. New Netherlands Civil Code - Patrimonial Law, translated by Huanappel P.P.C., Mackaay E., Under the Auspices of the Ministry of Justice of the Netherlands, Quebec Centre of Private and Comparative Law, Kluwer Law and Taxation Publishers, Boston.

<sup>1010</sup> Graffi L., Case Law on the Concept of “Fundamental Breach” in the Vienna Sales Convention, Int'l Bus. L. J., International Business Law Journal, No. 3, 2003, 349 (Forum Europeen de la Communication) Paris, <http://cisgw3.law.pace.edu/cisg/biblio/graffi.html>, [10.07.2014].

იმ ეტაპზე, როდესაც მხარეები ვერ შეათანხმებენ ხელშეკრულების ახალი გარემოებებისადმი შეგუების პირობებს.

მოყვანილი პოზიციის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ვინაიდან ხელშეკრულების მისადაგების პროცესში გარკვეული სახის პირობები ახლებურად უნდა ჩამოყალიბდეს შეცვლილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს სსკ-ის 325-ე მუხლი: 1. თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საჭვრობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განხსაზღვრა უნდა მოხდეს ხამართლიანობის საფუძველზე. 2. თუ მხარე პირობებს არ მიიჩნევს სამართლიანად, ან მათი განხსაზღვრა ჭიანურდება, გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. შესაბამისად, თუ სახელშეკრულებო მოლაპარაკების ეტაპზე მხარეები ვერ თანხმდებიან ხელშეკრულების გადასინჯვის პირობებზე, ხელშეკრულების შენარჩუნების მიზნით ურთიერთობაში უნდა ჩაერთოს სასამართლო ან სხვა ობიექტური მესამე პირი, ნეიტრალური მხარე, რომელიც გონივრული განსჯის საფუძველზე ობიექტურად შეაფასებს სუბიექტების ინტერესთა თანაფარდობას, ეკვივალენტობას და სახელშეკრულებო პირობების მოდიფიცირებისას ორიენტირებული იქნება სახელშეკრულებო წონასწორობის აღდგენასა და ხარჯების სამართლიან გადანაწილებაზე.<sup>1011</sup>

ხელშეკრულებიდან გასვლამდე სასამართლოსადმი მიმართვა უზრუნველყოფს ვალდებულების შესრულების ფუძემდებლური პრინციპის დაცვას. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვნად უკავშირდება დამატებითი ვადის კონცეფციას ვალდებულებით სამართალში. ვალდებულების დარღვევის შემდგომ გამოსაყენებელ მეორადი მოთხოვნის უფლებათა რეგულირებისას ანგლოამერიკული და კონტინენტურევროპული სისტემა კონცეფტუალურად განხსნავებულ მიდგომას ავლენს: ინგლისური სამართლებრივი მოწესრიგების საფუძველია კონცეფცია იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში მხარეებმა შესაძლოა, „მიატოვონ ხელშეკრულება“ და სხვაგვარად ეძიონ კუთვნილი დაცმაყოფილება, მაშინ როდესაც გერმანული სამართლებრივი დამოკიდებულების იდეა საპირისპიროა. კერძოდ, ვიდრე მხარეები სახელშეკრულებო ურთიერთობას სხვაგვარ სამართლებრივ რეჟიმს განუსაზღვრავდნენ, ისინი ერთხელ მაინც უნდა შეეცადონ, გადაარჩინონ ხელშეკრულება.<sup>1012</sup> ამიტომაცაა, რომ მოვალისათვის დამატებითი ვადის მიცემა ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი მოწესრიგების უდავოლიტემოტივია კონტინენტურ და, განხსაკუთრებით, გერმანულ სამართალში.<sup>1013</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით<sup>1014</sup> სსკ-ის 405-ე

<sup>1011</sup> Flambouras D., Comparative Remarks on CISG Article 79 & PECL Articles 6:111, 8:108, May, 2002, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/text/peclcomp79.html>>, [15.07.2014].

<sup>1012</sup> აღნიშნულ საბოთხოან დაბავშირებით დაწერილებით იხილეთ ზოდე ბ., უკროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, კერძო სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2005, 299-305.

<sup>1013</sup> Markesinis S.B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 380-381, მითითებულია: ვიფია ა., ხელშეკ-

I მუხლით განსაზღვრული დამატებითი ვადის მიზანია მოვალისათვის ხელის შეწყობა, რათა მან შეძლოს დარღვეული ურთიერთობის გამოსწორება.

გერმანული სამართლის მსგავსად, კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნებში შესრულების მოთხოვნის უფლება ფართოდაა აღიარებული და, მაგალითად, ფსკ-ის 1184-ე II და ისკ-ის 1453-ე მუხლების შესაბამისად, კრედიტორი, რომლის მიმართაც მოვალე არ შეასრულებს ვალდებულებას, უფლებამოსილია, მოითხოვოს არა მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლა და ზიანის ანაზღაურება, არამედ აგრეთვე ვალდებულების შესრულება, თუ აღნიშნული ჯერ კიდევ შესაძლებელია. საერთო სამართლის სისტემაში კი სხვაგვარადაა საკითხი დანახული – თუ ხელშეკრულებით შეთანხმებული ვალდებულება არ შესრულდა, მხარე შეზღუდულია იმ თვალსაზრისით, რომ მას ხელშეკრულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების, და არა შესრულების, მოთხოვნა შეუძლია.<sup>1015</sup>

კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა ტრადიციულად გამოდის იქედან, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კრუდიტორის ძირითადი უფლებაა, მოითხოვოს მოვალისაგან ვალდებულების რეალური (ნატურით) შესრულება.<sup>1016</sup> ანგლოამერიკული სამართალი აგებულია ვალდებულების შინაარსის სხვაგვარ სამართლებრივ გაგებაზე: ზოგადი წესის სახით დადგენილია, რომ მოვალის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს მოვალისაგან მხოლოდ ფულადი კომპენსაცია.<sup>1017</sup>

გერმანიის ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შედეგად დამკვიდრდა მიდგომა, რომელიც ერთსა და იმავე დროს იცავს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებასთან მიმართებით და, ამასთანავე, აღიარებს ნატურით შესრულების (*performance in specie*) მოთხოვნის პრიმატს.<sup>1018</sup> ამ ორი ნიშანდობლივი ელემენტის კომბინაცია გერმანულ სამართალს დოქტრინულ დონეზე ანგლოამერიკული სისტემისაგან დიამეტრულად განსხვავებულ პრინციპის აყენებს.<sup>1019</sup>

---

რულებიდან გასვლის კონტინენტურევროპული და ანგლოამერიკული სამართლებრივი მოწერილების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2008, 80.

<sup>1014</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთს პალატის 2011 წლის 13 ივნისის განჩინება საქმეზე: №ას-502-476-2011.

<sup>1015</sup> Zweigert K., Kötz H., Einführung in die Rechtsvergleichung: auf dem Gebiet des Privatrechts, 3. Aufl., 1996, 469, 477, მითითებულია: ჩაჩავა ს., მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2004, 36.

<sup>1016</sup> ძლიერი შეიდოს ზ., ვალდებულების შესრულება, თბ., 2006, 76.

<sup>1017</sup> იქვე.

<sup>1018</sup> Markesinis S.B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 438.

<sup>1019</sup> იქვე.

როგორც კონტინენტური სამართლის შემადგენელი ნაწილი ქართული სამოქალაქო კოდექსი შესრულებაზე ორიენტირებული აქტია.<sup>1020</sup> ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი შემდეგი საკანონმდებლო დებულებებით იწყება: 1. კოველი შესრულება გულისხმობს გალდებულების არსებობას. 2. გალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.<sup>1021</sup> კოდექსის მთელი ორგანიზმი, როგორც ზოგადი, ისე კერძო ნაწილი, შესრულების მექანიზმებზეა აგებული. პასუხისმგებლობა მისთვის ყველაზე უკიდურესი ღონისძიებაა და ვიდრე მისი გამოყენება მოხდებოდეს, მანამ დარღვეული ვალდებულების გაჯანსაღების შანსი ეძლევათ მხარეებს. მთავარია შესრულება და არა პასუხისმგებლობა.<sup>1022</sup>

კოდექსით განმტკიცებული მექანიზმები უმოავრესად და უპირველუსად ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას ემსახურება. ხელშეკრულება არც ხელშამოსაკრავი სიკეთეა და არც ვინმეს დამონების საშუალება. ხელშეკრულება ჰგავს იმ მშვენიერ სასახლეს, სადაც შესვლა თავისუფალია, ხოლო გამოსვლა ძნელია... კოდექსის ნორმები ისეა მოწყობილი, რომ იგი ერთმანეთზე „გაბუტულ მხარეებს“ ხელშეკრულების შეწყვეტისკენ კი არ მოუწოდებს, არამედ მისი შენარჩუნებაშესრულებისკენ უბიძგებს.<sup>1023</sup>

შესრულების პრიორიტეტულობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სსკ ვალდებულების დარღვევის საფუძველზე აღმოცენებულ მეორადი მოთხოვნის უფლებათა კატალოგში უპირატესად გამოსაყენებელ სამართლებრივი დაცვის საშუალებად დამატებით შესრულებას ითვალისწინებს. კერძოდ, სსკ-ის 405-ე I მუხლი, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობებს განსაზღვრავს, ხელშეკრულებაზე უარის უფლებას შესრულებისათვის დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლას უკავშირებს. ამავე პრინციპით, სსკ-ის 399-ე II მუხლის ძალით, თუ გალდებულებათა დარღვევაა ხელშეკრულების მოშლის საფუძველი, აღნიშნული დასაშვებია მხოლოდ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის ან უშედეგო გაფრთხილების შემდეგ.

დამატებითი ვადა წინაპირობად არის განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მიმართაც სსკ-ის 394-ე მუხლში, რომელიც გარკვეულ წინააღმდეგობრივ რეგულირებას ავლენს. მსჯელობის მიზნისთვის მნიშვნელოვანია აღნიშნული საკანონმდებლო დებულების ფორმულირების მოყვანა: მოვალის მიერ ვადის გადაცილებისას კრედიტორს შეუძლია დაუზიშნოს მოვალეს ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი დრო. თუკი მოვალე ამ დროშიც არ შეასრულებს ვალდებულებას, მაშინ კრედი-

<sup>1020</sup> ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, კერძო სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2005, 285.

<sup>1021</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხელშეკრულების კ. (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომიტეტი, წიგნი III, თბ., 2001, 267-359.

<sup>1022</sup> ზარაძეია თ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები (საკანონიდაციის ავტორეფერაციი), თბ., 2002, 3.

<sup>1023</sup> ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, კერძო სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2005, 286-287.

ტორს უფლება აქვს გალდებულების შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. მუხლის შინაარსიდან, მართალია, ერთი შეხედვით, დამატებითი ვადის დაწესება კრედიტორის უფლებად ვლინდება, თუმცა სსკის 394-ე III მუხლის გათვალისწინებით, ეჭვგარეშეა, რომ სსკის 394-ე II მუხლი დამატებითი ვადის დაწესების სავალდებულო წესს განამტკიცებს. კერძოდ, დამატებითი ვადის განსაზღვრა არ არის საჭირო, თუ აშკარაა, რომ მას რაიმე შედეგი არ მოჰყვება, ან როცა არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით ამართლებებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაუყოვნებლივ გამოყენებას (სსკის 394-ე III). მოყვანილი ხორმების ურთიერთკავშირში განხილვის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გადეთება: თუ სსკის 394-ე III მუხლი ჩამოთვლის დამატებითი ვადის განსაზღვრის საგამონაკლისო შემთხვევებს, როდესაც „არ არის საჭირო“ დამატებითი ვადის დაწესება, ლოგიკურად სსკის 394-ე II მუხლი გულისხმობს, რომ ყველა სხვა, III ნაწილით გაუთვალისწინებულ შემთხვევებში, დამატებითი ვადის დადგენა სავალდებულოა. ამ საკითხის რეგულირებისას საქართველოც გერმანული სამართლის გზას გაჰყვა.<sup>1024</sup>

ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ თუ კანონმდებლობა ხელშეკრულებაზე უარის უფლებისადმი ხელმისაწვდომობას, პატივ-სადებ საფუძველთან ერთად, უკავშირებს შესრულებისათვის განსაზღვრული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლას, შეცვლილი გარემოებების არსებობისას, ისევ ვალდებულების შესრულების უზენაესობის პრინციპის უზრუნველსაყოფად, სახელშეკრულებო ურთიერთობის ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ რეჟიმში ტრანსფორმირებისთვის, წინაპირობად უნდა განისაზღვროს სასამართლოსადმი ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნით მხარეთა მიმართვის ვალდებულება და სასამართლოს მიერ ხელშეკრულების ადაპტაციის შეუძლებლად გამოცხადება.

მხოლოდ ზემოგანხილულ სამართლებრივ წინაპირობათა შემადგენლობის არსებობისას შესაძლებელია ამოქმედდეს ხელშეკრულებიდან გასვლა, როგორც დაზარალებული მხარის უმნიშვნელოვანები სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც ხორციელდება ზოგადი წესის შესაბამისად.

ამრიგად, სსკის 352-ე და 405-ე მუხლები ერთად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძველს ქმნის. სსკის 352-ე მუხლი ადგენს იმ სამართლებრივ შედეგს, რომელიც სსკის 405-ე მუხლში მოცემული წინაპირობების არსებობას უკავშირდება.<sup>1025</sup>

გერმანულ სამართალთან ფუნდამენტური კავშირზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გსკ-ში, ქართული სამართლის მსგავსად, გსკის 323-ე პარაგრაფი ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობებს ადგენს, ხოლო 346-ე პარაგრაფი

<sup>1024</sup> გსკის 323-ე I პარაგრაფი ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობად განსაზღვრავს დამატებითი ვადის დაწესების შესახებ მოთხოვნის დაცვას და არა მხარის არსებითი დანაკარგის არსებობას.

<sup>1025</sup> მარიამიძე გ., ვალდებულებითი სამართალი, მე-2 ნაწილი, თბ., 2011, 108.

ამ უფლების განხორციელების შედეგებს განსაზღვრავს.<sup>1026</sup> აღნიშნული მუხლები გერმანულ სამართალში ფუნდამენტური რეფორმის შედეგად განმტკიცდა.<sup>1027</sup> ამ უფლების რეალიზების შემთხვევაში სამართლებრივ შედეგს განსაზღვრავს და შესაბამის, ხელშეკრულების დადებამდე არსებული პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნას აფუძნებს სსკ-ის 352-ე მუხლი სსკ-ის 398-ე მუხლთან ურთიერთკავშირში.<sup>1028</sup>

#### 4.3. ხელშეკრულებაზე უარის თქმის დაუშვებლობა

კანონმდებლობა განამტკიცებს შემთხვევებს, როდესაც ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა ვალდებულების დარღვევის სახით არსებობს, მაგრამ ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებლად ცხადდება გარკვეულ გარემოებებზე დაყრდნობით.

თუ მოვალის ბრალეული დარღვევა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების წარმოშობისათვის აუცილებელ საფუძველს არ ქმნის, თავად კრედიტორის ბრალი ვალდებულების დარღვევის გამომწვევი შეცვლილი გარემოების აღმოცენების მიმართ იურიდიულ მნიშვნელობას იძენს იმდენად, რომ განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების არსებობასაც. თუ კრედიტორი არაკეთილსინდისიერია სახელშეკრულებო ურთიერთობის მიმართ, მისი არაგულისხმიერი ქცევა გამორიცხავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელებას. ამრიგად, კრედიტორის არაბრალეულობა და კეთილსინდისიერება, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან ერთად, ხელშეკრულებიდან გასვლის უზოგადეს წინაპირობად უნდა იქნეს მიჩნეული.

სსკ-ის 405-ე III „ბ“ მუხლის თანახმად, კრედიტორი მოკლებულია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებამოსილებას, თუკი ვალდებულების დარღვევისათვის უმთავრესად ან მთლიანად თვითონ არის პასუხისმგებელი.<sup>1029</sup> შესაბამებელია, ვალდებულების შეუსრულებლობა მოვალისა და კრედიტორის ერთობლივი ბრალით იყოს გამოწვეული. ასეთ შემთხვევაში უნდა შეფასდეს თითოეული მხარის ბრალეულობის ხარისხი და შესაბამისად გადაწყდეს პასუხისმგებლობისა და ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხი.

გსკ-ის 323-ე VI პარაგრაფის ძალით, ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებლად ცხადდება, თუ ვალდებულების დარღვევა, რომელიც მოვალის ბრალეული ქმედებით არ არის გამოწვეული (მაგალითად, შესრულების

<sup>1026</sup> ბზეკალავა ქ., მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სტატიათა კრებულში: გეგმვაზე დ. (რედ.), ლადო ჭავანტურია 50, საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2013, 78.

<sup>1027</sup> იქნება, 79.

<sup>1028</sup> ჩაჩვა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2010, 70, <[http://www.law.tsu.edu.ge/files/disertacia\\_Sofio\\_chachava.pdf](http://www.law.tsu.edu.ge/files/disertacia_Sofio_chachava.pdf)>, [10.07.2014].

<sup>1029</sup> ამავე შინაარსის ნორმას განამტკიცებს ევროპული პრინციპების 9:301-ე I, 9:102-ე II მუხლები.

არაბრალეული შეუძლებლობა), კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების პროცესში უფროდება. ამრიგად, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება იმთავითგვე გულისხმობს კრედიტორის მიერ ხელშეკრულებისადმი ყოველმხრივ ერთგულებას (*vertragstreu*).<sup>1030</sup>

#### 4.4. შემხვედრი ვალდებულების შესრულებისაგან განთავისუფლებისა და ბრალეულობის ურთიერთმიმართება ხელშეკრულებიდან გასვლისას

უფლებამოსილ მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის განცხადების შემდგომ წარმოეშობა მიღებული შესრულებისა და სარგებლის უკან დაბრუნების მოვალეობა.<sup>1031</sup> ამ მოთხოვნას გსკ-ის 346-ე I პარაგრაფი აწესებს და მისი დარღვევა ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძველია.

ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეებმა განხორციელებული შესრულება ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ. გსკ-ის 346-ე II (2)(3) პარაგრაფის თანახმად, მოვალის მიერ მიღებული ქონების გამოყენების, გასხვისების, უფლებრივად დატვირთვის, გადამუშავების ან გადაკეთების, ასევე ქონების გაფუჭების ან განადგურების შემთხვევაში, მიღებული სიკეთის ნატურით დაბრუნების ნაცვლად, მოვალეს წარმოეშობა ფულადი კომპენსაციის ვალდებულება. გსკ-ის 346-ე II (2)(3) პარაგრაფის შინაარსიდან ვლინდება, რომ ფულადი ანაზღაურების ვალდებულება წარმოეშობა, მიუხედავად იმისა, შესრულების ნატურით დაბრუნება ვალდებული პირის ბრალით თუ მისი ბრალისგან დამოუკიდებლად გახდა შეუძლებელი. კერძოდ, გსკ-ის 346-ე II (2) პარაგრაფით გათვალისწინებულ შემთხვევაში საუბარია მოვალის მიერ შესრულების საგნის საკუთარი ნებით, შესაბამისად ბრალეული ქმედებით, გამოყენებაზე, გასხვისებაზე, უფლებრივად დატვირთვაზე, გადამუშავებასა ან გადაკეთებაზე. ხოლო გსკ-ის 346-ე II (3) პარაგრაფის ძალით, კომპენსაციის ვალდებულება არსებობს იმ შემთხვევაშიც, თუ ხელშეკრულების საგანი, მოვალის ბრალის მიუხედავად, ფუჭდება ან იღუპება. ის ფაქტი, რომ მოვალის მიერ ფულადი ანაზღაურების ვალდებულება ფუძნდება, მიუხედავად მისი ბრალისა შესრულების საგნის ნატურით დაბრუნების შეუძლებლობლობის მიმართ, განპირობებულია იმით, რომ ვალდებულების დარღვევა მოვალის მიერ განხორციელდა, შესაბამისად, მას ბრალეულობისაგან დამოუკიდებლად ეკისრება ფულადი ანაზღაურების ვალდებულება ხელშეკრულების საგნის დაბრუნების სანაცვლოდ.

გსკ-ის 346-ე III (1) პარაგრაფის თანახმად, არ არსებობს ფულადი ანაზღაურების ვალდებულება, თუ საგნის ის ნაკლი, რომელიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველია, მისი გადამუშავების ან გადაკეთების დროს გამოვლინდა. აღნიშნული პარაგრაფი არეგულირებს შემთხვევას, რო-

<sup>1030</sup> Markesinis S. B., Unberath H., Johnston A., *The German Law of Contract – A Comparative Treatise*, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 432.

<sup>1031</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ოქტომბერის განჩინება საქმეზე: №ას-1015-1287-09.

დესაც ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი აღმოცენდა ქონების კრედიტორისათვის გადაცემის შემდეგ. ვალდებულების დარღვევა ნაკლიანი ნივთის მიწოდებით გამოიხატა, შესაბამისად, ბრალეულობის მიუხედავად, მოვალის, როგორც ვალდებულების დამრღვევი მხარის, სასარგებლოდ კრედიტორს კომპენსაციის ვალდებულება არ წარმოეშობა.

გსკ-ის 346-ე III (2) პარაგრაფში გამოყოფა ორი შემთხვევა, როდესაც გამორიცხულია ფულადი ანაზღაურების ვალდებულება: 1) კრედიტორს მიუძღვის ბრალი იმ ქონების გაფუჭებასა თუ განადგურებაში, რომლის კომპენსაციასაც ითხოვს; 2) კრედიტორის ხელში ზიანი, მისი ბრალეულობის მიუხედავად, მაინც დადგებოდა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ფულადი ანაზღაურების ვალდებულებას გამორიცხავს ის პრინციპი, რომ ქონების შემთხვევითი დაღუპვისა თუ განადგურების რისკი ხელშეკრულების იმ მონაწილეს აკისრია, რომლის ფაქტობრივ გამგებლობასა და განკარგულებაში არის ხელშეკრულების საგანი მოქცეული.

გსკ-ის 346-ე III (3) პარაგრაფი აწესრიგებს კიდევ ერთ შემთხვევას, როდესაც მოვალეს არ წარმოეშობა ფულადი ანაზღაურების ვალდებულება, კერძოდ, თუ ქონება გაფუჭდა ან განადგურდა უფლებამოსილ პირთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი ისევე ექცეოდა ქონებას, როგორც საკუთარს. ამ დროს ქონების შემთხვევითი დაღუპვისა და განადგურების რისკი ვალდებულების დამრღვევ მხარეზეა და არა კრედიტორზე, რომლის განკარგულებაშიც ქონება იმყოფება.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, ვალდებულების დარღვევის ძალით შემთხვევითი დაღუპვის რისკი კრედიტორიდან მოვალეზე გადაინაცვლებს. მაგალითად, ქონების ნასყიდობის შემთხვევაში, თუ გამყიდველის დარღვევის გამო მყიდველმა მოითხოვა ხელშეკრულებიდან გასვლა, ეს უკანასკნელი უფლებამოსილი იქნება, მიიღოს მიღებული ქონების სახელშეკრულებო ფასი გამყიდველისაგან იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქონება მის ხელში დაიღუპება. მაგრამ ამისთვის აუცილებელია, კრედიტორი ისეთივე გულისხმიერებით ექცეოდეს ქონებას, როგორც საკუთარს.<sup>1032</sup> გსკ-ის 277-ე პარაგრაფის თანახმად, თუ მხარეს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს იმ წინდახედულებისა და სიფრთხილის მიხედვით, რომელსაც, ჩვეულებრივ, საკუთარი საქმეების მიმართ ავლენს, მაშინ იგი არ შეიძლება განთავისუფლდეს უხეში გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობისაგან. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში კრედიტორი მარტივი გაუფრთხილებლობისათვის განთავისუფლდება კომპენსაციის ვალდებულებისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ საკუთარი საქმეების მიმართაც ისეთივე გულგრილობით მოქმედებს, როგორც მოცემულ კონკრეტულ ურთიერთობაში. „ქონებით სათანადო სარგებლობა, როგორც ასეთი, არ გულისხმობს უხეში გაუფრთხილებლობის არსებობას. თუ ხელშეკრულების საგნის სათანადო გამოყენების შედეგად ქონება განადგურდა ან დაზიანდა, მაშინ გსკ-ის 346-ე III (3) პარაგრაფით განმტკიცებული პრივილეგია კრედიტორის მიმართ [ფულადი კომპენსაციისაგან განთავისუფლება] სრული

<sup>1032</sup> *Markesinis S.B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 434.*

ძალით მოქმედებს.“<sup>1033</sup> მიუხედავად იმისა, რომ განხილულ შემთხვევაში ქონება კრედიტორის გავლენისა და კონტროლის სფეროშია მოქცეული, რისკი მაინც ვალდებულების დამრღვევ მხარეზე გადაინაცვლებს, ვინაიდან ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველს მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ქმნის.<sup>1034</sup>

კრედიტორის განთავისუფლება ქონების კომპენსაციის ვალდებულებისაგან კეთილსინდისიერების დაცვითად განპირობებული. თუ კრედიტორი ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ განცხადების შემდგომ დააზიანებს მისთვის ნასყიდობის საფუძველზე გადაცემულ ქონებას, მაშინ მას ყოველგვარი ბრალისათვის დაეკისრება პასუხისმგებლობა. მარტივი გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც მყიდველი ვალდებულია, დაუბრუნოს გამყიდველს ქონება საწყის მდგომარეობაში (ამასთან, ნორმალური სარგებლობით გამოწვეული ცვეთა მხედველობაში არ მიიღება), ან გადასცეს ეკვივალენტური ფულადი კომპენსაცია. კრედიტორს პასუხისმგებლობა აღარ დაეკისრება ისეთი წინდახედულებისათვის, როგორსაც საკუთარი საქმეების მიმართ ავლენს, არამედ განხრახვისა და ნებისმიერი ფორმის გაუფრთხილებლობისათვის. რაც შეეხება საგნის შემთხვევითი დაღუპვისა და განადგურების რისკს, იგი კვლავ ვალდებულების დამრღვევ (ამ შემთხვევაში – გამყიდველის) მხარეზე.<sup>1035</sup> მოვალის მიერ ვალდებულების ბრალეული დარღვევის შემთხვევაში სსკ-ის 407-ე მუხლი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას კრედიტორის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლისას. სსკ-ის 394-ე მუხლი ამ შემთხვევისათვის ზოგადი შინაარსისაა, რადგან სსკ-ის 407-ე მუხლი სპეციალური ნორმის სახით გამოიყენება ვალდებულებაზე უარის თქმის პირობებში 405-ე მუხლთან კომბინაციით.

<sup>1033</sup> *Markesinis S.B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise*, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 435.

<sup>1034</sup> *Zimmermann R., The Law of Obligations - Roman Foundations of the Civilian Tradition*, CapeTown, 1990, 330, მითოთებულია: *Markesinis S.B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise*, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 435.

<sup>1035</sup> *Markesinis S. B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise*, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 435.

## VIII. შეცვლილი გარემოებებით გამოწვეული გალდებულების დარღვევის სახეები და მათი მიმართება მეორადი მოთხოვნის უფლებებთან

### 1. გალდებულების შესრულების ინტერესი სახელშეკრულებო ურთიერთობაში

გალდებულების შესრულების ლეგიტიმური სახელშეკრულებო ინტერესი, სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებული სიკეთებისმიერი სამართლის სისტემაში. იურიდიულ დოქტრინაში დამკვიდრებული ტერმინი – „შესრულების ინტერესი“ ფრიდმანის სტატიიდან<sup>1036</sup> იღებს სათავეს, სადაც განმარტებულია, რომ ხელშეკრულების არსი მისი შესრულებაა, შეთანხმების ერთადერთი საფუძველი მისი აღსრულებაა. მხარე, რომელიც ერთვება გალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში, დაინტერესებულია მიიღოს ის, რასაც მეორე მხარე ხელშეკრულების საფუძველზე სთავაზობს. ამიტომ კრედიტორი მნიშვნელოვნად დიდ დირებულებას ანიჭებს მოვალის შესრულებას, ვიდრე იმ ხარჯებსა და ძალისხმევას, რომლის გადებაც მოუწევს შესრულების მიღების სანაცვლოდ. შეთანხმებული შესრულების დროული მიღების ინტერესი ერთადერთი სახელშეკრულებო მოლოდინია მხარისათვის, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობის მიზნად განიხილება.<sup>1037</sup> „შესრულების ინტერესი“ ხშირად „მოსალოდნელი ინტერესის“<sup>1038</sup> სინონიმად გამოიყენება.<sup>1039</sup>

ცალკეული ავტორი უფრო ფართოდ განმარტავს „შესრულების ინტერესს“ და ამ ცნებაში ასევე „კომპენსაციის ინტერესსაც“ მოიაზრებს, რაც სახელშეკრულებო სარგებლის მიღებასთან ერთად, ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებასაც გულისხმობს.<sup>1040</sup> აღნიშნულ შემთხვევაში მხარის სახელშეკრულებო ინტერესი ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში პირველადი და მეორადი მოთხოვნის უფლებების განხორციელების ინტერესს მოიცავს.

გალდებულების შეუსრულებლობა სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელი ჩვეული რისკი და თანამდევი მოვლენაა. თუ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება ვერ განხორციელდება და

<sup>1036</sup> Friedmann D., Performance Interest in Contract Damages, Law Quart. Rev., Vol. 111, 1995, 628.

<sup>1037</sup> Williston S., Lord R.A., A Treatise on the Law of Contracts. Thomson/West: Rochester, New York, §77:10, 1990, 306.

<sup>1038</sup> Bar Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Vaneziano A., Zoll F. (eds.), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference, Study Group on a European Civil Code and Research Group on EC Private Law (Acquis Group), Sellier, European Law Publishers GmbH, Munich, 2009, 942, <[http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law_en.pdf)>, [19.07.2014].

<sup>1039</sup> Rowan S., Remedies for Breach of Contract (A comparative Analysis of the Protection of Performance), Oxford University Press, New York, 2012, 1-2; Kreitner D., Multiplicity in Contract Remedies, მთიოვებულია: Cohen N., McKendrick E. (eds.), Comparative Remedies for Breach of Contract, Hart Publishing, Portland, Oregon, 2005, 23.

<sup>1040</sup> Rowan S., Remedies for Breach of Contract (A Comparative Analysis of the Protection of Performance), Oxford University Press, New York, 2012, 2.

ამასთან, სახელშეკრულებო ვალდებულების აღსრულება შეუძლებელია თავდაპირველი შინაარსით, მაშინ პირველადი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის საფუძველზე ურთიერთობა ტრანსფორმირდება მეორადი მოთხოვნის უფლებების სამართლებრივ რეჟიმში, რომლის ფარგლებშიც კანონმდებლობით განმტკიცებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენებით ხორციელდება დარღვეული სახელშეკრულებო ინტერესის აღდგენა-კომპენსირება.

მომდევნო თავებში შეცვლილი გარემოებებით დაფუძნებული ვალდებულების დარღვევა და მასთან დაკავშირებული მეორადი მოთხოვნის უფლებების სისტემა ურთიერთკავშირში იქნება განხილული.

## **2. ვალდებულების დარღვევის უნიფიცირებული კატეგორია როგორც მეორადი მოთხოვნის უფლებების გამოყენების წინაპირობა**

ქართულ სამართლებრივ სივრცეში არ არსებობს ვალდებულების დარღვევის ერთიანი კონცეფცია. სსკ არ ითვალისწინებს დარღვევის ცალკეული სახის სრულყოფილ რეგულირებას. მაგალითად, ნაკლიანი შესრულების, როგორც ერთ-ერთი სახის ვალდებულების დარღვევის და მასთან დაკავშირებული მეორადი მოთხოვნის უფლებების მარეგულირებელი დანაწესები ცალკეული ტიპის ხელშეკრულებების (ნასყიდობა, ნარდობა, ქირავნობა და ა.შ.) მომწესრიგებელ ნორმებშია გაბნეული და არ არის ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის კუთვნილება,<sup>1041</sup> რომლებიც თანაბრად გამოსაყენებელი იქნებოდა სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულების მიმართ. მხოლოდ მოვალის მიერ ვადის გადაცილებაა ცალკე რეგლამენტაციის საგანი, ხოლო მისთვის განკუთვნილ თავში შესრულების შეუძლებლობას ერთადერთი მუხლი აქვს დათმობილი, რომელიც ასევე ხარვეზული რეგულირებით ხასიათდება. და ბოლოს, გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის, როგორც შეუსრულებლობის ერთ-ერთი სახის, არსებობა ქართულ სამოქალაქო სამართალში პირდაპირ არ იკვეთება, არამედ სსკ-ის შესაბამისი ნორმების ინტერპრეტაციით დგინდება.<sup>1042</sup>

ქართული სამართლის მიერ ვალდებულების დარღვევის სისტემის ხარვეზული მოწესრიგება ნათლად წარმოჩინდება გერმანულ და უნიფირებულ სამართალთან აღნიშნული საკითხის შედარებითსამართლებრივი ანალიზის საფუძველზე:

გერმანიაში 2002 წელს განხორციელებული ვალდებულებითი სამართლის რეფორმა, რომელიც გერმანული კოდიფიკაციის მიღების დღიდან შეელაზე ფუნდამენტურ რეფორმად ითვლება,<sup>1043</sup> ვალდებულების დარღვევისა და მეორადი მოთხოვნის უფლებების ერთიანი კონცეფციის განსაზღვრის თვალსაზრისითაც იყო მნიშვნელოვანი.

<sup>1041</sup> ვალდებულების შესრულების ხარისხის მომწესრიგებელი სსკ-ის 380-ე მუხლი რომ არ ჩაითვალოს ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილიდან.

<sup>1042</sup> სსკ-ის 405-ე III „ბ“ და 316-ე II მუხლები.

<sup>1043</sup> Zimmermann R., Breach of Contract and Remedies Under the New German Law of Obligations, Saggi, Conferenze e Seminari 48, Roma, 2002, 1.

რეფორმამდელი რეგულირებისგან განსხვავებით, ვალდებულების ყოველგვარი შეუსრულებლობა გაერთიანდა საერთო ცნებაში – ვალდებულების დარღვევა (*Pflichtverletzung*), რომელმაც მოიცვა ოთხი სახის შეუსრულებლობა: 1) მოვალის მიერ გადის გადაცილება; 2) ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა; 3) ნაკლიანი შესრულება; 4) ხელშექრულების აღსრულების მიზნით თანაქმედების ვალდებულების დარღვევა.<sup>1044</sup>

რეფორმის შემდეგ დამკვიდრდა ვალდებულების დარღვევის ერთიანი ცნება<sup>1045</sup> და უარი ითქვა ბრალზე, როგორც ხელშექრულებიდან გასვლის აუცილებელ წინაპირობაზე. თუმცა რეფორმის კომისიამ უცვლელად შეინარჩუნა ბრალეულობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლად.<sup>1046</sup> ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებამ სრული ტრანსფორმაცია განიცადა.<sup>1047</sup> ვალდებულების დარღვევის შემდგომ აღმოცენებულ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს შორის ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გამოყენების წინაპირობები, ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისის – ბრალის გარდა, შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ხელშექრულებაზე უარის თქმისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლების წინაპირობებთან.<sup>1048</sup>

რეფორმის შემდგომ დამკვიდრდა მიდგომა, რომელიც ერთსა და იმავე დროს იცავს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებასთან მიმართებით და, ამასთანავე, აღიარებს ნატურით შესრულების (*performance in specie*) მოთხოვნის პრიმატს.<sup>1049</sup> ამ ორი ნიშანდობლივი ელემენტის კომბინაცია გერმანულ სამართალს დოქტრინულ დონეზე ანგლოამერიკული სისტემისაგან დიამეტრულად განსხვავებულ პოზიციაში აყენებს.<sup>1050</sup> ქართული სამართალიც აღნიშნულ საკითხში გერმანული სამართლის მოზიარეა.

ამჟამად, ვალდებულების შესრულების დაბრკოლება (*LeistungsstSrungen*) გსკ-ში საერთო სამართლის სისტემისათვის ცნობილი კატეგორიის – ვალდებულების დარღვევის (*Breach of Contract*) სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება. იგი აერთიანებს ვალდებულების შეუსრულებლობის ყველა სახეს ვალდებულების დარღვევათა ერთიან სისტემაში და მოიცავს ყველა ცნობილ და შესაძლო გადახვევას პირველადი სახელშექრულებო ვალდებულების

<sup>1044</sup> მსგავსად, ევროპული პრინციპები განამტკიცებს ვალდებულების დარღვევის ერთიან კონცეფციას, რომელიც აერთიანებს ბრალეული და არაბრალეული შესრულების შეუძლებლობის, ვადის გადაცილების, ნაკლიანი შესრულებისა და ვალდებულების განხორციელებისათვის აუცილებელი თანაქმედების ვალდებულების დარღვევის სახეებს.

იხ. ევროპული პრინციპების 1.301-ე IV მუხლი.

<sup>1045</sup> Löwisch M., New Law of Obligations in Germany, Ritsumeikan Law Review, Vol. 20, 2003, 144, <<http://www.ritsumei.ac.jp/acd/cg/law/lex/rlr20/Manfred141.pdf>>, [21.07.2014].

<sup>1046</sup> Zimmermann R., Breach of Contract and Remedies Under the New German Law of Obligations, Saggi, Conferenze e Seminari 48, Roma, 2002, 7-8.

<sup>1047</sup> Markesinis S.B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 438.

<sup>1048</sup> იქვე.

<sup>1049</sup> იქვე.

<sup>1050</sup> იქვე.

რეჟიმიდან.<sup>1051</sup> ვალდებულების დარღვევა გერმანულ სამართალში განიმარტება როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების განუხორციელებლობა მთლიანად ან ნაწილობრივ.<sup>1052</sup> შესაბამისად, ვალდებულების დარღვევის არსებობა დგინდება ობიექტური კრიტერიუმის საფუძველზე – დარღვევა სახეზეა იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, როგორც ობიექტური ფაქტი, დადასტურდება. რეფორმამდებლი ფრაგმენტული მოწესრიგებისაგან განსხვავებით, მოქმედი რეგულირების სისტემა გაცილებით ზუსტია და კანონმდებლის მიზანი რამდენიმე მუხლის კომბინაციით მიიღწევა.

ვალდებულების დარღვევის ერთიან კონცეფციას განამტკიცებს ეპროპული პრინციპებიც, რომელიც აერთიანებს შესრულების ბრალეული და არაბრალეული შეუძლებლობის, ვადის გადაცილების, ნაკლიანი შესრულებისა და ვალდებულების განხორციელებისათვის აუცილებელი თანაქმედების ვალდებულების დარღვევის სახეებს.<sup>1053</sup> რაც მთვარია, მსგავსად გერმანული სამართლისა, დარღვევის დაფუძნებისათვის ბრალეული შეუსრულებლობა წინაპირობა არ არის.

სამართლებრივი განსაზღვრულობისათვის მნიშვნელოვანია სსკ-მა დეტალურად მოაწესრიგოს შეუსრულებლობის სახეები და მათთან დაკავშირებული მეორადი მოთხოვნის უფლებების სისტემა. აღნიშნულის აუცილებლობა დასტურდება გერმანული სამართლისა და ევროპული პრინციპების მოქნილი რეგულირების გათვალისწინებით.

### 3. შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების შეუძლებლობა და მისი რეგულირების ხარვეზები

#### 3.1. შესრულების არაბრალეული შეუძლებლობა როგორც სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შეუძლებლობის ერთადერთი სახე

სახელშეკრულებო ურთიერთობაში აღმოცენებულმა შეცვლილმა გარემოებამ შესაძლებელია სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა განაპირობოს.<sup>1054</sup> ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა კონტინენტური სამართლის სისტემაში ხელშეკრულების დარღვევის ერთერთ ძირითად და დამოუკიდებელ სახედ არის წარმოდგენილი, თუმცა სსკ-ში, შესრულების შეუძლებლობის რეგლამენტაციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ვაკუუმია.<sup>1055</sup> კერძოდ, იგი ვადის გადაცილების კატეგორიაშია ზედაპირულად განხილული და ვალდებულების დარღვევის ამ დამოუკიდებების შეცვლილმა გარემოებამ შესაძლებელია სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, სადისერტაციო ნაშრომი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ობ., 1997.

<sup>1051</sup> Markesinis S.B., Unberath H., Johnston A., *The German Law of Contract – A Comparative Treatise*, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 379.

<sup>1052</sup> იქვე, 387.

<sup>1053</sup> იხ. ევროპული პრინციპების 1:103-ე IV მუხლი.

<sup>1054</sup> დაწვრილებით იხ. შაკიაშვილი ბ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, სადისერტაციო ნაშრომი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ობ., 1997.

<sup>1055</sup> Chechelashvili Z., *Introduction to the Georgian Business Law*, Textbook, GIZ, Tb., 2013, 131.

ბელ სახეს მოქმედ კოდექსში საფუძვლიანი სამართლებრივი რეგულირება არ ეთმობა. შესრულების შეუძლებლობის მომწესრიგებელი სსკის 401-ე მუხლი წარმოდგენილია ვადის გადაცილებასთან კავშირში იმ შემთხვევის გამოსახატავად, თუ როდის არ ჩაითვლება ვადა გადაცილებულად. კერძოდ, აღნიშნული ნორმატიული დებულების ფორმულირებით, ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რომლებიც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. სსენებული მუხლი სრულყოფილად ვერ ასახავს შესრულების შეუძლებლობის სამართლებრივ არსეს, ვინაიდან მას ასახელებს მხოლოდ ვადის გადაცილების გამომრიცხავ გარემოებად. შესაბამისად, 401-ე მუხლის სახელწოდება (ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა) ნორმის შინაარსს ზუსტად არ შეესატყვისება. ამასთან, აღნიშნული საკანონმდებლო დებულებით შესრულების შეუძლებლობის მხოლოდ ერთ-ერთი სახე – არაბრალეული შეუძლებლობაა მოწესრიგებული, რომელიც არ არის ამ სამართლებრივი კონცეფციის ერთადერთი კლასიკური შემთხვევა,<sup>1056</sup> რადგან შესრულების შეუძლებლობას შეიძლება როგორც მოვალის, ისე კრედიტორის ბრალეული ქმედება (უმოქმედობა) ედოს საფუძვლად.<sup>1057</sup> შესრულების შეუძლებლობა სახეზეა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოვალისგან დამოუკიდებელი გარემოებებით ვალდებულება არ სრულდება, არამედ, როდესაც შესრულების შეუძლებლობას კრედიტორის ან თავად მოვალის ბრალეულმა ქმედებამ შეუწყო ხელი.

გსკ-ით განმტკიცებული საწყისი შეუძლებლობის ცნება (*Anfängliche Unmöglichkeit*) მოწესრიგებულია სსკის 91-ე მუხლში სახელწოდებით: მართლსაწინააღმდეგო ან/და ამორალური პირობის ბათილობა, რომლის თანახმად, თუ გარიგება დამოუკიდებულია ისეთ პირობაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს ან ზნების ნორმებს, ანდა შეუძლებელია მისი შესრულება, მთლიანად ბათილია. ამრიგად, ვალდებულების შესრულების საწყისი შეუძლებლობისას კანონმდებელი გამორიცხავს მთლიანად გარიგების ნამდვილობასაც.

ამრიგად, კოდექსის 401-ე მუხლში მხოლოდ ბუნდოვნად იკვეთება შესრულების შეუძლებლობის მხოლოდ ერთი – არაბრალეული შეუძლებლობის კატგორია. ხოლო შესრულების შეუძლებლობისას მეორადი მოთხოვნის უფლებებზე ხელმისაწვდომობის, მხარეთა პასუხისმგებლობის, კრედიტორისა თუ მოვალის ბრალეული ქმედებით განპირობებული, დროებითი და მუდმივი, ობიექტური თუ სუბიექტური, აბსოლუტური თუ ფარდობითი შესრულების შეუძლებლობის<sup>1058</sup> საკითხები საკანონმდებლო დონეზე არაა გადაწყვეტილი, რაც როგორც დოქტრინულ, ისე სამართალშეფარდების დონეზე არსებით სირთუ-

<sup>1056</sup> შესრულების შეუძლებლობის სახეები დეტალურად იქნა განხილული ნაშრომში, გერმანული სამართლის ანალიზის ნაწილში.

<sup>1057</sup> Pizer L.K., Smith M.R. (eds. in Chief), Southerington T., Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 2002-2003, Kluwer Law International, The Hague, London, New York, 2004, 258-259.

<sup>1058</sup> Pizer L.K., Smith M.R. (eds. in Chief), Southerington T., Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 2002-2003, Kluwer Law International, The Hague, London, New York, 2004, 257-259.

ლექსის განაპირობებს. შესაბამისად, სსკ-ის 401-ე მუხლი სასამართლოს მიერ მხოლოდ შესრულების შეუძლებლობის მხოლოდ ისეთი შემთხვევის მოსაწერიგებლად შეიძლება იქნეს გამოყენებული, რომელიც მოვალის ბრალეულ ქმედებას არ მიეწერება.<sup>1059</sup> სხვა ტიპის, მაგალითად, ბრალეული შესრულების შეუძლებლობის არსებობისას მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად 401-ე მუხლი არ შეიძლება იქნეს შეფარდებული.

### 3.2. მეორადი მოთხოვნის უფლებებისადმი მიმართება შესრულების შეუძლებლობისას

შეცვლილი გარემოებებით დაფუძნებული შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის პირობებში (თუ შეუძლებლობა მხოლოდ ვალდებულების ნაწილზე გავრცელდა) გამოსაყენებელია ფასის შემცირებისა<sup>1060</sup> და ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლებები. შესრულების შეუძლებლობის საფუძვლით ზიანის ანაზღაურებისა და დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლებათა გამორიცხვის შემთხვევაშიც, კრედიტორისათვის ფასის შემცირებისა და ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლებები კვლავ ხელმისაწვდომი რჩება.<sup>1061</sup>

მნიშვნელოვანია ევროპული პრინციპების რეგულირება, რომელიც მხარეს ფასის შემცირების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს, თუ არ არსებობს კონტრაქტზე ზიანის ანაზღაურების დაკისრების სათანადო საფუძვლები.<sup>1062</sup> ანაზღაურების მოთხოვნის უფლების არსებობის შემთხვევაში, როდესაც მხარე გათავისუფლებულია ზიანის ანაზღაურების სახით პასუხისმგებლობისაგან, კონტრაქტზე უფლება აქვს გამოიყენოს ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლება.

შეცვლილი გარემოებებით დაფუძნებული შესრულების შეუძლებლობის – ფორსმაჟორის სამართლებრივ ბუნებას არსობრივად საუკეთესოდ გამოხატავს ტერმინი *superior force*<sup>1063</sup> რომელიც სსკ-ში ტერმინ „დაუძლეველი ძალის“ სახით არის განმტკიცებული.<sup>1064</sup> სსკ-ის შეცვლილი გარემოებების

<sup>1059</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივნისის განჩინებით საქმეზე: №ას-7-6-2010 დადგენილია, რომ დაუძლეველი ძალა იმ შემთხვევაში ათავისუფლებს მოვალეს ვადის გადაცილებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი პირდაპირ იქნება დაკავშირებული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასთან, ამასთან, ხელშეკრულების დადგინას ამ გარემოების გათვალისწინება არ შეიძლებოდა (არაბრალეულობის კრიტერიუმი). იხ. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 2 მარტის განჩინება საქმეზე: ას-853-1122-05, 42, <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq2006-5-univ.pdf>>, [17.07.2014].

<sup>1060</sup> თუ შეუძლებლობა ვალდებულების შესრულების მხოლოდ ნაწილზე გავრცელდა.

<sup>1061</sup> Schlechtriem P.(ed.), *Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG)*, Oxford University Press, New York, Clarendon Press, 1998, 438.

<sup>1062</sup> Lando O., Beale H., *Principles of European Contract Law*, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 431.

<sup>1063</sup> vis major, superior force. იხ. Schwenzer I., Hachem P., Kee Ch., *Global Sales and Contract Law*, Oxford University Press, New York, 2012, 656.

<sup>1064</sup> სსკ-ის 132-ე მუხლის „ბ“ ქვეუნქტი ამკვიდრებს ტერმინს „განსაკუთრებული და აუცილებელი დაუძლეველი ძალა“.

ბის მომწესრიგებელი ნორმით (398-ე მუხლი) განსაზღვრული სამართლებრივი წინაპირობები დაუძლეველ ძალაზეც ვრცელდება, იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამოირიცხება ვალდებულების შესრულებისა და შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნა. დაუძლეველი ძალის არსებობისას, უპირობოდ გამოსაყენებელია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება. სსკ-ის 399-ე I მუხლი დაუძლეველი ძალის არსებობას იმ პატივსადებ გარემოებად აცხადებს, რომელიც ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად, ხელშეკრულების დაუყოვნებლივი მოშლის საფუძველი ხდება.<sup>1065</sup> ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გამოირიცხება იმდენად, რამდენადაც ფორსმაჟორი კონტინენტური სამართლისათვის ნიშანდობლივი შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის კონცეფციის იდენტური კატეგორია. აღნიშნულს ადასტურებს სსკ-ის 369-ე II მუხლის შინაარსიც, რომლის თანახმად, გადამზიდველის პასუხისმგებლობა არ დადგება, თუკი ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ან თვით მგზავრის მიერ, ან/და მისი ბარგით. ასევე სსკ-ის 779-ე მუხლის ძალით, შემნახველის პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით, სტუმრის ან მისი თანმხლები პირის მიერ, ანდა თვითი ნივთის თვისებებით.<sup>1066</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებაში<sup>1067</sup> განმარტებულია, რომ დაუძლეველი ძალით განპირობებული ვალდებულების შეუსრულებლობა შეიძლება წარმოადგენდეს სახელშეკრულებო სამართალურთობიდან წარმოშობილი მეორადი ვალდებულების, კერძოდ კი, დამატებითი შესრულებისა და ზიანის ანაზღაურებისაგან გათავისუფლების წინაპირობას. რაც იმას ნიშნავს, რომ დაუძლეველი ძალის არსებობის პირობებში, ვალდებულების შეუსრულებლობა დათქმულ დროსა და აღგილას იწვევს მოვალის გათავისუფლებას როგორც ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან, ასევე ზიანის ანაზღაურებისაგან. ამდენად, ქვეყანაში არსებული საომარი ვითარება შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ მისი არსებობის პერიოდში კონკრეტული ვალდებულების შეუსრულებლობის საპატიო გარემოებად, რამაც შესაძლებელია, გამორიცხოს ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის გამო კანონით ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული დამატებითი ვალდებულების წარმოშობა.

<sup>1065</sup> კერძოდ, სსკ-ის 399-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, პატივსადები საფუძვლით უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. პატივსადებია საფუძველი, როცა ხელშეკრულების მომშლელ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ შორის, დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე.

<sup>1066</sup> იხ. სსკ-ის 362-ე III „ბ“, 666-ე I, 831-ე, 999-ე III, მე-1000 III, 1004-ე II და 597-ე მუხლები. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-1076-1008-2010.

<sup>1067</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 მაისის განჩინება საქმეზე: №ას-496-470-2011.

შესრულების შეუძლებლობის პირობებში კონტინენტურ სამართალში უპირატესად გამოსაყენებელი დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლება აზრს კარგავს<sup>1068</sup> და კრედიტორისათვის ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებია პრიორიტეტული. ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლება ცენტრალურ ადგილს იკავებს, რამდენადაც ხენებულ შემთხვევაში დამატებითი შესრულების მოთხოვნა უბრალო ფორმალობად იქცევა<sup>1069</sup> და მისი გამოყენება ყოველგვარ მიზანს მოკლებულია სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით. 405-ე II „ა“ მუხლი გამორიცხავს დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლების გამოყენებას: არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ მოჰყვება. 405-ე II „ა“ მუხლი მოიცავს შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტს, რომლის პირობებშიც დამატებითი შესრულების მოთხოვნა უბრალო ფორმალობად იქცევა.

სსკ-ის 399-ე მუხლი განამტკიცებს ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც მხოლოდ გრძელვადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მიმართ გამოიყენება. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე, უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. პატივსადები საფუძვლის არსებობის განსაზღვრა ობიექტურ კრიტერიუმს უკავშირდება. კერძოდ, აღნიშნული მუხლის ძალით, პატივსადებია საფუძველი, როცა ხელშეკრულების მოშლელ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ შორის დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე. მნიშვნელოვანია, რომ მოყვანილი საკანონმდებლო დებულება დაუძლეველ ძალას, როგორც შესრულების არაპრალეულ შეუძლებლობას, ხელშეკრულების დაუყოვნებლივი მოშლის წინაპირობად განსაზღვრავს.

მსგავსი შინაარსის ნორმას განამტკიცებს გსკ-ის 314-ე I პარაგრაფი, რომელიც დასაშეებად მიიჩნევს გრძელვადიანი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მოშლას პატივსადები საფუძვლით, მხარეთა შეთანხმებით ან კანონით, ხელშეკრულების მოშლისათვის დადგენილი სპეციალური ვადების დაუცველად. თუმცა, სსკ-ის 399-ე I მუხლისაგან განსხვავებით, გსკ-ის 314-ე I პარაგრაფი არ მოიცავს მითითებას შესრულების შეუძლებლობაზე, როგორც ხელშეკრულების დაუყოვნებლივი მოშლის საფუძველზე. სამაგიეროდ, გსკ-ის 323-ე II პარაგრაფი განამტკიცებს ვალდებულების შეუსრულებლობის ცალკეულ შემთხვევებს (მათ შორის მოიაზრება შესრულების შეუძლებლობაც), როდესაც დამატებითი ვადის სამართლებრივი მექანიზმი

<sup>1068</sup> ი. გსკ-ის (German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005) § 326-ე V.

<sup>1069</sup> *Markesinis S. B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 386.*

არ გამოიყენება. სწორედ ეს არის გსკ-ის 314-ე I პარაგრაფში შესრულების შეუძლებლობის მიუთითებლობის მიზეზი. ამასთან, გსკ-ის 314-ე II პარაგრაფის ძალით, ვალდებულების დარღვევა ხელშეკრულების მოშლის დამოუკიდებელ საფუძვლად განიხილება.

თუ სსკ-ის 399-ე I მუხლით, დაუძლეველი ძალა, როგორც შესრულების არაბრალეული შეუძლებლობა (ფორსმაჟორი), ხელშეკრულების დაუყოვნებლივი მოშლის სამართლებრივ საფუძვლად განიხილება, სსკ-ის 399-ე II მუხლი ხელშეკრულების მოშლის დამოუკიდებელ წინაპირობად ვალდებულების დარღვევას აცხადებს. კერძოდ, თუ საფუძველი სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევაცაა, ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია მხოლოდ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის ან უშედეგო გაფრთხილების შემდეგ. შესაბამისად გამოიყენება სსკ-ის 405-ე II მუხლი. ამ ლოგიკით, სსკ შესრულების არაბრალეულ შეუძლებლობას ვალდებულების დარღვევად არ განიხილავს, ვინაიდან შესრულების არაბრალეული შეუძლებლობისას ხელშეკრულების მოშლის საკითხს ცალკე რეგულირებას უთმობს, ხოლო ვალდებულების დარღვევისას ხელშეკრულების მოშლის შემთხვევა დამოუკიდებელი – სსკ-ის 399-ე II მუხლით წესრიგდება. ამრიგად, შესრულების შეუძლებლობა, როგორც ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთი დამოუკიდებელი სახე, სწორედ 399-ე II მუხლის რეგულირებას უნდა დაექვემდებაროს.

მართალია, შესრულების შეუძლებლობის პირობებში დამატებითი ვადის დაწესება, შედეგის ოვალსაზრისით, სამართლებრივ აზრს მოკლებულია, მაგრამ შემთხვევებს, როდესაც ხელშეკრულებიდან დაუყოვნებლივი გასვლის უფლებამოსილება ფუძნდება, სსკ-ის 405-ე II მუხლი განსაზღვრავს. სსკ-ის 405-ე II „ა“ მუხლში საუბარია სწორედ იმ პირობებზე, როდესაც დამატებითი ვადის დაწესება გამოირიცხება, რადგან აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ მოჰყვება. ნორმის განმარტებიდან გამომდინარე, აქ უნდა იგულისხმებოდეს მოსალოდნელი დარღვევისა და შესრულების შეუძლებლობის სამართლებრივი კატეგორიები, როდესაც დამატებითი ვადის დაწესება უბრალო ფორმალობად იქცევა. სწორედ ამიტომ დაუძლეველ ძალაზე სსკ-ის 399-ე I მუხლში მითითება სამართლებრივად გაუმართლებელია.

მართალია, შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის შემთხვევაში სსკ-ის 399-ე I მუხლით უზრუნველყოფილია სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრება ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი კონსტრუქციით, თუმცა გაუგებარია შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის, რომელიც ვალდებულების დარღვევად არ არის კოდექსში წარმოდგენილი, და ხელშეკრულებაზე უარის ურთიერთმიმართება, ვინაიდან ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, ანგლოამერიკული სამართლისაგან განსხვავებით, კონტინენტურ სამართალში მხოლოდ ვალდებულების დარღვევის საფუძველზე აღმოცენდება.

რამდენადაც კოდექსი შესრულების შეუძლებლობისას სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების სამართლებრივ რეჟიმს ითვალისწინებს მხოლოდ გრძელვადიანი ურთიერთობის არსებობისას, ყველა სხვა ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში, რომელიც მრავალჯერადად განსა-

ხორციელებელ შესრულებას არ ითვალისწინებს, შესრულების შეუძლებლობისას ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხი მოუწესრიგებელი რჩება. ამასთან, ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი, თავისი იურიდიული არსით, მნიშვნელოვნად განსხვავდება ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი კატეგორიისაგან, რომლისთვისაც არსებითი მახასიათებელი სწორედ თავდაპირველი მდგომარეობის ადდგენა-რესტიტუციაა, რაც მოშლის შემთხვევაში – გრძელვადიანი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის პირობებში – რეალურად წარმოუდგენელია.

სსკ არ ითვალისწინებს შესრულების შეუძლებლობის საფუძვლით ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ კონსტიტუციას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შესრულების შეუძლებლობა, როგორც ვალდებულების შეუსრულებლობის ობიექტური ფაქტი, ვალდებულების დარღვევის სახედ არ არის კოდექსში წარმოდგენილი (მიუხედავად იმისა, რომ იგი ვალდებულების დარღვევის კარშია მოცემული). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეუძლებელია არსებობდეს ასევე კრედიტორის ზიანის ანაზღაურების უფლებისადმი ხელმისაწვდომობა, ვინაიდან სსკ-ის 394-ე I მუხლის თანახმად, მოვალეს პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურების სახით დაკაისრება მხოლოდ ბრალეული დარღვევის შემთხვევაში.

რამდენადაც სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრების შესაძლებლობას კოდექსი ითვალისწინებს მხოლოდ ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი მქანიზმით, ისიც მხოლოდ არაბრალეული შესრულების შეუძლებლობის პირობებში და მხოლოდ გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაში, ამდენად რეგულირების მიღმა რჩება ბრალეული შესრულების შეუძლებლობისას ხელშეკრულების სამართლებრივი ბედის, მხარეთა უფლება-მოვალეობების, ასევე მათი პასუხისმგებლობის საკითხი. ამასთან, არა მარტო გრძელვადიან, არამედ მოკლევადიან ურთიერთობებში.

*De lege ferenda* სახით უნდა ითქვას, რომ შესრულების შეუძლებლობის ვალდებულების დარღვევის სახედ რეგლამენტაციით უზრუნველყოფილ იქნება ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებისადმი კრედიტორის ხელმისაწვდომობა. სამართლებრივი განსაზღვრულობისათვის აუცილებელია ასევე, დეტალურად მოწესრიგდეს შესრულების შეუძლებლობის სახეები და მოვალის პასუხისმგებლობის ფარგლები განისაზღვროს შესრულების შეუძლებლობის წარმოშობის მიმართ მოვალის ბრალეულობის გათვალისწინებით.

შესრულების შეუძლებლობის დეფინიციის არარსებობა იძლევა მისი სხვადასხვაგვარი განმარტების შესაძლებლობას, რაც ხელს უშლის ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და სამართლის ერთიან განვითარებას.<sup>1070</sup>

<sup>1070</sup> ბეგია შვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, „სარჩევი“, თბ., 2011, 11.

## 4. მოვალის მიერ ვადის გადაცილებისა და შეცვლილი გარემოებების დოქტრინის ურთიერთმიმართება

### 4.1. მოვალის მიერ ვადის გადაცილების წინაპირობები

წინამდებარე თავში მოვალის მიერ ვადის გადაცილების განხილვა მიზნად ისახავს დაგინდეს, რამდენად შესაძლებელია შეცვლილმა გარემოებებმა სახელშეკრულებო ურთიერთობაში მოვალის მიერ ვადის გადაცილება, როგორც ვალდებულების ერთ-ერთი სახის დარღვევა, განაპირობოს. ამისათვის მნიშვნელოვანია მოვალის მიერ ვადის გადაცილების სამართლებრივი წინაპირობების განსაზღვრა.

იურიდიულ ლიტერატურაში გაკრიტიკებულ იქნა ჯერ კიდევ რომის სამართალში დამკვიდრებული და თანამედროვე სამართლებრივი სისტემების მიერ გაზიარებული დოქტრინა<sup>1071</sup> იმის შესახებ, რომ ვადის გადაცილება, როგორც ვალდებულების დარღვევის დამოუკიდებელი სახე, ობიექტურად განხორციელებადი ვალდებულების ბრალეული შეუსრულებლობით გამოიხატება. აღნიშნულის აღიარება არ ეწინააღმდეგება იმ უდავო პოსტულატს, რომ ბრალი „ასუხისმგებლობის შერაცხვის ინსტრუმენტია“<sup>1072</sup> და არა ვალდებულების დარღვევის დამფუძნებელი წინაპირობა.

ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ბრალის კატეგორია განსხვავებული როლითა და შედეგის განმსაზღვრელი ფუნქციით იტვირთება ვადის გადაცილების კონტექსტში. აღნიშნული დასტურდება როგორც რომის სამართლის, ისე თანამედროვე გერმანული და ქართული საკანონმდებლო რეგულირების შედარებითსამართლებრივი ანალიზის საფუძველზე: სსკ-ის 401-ე მუხლის ფორმულირებით, ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რომლებიც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. ამ მუხლიდან გამომდინარეობს თეზა, რომ ვადის გადაცილება ყოველთვის ბრალეული ქმედებით გამოიხატება. თუ მოვალე არ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შესრულების დაყოვნებისათვის, მაშინ შესაძლოა, სახეზე იყოს კრედიტორის მხრიდან ვადის გადაცილება ან დაუძლეველი ძალა, რაც ვადამოსული ვალდებულების შესრულებას შეუძლებელს ხდის და გამორიცხავს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას ზიანის ანაზღაურების სახით.<sup>1073</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლო განმარტავს: სსკ-ის 401-ე მუხლის მიხედვით, ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება

<sup>1071</sup> მოსაზრება ვადის გადაცილების კონტექსტში ბრალის მნიშვნელობის შესახებ, წარმოდგენილი სტატიაში: ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, „სამართლის ქურნალი“, თსუ გამომცემლობა, №1, 2009, 166, გაკრიტიკებულ იქნა წიგნში: ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, GTZ, ობ., 2010, 38.

<sup>1072</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, GTZ, ობ., 2010, 38.

<sup>1073</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-84-74-201.

არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ვადის გადაცილება ბრალეული მოქმედებით ხორციელდება, როდესაც მოვალე განზრას ან გაუფრთხილებლობით დროულად არ შეასრულებს ობიექტურად განხორციელებად ვალდებულებას. მითითებული გარემოებების დადგომა არც მოვალის პასუხისმგებლობას იწვევს. მოვალე არ ჩაითვლება ვადის გადამცილებლად, თუ ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზია დაუძლეველი ძალა და შესრულება შეუძლებელია მოვალის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ან ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია კრედიტორის მიერ შესრულების მიღების დაყოვნებით.<sup>1074</sup>

საინტერესოა, რატომ განიხილავს კანონმდებელი ბრალს ვადის გადაცილების დაფუძნებისათვის აუცილებელ პირობად. როგორც სსკ-ის 401-ე მუხლის ანალიზიდან ირკვევა, ვადის გადაცილების არსებობაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება მსჯელობა, თუკი შესრულება ჯერ კიდევ მოვალის შესაძლებლობის სფეროს განეკუთვნება. ვინაიდან შესრულების შესაძლებლობის პირობებში ვალდებულება დროულად არ სრულდება, სახეზეა მოვალის ბრალი ვადამოსული ვალდებულების შეუსრულებლობის მიმართ. სწორედ ამიტომ შესრულების შეუძლებლობის პირობებში გაუმართლებელია საუბარი ვადის გადაცილებაზე. ანალოგიური მიღების გაზიარებულია გსკ-ში, რომლის თანახმად, ვადის გადაცილება ეხება მხოლოდ იმ ვალდებულებებს, რომლებიც ჯერ კიდევ განხორციელებადია ვადამოსულობის მომენტში და მისი დროულად შეუსრულებლობისათვის თავად მოვალე არის პასუხისმგებელი.<sup>1075</sup>

ვადის გადაცილების დაფუძნებისათვის გსკ-ის 286-ე I პარაგრაფი წინაპირობებად განიხილავს ნამდვილი უფლების არსებობას, ვადამოსული ვალდებულების შეუსრულებლობასა და ვადის გადაცილების მომენტისათვის მოვალის მხრიდან ვალდებულების შესრულების ობიექტურ შესაძლებლობას. აღნიშნულ წინაპირობებთან ერთად აუცილებელია ასევე, კრედიტორის მიერ მოვალის გაფრთხილება ან გაფრთხილებასთან გათანაბრებული სხვა სამართლებრივი მოქმედების შესრულება.

გსკ მკაფიოდ განსაზღვრავს მოვალის მიერ ვადის გადაცილების წინაპირობებს. კერძოდ, შესრულების კალენდარულად განსაზღვრული ვადის არსებობისას გამორიცხულია გაფრთხილების მიცემის ვალდებულება.<sup>1076</sup> მსგავსად, გაფრთხილება არაა სპეცირო, როდესაც შესრულება განსაზღვრული მოვლენის დადგომასთან არის დაკავშირებული.<sup>1077</sup> სსკ-ის მე-400 „ა“ მუხლის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება თუ: ა) შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდე-

<sup>1074</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-218-204-2011.

<sup>1075</sup> ი. გსკ-ის (German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005) § 286-ე IV.

<sup>1076</sup> იქვე, §286-ე II.

<sup>1077</sup> იქვე, (German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005) §286-ე II (2).

ბულება არ შესრულდება. მართალია, სსკ პირდაპირ არ ადგენს კალენდარულად განსაზღვრული ვადის არსებობისას გაფრთხილების ვალდებულების არარესებობას, მაგრამ მე-400 „ა“ მუხლის განმარტებიდან გსკ-ის 286-ე II პარაგრაფის იდენტური დასკვნა გამომდინარეობს და „შესრულებისათვის დადგენილ დროში“ კალენდარული ვადა მოიაზრება.

სსკ-ის მე-400 „ბ“ მუხლი და გსკ-ის 286-ე I პარაგრაფი იდენტური შინაარსის ნორმას განამტკიცებს: თუ მოვალე ვალდებულებას არ ასრულებს, კრედიტორის მიერ ვადამოსული ვალდებულების შესახებ განხორციელებული სათანადო გაფრთხილების მიუხედავად, მაშინ ვადის გადაცილების დასრულებული შემადგენლობა მხოლოდ გაფრთხილების უშედეგოდ განცხადების შემდგომ ფუძნდება.

საინტერესოა, რატომ განიხილავს კანონმდებელი მოვალის გაფრთხილებას ვადის გადაცილების დასრულებული შემადგენლობისთვის აუცილებელ წინაპირობად? გაფრთხილებით კიდევ ერთხელ ხდება მოვალის გაცნობიერება ხელშეკრულების შინაარსში, საკუთარ უფლება-მოვალეობებში, რათა გამოირიცხოს ხელშეკრულების გაუფრთხილებლობით დარღვევის რისკი, შესაძლებლობა.

გაფრთხილება გარკვეულ პირობებს უნდა აქმაყოფილებდეს. პირველ რიგში, მოთხოვნა უნდა იყოს ერთმნიშვნელოვანი. მოვალისათვის ნათელი და გასაგები უნდა იყოს, რომ კრედიტორი მოითხოვს ვადამოსული ვალდებულების შესრულებას. შეიძლება მოვალე ვალდებული იყოს კრედიტორის წინაშე რამდენიმე შესრულებაზე, ასეთ შემთხვევაში კრედიტორი ვალდებულია განსაზღვროს, თუ რომელ შესრულებას უკავშირდება გაფრთხილება. ასე რომ, გაფრთხილება უნდა იყოს როგორც გასაგები და ერთმნიშვნელოვანი, ასევე განსაზღვრული.<sup>1078</sup>

აღსანიშნავია, რომ მოვალის გაფრთხილება არ არის დამატებითი ვადის იდენტური, რომელიც მხარეს დამატებითი შესრულების მიზნით განესაზღვრება. გაფრთხილების შინაარსიდან ნათლად უნდა ვლინდებოდეს მოვალის ვალდებულების შინაარსი. არ არის აუცილებელი შესრულების ვადის განსაზღვრა, არც მისი შესრულების კონკრეტულ შედეგზე მითითება, მთავარია, მასში ცხადად იყვეთებოდეს კრედიტორის სურვილი – მოვალე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.<sup>1079</sup> მოვალე ვადის გადამცილებლად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც ვალდებულების შესრულების მოთხოვნით განცხადებული გაფრთხილების მიუხედავად ვალდებულება კვლავ არ სრულდება.<sup>1080</sup>

<sup>1078</sup> Palandt O., Heinrichs H., 2003, BGB §286, Rn.5, მითითებულია: მაჩალაძე ს., ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა ანალიზი), უკრ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2004, 77.

<sup>1079</sup> ჭანტურია ლ., ზოძე ბ., ნინოძე თ., შენგავლია რ., ხევურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლი, ზოგადი ნაწილი, ობ., 2001, 420.

<sup>1080</sup> გსკ-ის 286-ე II პარაგრაფი განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც ვადა გადაცილებულად ითვლება სათანადო გაფრთხილების გარეშე.

კრედიტორის მიერ განხორციელებული სათანადო გაფრთხილება ვადამოსული ვალდებულების შესრულების შესახებ, ვადის გადაცილების ერთ-ერთ წინაპირობას ქმნიდა რომაულ სამართალ შიც. ასევე, მნიშვნელოვანი წინაპირობა ვადის გადაცილების დარღვევად სახელდებისათვის იყო მოვალის ბრალი თავად ვადის გადაცილების ფაქტოან მიმართებით ან ვადის გადაცილების გამომწვევი გარემოების წარმოშობაში.

რომაულ სამართალ ში მოვალის ბრალის იდენტიფიცირების საუკეთესო საშუალება იყო მოვალის მიმართ სპეციალური გაფრთხილების – *interpellatio*<sup>1081</sup> – განცხადება, რომელიც გამორიცხავდა მოვალის მიერ საკუთარი ვალდებულებების არცონის შესაძლებლობას. ამის შედეგად მარტივდებოდა ვადამოსული და გაცნობიერებული მოვალეობების შეუსრულებლობის ბოროტ განზრახვად (*dolus malus*<sup>1082</sup>) და კვალიფიცირება.<sup>1083</sup> გაფრთხილების მიცემის შემდგომ მოვალის ბრალეულობის საკითხი ცალკე მსჯელობის საგანი არ ხდებოდა, არამედ *interpellatio* განიხილებოდა ბრალეულობის ინდიკატორად.<sup>1084</sup> პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი კრიტერიუმთაგანი იყო ბრალი, როგორც სუბიექტური ელემენტი და გაფრთხილება, როგორც ობიექტური წინაპირობა.<sup>1085</sup> ამიტომაც ხშირად გაფრთხილება (*interpellatio*) და მოვალის ბრალეულობა (*in mora*) სინონიმური მნიშვნელობით განიხილებოდა.<sup>1086</sup>

ამასთან, უმნიშვნელოვანესია, რომ მოვალის ბრალეულობა თავისთავად იგულისხმებოდა, თუ ვადის გადაცილების ყველა კრიტერიუმი სახეზე იყო წარმოდგენილი.<sup>1087</sup>

გაფრთხილების შემდეგ ვალდებულების შეუსრულებლობა შესაძლებელია, მხოლოდ მოვალის ბრალეული ქმედებით განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების პატივსადები საფუძვლები. გაფრთხილებით მოვალე კიდევ ერთხელ აცნობიერებს ვალდებულების დარღვევის მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგს, სწორედ ამიტომ მოვალის ვადის გადაცილება ბრალეულ დარღვევად განიხილება.

<sup>1081</sup> Zimmermann R., The Law of Obligations - Roman Foundations of the Civilian Tradition, Breach of Contract, Chapter 25, Clarendon, Oxford University Press, 1996, 792.

<sup>1082</sup> იქვე, 792.

<sup>1083</sup> იქვე, 793.

<sup>1084</sup> იქვე,

<sup>1085</sup> იქვე, 792.

<sup>1086</sup> იქვე.

<sup>1087</sup> იქვე, 794.

#### 4.2. შეცვლილი გარემოებების გავლენით მოვალის მიერ ვადის გადაცილების წარმოშობის შეუძლებლობა

შეცვლილი გარემოებების სამართლებრივი ბუნების ანალიზისას ზე-მოგანხილული თავების ფარგლებში დადგინდა, რომ აღნიშნული გარემოებები მხარის კონტროლის სფეროსაგან დამოუკიდებლად აღმოცენებული მოვლენებია, რომელთა წარმოშობის მიმართ მოვალე არაბრალეულია, რამე-თუ არ არსებობს მისი მხრიდან შეცვლილი გარემოებების გათვალისწინების, მათი ადკვეთის, უარყოფითი შედეგების აღმოფხვრის ან შემცირების ობიექტური შესაძლებლობა. შესაბამისად, თუ მოვალის მიერ ვადის გადაცი-ლება მისი მხრიდან შესრულების არაბრალეული შეუძლებლობით არ არის განპირობებული, მაშასადამე, არ იარსებებს შეცვლილი გარემოებების დოქტრინის გამოყენების საფუძველი – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმის – მოვალის არაბრალეულობის არარსებობის გამო. ბრალეუ-ლი დარღვევის პირობებში გამორიცხულია შეცვლილი გარემოებების არსე-ბობაზე და პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებაზე მსჯელობა. შესაბა-მისად, მოვალის მიერ ვადის გადაცილების პირობებში ვერ განხორციელდე-ბა მოვალის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება ან ხელშეკრულების ადაპტაცია. აღნიშნული ვადის გადაცილების, როგორც ბრალეული დარღვევის სამართლებრივი ბუნებით არის განპირობებული.

შესაძლებელია მოვალის მიერ პროდუქციის მიწოდების ვადის გადაცილება საკანონმდებლო აკრძალვით იუოს განპირობებული (იმპორტის უცაბედი, გაუთვალისწინებელი აკრძალვა). ასეთ შემთხვევაში მართალია, გამორიცხულია მოვალის ბრალი ვადის გადაცილების ფაქტის მიმართ,<sup>1088</sup> მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მაინც არ ფუძნდება არაბრალეული ვადის გადაცილება, არამედ – შესრულების შეუძლებლობა, როგორც ვალდებულე-ბის დარღვევის ერთ-ერთი სახე და პასუხისმგებლობისგან განთავისუფლე-ბის საფუძვლად სწორედ შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის (სამართლებრივი შეუძლებლობა) მითითება მოხდება.

პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების წესით ვერ ისარგებლებს ვადის გადამცილებელი ბრალეული მხარე, რამეთუ შეცვლილი გარემოებე-ბის დოქტრინა უმთავრესად კეთილსინდისიერების პრინციპს ემყარება და არ შეიძლება იგი ბრალეული მხარის სასარგებლოდ გამოიყენებოდეს.<sup>1089</sup>

<sup>1088</sup> ბოლოინგი პ., ლუტრინგაუზი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთ-ხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-ობილისი, 2004-2009, 30; ჰენშელი ხ., სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, გამომც. „სიესტა“, თბ., 2009, 42.

<sup>1089</sup> Puelinckxin A.H., Frustration, Hardship, Force Majeure, Imprévision, Wegfall der Geschäftsgrundlage, Unmöglichkeit, Changed Circumstances, 3 J.Int'l Arb., No. 2, 1986, 47.

## 5. შეცვლილი გარემოებებით განპირობებული ნაკლიანი შესრულება და გამოსაყენებელი მეორადი მოთხოვნები

### 5.1. ნაკლიანი შესრულების მოწესრიგების სისტემური ხარვეზი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში

სსკ-ის 487-ე-488-ე მუხლები განამტკიცებს ნაკლიანი შესრულების კონცეფციას, რომელიც ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილშია წარმოდგენილი, კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებულ ნორმებში. ვინაიდან ნაკლიანი შესრულება ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთი დამოუკიდებელი სახეა, იგი ვალდებულების ზოგად ნაწილში უნდა იყოს რეგლამენტირებული, ისევე როგორც მასთან დაკავშირებული მეორადი მოთხოვნის უფლება ფასის შემცირების სახით. მით უფრო რომ ნაკლიანი შესრულება მხრიდან ნასყიდობის ხელშეკრულებას არ შეიძლება მიე-მართებოდეს, ის შეიძლება აღმოცენდეს ნარდობის ხელშეკრულებაშიც.<sup>1090</sup>

შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი ნაკლიანი შესრულების საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია პასუხისმგებლობის განსაზღვრის თვალსაზრისით. კერძოდ, უნდა დადგინდეს არაბრალეული გამჟიდველი შესაძლოა თუ არა პასუხისმგებლობისგან იქნეს განთავისუფლებული ნაკლიანი მიწოდების შემთხვევაში.

აესკ-ის მიხედვით, აღნიშნულ კითხვაზე პასუხი უარყოფითია, მაშინ როდესაც ვენის კონვენციის დამოკიდებულება ნათლად გამოკვეთილი არ არის, რამეთუ ის განამტკიცებს პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების შესაძლებლობას ნებისმიერი სახის დარღვევის არსებობისას.<sup>1091</sup>

### 5.2. პასუხისმგებლობის საკითხი ნაკლიანი შესრულების პირობებში და თანამდევი მეორადი მოთხოვნები

ნაკლიანი შესრულების პირობებში პასუხისმგებლობის საკითხის ვენის კონვენციისმიერი რეგულირება ანგლოამერიკული სამართლის კონცეფტუალურ მიდგომას მიჰყვება. კერძოდ, ვენის კონვენციის 79-ე მუხლი, პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად არ არის განსაზღვრული ნაკლიანი შესრულების არსებობისას. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ და გაზიარებულ იქნა უნისიტრალის დიპლომატიურ კონფერენციაზე 1974 წელს.<sup>1092</sup>

ვენის კონვენციის 35-ე (1) მუხლის თანახმად, გამყიდველს ეკისრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის, რაოდენობისა და აღწერი-

<sup>1090</sup> ი. სსკ-ის 642-ე მუხლი.

<sup>1091</sup> Honnold J.O., Flechtnar H. M. (ed.), Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, 4<sup>th</sup> ed., Wolters Kluwer Law and Business, Austin, Boston, Chicago, New York, The Netherlands, 2009, 616.

<sup>1092</sup> იქვე, 427 [618].

ლობის ნივთის მყიდველისათვის მიწოდება. ხოლო 45-ე მუხლის ძალით, მყიდველის მიერ კონვენციით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების (მათ შორის უნაკლო ნივთის მიწოდების) შეუსრულებლობის შემთხვევაში, მყიდველი უფლებამოსილია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.<sup>1093</sup>

კონვენციის აღნიშნულ რეგულირებას მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგები უკავშირდება მყიდველისათვის. საქონლის წარმოების პროცესის გამოკვლევა და ნაკლზე პასუხისმგებელი პირის დადგენა განსაკუთრებულ სირთულეს უკავშირდება მით უმეტეს, გადამყიდველი მიმწოდებლის არსებობის პირობებში. ამრიგად, ვენის კონვენციის 79-ე მუხლი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად მოქმედებს დაუძლეველი მოვლენების არსებობისას (ომი, ემბარგო, წყალდიდობა, ცეცხლი). წარმოების პროცესში წინდახედულების ზომების დარღვევაზე პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების დაფუძნება ანომალური და განუხორციელებელი იქნება. აღნიშნული განსაკუთრებით ცხადი ხდება გამყიდველის მიერ დახურული კონტეინერებით საქონლის მიწოდებისას, რომელიც გამორიცხავს კონტროლისა და ზედამხედველობის შესაძლებლობას. მყიდველს (განსხვავებით გამყიდველისაგან) არავითარი სახელშეკრულებო კავშირი არ აქვს თავდაპირველ მიმწოდებელთან. ამდენად, მწარმოებელზე პასუხისმგებლობის დაკისრების ერთადერთი გზაა მყიდველისათვის მიენებული ზიანის ანაზღაურება გამყიდველის მიერ და შემდგომ რეგრესის წესით ანაზღაურების მოთხოვნა მწარმოებლისგან.<sup>1094</sup>

საპირისპირო მოსაზრებაა განვითარებული ვენის კონვენციის გერმანული – შლეგტრიმის კომენტარის მიერ, რომლის თანახმად, ვენის კონვენციის 79-ე მუხლი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად გამოიყენება ვალდებულების ყველა სახის დარღვევის – შესრულების შეუძლებლობის, ვადის გადაცილებისა<sup>1095</sup> და ნაკლიანი შესრულების პირობებში.<sup>1096</sup> აღნიშნული კომენტარი ნივთის ნაკლის შესახებ გამყიდველის არაინფორმირებულობას პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძვლად აცხადებს. თუმცა, მყიდველისათვის ხელმისაწვდომი რჩება ნაკლის გამოსწორების ან ნაკლიანი ნივთის უნაკლოთი შეცვლის მოთხოვნა.<sup>1097</sup> აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, კონვენციის სტრუქტურა და მისი შექმნის ისტორიაც ადასტურებს, რომ იგი არ მისდევს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინ-

<sup>1093</sup> Honnold J.O., Flechtner H. M. (ed.), Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, 4<sup>th</sup> ed., Wolters Kluwer Law and Business, Austin, Boston, Chicago, New York, The Netherlands, 2009, 427 [618].

<sup>1094</sup> იქნ, 427 [619].

<sup>1095</sup> ვადის გადაცილების სპეციფიკა განხილულ იქნა ნაშრომის VIII თავის 4.1. ქვეთავში.

<sup>1096</sup> Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1065; Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 189.

<sup>1097</sup> ი. ვენის კონვენციის 46-ე (2) (3) მუხლი.

ციპს ნაკლიანი შესრულებისას პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს.<sup>1098</sup> შლეტრიმის კომენტარშიც საბოლოოდ აღიარებული მოსაზრებით, ნაკლიანი შესრულების მიმართ უმთავრესად, მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპი მოქმედებს და გამყიდველის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უნდა დაიშვებოდეს.<sup>1099</sup>

საგარანტიო პასუხისმგებლობა ნივთის ნაკლის გამო, განსაკუთრებით, ანგლოამერიკული სამართლისთვისაა დამახასიათებელი, სადაც უნაკლო ნივთის მიწოდება მხარეთა შეთანხმების გარეშეა ხელშეკრულების ნაგულისხმევი და არსებითი პირობა. მაგალითად, საქონლის ნასყიდობის შესახებ 1979 წლის კანონის<sup>1100</sup> (შემდგომში – სხშ) თანახმად, საქონელი უნდა შეესაბამებოდეს აღწერილობას<sup>1101</sup> და შეთანხმებულ ნიმუშს,<sup>1102</sup> იყოს დამაკმაყოფილებელი ხარისხისა და ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნისთვის გამოსადეგი.<sup>1103</sup> ეს არის კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ ასახელებს სტატუტი კონკრეტულ სახელშეკრულებო პირობებს არსებითად, ისე, რომ ეს პირობები იმთავითვე ნაგულისხმევია ხელშეკრულების შინაარსში, მხარეთა შეთანხმების მიუხედავად. გამყიდველის პასუხისმგებლობა არ გამოირიცხება იმ საფუძვლით, რომ მან არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა თვისებრივი ნაკლის შესახებ. ამ რეგულირებას ითვალისწინებს 1979 წლის სხშის მე-14 მუხლი, შემდგომში 1994 წლის საქონლის ნასყიდობისა და მიწოდების შესახებ კანონის 1-ლი და მე-7 მუხლები, ასევე მე-2 თავის მე-5 პარაგრაფი.<sup>1104</sup>

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სხშის მე-14 2(E)(a) მუხლი მაინც ანგარიშს უწევს გამყიდველის ბრალს ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში: როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულებაში მყიდველის სახით ჩართულია მომხმარებელი და ნივთის კონკრეტული თვისებები მწარმოებლისა თუ მისი წარმომადგენლის მიერ აღწერილია საჯარო განცხადებაში ან რეკლამაში, მხარემ პასუხისმგებლობისგან დასაცავად უნდა ამტკიცოს, რომ მას არ შეეძლო სცოდნოდა ამ განცხადების შესახებ ხელშეკრულების დადების ეტაპზე. ამ შემთხვევაში განცხადება მხარის მიერ ნაკისრი საგარანტიო პირობაა ნივთის ნაკლის არარსებობის შესახებ. სწორედ ამიტომ აღნიშნული განცხადების არსებობის თაობაზე არცოდნა მხარის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველია.

<sup>1098</sup> Honnold J.O., Flechtnar H. M. (ed.), Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, 4<sup>th</sup> ed., Wolters Kluwer Law and Business, Austin, Boston, Chicago, New York, The Netherlands, 2009, 427.1 [621].

<sup>1099</sup> Schwenzer I., Hachem P., Kee Ch., Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012, 662; Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1066;

<sup>1100</sup> Sale of Goods Act, Legislation of the United Kingdom, 1979 (შემდგომში – სხშ), <<http://www.jus.uio.no/lm/england.sale.of.goods.act.1979/doc#3>>, [08.08.2014].

<sup>1101</sup> ი. სხშის მე-13 მუხლი.

<sup>1102</sup> ი. იქვე, მე-15 მუხლი.

<sup>1103</sup> ი. იქვე, მე-14 მუხლი.

<sup>1104</sup> Treitel G.H., The Law of Contract, 9<sup>th</sup> ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 752.

კონტინენტური სამართალი იზიარებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის ძალით არაბრალეული გამყიდველის განთავისუფლებას ზიანის ანაზღაურებისაგან, ამავე დროს ვალდებულად აცხადებს მას ნაკლიანი ნივთის უნაკლოთი შეცვლაზე ან ნაკლის გამოსწორებაზე.<sup>1105</sup> მაგრამ კვლავ გსკ-ის 437-ე პარაგრაფის თანახმად, ნაკლიანი შესრულების შემთხვევაში მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს: ნაკლის გამოსწორება, ხელშეკრულებიდან გასვლა, ფასის შემცირება ზიანის ან გაწეული ხარჯების ანაზღაურება. თუმცა, ნივთის ნაკლიანი გამომდინარე, მეორადი მოთხოვნის უფლებების განხორციელება განსაზღვრული დროის პერიოდითა ზღვარდადებული.<sup>1106</sup> მართალია, ნაკლიანი შესრულებიდან გამომდინარე, მყიდველისათვის სამართლებრივი დაცვის საშუალებების მთელი სპეციალურია ხელმისაწვდომი, მაგრამ მყიდველის ინფორმირებულობა ნივთის ნაკლის შესახებ უარყოფითად აისახება მის სამართლებრივ მდგომარეობაზე, მეორადი მოთხოვნის უფლებების გამოყენების თვალსაზრისით. გსკ-ის 442-ე I პარაგრაფის თანახმად,<sup>1107</sup> ხელშეკრულების დადების ეტაპზე ნივთის ნაკლის შესახებ მყიდველის ინფორმირებულობა გამორიცხავს გსკ-ის 437-ე პარაგრაფით განმტკიცებული მეორადი მოთხოვნის უფლებების გამოყენების შესაძლებლობას. მყიდველის უფლება, მიმართოს მეორადი მოთხოვნის სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, ძალაში რჩება, თუ ნივთის ნაკლის არცოდნა მისი უხეში გაუფრთხილებლობის შედეგია და ამასთან, გამყიდველი შეგნებულად დუმდა ნივთის ნაკლის შესახებ, ან გამყიდველმა ხელშეკრულებით იკისრა უდევექტო ნივთის მიწოდების გარანტია.

მნიშვნელოვანია ასევე, გსკ-ის 444-ე პარაგრაფით განმტკიცებული ნორმა, რომლის თანახმად, მყიდველი ვერ მიუთითებს მხარეთა შორის არსებულ მყიდველის უფლებების შემზღვდავ ან გამომრიცხავ შეთანხმებაზე, თუ გამყიდველი შეგნებულად დუმდა ნივთის ნაკლის შესახებ ან ხელშეკრულებით იკისრა უნაკლო ნივთის მიწოდების გარანტია. თუ გამყიდველმა იკისრა ნივთის ვარგისიანობის გარანტია განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, მაშინ ამ საგარანტიო პერიოდის მანძილზე აღმოცენებული ნივთის ნაკლისათვის პასუხისმგებლობა გამყიდველს დაეცისრება.

საინტერესოა ფრანგული სამართლის მიდგომა: ფსკ-ის 1641-ე მუხლის საფუძველზე გამყიდველს ეკისრება საგარანტიო პასუხისმგებლობა ნივთის ფარული ნაკლისათვის. ადნიშნული მუხლი მოქმედებს იმ სახის დეფექტის მიმართ, რომელიც ნივთს ხელშეკრულებით გამიზნული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის გამოუსადეგარს ხდის და ასეთი ნაკლის ცოდნის შემ-

<sup>1105</sup> Honnold J.O., Flechner H. M. (ed.), Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, 4<sup>th</sup> ed., Wolters Kluwer Law and Business, Austin, Boston, Chicago, New York, The Netherlands, 2009, 427.1 [621].

<sup>1106</sup> ი. გსკ-ის (German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005) §438.

<sup>1107</sup> ი. სსკ-ის 494-ე II და 497-ე მუხლები.

თხვევაში, მყიდველი საერთოდ არ შეიძენდა ნივთს, ან შეიძენდა მას ნაკლებ ფასად.<sup>1108</sup>

მნიშვნელოვანია, რომ გამყიდველი პასუხისმგებელია ნივთის ნაკლი-სათვის, მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა მან ნაკლის არსებობის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს შეთანხმება საგარანტიო პასუხისმგებლობის გამორიცხვის თაობაზე.<sup>1109</sup> ვენის კონვენციის თანახმად,<sup>1110</sup> ფარული ნაკლით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია გამყიდველი მისი არაბრალეულობის შემთხვევაშიც, მაშინ როდესაც საქონლის მიღება ხორციელდება დახურული კონტენერებით მიმწოდებლისგან და გამყიდველს არ შეეძლო სცოდნოდა ნივთის ნაკლის შესახებ. ამგვარი სამართლებრივი შედეგების გონივრული დასაბუთებაა, რომ მყიდველს გამყიდველისგან განსხვავებით პრეტენზის წარდგენის უფლება არ აქვს მიმწოდებლის მიმართ და უნაკლო ნივთის მიწოდება ნასყიდობის ხელშეკრულების უმთავრესი პირობა და ძირითადი არსია.<sup>1111</sup>

საგარანტიო პასუხისმგებლობა გულისხმობს მყიდველის უფლებას ნაკლიანი ნივთის მიღების შემდგომ საკუთარი არჩევანით (სასამართლოს შეფასების გარეშე) მიმართოს ხელშეკრულებიდან გასვლის ან ფასის შემცირების მოთხოვნის უფლებას. ხოლო ხელშეკრულების დადების ეტაპზე გამყიდველის ინფორმირებულობა ფარული ნაკლის არსებობის შესახებ, მყიდველს გადახდილი სახელშეკრულებო ფასის უკან დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს.<sup>1112</sup> ამრიგად, გამყიდველის პასუხისმგებლობა, ზიანის ანაზღაურების სახით, ნივთის ფარული ნაკლი-სათვის კვლავ გამყიდველის ბრალზე დამოკიდებული რჩება. გამყიდველის ბრალეულობა დგინდება იმის მიხედვით, თუ რამდენად იცოდა მან ნივთის ნაკლის არსებობის შესახებ. თუ გამყიდველს არ მიუძღვის ბრალი ნივთის ფარული დეფექტის ცოდნაში, იგი მხოლოდ ფასის შემცირების ან ნივთის საფასურის დაბრუნების, ასევე გაწეული გონივრული ხარჯებისთვის იქნება პასუხისმგებელი. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საგარანტიო პასუხისმგებლობის პრინციპი არ მოქმედებს ხილული დეფექტების მიმართ, რომელიც მყიდველს ძალისხმევის გარეშე შეეძლო გამოევლინა.<sup>1113</sup>

ფარული ნაკლის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ფრანგულ სამართალში გონივრული ვადით იფარგლება. გონივრული ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მყიდველმა აღმოაჩინა ან შეეძლო აღმოეჩინა ნივთის ფარული ნაკლი. ნაკლის არსებობის შესახებ გონივრულ

<sup>1108</sup> Beale H., Kötz H., Hartkamp A., Tallon D.(eds.), Casebooks on the Common Law of Europe, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002, 756.

<sup>1109</sup> ი. ფსკ-ის (French Civil Code, Translated by Rouquette G. with the assistance of Rouquette-Bertot A., 2006) 1643-ე მუხლი.

<sup>1110</sup> ი. ვენის კონვენციის 35-ე, 45-ე და 74-ე მუხლები.

<sup>1111</sup> Honnold J.O., Flechtnar H. M. (ed.), Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, 4<sup>th</sup> ed., Wolters Kluwer Law and Business, Austin, Boston, Chicago, New York, The Netherlands, 2009, 612.

<sup>1112</sup> ი. ფსკ-ის (French Civil Code, Translated by Rouquette G. with the assistance of Rouquette-Bertot A., 2006) 1645-ე მუხლი.

<sup>1113</sup> ი. იქვე, 1642-ე მუხლი.

ვადაში განუცხადებლობით ქარწყლდება ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები.<sup>1114</sup>

სსკ-ის 494-ე I მუხლის თანახმად, ნივთის ნაკლით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების დარღვევით მყიდვებული ზიანი ანაზღაურდება ზოგადი წესის საფუძველზე. „ზოგად წესში“ იგულისხმება სსკ-ის 394-ე I მუხლით დადგენილი ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი. ამრიგად, გამყიდველის ბრალი ნივთის ნაკლის ცოდნაში მყიდველის ზიანის ანაზღაურების უფლებას წარმოშობს. ამასთან, მყიდველის შემხვედრი ბრალი გამორიცხავს ნაკლიანი ნივთის მოწოდებიდან გამომდინარე ყოველგვარი უფლების განხორციელების შესაძლებლობას. კერძოდ, სსკ-ის 494-ე II მუხლის ძალით, მყიდველს არ წარმოეშობა უფლებები ნივთის ნაკლის გამო, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში მან იცოდა აღნიშნულის შესახებ.

სსკ ნივთის ნაკლის დაუყოვნებლივი აღმოჩენის ვალდებულებას აწეს სებს მეწარმე მყიდველის მიმართ. კერძოდ, მეწარმე მყიდველის მიერ ნაკლის აღმოჩენიდან გონივრულ ვადაში გამყიდველისათვის პრეტეზიის განუცხადებლობა უკარგავს მას ნივთის ნაკლის საფუძველზე ყველა შესაძლო „დამცავი მოთხოვნის“<sup>1115</sup> წარდგენის უფლებას. თუ მეწარმეს ობიექტურად შეეძლო ნაკლის აღმოჩენა, ის ვეღარ მოითხოვს დამატებითი შესრულების მიღებას და ვერც სხვა მეორადი მოთხოვნის უფლებებით ისარგებლებს, მაგრამ, თუ მეწარმე სუბიექტის ბრალს უპირისპირდება გამყიდველის განზრახი ბრალი ნივთის ნაკლის ცოდნაში, მაშინ მეწარმეს ნივთის ნაკლის გამო უფლებები შეუზღუდავად წარმოეშობა; რაც შეეხება არამეწარმე მყიდველს, სსკ-ის 495-ე II მუხლის ანალიზიდან ირკვევა, რომ მას ნაკლის აღმოჩენიდან ნებისმიერ დროს აქვს ნივთის ნაკლის გამო მეორადი მოთხოვნის უფლებების განხორციელების შესაძლებლობა. თუ გამყიდველი დაადგენს ნივთის ვარგისიანობის ვადას, მაშინ მყიდველის მიერ მეორადი მოთხოვნის უფლებების გამოყენებაც ამ ვადით იქნება შემოფარგლული.

ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას მხარეებს უფლება აქვთ შეზღუდონ ან გამორიცხონ მეორადი მოთხოვნის უფლებების გამოყენება. აღნიშნულ შეთანხმებას არ ექნება იურიდიული ძალა, თუ გამყიდველი განზრახ დუმდა ნივთის ნაკლის შესახებ.<sup>1116</sup> ანალოგიური შინაარსის ნორმას განამტკიცებს გსკ-იც იმ განსხვავებით, რომ პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ დათქმა ბათილია როგორც ნივთის ნაკლის განზრახ დაფარვის, ასევე ნივთის ხარისხზე წინასწარი გარანტიის გაცემის შემთხვევაშიც.<sup>1117</sup>

<sup>1114</sup> მნიშვნელოვანია, რომ სსკ-ის 35.2-ე მუხლი გონივრულ ვადას უწესებს მყიდველს ხილული დეფექტის აღმოსაჩენად, სანამ შესრულება მიღებულად ჩაითვლებოდეს სამართლებრივი მნიშვნელობით.

<sup>1115</sup> ტერმინი ეპუთვნის დისერტაციის ავტორს და გამოყენებულია სამართლებრივი დაცვის მექანიზმების მნიშვნელობით.

<sup>1116</sup> ი. სსკ-ის 497-ე მუხლი.

<sup>1117</sup> ი. გსკ-ის (German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005) §444.

## 6. შეცვლილი გარემოებებით გამოწვეული გულისხმიერების გალდებულების დარღვევა როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა

გულისხმიერების გალდებულების შეუსრულებლობის დარღვევის დამოუკიდებელ სახედ რეგლამენტაცია სსკ-ში პირდაპირ არ იკვეთება, თუმცა ხელშეკრულებიდან გასვლის ნორმების ანალიზის საფუძველზე მაინც შესაძლებელია აღნიშნული დასკვნის ინტერპრეტირება.

გულისხმიერების ვალდებულება კეთილსინდისიერების უმნიშვნელოვანები სეგმენტია, რომელიც მხარეს კონტრაქტის უფლებებისა და ქონებისადმი ეკისრება.<sup>1118</sup> კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას.<sup>1119</sup> სამოქალაქო მართლწერიგი სწორედ ამ პრინციპზეა დაფუძნებული. კეთილსინდისიერი ქცევა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მიერ ერთმანეთის უფლებებისადმი გულისხმიერებითა და პატივისცემით მოქმედებას გულისხმობს. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგების თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და სიმყარეს.<sup>1120</sup> ბრუნვაში ვლინდება ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ადამიანს აქცევს ღირებულებებით შემცულ სუბიექტად. უმთავრესი ამ ბრუნვისათვის, კეთილსინდისიერებაა. არა ყველა ბრუნვაა ფასეული, არამედ კეთილსინდისიერი ბრუნვა... ეკვივალენტური ბრუნვა კი სამართლიანი ბრუნვის საწინდარია.<sup>1121</sup>

კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპთა დარღვევა, მათი მნიშვნელობისა და მიზნის გათვალისწინებით, ვალდებულების შეუსრულებლობის დამოუკიდებელ სახედ არის მიჩნეული გსკ-სა და ევროპულ პრინციპებში. სსკ-ის 405-ე III „ბ“ ქვეპუნქტის განმარტებიდან კი ვლინდება, რომ სსკ-ის 316-ე II მუხლით დადგენილი მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულების დარღვევისას არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, თუ კრედიტორს შესაძლებელია მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ თუ შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი გულისხმიერების ვალდებულება მნიშვნელოვანი ხარისხით დაირღვა, კრედიტორს ეპარგება ნდობა კონტრაქტისა და ინტერესი შესრულების მიმართ, შესაბამისად, არაგონივრულია კრედიტორს მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება, რაც

<sup>1118</sup> იხ. სსკ-ის 316-ე II მუხლი.

<sup>1119</sup> ზოდე პ., ჭანტურია ლ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ. (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 270.

<sup>1120</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივნისის განჩინება საქმეზე: №ას-7-6-2010.

<sup>1121</sup> ზოდე პ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემცნების ცდა – უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესეები, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა, თბ., 2013, 180.

უფლებამოსილი პირისათვის ხელშეკრულებიდან გასლის მოთხოვნის უფლებას აღმოაცენებს.

ამრიგად, სსკ-ის შესაბამისი ნორმების ანალიზიდან გულისხმიურების პრინციპის არსებითი ხელყოფა ვალდებულების დარღვევის დამოუკიდებელ სახედ ვლინდება,<sup>1122</sup> რომელიც სამართლებრივი წინაპირობის სახით ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას წარმოშობს.

დაცვის ვალდებულებები მიზნად ისახავს, დაიცვას ხელშეკრულების მხარეთა უფლებები, სამართლებრივი სიკეთე და ინტერესები. აღნიშნული ვალდებულებები დაცვას ექვემდებარება ნამდვილი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად.<sup>1123</sup> სსკ-ის 316-ე მუხლში არაფერია ნათქვამი კრედიტორის ინტერესების დაცვაზე, მიუხედავად ამისა, დაცვის ვალდებულებები აუცილებლად მოიცავს ამ უკანასკნელსაც.<sup>1124</sup>

<sup>1122</sup> მსგავსად, გსკ-ისა და ევროპული პრინციპებისა.

<sup>1123</sup> *Mattheus D., Schuldrechtsmodernisierung 2001/2002, Die Neuordnung des allgemeinen Leistungsstörungsrechts, JuS, 2002, მითითებულია: მაჩალაძე ს., ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა ანალიზი), „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2004, 93.*

<sup>1124</sup> *მაჩალაძე ს., ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა ანალიზი), „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2004, 93.*

**IX. პასუხისმგებლობა და მისგან განთავისუფლება მესამე პირის მიერ  
შესრულების გართულების ან შეუძლებლობის გამომწვევი გარემოების  
აღმოცენების საფუძვლით**

**1. პასუხისმგებლობა ვალდებულების შემსრულებელ მესამე პირთა  
ბრალეული ქმედებისთვის ვალდებულების შესრულების დაბრკოლებისას**

არსებული სამოქალაქო ბრუნვის პირობებში ვალდებულების შესრულების მიზნისათვის ხშირად, აუცილებელია შესრულების გადანდობა შესატყვისი და სათანადო პროფესიული გამოცდილების მქონე პირთათვის.<sup>1125</sup> სსკ-ის 371-ე მუხლის თანახმად, თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც.<sup>1126</sup> თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვის პირობებში ვალდებულებათა ძირითადი ნაწილი სწორედ მესამე პირის მეშვეობით სრულდება და არა პირადად ხელშეკრულების მონაწილეობით მიერ. იურიდიულ დოქტრინაში მესამე პირებს, რომლებზეც ხორციელდება ვალდებულების შესრულების დელეგირება, სუბშემსრულებლებს უწოდებენ.

მხარე ვალდებულების სხვა პირზე დელეგირებით არ თავისუფლდება შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობისაგან.<sup>1127</sup> მესამე პირის ბრალეული ქმედება მიეწერება მხარეს, ვისთვისაც იდება ხელშეკრულება, ან სრულდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება.<sup>1128</sup> აღნიშნული წესი არა მკაცრი პასუხისმგებლობის სახე, არამედ სხვისი ბრალისათვის პასუხისმგებლობის პრინციპის გამოვლინებაა.

სსკ-ის 396-ე მუხლთან კავშირში უნდა ითქვას, რომ სხვისი ბრალისათვის პასუხისმგებლობის პრინციპს ემყარება: დამქირავებლის პასუხისმგებლობა ქვემოქირავნის მოქმედებისათვის, მენარდის პასუხისმგებლობა შემკვეთის წინაშე სუბმენარდის მოქმედებისათვის, ექსპედიტორის პასუხისმგებლობა დამხმარის მოქმედებისათვის და სხვა. იგივე წესი მოქმედებს იჯარის ხელშეკრულებაშიც. სხვისი ბრალის გამო პასუხისმგებლობის პრინციპი მოქმედებს დელიქტურ სამართალშიც. მაგალითად, ხელშეკრულების მხარე ვალდებულია, აანაზღაუროს მისი მუშაკის მიერ შრომითი მოვალეობების შესრულებისას მესამე პირისათვის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანი.<sup>1129</sup>

<sup>1125</sup> ძლიერი შვილი ზ., ვალდებულების შესრულება, თბ., 2006, 15.

<sup>1126</sup> ეს სამართლებრივი ტრადიცია ჯერ კიდევ რომის სამართლისგან მომდინარეობს. იხ. Zweigert K., Kötz H., Introduction to Comparative Law, Vol. II-The Institutions of Private Law, 2<sup>nd</sup> Revised ed., Translated from German by Weir T., Oxford, Clarendon Press, 1987, 299.

<sup>1127</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, Part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 134.

<sup>1128</sup> იხ. იქვე, 135. ასევე, სსკ-ის 104-ე მუხლი.

<sup>1129</sup> იხ. სსკ-ის 997-ე მუხლი.

ევროპული პრინციპების 1:305-ე მუხლის თანახმად, თუ პირმა, რომელსაც სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარემ მიანდო ხელშეკრულების დადება ან ვალდებულების შესრულება:

ა) იცოდა ან ითვალისწინებდა გარკვეული ფაქტის არსებობას, ან ვალდებული იყო სცოდნოდა ან გაეთვალისწინებინა;

ბ) მოქმედებდა განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით, ან კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ, მაშინ აღნიშნული გარემოების ცოდნის, გათვალისწინებისა და ბრალეული ქმედებისათვის პასუხისმგებლობა ხელშეკრულების მონაწილე მხარეს დაკისრება.

ევროპული პრინციპების 7:106-ე მუხლი არეგულირებს მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების საკითხს, სადაც გამოიყოფა ორი შემთხვევა:

1) იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მოვალის მიერ ვალდებულების პირადად შესრულება ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას ვალდებულების მესამე პირის მიერ შესრულებაზე, თუ:

ა) მესამე პირი მოქმედებს მოვალის თანხმობით;

ბ) მესამე პირს აქვს ხელშეკრულების შესრულების ლეგიტიმური ინტერესი, ამასთან, მოვალე ვალდებულებას ვერ ასრულებს, ან მომავალში მოსალოდნელია მის მიერ ვადამოსული ვალდებულების დარღვევის ფაქტი;

2) აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მესამე პირის მიერ ვალდებულების ჯეროვანი შესრულება ათავისუფლებს მოვალეს შესრულების ვალდებულებისგან.

თუ მესამე პირის მიერ ვალდებულების ჯეროვანი შესრულება ევროპული პრინციპების 7:106-ე (2) მუხლის ძალით ათავისუფლებს მოვალეს სახელშეკრულებო ვალდებულებისაგან, შესაბამისად, მესამე პირის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მოვალე პასუხისმგებელი რჩება კრედიტორის წინაშე და ამ უკანასკნელს მეორადი მოთხოვნის უფლებები წარმოიშობა თავდაპირველი მოვალის მიმართ. კრედიტორთან ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მხარეა ვალდებულების მესამე პირზე გადამნდობი სუბიექტი და, შესაბამისად, ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პირდაპირი პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე მას დაეკისრება.<sup>1130</sup>

ვენის კონვენციის 79-ე (1) მუხლის თანახმად, მოვალე პასუხისმგებელია ყველა იმ პირის ბრალისათვის, რომელსაც იყენებს მოლიანად ან ნაწილობრივ საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული ზოგადი პრინციპი გულისხმობებს, რომ თუ მოვალეს აქვს ან შეეძლო ჰქონოდა გარკვეული წარმოდგენა ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, მაშინ ეს ცოდნა მას ბრალის სახით შეერაცხება.<sup>1131</sup>

<sup>1130</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 78.

<sup>1131</sup> Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1065.

მსგავსად, უნიფიცირებული სამართლისა, გერმანული სამართალი ცნობს მოვალის პასუხისმგებლობას იმ პირის ბრალისათვის, რომელსაც თავად იყენებს საკუთარი ვალდებულების განხორციელებისათვის. აღნიშნული საკითხის რეგულირებისას ქართველი და გერმანელი კანონმდებლის ნება ერთმანეთს და ვენის კონვენციის რეგულირებას ემთხვევა. გსკ-ის 278-ე პარაგრაფი განამტკიცებს სხვისი ბრალისათვის პასუხისმგებლობის იდენტურ წესს სსკ-ის 396-ე მუხლთან მიმართებით: მოვალე თავისი კანონიერი წარმომადგენლის, ასევე იმ პირთა ბრალეული მოქმედებისათვის, რომელთაც იყენებს საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით აგებს პასუხს, როგორითაც საკუთარი ბრალეული მოქმედებისათვის.

ამ შემთხვევაში მოვალისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია მისი ბრალი, რომელიც გამოიხატება ვალდებულების შემსრულებელ პირთა შერჩევისას საკმარისი წინდახედულებისა და მათზე სათანადო მეთვალყურეობის განუხორციელებლობით. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება გსკ-ის 276-ე III პარაგრაფი და შესაბამისად, სსკ-ის 395-ე II მუხლი: დაუშვებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისგან მისი განთავისუფლების შესახებ.<sup>1132</sup>

გსკ-ის 179-ე I პარაგრაფის ძალით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არმქონე პირი ან წარმომადგენელი, რომლის უფლებამოსილებაც არ მტკიცდება, ვალდებულია, განახორციელოს შესრულება ან აანაზღაუროს დამდგარი ზიანი, იმ შემთხვევაში, თუ პრინციპალი არ მოიწონებს ხელშეკრულებას. თუკი პირმა არ იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არქონის შესახებ, მაშინ იგი პასუხისმგებელია იმ ზიანისათვის, რაც მეორე ხელშემკვრელ მხარეს მიადგა არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიმართ არსებული მცდარი ნდობის შედეგად. ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანი, რომელიც არ აღმატება კრედიტორის სახელშეკრულებო ინტერესს ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში. კონტრაქტის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობის შესახებ ცოდნის ან ცოდნის რეალური შესაძლებლობის ფაქტი მით უფრო გამორიცხავს არაუფლებამოსილი წარმომადგენლის პასუხისმგებლობას. ასევე არ ეკისრება პასუხისმგებლობა შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს, თუ იგი მოქმედებდა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.<sup>1133</sup>

ხშირად ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია მესამე პირის მიერ ხელშეკრულების მონაწილის მიმართ საკუთარი ვალდებულების დროულ შესრულებაზე. მაგალითად, სსკ-ის 397-ე მუხლის თანახმად, მოვალე პასუხისმგებელია შესრულებისათვის მაშინაც, როცა შესრულების საგანი სხვა პირისგან უნდა მიეღო და ვერ მიიღო, თუკი ხელშეკრულებიდან ან გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. აქ საუბარია მესამე პირის

<sup>1132</sup> აღნიშნული მოწესრიგებაც სსკ-ის 395-ე II მუხლში განსაზღვრული რეგულირების იდენტურია.

<sup>1133</sup> ი. გსკ-ის (German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005) §179.

ბრალეულ შეუსრულებლობაზე, რომელიც მოვალეს არ ათავისუფლებს კრედიტორის წინაშე შესრულების ვალდებულებისაგან. თუკი მესამე პირის მიმართ დგება შესრულების ისეთი დამაბრკოლებელი გარემოება, რომელიც ზოგადად პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველს ქმნის, მაშინ შესრულების ვალდებულება ან პასუხისმგებლობა მოვალეს აღარ დაეკისრება.

## **2. შრომითი და ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობების განსხვავება მესამე პირთა ქმედებისათვის პასუხისმგებლობის ჭრილში**

სამართლებრივი შედეგებისა და პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია გსკ-ის 278-ე და 831-ე პარაგრაფების შეპირისპირება: გსკ-ის 278-ე პარაგრაფის (საკუთარი საქმეების მიმართ გულისხმიერება) თანახმად, მოვალე თავისი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად, პასუხს აგებს ისეთივე მოცულობით როგორც საკუთარი მოქმედების დროს. ამ შემთხვევაში შეზღუდვა განზრახი ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურების აკრძალვის შესახებ არ გამოიყენება (გსკ-ის 276-ე III პარაგრაფი).

გსკ-ის 831-ე პარაგრაფის შესაბამისად, სუბიექტი, რომელიც სხვა პირს აკისრებს დავალების შესრულებას, პასუხისმგებელია იმ ზიანის ანაზღაურებაზე, რომელსაც ეს უკანასკნელი დავალების შესრულებისას აყენებს მიმნდობ სუბიექტს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დგება, თუ მარტინებელი დაქირავებული პირის შერჩევისას იჩენს სამოქალაქო ბრუნვისათვის აუცილებელ ზრუნვასა და უურადღებიანობას. ხოლო თუ მინდობილი ვალდებულების შინაარსი არის მოწყობილობების ან ხელსაწყოების შეძენა ან დავალების შესრულების ხელმძღვანელობა, მაშინ პასუხისმგებლობა გამოირიცხება თუ მინდობილი პირი აუცილებელ ზრუნვას იჩენს შეძენისა თუ ხელმძღვანელობისას, ანდა თუ ზიანი მაინც დადგებოდა ასეთი ზრუნვის გამოჩენის შემთხვევაშიც.<sup>1134</sup>

ქართულ სამართალში პირი, რომელიც იყენებს დაქირავებულ შრომას, ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც დასაქმებულმა სამუშაოს შესრულების პროცესში მართლსაწინააღმდეგოდ მიაყენა მესამე პირს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ აღმოცენდება, თუკი დამსაქმებელმა გამოიჩინა გონივრული წინდახედულება დასაქმებულის კანდიდატურის შერჩევაში ან ასეთი ზიანი, მიუხედავად წინდახედულების ზომების დაცვისა, მაინც დადგებოდა. დამსაქმებელი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელსაც ევალება ზედამხედველობის გაწევა სამუშაო პროცესზე ან აპარატურითა და ინვენტარით უზრუნველყოფა, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი.<sup>1135</sup> განსხვავებით ზემოთ მოყვანილი რეგულირებისა, ვალდებულებით

<sup>1134</sup> ქეყელაშვილი ზ. (მთარგ. და რედ.), გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2010 წლის პირველი მარტის მდგომარეობით, „სიესტა“, თბ., 2010, 176.

<sup>1135</sup> ob. გსკ-ის (German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005) §831.

სამართალში მოვალე ვერ აიცილებს პასუხისმგებლობას იმის მტკიცებით, რომ მან ვალდებულების შემსრულებელი დიდი წინდახედულებით შეარჩია.

ვინაიდან გსკ-ის 278-ე და 831-ე პარაგრაფებს გამოყენების განსხვავებული წინაპირობები აქვთ, შესაბამისად, მათ შეფარდებას განსხვავებული სამართლებრივი შედეგები უკავშირდება. პასუხისმგებლობის წესის განსხვავების საფუძველია ის, რომ გსკ-ის 278-ე პარაგრაფში საუბარია ისეთ შემთხვევაზე, როდესაც მოვალე საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად იყენებს მესამე პირს („სახელშეკრულებო დამხმარებელი“), რომელიც არ არის დასაქმებული შრომითსამართლებრივი გაგებით, როგორც ეს გადმოცემულია გსკ-ის 831-ე პარაგრაფში.

თუ ხელშეკრულება იდება მხოლოდ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, მაშინ წარმომადგენლის ბრალეული მოქმედებისათვის პასუხისმგებლობის პრინციპი არ გამოიყენება. მაგალითად, მწარმოებელი არ განიხილება „სახელშეკრულებო დამხმარედ“ გამყიდველისათვის, რომელსაც აკისრია საქონლის მიწოდების ვალდებულება.<sup>1136</sup>

### 3. მესამე პირთა მონაწილეობით დამყარებული ურთიერთობების განსხვავება სხვა სამართლებრივი კონსტრუქციებისაგან

ვალდებულების შესრულება მესამე პირის მეშვეობით განსხვავდება, როგორც ვალის გადაკისრების, ასევე უფლების დათმობის სამართლებრივი კონსტრუქციისგან.<sup>1137</sup> ვალის გადაკისრებისათვის კრედიტორის თანხმობა სავალდებულოდ მოითხოვება, რადგან ახალი პირი ერთვება სახელშეკრულებო ურთიერთობაში და მათ შორის აღმოცენდება რელატიური ურთიერთობა. ამ შემთხვევაში თავდაპირველ მოვალეს ჩაენაცვლება ახალი სუბიექტი, ამიტომ კრედიტორისათვის მისი პიროვნება, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია. სულ სხვაგვარადაა საქმე ქვეყნის შემთხვევაში – კრედიტორსა და მესამე პირს შორის არ აღმოცენდება პირდაპირი სახელშეკრულებო ურთიერთობა. ვალდებულების შეუსრულებლობისათვის უშუალოდ (*per se*) კრედიტორის წინაშე პასუხისმგებელი ისევ თავდაპირველი მოვალე რჩება.

გერმანული სამართალი ცნობს დავალების ხელშეკრულებას, რომლის ძალით რწმუნებული სანაცვლო ანაზღაურების გარეშე (*without quid pro quo*) კისრულობს გარკვეული სამუშაოს შესრულებას მარწმუნებლის სახელით.<sup>1138</sup> რწმუნებული ვალდებულია, გადასცეს მარწმუნებელს ყველაფერი, რაც საქმისწარმოების პროცესში მიიღო და მოითხოვოს ყველა აუცილებელი და მიზნობრივი ხარჯის ანაზღაურება. დავალების ხელშეკრულებაში რწმუნებულს შეუძლია, გადაანდოს ვალდებულების შესრულება მესამე პირს, თუკი მას პირდაპირ მიეცა თანხმობა, ან ამის აუცილებლობა გამომ-

<sup>1136</sup> *Markesinis S. B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 364.*

<sup>1137</sup> ოქვე, 363.

<sup>1138</sup> იბ. გსკ-ის (German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005) §662.

დინარეობს შექმნილი ვითარებიდან.<sup>1139</sup> დავალების გადანდობა მესამე პირისათვის შეიძლება განხორციელდეს როგორც მარწმუნებლის, ისე რწმუნებულის სახელით. პირველ შემთხვევაში მესამე პირი უშუალოდ (*vis-à-vis*) პასუხისმგებელი ხდება მარწმუნებლის წინაშე ვალდებულების დარღვევისათვის, რადგან მათ შორის პირდაპირი სახელშეკრულებო ურთიერთობა მყარდება; ხოლო მარწმუნებელსა და მესამე პირს შორის ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში, მარწმუნებელი უფლებამოსილია, მხოლოდ რწმუნებულის სახელით მოითხოვოს ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურება. რწმუნებული პასუხისმგებელია იმ ბრალისათვის, რაც მას მიუძღვის დავალების გადანდობისას მესამე პირის შერჩევაში (*culpa in eligendo*).<sup>1140</sup>

სსკ-ის 711-ე II მუხლის თანახმად, დავალების მესამე პირისათვის გადანდობისას რწმუნებული პასუხს აგებს მხოლოდ იმ ბრალისათვის, რომელიც მიუძღვის მას აღნიშნული პირის შერჩევაში. ასევე შემნახველი პასუხს აგებს შენახვის ადგილის ან მესამე პირის შერჩევაში, რომელსაც გადასცემს ხელშეკრულების საგანს,<sup>1141</sup> ასევე, ქვენარდობის ხელშეკრულებაში შემკვეთის წინაშე პასუხისმგებელია გენერალური მენარდე და არა სუბმენარდე. სსკ-ის 718-ე მუხლის თანახმად, მარწმუნებელს ეკისრება პასუხისმგებლობა რწმუნებულის მიერ დავალების განხორციელების დროს წარმოშობილი ზიანისათვის.

მოვალეს რეგრესული მოთხოვნის წარდგენის უფლება აქვს ფაქტობრივი შემსრულებლის მიმართ. წარმომადგენლობით ურთიერთობაში უფლება-მოვალეობები წარმოეშობა წარმოდგენილ პირს, რომლის სახელითაც იდება გარიგება. შესაბამისად, ურთიერთობის სუბიექტებად განიხილებიან მესამე პირი და წარმოდგენილი სუბიექტი.

#### **4. მესამე პირთა სტატუსი და პასუხისმგებლობისგან „ორმაგი განთავისუფლების“ წესი**

მესამე პირის ჩართულობით დამყარებულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მნიშვნელოვანია განისაზღვროს, შეუძლია თუ არა მხარეს განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან მესამე პირის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

განსხვავებით უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპებისა და ევროპული პრინციპებისაგან, ვენის კონვენცია მესამე პირის სტატუსის გამორჩეულ მოწესრიგებას ითვალისწინებს.<sup>1142</sup> კერძოდ, ვენის კონვენციის 79-ე

<sup>1139</sup> ი. გსკ-ის (German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005) §664.

<sup>1140</sup> ი. მარკესინის S.B., უნბერათ H., ჯონსტონ A., The German Law of Contract – A Comparative Treatise, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oregon, Oxford and Portland, 363.

<sup>1141</sup> ი. სსკ-ის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გამოცემა, „უწყებანი“, საკანონმდებლო დამატება, №31, 1997) 766-ე II მუხლი.

<sup>1142</sup> აღნიშნული პრობლემა კონვენციის შემუშავების პროცესში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სადაც საკითხად იქნა წარმოდგენილი. ი. შლეჩტრიმ P., Uniform Sales Law, The UN Conven-

მუხლის ფორმირების ისტორია ცხადყოფს, რომ მესამე პირებად განიმარტება მოვალის ორგანიზაციული სფეროსა და პასუხისმგებლობის სფეროს მიღმა არსებული დამოუკიდებელი სუბიექტები.<sup>1143</sup> შესაბამისად, კონვენციის მიზნებისათვის მესამე პირებად განიხილებიან ის სუბიექტები, რომლებიც მოვალის ორგანიზაციულ ფარგლებსა და პასუხისმგებლობის სფეროს გარეთ მოქმედებენ.<sup>1144</sup>

კონვენციის ნორმების ფორმირებისას მესამე პირები, სტატუსის მიხედვით, ორ ძირითად ჯგუფად დაიყო:

– პირველ ჯგუფში მოაწერებული მესამე პირები (ვენის კონვენციის 79-ე (1) მუხლი) მართალია, კრედიტორის წინაშე არ წარადგენენ ვალდებულების შესრულებას, მაგრამ ქმნიან მოვალის მიერ ვალდებულების განხორციელების წინაპირობებს (მაგალითად, ხედლი მასალის ან ნახევრადწარმოებული პროდუქციის მიმწოდებლები, დამხმარე აგენტები).

აღნიშნული წესი არ გამოიყენება, თუ მიმწოდებელი ბაზარზე დომინანტი, გაბატონებული მდგომარეობის მქონე სუბიექტია ან თუ მიმწოდებლის შერჩევაში მყიდველი იღებდა მონაწილეობას და გამყიდველს არავითარი ზემოქმედების შესაძლებლობა მიმწოდებელზე არ აქვს.<sup>1145</sup>

– მეორე ჯგუფის (ვენის კონვენციის 79-ე (2) მუხლი) სახით სახელდებიან ის სუბიექტები, რომლებიც ეკონომიკურად და ორგანიზაციულად დამოუკიდებლები არიან გამყიდველისაგან და მის მიერ ჩართულნი არიან ურთიერთობაში სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივი შესრულების მიზნით.<sup>1146</sup> მესამე პირში ასეთ შემთხვევაში იგულისხმება ისეთი სუბიექტი, რომელიც ეკონომიკურად დამოუკიდებელია გამყიდვე-

---

on on Contracts for the International Sale of Goods, Manzsche Verlagsund Universitätsbuchhandlung, Vienna, 1986, <[http://cisgw3.law.pace.edu/cisg/biblio/schlechtriem-79.html#b\\*](http://cisgw3.law.pace.edu/cisg/biblio/schlechtriem-79.html#b*)>, [25.10.2014].

<sup>1143</sup> Stoll H., Exemptions, in Commentary on U.N. Convention on the International Sale of Goods (CISG), Schlechtriem P. (ed.), Thomas G. (trans.), 2<sup>nd</sup> ed., 1998, para.35, 615, Flambouras D. P., The Doctrines of Impossibility of Performance and *clausula rebus sic stantibus* in the 1980 Vienna Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law: A Comparative Analysis, Pace Int'l L. Rev., Vol. 13, 2001, 274,

<<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/flambouras1.html>>, [08.08.2014].

<sup>1144</sup> Stoll H., Exemptions, in Commentary on U.N. Convention on the International Sale of Goods (CISG), Schlechtriem P. (ed.), Thomas G. (trans.), 2<sup>nd</sup> ed. 1998, მთითებულია: Flambouras D.P., The Doctrines of Impossibility of Performance and *Clausula Rebus Sic Stantibus* in the 1980 Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law - A Comparative Analysis, Pace Int'l L. Rev., Vol. 13, 2001, 274,

<<http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/pacnlwr13&collection=journals&page=261>>, [08.08.2014].

<sup>1145</sup> ი. ხ. Schlechtriem P., Uniform Sales Law, The UNConvention on Contracts for the International Sale of Goods, Manzsche Verlagsund Universitätsbuchhandlung, Wien, 1986,  
<<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/schlechtriem-79-e.html>>; Schlechtriem P., Uniform Sales Law, The UN Convention on Contracts for the International Sale of Goods, Manzsche Verlagsund Universitätsbuchhandlung, Vienna, 1986, <[http://cisgw3.law.pace.edu/cisg/biblio/schlechtriem-79.html#b\\*](http://cisgw3.law.pace.edu/cisg/biblio/schlechtriem-79.html#b*)>, [08.08.2014].

<sup>1146</sup> ი. ხ. Tallon D. in Commentary on the International Sales Law: The 1980 Vienna Sales Convention (edited by Bianca M., Bonell M.J., Milan, 1987, 545,  
<<http://cisgw3.law.pace.edu/cisg/biblio/tallon-bb79-e.html>>, [08.08.2014].

ლისაგან, ორგანიზაციულად არ ექვემდებარება გამყიდველს და, შესაბამისად, არ მოიაზრება მისი პასუხისმგებლობის სფეროში.<sup>1147</sup>

ვენის კონვენციის 79-ე (2) მუხლი განამტკიცებს „ორმაგი ფორსმაჟორის“ წესს, რომლის თანახმად, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია მესამე პირის მიერ, რომელიც მოვალის მიერ ჩართულ იქნა ვალდებულების სრულად ან მისი ნაწილის შესრულებაში, მოვალისა და მესამე პირის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება დაიშვება 79-ე (1) მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას. ამასთან, მოვალის განთავისუფლება პასუხისმგებლობისგან დაიშვება თუ იგი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი საფუძვლების არსებობას დაადასტურებს არა მხოლოდ საკუთარ თავთან, არამედ მესამე პირთან მიმართებითაც.<sup>1148</sup>

ამდენად, 79-ე (2) მუხლი მოითხოვს ქვეკონტრაქტის არსებობას, რომელიც, თავისი არსით, თავდაპირველ ხელშეკრულებას უკავშირდება, თუმცა ქვეკონტრაქტის მონაწილე მხარე ორგანულად დამოუკიდებელია მთავარი ხელშეკრულების მხარისაგან.<sup>1149</sup> იურიდიულ დოქტრინაში აღიარებულია, რომ მოვალის მიმწოდებლები (79-ე (1) მუხლი) არ უნდა იქნენ განხილული მესამე პირებად 79-ე (2) მუხლის შინაარსით, რადგან ისინი მხოლოდ წინაპირობებს ქმნიან ვალდებულების შესრულებისთვის ან დახმარებას უწევენ მოვალეს მისი მომზადების პროცესში, მაგრამ არ ასრულებენ ვალდებულებას სრული ან ნაწილობრივი მოცულობით.<sup>1150</sup> იგივე წესი მოქმედებს მოვალის დასაქმებულების მიმართ.<sup>1151</sup>

ამრიგად, 79-ე (2) მუხლი მხოლოდ ისეთ მესამე პირებზე ვრცელდება, რომლებიც პირდაპირ, უშავალოდ ასრულებენ ვალდებულებას ან მის გარკვეულ ნაწილს. მაგალითად, ენერგიის მიმწოდებლის მიერ ვალდებულების

<sup>1147</sup> ob. Tallon D., in *Commentary on the International Sales Law: The 1980 Vienna Sales Convention* (ed. by M. Bianca and M.J. Bonell, Milan, 1987, 545, <<http://cisgw3.law.pace.edu/cisg/biblio/tallon-bb79-e.html>>, [08.08.2014]).

<sup>1148</sup> Gabriel H.D., *Contract for the Sale of Goods, A Comparison of Domestic and International Law*, Oceana Publications, Inc, Dobbs, Ferry, New York, 2004, 219; Flambouras D.P., *The Doctrines of Impossibility of Performance and Clausula Rebus SIC Stantibus in the 1980 Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law - A Comparative Analysis*, Pace Int'l L. Rev., Vol. 13, 2001, 273, <<http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/pacnlwr13&collection=journals&page=261>>, [08.08.2014].

<sup>1149</sup> Pizer L.K., Smith M.R. (eds in Chief), Southerington T., *Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 2002-2003*, Kluwer Law International, The Hague, London, New York, 2004, 288.

<sup>1150</sup> Liu Ch., Newman M.S. (ed.), *Remedies in International Sales, Perspectives from SISG, UNIDROIT Principles and PECL*, JurisNet, LLC, Huntington, New York, 2007, 688.

<sup>1151</sup> ob. Switzerland 29 October 2003, Tribunale D'appello [Appellate Court], Lugano, Cantone, del Dicino, მთითებულია: Liu Ch., Newman M.S. (ed., Remedies in International Sales, Perspectives from SISG, UNIDROIT Principles and PECL, JurisNet, LLC, Huntington, New York, 2007, 689; Flambouras D. P., *The Doctrines of Impossibility of Performance and Clausula Rebus Sic Stantibus in the 1980 Vienna Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law: A Comparative Analysis*, Pace Int'l L. Rev., Vol. 13, 2001, 274, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/flambouras1.html>>, [08.08.2014]).

შესრულება მთავარი ხელშეკრულების შესრულების წინაპირობაა, მაგრამ არა მისი ნაწილი.

„ორმაგი განთავისუფლების“ ტესტის<sup>1152</sup> გამოყენების საკითხი წყდება მხარისა და მესამე პირის მიმართ 79-ე (1) მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობის შეფასების საფუძველზე. აღნიშნული წესი იმოქმედებს მაშინაც, როდესაც გამყიდველს არ ევალებოდა მისი მიმწოდებლების შერჩევა ან კონტროლი, ასევე საქონლის მოძიება შეუძლებელი იყო სხვა წყაროს გამოყენებით.<sup>1153</sup> ამასთან, პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის უნდა დასტურდებოდეს განუყოფელი კავშირი ქვეკონტრაქტსა და ძირითად ხელშეკრულებას შორის; გამყიდველის მიერ მესამე მხარე ჩართული უნდა იყოს ურთიერთობაში სახელშეკრულებო ვალდებულების გარკვეული ნაწილის შესასრულებლად და მას გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ კონკრეტული ქმედების განხორციელება პირდაპირ დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.<sup>1154</sup>

შრომის ორგანიზაციის პირობებით მოტივირებული გაფიცვა ან ლოკაუტი, ჩვეულებრივ, მოვალის ბიზნესის სფეროს ექვემდებარება<sup>1155</sup> დამსაქმებლის დაწესებულებაში მომუშავე პერსონალის მსგავსად.<sup>1156</sup> ზოგადად, საკუთარ ორგანიზაციულ არეალში მოქცეული პერსონალისათვის პასუხისმგებლობა მოვალის რისკის სფეროში მოიაზრება.<sup>1157</sup> პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად მოვალე ვერ დაასახელებს იმ ფაქტს, რომ პერსონალის შერჩევა სათანადო წინდახედულებით განხორციელდა, ან რომ დასაქმებულები მისი მითითებების საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ.<sup>1158</sup> მოვალის პასუხისმგებლობა გამოირიცხება თუ მას არ ჰქონდა მესამე პირის თავისუფალი შერჩევის შესაძლებლობა ბაზარზე ამ უკანასკნელის დომინირებული მდგომარეობის არსებობის გამო.<sup>1159</sup>

პოლიტიკური შინაარსის გაფიცვები შესაძლებელია განხილულ იქნეს პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად, თუ ხელშეკრულების ფორმირების ეტაპზე აღნიშნული დაბრკოლების გათვალისწინება ან შედეგების დაძლევა შეუძლებელი იყო გონივრული ზომების გამოყენებით, ასევე

<sup>1152</sup> *Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration*, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 187.

<sup>1153</sup> *Pizer L.K., Smith M.R. (eds in Chief), Southerington T., Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 2002-2003*, Kluwer Law International, The Hague, London, New York, 2004, 288.

<sup>1154</sup> იქვე.

<sup>1155</sup> *Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG)*, 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1073.

<sup>1156</sup> *Schwenzer I., Hachem P., Kee Ch., Global Sales and Contract Law*, Oxford University Press, New York, 2012, 660.

<sup>1157</sup> *Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG)*, 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1067, 1077.

<sup>1158</sup> ოუმცა, საკუთარი შრომითი პერსონალი არ განიხილება მესამე პირად, 79-ე (2) მუხლის მნიშვნელობით. *Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG)*, 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1072.

<sup>1159</sup> *Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG)*, 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1078.

თუ ობიექტურად ვერ განხორციელდებოდა სათანადო რეზერვის აკუმულირება.<sup>1160</sup>

საქონლის მიღების დაბრკოლება მომწოდებლის შრომით დავაში ჩაბმის გამო, მოვალის რისკის სფეროს განეკუთვნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოვალე კონკრეტულ მომწოდებელზე დამოკიდებულია სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ან ბაზარზე მოწოდების სხვა წყაროს არარსებობის გათვალისწინებით. იგივე წესი ვრცელდება გაფიცვების საფუძვლით საგზაო თუ საპარტო ტრანსპორტის მუშაობის შეფერხებაზე.

საფინანსო ორგანიზაციების მუშაკების გაფიცვის შემთხვევაში, მოვალემ გადახდა სხვა ბანკის მეშვეობით უნდა განახორციელოს.<sup>1161</sup> ფულადი ვალდებულების მოვალეც პასუხისმგებელია დათქმულ ანგარიშზე თანხის დროულ გადარიცხვაზე.<sup>1162</sup>

ეგროპულ პრინციპებში მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების პროცესში წარმოშობილი დაბრკოლება, რომელიც აკმაყოფილებს შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის<sup>1163</sup> წინაპირობებს, არის თავდაპირველი მოვალის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი.<sup>1164</sup>

უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები და ეგროპული პრინციპები მესამე პირებთან დაკავშირებული საკითხის განსხვავებულ მოწესრიგებას ითვალისწინებს და არ ადგენს პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისთვის „ორმაგი ფორსმაჟორის“ წესს. ამასთან, ეს სამართლებრივი ინსტრუმენტები მესამე პირების ცნებაში აერთიანებს, როგორც დასაქმებულებს და აგენტებს (პირები, რომლებიც ვენის კონვენციის მიხედვით ერთიანდებიან პირველ ჯგუფში), ასევე, დამოუკიდებელ ქვეკონტრაქტორებს (პირები, რომლებიც ვენის კონვენციის მიხედვით, ერთიანდებიან მეორე ჯგუფში).<sup>1165</sup>

<sup>1160</sup> Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1073.

<sup>1161</sup> იქვე.

<sup>1162</sup> იქვე, 1074.

<sup>1163</sup> იბ. ეგროპული პრინციპების 8:108-გ I მუხლი.

<sup>1164</sup> Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 78.

<sup>1165</sup> იბ.: The UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on the International Sale of Goods, 2004; Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, Part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 378.

## X. დასკვნა

სახელშეკრულებო კომერციული ურთიერთობების რეგულირების მოქმილი სამართლებრივი მექანიზმები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას, აყალიბებს სიმდიდრისა და ძალაუფლების განაწილების მოქმილ სისტემას, ამასთან, იგი სამართლის სუბიექტთა ინტერესების განხორციელებისა და საზოგადოების მდგრადი ეკონომიკური განვითარების წინაპირობაა.

შეცვლილი გარემოებების გავლენით გართულებული სახელშეკრულებო ვალდებულების არსებობისას, საბაზო ურთიერთობების მართვის ეფექტური საკანონმდებლო მექანიზმებით შესაძლებელია მიღწეულ იქნეს კონტრაპენტთა ინტერესების სამართლიანი გადანაწილება და სახელშეკრულებო წონასწორობის შენარჩუნება.

ხელშეკრულების უზენაესობის ფუძემდებლური დანაწესი – *Pacta Sunt Servanda* – სამოქალაქო სამართლის ზოგად, ტრანსნაციონალურ პრინციპად არის აღიარებული. კერძოსამართლებრივი პრინციპების აღსრულება სიკეთეთა სამართლიანი განაწილებისა და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა ინტერესების, ურთიერთსახაცვლო უფლება-მოვალეობების აღსრულების მიზანს ემსახურება. შეცვლილი გარემოებების არსებობისას, როდესაც ხელშეკრულების დაურღვევლობის პრინციპის დაცვა სახელშეკრულებო თანასწორობისა და კეთილსინდისიერების ხელყოფას განაპირობებს, წინა პლანზე ინაცვლებს სახელშეკრულებო სამართლიანობისა და ინტერესთა ბალანსის ადგგენის ამოცანა, რომელიც სამოქალაქო სამართლის დაცვითი ფუნქციით არის არსობრივად განსაზღვრული. შესაბამისად, სახელშეკრულებო ბოჭვის საკითხი გადასინჯვასა და პასუხისმგებლობის გამომრიცხველი საფუძვლების არსებობის ანალიზს ექვემდებარება.

შეცვლილი გარემოებებით განპირობებული შესრულების გართულებისა და ფორსმაჟორის საბაზისო კონცეფციები მნიშვნელოვნად უახლოვდებიან ერთმანეთს დამაფუძნებელი სამართლებრივი წინაპირობებით (მასასიათებლებით), მაგრამ განსხვავდებიან თანამდევი სამართლებრივი შედეგებით.

ობიექტურად განხორციელებადი ვალდებულების შესრულების უკიდურესი გართულებისას შეცვლილი გარემოებებისადმი თავდაპირველი შეთანხმების მისადაგების სამართლებრივი მექანიზმი განიხილება ხელშეკრულების გადარჩენისა და, იმავდროულად, მხარეთა ინტერესების სამართლებრივი დაცვის საშუალებად. ფორსმაჟორი კი ვალდებულების აბსოლუტური შეუძლებლობის ან შესრულების დამძიმების ის ხარისხია, როდესაც შესრულების ვალდებულებისგან და პასუხისმგებლობისგან მხარეთა განთავისუფლება სახელშეკრულებო სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის უზუნველყოფის ერთადერთ ინსტრუმენტად სახელდება.

შესრულების გართულებისა და შეუძლებლობის მჭიდროდ დაკავშირებული კონცეფციების ურთიერთდამოკიდებულების დადგენა, მით უფრო, რომ ფორსმაჟორის ცნება მხოლოდ აბსოლუტური შეუძლებლობის შემთხვევებით არ შემოიფარგლება, უმნიშვნელოვანესია პასუხისმგებლობის საზღ

ვრების დადგენის თვალსაზრისით. სახელშეკრულებო სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვის შესაძლებლობა ის დემარკაციული ხაზია, რომელიც შესრულების გართულებისა და შეუძლებლობის საზღვრებს მიჯნავს – ერთი მხრივ, ხელშეკრულების ადაპტაციის და, მეორე მხრივ, შესრულების ვალდებულებისაგან სრული განთავისუფლების სახით. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების უზენაესობისა და სახელშეკრულებო თანასწორობის პრინციპთა შორის უპირატესობის საკითხი დგება. აღნიშნული პრობლემის ანალიზი სამართლიანობის უნივერსალური პრინციპის უზრუნველყოფისთვის ხელშეკრულების დაურღვევლობის პრინციპის კანონიერი და თანაზომიერი შეზღუდვის საკითხის კვლევას გულისხმობს. უნიფიცირებული, ანგლოამერიკული და კონტინენტური ცივილისტური მეცნიერების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ სამართლის პრინციპების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სამართლის სუბიექტთა ინტერესების განხორციელებისა და სამართლიანობის პრინციპთა უზრუნველყოფისათვის.

სამართლის მზარდი უნიფიკაციის პროცესის კვალდაკვალ უმნიშვნელოვანესია შიდასახელმწიფოებრივი სამართლის საერთაშორისო სამართლებრივი სისტემების ფუნდამენტურ სტანდარტებთან ჰარმონიზაცია. სრულყოფა ნაციონალური კანონმდებლობისა, რომელიც უნიფიკაციის პროცესის ინტეგრაციული ნაწილია, გულისხმობს ეროვნული სამართლის ინსტიტუტების მეცნიერული კვლევით დასაბუთებულ დაახლოებას და მისი შესაბამისობის უზრუნველყოფას წამყვანი, დემოკრატიულ დირექტულებებზე ორიენტირებული სამართლებრივი სისტემების სტანდარტებთან. რამეთუ სამართლიც კვეთს სახელმწიფოებრივ საზღვრებს, მეცნიერული კვლევაც გლობალურ მიმართულებაზეა ორიენტირებული, რომელიც შესრულების გართულებისა და ფორსმაჟორის ინსტიტუტების შესწავლას გულისხმობს სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში დამკვიდრებული ანალოგი ინსტიტუტების ურთიერთკავშირში განხილვის გზით.

მართლწესრიგთა უმრავლესობა შეცვლილი გარემოებების პირობების არსებობისას სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპთა დაცვისკენ სტილურად განსხვავებული სამართლებრივი მექანიზმებით მიისწრავის. უნიფიკაციის პროცესში და ინტერნაციონალიზაციაშ აღნიშნული განსხვავებულობა მნიშვნელოვნად შეამცირა, წინააღმდეგობები აღმოფხვრა და სამართლებრივი დაცვის ინსტრუმენტები ერთმანეთთან დააახლოვა.

ანგლოამერიკულ სამართლში მოქმედი მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპის საფუძველზე ყველა პირობას გარანტიის ძალა ენიჭებოდა. ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობის ზედმიწევნითი სიზუსტით შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევას აფუძნებდა შესაბამისი პასუხისმგებლობით. ეტაპობრივად განხორციელდა მკაცრი პასუხისმგებლობის კომბინირება ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპთან და ამ გზით ანგლოამერიკული სამართლი დაუახლოვდა კონტინენტური სამართლის იურიდიული აზროვნების სისტემას. ანგლოამერიკულმა მსოფლმხედველობამ გვერდი ვერ აუარა შეცვლილი გარემოებების საკითხის მოწესრიგებას და ხელშეკრულების მიზნის ამაოებისა და კომერციული განუხორციელებლო-

ბის დოქტრინების საკანონმდებლო იმპლემენტაციით დააზუსტა და დააკონკრეტა შეთანხმების მბოჭავი ძალის მოქმედების ფარგლები.

ფუნდამენტური მსგავსების მიუხედავად, ქართული სამართლის არაერთი კონცეფცია მნიშვნელოვნად სცილდება გერმანიის სამოქალაქო სჯულდებით განმტკიცებულ ანალოგ ინსტიტუტებს და წინააღმდეგობრივი მოწესრიგებით გამოიხატება. კონტინენტური და ანგლოამერიკული სამართლის ფუძემდებლური კონცეფციების უნიფიცირება და ჰარმონიზაცია, მათი ეროვნული ბარიერებისაგან და წინააღმდეგობრივი რეგულირებისაგან განთავისუფლება და კომპრომისული მიდგომა სამართლის ფუნდამენტური კატეგორიების მიმართ, ემსახურება კომერციული ურთიერთობების სტაბილურობასა და საერთაშორისო სივრცის პროცესების პროგნოზირებას. აღნიშნულმა აუცილებლობამ „განაპირობა სახელშეკრულებო სამართლის სრული ტრანსფორმაცია.“<sup>1166</sup>

შესაბამისად ზემოაღნიშნულისა, ნებისმიერი სამართლებრივი სისტემის და, მათ შორის, ქართული სამოქალაქო სამართლის უმთავრესი ამოცანაა, პასუხისმგებლობის გამომრიცხველ საფუძველთა სისტემის ფორმირება და შესრულების დაბრკოლების ცნების მისადაგება ზოგად სახელშეკრულებო პრინციპებთან. რამეთუ შედარებითსამართლებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ მოწინავე სამართლებრივი კულტურის მქონე სამართლებრივი სისტემები სულ უფრო ესტრაფვიან პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველთა უნიფიცირებას.

ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპები უნიფიცირებული და განზოგადებული სამართლებრივი კონსტრუქციებია, რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა საყოველთაოდ, საერთაშორისო დონეზე აღიარებული პრინციპების მნიშვნელობით. ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპები შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ხარვეზული და ღია ნორმების, ასევე, ხელშეკრულების პირობების განმარტებისა და შევსების ქმედით მექანიზმად შეიძლება იქნეს განხილული.

ფორსმაჟორი და ვალდებულების შესრულების გართულება, როგორც შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების და ხელშეკრულების ადაპტაციის საფუძველი, საერთაშორისო კომერციულ და სავაჭრო სამართლში აღიარებულია სახელშეკრულებო სამართლის უზოგადეს პრინციპებად. აღნიშნული კონცეფციები აერთიანებს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემისთვის ნიშანდობლივ, მაგრამ განზოგადებულ და ნეიტრალურ სამართლებრივ მახასიათებლებს და საკუთარ ცნებაში მოიაზრებს აუცილებელი, ძირითადი წინაპირობების სისტემურ ერთობლიობას.

სსკ არ ითვალისწინებს შეცვლილ გარემოებებთან დაკავშირებული პრობლემატიკის რეგლამენტაციას შესრულების გართულების ან ფორსმაჟორის სახელწოდებით. ოუმცა, ქართული კანონმდებლობით განმტკიცებული კონცეფციები არსობრივად ვალდებულების შესრულების გართულებისა და

<sup>1166</sup> ჭანტურია ლ., ზოდე ბ., ნინოდე თ., შენგელია რ., ხელურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 1.

ფორსმაჟორის უზოგადეს სამართლებრივ პრინციპებს ეხმიანება. მიუხედავად აღნიშნულისა, შეცვლილი გარემოებების მარეგულირებელი ნორმები საკითხის ფრაგმენტული მოწესრიგებით ხასიათდება – შეცვლილი გარემოებებით გართულებული სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგების ანალიზი ქართულ სამართალში ავლენს არაერთ მნიშვნელოვან ხარვეზს როგორც სისტემური, ისე შინაარსობრივი ოვალსაზრისით:

სსკ-ის 398-ე I მუხლის თანახმად, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება განსაზღვრული სამართლებრივი წინაპირობების არსებობას უკავშირდება: (1) ხელშეკრულების საფუძვლად მიჩნეული გარემოებების (2) აშკარა (არსებითი) ცვლილების (3) აღმოცენება ხელშეკრულების დადების შემდგომ; (4) გარემოებათა წინასწარ გათვალისწინების შეუძლებლობა – არაგანჭვრებადობა, გაუთვალისწინებლობა; (5) გარემოებათა წინასწარ გათვალისწინების შემთხვევაში: (ა) მხარეთა მიერ ხელშეკრულების არდადება (ე.ი. ხახელშეკრულებო ინტერესის არარსებობა ხელშეკრულების დადების მიმართ) ან (ბ) მის განსხვავებულ შინაარსზე შეთანხმება; (6) შესრულების არაგონივრულობა (როდესაც მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა).

უნიფიცირებული სამართლის ინსტრუმენტები ვალდებულების შესრულების გართულების სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად ამოქმედებას, დამატებით სხვა სამართლებრივი წინაპირობების არსებობას უკავშირებენ:

უნიფიცირებული სამართლისა და უცხოური სამართლებრივი სისტემების რეგულირების გათვალისწინებით, ვალდებულების შესრულების გართულების ცალკე წინაპირობის სახით ანალიზს ექვემდებარება თავად დაბრკოლების ცნებისა და სიმძიმის ხარისხი. დაბრკოლების სამართლებრივი ბუნება გულისხმობს როგორც ფიზიკური, ისე ეკონომიკური შეუძლებლობის გამომწვევი გარემოების არსებობას, რომელიც ეკონომიკურად განუხორციელებლად აქცევს შესრულებას, იწვევს ურთიერთსანაცვლო ვალდებულებების მნიშვნელოვან დისხალანსა და სახელშეკრულებო წონასწორობის არსებით, ფუნდამენტურ ცვლილებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, უცხოური სამართლით ვალდებულების შესრულების გართულების გამოყენების აუცილებელ საფუძვლებად განსაზღვრულია სსკ-ის მიერ პირდაპირ არაფორმულირებული სხვა წინაპირობები: ვალდებულების შეუსრულებლობის რისკის გამორიცხვა მხარის პასუხისმგებლობის სფეროდან, შესაბამისად, დაბრკოლების არსებობა მოვალის კონტროლის სფეროს მიღმა, დაბრკოლების თავიდან აცილების – დაძლევის ან მისი შედეგების აღმოფხვრის – შემცირების შეუძლებლობა, მხარეთა არაბრალეულობა, შეცვლილი გარემოებების დადგომისთანავე, კონტრაკენტის მიმართ შეტყობინების ვალდებულების დაცვა, მიზეზობრივი კავშირი შეცვლილ გარემოებებსა და ვალდებულების შესრულების დაბრკოლებას შორის.

სსკ-ით ზემოაღნიშნული წინაპირობები პირდაპირ არ არის ფორმულირებული. შესრულების გართულების ცალკეული წინაპირობის არსებობის

დადასტურება გარკვეულწილად შესაძლებელია სსკ-ის 398-ე მუხლის ინტერპრეტაციის გზით განხორციელდეს. კერძოდ, თუ გარემოებათა ცვლილება მხარისათვის არ არის ხელშეკრულების დადების ეტაპზე სავარაუდო, სახეზე გაუთვალისწინებლობის წინაპირობა, რომელიც იმავდროულად გულისხმობს დაბრკოლების არაკონტროლირებად ხასიათს, მის გარდაუგალ ბუნებას. კერძოდ, თუ კონტრაქტი არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა გარემოებათა ცვლილება, შესაბამისად, იგი მოკლებული იყო ამ დაბრკოლების თავიდან აცილების, დაძლევის ან მისი უარყოფითი შედეგების აღმოფხვრის ობიექტურ შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული წინაპირობების არსებობა დაბრკოლებას მოვალის კონტროლის სფეროს მიღმა მოიაზრებს და, შესაბამისად, აფუმნებს დაბრკოლების მიმართ მოვალის არაბრალეულობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან, აუცილებელ წინაპირობას. არაბრალეულობის კრიტერიუმი კი, ბუნებრივია, გამორიცხავს პასუხისმგებლობას ვალდებულების შესრულების გართულებისა და შესრულების შეუძლებლობისათვის.

ამრიგად, ვალდებულების შესრულების უკიდურესი გართულებისა და შესრულების შეუძლებლობის კონცეფციების დეტალურ საკანონმდებლო მოწესრიგებას სსკ არ ახდენს. შესაბამისად, ამ ინსტიტუტების სამართლებრივი წინაპირობებისა და თანამდევი შედეგების ინტერპრეტაცია შესაძლებელია მხოლოდ უცხოური სამართლებრივი სისტემებით განსაზღვრული აღნიშნული კონცეფციების კლასიკური სამართლებრივი ბუნების მოშველიერია და სასამართლო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე.

განსახილებელი საკითხის არსებული მწირი რეგულირების ნაცვლად, დეტალურად უნდა მოწესრიგდეს შესრულების გართულებისა და შეუძლებლობის კონცეფციების სამართლებრივი მახასიათებლები და მათი გამოყენებისათვის აუცილებელი, ე.წ. დამაფუძნებელი წინაპირობები შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი საერთაშორისო სამართლებრივი სისტემების უნიფიცირებულ მიღვომებთან.

მნიშვნელოვანია, რომ სსკ-ის 398-ე I მუხლის მიერ ფორმულირებული სამართლებრივი წინაპირობების უმრავლესობა არა მხოლოდ შესრულების გართულების, არამედ შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის სამართლებრივ მახასიათებლებად შეიძლება იქნეს განხილული. შესრულების უკიდურესი დამძიმების ნიშანიც კი ფარდობითი შესრულების შეუძლებლობის წინაპირობად მიიჩნევა, რაც ართულებს შესრულების გართულებისა და შეუძლებლობის კონცეფციების გამიჯვნის შესაძლებლობას, რამეთუ არ ადგენს მათი გამიჯვნის კრიტერიუმს.

პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების სისტემის სრულყოფილი ფორმირებისათვის აუცილებელია ქართულ სამართალში დეტალურად ჩამოყალიბდეს ვალდებულების შესრულების გართულებისა და ფორსმაჟორის კლასიკური კონცეფციების დაფუძნების განზოგადებული სამართლებრივი წინაპირობები; მათვის ნიშანდობლივი ძირითადი სამართლებრივი მახასიათებლების დადგენით და სინთეზირებით აუცილებელია დაზუსტდეს აღნიშნული კონსტრუქციების მოქმედების ფარგლები, შესაბამისად, გაიმიჯნოს შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლებისა და ხელშეკრულების

ადაპტაციის საზღვრები. ადნიშნულის საფუძველზე შესაძლებელი გახდება შესრულების გართულებისა და ფორსმაჟორის ზოგად სახელშეკრულებო პრინციპებად, ტერმინოლოგიური და არსობრივი სახით, დამკვიდრება ქართულ სამართალში და მათი დაახლოება ეროვნული განსხვავებულობისაგან თავისუფალ უნიფიცირებულ სამართალთან.

შეცვლილ გარემოებათა პირობებში მხარეთა პასუხისმგებლობის განსაზღვრის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანებია სახელშეკრულებო რისკის ფარგლების დადგენა. ნაშრომში დაწვრილებით იქნა განხილული სახელშეკრულებო შეთანხმებით და მისი ნაგულისხმევი პირობების განმარტების საფუძველზე მხარის პასუხისმგებლობის საკითხი შეცვლილ გარემოებათა პირობებში, შესრულების შეუძლებლობისა და შემხვედრი ვალდებულების შეუსრულებლობის რისკთან დაკავშირებული პრობლემატიკა.

პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საკითხი მჯიდროდ უკავშირდება რისკის გადანაწილების პრობლემას, რამეთუ პასუხისმგებლობის შერაცხვა უნდა განხორციელდეს რისკის უმთავრესად მატარებელ მხარეზე. თუ ხელშეკრულების განმარტებით რისკის გადანაწილების კონკრეტული მიზანი არ იკვეთება, მაშინ მხარეთა პასუხისმგებლობას რისკის გადანაწილების ნორმატიული წესი და კანონით განსაზღვრული საფუძვლები განაპირობებს.

კონტრაკენტრაცია ავტონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დადგენისათვის უპირატესია მხარეთა მიერ რისკის ხელშეკრულებით შეთანხმებული გადანაწილება. თუმცა, ადნიშნული ავტონომიურობა საჭიროა გარკვეულ ფარგლებში მოქმედებდეს: დაუშვებელია სახელშეკრულებო დათქმებით პასუხისმგებლობის გადაკისრება არა კონკრეტული გარემოებისა და მისი განსაზღვრული შედეგების აღმოცენებისათვის, არამედ მოვალის ზოგადი პასუხისმგებლობის განმტკიცება ყოველგვარი შეცვლილი გარემოების გამოვლენის მიუხედავად. მსგავსი შეთანხმება მხარისათვის წინასწარ უცნობი და განუსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრების საფრთხეს ქმნის.

შეცვლილი გარემოებებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების მოცულობისა და მასშტაბურობის პროგნოზირების შეუძლებლობა სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთა ხელყოფის საშიშროებას ქმნის. ამიტომაც, რისკის გადანაწილება დასაშვებია მხოლოდ კონკრეტული გარემოების და მისი განსაზღვრული შედეგებისათვის. გარემოების ფართოდ განმარტება, მისი განზოგადება და ანალოგიით გამოყენება უსამართლოდ მძიმე შედეგების ხელშეწყობად და არა ავტონომიურობის პრინციპის რეალიზებად შესაძლებელია იქნეს განხილული.

მართალია, კეთილსინდისიერების პრინციპის ძალით, ასეთი ზოგადი შინაარსის დათქმა ბათილად გამოცხადდება სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, მაგრამ პასუხისმგებლობის კანონით განსაზღვრული წესი ამოქმედდება და ვერ აღსრულდება მხარეთა ნება, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობის ხელშეკრულებით დადგენილი წესისთვის უპირატესობის მინიჭებას.

შესაბამისად, არაკეთილსინდისიერი შეთანხმების ბათილობის თუნდაც მოქნილი სახელშეკრულებო პრინციპი არ შეიძლება იყოს საკმარისი სახელშეკრულებო ურთიერთობებში პასუხისმგებლობის განსხვავებული წესის განსაზღვრის შესახებ მხარეთა სახელშეკრულებო ნების რეალიზებისთვის.

ნაშრომში გამოკვლეულ იქნა საკითხი, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების კანონით დადგენილი წესის გამორიცხვის დასაშვებობის შესახებ. განხილულ იქნა, თუ რამდენად ამართლებს ნების ავტონომიის პრინციპი მხარეთა უფლებას, თავად განსაზღვრონ და გამორიცხონ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ნორმატიული წესი შეცვლილი გარემოებების აღმოცენების პირობებში.

აღნიშნულის პასუხად შესაძლებელია ითქვას, რომ არაკეთილსინდისიერი შეთანხმების ბათილობის თუნდაც მოქნილი უნივერსალური პრინციპი არ შეიძლება იყოს საკმარისი ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებში მხარეთა სახელშეკრულებო ნებით შეთანხმებული პასუხისმგებლობის წესის ამოქმედებისათვის.

ხსნებული მოსაზრების დასტურია ფაქტი, რომ უნიფიცირებული სამართლით დაუშვებლად ცხადდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით მათი ვალდებულების გამორიცხვა – სახელშეკრულებო მოლაპარაკებები აწარმოონ კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპთა შესაბამისად. ისტორიულად შეცვლილი გარემოებების ინსტიტუტის სამართლებრივ სივრცეში დამკვიდრება სახელშეკრულებო სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის პრინციპებით იყო მოტივირებული. შესაბამისად, მათი იმპერატიული მოქმედება ზემოხსენებული ფუნდამენტური პრინციპების დაცვისა და განხორციელების გარანტიებს ქმნის. სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპის შეზღუდვის ამკრძალავი იმპერატიული ნორმების საფუძველზე უნდა იქნეს აღიარებული დაუშვებლად შესრულების გართულების პირობებში გამოსაყენებელი სამართლებრივი დაცვის საშუალების – ხელშეკრულების ადაპტაციის მოთხოვნის უფლების – შეზღუდვა სახელშეკრულებო შეთანხმებით.

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ნორმების უგულებელყოფის უფლება ანიჭებს მხარეებს ყოველგვარი მოულოდნელი სახელშეკრულებო ცვლილებისათვის პასუხისმგებლობის ერთ-ერთ მხარეზე გადაკისრების შესაძლებლობას. აღნიშნული კი ვერ განხორციელდება, რამეთუ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის გადანაცვლება დასაშვებია არა ზოგადად ყოველგვარი გაუთვალისწინებლობისათვის, არამედ მხოლოდ კონკრეტული გარემოების ცვლილების, მისი განსაზღვრული მასშტაბისა და მოცულობის შედეგებისათვის. შესაბამისად, აუცილებელია შეცვლილი გარემოებების პრობლემატიკის მომწერიგებელი დებულებები სსკ-ში იმპერატიული ნორმების სახით განმტკიცდეს ან განიმარტოს.

სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ხელშეკრულების საგნის შემთხვევითი დაღუპვისა და განადგურების რისკის საკითხი. აღნიშნულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის სახედ ფუძნდება შესრულების არაბრალებული შეუძლებლობა, რომელიც მე-

ორადი მოთხოვნის სახით გამორიცხავს დამატებითი შესრულების მოთხოვნას და აღმოაცენებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. კრედიტორის მიმართ დამდგარი ზიანი კი არ დაექვემდებარება ანაზღაურებას, ვინაიდან არ იარსებებს აღნიშნული მოთხოვნის განხორციელების აუცილებელი წინაპირობები: მიზეზობრივი კავშირი მოვალის ქმედებასა და ზიანს შორის (შემთხვევითობამ განაპირობა ნივთის დაღუპვა) და მოვალის ბრალი ნივთის განადგურების მიმართ.

ამრიგად, შესრულების არაბრალეული შეუძლებლობისას მოვალის სასარგებლოდ გამოირიცხება როგორც შესრულების, ისე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. თანასწორობის პრინციპების თვალსაზრისით, გაუმართლებლად უნდა იქნეს მიჩნეული შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის რისკის სრული მოცულობით არაბრალეულ კრედიტორზე გადაკისრება.

სამართლიანობის პრინციპის თვალთახედვიდან გამართლებული იქნებოდა, შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის შედეგად წარმოშობილი ზიანი საკანონმდებლო დონეზე თანაბრად განაწილებულიყო კრედიტორზეც და მოვალეზეც, როგორც ხელშეკრულების ორ თანაბრად არაბრალეულ მხარეზე. ამით შესაძლებელი იქნებოდა გართულებული სამოქალაქო ბრუნვის პირობებში ხელშეკრულების მონაწილეების თანასწორუფლებიანობისა და ეკვივალენტობის პრინციპის უზრუნველყოფა.

გალდებულების შესრულების გართულების პირობებში ხელშეკრულების შეწყვეტასთან ან მის მკაცრ აღსრულებასთან შედარებით შეთანხმების პირობების ადაპტაცია შეცვლილი გარემოებებისადმი უპირველეს სამართლებრივი დაცვის საშუალებად უნდა იქნეს აღიარებული, რამეთუ იგი ემსახურება მხარეთა ეკონომიკური ინტერესებისა და სამომავლო ურთიერთობების შენარჩუნებას, როდესაც სახელშეკრულებო ბოჭვის პრინციპის აღსრულება მხარეთა გონივრულ სახელშეკრულებო ინტერესებს განუხორციელებელს ხდის და მისი დაცვა მხოლოდ ფორმალურ მოთხოვნად რჩება.

სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებებთან მიმართებით ხელშეკრულების ადაპტაციის პრიმატის გათვალისწინებით, განამტკიცებს კონტინეტური და უნიფიცირებული სამართლებრივი სისტემა შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მიზნით მხარეთა მოლაპარაკების სავალდებულობის დანაწესს.

ხელშეკრულების ადაპტაცია, როგორც სახელშეკრულებო ინტერესის რეალიზების მექანიზმი, მისი სამომავლო შესრულების უზრუნველყოფას ისახავს მიზნად და არა სასამართლოს ჩარევით ცალსახად ხელშეკრულების შეწყვეტას და უარყოფითი შედეგების მხარეებზე გადანაწილებას. ხელშეკრულების გადასინჯვა მეორადი მოთხოვნის უფლებების სამართლებრივ რეჟიმში ტრანსფორმაციის გარეშე, პირველადი სახელშეკრულებო ვალდებულების ადაპტირებული, შეცვლილი პირობებით შესრულებას გულისხმობს, რომელიც შესრულებაზე ორიენტირებული კონტინენტური სამართლის სისტემის ფუნდამენტური ღირებულებაა.

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების დოქტრინა ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე აღმოცენდა და მისი დამკვიდრება სამართლიანობის არ-

სით იყო მოტივირებული. კეთილსინდისიერების პრინციპს ორმაგი დაცვის ფუნქცია აქვს: ერთი მხრივ, ის აღჭურავს დაზარალებულ მხარეს ხელშეკრულების ადაპტაციის მოთხოვნით და, მეორე მხრივ, იცავს კრედიტორსაც: შეთანხმების მოდიფიცირების მოთხოვნა, ლეგიტიმური ეკონომიკური მიზეზისა და ინტერესის გარეშე, ჩაითვლება კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევად და არ შეიძლება ხელშეკრულების ადაპტაციის წინაპირობა გახდეს.

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების უფლება ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სასამართლოს მიერ, თუ მხარეთა მოლაპარაკება ადაპტაციის მიზნით უშედეგოდ დასრულდა. სახელშეკრულებო სამართლიანობისა და წონასწორობის აღდგენისათვის მხარეთა თავდაპირველი მიზანი უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპის ჭრილში.

მოლაპარაკების წარმოება ხელშეკრულების ადაპტაციის მიზნით, ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად აუცილებელ მხარეთა თანაქმედების, გულისხმიერების ვალდებულების გამოხატულებად უნდა განიმარტოს და მისი შეუსრულებლობა, როგორც ვალდებულების დარღვევის დამოუკიდებელი სახე, სამართლებრივი, დაცვის საშუალებების გამოყენების წინაპირობად უნდა იქნეს შეფასებული.

ვალდებულების შესრულების გართულება მოლაპარაკების წარმოების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს მხარეს, იგი კონტრაპენტების მიმართ აღმოაცენებს მოლაპარაკებაში ჩართვის ვალდებულებას შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მიზნით. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების მისადაგებას უნდა ახორციელებდეს დამოუკიდებელი მესამე პირი მოსამართლის ან არბიტრის სახით. მოლაპარაკების წარმოება მხარეთა კანონით განმტკიცებული ვალდებულება უნდა იყოს, რომლის დარღვევა აღმოაცენებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას ხელშეკრულების ადაპტაციის მოთხოვნით.

მოლაპარაკების წარმოების ვალდებულების საკანონმდებლო დონეზე განმტკიცებით, უზრუნველყოფილი იქნება მხარეთა სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნით. ამასთან, იგი მნიშვნელოვნად წაახალისებს დავების მშეიდობიანი გადაწყვეტის ფორმების გამოყენებას, რათა მხარეებმა გართულებული სახელშეკრულებო ვალდებულება ურთიერთობანამშრომლობით კვლავ აქციონ გარკვეული გონივრული სარგებლიანობის წყაროდ. ხელშეკრულების ადაპტაცია მხარეთა ან სასამართლოს ხელში იქცევა მხარეთა ლეგიტიმური სახელშეკრულებო მოლოდინებისა და ინტერესების აღსრულების ინსტრუმენტად.

სსკ არ განამტიცებს ხელშეკრულების ადაპტაციის მიზნით მოლაპარაკების სავალდებულოობის პრინციპს. სსკ-ის 398-ე I მუხლის ბოლო წინადადებისა და III ნაწილის განმარტების თანახმად, თუ მხარე არ მოითხოვს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებას, მოვალე განთავისუფლდება სახელშეკრულებო ბოჭვისგან და მიენიჭება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება. დაუშვებელია, არსებობდეს მოლაპარაკების წარმოების ვალდებულების უგულებელყოფის უფლება. შესაბამისად, საკანონ-

მდებლო დებულებას: შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს შეცვლილი გარემო-ებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება უნდა მიენიჭოს იმპერატიული მნი-შვნელობა და შესაძლებლობა უნდა განისაზღვროს ვალდებულების სახით. არსი სწორედ ისაა, რომ უპირველესად, სავალდებულო წესით უნდა გან-ხორციელდეს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მცდელობა მხარეთა მიერ და მხოლოდ აღნიშნულის უშედეგოდ დასრულების შემდგომ შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულების შეწყვეტა მისგან გასვლის უფლების გამოყენებით.

შესაბამისად, სსკ-ის 398-ე მუხლით განმტკიცებული ნორმა შესაძლე-ბელია დაზუსტდეს შემდეგი ფორმულირებით: თუ ის გარემოებები, რომლე-ბიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადე-ბის შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრუ-ლებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწი-ნებინათ, ასევე, თუ ცალკეულ გარემოებათა და სამართლიანობის პრინცი-პის გათვალისწინებით ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოვთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა, მაშინ აღმოცენდება შეც-ვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნა.

საკანონმდებლო ცვლილებას საჭიროებს ასევე, სსკ-ის 398-ე III მუხ-ლის შემდეგი ნორმა: თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკ-რულებაზე.

აღნიშნული საკანონმდებლო დებულება ეწინააღმდევება ხელშეკრუ-ლების შეწყვეტასთან შედარებით, მისი ადაპტაციის პრიმატისა და, შეც-ვლილ გარემოებებთან მისადაგების მიზნით, მოლაპარაკების სავალდებუ-ლობის პრინციპს. აღნიშნული ნორმა უგულებელყოფს სასამართლოს როლს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების პრო-ცესში, რამდენადაც ხელშეკრულებიდან დაუყოვნებლივი გასვლის უფლებას უკავშირებს ერთ-ერთი მხარის ნებას, მოლაპარაკების პროცესის გაუკლე-ლად და მოლაპარაკების შემდგომ ეტაპად სასამართლოსადმი ადაპტაციის მოთხოვნის უფლების წარდგენას არ განიხილავს. არა და, შეცვლილი გარე-მოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტი პრეცედენტული სამართლის პირმშოა, რომელიც სასამართლო წიაღში აღმოცენდა და შემ-დგომ პოვა საკანონმდებლო რეგლამენტაცია.

კრედიტორის უარი შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მი-სადაგებაზე არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, რამდენადაც მას უპი-რისპირდება სახელშეკრულებო წონასწორობისა და ეკონომიკური სარგებ-ლიანობის აღდგენის საკანონმდებლო მიზანი, ასევე, მოვალის პატივსადები ინტერესი – შეიმსუბუქოს შესრულების ტვირთი.

ხელშეკრულების ადაპტაციაზე უარი დასაშვებად შეიძლება იქნეს გან-ხილული მხოლოდ პატივსადები საფუძვლის არსებობისას, როდესაც ის ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულების ეკონომიკური ბალანსის აღდგენას. ამ შემ-თხევაშიც ხელშეკრულების ადაპტაციის შესაძლებლობაზე საბოლოო გა-დაწყვეტილების მიღება უნდა მიენდოს სასამართლოს და შეცვლილი

გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების შესაძლებლობისა და გონივრულობის შეფასება უნდა განისაზღვროს სასამართლოს ექსკლუზიურ უფლებამოსილებად. მოლაპარაკების გზით ხელშეკრულების მოდიფიცირების პირობებზე შეთანხმების მიუღწევლობის პირობებში, ხელშეკრულები-დან გასვლის უფლების რეალიზებამდე ხელშეკრულების ადაპტაციის მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვა, დამატებითი შესრულების მსგავსად, ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობად უნდა იქნეს დაწესებული.

ზემოხსენებული წესის სამართლიანობა კიდევ ერთხელ დასტურდება ეკონომიკური შეუძლებლობის არსებობისას: ამ შემთხვევაში ვალდებულება მართლია, მოვალისათვის უკიდურესად მძიმე შესასრულებლად, მაგრამ ეს სირთულე არ არის კრედიტორის შესრულების ინტერესთან მნიშვნელოვნად შეუსაბამო (არაპორტული). კრედიტორის შესრულების ინტერესსა და მოვალის შესრულების სირთულეს შორის შეუსაბამობა არ არსებობს – რამდენადაც რთულია ვალდებულების შესრულება მოვალისათვის, იმდენად მნიშვნელოვანია ამგვარი შესრულების მიღება კრედიტორისათვის. ამ პირობებში, ხელშეკრულების მისადაგება ყოველთვის მოვალის, როგორც დაზარალებული მხარის, ინტერესებს ეხმიანება, რომლისთვისაც თავდაპირველი პირობებით შესრულება მძიმე შედეგებს უკავშირდება. კრედიტორისათვის უმჯობესია ხელშეკრულების უცვლელი პირობებით შესრულება, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის მისთვის სახელშეკრულებო ინტერესს, ხელშეკრულების ფასსა და სარგებლიანობას. თუმცა, კრედიტორისათვის შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების შესაბამისობაში მოყვანა არ იქნება მძიმე ეკონომიკური შედეგის მომტანი, რამდენადაც მისადაგების დროს სახელშეკრულებო პირობების მოდიფიცირებისას სასამართლო მაქსიმალურად ხელმძღვანელობს კუთილსინდისიერებისა (მაგალითად, სსკ-ის მე-8 III, 361-ე II და 316-ე II მუხლები) და სამართლიანობის (მაგალითად, სსკ-ის 325-ე მუხლი) პრინციპებით.

მოლაპარაკების წარმოების ვალდებულების საკანონმდებლო რეგლამენტიასთან ერთად, ხელშეკრულების ადაპტაციისა და მისი შესრულების უზრუნველყოფის საშუალებად შესაძლებელია განხილულ იქნეს ასევე, სახელშეკრულებო დათქმები მოლაპარაკების წარმოების ვალდებულების შესახებ. აუცილებელია, რომ აღნიშვნული დათქმები ითვალისწინებდნენ მოლაპარაკების პროცესის წარმოების წინაპირობებს, პრინციპებს, დამაბრკოლებელი გარემოებების ზოგად დახასიათებას, რომლებიც აღმოაცენებს მოლაპარაკების ვალდებულებას, დავის განმხილველი ორგანოს უფლებამოსილებას ხელშეკრულების ადაპტაციაზე,<sup>1167</sup> მხარეთა ნების ავტონომიაში მისი ჩარევის ხარისხსა და ხელშეკრულების მოდიფიცირების ფარგლებს.

მოლაპარაკების ვალდებულების განმამტკიცებელი საკანონმდებლო დებულებით სახელშეკრულებო მოლაპარაკების წარმოების ვალდებულების შესრულება უნდა განისაზღვროს მხარისათვის კანონმდებლობით დადგენილი მეორადი მოთხოვნის უფლებების გამოყენების წინაპირობად და აღნიშ-

<sup>1167</sup> Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 73.

ნული ვალდებულების დარღვევა ან არაკეთილსინდისიერი შესრულება უნდა ართმევდეს მხარეს სამართლებრივი დაცვის საშუალებებისადმი მიმართვის უფლებას და ქმნიდეს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საფუძველს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურების განმტკიცება სსკ-ით მხარეთა მიერ მოლაპარაკების კეთილსინდისიერად წარმოების გარანტიას შექმნის.

ხელშეკრულების მისადაგების პირობების შესახებ მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სასამართლო იღებს რამდენიმე შესაძლო გადაწყვეტილებას: 1. აკისრებს მხარეებს მოლაპარაკების გაგრძელების ვალდებულებას შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მიზნით; 2. წყვეტს ხელშეკრულებას განსაზღვრულ დროსა და განსაზღვრული პირობებით; 3. ახორციელებს შეცვლილი გარემოებებისადმი შეთანხმების მისადაგებას სახელშეკრულებო ზიანისა და სარგებლის მხარეებზე სამართლიანი გადანაწილების გზით; 4. უცვლელად ტოვებს სახელშეკრულებო პირობებს თავდაპირველად შეთანხმებული შინაარსით.

ხელშეკრულების ადაპტაციის ფუნქციის რეალიზება არ გულისხმობს მხარეთა ნების ავტონომიის შეზღუდვას, არამედ მხარეთა იმ ნებისა და მიზნის განმარტების გზით დადგენის საშუალებაა, რომელიც მათ შესაძლებელია ჰქონოდათ შეცვლილი გარემოებების ხელშეკრულების დადების ეტაპზე ცოდნის პირობებში. ამასთან, აღნიშნული ინსტრუმენტი სასამართლოს ხელში მხარეთა მძიმე ეკონომიკური შედეგებისაგან განთავისუფლებისა და სახელშეკრულებო სამართლიანობის მიღწევის მექანიზმად იქცევა.

მოდიფიცირებული ხელშეკრულება შეცვლილი გარემოებების პირობებშიც მხარეთა ინტერესების ამსახველი და სარგებლიანობის მომტანი უნდა იყოს. სამართლიანობის, გონივრულობის, კეთილსინდისიერების, ინტერესთა თანაზომიერებისა და ეკონომიკური სარგებლიანობის პრინციპები ხელშეკრულების ადაპტაციის უმთავრეს საფუძვლებად უნდა იქნეს განხილული.

მნიშვნელოვანია, რომ სახელშეკრულებო პირობების მოდიფიცირება და არაეკვივალენტური ურთიერთსანაცვლო შესრულების დაბალანსება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების თავდაპირველი არსის დაურღვევლად, მისი უმთავრესი სამართლებრივი კონსტიტუციის გარდაქმნის გარეშე.

ხელშეკრულების შეწყვეტა სასამართლოს მიერ უკიდურეს შემთხვევაში გამოსაყენებელი სამართლებრივი ინსტრუმენტია, რომელიც ამოქმედდება მხოლოდ იმ ეტაპზე, როდესაც ხელშეკრულების ადაპტაცია ვერ უზრუნველყოფს მხარეთა საუკეთესო ინტერესების რეალიზებას და ამასთან, შეწყვეტაზიანს არ აყენებს საჯარო ინტერესებს.

სასამართლოსადმი ხელშეკრულების ადაპტაციის მოთხოვნით მიმართვის უპირატესობა იმითაც ვლინდება, რომ თუ იგი გაუმართლებლად მიიჩნევს ხელშეკრულების მოდიფიცირებას, ხელშეკრულების შეწყვეტასაც კი განსხვავებული სამართლებრივი შედეგებით განახორციელებს, ვიდრე ეს მხარეთა მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი. კერძოდ, სასამართლო ადგურვილია უფლებამოსილებით გონივრულად და სამართლიანად გადაანაწილოს ვალდებულების შესრულების გარ-

თულების უარყოფითი შედეგები მხარეებზე სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის მაქსიმალური უზრუნველყოფით. აღნიშნული სამართლიანობის მიღწევა მოხდება მაშინ, როდესაც გაიზრდება კეთილსინდისიერების ყოვლისმომცველი ნორმატიული პრინციპის, როგორც ქმედითი, სამართლებრივი შედეგების მაკორექტირებელი მექანიზმის, გამოყენების მასშტაბი სამართლის შეფარდების პროცესში.

ვალდებულების შეუსრულებლობა სამოქალაქო ბრუნვის თანამდევი მოვლენაა. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ან მისი თავდაპირველი პირობებით აღსრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, პირველადი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის საფუძველზე ურთიერთობა ტრანსფორმირდება მეორადი მოთხოვნის უფლებების სამართლებრივ რეჟიმში, რომლის ფარგლებშიც კანონმდებლობით განმტკიცებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების – მეორადი მოთხოვნის უფლებების რეალიზებით ხორციელდება დარღვეული სახელშეკრულებო ინტერესის კომპენსირება.

ქართულ სამართლებრივ სივრცეში არ არსებობს ვალდებულების დარღვევის ერთიანი კონცეფცია. სსკ არ ითვალისწინებს დარღვევის ცალკეული სახის სრულყოფილ საკანონმდებლო მოწესრიგებას. მაგალითად, ნაკლიანი შესრულების, როგორც ერთ-ერთი სახის ვალდებულების დარღვევის და მასთან დაკავშირებული მეორადი მოთხოვნის უფლებების მარეგულირებელი დანაწესები ცალკეული ტიპის ხელშეკრულებების (ნასყიდობა, ნარდობა, ქირავნობა და ა.შ.) მომწესრიგებელ ნორმებშია გაბნეული და არ არის ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის კუთვნილება. მოვალის მიერ ვადის გადაცილებაა ცალკე რეგლამენტაციის საგანი, ხოლო მისთვის განკუთვნილ თავში შესრულების შეუძლებლობას ერთადერთი მუხლი აქვს დათმობილი, ისიც როგორც ვადის გადაცილების გამომრიცხავ გარემოებას. და ბოლოს, გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის, როგორც შეუსრულებლობის ერთ-ერთი დამოუკიდებელი სახის, არსებობა ქართულ სამოქალაქო სამართალში პირდაპირ არ იკვეთება, არამედ სსკ-ის ნორმების ინტერპრეტაციით დგინდება.<sup>1168</sup>

შესრულების შეუძლებლობის, როგორც ვალდებულების დამოუკიდებელი სახის დარღვევის, მოწესრიგების თვალსაზრისით სსკ-ში მნიშვნელოვანი ვაკუუმია. კერძოდ, იგი ვადის გადაცილების მუხლშია წარმოდგენილი და მას საფუძვლიანი სამართლებრივი რეგულირება არ ეთმობა. თვით სსკ-ის 401-ე მუხლის სახელწოდებაც (ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა) ვადის გადაცილების მარეგულირებელი ნორმის შინაარსთან მნიშვნელოვნად შეუსაბამოა. ამასთან, აღნიშნული საკანონმდებლო დებულებით შესრულების შეუძლებლობის მხოლოდ ერთ-ერთი სახე – არაბრალეული შეუძლებლობაა მოწესრიგებული, რომელიც არ არის ამ სამართლებრივი კონცეფციის ერთადერთი შემთხვევა, რადგან კონტინენტური სისტემის ქვეყნებში არსებობს მოვალის ან კრედიტორის ბრალით განპირობებული შესრულების შეუძლებლობის სახეც.

<sup>1168</sup> სსკ-ის 405-ე III „ბ“ და 316-ე II მუხლები.

საწყისი შეუძლებლობის ცნებას ეხმიანება მართლსაწინააღმდეგო ან-/და ამორალური პირობის ბათილობის მომწესრიგებელი 91-ე მუხლი სსკ-ში. ხოლო შესრულების შეუძლებლობისას მეორადი მოთხოვნის უფლებებზე ხელ-მისაწვდომობის, მხარეთა შესაბამისი პასუხისმგებლობის, კრედიტორისა თუ მოვალის ბრალეული ქმედებით გამოწვეული, დროებითი და მუდმივი, ობიექ-ტური თუ სუბიექტური, აბსოლუტური თუ ფარდობითი შესრულების შეუძლებ-ლობის საკითხები საკანონმდებლო დონეზე არ არის განსაზღვრული.

შესრულების შეუძლებლობის ზემოაღნიშნული სახეების არსებობისათ-ვის ყოველთვის არ შეიძლება საფუძვლად სსკ-ის 401-ე მუხლი იქნეს გამოყე-ნებული.

სსკ ვალდებულების დარღვევის სახედ არ განამტკიცებს შესრულე-ბის არაბრალეულ შეუძლებლობას, ვინაიდან მისი არსებობისას ხელშეკრუ-ლების მოშლის მოწესრიგებას დამოუკიდებელი მუხლი ეთმობა, ხოლო ვალდებულების დარღვევისას ხელშეკრულების მოშლის შემთხვევა ცალკე – სსკ-ის 399-ე II მუხლით არის განსაზღვრული. ამრიგად, შესრულების შე-უძლებლობა, როგორც ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთი დამოუკიდებე-ლი ტიპი, სწორედ 399-ე II მუხლის მოქმედების სფეროს უნდა დაექვემდება-როს.

მართალია, შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის არსებობი-სას სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტისათვის გამოიყენება სსკ-ის 399-ე I მუხლი, თუმცა სამსჯელოა, შესრულების არაბრალეული შეუძლებ-ლობის, რომელიც ვალდებულების დარღვევად არ არის კოდექსში პირდა-პირ განმტკიცებული, და მეორადი მოთხოვნის უფლებების ურთიერთმიმარ-თება, რომლებიც მხოლოდ ვალდებულების დარღვევის საფუძველზე აღმო-ცენდება.

სსკ არ ითვალისწინებს შესრულების შეუძლებლობის საფუძვლით ხელშეკრულებიდან გასვლის მომწესრიგებელ ნორმას. კოდექსი შესრულე-ბის შეუძლებლობას მხოლოდ გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერ-თობის შეწყვეტის (მოშლის) საფუძვლად განიხილავს. ყველა სხვა ვალდე-ბულებითსამართლებრივ ურთიერთობაში, რომელიც მრავალჯერადად განსა-ხორციელებელ შესრულებას არ ითვალისწინებს, შესრულების შეუძლებ-ლობისას ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხი რეგულირების მიღმა რჩება. ამასთან, ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი, თავისი სამართლებრივი არსით, მნიშვნელოვნად განსხვავდება ხელშეკრულებიდან გასვლის კონცეფ-ციისგან, რომლისთვისაც არსებითი მახასიათებელი სწორედ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა-რესტიტუციაა, რაც გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის პირობებში მოშლის მექანიზმის გამოყენე-ბით ვერ განსორციელდება.

ამდენად, გრძელვადიანი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრუ-ლების არაბრალეული შეუძლებლობისას ხელშეკრულების მოშლის საკითხ-თან ერთად, აუცილებელია მოწესრიგებას დაექვემდებაროს ასევე, ბრალეუ-ლი შესრულების შეუძლებლობისას ხელშეკრულების სამართლებრივი ბე-დის, მხარეთა უფლება-მოვალეობებისა და ვალდებულების დარღვევის თა-ნამდევი პასუხისმგებლობის პრობლემა.

შესრულების შეუძლებლობის ვალდებულების დარღვევის სახედ განმტკიცებით განსაზღვრული იქნება მეორადი მოთხოვნის უფლებებისადმი ხელმისაწვდომობის საფუძველი. მოვალის პასუხისმგებლობის ფარგლების დადგენის თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია შესრულების შეუძლებლობის სახეების დაწვრილებითი საკანონმდებლო მოწესრიგება.

შესრულების შეუძლებლობის ცნების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა კიდევ უფრო ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის განვითარებას და ვალდებულების დარღვევის მომწესრიგებელი ნორმების უნიფიცირებულ ინტერპრეტაციას.

სსკ-ში უნდა დამკვიდრდეს ვალდებულების დარღვევის უნიფიცირებული კონცეფცია, რომელიც გააერთიანებს ვალდებულების შეუსრულებლობის ყველა სახეს ვალდებულების დარღვევათა ერთიან სისტემაში და მოიცავს ყველა არსებით და ფუნდამენტურ გადახვევას ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების შინაარსიდან.

დარღვევის უნიფიცირებული ცნების საკანონმდებლო განმტკიცება გულისხმობს ვალდებულების შეუსრულებლობის, როგორც ობიექტური ფაქტის, ვალდებულების დარღვევად აღიარებას. სამართლებრივი განსაზღვრულობისათვის მნიშვნელოვანია, სსკ-მა დეტალურად მოაწესრიგოს შეუსრულებლობის სახეები, მათი სამართლებრივი წინაპირობები და თანამდევ მეორადი მოთხოვნის უფლებათა სისტემა.

ვალდებულების დარღვევის სისტემის ხარვეზული მოწესრიგების სრულყოფის აუცილებლობა ნათლად წარმოჩინდება კონტინენტური და უნიფიცირებული სამართლის მოდერნიზებული ინსტიტუტების კვლევის საფუძვლზე.

შეცვლილი გარემოებების დოქტრინა, როგორც პასუხისმგებლობის-გან განთავისუფლების საფუძველი, მხარის კონტროლისა და რისკის სფეროს მიღმა, მოვალის ბრალისაგან დამოუკიდებლად აღმოცენებული მოვლენების არსებობას გულისხმობს, რამეთუ არ არსებობს მოვალის მხრიდან შეცვლილი გარემოებების გათვალისწინების, მათი აღპვეთის, უარყოფითი შედეგების აღმოფხვრის ან შემცირების ობიექტური შესაძლებლობა. შესაბამისად, ბრალეული ქმედებით განაპირობებული ვადის გადაცილების პირობებში არ არსებობს შეცვლილი გარემოებების დოქტრინის გამოყენების საფუძველი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობის – არაბრალეულობის – არარსებობის გამო. ბრალეული შეუსრულებლობის პირობებში ვერ განხორციელდება ხელშეკრულების ადაპტაცია და ბრალეული მხარის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება. აღნიშნული, ვადის გადაცილების, როგორც უმთავრესად ბრალეული დარღვევის, სამართლებრივი ბუნებით არის განპირობებული.

შესაძლებელია, მოვალის მიერ პროდუქციის მიწოდების ვადის გადაცილება გაუთვალისწინებელი საკანონმდებლო აკრძალვით იყოს გამოწვეული. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, არ არსებობს მოვალის ბრალი ვა-

დის გადაცილების ფაქტის მიმართ,<sup>1169</sup> მაგრამ ამ მოცემულობით მაინც არ წარმოიშობა არაბრალეული ვადის გადაცილება, არამედ – შესრულების შეუძლებლობა, როგორც ვალდებულების დარღვევის სხვა დამოუკიდებელი სახე და პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად სწორედ შესრულების არაბრალეული, სამართლებრივი შეუძლებლობის გამოყენება მოხდება. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებისთვის კეთილსინდისიერებასა და სამართლიანობაზე დამყარებული დოქტრინის ამოქმედება გაუმართლებელია ვადის გადაცილებელი ბრალეული მხარის სასარგებლოდ.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევა უნიფიცირებული, ანგლოამერიკული და კონტინენტური სამართლის ქართულ სამართალთან ურთიერთყავშირში შესწავლას დაეფუძნა. აღნიშნულის ფონზე მნიშვნელოვანი იყო, ერთდროულად მსგავსი და კონცეფტუალური ოვალსაზრისით, ხშირად წინააღმდეგობრივი რეგულირების სისტემური ანალიზი. მიღწეული კვლევის შედეგები შესაძლებელია თეორიული წყარო გახდეს ნაციონალური კანონმდებლობის დახვეწის, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სრულყოფილი და სამოქალაქო ბრუნვის მოთხოვნებზე სწრაფად რეაგირებადი ფუნდამენტური ინსტიტუტების ჩამოყალიბების, ევროპული სამართლებრივი სივრცისათვის დამახსასიათებელი პრინციპებისა და დირექტულებათა სისტემის ამსახველი სამართლებრივი ბაზის ფორმირებისთვის.

<sup>1169</sup> ბიოლინგვისტი პ., ლუტრინგპაული პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009, 30; პეტრელი ხ., სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, გამომც. „სიეტა“, თბ., 2009, 42.

## ბიბლიოგრაფია

### ქართულ ენაზე:

ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999.

ბაჩიაშვილი გ., დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2008.

ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, „სარჩევი“, თბ., 2011.

ბზეგალავა ქ., მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სტატიათა კრებულში: გეგენავა დ. (რედ.), ლადო ჭავჭავაძე 50, საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2013.

ბიოლინგი პ., ლუტრინგპაუხი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009.

გეგენავა დ. (რედ.), წინათქმა, კრებულში: ლადო ჭავჭავაძე 50, საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2013.

გოგიაშვილი გ., Clausula Rebus Sic Stantibus, დინამიკა და სტატიკა სამართალში, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 9/2006-1/2.

გაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია ოუ მოქმედი სამართალი, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1.

გაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, GTZ, თბ., 2010.

ზარანდია თ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი), თბ., 2002.

ზოდებ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, კერძო სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2005.

ზოდებ., საკონსტიტუციო კონტროლი და დირებულებათა წესრიგი საქართველოში, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), თბ., 2007.

ზოდებ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემცნების ცდა – უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესეები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013.

ზოდებ., ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 6/2003-1.

ოსუელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა), ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2007.

კანდიდატური რ., რეალური შესრულება თუ ზიანის ანაზღაურება: საერთაშორისო კონსენსუსი? საიუბილეო კრებული „სერგო ჯორბენაძე – 70“, თბ., 1996.

კერძებელი დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009.

კერძებელი დ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 7/2004-1.

მათიაშვილი ზ., UNIDROIT - საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები, ჟურნ. „საერთაშორისო სამართალი“, №14, დეკემბერი, 2000.

მარიამიძე გ., ვალდებულებითი სამართალი, მე-2 ნაწილი, თბ., 2011.

მაჩალაძე ს., ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა ანალიზი), ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2004.

მაჭარაძე გ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა – განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2008.

ნაჭეულია ა., სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამათლოს პრაქტიკაში (2000- 2013), GIZ, 2014.

პედაგოგინო ქ., სუბიექტური თუ ობიექტური სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა? საიუბილეო კრებული „სერგო ჯორბენაძე – 70“, თბ., 1996.

ფიფია ა., ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურევროპული და ანგლო-ამერიკული სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე, უკრ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2008.

შავიაშვილი ბ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, სადისერტაციო ნაშრომი იურიდიულ მეცნიერებათა განდიდაცის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1997.

ჩაჩავა ს., მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, უკრ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2004.

ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2010.

ჩიგაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, „სამართლის ურნალი“, №1, 2009.

ჩიგაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა, „სამართლის ურნალი“, №2, 2011

ჩოხლი ნ., ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, უკრ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბ., 5/2002-4.

ცვაიგერტი კ., კოტცი ქ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბ., 2001.

ძლიერი შვილის ზ., ვალდებულების შესრულება, თბ., 2006.

ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001.

ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997.

ჭანგურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2000.

ჭანგურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011.

ჭანგურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., 2006.

ჭანგურია ლ., ზოიდე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხელურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, გ. II, თბ., 2001.

ჭეჭელაშვილი ზ. (მთარგ. და რედ.), გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2010 წლის პირველი მარტის მდგომარეობით, „სიესტა“, თბ., 2010.

ჯუღელი გ. (რედ.), ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., ხვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., ცერცვაძე გ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014.

ჯენელი ხ., სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, გამომც. „სიესტა“, თბ., 2009.

## უცხოურ ენებზე:

Ackermann Th., Beyond Expectation? An Assessment of the DCFR Rules on Contractual Damages, in Wagner G.(ed.), The Common Frame of Reference: A View from Law And Economics, Sellier – European Law Publishers GmbH, Munich, 2009.

Al-Emadi T.A., The Renegotiating Clause in Petroleum International Joint Venture Agreements, University of Qatar, Oxford Student Legal Studies Paper No. 04/2012, 2012.

Andersen K.B., Uniform Application of the International Sales Law, Understanding uniformity, the Global Jurisconsultorium and Examination and Notification Provisions of the CISG, Kluwer Law International, The Netherlands, 2007, 94.

Anson W., Anson's Law of Contract, 27<sup>th</sup> ed., Oxford: Oxford University Press, 1998.

Backhaus R., The Limits of the Duty to Perform in the Principles of European Contract Law, EJCL, Vol. 8.1, 2004.

*Bar Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Vaneziano A., Zoll F.* (eds.), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference, Study Group on a European Civil Code and Research Group on EC Private Law (Acquis Group), Sellier, European Law Publishers GmbH, Munich, 2009.

*Baranauskas E., Zapolskis P.*, The Effect of Change in Circumstances on the Performance of Contract, Mykolas Romeris University, 4 (118), 2009.

*Barnett R.E.*, Some Problems with Contract as Promise, Cornell L. Rev., Vol. 77, 1992.

*Barry N.*, Force Majeure and Frustration, Am. J. Comp. L., Vol. 27, 1979.

*Basedow J.*, Towards a Universal Doctrine of Breach of Contract: The Impact of the CISG, Int'l Rev. L. & Econ., Vol. 25, 2005.

*Beale H., Hartkamp A.* (eds.), Cases, Materials and Text on Contract Law, Oregon, Hart Publishing Oxford and Portland, 2002.

*Beatson J., Friedman D.* (eds.), Good Faith and Fault in Contract Law, Oxford University Press, 1995.

*Berger K.P.*, International Arbitral Practice and the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, Am. J. Comp. L., Vol. 46, 1998.

*Berger K.P.*, Renegotiation and Adaptation of International Investment Contracts: The Role of Contract Drafters and Arbitrators, Vand. J. Transnat'l L., Vol. 36, 2003.

*Bergsten E.E., Miller A. J.*, The Remedy of Reduction of Price, Am. J. of Comp. L., Vol. 27, 1979, 255-277, reprinted in CISG W3 database, Pace Int'l L. Rev., 15 January, 1998.

*Bianca C.M., Bonell M. J.*, Commentary on the International Sales Law – The 1980 Vienna Sales Convention, Milan, 1987.

*Blum B.A., Chemerinsky E., Epstein R., Gilson R.F., Krier J.E., Neumann R. K., Syverud K.D., Warren E., Farndsworth E.A., Hazard G.S., Wolfman B.* (eds.), Contracts, Examples and Explanations, 3<sup>rd</sup> ed., Aspen Publishers, New York, 2004.

*Bonell M.J.*, An International Restatement of Contract Law: The UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, 3<sup>rd</sup> ed., Ardsley, New York, 2005.

*Bonell M.J.*, The CISG, European Contract Law and the Development of a World Contract Law, Am. J. Comp. L., Vol. 56, Issue 1, 2008.

*Bonell M.J.*, The Unidroit Principles and Transnational Law, *Unif. L. Rev.*, Vol. 5, 2000.

*Bonell M.J.*, The UNIDROIT Principles 2010: An International Restatement of Contract Law, Symposium on the 2010 UNIDROIT Principles of International Commercial Contracts: Towards a “Global” Contract Law, October 28, 2011.

*Bonell M.J.*, The UNIDROIT Principles of International Commercial Contracts and CISG – Alternatives or Complementary Instruments? *Unif. L. Rev.*, Vol. 36, 1996.

*Brand R.A.*, Fundamentals of International of International Business Transactions Documents, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 2000.

*Bridgeman C.*, Reconciling Strict Liability with Corrective Justice in Contract Law, *Fordham L. Rev.*, Vol. 75, 2007.

*Brownlie I.*, Principles of Public International Law, 2<sup>nd</sup> ed., Oxford, 1973.

*Brunner Ch.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009.

*Bund J.M.*, Force Majeure Clauses: Drafting Advice for the CISG Practitioner, *J.L. & Com.*, Vol. 17, 1998.

*Burton S.J.*, Contract Law: Selected Source Materials, Restatement of Law, West Publishing Co., St. Paul, Minn., 1995.

*Busch D., Hondius E., Kooten H. V., Schelhaas H. N., Schrama W. (eds.)*, The Principles of European Contract Law and Dutch Law: A Commentary, Kluwer Law International, Ars Aequi Libri, Nijmegen, 2002.

*Busch D., Hondius E.*, The Principles of European Contract Law and Dutch Law: A Commentary (Perspectives on Company Law S.), Kluwer Law International; 1<sup>st</sup> ed., August 27, 2002.

*Buxbaum R.M.*, Modification and Adaptation of Contracts: American Legal Developments, Kluwer , 1985.

*Carlsen A.*, Can the Hardship Provisions in the UNIDROIT Principles be Applied When the CISG is the Governing Law? Copenhagen, Denmark, Pace Essay Submission, 1998.

*Chechelashvili Z.*, Introduction to the Georgian Business Law, Textbook, GIZ, Tb., 2013.

*Chen-Wishart M.*, Contract Law, 2<sup>nd</sup> ed., Oxford University Press, 2008.

*Ciematniece I.*, Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010.

*Cohen N., McKendrick E.(eds.)*, Comparative Remedies for Breach of Contract, Hart Publishing, Portland, Oregon, 2005

*Collins H.*, The Law of Contract, Cambridge University Press, New York, 2003.

*Collins H.*, The Law of Contract, LexisNexis Butterworth: London, 2003.

*Corbin A.L.*, Corbin on Contracts, West Pub. Co., 1952, Chicago, 1091-1099.

*Dessemontet F.*, Use of the UNIDROIT Principles to Interpret and Supplement Domestic Law, 2002.

*DiMatteo L.A., Dhooge L .J., Greene S., Maurer V. G., Pagnattaro M. A.*, International Sales Law, A Critical Analysis of CISG Jurisprudence, Cambridge University Press, Cambridge, 2005.

*DiMatteo L.A.*, The Law of International Contracting, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 2000

*DiPalma M.*, Nachfrist under National Law, the CISG, and the UNIDROIT and European Principles: A Comparison, International Contract Adviser (Kluwer), Vol. 5, No. 1, 1999.

*Doudko A.G.*, Summary of the Seminar on “Force Majeure and Hardship” organized by the ICC, Unif. L. Rev., Vol. 6, 2001.

*Draetta U.*, Force Majeure Clauses in International Trade Practice, Bus. L. J., Vol. 5, 1996.

*Draetta U.*, Hardship and Force Majeure Clauses in International Contracts, RDAI/IBLJ, No. 3/4, 2002.

*Draetta U.*, *Lake R.B.*, *Nanda V.P.*, Breach and Adaptation on International Contracts, An Introduction to Lex Mercatoria, Butterworth Legal Publishers, 1992.

*Ebke W. F.*, *Steinhauter B. M.*, The Doctrine of Good Faith in German Contract Law, in *Eisenberg M. A.*, Impossibility, Impracticability and Frustration, J. Legal Analysis, Vol. 1, No. 1, 2009.

*Edlund H. E.*, Imbalance in Long-Term Commercial Contracts, ERCL, Vol. 5, Issue 4, 2009.

*Eiselen S.*, *Ferrari F.*, *Flechtner H. M.*, *Garro A.*, *Ulrich M.*, *Viscasillas P. P.*, *Rogers V.*, *Sono H.*, *Witz C.*, *Voleger A. K.* (ed. in chief), J.L. & Com., UNCITRAL Digest of Case Law on the United National Convention on Contracts for the International Sale of Goods, Special Issue, University of Pittsburgh, Vol. 30, 2012.

*Enderlein F.*, *Maskow D.*, International Sales Law, United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods: Convention on the Limitation Period in the International Sale of Goods: Commentary, Oceana Publications, 1992.

*Espenschied L.E.*, Contract Drafting, Powerful Prose in Transactional Practice, American Bar Association Publishing, US, 2010.

*Farnsworth E. A.*, Closing Remarks, Am. J.Comp.L., Vol. 40, 1992.

*Farnsworth E.A.*, Comparative Contract Law, Part III, United States by Oxford University Press Inc., New York, 2006.

*Farnsworth E. A.*, Farnsworth on Contracts, 3<sup>rd</sup> ed., Vol. 2, Aspen Publishers, 2004.

*Farnsworth E. A.*, On Contracts, 2<sup>nd</sup> ed., New York, 1998.

*Frey M. A., Frey Ph. H.*, An Introduction to the Law of Contracts, 4<sup>th</sup> ed., Delmar Cengage Learning, 2007.

*Faruque A.*, Possible Role of the Arbitration in the Adaptation of Petroleum Contracts by Third Parties, *Asian Int'l Arb. J.*, Vol. 2, 2006.

*Felemezas J.(ed.)*, An International Approach to the Interpretation of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (1980) as Uniform Sales Law, Sydney, 2007.

*Ferrari F.(ed.)*, The CISG and Its Impact on National Legal Systems, Sellier, European Law Publishers, Munich, 2008.

*Firoozmand M.R.*, Changed Circumstances and Immutability of Contract: a Comparative Analysis of Force Majeure and Related Doctrines, *Bus. L. Int'l*, Vol. 8, No.2, 2007.

*Flambouras D.*, Comparative Remarks on CISG Article 79 & PECL Articles 6:111, 8:108, Pace Law School Institute of International Commercial Law, 2002.

*Flambouras D. P.*, The Doctrines of Impossibility of Performance and *Clausula Rebus Sic Stantibus* in the 1980 Vienna Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law: A Comparative Analysis, *Pace Int'l L. Rev.*, Vol. 13, 2001.

*Flechtner H.*, Article 79 of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) as Rorschach Test: The Homeward Trend and Exemption for Delivering Non-Conforming Goods, *Pace Int'l L. Rev.*, Vol. 19, 2007/1.

*Flechtner M.H.*, Issues Relating to Exemption (“Force Majeure”) Under Article 79 of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (“CISG”), Legal Studies Research Paper Series, Pittsburgh, Pennsylvania, 2008.

*Fox W.F.*, International Commercial Agreements, A primer on drafting, Negotiation and Resolving Disputes, 4<sup>th</sup> ed., Wolters Kluwer Law and Business, The Netherlands, 2009.

*Frick J.G.*, Arbitration and Complex International Contracts, Kluwer Law International, Schulthess, 2001.

*Fried C.*, Contract as Promise: A theory of Contractual Obligations. Harvard University Press: Cambridge, Mass, 1981.

*Friedmann D.*, Performance Interest in Contract Damages, Law Quart. Rev., Vol.111, 1995.

*Fucci R.F.*, Hardship and Changed Circumstances as Grounds for Adjustment or Non-Performance of Contracts, Practical Considerations in International Infrastructure Investment and Finance, Thelen Reid & Priest LLP, American Bar Association Section of International Law, 2006

*Gabriel H.D.*, Contract for the Sale of Goods, A Comparison of Domestic and International Law, Oceana Publications, Inc, Dobbs, Ferry, New York, 2004

*Gaillard E.*, *Savage J.(eds.)*, Fouchard Gaillard Goldman on International Commercial Arbitration, 1<sup>st</sup> ed., Business & Economics, Kluwer Law International, 1999.

*Gaillard E. (ed.)*, Transnational Rules in International Commercial Arbitration (ICC Publ. Nr. 480, 4), Paris, 1993.

*Gareth J.*, *Schlechtriem P.*, Breach of Contract (Deficiencies in a Party's Performance), International Encyclopedia of Comparative Law, Vol. VII (Contracts in General), Chapter 15, Tübingen, 1999.

*Garro M.A.*, Gap-Filling Role of the UNIDROIT Principles in International Sales Law: Some Comments on the Interplay between the Principles and the CISG, Tul. L. Rev., Vol. 69, 1995, 1149.

*Garro A.M.*, Columbia University School of Law, Adopted by the CISG-AC at its 11<sup>th</sup> meeting in Wuhan, People's Republic of China, New York, N.Y., USA, 2007.

*Garro M.A.*, Comparison Between Provisions of the CISG Regarding Exemption of Liability for Damages (Art. 79) and the Counterpart Provisions of the UNIDROIT Principles, Art. 7.1.7, 2005

*Gillette C.P.*, Commercial Rationality and the Duty to Adjust Long-Term Contracts, Minn. L. Rev., Vol. 69, 1984-1985

*Goldberg V.P.*, After Frustration: Three Cheers for Chandler v. Webster, Wash. & Lee L. Rev., Vol. 68, Issue 3., 2011

*Goldberg V.P.*, Excuse Doctrine: The Eisenberg Uncertainty Principle, J. Legal Analysis, Vol. 2, No. 1, 2010.

*Goldberg V.P.*, Framing Contract Law, An Economic Perspective, Harvard University Press, Cambridge, Massachusetts and London, England, 2006.

*Goldman B.*, The Applicable Law: General Principles of Law - the Lex Mercatoria: Lew ed., Contemporary Problems in International Arbitration, London, 1986.

*Goldman A.J., Sigismond W.D.*, Business Law and Practices, 8<sup>th</sup> ed., South-Western College/West, 2010

*Gordley J.*, Impossibility and Changed and Unforeseen Circumstances, Am. J. Comp. L., Vol. 52, 2004,

*Gordley J.*, Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006

*Gotanda J.Y.*, Renegotiation and Adaptation Clauses in Investment Contracts, Revisited, Villanova University School of Law, Vand. J. Transnat'l L., Vol. 36, 2003

*Graffi L.*, Case Law on the Concept of "Fundamental Breach" in the Vienna Sales Convention, Int'l Bus LJ, No. 3, 2003.

*Gregorio M.*, Impossible Performance or Excused Performance? Common Mistake and Frustration after Great Peace Shipping, KCLJ, Vol. 16, No. 1, 2005.

*Halpern S.W.*, Application of the Doctrine of Commercial Impracticability: Searching for "The Wisdom of Solomon", U.Pa.L. Rev., Vol. 135, No.5, 1987.

*Hartkamp A.S., Hesselink M., Hondius E. H., Mak Ch., du Perron C. E. (eds.)*, Towards a European Civil Code, 4<sup>th</sup> Revised and Expanded ed., Kluwer Law International, US, 2011.

*Hartkamp A.S., Hesselink M., Hondius E.H., du Perron E., Joustra C., Veldman M.(eds.)*, Towards a European Civil Code, 3<sup>rd</sup> ed., Kluwer Law International, 2004.

*Henseler P.*, Henseler & Partners Dusseldorf, Germany, The Application in the contracting states of the United Nations Convention on Contracts for International Sale of Goods (CISG), 2007.

*Hesselink M.W.*, CFR & Social Justice: A Short Study for the European Parliament on the Values Underlying the Draft Common Frame of Reference for European Private Law - What Roles for Fairness and Social Justice?, Centre for the Study of European Contract Law Working Paper Series No. 2008/08, Munich: Sellier, 2008.

*Hillman R.A.*, Court Adjustment of Long-Term Contracts: An Analysis Under Modern Contract Law, Duke L. J., 1987.

*Hillman R.A.*, Principles of Contract Law, 2<sup>nd</sup> ed., The Concise Hornbook Series, West, US, 2009.

*Holtfrerich C.L.*, The German Inflation, 1914-1923, Berlin: Gruyter W. D., 1986

*Hondius E.*, European Private Law – Survey, E.R.P.L, Issue 6, 2002-2004.

*Hondius E.H., Grigoleit H. Ch.*, Unexpected Circumstances in European Contract Law, Cambridge University Press, New York, 2011.

*Honnold O.J.*, Impediments Excusing Party From Damages ("Force Majeure"), Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, Kluwer Law International, The Hague, 3<sup>rd</sup> ed., 1999.

*Honnold J.O., Flechtner H. M. (ed.)*, Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, 4<sup>th</sup> ed., Wolters Kluwer Law and Business, Austin, Boston, Chicago, New York, The Netherlands, 2009.

*Horn N.* (ed.), *Adaptation and Renegotiation of Contracts in International Trade and Finance*, Deventer/The Netherlands, Kluwer Law and Taxation Publishers, 1985.

*Horn N.*, *Changes in Circumstances and the Revision of Contracts in Some European Laws and International Law*, in: *Horn N.* (ed.), *Adaptation and Renegotiation of Contracts in International Trade and Finance*, Antwerp, Boston, London, Frankfurt a.M. 1985.

*Horn N., Kötz H., Leser H. G.*, *German Private and Commercial Law: An Introduction*, Oxford, Oxford University Press, 1982.

*Houh E.*, *The Doctrine of Good Faith in Contract Law: A (Nearly) Empty Vessel?* Utah L. Rev., Vol. 2005, U of Cincinnati Public Law Research Paper, No. 04-12, 2005.

*Hubbard S.W.*, *Relief from Burdensome Long-Term Contracts: Commercial Impracticability, Frustration of Purpose, Mutual Mistake of Fact, and Equitable Adjustment*. Mo. L. Rev., Vol. 47, 1982.

*Houtte H.V.*, *Changed Circumstances and Pacta Sunt Servanda: Gaillard (ed.)*, *Transnational Rules in International Commercial Arbitration* (ICC Publ. Nr. 480, 4), Paris, 1993.

*Huber P., Mullis A.*, *The CISG A New Textbook for Students and Practitioners*, Selliers, European Law Publishers, Germany, 2007.

*Hyland R.*, *Pacta Sunt Servanda, A Meditation*, Va. J. Int'l L., Vol. 34, 1994

*Jacobs D.L.*, *Legal Realism or Legal Fiction? Impracticability Under the Restatement (second) of Contracts*, New York, Com. L.J., Vol. 87, 1982.

*Jansen N.*, *The Making of Legal Authority, Non-legislative Codifications in Historical and Comparative Perspective*, Oxford University Press, New York, 2010.

*Jenkins S.H.*, *Exemption for Non-performance: UCC, CISG, UNIDROIT Principles - A Comparative Assessment*, Tul. L. Rev., Vol.72, 1998.

*Jones R., Moens G.*, *International Trade Business Law Review*, Vol. 10, 2006.

*Karampatsos A.*, Supervening Hardship as Subdivision of the General Frustration Rule: A Comparative Analysis with Reference to Anglo-American, German, French and Greek Law, Eur. Rev. Private L., Kluwer Law International, The Netherlands, Vol. 13, No. 2, 2005.

*Kazimierska A.*, The Remedy of Avoidance under the Vienna Convention on the International Sale of Goods, Pace Int'l L. Rev. of the Convention on Contracts for the International Sale of Goods, Kluwer, 1999-2000.

*Kessedjian C.*, Competing Approaches to Force Majeure and Hardship, Int'l Rev. L. & Econ, Vol. 25, 2005.

*Kim N.*, Mistakes, Changed Circumstances and Intent, U. Kan. L. Rev., Vol. 56, 2007-2008

*King V.K.*, Hardship as an Impediment to Performance in Terms of Article of the CISG, North-West University, November, 2010.

*Knutson R.*, Common Law Development of the Doctrines of Impossibility of Performance and Frustration of Contracts and their Use and Application in Long Term Concession Contracts, Presented at the IBA Committee T, Berlin, ICLR 298, 1997.

*Koch R.*, “Fundamental Breach”: Commentary on Whether the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts may be used to Interpret or Supplement Article 25 CISG, Pace Int'l L. Rev., 2004.

*Kofod R.*, Hardship in International Sales CISG and the UNIDROIT Principles, University of Copenhagen-Faculty of Law, Pace Law School Institute of International Commercial Law, 2011.

*Kovač M.*, Comparative Contract Law and Economics, Utrecht, 2008.

*Kovač M.*, Comparative Contract Law and Economics (New Horizons in Law and Economics Series), Edward Elgar Pub., August 30, 2011.

*Kronke H.*, The UN Sales Convention, the UNIDROIT Contract Principles and the Way Beyond, J.L. & Com., Vol. 25:451, 2005-06.

*Kull A.*, Mistake, Frustration, and the Windfall Principle of Contract Remedies, Hastings L.J., Vol. 43, 1991-1992.

*Lando O.*, *Beale H.*, Principles of European Contract Law, Part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000.

*Lando O.*, Salient Features of the Principles of European Contract Law: A Comparison with the UCC, Pace Int'l L. Rev., Vol. 13, Issue 2, 2001.

*Lando O.*, Vision of a Future World Contract Law: Impact of European and UNIDROIT Contract Principles, Thomson/West, UCCLJ, Vol. 37, Issue 2, 2004.

*Laursen K.*, *Pederson J.*, The German Inflation 1918-1923, Amsterdam, North Holland Pub. Co., 1964.

*Lee W.*, Exemptions of Contract Liability Under the 1980 United Nations Convention, Dick. J. Int'l. L., 1990.

*Lindström N.*, Changed Circumstances and Hardship in the International Sale of Goods, NJCL, 2006/1; *Litvinoff S.*, Force Majeure, Failure of Cause and Theorie De L'imprevision: Louisiana Law and Beyond, La. L. Rev., Vol. 46, No. 1, 1985,

*Liu Ch.*, Changed Contract Circumstances, 2<sup>nd</sup> ed., Pace Law School Institute of International Commercial Law, 2005.

*Liu Ch.*, Force Majeure Perspectives from the CISG, UNIDROIT Principles, PECL and Case Law, 2<sup>nd</sup> ed., Case annotated update, Pace Law School Institute of International Commercial Law, 2005.

*Liu Ch.*, *Newman M. S.(ed.)*, Remedies in International Sales, Perspectives from SISG, UNIDROIT Principles and PECL, JurisNet, LLC, Huntington, New York, 2007.

*Liu Ch.*, Remedies for Non-performance: Perspectives from CISG, UNIDROIT Principles & PECL, 2003.

*Lookofsky J.*, Impediments and Hardship in International Sales: A Commentary on Catherine Kessedjian's "Competing Approaches to Force Majeure and Hardship, Int'l Rev. L. & Econ., Vol. 25, 2005.

*Lookofsky J.*, The 1980 United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, *Herbots J.(ed.)/Blanpain R.* (General ed.), International Encyclopedia of Laws - Contracts, Suppl. 29, 2000.

*Lookofsky J. L.*, Understanding the CISG: A Compact Guide to the 1980 United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 3<sup>rd</sup> ed., Publishing Copenhagen, Wolters Kluwer Law and Business, Austin, Boston, Chicago, New York, The Netherlands, 2008.

*Lookofsky J.L.*, Understanding the CISG in Scandinavia, DJÆF Publishing Copenhagen, Copenhagen, 1996.

*Lorenz A.*, Fundamental Breach under the CISG, Pace Int'l L. Rev., 1998.

*Löwisch M.*, New Law of Obligations in Germany, Ritsumeikan L. Rev., No. 20, 2003.

*Macneil I.R.*, The New Social Contract: An Inquiry into Modern Contractual Relations, Yale University Press New Haven, CT., 1980.

*Maggi M.*, Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG), 2002-2003, Kluwer Law International, Netherlands, 2004.

*Magnus U.*, Force Majeure and the CISG, In The International Sale of Goods Revisited, *Sarcevic, Volken (eds.)*, The Hague, 2001.

*Magnus U.*, The General Principles of UN-Sales Law, published in English at 3 International Trade and Business Law Annual, Australia, Int'l. Trade & Bus. L. Ann., Vol. 3, 1997.

*Markesinis S.B.*, *Unberath H.*, *Johnston A.*, The German Law of Contract – A Comparative Treatise, 2<sup>nd</sup> ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006.

*Maskow D.*, Hardship and Force Majeure, Am. J. Comp. L., Vol. 40, 1992

*McKendrick E.*, Chitty on Contracts, The Law of Contracts, Vol. 1, General Principles, Chapter 24, Discharge by Frustration, London, 1999.

*McKendrick E.*, Contract Law, Oxford, Chapter 23, 2003.

*Mckendrick E.*, The Consequences of Frustration: The Law Reform (Frustrated Contracts) Act 1943, Force Majeure and Frustration of Contracts, 1991.

*McKendrick E.*, The Creation of a European Law of Contracts – The Role of Standard Form Contracts and Principles of Interpretation, Kluwer-Deventer, 2004.

*Mekki M., Pelese M. K.*, Hardship and Modification (or ‘Revision’) of the Contract, January 26, 2010.

*Mizrachi K.*, Force Majeure in Project Finance: A Comparative and Practical Analysis of Risk Allocation, J. Struct. Finan., Vol. 12, No. 2, 2006.

*Moore H.*, Allocating Foreseeable Sovereign Risks in Infrastructure Investment in Indonesia: Force Majeure and Indonesia's Economic Woes, PLI8, 2001.

*Mustill M.J. (Lord Justice)*, The New Lex Mercatoria: The First Twenty-five Years, In Liber amicorum for Lord Wilberforce, 149 (M. Bos. & I. Brownlie eds, 1987), reprinted in Arb. Int. 4, 1988.

*Musy A.M.*, The Good Faith Principle in Contract Law and the Pre-contractual Duty to Disclose: Comparative Analysis of New Differences in Legal Cultures, 2000.

*Nachatar J.S., Hussin A.A., Omran A.*, Frustration of Contract in the Malaysian Construction Contract management, IJE, Tome 9, fascicule 3, Hunedoara, Romania, 2011.

*Nancy K.S.*, Reasonable Expectations in Socio-cultural Context, Wake Forest L. Rev., Vol. 45, 2010.

*Naon H. A. G.*, Adaptation of Contracts: An Argentine Substantive and Private International Law Outlook, 1985.

*Nicholas B.*, The French Law of Contract, 2<sup>nd</sup> ed., OUP Oxford, 1992.

*Nicolas B.*, The Vienna Convention on International Sales Law, L Quart. Rev., 105, 1989.

*Nottage L.*, Changing Contract Lenses: Unexpected Supervening Events in English, New Zealand, U.S., Japanese and International Sales Law and Practice, 2008.

*Oliveira N. M. P.*, The German Act to Modernize the Law of Obligations as a Model for the Europeanization of Contract Law? The New Rules Regarding Impossibility of Performance from the Perspective of a Portuguese Lawyer, *EJCL*, Vol. 11.4, December 2007.

*Osadare B.*, Force Majeure and the Performance Excuse: A Review of the English Doctrine of Frustration and Article 2-615 of the Uniform Commercial Code, 2010.

*Perillo J.M.*, Force Majeure and Hardship under the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, *Contratación internacional. Comentarios a los Principios sobre los Contratos Comerciales Internacionales del Unidroit*, Universidad Nacional Autónoma de México - Universidad Panamericana, 1998.

*Perillo J.M.*, Hardship and Its Impact on Contractual Obligations: A Comparative Analysis, Roma, 1996.

*Perillo J.M.*, UNIDROIT Principles of International Commercial Contracts: The Black Letter Text and a Review, *Fordham L. Rev.*, Vol. 43, 1994.

*Pichonnaz P.A.*, From *Clausula Rebus Sic Stantibus* to Hardship: Aspects of the Evolution of the Judge's Role, *Am. J. Legal Hist.*, Vol. 17, Issue 1, 2011.

*Piliounis P.A.*, The Remedies of Specific Performance, Price Reduction and Additional Time (Nachfrist) under the CISG: Are These Worthwhile Changes or Additions to English Sales Law? *Pace Int'l L. Rev.*, Vol. 12, 2000.

*Pizer L.K., Smith M. R. (eds in Chief), Southerington T.*, Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 2002-2003, Kluwer Law International, The Hague, London, New York, 2004.

*Poole J.*, Casebook on Contract Law, 9<sup>th</sup> ed., Online Resource Centre, Oxford University Press, Oxford, 2008.

*Posner R.*, Economic Analysis of Law, §4.9, 7<sup>th</sup> ed., New York, 2007.

*Posner R.A., Rosenfield A.M.*, Impossibility and Related Doctrines in Contract Law: An Economic Analysis, *J. Legal Stud.*, Vol. 6, 1977.

*Posner R.A., Sykes A. O.*, Efficient Breach of International Law: Optimal Remedies, “Legalized Noncompliance” and Related Issues, *Mich. L. Rev.*, Vol. 110, No. 2, 2011

*Puelinckxin A. H.*, Frustration, Hardship, Force Majeure, Imprévision, Wegfall der Geschäftsgrundlage, Unmöglichkeit, Changed Circumstances, *J. Int'l Arbitr.*, Vol. 3, No. 2, 1986.

*Rapsomanikas M. G.*, Frustration of Contract in International Trade Law and Comparative Law, *Duq. Bus. L.J.* , Vol. 18, 1979-1980.

*Reimann M.*, The Good, the Bad, and the Ugly: The Reform of the German Law of Obligations, *Tul. L. Rev.*, Vol. 83, 2009.

*Reimann M., Zimmermann R.*, The Oxford Handbook of Comparative Law, Oxford University Press, USA, 2008.

*Riesenfeld S.*, The Impact of German Legal Ideas and Institutions on Legal Thought and Institutions in the United States in the Reception of Continental Ideas in the Common Law World, *Reimann M.(ed.)*, 1820-1920.

*Rimke J.*, Force Majeure and Hardship: Application in International Trade Practice with Specific Regard to the CISG and the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, Pace Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods, Kluwer, 1999-2000.

*Ringer F. K.*, The German Inflation of 1923, Oxford University Press, New York, 1969.

*Roberts Th.E.*, Commercial Impossibility and Frustration of Purpose: A Critical Analysis, *Can. J.L. & Jurisprudence*, Vol. 16, 2003.

*Rohwer C.D., Skrocki A.M.*, Contracts in a Nutshell, 7<sup>th</sup> ed., West Nutshell Series, USA, 2010.

*Rowan S.*, Remedies for Breach of Contract (A Comparative Analysis of the Protection of Performance), Oxford University Press, New York, 2012.

*Säcker F.J.*, The Transition from German to European Civil law – Effective Competition, Fairness and Reasonableness and Consumer Protection as New Principles of a Modern Social Civil Law in Europe, 2009.

*Salacuse J.W.*, Direct Foreign Investment and the Law in Developing Countries, Foreign. Invest. L. J. ICSID Review, Vol. 15, Issue 2, 2000.

*Schlechtriem P., Butler P.*, UN Law on International Sales, The UN Convention on the International Sale of Goods, Springer, Verlag Berlin Heidelberg, 2009.

*Schlechtriem P. (ed.)*, Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 2<sup>nd</sup> ed., 1998.

*Schlechtriem P.*, The German Act to Modernize the Law of Obligations in the Context of Common Principles and Structures of the Law of Obligations in Europe, Oxford U Comparative L Forum, Vol. 2, 2002.

*Schlechtriem P.*, Uniform Sales Law, The UN Convention on Contracts for the International Sale of Goods, Manzsche Verlagsund niversitätsbuchhandlung, Vienna, 1986

*Schlechtriem P.*, Basic Structures and General Concepts of the CISG as Models for a Harmonisation of the Law of Obligations, Juridica X/2005.

*Schlechtriem P., Schwenzer I.*, Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010.

*Schmidt-Kessel M. (Osnabrück)*, Remedies for Breach of Contract in European Private Law - Principles of European Contract Law, Acquis Communautaire and Common und Frame of Reference, in *Schulze R. (ed.)*, New Features in Contract Law, Sellier, European Law Publishers, München, 2007.

*Schulte-Nölke H.*, The New German Law of Obligations: an Introduction, 2002.

*Schwartz A. A.*, A „Standard Clause Analysis“ of the Frustration Doctrine and the material Adverse Change Clause, UCLA L. Rev., Vol. 57, 2009-2010.

*Schwenzer I.*, Force Majeure and Hardship in International Sales Contracts, VUWLR, Vol. 39, 2008.

*Schwenzer I., Hachem P., Kee Ch.*, Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012.

*Schwenzer I., Hachem P.*, The CISG - Successes and Pitfalls, Am. J. Comp. L., Vol. 57, 2009.

*Scott R. E.*, In (Partial) Defense of Strict Liability in Contract, Columbia Law and Economics Working Paper No. 341, Mich. L. Rev., Vol. 107, 2009.

*Scott R.E.*, The Death of Contract Law, U. Toronto L. J., Vol. 54, 2004.

*Seliazniova T.*, Prospective Non-Performance or Anticipatory Breach of Contract (Comparison of the Belarusian Approach to CISG Application and Foreign Legal Experience), J.L.&C., Vol. 24, 2004.

*Sharp M. P.*, Pacta Sunt Servanda, Colum. L. Rev., Vol. 41, 1941.

*Silveira M.*, Termination of Contract under the Principles of European Contract Law - A Comparative Study, Pace Law School Institute of International Commercial Law, 2006.

*Siviglia P.*, Contracts and Negotiating for the Business Person (You and Your Lawyer), Carolina Academic Press, United States of America, 2007.

*Slater S. D.*, Overcome by Hardship: Inapplicability of the UNIDROIT Principles' Hardship Provisions to CISG, Fla. J. Int'l L., Vol. 12, 1998.

*Smith S. A.*, Contract Theory, McGill University, Oxford University Press, 2007.

*Smythe D. J.*, Bounded Rationality, the Doctrine of Impracticability, and the Governance of Relational Contracts, S. Cal. Interdisc. L.J., Vol. 13, No. 2, 2003-2004.

*Sondahl E.*, Understanding the Remedy of Price Reduction – A Means to Fostering a More Uniform Application of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, VJ Int'l Comm. Arb., Vol. 7, 2003.

*Southerington T.*, Impossibility of Performance and Other Excuses in International Trade, Publication of the Faculty of Law of the University of Turku, Private Law Publication Series B:55, Turku, 2001.

*Speidel R.E.*, Contracts in Crises, Excuse Doctrine and Retrospective Government Acts, Carolina Academic Press, Durham, North Carolina, 2007.

*Speidel R. E.*, Court-Imposed Price Adjustments Under Long-Term Supply Contracts, N/W Univ. L. Rev., Vol. 76, 1981.

*Speidel R. E.*, On Change and the Law of Contracts: A Tribute to *Joe Perillo*, Fordham L. Rev., Vol. 71, 2002-2003.

*Spivack C.*, Of Shrinking Sweat suits and Poison Vine Wax: A Comparison of Basis for Excuse under U.C.C. §2-615 and CISG Article 79, Pa. J. Int'l Econ. L., Vol. 27, 2006.

*Stoll H.*, Exemptions in Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 608, *Schlectriem P.(ed.)*, *Thomas G.*, Trans., 2<sup>nd</sup> ed., 1998.

*Stone B., Adams K. D.*, Uniform Commercial Code in a Nutshell, 7<sup>th</sup> ed., Thomson-West, 2008.

*Strohbach H.*, Force Majeure and Hardship Clauses in International Commercial Contracts and Arbitration: The East German Approach', 1 JIA 39, 1984.

*Surhone L. M., Timpledon M. T., Marseken S. F.*, *Pacta Sunt Servanda: Brocard, Civil Law, Contract, Clause, Law, Good Faith, Peremptory Norm, Clausula Rebus Sic Stantibus*, Betascript Publishers, 2010.

*Tallon D., Bianca C. M., Bonell M.J. (eds.)*, Exemptions, Commentary on the International Sales Law, The 1980 Vienna Sales Convention, Art. 79, Milan, 1987.

*Trakman L.E.*, Declaring Force Majeure: Veracity or Sham? Un. of New South Wales, 2007.

*Trakman L.E.*, Winner Take Some: Loss Sharing and Commercial Impracticability, Minn. L. Rev., Vol. 69, 1984.

*Treitel G. H.*, Frustration and Force Majeure, 2<sup>nd</sup> ed., London, 2004.

*Treitel G. H.*, The Law of Contract, 9<sup>th</sup> ed., Sweet and Maxwell, London, 1995.

*Treitel G.H.*, The Law of Contract, 10<sup>th</sup> ed., London, 1999.

*Uribe M.*, The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011.

*Vagts D.F.*, Rebus Revisited: Changed Circumstances in Treaty Law, Colum. J. Transnat'l L., Vol. 43, 2004-2005.

*Vogenauer S.*, *Weatherill S.* (eds.), The Harmonization of European Contract Law: Implications for European Private Laws, Business and Legal Practice (Studies of the Oxford Institute of European and Comparative Law), Hart Publishing, Oxford, 2006.

*Vogenauer S.*, *Weatherill S.* (eds.), *Zimmermann R.*, Contract Law Reform: The German Experience, Hart Publishing, Oxford, 2006.

*Weiskopf N.R.*, Frustration of Contractual Purpose - Doctrine or Myth? St. John's L. Rev., Vol. 70, Issue 2, Number 2, 1996.

*Werner M.*, Force Majeure and Hardship Clauses in International Commercial Contracts in View of the Practices of the ICC Court of Arbitration, 1 J.Int'l Arb., 1984.

*Williston S.*, *Lord R. A.*, A Treatise on the Law of Contracts. Thomson/West: Rochester, New York, §77:10, 1990.

*Will M. R.*, Twenty Years of International Sales Law under the CISG (The UN Convention on Contracts for the International Sale of Goods, International Bibliography and Case Law Digest, 1980-2000, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 2000).

*Wright C.*, Force Majeure Clauses and the Insurability of Force Majeure Risks, *Constr. Law*, Vol. 23, 2003.

*Yorio E., Thel S.*, Contract Enforcement, 2<sup>nd</sup> ed., Wolters Kluwer Law and Business, Aspen Publishers, US, 2011.

*Zeller B.*, CISG and Unification of International Trade Law, Routledge-Cavendish, Taylor and Francis Group, 2007.

*Zharsky A.V.*, Correlation of the Legal Defence Remedies for the Breach of International Sales Contract, 10 *Law and Democracy: Collected Scientific Articles*, 1999.

*Zimmermann R.*, Breach of Contract and Remedies Under the New German Law of Obligations, *Saggi, Conferenze e Seminari* 48, Roma, 2002.

*Zimmermann R.*, Roman Law, Contemporary Law, European Law, The Civilian Tradition Today, Oxford University Press, 2001.

*Zimmermann R.*, The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, Oxford University Press, 1996.

*Zimmerman R.*, The New German Law of Obligations: Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005.

*Zimmermann R., Whittaker S. (eds.)*, Good Faith in European Contract Law, Cambridge University Press, Cambridge, 2000.

*Zweigert K., Kötz H.*, An Introduction to Comparative Law, Volume II-The Institutions of Private Law, 2<sup>nd</sup> Revised ed., Translated from German by *Weir T.*, Oxford, Clarendon Press, 1987.

*Zweigert K., Kötz H.*, An Introduction to Comparative Law, 3<sup>rd</sup> ed., Translated from the German by *Weir T.*, Oxford, 1998.

## **საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებები:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-735-697-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-1118-1065-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2014 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-523-497-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2014 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-302-284-2014.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2013 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე: საქმე №ას-888-834-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას -160-153-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-1162-1091-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას -1300-1320-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2012 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-1224-1244-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტ-რების საქმეთა პალატის 2011 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-931-969-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტ-რების საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-837-888-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-762-818-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-804-858-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთს პალატის 2011 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-502-476-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-331-315-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-496-470-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-375-355-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-218-204-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: საქმე №ას-1359-1197-2010.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-8-5-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-1076-1008-2010.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტ-რების საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-576-542-2010.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-7-6-2010.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-418-391-2010.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-7-6-2010.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-1220-1480-09.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-1015-1287-09.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-1166-1428-09.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-30-367-09.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-964-1166-08.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-466-707-08.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-617-842-08.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: ას-858-1171-07.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტ-რების საქმეთა პალატის 2006 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-217-636-06.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტ-რების საქმეთა პალატის 2006 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: ას-853-1122-05.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტ-რების საქმეთა პალატის 2001 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: № 3/992-01.

**უცხოური სასამართლოებისა და საარბიტრაჟო ინსტიტუტების გადაწყვეტილებები:**

*Abbot of Westmister v Clerke, 73 Eng. Rep. 59, 63 (K.B. 1536).*

*Aluminum Co. of American vs. Essex Group, Inc., 449 F. Supp.53 (W.D. Pa.1980).*

*Anaconda-Iran, Inc. v. The Government of the Islamic Republic of Iran, et al., Award No. ITL 65-167-3 of 10.12.1986 at 41-43, 13 Iran-U.S. C.T.R. 199, 211-12, Y.B. Com. Arb. 1988, 319.*

*Arbitral Award ICC (December 2001) International Court of Arbitration (No. 9994), Centro de Arbitraje de México (CAM), 30.11.2006.*

*(2000) Arbitral Award ICC International Court of Arbitration (No.10021).*

*Award in ICC Case No. 8486. Original Document in German. J.D.I., 1998, 1047-1049, (English Translation: Y. B. Com. Arb. 1999, 162-173, UNILEX.*

*Bulgarian Chamber of Commerce and Industry [BTTP (Bulgarska turgosko-promishlena palata), Case No. 11/96, 12 February 1998.*

*BP Exploration Co. (Libya) Ltd v Hunt (No.2), [1979] 1WLR 783.*

*BGH 12.01.1994, VIII ZR 165/92; BGHZ 49, 388 (1968).*

*BGHZ 10, 44, 51; 350 F.*

*BGH NJW 1967, 1081.*

*BGH WM* 1975, 769.

*OLG Karlsruhe*, DB 1980, 254.

*BGH LM* §242 (Bb) BGB Nr. 57.

*BGH WM* 1958, 700.

*OLG Hamburg*, 1 U 143/95 and 410 O 21/95, 04 July 1997.

*OLG Hamburg*, Appellate Court Hamburg (Iron molybdenum case), 1 U 167/95, 28 February, 1997.

*Calvin V. Koltermann Inc. v. Underream Piling Co*, 563 S.W.2d 950, 1979.

*Chandler v. Webster*, [1904] 1 K.B. 493;

*Clay v. Landreth*, 187 Va. 169, 180, 45 S.E. 2d 875, 880-88.

*Davis Contractors Ltd. v. Fareham U.D.C.* 11.9561 A.C. 696 at 729 per Lord Radcliffe, District Court (Rechtbank) Maastricht, 9 July, 2008 [120428/HAZA 07-550].

*Ellwood v. Nutex Oil Company*, 148 S.W. 2d 862 (Tex. Civ. App. 1941).

*European Court of Justice*, Judgment of 11 July, 1968, Case 4/68, Rec. 1968, 563.

*Florida power & Light Company v. Westinghouse Electric Corporation*, 517 F. Supp. 440, E.D. Va., 1981.

*F.A. Tamplin Steamship Co. v. Anglo-Mexican Petroleum Products Co.* [1916] 2 A.C. 397.

*Fibrosa Spolka Akcyjna v Fairbairn Lawson Combe Barbour Ltd*, [1943] AC 32 (HL).

*Fla. Power & Light Co. v. Westinghouse Elec. Corp.* 517 F.Supp. 440 (E.D. Va. 1981).

*Fibrosa Spolka Akcyjna v. Fairbairn Lawson Combe Barbour, Ltd*, [1943] A.C. 32 at 49-50 (H.L. 1942).

*Gamerco SA v I.C.M./Fair Warning (Agency) Ltd*, [1995] 1 WLR 1226.

*G.Brencius v. Ukio investicine grupe, Supreme Court of Lithuania*, 19.05.2003, n. 3K-3-612

*ICC Arbitration Case No. 2291*, 1976 Lunet 989 (1976).

*ICC Arbitration Case No. 7197/1992.*

*Kel Kim Corp. v. Central Mkts., Inc.*, 519 N.E.2d 295, 296 (N.Y. 1987).

*Krell v Henry* [1903] 2 KB 740.

*Lauritzen AS v Wijsmuller BV*, The Super Servant Two, [1990] 1Lloyd's Rep 1 (CA).

*Mullen v. Wafer* 480S.W.2d. 332 (ark. 1972).

*Mobil Oil Iran Inc. v. Islamic Republic of Iran*, Award No. 311-74/76/81/150-3 of 14.07.1987 at para.117.

*Mineral Park Land Co. v. Howard*, 172 Cal. 289 (1916).

*National Carriers Ltd. v. Panalpina (Northern) Ltd*; *Davis Contractors v Fareham UDC*.  
*Nicholl & Knight v. Ashton Edridge &Co*;

*Paradine v. Jane*, English Rep. 897 [K.B. 1647].

*Taylor v Caldwell* (1863)3b & S826, 122 ER 309 (QB).

(USA) *Taylor Edwards Warehouse & transfer Co v. Burlington Northern*, US Ct App (9<sup>th</sup> Cir) 12 September, 1983, 715 F2d 1330.

*Transatlantic Fin. Corp. v. United States*, 363 F.2d 312, 316 (D.C. Cir. 1996).

*Tribunal of International Commercial Arbitration at the Russian Federation Chamber of Commerce and Industry*, 155/1994, 16 March 1995.

*Tsakiroglou & Co. LTD v. Noblee Thorl GmbH*, [1962] AC 93 (HL).

*Questech Inc.v. Ministry of National Defence*, 9 IRAN – U.S. CL. Trib. Rep. 107, 122, 1985.

## **საკანონმდებლო აქტები:**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გამოცემა, „უწყებანი“, საკანონმდებლო დამატება, №31.

„საქართველოს საგაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ საქართველოს 2001 წლის 26 ოქტომბრის კანონი №1131.

French Civil Code, Translated by *Rouhette G.* with the assistance of *Rouhette-Bertot A.*, 2006.

German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005.

Law Reform (Frustrated Contracts) Act, Legislation of the United Kingdom, 1943.

New Netherland's Civil Code - Patrimonial Law, translated by *Haanappel P.P.C., Mackaay E.*, Under the Auspices of the Ministry of Justice of the Netherlands, Quebec Centre of private and Comparative Law, Kluwer Law and Taxation Publishers, Boston.

Restatement (second) of Contracts, American Law Institute (ALI), 1981.

Sale of Goods Act, Legislation of United Kingdom, 1979.

Supply of Goods and Services Act, Legislation of the United Kingdom, 1982.

The EC Directive on Unfair Terms in Consumer Contracts 93/13/EEC: L 95/29.

Unfair Contract Terms Act, Legislation of United Kingdom, 1977.

## **უნიფირებული სამართლებრივი აქტები**

Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference, Study Group on a European Civil Code and Research Group on EC Private Law (Acquis Group), Sellier, European Law Publishers GmbH, Munich, 2009.

Principles of European Contract Law (PECL) – Parts I and II - Revised 1998, Part III – 2002.

The UCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on the International Sale of Goods, 2004.

United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 1980, United Nations Commission on International Trade Law, United Nations Publication – Sales No. E. 10. V.14, United Nations, New York, November, 2010.

UNIDROIT Contract Principles/UPIICC – UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, International Institute for the Unification of Private Law (UNIDROIT), Rome, 2004.

Uniform Commercial Code (UCC), Cornell University Law School, Legal Information Institute, Copyright 1978, 1987, 1988, 1990, 1991, 1992, 1994, 1995, 1998, 2001. The American Law Institute and the National Conference of Commissioners on Uniform State Laws; reproduced, published and distributed with the permission of the Permanent Editorial Board for the Uniform Commercial Code for the limited purposes of study, teaching, and academic research, 2003.